

კ. ბაქრაძე

რ ჩ ე უ ლ ი
ფილოსოფიური თხზულებანი

ტომი მეოთხე



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1978

პროფ. კ. ბაქრაძის „რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი“ გამოდის ექვს ტომად. წინამდებარე მე-4 ტომში შესულია ლოგიკა, რომელიც გამოვიდა 1955 წელს როგორც უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სახელმძღვანელო.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და ლოგიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი: ილუზარდ კოდუა

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1978.

რ ე ღ ა ქ ტ ო რ ი ს ა ბ ა ნ ე

პროფ. კ. ბაქრაძის რჩეულ ფილოსოფიურ თხზულებათა მეოთხე ტომში იბეჭდება „ლოგიკა“, რომელიც 1955 წელს გამოვიდა.

ერთ პერიოდში საბჭოთა ფილოსოფოსებმა ჰეგელის ფილოსოფიის გავლენით ფორმალური ლოგიკის მიმართ დაიკავეს უარყოფითი პოზიცია. საჭირო გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჩარევა ლოგიკის აღსადგენად თავის უფლებებში. ამ ღონისძიებას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა პროფ. კ. ბაქრაძე. აუცილებელი იყო, პირველ რიგში, ლოგიკის სახელმძღვანელოს შექმნა როგორც საშუალო სკოლების, ასევე უმაღლესი სასწავლებლებისათვის. და აი, 1946 წელს გამოდის პროფ. კ. ბაქრაძის „ლოგიკა“, რომელიც საესეებით აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ 1946 წლამდე „ლოგიკა“ არ გამოცემულა არც მოსკოვში. 1946 წელს კი გამოქვეყნდა ჩელპანოვის „ლოგიკის“ ახალი გამოცემა. იმავე წელს დაისტამბა სტროგოვიჩის „ლოგიკა“, 1947 წელს კი — პროფ. ვ. ანტუსის „ლოგიკა“. 1946 წლიდან ყოველ წელიწადს გამოდის პროფ. ბაქრაძის სახელმძღვანელოები ლოგიკაში საშუალო სასწავლებლებისათვის. ასე გრძელდებოდა მთელი ათი წლის განმავლობაში.

პროფ. კ. ბაქრაძე არ კმაყოფილდება ლოგიკაში სახელმძღვანელოების შექმნით. იგი პარალელურად მუშაობს ლოგიკის ცალკეული საკითხების კვლევაზე: კერძოდ, 1948 წელს ქმნის ახალ შრომას „დედუქციური დასკვნების შესახებ“¹. აღსანიშნავია, რომ კლასიკური ლოგიკის კატეგორიული სილოგიზმის თეორია გამოსადეგი იყო დასკვნების მხოლოდ იმ სახეებისათვის, რომელნიც სამი ტერმინისაგან შედგებიან. კლასიკური ლოგიკის წესებს გარეთ რჩებოდა არასილოგიკური და რთული დასკვნები. არისტოტელე იცნობდა მათ, მაგრამ განხილვის გარეშე ტოვებდა, ვინაიდან ვერ ათავსებდა თავის თეორიის ჩარჩოებში. ახალ დროში ბევრი შეეცადა ამ დასკვნებისათვის ადგილი გამოენახა. ერთნი ამას აკეთებდნენ ტრადიციულ ფორმებზე დაყვანით, მეორენი კი — ახალი წესების შექმნით, მაგრამ ამ ცდებს წარმატება არ მოჰყოლია.

¹ მოხსენა მოსკოვისა და თბილისის ფილოსოფიურ საზოგადოებრიობას 1948 წელს; ინახება ავტორის პირად არქივში.

პროფ. კ. ბაქრაძემ აღნიშნულ საკითხს მიუდგა როგორც ისტორიულად, ისე თანამედროვე პრობლემატიკის თვალსაზრისით. კერძოდ, მან თანმიმდევრულად განიხილა და გააყრიტყია ჯევეონსის, კარინსკის, რუდკოვსკის, პოვარნინისა და სხვა ლოგიკოსთა თვალსაზრისი, ასევე მარქსისტი ლოგიკოსების — ასშუსის, ტავანეცისა და სტროგოვიჩის მოსაზრებანი. არასილოვისტური და რთული დასკვნები მან გააერთიანა სილოვისტურ დასკვნებთან და მათი მთლიანობა წარმოადგინა როგორც დედუქციურ დასკვნათა თეორია.

პროფ. კ. ბაქრაძემ პირველ რიგში შექმნა მსჯელობათა თავისებური კლასიფიკაცია, ვინაიდან კარგად ესმოდა, რომ ყველა სახის მსჯელობათა მომცველი მოძღვრების გარეშე დასკვნების სრულყოფილი თეორია ვერ აიგებოდა. მსჯელობათა კლასიფიკაციის საფუძველს, მისი აზრით, წარმოადგენს ის უდავო ფაქტი, რომ მსჯელობები სინამდვილის შოვლენათა მიმართებებსა და კავშირებს ასახავენ. პროფ. კ. ბაქრაძის მტკიცებით, მსჯელობათა ორი განსხვავებული ჯგუფი არსებობს — ერთი გამოსახავს საგნისა და ნიშნის მიმართებას, ხოლო მეორე — საგნის ან საგანთა კლასის დამოკიდებულებას სხვა საგნის ან საგანთა კლასისადმი. აღნიშნული მსჯელობები მიმართების მსჯელობებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ კუთვნილებას გამოხატავენ. პირველი ტიპის მსჯელობებში მოვლენათა და საგანთა მიმართება აისახება ცნებათა მიმართებით; როგორც საგნისა და ნიშნის, ასევე საგნისა და საგნის დამოკიდებულებების გამოხატველ მსჯელობებში სუბიექტი და პრედიკატი შესაბამის მოვლენებს შორის მიმართებას ასახავს. მეორე ტიპისაა მსჯელობები, რომლებშიც საგანთა და მოვლენათა შორის არსებული მიმართება აისახება არა ცნებათა მიმართებით, არამედ მსჯელობის საზრისით. ორივე ტიპის მსჯელობებში მიმართება აისახება, მაგრამ განსხვავებულია ასახვის ფორმა. მსჯელობებში, რომლებიც სინამდვილეს მსჯელობის საზრისით ასახავენ, საგნობრივი მიმართება არ გადაიტანება შესაბამის ცნებათა მიმართებაზე. მაგალითად, მიზეზობრივი მიმართება მოვლენებს შორის არ ნიშნავს, რომ მათ ამსახველ ცნებებს შორისაც მიზეზობრივი კავშირია. მოვლენათა ამ ჯგუფში შედის დროსა და სივრცის, იგივეობისა და სხვა მრავალი მიმართებანი. განსხვავება ამ ორი ტიპის მსჯელობებს შორის განაპირობებს განსხვავებას კატეგორიულ სილოვისტურ დასკვნებს შორის.

არსებობს მესამე ტიპის მსჯელობები: პირობითი, გაყოფითი, ალტერნატიული, კონიუნქციური. ისინი ასახავენ საგანთა შორის დამოკიდებულებას მარტივ მსჯელობათა საზრისების მიმართებით და ქმნიან რთულ მსჯელობათა ჯგუფს. მათ საფუძველზე აგებენ პირობით, გაყოფით და

სხვა სახის დედუქციურ დასკვნებს. მსჯელობათა ეს სამი ტიპი მოიცავს და ასახავს სინამდვილის მთელ მრავალფეროვან კავშირ-მიმართებებს. ამრიგად, პროფ. კ. ბაქრაძე ადგენს მსჯელობებისა და დასკვნების სამ ჯგუფს, რომლებშიც ერთიანდება ყველა სახის დედუქციური დასკვნა. ასე რომ, კლასიფიკაციის გარეშე არ ჩჩება დასკვნის რომელიმე სახე და ზედმეტი ხდება დასკვნათა ერთიმეორეზე დაყვანა.

რა არის ის საერთო, რომლითაც პროფ. ბაქრაძე აერთიანებს სამივე ტიპის დედუქციურ დასკვნას? ეს საერთო, იგივეობრივი მომენტი ცნება. კი არაა, როგორც კლასიკურ ლოგიკაში იყო, არამედ ობიექტი, საგნები და მათ შორის მიმართებებია, ე. ი. ნივთთა ვითარება. მაგალითად, სივრცითი მიმართების გამომხატველ არასილოგისტურ დასკვნაში ხუთი ტერმინია, მაგრამ ობიექტი მხოლოდ სამია. წანამძღვრებში იგივეობრივი ობიექტი იძლევა დასკვნის გაკეთების საფუძველს. აქედან გამომდინარე, პროფ. კ. ბაქრაძე აყალიბებს დებულებას: „მსჯელობებში, რომელთაგან აგებულია დედუქციური დასკვნები, ყოველთვის მოიაზრება გარკვეულ მიმართებაში მყოფი სამი ობიექტი. ამ ვითარებას ასახავს წანამძღვარი მსჯელობები. ერთი ამ ობიექტთაგანი, ასახული ორივე წანამძღვარში, იგივეობრივია. მასთან მიმართებაშია წანამძღვარში მოაზრებული ორი სხვა ობიექტი“. ამრიგად, დედუქციური დასკვნებისათვის საერთო ნიშანია იგივეობრივი ობიექტის მოაზრება.

კატეგორიულ სილოგიზმში ეს იგივეობრივი ობიექტი საშუალო ტერმინით გამოიხატება, არასილოგისტურ დასკვნებში კი — მსჯელობის საზრისით, ხოლო პირობით, გაყოფით და სხვა რთულ დასკვნებში იგივეობრივი ობიექტი აისახება რთულ მსჯელობათა იგივეობრივ ნაწილში. სამივე შემთხვევაში დასკვნის შესაძლებლობას იგივეობრივი ობიექტი განაპირობებს.

პროფ. კ. ბაქრაძის აღნიშნული ნაშრომის ღირსება მდგომარეობს იმ სიძნელეთა გადალახვაში, რომლებიც დასკვნის ტრადიციულ თეორიებს ახასიათებდა. მეცნიერმა ეს შეძლო ასახვის მარქსისტული შემეცნების თეორიის მომარჯვებით. ასახვის მარქსისტული პრინციპი პირველად იქნა გამოყენებული ლოგიკის ამ მთავარი სფეროს მიმართ, რაც მეტად საინტერესოს ხდის პროფ. ბაქრაძის თეორიას. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ 1952 წელს მოსკოვში, პროფ. კოტე ბაქრაძის შრომის („ლოგიკა“) რუსული გამოცემის განხილვასთან დაკავშირებით გამოცემული ორატორები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველი მეცნიერის დედუქციური დასკვნების თეორიას, რომელიც მან ჯერ კიდევ 1948 წელს გააცნო მოსკოვში დაინტერესებულ საზოგადოებას. განხილვაზე მოსკოველი ფილოსოფოსები გაკვირვებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ავტორმა ეს საიხლე თავის შრომაში არ გამოიყენა. კერძოდ, პროფ.

პოპოვი აღნიშნავდა: „პროფ. ბაქრაძე იძლევა, ტრადიციასთან შედარებით, დედუქციურ დასკვნათა ახალ სახეებს, ამასთან, როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ განყოფილებას არა აქვს სისტემატური ხასიათი, მაშინ როდესაც სწორედ ის უნდა ყოფილიყო სისტემის წარმომდგენი. სხვათა შორის, ეს სისტემა იყო. იგი თავის დროზე მოახსენა პროფ. ბაქრაძემ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ლოგიკის კათედრას. და ის იყო განხილვის საგანი 1948 წლის დეკემბერში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების ფილოსოფიის ინსტიტუტთა ერთობლივ სამეცნიერო სესიაზე. აღნიშნული მოხსენება „დედუქციურ დასკვნათა თეორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“ მეტად სადავოა, მაგრამ ამავე დროს განსაკუთრებული სიცხადით იძლევა დასკვნათა გარკვეულ სისტემას“¹.

1951 წელს გამოვიდა პროფ. კ. ბაქრაძის „ლოგიკა“ რუსულ ენაზე. იგი განკუთვნილი იყო უმაღლესი სკოლების სტუდენტთა სახელმძღვანელოდ. წიგნის გამოსვლამ ფართო გამოხმაურება პოვა საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც. ეს აიხსნება იმით, რომ ნაშრომში, განსხვავებით სხვა სახელმძღვანელოებისაგან, საკითხები განხილულია ახლებურად, მოცემულია ტრადიციულ პრობლემათა ორიგინალური გადაწყვეტა.

ლოგიკაში ფუნდამენტური სახელმძღვანელოების შექმნისა და ლოგიკისადმი ნიპილისტური პოზიციის წინააღმდეგ თავიდანვე გალაშქრების გარდა ამ სფეროში პროფ. ბაქრაძის დიდ დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ 1950 წელს ჟურნალში „ვოპროსი ფილოსოფიი“ მისი წერილით დაიწყო დისკუსია ლოგიკისა და დიალექტიკის მიმართებაზე, რომელმაც ფართო გამოხმაურება პოვა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც. ამ დისკუსიაში პროფ. ბაქრაძის მიერ დაკავებული პოზიცია გახდა ერთი ძირითადი ხაზი ლოგიკისა და დიალექტიკის მიმართების პრობლემატიკის გადაწყვეტაში.

პირველი თეზისი, რომელსაც პროფ. ბაქრაძე აყენებს, ეს არის შტკიცება იმისა, რომ ლოგიკა არის ერთი, როგორც არ უნდა ვუწოდოთ მას — ფორმალური თუ უზრალოდ ლოგიკა. ლოგიკა არ შეიძლება ორი იყოს, რადგან ყველა მეცნიერება გარკვეულ საგანს შესწავლის და ამ საგნის შესახებ ორი მეცნიერება არ შეიძლება არსებობდეს. ლოგიკა არის მოძღვრება სწორი აზროვნების ფორმების შესახებ, უფრო სწორად, ლოგიკა არის მოძღვრება სწორი აზროვნების კანონებისა და წესების შესახებ. ეს ერთი საგანია და მის შესახებ მეცნიერებაც ერთი უნდა

¹ Стенограмма заседания по обсуждению книги профессора К. С. Бакрадзе «Логика», Московский государственный университет им. М. В. Ломоносова, 31/V—1952 г. (იხსნება პროფ. კ. ბაქრაძის პირად არქივში).

იყოს. ამდენად არ შეიძლება არსებობდეს ერთმანეთის გვერდით ორი— ფორმალური და დიალექტიკური — ლოგია. საკითხის ასეთი გადაწყვეტისას მკვლევრის წინაშე ბუნებრივად დაისვა კითხვა — როგორ გავიგოთ მარქსიზმის კლასიკოსების გამოთქმები დიალექტიკურ ლოგიკაზე, ლოგიკის განსაზღვრებანი ლენინის „ფილოსოფიურ რვეულებში“, სადაც ლოგია გაგებულია, როგორც „მოძღვრება აზროვნების არა გარეგან ფორმებზე, არამედ „ყველა მატერიალური, ბუნებრივი და სულიერი ნივთის“ განვითარების კანონებზე. ე. ი. სამყაროს მთელი კონკრეტული შინაარსისა და მისი შემეცნების განვითარების კანონებზე, ე. ი. სამყაროს შემეცნების ისტორიის შედეგი, ჯამი, დასკვნა“ (ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 83), ან კიდევ როგორ გავიგოთ ლენინის მიერ ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის დაპირისპირება შრომაში „ერთხელ კიდევ პროფესიონარების შესახებ“. მკვლევრის აზრით, ის რაზედაც ამ შემთხვევებში ლენინი ლაპარაკობს როგორც ლოგიკაზე, როგორც დიალექტიკურ ლოგიკაზე, არის არა ლოგია ჩვეულებრივი გაგებით, არამედ ლოგია როგორც დიალექტიკა, როგორც მარქსიზმის შემეცნების თეორია, რადგან დიალექტიკა არის სწორედ მოძღვრება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების უზოგადესი კანონების შესახებ, დიალექტიკა არის სწორედ ის, რაც მოითხოვს ჩვენგან მოვლენები შევისწავლოთ მათ კავშირებსა და ურთიერთმიმართებაში, ყოველმხრივობაში, დიალექტიკა გვასწავლის, რომ ჰეგელიანობა ყოველთვის კონკრეტულია. ლოგიკაში ლენინი დიალექტიკას რომ გულისხმობდა, ამას, ფიქრობს ე. ბაქრაძე, ადასტურებს ლენინის შემდეგი სიტყვები: „თუ მარქსმა არ დატოვა „ლოგია“ (ასომთავრულით), სამაგიეროდ მან დატოვა „კაპიტალის“ ლოგია, და საჭიროა ამის განსაკუთრებით გამოყენება მოცემული საკითხის მიმართ. „კაპიტალში“ გამოყენებულია ერთი მეცნიერების მიმართ ლოგია, დიალექტიკა და შემეცნების თეორია მატერიალიზმისა (არაა საჭირო სამი სიტყვა: ეს ერთი და იგივეა)“¹. ასეთი არგუმენტაციით მკვლევარი უარყოფს აზრს, რომლის თანახმად მარქსიზმის კლასიკოსები აღიარებდნენ ფორმალური ლოგიკის გვერდით სხვა ლოგიკის — „დიალექტიკური ლოგიკის — არსებობას. მკვლევრის აზრით, თუ ორი ლოგიკის თვალსაზრისზე დავდგებით, მრავალი გადაუჭრელი სიძნელის წინაშე აღმოვჩნდებით, რადგან საკითხი დაისმის არა მარტო მათი საგნების მიმართებაზე, არამედ იმ მიჯნაზეც, რომელიც ამ ორ ლოგიკას გაყოფდა. ლოგიკის ერთ-ერთი სახელმძღვანელოს ავტორის სტროგოვიჩის მტკიცება, რომ ფორმალური ლოგია მარტივი ურთიერთობის სფეროა, დიალექტიკური კი რთული ურთიერთობისა, მკვლევარს არ მიაჩნია საკით-

¹ ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 326.

ხის გადაწყვეტად, რადგან არ ჩანს, სად თავდება მარტივი და სად იწყება რთული. ვარდა ამისა, ლოგიკა ყველა ზასიათის მიმართებებშია საჭირო, ის საყოველთაოა. ფორმალური ლოგიკის კანონები ყოველი ნორმალური მსჯელობის დროს უნდა დავიცვათ.

მეორე საკითხი, რომელიც დისკუსიის პროცესში წამოიჭრა, ეხებოდა ლოგიკის ადგილს მეცნიერებათა სისტემაში. იმის განსაზღვრას, არის თუ არა ლოგიკა ერთ-ერთი სპეციალურ მეცნიერებათა რიგში, თუ ის ფილოსოფიური მეცნიერებაა. ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან თუ ლოგიკის საკითხი გადაწყდებოდა ფილოსოფიიდან გამოყოფილ სხვა მეცნიერებათა საკითხის მსგავსად, მაშინ ფილოსოფიასა და ლოგიკას შორის მიმართება იქნებოდა ისეთივე, როგორც ფილოსოფიასა და სხვა კონკრეტულ მეცნიერებებს შორისა და საკითხი თავისთავად გაირკვეოდა, თუკი ლოგიკა არის ფილოსოფიური მეცნიერება, მაშინ უნდა დასაბუთებულიყო ეს და გარკვეულიყო მისი ადგილი ფილოსოფიაში. ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. ბაქრაძის თეზისი ასეთია: ლოგიკა არის ფილოსოფიური მეცნიერება. ამ თეზისს მკვლევარი შემდეგნაირად ასაბუთებდა — ფილოსოფია, როგორც შემეცნების თეორია, არკვევს შემეცნების პროცესს, მის შესაძლებლობას, ადგენს ჰეგემარიტების ცნებას, მისი მიღწევის გზებს. შემეცნება იწყება ცოცხალი განჭვრეტით და გადადის აბსტრაქტულ აზროვნებაზე, რომელიც ყველაზე ღირებული მომენტია შემეცნებაში. ამ ეტაპზე ჰეგემარიტების მიღწევა მოითხოვს, ერთი მხრივ, უკვე არსებულ ჰეგემარიტებებს და, მეორე მხრივ, მათ შორის ისეთი კავშირის დამყარებას, რომელიც ლოგიკური იქნება, რომელშიც გამომდინარეობას ექნება ადგილი, ე. ი. აზრის სისწორეს. ჩვენი აზროვნება მიმდინარეობს ცნების, მსჯელობის, დასკვნის ფორმებში. დასკვნის პროცესში წანამძღვრებიდან მიიღება ახალი დებულება და მისი ჰეგემარიტება დამოკიდებულია წანამძღვრების ჰეგემარიტებაზე და აზრთა მსვლელობის სისწორეზე. ცალ-ცალკე არც ერთი და არც მეორე მომენტი არაა საკმარისი ჰეგემარიტების მისაღწევად. ამრიგად, აქორი აუცილებელი პირობაა ჰეგემარიტების მიღწევისა და რადგან ამ პირობათაგან ერთ-ერთი: სწორი აზროვნების სახით ლოგიკის საგანია, ამდენად ლოგიკა არის შემეცნების პროცესის ერთ-ერთი მომენტის შესახებ მოძღვრება და ამიტომ შემეცნების თეორიის ნაწილიც. კ. ბაქრაძის აზრით, სწორედ ამას ლაპარაკობს ენგელსის დებულება, რომ ძველი ფილოსოფიიდან დარჩა ლოგიკა და დიალექტიკა. მკვლევარი უარყოფს იმ გაუგებრობას, რომელიც დაკავშირებულია ფორმალური ლოგიკის სახელწოდებასთან და რომლის საფუძველზეც ზოგიერთი ფიქრობს, რომ რადგან ლოგიკა ფორმალურია, მის გვერდით უნდა შეიქმნას შინაარსობრივი ლოგიკა, პირველი შეისწავლის ფორმებს, მეორე — შინაარსს. მკვლევარი აჩვენებს, რომ ლო-

გეგმა სრულიადაც არაა ფორმალური იმიტომ, რომ ის ფორმებს სწავლობს; მრავალი მეცნიერება სწავლობს ფორმებს, მაგრამ მათ ფორმალური არ ეწოდებათ. ლოგიკა ფორმალურია მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჭეშმარიტების მიღწევის ფორმალურ პირობას სწავლობს.

მესამე თეზისი, რომელსაც მკვლევარი აყენებს, ეხება ლოგიკური ფორმების საყოველთაო-საკაცობრიო ხასიათს. ის აკრიტიკებს ლოგიკის პროგრამას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ლოგიკა არის მეცნიერება საბჭოთა ადამიანების აზროვნების ფორმების შესახებ, აკრიტიკებს ყველა იმას, ვინც ლაპარაკობს საბჭოთა და ბურჟუაზიულ ლოგიკაზე და აღნიშნავს, რომ ლოგიკა არის ერთი ისევე როგორც ლოგიკური აზროვნების ფორმები და კანონები საერთოა ყველა ეპოქისა და ყველა წყობის ადამიანებისათვის. განსხვავება არსებობს არა ლოგიკური აზროვნების ფორმებსა და კანონებს შორის, არამედ ამ ფორმებისა და კანონების სხვადასხვა გაგებათა შორის.

საინტერესოა პროფ. ბაქრაძის „ლოგიკის“ სტრუქტურა. მკვლევარი არა მარტო ამტკიცებდა, რომ ლოგიკა არის ფილოსოფიური მეცნიერება, არამედ ხორცს ასხამდა კიდევ ამ მტკიცებას იმიტომ, რომ ფილოსოფიის პრობლემატიკას მჭიდროდ უკავშირებდა ლოგიკის პრობლემებს. გარდა ჭეშმარიტების და სისწორის კავშირისა, მკვლევარი სხვა მხრივაც აჩვენებს ლოგიკისა და ფილოსოფიის კავშირს: ცნების, მსჯელობის და დასკვნის განხილვასთან დაკავშირებით ის სვამს შემეცნების თეორიის, დიალექტიკის კატეგორიების და მათთან დაკავშირებულ საკითხებს. მისი აზრით, ცნებისა და მსჯელობის თეორია ლოგიკაში შეუძლებელია გადაწყდეს ისე, თუ არ გაირკვა საკითხი იმის თაობაზე, როგორ არის გაგებული ცნება და მსჯელობა, როგორაა გაგებული შემეცნების პროცესი. ამიტომ ლოგიკის პირველი თავი მან მიუძღვნა შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითად პრინციპებს და აქვე კრიტიკულად განიხილა შემეცნების არამარქსისტული თეორიები. მაგრამ ამით არ მთავრდება ლოგიკის ფილოსოფიური პრობლემატიკა. გადადის რა მოძღვრებაზე ცნების შესახებ, მკვლევარი განიხილავს კონცეპტუალიზმს, ნომინალიზმს და რეალიზმს, რომელნიც წარმოადგენენ ზოგადისა და ერთეულის სხვადასხვა ფილოსოფიურ თეორიებს. ამ თეორიებს ის უპირისპირებს ზოგადისა და ერთეულის საკითხის მარქსისტულ გადაწყვეტას და უჩვენებს, რომ ამის გარეშე შეუძლებელია აიგოს ლოგიკის მოძღვრება ცნებაზე, ისევე როგორც შეუძლებელია აიგოს ცნების არსებითი და არაარსებითი ნიშნების შესახებ მოძღვრება არსებისა და მოვლენის, შინაგანისა და გარეგანის კატეგორიათა გარეშე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის სიახლე, რომელიც პროფ. კ. ბაქრაძემ საბჭოთა ლოგიკოსებიდან პირველმა შეიტანა ცნების შესახებ ტრადიციულ მოძღვრებაში. საკითხი ეხება ცნების ჭეშმარიტება-მცდარობას. ტრადიციულ

ლოგიკაში ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანი მხოლოდ მსჯელობას მიეწერებოდა, რადგან მიაჩნდათ, რომ ჭეშმარიტება-მცდარობა დაკავშირებულია მტკიცება-უარყოფასთან, რაც მსჯელობის ნიშანია და არა ცნებისა. პროფ. კ. ბაქრაძემ 1951 წელს „ლოგიკაში“ ტრადიციული მოძღვრების საპირისპიროდ წამოაყენა დებულება, რომ ცნებას ახასიათებს ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანი. საპირისპირო მტკიცება, მისი აზრით, ორ მცდარ წანამძღვარზეა აგებული: 1) არასწორად ესმით ცნებისა და მსჯელობის მიმართება. თვლიან, რომ მსჯელობა არის ცნებათა კავშირის შედეგი, რომ ცნება უსწრებს მსჯელობას და 2) ცნება გაიგივებულია სიტყვასთან. პირველი წანამძღვარი მცდარია, რადგან შემეცნების პროცესში, რომელიც იწყება ცოცხალი განჭვრეტით, ჩვენ ვქმნით გარკვეულ წარმოდგენებს, რომელთა დაკავშირება გვაძლევს მსჯელობებს. სანამ ცნებები მიიღება, მსჯელობები არსებობს როგორც წარმოდგენათა კავშირი. ცნება როგორც საგნის არსებითი ნიშნების ასახვა წარმოდგენს მსჯელობათა შედეგს და როგორც მსჯელობის შედეგი არ შეიძლება არ ხასიათდებოდეს ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშნით, რადგან მსჯელობაც ამ ნიშნით ხასიათდება. ცნება, როგორც არსებითი ნიშნების ასახვა ან ჭეშმარიტი იქნება, ან მცდარი, რადგან შემეცნება სწორედ ასახვაშია. მკვლევრის აზრით, როდესაც ცნების მიმართ უარყოფენ ამ ნიშანს, მას ნებით თუ უნებლიედ აიგივებენ სიტყვასთან. სიტყვა, რასაკვირველია, არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, მაგრამ მისგან განსხვავებით, ცნება, რომელიც საგნის არსებითი ნიშნების ერთობლიობას წარმოადგენს, არ შეიძლება არ ხასიათდებოდეს ჭეშმარიტება-მცდარობით.

სსრკ განათლების სამინისტრომ მოსკოვის უნივერსიტეტსა და ვ. ი. ლენინის სახელობის პედაგოგიკურ ინსტიტუტში მოაწყო აღნიშნული სახელმძღვანელოს განხილვა საბჭოთა ფილოსოფოსებისა და ლოგიკოსთა ფართო მონაწილეობით. განხილვა მიმდინარეობდა სამ ტურად, ტურებს შორის შუალედი ორ-ორი თვე იყო. განხილვის მიზანი იყო დაედგინათ, შეიძლებოდა თუ არა ამ წიგნის გამოშვება მოსკოვში, როგორც სახელმძღვანელოსი საკავშირო გრიფით. სამწუხაროდ, ჩვენს განკარგულებაში მხოლოდ უკანასკნელი ტურის სტენოგრამაა, პირველი ორი ტურისა ჯერ კიდევ მიკვლეული არ არის. როგორც უკანასკნელი ტურის სტენოგრამიდან ჩანს, სამივე ტურზე დისკუსიაში მონაწილეობდნენ ცნობილი საბჭოთა ფილოსოფოსები და ლოგიკოსები, დისკუსია დაიწყო პროფ. კ. ბაქრაძის გამოსვლით, რომელმაც დისკუსიის მონაწილეებს გააცნო მისი შრომის აგების ძირითადი პრინციპები. მთავარ მომხსენებლად პროფ. კ. ბაქრაძის „ლოგიკის“ შესახებ გამოყოფილი იყო პროფ. პოპოვი, უხუცესი საბჭოთა ლოგიკოსი, რომელიც ლოგიკის პრობლემებზე 1911 წლიდან მუშაობდა. პოპოვის მოხსენებაში განხილულია პროფ. ბაქრაძის შრომის ყველა საკვანძო საკითხი. დაწვრილებით არის გადმო-

ცემული თითოეული თავის ძირითადი პრინციპები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. კრიტიკა მწვავე, მაგრამ მეცნიერული ხასიათისაა, შრომის შეფასება კი საესეებით დადებითია. პროფ. პოპოვის დასკვნა ამ შრომის შესახებ ასეთია: „არავის ძალუძს იმის უარყოფა, რომ ბაქრაძის წიგნის პრინციპული, ანუ ფილოსოფიური თავები (ასეთებია განსაკუთრებით მეორე თავი „ლოგიკის საგნის შესახებ“ და მეთე— „აზროვნების კანონებზე“) მეტად ძლიერია და ქმნის მყარ საფუძველს ლოგიკის დასამუშაველად. კერძოდ, ასეთია მეორე თავის მეტად საპასუხისმგებლო მონაკვეთი „ლოგიკისა და დიალექტიკის მიმართების შესახებ“... კ. ბაქრაძეს ლოგიკა გამოყავს აზროვნების ძველი მეტაფიზიკური ფორმების ტყვეობიდან, ამ ჰეშმარიტად ლოგიკური ჩიხიდან. იგი აჩვენებს, რომ სწორი აზროვნების ფორმების შესწავლა... პრინციპულად არაა დაკავშირებული აზროვნების ფორმების მეტაფიზიკურ გაგებასთან...“

მეტად ღრმად გადაგვიშლის პროფ. ბაქრაძე ლოგიკური აზროვნების წყობას, რომელიც მუდმივად მოქმედი, შეუცვლელი და ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელია“¹.

დაბოლოს, პროფ. პოპოვი აღნიშნავს წიგნის ცალკეულ ნაკლოვან მხარეებს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ისინი სრულიადაც ვერ ჩრდილავენ წიგნის ღირსებებს და მეტად მაღალ შეფასებას აძლევს ნაშრომს: „ვაჭამებ: პროფ. ბაქრაძის წიგნი ჩვენთვისაც, ლოგიკოსებისთვისაც უაღრესად თვალსაჩინო მოვლენაა. იგი ჩანაფიქრითაც და ფაქტიური მასალითაც გადაგვიშლის ახალ ჰორიზონტებს, ე. ი. უფრო ამაღლებს ლოგიკის სწავლების დონეს უმაღლეს სასწავლებლებში ძველ სახელმძღვანელოებთან შედარებით. ამ ძველი სახელმძღვანელოებისადმი მიბრუნება გამორიცხულია. ჩვენ უნდა ვასწავლოთ ლოგიკა როგორც მეცნიერება და არა როგორც გამრავლების ტაბულა. პროფ. ბაქრაძის წიგნი გვიჩვენებს გზას, რომლითაც უნდა ვიაროთ“².

დისკუსიაზე პროფ. კ. ბაქრაძის წიგნის გარშემო ჩამოყალიბდა ორი თვალსაზრისი მისი, როგორც სახელმძღვანელოს გამოცემის საკითხში. ერთნი იწონებდნენ ამ წიგნს, როგორც სახელმძღვანელოს და შესაძლებლად მიიჩნევდნენ მის მოსკოვში გამოცემას; მეორენი კი დადებითად აფასებდნენ მას, როგორც ორიგინალურ ნაშრომს, მაგრამ არ თვლიდნენ სახელმძღვანელოდ. ყოველ შემთხვევაში ორივე ჯგუფი დადებითად აფასებდა წიგნის გამოსვლას. საინტერესოა ცნობილი საბჭოთა ლოგიკოსის, კ. ბაქრაძის თვალსაზრისის მოწინააღმდეგის, პროფ. სტროგოვიჩის აზრი აღნიშნულ ნაშრომზე:

„პროფ. ბაქრაძის წიგნი ლოგიკაში უეჭველად სერიოზულ ყურად-

¹ იხ. დასახელებული სტენოგრამა.

² იქვე.

ლებას იმსახურებს... თუნდაც იმიტომ, რომ ეს არის ცნობილი მეცნიერის დაძაბული და დიდი შრომის ნაყოფი... ამ წიგნში წამოჭრილია ლოგიკის როგორც მეცნიერების მწვავე საკითხები და ეს საკითხები ავტორმა დასვა მკვეთრად და გადაჭრით, პირდაპირ უნდა ითქვას გაბედულად. ავტორი ნათლად და მტკიცედ აყალიბებს თავის პოზიციას და მისგან გამომდინარე დასკვნებს. არ ჩერდება შუა გზაზე და გვერდს არ უვლის რთულ და სადავო საკითხებს.

წიგნი დაწერილია საინტერესოდ და ცოცხლად. იმათთვის, ვისაც ლოგიკასთან აქვს საქმე,... იგი უეჭველად საინტერესოა¹.

თუ მოწინააღმდეგენი ასე ახასიათებდნენ პროფ. კ. ბაქრაძის შრომას, გასაგებია, როგორი იქნებოდა მისი მომხრეების დამოკიდებულება აღნიშნული ნაშრომისადმი. ასეთები კი ცოტანი როდი იყვნენ. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ისეთი მეცნიერები, როგორიც არიან ბოგუსლავსკი, გორსკი, ვოიშილო, ტავანეცი, ვეტროვი და სხვები.

პროფ. კ. ბაქრაძის „ლოგიკის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია საკითხების განხილვა ისტორიულ ასპექტში. ეს ისტორია სავსებით ახლებურადაა გაშუქებული, რამდენადაც მასში ნაჩვენებია რუსი ლოგიკოსების წვლილიც ლოგიკის ცალკეული საკითხების დაყენებასა და გადაწყვეტაში. ამავე დროს ეს ისტორია წარმოდგენილია როგორც ლოგიკის თეორიის დამხმარე მომენტი.

დისკუსიაზე წიგნის ერთ-ერთ ღირსებად მიიჩნეის მასში მოცემული ნაზრების ფილოსოფიური ხასიათი, ლოგიკის ცალკეული საკითხების გაშუქება შემეცნების თეორიის პრობლემათა შუქზე და არა მისი წარმოდგენა წესების კრებულად, მსგავსად გრამატიკისა. მოსკოველი ფილოსოფოსი ბოგუსლავსკი აღნიშნავდა ამ დადებით მომენტს და ამტკიცებდა, რომ ეს წიგნი მეტად ღირებული იქნება როგორც სახელმძღვანელო.

როგორც ითქვა, დისკუსიაზე წიგნის მიმართ გამოითქვა კრიტიკული შენიშვნებიც. მაგალითად, პროფ. კ. ბაქრაძის თვალსაზრისის მოწინააღმდეგენი უარყოფდნენ მტკიცებას ერთი ლოგიკის არსებობის შესახებ და მიიჩნევდნენ, რომ არსებობს ორი: ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკა. უარყოფდნენ პროფ. ბაქრაძის თეზისს ლოგიკის ფილოსოფიურობის შესახებაც იმ მოტივით, რომ ამ თეზისის აღიარებას მიყვავართ ფორმალური ლოგიკის მარქსიზმის ნაწილად გამოცხადებას და ლოგიკისა და დიალექტიკის აღრევისთან. ისინი იცავდნენ დებულებას, რომ ლოგიკა არის აზროვნების გრამატიკა, რომ მას შემეცნების თეორიასთან არა აქვს უფრო მეტი კავშირი, ვიდრე გრამატიკის წესებს. აკრიტიკებდნენ პროფ. კ. ბაქრაძის მიერ სისწორისა და ჭეშმარიტების განსხვავ-

¹ იხ. დასახ. სტენოგრაფია.

ვებას და აიგივებდნენ მათ ერთმანეთთან. აკრიტიკებდნენ პროფ. კ. ბაქრაძის მიერ ლოგიკისა და დიალექტიკის საგანთა განსხვავებას და ამტკიცებდნენ, რომ ორივეს საგანი ერთია, ესაა აზროვნების პროცესი და მისი ფორმები, განსხვავება მხოლოდ მათ ახსნაშია. ფორმალური ლოგიკა ამ ფორმებს ხსნის ზერელედ, დიალექტიკური კი — მეცნიერულად. ამტკიცებდნენ, რომ დიალექტიკური ლოგიკა არის ახალი, მარქსისტული ლოგიკა. შეუძლებლად მიიჩნევდნენ ფორმალური ლოგიკის დებულებათა საილუსტრაციოდ მარქსიზმის კლასიკოსების დამოწმებას, რადგან მარქსიზმის კლასიკოსების შრომებში მხოლოდ დიალექტიკური ლოგიკის პრინციპებია მოცემული.

დისკუსიის შეჯამება არ მომხდარა, საერთო აზრი კი ასეთი იყო: პროფ. ბაქრაძის „ლოგიკა“ შეიძლება გამოდგეს სახელმძღვანელოდ გარკვეული გადამუშავების შემდეგ. სამწუხაროდ, ავტორმა ამ წიგნის გადამუშავება ვეღარ მოახერხა და დაკმაყოფილდა მისი ქართულ ენაზე გამოცემით.

ამის შემდეგ საუკუნის მეოთხედმა განვლო. ლოგიკა, როგორც მეცნიერება აზროვნების ფორმების შესახებ, სწრაფად განვითარდა. ამ დარგში მრავალი საინტერესო წიგნი გამოქვეყნდა, მაგრამ პროფ. კ. ბაქრაძის წინამდებარე ნაშრომს არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული ღირებულება. იგი დღესაც „აღვიძებს აზრს და უბიძგებს წინ“¹.

ე. კოლუა

¹ იხ. დასახ. სტენოგრამა, პროფ. ვოიშვილოს გამოსვლა.

1. ფილოსოფიის ძირითადი საკითხი

ფილოსოფიის ძირითად საკითხს წარმოადგენს საკითხი ყოფიერებისა და ცნობიერების, მატერიალურისა და სულიერის, არსისა და აზრის დამოკიდებულების შესახებ. საკითხის არსება მდგომარეობს შემდეგში: რომელია პირველადი და რომელი მეორადი, რომელია განმსაზღვრელი და რომელია განსაზღვრული, ყოფიერება თუ ცნობიერება, მატერიალური თუ სულიერი. არსებითად შესაძლებელია— და ასეც იყო ფილოსოფიის ისტორიაში—ამ საკითხის ორნაირი გადაწყვეტა: მატერიალისტური და იდეალისტური.

მატერიალიზმი არის ისეთი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვით ყოფიერება პირველადია, ხოლო ცნობიერება მეორადი. მატერიალიზმის მიხედვით ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას, არსი—აზრს, მატერიალური—სულიერს. მატერიალიზმი არ უარყოფს ცნობიერების, აზრის, საერთოდ, სულიერის არსებობას; სულიერი, ცნობიერება არსებობს, მაგრამ მისი არსებობა დამოკიდებულია მატერიალურზე, იგი მატერიალური ქვეყნის განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოიშვა; იგი მაღალი ორგანიზაციის მქონე მატერიის შედეგია.

იდეალიზმის თვალსაზრისით კი სამყაროს არსება სულიერია; მთელი სამყარო ამ სულიერის გამოვლენას წარმოადგენს. ამიტომ ამ მსოფლმხედველობის მიხედვით ცნობიერება განსაზღვრავს ყოფიერებას, აზრი—არსს.

სინამდვილის საგნების და მოვლენების გაგება, ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების ასეთი თუ ისეთი გაგება დამოკიდებულია ფილოსოფიის ძირითადი საკითხის ასეთსა თუ ისეთ გადაწყვეტაზე. ამაზეა დამოკიდებული ადამიანთა პრაქტიკული და, კერძოდ, პოლიტიკური მოღვაწეობა. ადამიანთა პრაქტიკული მოქმედების მიზანშეწონილობა, მისი ნაყოფიერება დამოკიდებულია სინამდვილის კანონების ცოდნაზე, ბუ-

ნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნაზე, სინამდვილის მოვლენების სწორ გაგებასა და ახსნაზე. ეს უკანასკნელი კი წარმოუდგენელი იქნებოდა ჰემმარიტი მსოფლმხედველობის, ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მართებული გადაწყვეტის გარეშე.

ფილოსოფიის ისტორიაში წარმოებდა განუწყვეტელი ბრძოლა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის; ამ ბრძოლამ დღეს მიიღო განსაკუთრებით მწვავე ფორმები. ბრძოლა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის როდი წარმოადგენს მხოლოდ იდეათა, მსოფლმხედველობათა ბრძოლას, რომლის განხილვა და შესწავლა შეიძლება დამოუკიდებლად იმ ბრძოლისა, რომელიც წარმოებდა და წარმოებს საზოგადოებაში განსხვავებულ კლასთა შორის. მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლა წარმოადგენს კლასთა ბრძოლის გამოვლენას. როგორც წესი, მატერიალიზმი გამოდიოდა ფილოსოფიის ისტორიაში როგორც პროგრესული, რევოლუციური კლასების იდეოლოგია, ხოლო იდეალიზმი იყო ყოველთვის რეაქციული კლასების მსოფლმხედველობა.

წარმის პროცესში, პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში ადამიანები უპირისპირდებოდნენ რა ბუნებას, ახდენდნენ მასზე ზემოქმედებას და გარდაქმნიდნენ ბუნების მოვლენებს თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ პროცესში მათ საქმე უშუალოდ ბუნებასთან ჰქონდათ; ჰქონდათ საქმე სინამდვილის საგნებთან და მოვლენებთან როგორც ობიექტურ რეალობასთან, რომელიც მათი ცნობიერების დამოუკიდებლად არსებობდა. ეს გარემოება იყო სწორედ ის საფუძველი, რომელმაც განსაზღვრა მატერიალისტური მსოფლმხედველობის წარმოშობა. ეს იყო გულუბრყვილო, სტიქიური მატერიალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც—ცოდნისა და მეცნიერების განვითარებასთან ერთად—ჯერ კიდევ მარქსამდე ცდილობდა მიეღო მეცნიერულად დასაბუთებული ფილოსოფიური სისტემის სახე.

საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში მატერიალიზმს უხდებოდა მკაცრი ბრძოლების წარმოება იდეალიზმის წინააღმდეგ; მას უხდებოდა მის წინააღმდეგ მიმართული საბუთების უკუგდება და იდეალიზმის სხვადასხვა სახის გადალახვა. ეს ბრძოლა დღესაც არ დამთავრებულა, ისევე როგორც არ დამთავრებულა მსოფლიოში რევოლუციური და რეაქციული კლასების ბრძოლა. ამ ბრძოლაში ნამდვილი მეცნიერება ყოველთვის მხარს უჭერდა მატერიალიზმს, იმ დროს, როდესაც იდეალიზმი, ერთი მხრივ, იკვებებოდა რელიგიით და, მეორე მხრივ, თვითონ ასაზრდოებდა რელიგიას.

ამ ბრძოლის პროცესში, რომელიც რევოლუციურსა და რეაქციულ კლასთა ბრძოლის თავისებურ ანარეკლს წარმოადგენს, პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკის საფუძველზე, მეცნიერებათა მიღწევებით გამდიდრებული, წარმოიშვა სრულიად ახალი, ძველი ფი-

ლოსოფიისაგან თვისებრივად განსხვავებული მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი.

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მეორე მხარესაც განიხილავს. ეს მეორე მხარე იმას კი არ ეხება, თუ რა არის პირველადი საერთოდ, ყოფიერება თუ ცნობიერება, ბუნება თუ სული, არამედ—საკითხს: აქვს თუ არა ადამიანის ცნობიერებას უნარი, შეიცნოს სინამდვილე. რა დამოკიდებულება არსებობს აზრსა და არსს შორის შემეცნების პროცესში? ენგელსი ასეთ ფორმულირებას აძლევს ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მეორე მხარეს: „როგორ მიმართებაშია ჩვენი აზრები ჩვენი გარემომცველი ქვეყნის შესახებ თვით ამ ქვეყანასთან? შეუძლია თუ არა ჩვენ აზროვნებას ნამდვილი ქვეყნის შეცნობა, შეგვიძლია თუ არა ნამდვილი ქვეყნის შესახებ ჩვენს წარმოდგენებსა და ცნებებში ამ სინამდვილის სწორი ანარეკლი შეექმნათ?“¹.

რა არის განმსაზღვრელი შემეცნების პროცესში? სამყაროს კანონზომიერება განსაზღვრავს მისი ნაწილის—აზროვნების კანონზომიერებას, თუ სინამდვილის ეს მხარე—აზროვნება—არის მთელი სამყაროს კანონზომიერების განმსაზღვრელი? ბუნება უკარნახებს აზროვნებას კანონებს, თუ აზროვნება — ბუნებას?

შემეცნების თეორიის ამ ძირითად საკითხთან დაკავშირებულია მრავალი სხვა საკითხი: რა არის შემეცნება, რა არის ჭეშმარიტება, რით და როგორ შევიცნობთ სინამდვილეს, როგორია შემეცნების განვითარების გზა, რა არის ცოდნის საზომი და სხვა.

ქვემოთ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ამ საკითხების განხილვის გარეშე შეუძლებელია ლოგიკის ძირითადი პრობლემების გადაწყვეტა; ლოგიკის სისტემის ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადაწყდება შემეცნების თეორიის ეს საკითხები.

ფილოსოფიური მეცნიერება, რომელიც ამ საკითხებს წყვეტს, შემეცნების თეორიაა. გასაგებია, რომ შემეცნების თეორიაში წარმოებს მიმართულებათა, პარტიათა ისეთივე ბრძოლა, როგორც საერთოდ ფილოსოფიაში, რადგან შემეცნების თეორიას საქმე აქვს ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მეორე მხარესთან და მისი ძირითადი დებულებები განისაზღვრებიან საერთო ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპებით.

2. შემეცნებისა და პრაქტიკის ურთიერთდამოკიდებულება

ადამიანი ბუნების ნაწილია; მიუხედავად ამისა ადამიანი მრავალმხრივ თვისებრივად განსხვავდება არა მარტო არაორგანული ბუნების

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 445.

მოვლენებისაგან, არამედ ცხოველთა სამეფოსგანაც, ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე განსაზღვრავდა ადამიანს როგორც საზოგადოებრივ ცხოველს და ამ მხრით ის არ ცდებოდა; ადამიანი ყოველთვის საზოგადოების წევრია, იგი ყოველთვის საზოგადოებაში ცხოვრობს. მაგრამ ეს ნიშანი არ არის საკმარისი ადამიანის არსების დახასიათებისათვის. მარქსი ეთანხმება ფრანკლინს, რომ „ადამიანი იარაღების მკეთებელი ცხოველია“.

ცხოველი არ აკეთებს იარაღებს. ადამიანი კი აკეთებს იარაღებს და გამოიყენებს მათ ბუნებაზე ზემოქმედების პროცესში. „თუ მხედველობაში არ მივიღებთ მზამზარეულ საარსებო საშუალებათა მოპოვებას, მაგალითად, ნაყოფის მოგროვებას, როდესაც მარტოოდენ მუშის საკუთარი სხეულის ორგანოები ასრულებენ შრომის საშუალებათა როლს, საგანი, რომელსაც მუშა უშუალოდ ხელს სჭიდებს, არის არა შრომის საგანი, არამედ შრომის საშუალება. და ასე, გარეშე ბუნების ნივთს იგი აქცევს თავისი მოქმედების ორგანოდ, რომელსაც თავისი საკუთარი სხეულის ორგანოებს უმატებს და ამით, წინააღმდეგ ბიბლიისა, თავის ბუნებრივ სხეულს აგრძელებს. დედამიწა ადამიანის საზრდოს თავდაპირველი საკუჭნაოც არის და შრომის საშუალებათა თავდაპირველი არსენალიც. დედამიწა მას აძლევს, მაგალითად, ქვას, რომელსაც იგი იყენებს სასროლად, სახეხად, საწნევედ, საჭრელად და სხვ.“ და შემდეგ:

„უძველესი დროის ადამიანთა გამოქვაბულებში ჩვენ ვპოულობთ ქვის სამუშაო იარაღებსა და ქვის საჭურველს. კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში დამუშავებულ ქვასა, ხესა, ძვლებსა და ნიჟარასთან ერთად, შრომის საშუალების მთავარ როლს ასრულებს მოშინაურებული, ამრიგად, შრომის საშუალებით გარდაქმნილი, დამორჩილებული ცხოველი. შრომის საშუალებათა მოხმარება და შექმნა, თუმცა მათი ჩანასახი ზოგი გვარის ცხოველებსაც უკვე მოეპოვებათ, სპეციფიკურად ადამიანის შრომის პროცესს ახასიათებს. ამიტომ ფრანკლინი ადამიანს განსაზღვრავს როგორც „a toolmaking animal“-ს, იარაღის მკეთებელ ცხოველს“¹.

შრომის პროცესში ადამიანი, გამოიყენებს რა შრომის იარაღებს ბუნებაზე ზემოქმედების მიზნით, უპირისპირდება ბუნებას. ადამიანი გარდაქმნის, გადაამუშავებს ბუნების მასალას, ბუნების საგნებსა და მოჭლენებს, აძლევს მათ ისეთ სახეს, ისეთ ფორმას, რომ მათი საშუალებით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი.

იმისათვის, რომ იარსებოს, ჰამოს, სეას, ბინა და ტანისამოსი ჰქონდეს, ადამიანმა უნდა აწარმოოს, ე. ი. ბუნებაზე იმოქმედოს მისი გარდაქმნის მიზნით. „შრომა, პირველ ყოვლისა, არის პროცესი ადამიანსა

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 140, თბილისი, სახ. გამომცემლობა, 1930.

და ბუნებას შორის, პროცესი, რომელშიაც ადამიანი თავისი მოქმედებით განსაზღვრავს, აწესრიგებს და კონტროლს უწევს ნივთიერების ცვლას თავისსა და ბუნებას შორის. ბუნების ნივთიერებას თვით ადამიანი უპირისპირდება, როგორც ბუნების ძალა. მას მოძრაობაში მოჰყავს თავისი ორგანიზმის ბუნებრივი ძალები: მკლავები და ფეხები, თავი და ხელი, რათა ბუნების ნივთიერება თავისი არსებობისათვის გამოსადეგი ფორმით მიითვისოს. ამ მოძრაობის საშუალებით იგი მოქმედებს გარეშე ბუნებაზე, შეაქვს მასში ცვლილება და ამავე დროს შეაქვს ცვლილება თავის საკუთარ ბუნებაშიაც. იგი ავითარებს ამ უკანასკნელში მთვლემარე სხვადასხვა ნიქს და მათ მოქმედებას თავის საკუთარ ძალას უმორჩილებს¹.

შრომის პროცესში ადამიანი ქმნის ახალ საგნებსა და მოვლენებს ბუნების ნივთიერებიდან; ბუნებაში ყველაფერია, რითაც ადამიანს შეუძლია დააკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი, მაგრამ ეს „ყველაფერი“ უმეტეს შემთხვევაში გარდაქმნას მოითხოვს, რადგან იმ სახის მოვლენებით და საგნებით, როგორც ისინი ბუნებაში არსებობენ, ადამიანი თავის მოთხოვნილებებს ხშირად ვერ დააკმაყოფილებს: მიწა აღწევს ადამიანს პურს, მაგრამ მას დამუშავება უნდა; მდინარეში არის ენერჯია, მაგრამ უშუალოდ ამ სახის ენერჯიით ადამიანი ვერ ისარგებლებს; მან უნდა გარდაქმნას იგი შრომით და მისცეს მას ისეთი ფორმა, რომლითაც შეძლებს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

შრომის პროცესი ის ძირითადი ნიშანია, რომლითაც ადამიანი განსხვავდება სხვა ცხოველებისაგან; შრომის პროცესმა შექმნა ადამიანი; ადამიანის სხეულის აგებულება ხანგრძლივი შრომის პროცესის რეზულტატია. შრომის პროცესმა განსაზღვრა ადამიანის ტვინის განვითარება და მასთან ერთად აზროვნებისა და მასთან დაკავშირებული ენის განვითარება.

ადამიანი აწარმოებს მატერიალურ დოვლათს, საარსებო საშუალებას მოიპოვებს; მაგრამ ადამიანები ამ დოვლათს აწარმოებენ არა ერთიმეორისაგან მოწყვეტილი ერთეულების სახით, არამედ ერთმანეთთან დაკავშირებულად, საზოგადოებათა სახით. ადამიანი სოციალური არსებაა; შრომის პროცესი ყოველთვის საზოგადოებაში წარმოებს. წარმოება ყოველთვის საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს.

„რათა აწარმოონ, ადამიანები ებმებიან განსაზღვრულ კავშირსა და ურთიერთობაში, და მხოლოდ ამ საზოგადოებრივი კავშირისა და ურთიერთობათა საშუალებით არსებობს მათი დამოკიდებულება ბუნებისადმი, ადგილი აქვს წარმოებას“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. V, გვ. 429).

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 138, თბილისი, სახ. გამომცემლობა, 1930.

წარმოების პროცესი ყოველთვის ცვალებადობასა და განვითარებას განიცდის. იცვლებიან წარმოების იარაღები: იწყებს ადამიანი ქვის უხეში იარაღით, გადადის მშვილდ-ისარზე, მოაშინაურებს ცხოველებს; ქვის იარაღებიდან გადადის ლითონის იარაღებზე, იწყებს მიწის დამუშავებას და ასე შემდეგ თანამედროვე რთულ მანქანათა სისტემამდე.

ამგვარად, წარმოების პროცესი ისტორიულია და ისტორიულად გაპირობებულია. წარმოების პროცესში ადამიანები გარდაქმნიან არა მარტო ბუნებას, არამედ საზოგადოებასაც; წარმოების პროცესი საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესია. წარმოების პროცესი, რაც განვითარების ისტორიული პროცესის საფუძველი და არსებაა, არის ის, რასაც პრაქტიკის პროცესს უწოდებენ მარქსიზმის კლასიკოსები. პრაქტიკის ცნება სწორედ ამას ნიშნავს: საზოგადოებრივი წარმოების პროცესი, ბუნებისა და საზოგადოების გარდაქმნის პროცესი.

ამრიგად, ირკვევა, რომ ადამიანთა დამოკიდებულება ბუნებასთან პირველ რიგში პრაქტიკულია. პრაქტიკის პროცესში ადამიანი აუმჯობესებს შრომის იარაღებს, რათა უფრო მიზანშეწონილად და ნაყოფიერად იმოქმედოს ბუნებაზე. შრომის იარაღების ცვლილებასა და განვითარებასთან ერთად, იცვლება და ვითარდება წარმოების პროცესი მთლიანად, იცვლება და ვითარდება თვითონ ადამიანიც; იცვლებიან და ვითარდებიან ადამიანის წარმოებითი ჩვევები, იცვლება და ვითარდება ადამიანთა მიერ სინამდვილის შემეცნება.

ადამიანის მიერ სინამდვილის შემეცნება როდი არის პრაქტიკისაგან გათიშული, მოწყვეტილი; პრაქტიკა და თეორია ღრმა კავშირში, ერთიანობაში იმყოფებიან. ი. სტალინი, ახასიათებს რა მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას, წერს: „მამასადამე, მეცნიერებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის კავშირი, თეორიისა და პრაქტიკის კავშირი, მათი ერთიანობა უნდა გახდეს პროლეტარიატის პარტიის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად“.

მარქსისტული მსოფლმხედველობა წარმოიშვა და განვითარდა იმ მემკვიდრეობის კრიტიკული გადამუშავების საფუძველზე, რომელიც იყო შექმნილი კაცობრიობის მიერ მის 2500 წლის ისტორიაში.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მარქსიზმი იყო იმის მხოლოდ უბრალო გაგრძელება და განვითარება, რაც შეიქმნა მარქსამდელ ფილოსოფიაში და მეცნიერებაში. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია თვისებრივად განსხვავდება მარქსამდელი ფილოსოფიისაგან. ჩვენი მიზნებისათვის საკმარისია აღვნიშნოთ ორი დამახასიათებელი მომენტი, რომლითაც მარქსისტული ფილოსოფია არსებითად განსხვავდება მარქსამდელი ფილოსოფიისაგან:

1) მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია არ წარმოადგენს ცალკეულ პიროვნებათა ან ცალკეულ პატარა სკოლათა ფილოსოფიას, რაც დამა-

ხასიათებელი იყო მარქსამდელი ფილოსოფიისათვის და რაც ახასიათებს თანამედროვე მიმართულებებს ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში; მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია მასების ფილოსოფიაა. ცალკეულ პირთა ფილოსოფიას არ ჰქონდა არც ძალა და არც უნარი სინამდვილის გარდაქმნისათვის—და როგორც წესი, ამგვარ ამოცანას ეს ფილოსოფია არც ისახავდა მიზნად—, მარქსამდელი ფილოსოფია ცდილობდა მხოლოდ აეხსნა სინამდვილე. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, როგორც მასების ფილოსოფია—სინამდვილის შემეცნებისა და ახსნის საფუძველზე—მიზნად ისახავს სინამდვილის გარდაქმნას, ბუნებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნას. ამ მიზნის განხორციელების საწინდარი ის არის, რომ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, როგორც მასების ფილოსოფია, მატერიალურ ძალად არის გადაქცეული: „თეორია ხდება მატერიალურ ძალად, როგორც კი იგი მასებს დაეუფლება“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. I, გვ. 406).

ამასთან არის დაკავშირებული მეორე მომენტიც:

2) მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას შეაქვს შემეცნების თეორიაში პრაქტიკის მომენტი; იგი განიხილავს შემეცნების პროცესს ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობასთან დიალექტიკურ ერთიანობაში. პრაქტიკა არა მხოლოდ შემეცნების საფუძველია, არამედ იგი ამავე დროს ჩვენი ცოდნის, ჭეშმარიტების საზომიც არის. პრაქტიკის მომენტი სრულიად უცხო იყო მარქსამდელი ფილოსოფიისათვის: თუ ზოგიერთი იდეალისტი მაინც მსჯელობდა პრაქტიკაზე, ეს პრაქტიკა გაგებულნი ჰქონდა, როგორც აზროვნების პრაქტიკა, ე. ი. ამ პრაქტიკის არსება ნამდვილად თეორიის სახით ჰქონდა წარმოდგენილი. რაც შეეხება მარქსამდელ მატერიალისტებს, ისინი ვერ მივიდნენ პრაქტიკის როლის გაგებამდე შემეცნების პროცესში. მარქსი ფოიერბახის ფილოსოფიის შესახებ თეზისებში წერდა: „მთავარი ნაკლი მთელი წინანდელი მატერიალიზმისა, ფოიერბახის ჩათვლით, ისაა, რომ იგი საგანს, სინამდვილეს, გრძნობიერებას მხოლოდ ობიექტის ანუ განჭვრეტის ფორმაში იხილავს და არა, როგორც ადამიანის გრძნობად მოქმედებას, პრაქტიკას, არა სუბიექტურად“¹.

ადამიანი პირველ რიგში პრაქტიკოსია; იგი ახდენს ბუნებაზე ზემოქმედებას, გარდაქმნის ბუნების მოვლენებს, რათა დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი, რათა ჰქონდეს საკმელი, ტანისამოსი, სახლი, ისიბო და სხვ. ბუნებაზე ზემოქმედების პროცესში ადამიანი შეიცნობს ბუნების მოვლენებისა და საგნების თვისებებს; იგი აქედან გამოყოფს ისეთ მოვლენებს, საგანთა ისეთ თვისებებს, რომლებიც მას გამოადგება თავისი მიზნებისათვის, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ასე

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 484.

თანდათანობით ადამიანი აგროვებს ცოდნას სინამდვილის შესახებ, და შეიარაღებული ამ ცოდნით, უფრო ნაყოფიერად, უფრო მიზანშეწონილად ზემოქმედებს მასზე მისი გარდაქმნის მიზნით. შეეცნები ის ძირები პრაქტიკაშია.

დასაწყისში შემეცნების პროცესი, ასე ვთქვათ, ჩაქსოვილია პრაქტიკის პროცესში. საზოგადოების განვითარების პროცესში, მით უმეტეს კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის პროცესში, გონებრივი შრომა გამოიყოფა ფიზიკური შრომისაგან: შემეცნება ხშირად უშუალოდ აღარ არის დაკავშირებული პრაქტიკასთან. ჩნდება მეცნიერების პრაქტიკისაგან დამოუკიდებლობის ილუზია. მაგრამ, მეცნიერებათა განვითარების ისტორია ადასტურებს იმას, რომ ახალი თეორიები, ახალი იდეები აღმოცენდებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარება საზოგადოებას ახალ ამოცანებს დაუსახავს.

8. ჰუმანიზმის პრობლემა

მართალია, პრაქტიკა განსაზღვრავს ჩვენ ცოდნას, მაგრამ აქედან როდი გამომდინარეობს ის აზრი, რომ შემეცნებას, მეცნიერებას, მეცნიერულ თეორიებსა და იდეებს არა აქვთ მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებისათვის. ნამდვილად ამ თეორიებით, ამ იდეებით, შექნილი ცოდნით ვხელმძღვანელობთ ჩვენ პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში. მარქსისტულ-ლენინური თეორია აღმოცენდა და განვითარდა გარკვეული პრაქტიკის საფუძველზე, და სწორედ ამ თეორიით ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია სოციალიზმის აშენებისას, ამ თეორიით ხელმძღვანელობდა იგი დიდ სამამულო ომში, ამ თეორიით ხელმძღვანელობს იგი კომუნისტური საზოგადოების აშენების პროცესში.

პრაქტიკა, როგორც ეს აღნიშნული იყო, ადამიანთა წარმოებით მოქმედებას წარმოადგენს; კლასობრივ საზოგადოებაში ადამიანთა წარმოებითი, პრაქტიკული მოღვაწეობა მოიცავს აგრეთვე კლასთა ურთიერთობას, კლასთა და ამიტომ პარტიათა ბრძოლასაც.

პრაქტიკის საფუძველზე იძენს ადამიანი ცოდნას ბუნებისა და საზოგადოების შესახებ; მეცნიერული თეორიები, იდეები, ჩნდებიან და ვითარდებიან პრაქტიკის საფუძველზე. არ არსებობს „წმინდა“ მეცნიერება, „წმინდა“ თეორია, აბსოლუტურად მოწყვეტილი პრაქტიკას. ნამდვილი ცოდნა პრაქტიკით განსაზღვრულია და ადამიანთა პრაქტიკას ემსახურება; ე. წ. „წმინდა ცოდნა“, პრაქტიკას მოწყვეტილი, ნამდვილად წმინდა სქოლასტიკას წარმოადგენს.

მხოლოდ პრაქტიკის საფუძველზე აღმოცენდება თეორია.

პირველი შეხედვით, შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მეცნიერებანი, მეცნიერული იდეები და თეორიები არცთუ ისე მკიდროდ არიან დაკავ-

შირებულნი ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობასთან; მაგრამ მათი წარმოშობისა და განვითარების შესწავლა გვარწმუნებს უდავოდ იმაში, რომ ამ თეორიებისა და იდეების აღმოცენება და განვითარება გაპირობებულია ადამიანთა წარმოებითი მოღვაწეობით.

მეცნიერებანი აღმოცენდნენ საზოგადოებრივი პრაქტიკის მოთხოვნილებათა საფუძველზე. ასე, მაგალითად, გეომეტრია აღმოცენდა მიწათმოქმედების საფუძველზე, ნილოსის წყალდიდობასთან დაკავშირებით; ეს უკანასკნელი მოითხოვდა არხების გაყვანას, მიწის ნაკვეთების გადაწილებას, საერთოდ, მიწების გაზომვას. მექანიკა აღმოცენდა შრომის იარაღების გამოყენების საფუძველზე, მრეწველობის განვითარებასა და შემდეგ სამხედრო საქმის განვითარებასთან დაკავშირებით. ასტრონომიის წარმოშობა და განვითარებაც პრაქტიკით არის განსაზღვრული: ეს პრაქტიკა იყო, ერთი მხრივ, ისევ მიწათმოქმედება, ხოლო, მეორე მხრივ, ვაჭრობის განვითარებით გამოწვეული სავაჭრო გზების ძიება, ადგილმდებარეობის გარკვევა, რაც მნათობთა მდებარეობაზე დაკვირვების საშუალებით წარმოებდა.

დარვინის თეორიის აღმოცენების საფუძველს წარმოადგენდა მესაქონლეობა.

მარქსისა და ენგელსის მიერ შექმნილი მეცნიერული კომუნიზმის თეორია გაპირობებული იყო მუშათა რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკით.

ენგელსი შტარკენბურგისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა:

ქეშმარიტი თეორიები და იდეები აადვილებენ საზოგადოების განვითარებას, მის წინსვლას, ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობას ეხმარებიან; მცდარი თეორიები და იდეები ხელს უშლიან საზოგადოების განვითარებას, მის წინსვლას.

იბადება საკითხი, რომელი იდეები, თეორიები წარმოადგენენ ქეშმარიტებას და რომელი მცდარს, ან უფრო ზოგადად, რა არის ქეშმარიტება, რა არის შემეცნება და როგორია შემეცნების გზა. განვიხილოთ პირველი საკითხი.

ადამიანი ბუნების ნაწილია, მაგრამ შემეცნების პროცესში ადამიანი უპირისპირდება ბუნებას, საერთოდ, სინამდვილეს: ადამიანი შემეცნებელია, სინამდვილე შესაცნობია, შემეცნების საჯანია. სინამდვილეს ორი მხარე აქვს: მატერიალური და სულიერი. მატერიალურია ობიექტური სამყარო, რომელიც არსებობს ადამიანის ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. ობიექტური სინამდვილის მოვლენები და საგნები, მოქმედებენ რა ადამიანის გრძნობის ორგანოებზე, იწვევენ ადამიანის ცნობიერებაში შეგრძნებებს. ცნობიერება გადაამუშავებს მათ წარმოდგენებად, ცნებებად, და სხვ. იმ შემთხვევაში, თუ ეს შეგრძნებები, წარმოდგენები, ცნებები ასახავენ სინამდვილის საგნებსა და

მოვლენებს იმ სახით, რა სახითაც ისინი არსებობენ სინამდვილეში, ჩვენ ვამბობთ, რომ გვაქვს ცოდნა მათ შესახებ, ჩვენ შევიცანით ეს საგნები და მოვლენები, რომ ჩვენი წარმოდგენები, ცნებები ჭეშმარიტნი არიან. ლენინის განსაზღვრებით ჭეშმარიტება არის სინამდვილის ასახვა ადამიანის ცნობიერებაში. ჭეშმარიტება არ არის ობიექტური სინამდვილის საგანი, ის არ არსებობს ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად; ჭეშმარიტება სინამდვილის ასახვაა, „ხატია“, „სურათია“ ადამიანთა ცნობიერებაში.

რასაკვირველია, ჭეშმარიტებაც სინამდვილის „საგანია“, ე. ი. ისიც არსებობს, მაგრამ არსებობს არა ობიექტურ სინამდვილეში, არამედ სინამდვილის მეორე მხარეში, სულიერში, ცნობიერებაში; იგი არსებობს, მაგრამ არსებობს როგორც ასახვა. ადამიანს მრავალნაირი წარმოდგენები, ცნებები შეიძლება ჰქონდეს და ფაქტიურად აქვს კიდევ. ყველა მათგანი როდია ჭეშმარიტი; ბევრი მათგანი მცდარია, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება იყოს მცდარი. ეს მცდარი წარმოდგენებიც სინამდვილის ასეთსა თუ ისეთს ასახვას წარმოადგენენ, რადგან წარმოდგენები ცნობიერებაში არიან, ხოლო ცნობიერება,—როგორც ამას ქვემოთ უფრო ნათლად დავინახავთ—სხვა არაფერია გარდა გაცნობიერებული სინამდვილისა, სინამდვილის ასახვისა. ამიტომ ლენინი ჭეშმარიტების, როგორც სინამდვილის ასახვის დახასიათებისათვის ხშირად ხმარობს ასეთ გამოთქმებს: ადეკვატური, იდეალურად ზუსტი ასახვა. ჭეშმარიტია აღქმა, წარმოდგენა, ცნება, რომელიც ასახავს იმას, რაც არის და ისე ასახავს, როგორც არის.

მეორე მხრივ, მართალია, ჭეშმარიტება არის ცნობიერებაში როგორც სურათი, ასახვა სინამდვილისა, მაგრამ ჭეშმარიტება როდია დამოკიდებული ცნობიერებაზე, როდია განსაზღვრული ცნობიერებით. ამ დებულებას განმარტება სჭირდება. საქმე ის არის, რომ, თუ ჭეშმარიტება სინამდვილის ასახვაა ცნობიერების მიერ, ის ცნობიერების გარეშე, მისგან დამოუკიდებლად ვერ იარსებებს: ცნობიერების არსებობის გარეშე არც ჭეშმარიტება იქნებოდა; ასახვის გარეშე მატერიალური სინამდვილე იარსებებდა და არა ჭეშმარიტება, როგორც მისი ადეკვატური ასახვა. და თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ჭეშმარიტება არ არის დამოკიდებული ცნობიერებაზე, არ არის განსაზღვრული ცნობიერებით, ამით ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჭეშმარიტება როგორც ასახვა, როგორც სინამდვილის სურათი, არ არის ადამიანის, სუბიექტის ფსიქიკაზე დამოკიდებული, არ არის ადამიანთა განწყობილებაზე, მათ ნებაყოფლობაზე დამოკიდებული, იგი ობიექტური სინამდვილით, მისი საგნებითა და მოვლენებით არის განსაზღვრული. ამიტომ, მხოლოდ ის წარმოდგენები (აღქმები, ცნებები და სხვ.) არიან ჭეშმარიტნი, რომლებიც ობიექტით

არიან განსაზღვრულნი, რომლებიც სინამდვილის ადეკვატურ ასახვას წარმოადგენენ.

ლენინი აკრიტიკებს ბოგდანოვს და სვამს საკითხს: არსებობს თუ არა ობიექტური ქვეშარიტება, ე. ი. არსებობს თუ არა ჩვენს წარმოდგენებში ისეთი შინაარსი, რომელიც დამოუკიდებელია ადამიანისაგან, დამოუკიდებელია კაცობრიობისაგან. ამ კითხვას ლენინი დადებითად უპასუხებს. შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორია აღიარებს ობიექტური ქვეშარიტების არსებობას არა იმ აზრით, თითქოს ქვეშარიტება არსებობს ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. ქვეშარიტება ცნობიერებაშია, როგორც სინამდვილის ასახვა; მაგრამ თვითონ ასახვა, ე. ი. ჩვენი წარმოდგენების, ცნებების შინაარსი არ არის დამოკიდებული ჩვენზე, არამედ განსაზღვრულია რეალური საგნებით.

ქვეშარიტება შეფარდებითია, იგი ცვალებადია; იგი განიცდის განვითარებას ადამიანთა პრაქტიკისა და შემეცნების განვითარებასთან ერთად: იგი ეპოქის ჩარჩოებით არის განსაზღვრული. მაგრამ ყოველივე შეფარდებითი ქვეშარიტება შეიცავს თავისში აბსოლუტური ქვეშარიტების მარცვლებს, ნაწილებს. შეფარდებითი ქვეშარიტების ჯამიდან შენდება აბსოლუტური ქვეშარიტება. ჩვენი შემეცნების ყოველი ნაბიჯი შეფარდებითია; მაგრამ ამ შეფარდებითი ნაბიჯების საშუალებით ჩვენი შემეცნება ასიმპტოტურად უახლოვდება აბსოლუტურ ქვეშარიტებას.

ადამიანის მიერ სინამდვილის შემეცნება უსასრულო პროცესია. კაცობრიობის განვითარებასთან ერთად განიცდის განვითარებას მის მიერ სინამდვილის შემეცნება; განიცდის განვითარებას ქვეშარიტებაც, როგორც სინამდვილის ასახვა. ეს ასახვა უფრო ღრმა, მთლიანი, ადეკვატური ხდება, უფრო და უფრო უახლოვდება სინამდვილეს. ასახვის პროცესი, შემეცნების რთული, მრავალმხრივი პროცესია.

აქამდე ჩვენ ვმსჯელობდით უმთავრესად ობიექტურ სინამდვილეზე, რომელიც არსებობს ადამიანთა ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. მაგრამ ჩვენი ცნობიერებაც ხომ სინამდვილის ნაწილია; შემეცნების საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ ობიექტური სინამდვილე, არამედ ცნობიერებაც და მისი მოვლენები. გარდაქმნას მოითხოვს არა მხოლოდ ობიექტური სინამდვილე, არამედ, ადამიანთა ცნობიერებაც. ცნობიერებაც შემეცნების ობიექტს წარმოადგენს: ჩვენი განცდები, შეგრძნებები, აღქმები, წარმოდგენები, ცნებები და სხვ.—ყველაფერი ეს არსებობს და მათი შესწავლა საჭიროა. მათი შემეცნებაც ასახვის გზით ხდება. და ბოლოს, თვით ქვეშარიტებაც სინამდვილის მოვლენას წარმოადგენს, ისიც გარკვეული შემეცნების ობიექტია.

როდესაც საქმე ეხება ქვეშარიტების, როგორც ქვეშარიტების—და არა მხოლოდ ობიექტური სამყაროს—შემეცნებას, ე. ი. ქვეშარიტებას

როგორც შემეცნების ობიექტს, ჩვენ ვერ შემოვფარგლავთ საკითხს ობიექტური სამყაროს შემეცნების საკითხით. ობიექტური სინამდვილე აისახება ცნობიერებაში ქვეშარიტების სახით; არსებობს მეცნიერება თვითონ ქვეშარიტების შესახებ, ცოდნის შესახებ—შემეცნების თეორია. მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკა არის მეცნიერება არა მხოლოდ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ზოგად კანონებზე, არამედ, რამდენადაც იგი წარმოადგენს მეცნიერებას აზროვნების შესახებ, ამავე დროს შემეცნების თეორიაც არის.

4. შემეცნების გზის ძირითადი ეტაპები

შემეცნება შეიძლება იყოს ორგვარი: უშუალო და შუალობითი. უშუალო ცოდნა დაკავშირებულია შეგრძნებასთან, აღქმებთან, საერთოდ, ლენინის თქმით, „ცოცხალ განჭვრეტასთან“, იმასთან, რასაც ჩვენ ვხედავთ, ვისმენთ, ვყნოსავთ, შევცხებით და სხვა. ასეთია ჩვენი ცოდნა, მაგალითად, იმის შესახებ, რომ „დღეს კარგი დარია“, „ჰაერში აგდებული ქვა ჩამოვარდა“, „ეს ვარდი წითელია“, „ქინაქინა მწარეა“, „პეტრე პავლეს გვერდით ზის“ და სხვ. უშუალო ცოდნა ეყრდნობა ცოცხალ განჭვრეტას; ცოცხალი განჭვრეტა გვაძლევს ჩვენ ცოდნას სინამდვილის მოვლენებისა და საგნების გარეგანი, ზედაპირული თვისებების შესახებ.

რასაკვირველია, ზუსტად თუ ვიმსჯელებთ, ეს უშუალო ცოდნაც გაშუალებულია კაცობრიობის მთელი ისტორიით, მთელი მისი პრაქტიკით, მეტიც—ობიექტური სამყაროს მთელი ისტორიით: გაშუალებულია ორგანული სამყაროს წარმოშობითა და განვითარებით, გაშუალებულია შემეცნებელი ადამიანის წარმოშობით, მისი გრძნობის ორგანოებისა და ცნობიერების განვითარებით, დროულ-ვრცეული და სხვა მიმართებათა აღქმის უნარის განვითარებით.

მაგრამ ამ შემთხვევაში, ვხმარობთ რა ტერმინებს „უშუალო ცოდნა“, „შუალობითი ცოდნა“ და განვასხვავებთ რა ამ ორ ცნებას, ჩვენ განყენებას ვახდენთ ყველა ამისაგან და გამოვიყენებთ მეცნიერებაში და კერძოდ ლოგიკაში საერთოდ მიღებულ ტერმინს „უშუალო ცოდნა“ და ვგულისხმობთ მასში, როგორც იყო აღნიშნული, ცოდნას მხოლოდ გრძნობის ორგანოების, ცოცხალი განჭვრეტის საშუალებით მიღებულს. ცოცხალი განჭვრეტა ამ შემთხვევაში წარმოადგენს უშუალო კავშირს ადამიანის ცნობიერებისა ობიექტური სინამდვილის საგნებთან და მოვლენებთან.

გრძნობადი აღქმა, ცოცხალი განჭვრეტა შემეცნების აუცილებელი საფეხურია; ის შემეცნების პირველი საფეხურია. ცოცხალი განჭვრეტა აძლევს მასალას მთელ ჩვენ შემეცნებას: პირდაპირ თუ არაპირდაპირ

კაცობრიობის მიერ დაგროვილი მთელი ცოდნა სინამდვილის შესახებ ეყრდნობა იმ მონაცემს, რომელსაც გვაწვდიან გრძნობადი აღქმები, ცოცხალი განჭვრეტა. მაგრამ ეს უშუალო ცოდნა არ არის საკმარისი. მეცნიერება, რასაკვირველია, ვერ დაკმაყოფილდება ამ ცოდნით. ეს ცოდნა არის მოვლენებისა და საგნების გარეგანი და ზედაპირული თვისებებისა და კავშირების ცოდნა. ნამდვილი, მეცნიერული ცოდნა კი არის მოვლენათა არსების მათი შინაგანი კავშირების, კანონების ცოდნა.

უშუალო შემეცნება ვერასოდეს ვერ მოგვცემს ცოდნას იმის შესახებ, რომ წყალი შედგება წყალბადისა და ჟანგბადისაგან და რომ ჟანგბადი და წყალბადი შეერთებულნი არიან გარკვეული კანონზომიერი კავშირით; ვერასოდეს ვერ გავიგებდით ჩვენ, რომ ქვა ეცემა დედამიწაზე მიზიდულობის კანონის გამო მხოლოდ ცოცხალი განჭვრეტის საშუალებით.

მხოლოდ გრძნობადი აღქმა ვერასოდეს ვერ მოგვცემს ცოდნას იმის შესახებ, რომ: 1) კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოებას აქვს საზოგადოებრივი ხასიათი, ხოლო მითვისებას—კერძო, ინდივიდუალური, 2) იმპერიალიზმი არის სოციალისტური რევოლუციის წინა დღე, 3) ენა არ არის ზედნაშენური კატეგორია და არ არის კლასობრივი, 4) მცენარეების გარდაქმნა შესაძლებელია ჩვენთვის სასურველი მიმართულებით; არ გვეცოდინებოდა ატომების სტრუქტურა, არ გვეცოდინებოდა ის, რომ დაპირისპირებულთა ბრძოლა და ერთიანობა არის სამყაროს მოვლენების ცვალებადობისა და განვითარების მიზეზი; არ გვეცოდინებოდა საგანთა და მოვლენათა არსება, კანონები, რომელთა ცოდნა აძლევს ადამიანს შესაძლებლობას მიზანდასახულად იმოქმედოს სინამდვილეზე, გარდაქმნას ბუნების მოვლენები, გარდაქმნას საზოგადოებრივი ურთიერთობა, გარდაქმნას ადამიანის ცნობიერება.

ცოცხალ განჭვრეტას ასეთი ცოდნის მოცემა რომ შეეძლოს, მაშინ სრულიად ზედმეტი გახდებოდა ყოველივე მეცნიერება, მეცნიერული კვლევა-ძიება; ამ შემთხვევაში ადამიანი აღიქვამდა არა მხოლოდ გამჭვირვალე სითხეს (წყალს), არამედ ამ სითხის შედგენილობას და მის კანონს, ადამიანი აღიქვამდა არა ქვის ვირდნას, არამედ მიზიდულობის კანონსაც.

შეგრძნება, აღქმა, ცოცხალი განჭვრეტა შემეცნების აუცილებელი მომენტია; ის აუცილებელია, მაგრამ სრულიადაც არ არის საკმარისი: ცოცხალი განჭვრეტა შემეცნების პირველი საფეხურია.

შ ე ნ ი შ ე ნ ა. დებულება იმის შესახებ, რომ ცოცხალი განჭვრეტა შემეცნების პირველი საფეხურია, რასაკვირველია, არ ეწინააღმდეგება დებულებას იმის შესახებ, რომ შემეცნების საფუძველი პრაქტიკაა. ზემოთ იყო უკვე განმარტებული, რომ პრაქტიკა განსაზღვრავს შემეცნებას. პრაქტიკა შემეცნების საფუძველიც არის და მისი კეშმარტივების საზომიც. პრაქტიკა და ცოდნა მთლიანობაში არიან, ერთმანეთთან და-

კავშირებულნი არიან, მაგრამ ერთსა და იმავეს კი არ წარმოადგენენ: პრაქტიკა განსაზღვრავს ცოდნას, თეორიას. მაგრამ თვითონ ცოდნა, თეორია კი არ არის. ამიტომ შედეგები სპირიტუალური პრაქტიკით განსაზღვრული ცოცხალი განვითარება, და არა თვითონ პრაქტიკა.

ცოცხალ განვითარებას ბევრი ნაკლი აქვს: არსებობს სინამდვილეში ბევრი ისეთი რამ, რასაც ცოცხალი განვითარება ვერ წვდება, რასაც ის ვერ ასახავს, რადგან ყველაფერი, რაც არსებობს, არ არის უშუალოდ მოცემული; შემდეგ, ხშირად ცოცხალი განვითარების მონაცემს სუბიექტური დანართი ახლავს თან და ძნელი ხდება იმის გარკვევა, თუ რა არის ამ ცალკეულად აღებულ მონაცემში ობიექტური და რა არის სუბიექტური. მაგრამ რა ნაკლიც უნდა ახასიათებდეს ცოცხალ განვითარებას, ის პირველია, ის ჩვენს შემეცნების დასაწყისია; ცოცხალი განვითარების საშუალებით გვეძლევა ჩვენ პირველი ცოდნა სინამდვილის საგნებსა და მოვლენებსზე. მართალია, ცოცხალ განვითარებას არ ძალუძს ასახოს მოვლენათა არსება, მოვლენათა შინაგანი კავშირები, კანონები, მაგრამ იგი პირველი საფეხურია შემეცნების პროცესში: მხოლოდ მის საშუალებით და მის საფუძველზე შეუძლია ადამიანს შეიჭრას მოვლენათა სიღრმეში და არსება, კანონი ასახოს.

თუ ჩვენ გვინდა აღმოვაჩინოთ რომელიმე მოვლენის არსება, მისი კანონი, მაგალითად, ადამიანის ორგანიზმის, კაპიტალიზმის, სამკუთხედის და სხვ., რასაკვირველია, ჩვენ უნდა მივმართოთ კონკრეტულ ადამიანს და მისი ორგანიზმის შესწავლას შევუდგეთ, უნდა მივმართოთ კონკრეტულ კაპიტალისტურ საზოგადოებას, კონკრეტულ სამკუთხედს და სხვ. შეუძლებელია კაპიტალისტური საზოგადოების, ადამიანის ორგანიზმის შესწავლა, გარეშე კონკრეტული კაპიტალისტური საზოგადოების, კონკრეტული ადამიანის შესწავლისა. ამ კონკრეტული საგნების შესწავლა გულისხმობს მათი ცალკეული თვისებების, განსაკუთრებული ნიშნების შესწავლას, რაც ცოცხალი განვითარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ მეცნიერული შემეცნების მიზანი მხოლოდ იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შესწავლილ იქნეს ცალკეული ადამიანის ორგანიზმი, კონკრეტული კაპიტალისტური საზოგადოება, არამედ იმაში, რომ აღმოჩენილი იყოს ადამიანის ორგანიზმის კანონზომიერება საერთოდ, კაპიტალიზმის კანონზომიერება საერთოდ.

ასეთი ცოდნა შეიძლება იქნეს მიღწეული არა ცოცხალი განვითარებით, არამედ აზროვნებით. აზროვნება სინამდვილის გაშუალებული და განზოგადებული ასახვაა. აზროვნება ეყრდნობა ცოცხალი განვითარების მონაცემს, იგი ამ მონაცემთა შედარებას აწარმოებს, გამოყოფს მოვლენაში იმას, რაც მთავარია, არსებითია, განყენებას ახდენს იმისაგან, რაც მოვლენისათვის არ არის არსებითი, უმნიშვნელოა.

შემეცნების მიზანი მოვლენის არსების, კანონის აღმოჩენაა (არსებისა და კანონის ცოდნას გამოვიყენებთ ჩვენ სინამდვილის გარდაქმნისათვის). მოვლენის არსება არ არის მოწყვეტილი მოვლენისაგან, ის თვით მოვლენაშია, და თუ არსება მოვლენაშია, ეს იმას ნიშნავს, რომ მოვლენის არსებაც უნდა იყოს როგორღაც მოცემული ცოცხალ განკვერტაში, მაგრამ იგი არ არის უშუალოდ მოცემული. აზროვნება კი არ ქმნის მოვლენათა არსებას, კანონს, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობენ კანტიანელები, სუბიექტური იდეალისტები და საერთოდ სხვადასხვა სახის იდეალისტები. აზროვნება მხოლოდ აღმოაჩენს მოვლენის არსებას, მის კანონს, ცოცხალი განკვერტის მონაცემის შესწავლის საფუძველზე. მაგალითად, კაპიტალისტური საზოგადოების მოვლენების შესწავლის საფუძველზე, აზროვნება დაასკვნის ამ საზოგადოების არსებაზე, მის ძირითად წინააღმდეგობაზე, სახელდობრ, წარმოების საზოგადოებრივ ხასიათზე და მითვისების კერძო ფორმაზე.

აზროვნების საშუალებით დავასკვნით უშუალოდ მოცემულიდან იმაზე, რაც უშუალოდ არ არის მოცემული, მოვლენიდან — არსებაზე, ფაქტებიდან—კანონზე.

აღნიშნული იყო, რომ ცოცხალი განკვერტა ვერ ასახავს ყველაფერ იმას, რაც არსებობს სინამდვილეში, ხანდახან ის სუბიექტურიც არის და არ ასახავს მოვლენებს ისე, როგორც ეს მოვლენები ობიექტურად არსებობენ. მხოლოდ ცოცხალი განკვერტა არ მოგვცემდა არასოდეს ცოდნას მოვლენათა ღრმა კავშირების შესახებ, მოვლენათა არსების, კანონების შესახებ. მხოლოდ ცოცხალ განკვერტას რომ დავყრდნობოდით, ჩვენ „გვეცოდინებოდა“, რომ მზე „ამოდის“ და „ჩადის“; მხოლოდ აზროვნების საშუალებით—რომელიც ცოცხალი განკვერტის მონაცემებს ეყრდნობა—ჩვენ დავადგენთ იმას, რომ დედამიწა მოძრაობს თავის ღერძის გარშემო და მზის გარშემო. პირველი შეხედვით გვეჩვენება, თითქოს კლასობრივი განსხვავებანი განსაზღვრულნი არიან საზოგადოებრივი შემოსავლის განაწილებით; მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა აღმოაჩინეს—მასალის ყოველმხრივი და ღრმა შესწავლის საფუძველზე —, რომ ეს განსხვავებანი განსაზღვრულნი არიან საწარმოო საშუალებათა განაწილებით.

ცოცხალი განკვერტა შემეცნების პირველი საფეხურია; ამ საფეხურის გარეშე შემეცნება ვერ დაიწყება და, ცხადია ამიტომ, ვერ განხორციელდება. მაგრამ ცოცხალი განკვერტა არ არის საკმარისი სინამდვილის შემეცნებისათვის, რადგან იგი ასახავს მხოლოდ ერთეულს, ცალკეულს, მოვლენათა გარეგან კავშირებს, იმ ღროს, როდესაც შემეცნების ძირითადი მიზანია აღმოაჩინოს ზოგადი მოვლენებში, აღმოაჩინოს ღრმა შინაგანი კავშირები მოვლენათა შორის, აღმოაჩინოს ის, რაც უშუალოდ არ არის მოცემული და ამით თვით მოვლენებიც და უშუალოდ მოცემუ-

ლიც ნამდვილად გაიგოს. მხოლოდ აზროვნებას შეუძლია განახორციელოს ეს მიზანი, რადგან, როგორც აღენიშნეთ, აზროვნება წარმოადგენს სინამდვილის მოვლენებისა და მათი კავშირებისა და მიმართებების გაშუალებულსა და განზოგადებულ ასახვას.

შემეცნება იწყებს ცოცხალი განჭკვრეტით და გადადის აბსტრაქტულ აზროვნებაზე.

შ ე ნ ი შ ე ნ ა. ორ მომენტს უნდა მიექცეს ყურადღება: 1) ადამიანი პირველ რიგში მოქმედი, პრაქტიკული არსებაა. შემეცნებას ყოველივე ღირებულება დაეკარგებოდა, ის რომ, ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობისათვის გამოუსადეგარი ყოფილიყო ადამიანთა მიზანი სინამდვილის გარდაქმნა, რაც ნაყოფიერად და მიზანდასახულად შესაძლებელია წარმოებდეს მხოლოდ ცოდნის საფუძველზე. ამიტომ სინამდვილის გარდაქმნა შემეცნების მიზანი კი არ არის, არამედ ადამიანთა მიზანია; შემეცნება მხოლოდ საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევად. 2) შემეცნების ძირითადი მიზანი—ეწერდით ჩვენ ზემოთ—მოვლენათა არსების, მათი კანონის აღმოჩენაა. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თეთი მოვლენებისა და საგნების შემეცნება არ იყოს შემეცნების მიზანი. შემეცნების მიზანი სწორედ სინამდვილის მოვლენებისა და საგნების შემეცნებაა და სხვა არაფრის, მაგრამ მათი შემეცნება არსებისა და კანონების შემეცნებით არის შესაძლებელი.

მარქსამდე შემეცნების პრობლემა არ იყო გადაწყვეტილი. ის ვერც იქნებოდა გადაწყვეტილი, ჯერ ერთი გაბატონებული კლასების კლასობრივი შეზღუდულობის გამო და მეორეც, მეცნიერული ცოდნის განსაზღვრული დონის გამო. შემეცნების პროცესის არსება ვერ გაიგო ვერც მარქსამდელმა მატერიალიზმმა და ვერც, მით უმეტეს, იდეალიზმმა. არც ერთ ფილოსოფიურ მიმართულებას მარქსამდე არ ესმოდა ის გარემოება, რომ შემეცნების პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობასთან; არ ესმოდა ის, რომ შემეცნების პროცესი არის ისტორიული პროცესი, რომ ადამიანის ცნობიერებისა და, კერძოდ, შემეცნების განვითარების პროცესში აზროვნება ისტორიულად გაპირობებულია და დაკავშირებულია გრძნობიერებასთან, შეგრძნებასთან, აღქმებთან; არ ესმოდა ის გარემოება, რომ გრძნობადი აღქმები, ცოცხალი განჭკვრეტა და აზროვნება, მართალია, ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავდება, მაგრამ ერთმანეთისაგან არ არიან მოწყვეტილი, ჩინური კედლით გათიშული.

ისტორიულობის პრინციპს მოკლებული, ეს მიმართულებანი წყვეტდნენ გრძნობიერებას აზროვნებისაგან და შემეცნების პროცესის ახსნას ცდილობდნენ ან მხოლოდ გრძნობად აღქმებზე დაყრდნობით, ანდა მხოლოდ აზროვნების უნარით: ან ერთთა, ანდა მეორე შემეცნების ერთადერთი წყარო და საშუალება. და თუ რომელიმე მიმართულება აღიარებდა როგორც გრძნობადი აღქმის, ისე აზროვნების მნიშვნელობას შემეცნების პროცესში, ისტორიულობის პრინციპის უქონლობის გამო, ისე გათიშავდა ამ ორ „უნარს“ ერთმანეთისაგან, რომ გაუგებარი და

აუხსნელი რჩებოდა მათი ურთიერთობა, თანამშრომლობა შემეცნების პროცესში.

მარქსამდელი მატერიალისტები აღიარებდნენ შემეცნების შესაძლებლობას. ისინი ასახვის თეორიის თვალსაზრისზე იდგნენ. მაგრამ მათ შემეცნების პროცესი განჭვრეტის პროცესამდე დაიყვანეს. მათთვის ადამიანი თეორიული, მჭვრეტელი არსებაა; ადამიანი განჭვრეტს და ასე ასახავს სინამდვილეს. ერთადერთი აქტიური მხარე შემეცნების პროცესში შემეცნების ობიექტია, ბუნებაა, რომელიც მოქმედებს შემეცნებელზე, ცნობიერებაზე და მასში აისახება. შემეცნებელი, ცნობიერება პასიურია, იგი სინამდვილის სარკისებრ ასახვას წარმოადგენს. მარქსამდელი მატერიალიზმი ამარტივებს შემეცნების პროცესს, მას არ ესმის სინამდვილე როგორც პრაქტიკის ობიექტი. ის არ იცნობს პრაქტიკას, როგორც შემეცნების საფუძველს; მას არ ესმის ის, რომ შემეცნება კი არ არის თვითმიზანი, არამედ საშუალებაა სინამდვილის გარდაქმნისათვის; ის არ იცნობს პრაქტიკას როგორც შემეცნების, ჭეშმარიტების საზომს, ამიტომ მარქსამდელი მატერიალიზმი ვერ ხსნიდა შემეცნების წარმოშობისა და განვითარების საკითხს; იგი მარცხდება, რა წამს დაისმება საკითხი ადამიანთა ცოდნის ნამდვილობის შესახებ, ე. ი. საკითხი იმის შესახებ, ახასიათებს თუ არა ადამიანის აზროვნებას საგნობრივი ჭეშმარიტება.

ემპირიზმის კრიტიკა. ფილოსოფოსები, რომლებიც აღიარებდნენ, რომ შემეცნების ერთადერთ წყაროსა და საშუალებას შეგრძნებები და აღქმები წარმოადგენენ, ემპირიზმის სკოლას მიეკუთვნებიან. როგორც გნოსეოლოგიური მიმართულება, ემპირიზმი შენდებოდა როგორც მატერიალიზმის, ისე იდეალიზმის პრინციპებზე. ჰობსი, ლოკი, კონდილიაკი და სხვ. იცავდნენ მატერიალისტური ემპირიზმის თვალსაზრისს, რომლის მიხედვით ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი საგნები მოქმედებენ ადამიანთა ცნობიერებაზე და იწვევენ მასში შეგრძნებებს; ამ შეგრძნებებიდან შენდება მთელი ცოდნა.

ბერკლი, იუმი, ავენარიუსი, მახი და ამ უკანასკნელთა მიმდევრები: ბოგდანოვი, ბაზაროვი და სხვა მახისტები, იდეალისტური ემპირიზმის თვალსაზრისს იცავდნენ. ამ თვალსაზრისით სამყარო კი არ არსებობს ადამიანთა ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად, არამედ შეგრძნებათა კოლექციას (ბერკლი), კონას (იუმი), კომპლექსს (მახი, ავენარიუსი) წარმოადგენს. ამ შეგრძნებებიდან შენდება მთელი შემეცნება; ამავე შეგრძნებებიდან შენდება მთელი სამყაროც.

ემპირიზმის ძირითადი პრინციპი, როგორც იყო აღნიშნული, მდგომარეობს იმაში, რომ შემეცნების ერთადერთი წყარო არის ცდა. ცდის ცნება გარკვეულად არის გაგებული: ყველაფერი ის, რაც შესაძლებელია იყოს მოცემული გრძნობის ორგანოების საშუალებით—ე. ი. რასაც

ვხედავთ, ვისმენტ, შევეხებით და ა. შ. — ცდას წარმოდგენს. გრძობის ორგანოების საშუალებით მონაცემი—ცდაში მონაცემი—გარკვეული ხასიათისაა; ცდაში მონაცემი ერთეულია, ცალკეულია. მე ვხედავ აი ამ ცალკეულ ადამიანს, ამ გარკვეულ ცალკეულ ძალს, სამკუთხედს და სხვ. სინამდვილე შედგება ერთეული, ცალკეული საგნებისა და მოვლენებისაგან. ეს ცალკეული საგნები, მოქმედებენ რა ადამიანის გრძობის ორგანოებზე, იწვევენ მის ცნობიერებაში შეგრძნებებს.

ემპირიზმის ასეთი მსჯელობა მატერიალიზმს ჯერჯერობით არ ღალატობს. ასეთი იყო მზარდი ბურჟუაზიის თვალსაზრისი. ემპირიზმის ამ მხარემ, რომელიც ინგლისელი ემპირისტების მიერ იყო წამოყენებული (მისი განვითარების დასაწყისში, მაგ., ლოკი), დიდი გავლენა მოახდინა ფრანგი მატერიალისტების პროგრესულ ფილოსოფიაზე საფრანგეთის 1789 წ. ბურჟუაზიული რევოლუციის წინა პერიოდში. ინგლისში კი შეცვლილ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში—ბურჟუაზია მიდის ფეოდალურ არისტოკრატიათან კომპრომისზე—ბურჟუაზიის იდეოლოგია იწყებს იდეალიზმის პოზიციებზე თანდათანობით გადასვლას, ვიდრე საბოლოოდ არ შეიქმნება ბერკლისა და იუმის აშკარად იდეალისტური და აგნოსტიკური სისტემები.

სამყარო შედგება ცალკეული, ერთეული საგნებისა და მოვლენებისაგან (იდეალისტურ ინტერპრეტაციაში: შეგრძნებათა შენაერთებიდან). ეს საგნები და მოვლენები არაფრით არ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან; ისინი არსებობენ იზოლირებულად, ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან მოწყვეტილად. მაგალითისათვის განვიხილოთ მიზეზობრივი კავშირი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოვლენათა შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი—ვთქვათ, ელვასა და ქუხილს შორის; პირველი მიზეზია, მეორე მისი შედეგი ან მოქმედებაა. კლასიკური ემპირიზმის განვითარების (და გახრწნის) უკანასკნელ საფეხურზე მისი წარმომადგენლები (მაგ., იუმი) სავსებით უარყოფენ კავშირებს მოვლენათა შორის, კერძოდ უარყოფენ მიზეზობრივი კავშირის არსებობას.

მოვლენების (ელვა-ქუხილი) ანალიზი, თუ განვითარდებით წინასწარ შემუშავებული აზრებისაგან და წმინდა ცდას დავეყრდნობით, დაგვარწმუნებს იმაში, რომ ელვასა და ქუხილს შორის არსებობს მხოლოდ დროული კავშირი და არა მიზეზობრივი. ჩვენ ხომ შეგვიძლია სინამდვილის შემეცნება მხოლოდ გრძობის ორგანოების საშუალებით; ამ ორგანოების საშუალებით მოცემულ მოვლენაში—ელვა-ქუხილი—ე. ი. ცდაში გვაქვს სინათლის გარკვეული შეგრძნება (ელვა) და ბგერის შეგრძნება (ქუხილი). არავითარი მიზეზობრივი კავშირი შეგრძნებებში მოცემული არ არის; ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ შემდეგი: ჯერ დავინახეთ ელვა, ხოლო შემდეგ მოვისმინეთ ქუხილი. ერთადერთი კავშირი ამ მოვლენათა შორის დროული კავშირია: ჯერ

და შემდეგ. მიზეზობრივი კავშირი არა თუ არ არის ცდაში მოცემული, არამედ ის არასოდეს არც შეიძლება იყოს მოცემული. ხოლო ის, რაც ცდაში არ შეიძლება იყოს მოცემული, არ შეიძლება არსებობდეს. და თუ ჩვენ მაინც მიზეზობრივ კავშირზე ვლაპარაკობთ, ეს ჩვეულებრივი შეცდომაა: post hoc, ergo propter hoc (ამის შემდეგ, მაშასადამე, ამის გამო).

ასე მსჯელობს XVIII საუკუნის ინგლისური ემპირიზმის უკანასკნელი წარმომადგენელი.

და მართლაც, თუ ჩვენ დავდგებით იმ თვალსაზრისზე, რომ შემეცნების ერთადერთი წყარო და საშუალება არის ცდა, ხოლო ცდა სხვას არაფერს წარმოადგენს, გარდა შეგრძნებათა ერთობლიობისა, ჩვენ აუცილებლად ამ დასკვნამდე უნდა მივიდეთ.

ის, რაც ითქვა მიზეზობრივი კავშირის შესახებ, შესაძლებელია გავავრცელოთ ყველა დანარჩენ კავშირსა და მიმართებებზე: არ არსებობს არავითარი კავშირი და მიმართება მოვლენათა შორის, გარდა გარეგანი კავშირებისა, დროული და ვრცეული კავშირებისა.

ეს მეტაფიზიკური თვალსაზრისი, იუმის მიერ აგნოსტიციზმამდე მიყვანილი—როგორც ეს ქვემოთ გამოირკვევა—დამახასიათებელი იყო ემპირიზმის პირველი წარმომადგენლებისათვის, ბეკონისა და ლოკისათვის.

ამავე პრინციპზე დაყრდნობით ემპირიზმის თეორია მიდის გარკვეულ დასკვნამდე, რომელიც მისთვის არსებითად დამახასიათებელია. თუ ცდაში შეიძლება იყოს მოცემული მხოლოდ ერთეული, მხოლოდ ცალკეული, მაშინ ზოგადი არ უნდა არსებობდეს: გრძნობის ორგანოებს არ აქვთ უნარი ზოგადის აღქმისა, ცდაში ზოგადი არასოდეს არ არის და არც შეიძლება იყოს მოცემული. საერთოდ ადამიანი, საერთოდ სამყურთხედი და სხვა ამისთანა არასოდეს ცდაში არ არის მოცემული. მაგრამ ის, რაც ცდაში არ არის და არც შეიძლება იყოს მოცემული, ის არც შეიძლება არსებობდეს—ასეთია პრინციპი, იუმის მიერ წამოყენებული.

საკმარისია მივაქციოთ ყურადღება ამ ორ ძირითად დებულებას, სახელდობრ: 1) ზოგადი არ არსებობს და 2) არ არსებობენ კავშირები მოვლენათა შორის, რათა ნათელი გახდეს ის თვალსაზრისი, რომელიც გამომუშავდა ემპირიზმის განვითარებისა და მისი გახრწნის პროცესში: მეცნიერება არ არსებობს, ის არც შეიძლება არსებობდეს. ასეთია ემპირისტული თეორიის საბოლოო დასკვნა.

რასაკვირველია, ადამიანის მიერ სინამდვილის შემეცნება იწყება ცდით, ცოცხალი განჭვრეტით; შემეცნება იწყება ცალკეულ, ერთეულ საგანთა და მოვლენათა შემეცნებით. მაგრამ, როგორც იყო აღნიშნული, ცალკეულის შემეცნება შეუძლებელია ზოგადის გარეშე, მოვლენის არსების გარეშე. ამიტომ შემეცნების მიზანი ამ ცალკეულის, როგორც ცალ-

კეულის შემეცნებაში კი არ მდგომარეობს, არამედ ზოგადის შემეცნებაში. ესა თუ ის ცალკეული ადამიანი კი არ აინტერესებს ბიოლოგიას, არამედ ადამიანის ორგანიზმის აგებულება, იმ ორგანული პროცესების კანონზომიერება, რომელთაც ადამიანი ემორჩილება; მეცნიერებას აინტერესებს არა ამა თუ იმ კაპიტალისტის ხასიათი, არამედ კაპიტალისტთა კლასის არსებითი ნიშნები, ის ზოგადი, რაც ცალკეული კაპიტალისტის მოქმედებასაც აგვიხსნის.

ამის გარდა მეცნიერული შემეცნება მიზნად ისახავს გამოარკვეოს არა მხოლოდ კავშირი და დამოკიდებულება ამა თუ იმ კონკრეტული საგნისა რომელიმე მეორე კონკრეტულ საგანთან—მაგ., კავშირი და დამოკიდებულება, მოცემულ რკინის ნაჭერსა და მზის სხივების სითბოს შორის —, არამედ კავშირი და დამოკიდებულება მოვლენათა შორის მის ზოგად ფორმაში—მაგ., კავშირი გათბობასა და სხეულთა გაფართოებას შორის.

მეცნიერება ცდილობს აღმოაჩინოს საგანთა და მოვლენათა შორის კავშირებისა და მიმართებების ზოგადი ფორმა. შემეცნების პროცესში ჩვენ ვცდილობთ აღმოვაჩინოთ, დავადგინოთ მოვლენათა კანონები ცალკეულ მოვლენათა შესწავლის საფუძველზე, კანონები, რომლებიც პირველად აგვიხსნიან თვითონ ამ ცალკეულ მოვლენებს. კანონი ხომ მოვლენათა კავშირისა და მიმართების ზოგად ფორმას წარმოადგენს. კანონი არის ის ძირითადი, არსებითი, გადამწყვეტი, რაც მოვლენას ახასიათებს. ეს ძირითადი, არსებითი არ არის გრძნობად შემეცნებაში უშუალოდ მოცემული. არსება და მოვლენა ერთმანეთს არ ემთხვევა: ისინი ერთმანეთს რომ ემთხვეოდნენ, მეცნიერება, მეცნიერული კვლევა-ძიება ზედმეტი იქნებოდა.

ნათელია ამიტომ, რომ ემპირიზმი ვერ ახსნის შემეცნების არსებობის ფაქტს, მეცნიერების ფაქტს; თუ არ არსებობს ზოგადი, თუ არ არსებობენ მოვლენათა შორის კავშირები, მაშინ არ არსებობს არც კანონზომიერებანი სინამდვილეში, და ამიტომ არც მეცნიერული შემეცნება არსებობს. უარყოფა კანონზომიერების არსებობისა სინამდვილეში, ბუნებასა და საზოგადოებაში, სინამდვილის შეცნობადობის უარყოფა—ასეთია საბოლოო დასკვნა ემპირისტული თეორიისა.

ჩვენ განვიხილეთ მოკლედ იდეალისტური ემპირიზმის პრინციპები და მისი დასკვნები; მართალია, აღებული იყო ემპირიზმის გარკვეული სახე, გარკვეული სკოლა—XVIII საუკუნის ინგლისური ემპირიზმი,— მაგრამ ეს პრინციპები და დასკვნები ახასიათებენ საერთოდ იდეალისტურ ემპირიზმს: ასეთივე პრინციპებიდან გამომდინარე ავენარჩიუსი, მაზი და მათი მიმდევრები XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში, რომლებიც ასეთივე დასკვნებით ათავებდნენ. ლენინმა საუცხოოდ დაასაბუთა ეს გარემოება გენიალურ ნაშრომში „მატერიალიზმ-

სა და ემპირიოკრიტიციზმში“. ქვემოთ ჩვენ გვექნება საშუალება—სპეციალური ლოგიკური პრობლემების გარკვევისას—შევჩინოთ თანამედროვე იდეალისტ-ემპირისტებს, რომლებიც ამავე აგნოსტიციზმისა და სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებზე დგანან.

ამ ემპირიზმის დასკვნების სოციალური და პოლიტიკური ხასიათი უკვე ნათელი გახდა XVIII საუკ., ემპირიზმის გახრწნის დროს. მაგრამ სავსებით აშკარა ფორმით იგი ჩვენ პერიოდში გამოძვლავნდა: თუ არ არსებობს სინამდვილეში კანონზომიერება, ანდა თუ არსებობს, მაგრამ ის შეუცნობადია, ცხადია, რომ ამავე მდგომარეობაშია საზოგადოებრივი ცხოვრება: არც საზოგადოებაში არსებობს კანონზომიერება, და თუ არსებობს, მისი შემეცნება შეუძლებელია. ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში არ არსებობს არავითარი აუცილებლობა, იგი ფაქტებისა და მოვლენების მოუწესრიგებელი გროვაა; ეს მოვლენები არავითარ კანონზომიერ კავშირში არ იმყოფებიან, გარდა დროულ-ვრცეული კავშირისა. ერთ-ერთი თანამედროვე „ისტორიკოსი“ ფიშერი წერს, რომ ისტორია არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება, არსებობს ფაქტების მხოლოდ თანმიმდევრობა დროში.

თუ ეს ასეა, მაშინ ზედმეტია ლაპარაკი კაპიტალიზმზე და მისი განვითარების კანონზომიერებაზე, მის აუცილებელ მოსპობაზე, ახალი კომუნისტური საზოგადოების განვითარების აუცილებლობაზე, კანონზომიერებაზე. ამგვარი თეორიის პოლიტიკური არსება თავისთავად ნათელია.

ემპირიზმი განვითარების დასაწყისში უსათუოდ მართებული დებულებიდან გამოდიოდა: არსებობენ საგნები და მოვლენები ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად; ისინი მოქმედებენ ადამიანის გრძნობის ორგანოებზე და იწვევენ მის ცნობიერებაში შეგრძნებებს. ეს დებულება სწორია და იგი მატერიალიზმის პრინციპს გამოხატავს. იბადება კითხვა: რა დამოკიდებულება არსებობს შეგრძნება-აღქმებსა და იმ საგნებს შორის, რომლებმაც ეს აღქმები გამოიწვიეს, ემსგავსება თუ არა „ხატი“ ცნობიერებაში ობიექტური სამყაროს საგნებსა და მოვლენებს? დასაწყისში ემპირიზმი დადებითად წყვეტდა ამ საკითხს: საკმარისია საგანთა აღქმა, მათზე დაკვირვების წარმოება და, თუ ჩვენი ცნობიერება იქნება გაწმენდილი წინასწარი, მცდარი აზრებისაგან, რომლებიც გაჩნდნენ ავტორიტეტის, ეკლესიისა და სხვათა გავლენის შედეგად, შემეცნება იქნება განხორციელებული. აღქმა, დაკვირვება, ექსპერიმენტი სრულიად საკმარისია სინამდვილის შემეცნებისათვის, ბუნებაზე ბატონობისათვის. ასეთი იყო მზარდი ბურჟუაზიის თვალსაზრისი, ასეთი იყო ლოზუნგი იმ კლასის, რომელიც ოპტიმისტურად იყურებოდა წინ და სამყაროს დაპყრობაზე ოცნებობდა.

ამ კლასის პირობების ცვლილების გამო, მისი ოპტიმისტური შეხე-

დულემა შემეცნებაზე თანდათან ხუნდება: თურმე ყველაფრის შემეცნება კი არ შეიძლება, რადგან შემეცნების ერთადერთი წყარო და საშუალება შეგრძნებები, აღქმებია. დაბოლოს, შემეცნებაზე ოპტიმისტური შეხედულება პესიმისტურს დაუთმობს: თურმე ადამიანს არ შეუძლია სინამდვილის შემეცნება, მეტიც, იმის შემეცნებაც კი არ შეუძლია ადამიანს, არსებობს თუ არა მისგან დამოუკიდებელი სამყარო.

უკვე ლოკმა, ემპირიზმის ამ კლასიკოსმა, წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ ადამიანის გონებას არ შესწევს უნარი ყველაფრის შემეცნებისა. მან დაიწყო პირველად ახალ ფილოსოფიაში მსჯელობა ადამიანის შემეცნების საზღვრების შესახებ. საკითხი ეხება შემეცნების არა იმ საზღვრებს, რომლებიც განსაზღვრულია შემეცნების ისტორიული განვითარებით, და რომლის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ არსებობენ ჭერჭერობით შეუცნობელი საგნები, რომელთა შემეცნება განხორციელდება მომავალში, არამედ შემეცნების პრინციპულ საზღვრებს, ადამიანის გონების პრინციპულ განსაზღვრულობას, რომლის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ არსებობენ პრინციპულად შეუცნობადი საგნები.

ე. წ. მეორადი თვისებები, მაგალითად, ფერი, გემო, სუნი, ლოკის აზრით, საგანთა თვისებები კი არ არის, არამედ ადამიანის სუბიექტურ განცდებს წარმოადგენენ. შეუძლებელია იმის თქმა, რომ მათ ობიექტურ სინამდვილეში არაფერი შეესაბამება; არა, ისინი გამოწვეულნი არიან ობიექტური საგნების ზემოქმედებით ჩვენზე. მაგრამ მათი შემეცნება ადამიანისათვის მიუღწეველია. ამრიგად, არსებობს ობიექტურ სინამდვილეში სფერო, ადამიანის გონებისათვის მიუღწეველი.

შემეცნების პროცესში შემეცნებელ ცნობიერებასა და შესაცნობ ობიექტს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი: ობიექტური სამყაროს საგანი მოქმედებს, როგორც მიზეზი გრძნობის ორგანოებზე და ამიტომ ცნობიერებაზე, და იწვევს მასში შეგრძნებებს, აღქმებს—ობიექტურ სამყაროს ხატებს. იბადება საკითხი: რა უფლებით ვფიქრობთ ჩვენ, რომ ეს სუბიექტური ხატები გვანან მათ გამოწვევ მიზეზებს: მიზეზი და მოქმედება განა აუცილებლად უნდა ემსგავსებოდნენ ერთმანეთს? საგანი მოქმედებს, მაგალითად, მხედველობის ორგანოზე; წარმოებს გარკვეული ფიზიკური პროცესი: მხედველობის ორგანოში იწყება ქიმიური და ფიზიოლოგიური პროცესი და ბოლოს ჩვენს ცნობიერებაში ჩნდება ხატი; რატომ უნდა იყოს ეს ხატი ობიექტური სამყაროს ადეკვატური ასახვა?

ეს საბუთი, ასახვის თეორიის წინააღმდეგ წამოყენებული, საბუთი, რომელსაც დღეს მიმართავს ყველა, ვისაც სურს ასახვის თეორიის წინააღმდეგ ბრძოლა, უკვე ცნობილი იყო ემპირიზმის წარმომადგენლებსათვის მისი დეგრადაციისა და გახრწნის პერიოდში.

ემპირიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ბერკლი, ებრძვის რა აზრს, რომ იდეა შეიძლება ჰგავდეს საგანს, დასძენს: იდეა შეიძლება ჰგავდეს იდეას და არა საგანს; მისი აზრით, ჰეგელიანობა იდეის საგანთან თანხმობაში კი არ მდგომარეობს, არამედ იდეის იდეასთან ან იდეის აღქმასთან.

ასე შეიქმნა და შემუშავდა თანდათანობით თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ემპირიზმის სალი პრინციპი—საგნები არსებობენ ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, მოქმედებენ გრძნობის ორგანოებზე და ასახებიან ცნობიერებით—თანდათანობით შეიცვალა საწინააღმდეგო, იდეალისტური, აგნოსტიკური პრინციპით: ადამიანის ცნობიერებას არ ძალუძს ობიექტური ქვეყნის შემეცნება.

ამრიგად, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი სინამდვილის შემეცნების საკითხი მოხსნილია: თუ ჩვენი წარმოდგენები, იდეები არ ასახავენ ობიექტურ სინამდვილეს, თუ ჰეგელიანობა იდეისა და აღქმის თანხმობას წარმოადგენს, ზედმეტია ლაპარაკი შემეცნებაზე, მეცნიერებაზე. ობიექტური სინამდვილის არსებობა ეჭვის ქვეშ არის დაყენებული, ანდა რით შეიძლება გავამართლოთ აზრი ობიექტური სინამდვილის არსებობის შესახებ? იმით, რომ შეგრძნებები და აღქმები გამოწვეული უნდა იყვნენ ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი საგნების ზემოქმედებით ცნობიერებაზე? მაგრამ ზემოქმედების ცნება მიზეზობრივ მიმართებას გულისხმობს, ხოლო ეს უკანასკნელი წინასწარ მოხსნილია ემპირიზმის მიერ. მეცნიერებას არა თუ არ ძალუძს სინამდვილის შემეცნება, მას არ შეუძლია მისი არსებობის დადგენაც. რაღა ღირებულება აქვს არსებულ მეცნიერებას? არავითარი—უბასუხებს იუმი, ამიტომ უნდა დაიწვას ყველა წიგნი, რომელთა შინაარსს პრეტენზია აქვს, რომ ისინი სინამდვილის შესახებ ცოდნას შეიცავენ.

გასაკვირი არ არის ის გარემოება, რომ XIX ს. მიწურულსა და XX ს. დასაწყისში ბერკლის სუბიექტური იდეალიზმი და ფიდეიზმი, იუმის აგნოსტიციზმი აღორძინდა, როგორც რეაქციული ბურჟუაზიის იდეოლოგია ემპირიოკრიტიციზმის, მახიზმის, იმანენტისმისა და სხვ. სახით. ხელახალი აღორძინება ამ მიმართულებამ განიცადა ჩვენ დროში ამერიკულ-ინგლისურ რეაქციულ ფილოსოფიაში, სადაც ის ნეომახიზმის, ლოგიკური ემპირიზმის და სხვ. სახელით არის ცნობილი.

რაციონალიზმის კრიტიკა. თანმიმდევარი რაციონალიზმი შემეცნების ერთადერთ წყაროდ და საშუალებად აღიარებს აზროვნებას, გონებას (ratio), ხოლო შეგრძნება-აღქმებს შეცდომების წყაროდ თვლის. რაციონალიზმის კლასიკური ფორმა ახალ ფილოსოფიაში ეს არის XVII—XVIII სს. რაციონალიზმი. ამ მიმართულების მთავარი წარმომადგენლები იყვნენ დეკარტი, სპინოზა, ლაიბნიცი. აქ ჩვენ განვიხილავთ რაციონალიზმის ზოგად თეორიას მის ლოგიკურ ფორმაში, მის პრინცი-

პებსა და დასკვნებს; ჩვენ არ მივაქცევთ ყურადღებას იმ განსხვავებას,— ხშირად არსებითს—რომელიც არსებობს მის წარმომადგენელთა შორის.

დასაწყისში რაციონალიზმი—ემპირიზმის მსგავსად— პროგრესულ თეორიას წარმოადგენდა; იგი ახალი კლასის—ბურჟუაზიის იდეოლოგია იყო, ბურჟუაზიის, რომელიც ებრძოდა ფეოდალურ წესწყობილებას, თავაღანაურობასა და კათოლიკურ ეკლესიას, როგორც ამ კლასის წარმომადგენელს, ებრძოდა საშუალო საუკუნეების სქოლასტიკას, და იცავდა ახალს, ნამდვილ მეცნიერებას, მეცნიერული შემეცნების თავისუფლებას, რომელიც არ უნდა ყოფილიყო შეზღუდული ეკლესიის ავტორიტეტით და რელიგიური დოგმატებით.

შემთხვევითი როდია, რომ დეკარტმა შექმნა მექანიკურ-მატერიალისტური მოძღვრება ბუნების შესახებ, მოძღვრება, რომელსაც მარქსმა კარტეზიანული მატერიალიზმი უწოდა; არც ის იყო შემთხვევითი, რომ სპინოზამ შექმნა, მართალია, მეტაფიზიკური, მაგრამ მონისტური მატერიალისტური და ათეისტური მსოფლმხედველობა; მხოლოდ ლაიბნიცი აშენებს იდეალისტურ სისტემას გერმანიაში, სადაც ფეოდალური წესწყობილება ჯერ კიდევ გაბატონებულია.

გონების პრინციპი, სახელდობრ, პრინციპი, რომლის მიხედვით გონებას შეუძლია ყველაფრის შემეცნება, რომ არ არსებობს საზღვარი აზროვნების შემეცნებითი მოღვაწეობისათვის—ეს პრინციპი ახალი დროის დასაწყისში შეიძლება წარმოშობილიყო. აზროვნება ერთადერთი წყაროა სინამდვილის შემეცნების; რაც შეეხება აღქმებზე დამყარებულ ცოდნას, ის არ არის სანდო.

იბადება საკითხი: როგორ შეუძლია აზროვნებას სინამდვილის შემეცნება? აზროვნება ხომ არ არის უშუალოდ დაკავშირებული ობიექტურ სინამდვილესთან; საგნები და მოვლენები ჩვენ ხომ მხოლოდ შეგრძნებათა და აღქმათა საშუალებით გვეძლევა. მაგრამ აღქმებზე დაყრდნობას რაციონალიზმი კრძალავს, რადგან აღქმა მცდარობის წყაროა.

ამასთანავე რაციონალიზმი ასახვის თეორიის პრინციპებს იზიარებს: ქეშმარიტი შემეცნებისას აზროვნება ასახავს სინამდვილეს, ჩვენი იდეები ასახავენ ობიექტური სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს. მაგრამ აქ პრობლემა თვითონ ასახვის შესაძლებლობას ეხება. როდესაც ემპირიზმი განვითარების პირველ პერიოდში ასახვის თეორიის თვალსაზრისზე იდგა, ეს გასაგები იყო: საგნები არსებობენ ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, მოქმედებენ გრძნობის ორგანოებზე და იწვევენ შეგრძნებებს. ეს ორგანოები—ეს არხები—რომ არ არსებულებიყვნენ, აზროვნებას არასოდეს სინამდვილესთან საქმე არ ექნებოდა.

მართალია, არც რაციონალიზმი უარყოფს საგანთა ზემოქმედებას გრძნობის ორგანოებზე, მაგრამ ის, რაც ამ ზემოქმედების შედეგად ჩნდება—შეგრძნებები, აღქმები, არ წარმოადგენენ ქეშმარიტებას, ისი-

ნი მცდარნი არიან, არ ასახავენ სინამდვილეს. არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ ამგვარ რადიკალურ თვალსაზრისს მხოლოდ დეკარტი იცავს, და რაც შეეხება სპინოზასა და ლაიბნიცს, ესენი არბილებენ ამ რადიკალურ რაციონალიზმს: სპინოზა უკვე აღიარებს შემეცნებას „ბუნდოვანი ცდის“ საფუძველზე, ხოლო ლაიბნიცი „მარადიულ კეშმარიტებასთან“ ერთად „ფაქტის კეშმარიტებასაც“ ცნობს. „ფაქტის კეშმარიტება“ კი შეგრძნებასა და აღქმას ეყრდნობა.

მთავარი აქ ის არის, რომ დეკარტთან ერთად სპინოზაც და ლაიბნიციც ფიქრობენ, რომ ნამდვილი ცოდნა, საგანთა არსების ცოდნა განხორციელდება მხოლოდ აზროვნების საშუალებით, სახელდობრ იმ აზროვნების საშუალებით, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია ცდისაგან, სრულიად თავისუფალია გრძნობათა ორგანოების მონაცემიდან.

ამიტომ საკითხი ზემოთ სავსებით მართებულად არის დასმული: რა გზით წარმოებს კავშირი აზროვნებასა და ყოფიერებას შორის? იქმნება უცნაური მდგომარეობა: თუ შემეცნების პროცესში გრძნობათა ორგანოების მონაცემი უნდა იქნეს ელიმინირებული, დარჩება მაშინ ე. წ. „წმინდა აზროვნება“. მაგრამ წმინდა აზროვნება ცარიელი სიტყვაა, და თვითონაც ცარიელია, რადგან არ არსებობს მასალა, რომელზეც მან უნდა იაზროვნოს, ან რომელიც მან უნდა მოიაზროს. აზროვნება არის ყოველთვის აზროვნება რაიმეზე, რისამე მოაზრება. წმინდა აზროვნება არარსებული აზროვნებაა!

რაციონალიზმი არ იზიარებს ამ დებულებას; ის სხვა გზით მიდის: წმინდა აზროვნება არ არის ცარიელი, იგი წმინდაა, რადგან იგი შეგრძნება-აღქმებისაგან არის განწმენდილი; მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ იგი ცარიელია; იგი სავსეა იდეებით, რომელნიც მისთვის თანდაყოლილია. რაციონალიზმის მიხედვით აზროვნების თავისებურება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ იგი გარედან მიღებულ მასალას გადაამუშავებს; იგი აქტიურია, მას თვითონ აქვს თავის თავში საკუთარი სიმდიდრე, საკმაო „მასალა“ თანშობილი იდეების სახით.

არა აქვს არსებითი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში საკითხს, თუ რა სახით არსებობენ გონებაში ეს იდეები. მთავარია ის, რომ ეს იდეები არ ჩნდებიან გონებაში გარეგანი ზემოქმედების გზით. აზროვნება მთლად მოწყვეტილია ობიექტურ სინამდვილეს, მას არა აქვს „ფანჯრები“, რომელთა საშუალებით მასში შეიძლება რაიმე შევიდეს გარედან. აზროვნება თავისი საკუთარი ძალებით ქმნის იდეებს, რომელნიც სინამდვილეს ასახავენ. აზროვნება სინამდვილის სარკეა. იგი ასახავს სინამდვილეს მასზე სინამდვილის ზემოქმედების გარეშე, ასახავს იმისდა მიუხედავად, რომ იგი არსად არ „ეხება“ სინამდვილეს.

ამრიგად: რაციონალიზმის მიხედვით, აზროვნება, რომელსაც არაფერ-

თარი კავშირი სინამდვილესთან არა აქვს, მაინც ასახავს სინამდვილეს და ამაში მდგომარეობს, თურმე, ნამდვილი შემეცნება.

ასახვის მატერიალისტური თეორიის უარყოფა რაციონალიზმის მიერ შემთხვევითი როდი იყო. სწორედ რაციონალიზმის პერიოდში იქნა აღდგენილი ძველი არგუმენტაცია ასახვის მატერიალისტური თეორიის წინააღმდეგ. ასახვის მატერიალისტური თეორიის ძირითადი აზრი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ცნობიერება ობიექტურ საგანთა და ნოვლენათა მასზე ზემოქმედების შედეგად ასახავს მათ პირველ რიგში შეგრძნებებისა და აღქმების სახით, რაციონალიზმისათვის მიუღებელია. რაციონალიზმი წამოაყენებს ამ თეორიის საწინააღმდეგოდ საბუთების მთელ რიგს; ერთ-ერთი მათგანი იმდენად მძლავრად მიაჩნია ბურჟუაზიულ ფილოსოფიას, რომ მას ღღესაც აქვს გასავალი. ეს საბუთი თავისებურ ფორმაში ჯერ კიდევ მალბრანშმა გამოთქვა; უფრო დახვეწილ ფორმაში იგი გერმანული იდეალიზმის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გაიმეორა (რაინჰოლდი), ხოლო XX საუკუნეში მას იმეორებს ყველა, ვინც კი ასახვის მატერიალისტურ თეორიას ებრძვის.

ამ საბუთის შინაარსი ასეთია: ასახვის მატერიალისტური თეორია მცდარია, რადგან ამ თეორიის გამართლების აუცილებელი პირობა განუხორციელებელია. იმისათვის, რომ დავემტკიცოთ, აზრი ასახავს, ჰგავს საგანს, საჭიროა აზრისა და საგნის შედარება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მსგავსებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ: ობიექტური სამყაროს საგანი არსებობს ცნობიერების გარეშე; მისი ცნობიერებაზე ზემოქმედების შედეგად ჩნდება ცნობიერებაში ამ საგნის სურათი. რა გვარწმუნებს ჩვენ იმაში, რომ ეს სურათი ასახავს რეალურ საგანს? როგორც იყო აღნიშნული, საჭიროა მათი შედარება; მაგრამ ეს შედარება განუხორციელებელი ამოცანაა, რადგან შედარებისათვის საჭიროა მათი ერთმეორის გვერდზე მოთავსება—აზრის გატანა გარეთ და მისი საგანთან დაყენება, ანდა საგნის ცნობიერებაში შეტანა და მისი აზრის გვერდზე დაყენება. სხვა გზა შედარებისათვის არ არსებობს, ხოლო ეს გზა განუხორციელებელია, უაზროა.

ანდა კიდევ: ვინ უნდა ადარებდეს? აზროვნება? მაგრამ საკითხი ხომ თვითონ აზრის საგანთან შედარებას ეხება.

იქნებ შესაძლებელია აზროვნებითი სურათის საგანთან შედარება შემდეგი გზით: შევადაროთ ჩვენი წარმოდგენა საგანზე თვითონ საგანს იმით, რომ შევხედოთ, აღვიქვათ საგანი. მაგრამ ეს გზაც ნაკლოვანია, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ ვადარებთ აზროვნებით სურათს არა საგანს, არამედ საგნის აღქმას.

ასეთი საბუთებით ცდილობდა უკვე რაციონალიზმი დაერღვია ასახვის მატერიალისტური პრინციპი. და თუ ამგვარ საბუთებს ჰქონდათ გასავალი, ეს აიხსნება იმით, რომ ასახვის მატერიალისტური თეორია ამ

პერიოდში მეტაფიზიკურ და მკვრეტელურ ხასიათს ატარებდა, მას არ ესმოდა პრაქტიკის პრინციპი, რომელიც შემეცნების საფუძველსა და საზომს წარმოადგენს.

ასახვის თეორია, რომელსაც რაციონალიზმი ავითარებს, არსებითად განსხვავდება ასახვის მატერიალისტური თეორიისაგან: ობიექტურ სინამდვილეს ასახვენ თანდაყოლილი იდეები, მაგრამ წარმოშობის თვალსაზრისით ეს იდეები სრულიად არ არიან ობიექტურ სინამდვილესთან დაკავშირებულნი.

აღნიშნული იყო, რომ იქმნება გაუგებარი მდგომარეობა: იდეები, რომლებიც ობიექტურ სინამდვილეს მოწყვეტილნი არიან, მასთან არავითარი კავშირი არა აქვთ, სინამდვილეს ზუსტად ასახვენ. რით აიხსნება ეს გარემოება? ერთადერთი პასუხი, რომელიც რაციონალიზმს გააჩნია, შემდეგია: აზროვნებასა და ობიექტურ სინამდვილეს შორის არსებობს წინასწარ მოწყობილი ჰარმონია.

ქვეყნის შემოქმედმა ისე აავგო სამყარო, რომ ჩვენს აზროვნებას შეუძლია სწორედ ისეთი იდეების შექმნა, რომლებიც სინამდვილეს შეესაბამებიან, მას ასახავენ.

ამრიგად, შემეცნების, მეცნიერების ფაქტის ასახსნელად რაციონალიზმი მიმართავს არამეცნიერულ საბუთს, სასწაულს და ამით თვითონ დალატობს მეცნიერული შემეცნების პრინციპს.

ამასთანავე ერთად რაციონალიზმის წინაშე მთელი რიგი გადაუწყვეტელი პრობლემები წამოიჭრება, რომელთა გადაწყვეტა მას არ შეუძლია. თუ აზროვნება ქმნის მხოლოდ ჭეშმარიტ იდეებს. მაშინ რით უნდა აიხსნას შეცდომის ფაქტები? იქნებ შეცდომა შეიძლება შეგრძნებებით აიხსნას? დეკარტმა ხომ გამოაცხადა შეგრძნებები შეცდომის წყაროდ. მაგრამ ამით რაციონალიზმი თავს ვერ გაიმართლებს, რადგან შეგრძნებებს არა აქვს შესაძლებლობა ზეგავლენა მოახდინოს აზროვნებაზე: აზროვნება ხომ ჩაკეტილია თავის თავში, მას ხომ არა აქვს „ფანჯრები“, რომელთა საშუალებით ობიექტურ სამყაროს შეუძლია მასში შევიდეს შეგრძნებებისა და აღქმების საშუალებით.

კანტის თეორიის კრიტიკა. კანტი იმ ფილოსოფიური მიმართულების პირველი წარმომადგენელია, რომელიც ცნობილია როგორც გერმანული კლასიკური იდეალიზმი. კანტის ფილოსოფიას, მის მიერ შექმნილ შემეცნების თეორიას დიდი გავლენა ჰქონდა არა მარტო XVIII ს., როდესაც იგი წარმოიშვა, არამედ მან დიდი ვასაქანი მოიპოვა XIX ს. მიწურულში და XX ს. დასაწყისში. რეაქციული ბურჟუაზია პროლეტარიატისა და მისი რევოლუციური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში არაერთხელ მიმართავდა კანტის ფილოსოფიას. და დღესაც ხშირად რეაქციული ფილოსოფიის სკოლები სარგებლობენ კანტის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპებით.

კანტი ცდილობს ააგოს ახალი თეორია, რომელიც თითქოს მატერიალიზმსა და იდეალიზმზე მალლა უნდა იდგეს, ხოლო შემეცნების თეორიაში ის ცდილობს ემპირიზმისა და რაციონალიზმის ცალმხრივობანი გადალახოს.

ინგლისური ემპირიზმის ნგრევისა და გახრწნის შემდეგ, რაც ნათლად გამოირკვა მისი განვითარების უკანასკნელ ეტაპზე (ბერკლი, იუმი), ამ გზით სიარული უკვე აღარ შეიძლებოდა: ემპირიზმის შემეცნების თეორიამ ვერ ახსნა შემეცნების, მეცნიერების ფაქტი,—ფაქტი, რომელიც დადასტურებული იყო მეცნიერებისა და კაცობრიობის პრაქტიკის მთელი ისტორიით: იგი იძულებული გახდა შემეცნების შესაძლებლობის უარყოფამდე მისულიყო.

კანტი აღიარებს მეცნიერების შესაძლებლობას—თუ როგორ ესმის მას შემეცნება, მეცნიერება, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი—ნიუტონის მიერ შექმნილი მექანიკა არწმუნებს მას ამაში.

რაციონალიზმი არ უარყოფს მეცნიერებას, მეცნიერულ შემეცნებას, იგი აღიარებს სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობას. მაგრამ ცდილობს რა დაასაბუთოს შემეცნების შესაძლებლობა, რაციონალიზმი ისეთ პრინციპებს ეყრდნობა, რომ იძულებული ხდება ანტიმეცნიერული საბუთი გამოიყენოს—წინასწარ მოწყობილი ჰარმონიის საბუთი. ამ გზით ყოვლად შეუძლებელია მეცნიერული შემეცნების შესაძლებლობის გამართლება.

ამრიგად, ემპირიზმიც და რაციონალიზმიც მცდარი გზით მიდიოდნენ და ასახსნელ ფაქტს ვერ ხსნიდნენ. მართალია, დასაწყისში საშუალო საუკუნეების სქოლასტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ეს თეორიები პროგრესული ხასიათის იყვნენ და თვითეულმა მათგანმა აღნიშნა გარკვეული მხარე, რომლის გარეშე შემეცნება ვერ განხორციელდებოდა: გრძობადი აღქმები (ემპირიზმი) და აზროვნების აქტივობა (რაციონალიზმი). არც ერთი და არც მეორე მომენტი ცალკეულად აღებული ვერ აგვისხსნის შემეცნების ფაქტს. აზროვნება ცარიელია შეგრძნებების გარეშე, ხოლო შეგრძნებები ბრმაა აზროვნების გარეშე.

კანტის ფილოსოფიის ამოსავალი წერტილი მატერიალისტურია: ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ ნივთები თავისთავად; ისინი მოქმედებენ გრძობის ორგანოებზე და იწვევენ ცნობიერებაში შეგრძნებებს. მაგრამ ეს შეგრძნებები ქაოსურ მდგომარეობაში იქნებოდნენ ჩვენ ცნობიერებაში, რომ ცნობიერების ფორმებს არ მოეყვანათ ისინი წესრიგში. ცნობიერებას გააჩნია გარკვეული ფორმები, რომლებიც ცდისაგან (შეგრძნება-აღქმისაგან) დამოუკიდებელი არიან, ცდას წინ უსწრებენ, აპრიორულნი არიან. აი ამ აპრიორული ფორმების საშუალებით ცნობიერებას მოჰყავს შეგრძნებები წესრიგში, აკავშირებს მათ და ქმნის მათგან კანონზომიერ მთლიანობას. რასაკვირველია, ამ გზით

შექმნილი კანონზომიერი მთლიანობა სრულიადაც არ ჰგავს იმ ობიექტურად არსებულ სინამდვილეს, რომელიც შედგება ნივთებისაგან თავისთავად, რადგან კავშირის კანონები ადამიანის ცნობიერების აპრიორული კანონებია და არა ნივთების კანონები. შეგარძნებათა მრავალსახეობა მხოლოდ მასალაა, რომლიდან ჩვენი ცნობიერება თავისი საკუთარი კანონებით აგებს სინამდვილის სურათს. თუ ადამიანის ცნობიერება აგებს ამ სურათს თავისი საკუთარი კანონების საშუალებით, ნათელია, რომ ეს სურათი არ ასახავს ობიექტურ სამყაროს; და რადგან ცნობიერებას სხვანაირად მოქმედება არ შეუძლია—იგი ყოველთვის ამ კანონებს ექვემდებარება—ნათელია ისიც, რომ ადამიანის ცნობიერებას პრინციპულად არ შეუძლია ნივთების თავისთავად, ობიექტური სინამდვილის შემეცნება.

ამით კანტი აგნოსტიციზმის თვალსაზრისზე დგება.

ამრიგად, კანტის აზრით, სამყარო სავსეა ნივთებით თავისთავად. მაგრამ მათი შემეცნება პრინციპულად შეუძლებელია. მაგრამ ამასთან ერთად აგნოსტიკოს იუმის საწინააღმდეგოდ კანტი მაინც ამტკიცებს, რომ მეცნიერებანი არსებობენ და რომ მათ დებულებებს აქვს ზუსტი, აუცილებელი, საყოველთაო და ობიექტური ხასიათი.

საჭიროა გავარკვიოთ როგორ ესმის კანტს აუცილებლობის, საყოველთაობის, ობიექტურობის ცნებები, როგორ ესმის ჰუმანიტების ცნება.

შეგარძნებათა მრავალსახიანობა, გამოწვეული ობიექტური სინამდვილის ზემოქმედებით ცნობიერებაზე, წესრიგში მოიყვანება ცნობიერების აპრიორული ფორმებით. ეს ფორმები ცნობიერების ფორმებია მხოლოდ და არაფერი ობიექტური მათ არ შეესაბამება. ე. ი. ეს ფორმები სუბიექტური ხასიათისანი არიან. ეს ფორმებია: სივრცე, დრო, მიზეზობრივი კავშირი, სუბსტანცია, თვისებრიობა, რაოდენობა, აუცილებლობა და სხვ. ისინი არ არსებობენ ობიექტურად, ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. გარედან მოცემულ მასალას (შეგარძნებებს) აფორმებს ცნობიერების სუბიექტური ფორმები. კონკრეტულად: ცნობიერების ფორმები დაალაგებენ შეგარძნებებს დროში და სივრცეში, დააკავშირებენ მათ მიზეზობრივი კავშირით, საგნისა და თვისების კავშირით, მიაჩვენებენ მათ აუცილებლობის ხასიათს და სხვ. და ამით შექმნიან კანონზომიერ მთლიანობას. ეს კანონზომიერი მთლიანობა, ცნობიერების ფორმებით შექმნილი, წარმოადგენს თურმე იმ „სინამდვილეს“, რომელსაც შეისწავლის მეცნიერება. რასაკვირველია, ეს „სინამდვილე“ არა ჰგავს ობიექტურ სინამდვილეს. მეცნიერება შეისწავლის არა ობიექტურ სინამდვილეს, რომელიც ცნობიერებისაგან დამოუკიდებელია—იგი პრინციპულად შეუცნობადია — მეცნიერება შეის-

წავლის სინამდვილეს, რომელიც შექმნილია შეგარძნებებიდან ადამიანის ცნობიერების მიერ წმინდა სუბიექტური ფორმების საშუალებით.

ამიტომ ჭეშმარიტება სინამდვილის ასახვა კი არ არის ადამიანის ცნობიერებაში, არამედ ჩვენი აზროვნების მიერ არის შექმნილი; „საგანი“ ობიექტურად არსებული საგანი კი არ არის, არამედ ჩვენი გონების „კონსტრუქციაა“, შექმნილი მისივე კანონებით; ბუნების კანონები ნამდვილად ცნობიერების კანონებია. ამიტომ: ბუნება კი არ უკარნახებს ცნობიერებას, აზროვნებას კანონებს, არამედ ჩვენი გონება უკარნახებს ბუნებას კანონებს.

კანტის თეორია, რომელიც თითქოს იუმის აგნოსტიციზმის საწინააღმდეგოდ იყო აგებული, რომელიც თითქოს მეცნიერების უფლებებს იცავდა და შემეცნების შესაძლებლობას აღიარებდა, ნამდვილად უარყოფს ობიექტური სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობას.

კანტის მიმდევრები XIX ს. მიწურულსა და XX საუკუნეში განწმენდენ კანტის თეორიას მატერიალისტური ელემენტებისაგან; ისინი უარყოფენ კანტის ამოსავალ პრინციპს—ნივთების თავისთავად არსებობას—და მიდიან იმ დასკვნამდე, რომ „წმინდა გონება“ აგებს თავისი თავიდან მთელ სინამდვილეს როგორც მასალის, ისე ფორმის მხრივ; კანტის დუალიზმი მათ თანმიმდევარ სუბიექტურ იდეალიზმამდე მიიყვანეს.

კანტის თეორია რეაქციულია: რეაქციული კლასის ინტერესების გამომხატველია; იგი მიმართულია საფრანგეთის პროგრესული თეორიების წინააღმდეგ, მატერიალიზმისა და ათეიზმის წინააღმდეგ. კანტი არც მალავდა იმ გარემოებას, რომ მას სურდა შემოეფარგლა ადამიანის შემეცნების უნარი, რათა რელიგიისათვის ადგილი დაეტოვებია.

მართლაც და, თუ არ არსებობენ შეუცნობადი საგნები, თუ ადამიანის გონებას ძალუძს შეიცნოს მთელი სინამდვილე, მაშინ რწმენისათვის ადგილი აღარ რჩება; მაგრამ თუ არსებობს შეუცნობადი სფერო, ე. ი. ისეთი სფერო, რომელიც ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელია, მაშინ სწორედ ეს სფერო იქნება რწმენის, რელიგიის სფეროდ გამოცხადებული.

აგნოსტიციზმის თეორია საერთოდ, როგორც ყოველივე იდეალისტური თეორია, რელიგიამდე მიდის. აგნოსტიციზმი პრინციპულად ეწინააღმდეგება მეცნიერებას, მეცნიერებას უარყოფს, ხელს უშლის მის განვითარებას. მეცნიერების განვითარება ფაქტია, მისი უარყოფა ყოვლად შეუძლებელია. კაცობრიობის წინსვლა, მისი ბუნებაზე გაბატონების გაძლიერება, ბუნების მოვლენების გარდაქმნა და ბუნების ძალების გამოყენება დასმული მიზნების განხორციელებისათვის, ხოლო ჩვენ ქვეყანაში—საზოგადოების გარდაქმნა, სოციალისტური საზოგადოების აშენება და მთლიანი კომუნისტური საზოგადოების მშე-

ნებლობა—ყველაფერი ეს გაუგებარი და პრინციპულად აუხსნელი რჩება აგნოსტიციზმის თვალსაზრისით.

რასაკვირველია, სამყარო აღსავსეა „ნივთებით თავისთავად“, ე. ი. ნივთებით, რომლებიც არსებობენ ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. ეს სამყარო კანონზომიერი მთლიანია. ჩვენ შევიცნობთ ამ სამყაროს საგნებსა და მოვლენებს, მათ კანონზომიერებას. მხოლოდ ამით აიხსნება ადამიანის მიერ ბუნებაზე მიზანშეწონილი ზემოქმედება. მხოლოდ ის გარემოება, რომ ჩვენ, ვახდენთ რა ზემოქმედებას ობიექტური სამყაროს საგნებსა და მოვლენებზე, ვალწევთ წინასწარ დასახულ მიზნებს, ამტკიცებს იმას, რომ ეს სამყარო შეცნობადია, რომ იგი უკვე ნაწილობრივ შეცნობილია.

ენგელსი, აკრიტიკებს რა კანტისა და სხვა იდეალისტების თეორიას ქვეყნის შეუცნობადობის შესახებ, წერს: „ხოლო ყველაზე გადაშფუყვტი უარყოფა ამ, ისევე როგორც ყველა სხვა, ფილოსოფიური მანქვისა მდგომარეობს პრაქტიკაში, სახელდობრ ექსპერიმენტსა და მრეწველობაში. თუ ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ ბუნების მოცემული მოვლენის ჩვენი გავების სისწორე იმით, რომ ჩვენ თვითონ ვაწარმოებთ მას, გამოგვყავს იგი მისი პირობებიდან. ამასთან ვაიძულებთ მას ემსახუროს ჩვენს მიზნებს, მაშინ კანტის უჩინარ „ნივთს თავისთავად“ბოლო ეღება. ქიმიური ნივთიერებანი, რომლებიც ცხოველთა და მცენარეთა სხეულებში იქმნებიან, რჩებოდნენ ასეთ „ნივთებად თავისთავად,“ ვიდრე ორგანულმა ქიმიამ არ დაიწყო მათი ერთიმეორეზე მიყოლებით დამზადება; სწორედ ამით „ნივთი თავისთავად“ იქცეოდა ნივთად ჩვენთვის, როგორც, მაგალითად, ალიზარინი, ენდროს საღებავი ნივთიერება, რასაც ჩვენ ახლა ვღებულობთ არა მინდვრად მოყვანილი ენდროს ფესვებიდან, არამედ გაცილებით უფრო იაფად და მარტივად ქვანახშირის კუბრიდან. მზის სისტემა კოპერნიკისა სამასი წლის განმავლობაში რჩებოდა ჰიპოთეზად, უადრესად შესაძლებელ, მაგრამ მაინც ჰიპოთეზად, ხოლო როდესაც ლევერიემ, ამ სისტემის მონაცემთა საფუძველზე, არა მარტო დაამტკიცა, რომ უნდა არსებობდეს კიდევ ერთი, მანამდე უცნობი პლანეტა, არამედ კიდევაც განსაზღვრა გამოანგარიშების საშუალებით ის ადგილი, რომელიც ამ პლანეტას ცის სივრცეში უჭირავს, და როდესაც ამის შემდეგ პალემ მართლაც აღმოაჩინა ეს პლანეტა, კოპერნიკის სისტემა დამტკიცებულ იქნა“¹.

კანტის შემეცნების თეორიის ანალიზისას საჭიროა შევჩერდეთ ერთ სპეციალურ საკითხზე: ეს არის საკითხი შეგრძნებებისა და აზროვნების დამოკიდებულების შესახებ შემეცნების პროცესში. კანტმა შეამჩნია ემპირიზმისა და რაციონალიზმის ცალმხრივობა და სცადა გადაეღახა იგი: შემეცნების პროცესში მონაწილეობას იღებენ შეგრძ-

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 330.

ნებებიც (აღქმებიც) და აზროვნებაც. მაგრამ კანტი მეტაფიზიკოსი იყო, მან ვერ გაიგო ამ ორი მომენტის ნამდვილი დამოკიდებულება შემეცნების პროცესში; მას არ ესმის, რომ გრძნობიერება და გონება ისტორიულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი; მან ეს ორი „უნარი“ მოწყვიტა ერთმანეთს. პირველს ის ახასიათებს როგორც პასიურს, „რეცეპტიურს“, მეორეს—როგორც აქტიურს, გამაფორმებელს; პირველი გრძნობადია, მეორე—აპრიორული, და სხვ. გრძნობადსა და აზრს შორის ისეთი უფსკრული აღმოჩნდა, რომ მათი თანამშრომლობა შემეცნების პროცესში შეუძლებელი გახდა. კანტი თვითონ გრძნობდა ამ გარემოებას, ის ცდილობდა გრძნობიერებისა და აზროვნების ეს დუალიზმი გადაეღახა, რომელიც თვითონ დაადგინა, და რომლის გარეშე მისი თეორია არც აშენდებოდა, მაგრამ კლასობრივი შემოსაზღვრულობა, ერთი მხრივ, და მეცნიერებათა განვითარების იმდროინდელი დონე, მეორე მხრივ, არ აძლევდა მას საშუალებას ისტორიზმის თვალსაზრისზე დამდგარიყო და ამიტომ ერთმანეთისაგან პრინციპულად მოწყვეტილი მომენტების მთლიანობა მიუღწეველი დარჩა.

ემპირიზმისა და რაციონალიზმის კანტისეული „გადაღახვა“ სიტყვიერი აღმოჩნდა. ამ საკითხში კანტი პრინციპულად იმავე თვალსაზრისზე დგას როგორც რაციონალიზმის ტიპი და ემპირისტები. ემპირიზმის, რაციონალიზმისა და კანტის თეორიის ძირითადი შეცდომა ამ საკითხში ერთია: გრძნობიერების მოწყვეტა აზროვნებისაგან. ამ შეცდომის შემდეგ დასახელებული მიმართულებანი განსხვავებული გზებით მიდიან; პირველი ეყრდნობა ერთ მომენტს, მეორე—მეორე მომენტს, ხოლო მესამე—ორივეს, მაგრამ ერთმანეთისაგან მოწყვეტილ მომენტს.

თანამედროვე სუბიექტური იდეალიზმის კრიტიკა. ამრიგად, ვერც ერთმა თეორიამ მარქსამდე ვერ ახსნა მეცნიერების ფაქტი, შემეცნების ფაქტი, შემეცნების პროცესი. მარქსამდელი მატერიალიზმი მეტაფიზიკური და მჭკრეტელობითი იყო. მას არ ესმოდა ცნობიერების განვითარების ისტორიული პროცესი. ის ვერ ხედავდა ისტორიულ კავშირს გრძნობიერებასა და აზროვნებას შორის და ხშირად მეორე პირველზე დაჰყავდა, ვერ ხედავდა კავშირს შემეცნებასა და ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობას შორის. იგი, მართალია, აღიარებდა სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას და იდგა ასახვის თეორიის თვალსაზრისზე, მაგრამ ვერ ხსნიდა თვით ასახვის ფაქტს; მას არ შეეძლო ჭეშმარიტების სწორი კრიტერიუმის დადგენა და ამიტომ არც შეეძლო იდეალისტური ფილოსოფიის მიერ წამოყენებული არგუმენტების წინააღმდეგ ბრძოლა.

ემპირისტული შემეცნების თეორიაც, რომელიც მატერიალიზმის პრინციპებზე აღმოცენდა, უძლური აღმოჩნდა შემეცნების პრობლე-

მის წინაშე, რადგან ამ თეორიამ ცალმხრივად გაბერა გრძნობადი აღქმების მნიშვნელობა შემეცნების პროცესში და უყურადღებოდ დატოვა აზროვნების აქტივობა. ემპირიზმი, უარყოფდა რა ზოგადსა და მოვლენათა შორის შინაგანი კავშირების არსებობას, უკვე შეიცავდა თავისში აგნოსტიციზმისა და სუბიექტური იდეალიზმის ჩანასახებს, რომლებიც მთლიანად გამოვლინდნენ ახალ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში.

ამ ახალ პირობებში, როდესაც ბურჟუაზია კომპრომისზე მიდის თავადაზნაურობასთან, ამ კლასის იდეოლოგები, ეყრდნობიან რა ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენელთა მატერიალიზმის (ლოკი) სუსტ მხარეებს, ქმნიან აგნოსტიკურსა და სუბიექტურ იდეალისტურ თეორიებს. ვერც რაციონალიზმმა გაიგო გრძნობიერებისა და აზროვნების ერთიანობა; იღგა რა მეტაფიზიკურსა და მკვრეტელობით პოზიციებზე, ვერც რაციონალიზმმა ახსნა შემეცნების პროცესი.

კანტის დუალიზმი და აგნოსტიციზმი, მართალია, აღიარებდა როგორც გრძნობიერების, ისე აზროვნების როლს შემეცნების პროცესში, მაგრამ, მოწყვიტა რა ეს ორი მომენტი ერთმანეთს, შემეცნების ფაქტის ახსნის მაგიერ, აღიარა ობიექტური სამყაროს შემეცნების შეუძლებლობა.

ჩვენ განვიხილეთ მოკლედ მარქსამდელი ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებანი, განსაკუთრებით მიმართულებანი შემეცნების თეორიაში. თანამედროვე რეაქციულმა ფილოსოფიამ ვერ შეძლო არსებითად ახალი მიმართულების შექმნა. მან ააღორძინა ძველი მიმართულებანი და ისინი ახალ პირობებს შეეგუა.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკასა და ინგლისში, დიდი გავლენა მოიპოვა აგნოსტიკურმა, სუბიექტურ-იდეალისტურმა ფილოსოფიამ, რომელიც ცდილობს თანამედროვე მეცნიერებათა მიღწევების ყალბი ინტერპრეტაციით გააცოცხლოს ბერკლის და იუმის, კანტისა და მახის პრინციპები და დაუპირისპიროს ისინი მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია აღიარებს ობიექტური სამყაროს შეცნობადობას; მისი თვალსაზრისით სამყაროს კანონები ობიექტური ხასიათის არიან და აღამიანებს შეუძლიათ მათი შემეცნება და არამათი შექმნა ანდა გარდაქმნა. ამ კანონების ცოდნაზე არის დამყარებული აღამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობა, მათ მიერ მიზანშეწონილი და ნაყოფიერი ზემოქმედება ბუნებასა და საზოგადოებაზე.

ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, თანამედროვე რეაქციული ფილოსოფიის წარმომადგენლები უარყოფენ ობიექტური ქვეყნის შემეცნების შესაძლებლობას. მათ არ სწამთ კანონების ობიექტური ხასიათი: კანონები ამ თეორიების მიხედვით აღამიანთა გონების თავისუფალი შე-

მოქმედება თავისი საკუთარი მოხმარებისათვის. ეს კანონები ნამდვილად „თამაშის წესებს“ წარმოადგენენ, რომელთა შექმნა, შეცვლა ჩვენზეა დამოკიდებული; მათ არაფერი შეესაბამება ობიექტურ სინამდვილეს; სინამდვილე კი არ არის ჩვენგან დამოუკიდებელი კანონზომიერი მთლიანი; პირიქით, ჩვენ შეგვაქვს წესრიგი ამ „კანონების“ საშუალებით შეგვრძნებათა მონაცემში და ასე ვქმნით იმას, რასაც მეცნიერება სინამდვილეს უწოდებს.

ამიტომ ნათელია, რომ სუბიექტური იდეალიზმის თანამედროვე წარმომადგენლები უარყოფენ ასახვის თეორიას. მეტიც: მათი აზრით მეცნიერებას, კერძოდ ფილოსოფიას, საქმე არ უნდა ჰქონდეს სინამდვილესთან. პრობლემა აზრისა და არსის დამოკიდებულების შესახებ მეტაფიზიკური, ცრუ პრობლემაა. აზრის შედარება შეიძლება აზრთან, მსჯელობისა მსჯელობასთან, და არა სინამდვილესთან.

სუბიექტური იდეალიზმი, სოლიფსიზმი და აგნოსტიციზმი—აი ის ძირითადი ხაზი, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიის ფილოსოფიისათვის, ხაზი, რომელიც მთლიანად იყო განადგურებული ლენინის მიერ „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“.

დიალექტიკური მატერიალიზმი აღიარებს თვისებრივ განსხვავებას გრძნობიერებასა და აზროვნებას შორის. მაგრამ განიხილავს რა მათ ისტორიული თვალსაზრისით, ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის განვითარების თვალსაზრისით, კი არ მოწყვეტს მათ ერთმანეთისაგან, არამედ დაადგენს მათ აუცილებელ კავშირს. გრძნობიერება არა მარტო პირველსაფეხურია შემეცნების პროცესში, არამედ პირველი საფეხურია აგრეთვე ცნობიერების განვითარების ისტორიაში: აზროვნება გამოდის შემეცნების პროცესში, როგორც მეორადი გრძნობიერების შემდეგ, რადგან მას უხდება გრძნობადი მონაცემის გადაამუშავება; აზროვნება ისტორიულადაც მეორადია. იგი აღმოცენდება ცნობიერების განვითარების პროცესში გრძნობიერების საფუძველზე. ლენინი აღნიშნავდა, რომ დიალექტიკურია არა მარტო გადასვლა მატერიიდან ცნობიერებაზე, არამედ შეგვრძნებებიდან—აზროვნებაზე.

ცნობიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე გრძნობიერება და აზროვნება ურთიერთდაკავშირებულნი არიან, ურთიერთს განაპირობებენ. არ არსებობს წმინდა აზროვნება, რომელიც არ იკვებება გრძნობადი მონაცემებით და არ არსებობს წმინდა გრძნობიერება, რომელიც არ არის გამსჭვალული აზროვნების მომენტით.

გრძნობიერება არ გვაძლევს მხოლოდ ერთეულს, ცალკეულს, იზოლირებულს, ქაოსურს, როგორც ეს მარქსამდე ჰქონდათ წარმოდგენილი. იმაში, რასაც გვაწვდის გრძნობიერება,—შეგვრძნებები, აღქმები—უკვე

არსებობს ზოგადი, არსებობენ კავშირები და კავშირთა კანონები. წინააღმდეგ შემთხვევაში როგორ შეძლებდა აზროვნება ზოგადის, კავშირის, კანონების აღმოჩენას, რომ გრძნობად მასალაში, რომელსაც აზროვნება ამუშავებს, ზოგადი, კავშირი, კანონი არ ყოფილიყო მოცემული. პაერში აგდებული ქვის ვარდნაში უკვე არის მოცემული მიზიდულობის კანონი ისევე, როგორც ცუგაში მოცემულია ძალის და პეტრეში—ადამიანი. არ არსებობს სინამდვილეში წმინდა ერთეული, ცალკეული მოვლენა; ყოველ ერთეულში არის ზოგადი; არ არსებობენ სინამდვილეში იზოლირებული მოვლენები, ყოველი მოვლენა დაკავშირებულია სხვა მოვლენასთან მრავალგვარი კავშირით. გრძნობადი აღქმები ასახავენ მოვლენებს, მაგრამ ზოგადი, შინაგანი კავშირები აღქმაში არ არის უშუალოდ მოცემული; ის გარემოება, რომ აღქმაში უშუალოდ ზოგადი, არსება, კანონი არ არის მოცემული, ეს თვითონ მოვლენის დამახასიათებელი კი არ არის, არამედ ჩვენი გრძნობიერების დამახასიათებელია. აზროვნება კი არ ქმნის ზოგადს, არსებას, შინაგან კავშირებს, იგი აღმოაჩენს მათ იმის საფუძველზე, რასაც გრძნობადი აღქმები გვაწვდიან. აზროვნება იწყებს იმით, რაც უშუალოდ გვეძლევა და მიდის იქამდე, რაც უშუალოდ არ გვეძლევა, ერთეულიდან—ზოგადისაკენ, მოვლენიდან—არსებისაკენ და სხვ. აზროვნების საშუალებით ჩვენ ვაღარებთ ცოცხალი განჭკვრეტის მონაცემს, ვმსჯელობთ და ამით გამოვხატავთ საგანთა და მოვლენათა ნიშნებს, საგანთა შორის მიმართებებს, ვაკავშირებთ მსჯელობებს, ვაკეთებთ დასკვნებს სინამდვილის მოვლენების კავშირებისა და მიმართებების შესახებ, გამოვიმუშავებთ ცნებებს.

შემეცნების გზა იწყება ცოცხალი განჭკვრეტით და მიდის აბსტრაქტული აზროვნებისაკენ. მაგრამ ამით როდი დამთავრდება შემეცნების პროცესი. რჩება გადაუწყვეტელი კიდევ ერთი საკითხი: ერთეული, ცალკეული მოვლენების შესწავლის საფუძველზე აბსტრაქტული აზროვნების საშუალებით ჩვენ აღმოვაჩინთ ზოგადს, არსებას, მოვლენათა კანონს და დარწმუნებული ვართ, რომ აბსტრაქტული აზროვნებით შექმნილი ცნებები უფრო ღრმად, სწორად, ადეკვატურად ასახავენ სინამდვილეს. რა გვარწმუნებს ჩვენ ამაში? ჭეშმარიტია თუ არა ის დასკვნები, რომლებსაც ჩვენ ვაკეთებთ აზროვნების საშუალებით ცოცხალი განჭკვრეტის საფუძველზე?

როგორც იყო აღნიშნული, ამ საკითხის გადასაწყვეტად ჩვენ მივმართავთ პრაქტიკას, როგორც ჭეშმარიტების ერთადერთ საზომს. პრაქტიკამ უნდა გადაწყვიტოს, რამდენად სწორად ასახავენ ჩვენი აზრები ობიექტურ სინამდვილეს. შემეცნების ძირები პრაქტიკაშია; ჩვენი ცოდნის გამართლებაც პრაქტიკაშია.

ამიტომ შემეცნების გზა ასეთია: ცოცხალი განჭკვრეტიდან აბსტრაქტული აზროვნებისაკენ და აქედან — პრაქტიკისაკენ.

1. ლოგიკის წინასწარი განსაზღვრება

ლოგიკა არის მეცნიერება სწორი აზროვნების ფორმებსა და კანონებზე. ასეთია ლოგიკის ზოგადი და გავრცელებული განსაზღვრება. ეს განსაზღვრება შეიძლება მართებულიც იყოს და მცდარიც იმისდა მიხედვით, თუ რა შინაარსს ვდებთ ჩვენ ამ განსაზღვრებაში. საქმე ის არის, რომ ამ განსაზღვრებაში ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინების მთელ რიგს: „კანონი“, „ფორმა“, „აზროვნება“, „სწორი“, რომლებიც განსხვავებულად შეიძლება იყოს გაგებული და ფაქტიურად ლოგიკის ისტორიაში განსხვავებულად იყო გაგებული. ამ ცნებების განსხვავებული გაგება დამოკიდებულია თვალსაზრისზე, განსხვავებულ ფილოსოფიურ თვალსაზრისზე. ნათელია, რომ ამ ცნებების განსხვავებული გაგება განსაზღვრავს ლოგიკის საგნისა და მისი ამოცანების განსხვავებულ გაგებას, მიუხედავად ლოგიკის იმ განსაზღვრებისა, რომელიც მრავალი მიმართულებისათვის საერთოდ მისაღებია.

აზროვნება არც ობიექტური სინამდვილის გაშუალებული და განზოგადებული ასახვა და ამიტომ აზროვნების ფორმები და კანონები სინამდვილის ფორმებისა და კანონების თავისებურ ასახვას წარმოადგენენ.

ეს მარქსისტულ-ლენინური გაგება აზროვნებისა და მისი ფორმებისა და კანონებისა პრინციპულად განსხვავდება იმ ლოგიკოსების თვალსაზრისისაგან, რომლებიც ლოგიკის განსაზღვრებისას აზროვნების ცნებაში გულისხმობენ სრულიად სუვერენულს, სინამდვილისაგან დამოუკიდებელს, რომელიც თვითონ ქმნის კანონებსა და ფორმებს და ამით აშენებს სინამდვილეს. ჩვენთვის იდეალური სხვა არაფერია, გარდა მატერიალურისა გადატანილსა და გადამუშავებულს ცნობიერებაში. იდეალიზმის საწინააღმდეგოდ ჩვენი თვალსაზრისით „... მატერია პირველადია, ვინაიდან ის წარმოადგენს შეგრძნებათა, წარმოდგენათა, ცნობიერების წყაროს, ცნობიერება კი მეორადია, წარმოებულა, ვინაიდან იგი

წარმოადგენს მატერიის ანარეკლს, ყოფიერების ანარეკლს...“ „...აზროვნება არის პროდუქტი მატერიისა, რომელმაც თავის განვითარებაში მიადწია სრულყოფის მაღალ ხარისხს, სახელდობრ—ეს არის ტვინის პროდუქტი, ხოლო ტვინი აზროვნების ორგანოა...“ (ი. სტალინი).

აზროვნება არის ლოგიკის საგანი. რამდენადაც ლოგიკა აზროვნებას და მის ფორმებსა და კანონებს სწავლობს, ხოლო ეს უკანასკნელი ობიექტურ სინამდვილეს ასახავენ, ნათელია, რომ ლოგიკას საქმე შემეცნებასთან ჰქონია. მაგრამ შემეცნების პროცესი დიალექტიკის საგანია. ენგელსის განსაზღვრებით დიალექტიკა არის არა მარტო მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების უზოგადეს კანონებზე, არამედ — აზროვნების განვითარების უზოგადეს კანონებზეც. ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ დიალექტიკა მოიცავს შემეცნების თეორიას და ამ აზრით დიალექტიკა არის სწორედ შემეცნების თეორია.

ის ლოგიკა, რომელსაც ხშირად ფორმალურსა და ელემენტარულს უწოდებენ დიალექტიკური ლოგიკისაგან განსხვავებით, რასაკვირველია, ვერ შეცვლის დიალექტიკას. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია წარმოადგენს მეცნიერული კვლევის იარაღს, მეთოდს, რომელიც გამსჭვალავს ყველა მეცნიერებას ბუნებისა და საზოგადოების შესახებ და რომელიც მდიდრდება ამ მეცნიერებათა განვითარების მონაცემებით. დიალექტიკა ამ აზრით არის მოვლენათა შესწავლის მეთოდი. ლოგიკა სრულიადაც არ არის ასეთი მეთოდი, ის არ არის შემეცნების მეთოდოლოგია; ლოგიკა არ არის „ფილოსოფიის არსება“, როგორც ამას ამტკიცებენ ბურჟუაზიული ფილოსოფიის წარმომადგენლები — „ლოგიკური ემპირისტები“.

დიალექტიკის როგორც შემეცნების თეორიის საგანია შემეცნების პროცესი. ამასთანავე, დიალექტიკა შეისწავლის კაცობრიობის მიერ სინამდვილის შემეცნების ისტორიას მის ლოგიკურად განწმენდილ ფორმაში; ის შეისწავლის ჭეშმარიტების პრობლემას. საკითხი ჭეშმარიტების ობიექტური, შეფარდებითი, აბსოლუტური, კონკრეტული ხასიათის შესახებ, პრაქტიკის როგორც შემეცნების განმსაზღვრელისა და მისი საზომის, გრძნობადისა და აზროვნებითი მხარეების დამოკიდებულების შესახებ შემეცნებაში—ყველა ეს საკითხი შემეცნების თეორიის, დიალექტიკის საკითხია და არც ერთი სხვა მეცნიერება არ წყვეტს და ვერ გადაწყვეტს ამ საკითხს.

ამ აზრით, ჭეშმარიტების საკითხი, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები, ლოგიკის საგანს არ წარმოადგენს. შემეცნების თეორიის, კერძოდ, ჭეშმარიტების თეორიის ლოგიკასთან გაიგივება ნიშნავს დიალექტიკის აღრევას ლოგიკასთან, ნიშნავს იმას, რომ ლოგიკას მივაწეროთ ისეთი მნიშვნელობა, რაც მას არ

ახასიათებს, ნიშნავს ლოგიკის მეცნიერებათა მეთოდოლოგიად გადაქცევას.

ამისდა მიუხედავად, ლოგიკას მაინც შემეცნებასთან აქვს საქმე: ლოგიკა სწავლობს აზროვნების ფორმებს, რომელთა საშუალებით ხდება სინამდვილის ასახვა. ლოგიკა სწავლობს ცნებებს, რომლებიც ასახავენ საგანთა და მოვლენათა ზოგადს, არსებას, იგივეობრივს, სწავლობს მსჯელობათა ფორმებს, რომლებიც ასახავენ საგანთა და მოვლენათა თვისებებს, კავშირებსა და მიმართებებს; ის სწავლობს დასკვნებს, რომელთა საშუალებით უკვე არსებული ცოდნიდან ჩვენ მივდივართ ახალი ცოდნისაკენ და რომლებიც წარმოადგენენ ახალი დებულებების დასაბუთების საშუალებას. ამ ფორმების შესწავლისას ლოგიკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მათ შემეცნებით ღირებულებას. ცნება, მსჯელობა, დასკვნა ლოგიკური აზროვნების ფორმებს წარმოადგენენ. ლოგიკა სწორედ ამ ფორმებს სწავლობს, სწავლობს იმ კანონებს, რომლებსაც ეს ფორმები ემორჩილება. და რადგან მეცნიერული შემეცნების პროცესი არ და ვერ განხორციელდება ამ ფორმების გარეშე, ცხადი უნდა იყოს, რომ ლოგიკის საგანი შემეცნების პროცესის ერთი მხარეა, ერთი მომენტი.

შემეცნების პროცესის ეს მხარე არის სწორედ ის, რასაც აზროვნების სისწორეს, მის თანმიმდევრობას, მის დასაბუთებულობას უწოდებენ. იბადება საკითხი აზროვნების სისწორის, თანმიმდევრობის ცნების შესახებ. ამ საკითხის მართებული გაგების მიზნით გავარკვიოთ ჭერ საკითხი ცნობიერებისა და ასახვის ცნებების შესახებ.

2. ცნობიერების ცნება და ასახვის ცნება

ადამიანის ცნობიერება და ამიტომ აზროვნებაც სხვა არაფერია, გარდა სინამდვილის ასახვისა. ცნობიერება, წერდა მარქსი, არის გაცნობიერებული ყოფიერება. ასახვის ცნება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ ორი აზრით იხმარება: 1) ასახვის ცნება იხმარება ჭეშმარიტების აზრით; ჭეშმარიტება არის სინამდვილის ადეკვატური ასახვა ადამიანის ცნობიერებაში; იგი დაახლოებით ზუსტად ასახავს სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს და მათ კანონზომიერებას. ასახვის ლენინური თეორია, როგორც შემეცნების თეორია, ასახვის ამ აზრს დაადგენს.

მაგრამ ასახვის ცნება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ იხმარება უფრო ფართო მნიშვნელობითაც. ამ შემთხვევაში ის არ არის უსათუოდ დაკავშირებული ჭეშმარიტების ცნებასთან, ის ამ შემთხვევაში აღნიშნავს ცნობიერების არსებას, მის თავისებურებას: აქ გამოთქმულია ზოგადი აზრი იმის შესახებ, რომ ცნობიერება გაცნობიერებული

ყოფიერებაა, რომ ცნობიერება განსაზღვრულია ყოფიერებით, ე. ი. გამოთქმულია მატერიალიზმის ზოგადი პრინციპი. ცნობიერება ყოველთვის, როგორც უნდა იყოს ის, ყოფიერების ასახვაა, უკეთეს შემთხვევაში დაახლოებით ჭეშმარიტი, ადეკვატური, იდეალურად ზუსტი ასახვა (ლენინი).

ცნობიერება, როგორც ასახვა, ფართო გაგებით ნიშნავს ჯერ ერთი იმას, რომ მთელი მასალა, რომელიც გააჩნია აზროვნებას და რომელსაც ის ამუშავებს, აღებულია ობიექტური სინამდვილიდან. აზროვნებას შეუძლია შექმნას ფანტასტური სურათები, მაგალითად, ღმერთის, ქაჯის, კენტავრის, ცხრათავიანი დევის და სხვ., მაგრამ მასალა ამ სურათების შესაქმნელად აღებულია ობიექტური სინამდვილიდან. აზროვნება აქ თავისებურად აერთებს იმ ელემენტებს. რომლებსაც მას სინამდვილე აწვდის.

მეორე: ეს ნიშნავს იმას, რომ აზროვნების კანონზომიერებანი ყოფიერების კანონზომიერებანია, რომელნიც გადმოტანილი და გადაამუშავებულია ცნობიერებაში; რომ არ არსებობენ აზროვნების არავითარი აპრიორული კანონები, რომელნიც თითქოს განსაზღვრავენ ბუნებას; რომ ყოფიერების კანონები განსაზღვრავენ აზროვნების კანონებს, რომ ყოფიერება უკარანახებს კანონებს აზროვნებას.

ამ აზრით, იდეალისტური თეორიებიც და რელიგიური შეხედულებანიც სინამდვილის ასახვას წარმოადგენენ; მაგრამ ეს ასახვა ცალმხრივი, გაბერილი, გადაჭარბებული, დამახინჯებული ასახვაა. მხოლოდ უკეთეს შემთხვევაში, როგორც აღნიშნავდა ლენინი, ასახვა ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გვაქვს ჩვენ საქმე ჭეშმარიტებასთან.

აზროვნების კანონზომიერება, რომელიც ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებით არის განსაზღვრული, და რომელიც ამ უკანასკნელის გადატანასა და გადაამუშავებას წარმოადგენს ადამიანის აზროვნებაში, არსებობს და მოქმედებს აზროვნებაში ისევე, როგორც საერთოდ სინამდვილეში — მის შემეცნებამდე. ამ კანონზომიერებათა შემეცნება და არა თვითონ კანონზომიერება წარმოადგენს ჭეშმარიტებას.

აზროვნებაც წარმოადგენს სინამდვილეს, სინამდვილეს იმ აზრით, რომ ისიც არსებობს; მაგრამ განსხვავებით ობიექტური სინამდვილისაგან მას არა აქვს დამოუკიდებელი არსებობა, ის არსებობს როგორც ასახვა.

3. სწორი აზროვნების ცნება

„ისეთ მსჯელობათა რაოდენობა, რომლებსაც არსჭირდებათ დასაბუთება, ანდა ე. წ. აქსიომების რიცხვი ძალიან მცირეა. მსჯელობები,

რომლებიც გამოხატავენ უშუალოდ აღქმულ ფაქტებს, მართალია, მრავალია, მაგრამ ისინი იშვიათად შედიან მეცნიერებაში მეცნიერული დებულებების სახით. უმრავლეს შემთხვევაში ისინი მეცნიერული დებულებების დასაბუთების წინამძღვრების როლს ასრულებენ. ცოდნის თითქმის მთელი შინაარსი დასკვნით მსჯელობებს წარმოადგენენ, ისე რომ, დასკვნა დებულების ქეშმარიტების იმ დაწმენების ფორმას წარმოადგენს, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება მეცნიერებაში¹, — წერდა გამოჩენილი რუსი ლოგიკოსი კარინსკი.

რასაკვირველია, ცოდნას ძირები პრაქტიკაში აქვს; შემეცნების პირველი საფეხურიც—ცოცხალი განჭვრეტაც—პრაქტიკით განსაზღვრულია. მაგრამ ეს პირველი საფეხური ვერ მოგვცემს საგანთა არსების, მათი კანონების ცოდნას. არსების ცოდნა, კანონის შემეცნება დასკვნითი ცოდნაა. ჩვენი ცოდნის უდიდესი ნაწილი და ამასთანავე, ყველაზე ღირებული, აბსტრაქტული აზროვნების საშუალებით მიიღწევა.

მეცნიერების მიერ აღმოჩენილი კანონები, მიზიდულობის კანონი, მენდელეევის პერიოდული სისტემა, ზედმეტი ღირებულების კანონი, მარქსის მიერ აღმოჩენილი, კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონი, აღმოჩენილი ლენინის მიერ, სოციალიზმის ერთ ქვეყანაში აშენების შესაძლებლობის პრინციპი და სოციალიზმიდან კომუნისმისაკენ თანდათანობითი გადასვლის პრინციპი, დასაბუთებული ვ. ლენინის მიერ და სხვ.—ყველაფერი ეს ცოცხალი განჭვრეტით კი არ არის დადგენილი, არამედ ცოცხალი განჭვრეტის მასალის, მისი ღრმა შესწავლის საფუძველზე არის გამოყვანილი, დასკვნილი.

დასკვნა ის ფორმაა ადამიანის აზროვნებისა, რომლის გარეშე ჩვენ ვერ აღმოვაჩენდით მოვლენათა კანონზომიერებას, ვერ შევიცნობდით იმ ზოგადსა და იგივეობრივს, რაც საგნებსა და მოვლენებს ახასიათებს.

დასკვნა, როგორც აზროვნების ფორმა, ყოველთვის იღებს მონაწილეობას სინამდვილის შესახებ ყველაზე ღირებული, მნიშვნელოვანი ცოდნის შექმნისას. ყოველი მეცნიერული ცოდნა, ყოველი დასაბუთება, სულ ერთია, ეხება ის მეცნიერების დარგს თუ პრაქტიკულ ცხოვრებას, დასკვნის ფორმას მოითხოვს, დასკვნის ფორმაში ჩამოისხმება.

განვიხილოთ დასკვნის რომელიმე მაგალითი:

1. ლითონი ელექტრობის გამტარია
2. რკინა ლითონია

3. რკინა ელექტრობის გამტარია

ამ მაგალითში გვაქვს სამი აზრის კავშირი, თითოეულ აზრს მსჯელობა ეწოდება. დასკვნის დამახასიათებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს,

¹ Каринский, Классификация выводов, стр. 1.

რომ ის არის მსჯელობათა კავშირი—ჩვენ მაგალითში 3 მსჯელობაა, რომლებშიც მოცემული ორი მსჯელობიდან გამომდინარეობს მესამე, ახალი მსჯელობა. მსჯელობებს, რომელთაგან გამომდინარეობს ახალი მსჯელობა, წანამძღვრები ეწოდება, ხოლო გამომდინარეს—დანასკვი.

დასკვნა შემეცნების მიზნებს ემსახურება. იბადება საკითხი, გვადლევს თუ არა დასკვნა ყოველთვის ნამდვილ ცოდნას? თუ უნდა იყოს შესრულებული გარკვეული პირობები იმისათვის, რომ დასკვნას ფორმის საშუალებით მივალწიოთ ჭეშმარიტებას. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

ლითონი არ ატარებს ელექტრობას

რკინა ლითონია

რკინა არ ატარებს ელექტრობას

მოცემულ მაგალითში დანასკვი აუცილებლობით გამომდინარეობს წანამძღვრებიდან. ამ შემთხვევაში დასკვნის ფორმა სწორია: აზრთა თანმიმდევრობა არ არის დარღვეული, აზრთა კავშირის სისწორე დაცულია, მაგრამ დანასკვი მსჯელობა მცდარია. ასეთივე მდგომარეობა არის მაგალითში:

მხოლოდ ლითონები ატარებენ ელექტრობას

რკინა არ არის ლითონი

რკინა არ ატარებს ელექტრობას

აქაც აზრთა კავშირი, წანამძღვრების დანასკვთან კავშირი სწორია, აზრთა თანმიმდევრობა არც აქ არის დარღვეული. მაგრამ აქაც დანასკვი მსჯელობა მცდარია. მცდარობა აიხსნება იმით, რომ პირველ დასკვნაში ერთი წანამძღვარი მცდარი იყო, ხოლო მეორეში—ორივე. ცხადია, მაშ, რომ მხოლოდ აზრთა კავშირის სწორი ფორმა, აზრთა თანმიმდევრობა არ უზრუნველყოფს ჭეშმარიტებას, ის არ არის ნამდვილი შემეცნების საკმაო გარანტია.

განვიხილოთ საკითხის მეორე მხარე: შეიძლება თუ არა მივალწიოთ ნამდვილ ცოდნას—საქმე გაშუალებულ ცოდნას ეხება—აზრთა სწორი კავშირის, აზრთა თანმიმდევარი კავშირის გარეშე. განვიხილოთ ასეთი მაგალითი:

ზოგიერთი მარილი იხსნება წყალში

შაბიამანი მარილია

შაბიამანი იხსნება წყალში

ამ დასკვნაში წანამძღვრებიც და დანასკვიც ჭეშმარიტი მსჯელობებია, მაგრამ თუ დავაკვირდებით ამ დასკვნას, აღმოვაჩინოთ: ეს დასკვნა არ არის სწორი, აზრთა თანმიმდევრობა დარღვეულია; წანამძღვრებიდან

დანასკვი არ გამომდინარეობს. ცოდნა მიღებული დანასკვიში მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ ცოდნად, თუ დასაბუთებულია, ე. ი. თუ ის აუცილებლობით გამომდინარეობს წანამძღვრებიდან. ამიტომ, იმისათვის, რომ დასკვნით, ე. ი. გაშუალებულ ცოდნას ნამდვილი ცოდნის ხასიათი ჰქონდეს, საჭიროა ორი პირობის შესრულება: 1) წანამძღვრები ჭეშმარიტი უნდა იყოს და 2) აზრთა სვლა, აზრთა კავშირი სწორი უნდა იყოს. საკმარისია დაირღვეს თუნდაც ერთი პირობა, რომ გაშუალებული, დასკვნითი ცოდნის ჭეშმარიტება საეჭვო გახდეს.

„თუ ჩვენი წანამძღვრები ჭეშმარიტია და თუ ჩვენ სწორად მიუყვანებთ მათ აზროვნების კანონებს, რეზულტატი უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს“, — წერდა ენგელსი.

შემეცნების პროცესში წანამძღვრების შინაარსის ჭეშმარიტება და აზრთა კავშირის სწორი ფორმა ორგანულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. მხოლოდ აზრთა კავშირის სწორი ფორმა, აზრთა სისწორე, თანმიმდევრობა, მართალია, არ უზრუნველყოფს ჭეშმარიტების მიღწევას, მაგრამ ის, როგორც ვნახეთ, შემეცნების აუცილებელი პირობაა, აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა. რასაკვირველია, შეიძლება მოვწყვიტოთ შინაარსის ჭეშმარიტება კავშირის სწორ ფორმას, მაგრამ ამ შემთხვევაში შემეცნება არ განხორციელდება.

ზოგიერთი ლოგიკოსი აზრთა კავშირის სისწორეს, თანმიმდევრობას, აიგივებს აზრთა ჭეშმარიტებასთან. ეს გაიგივება მიუღებელ დასკვნებამდე მიგვიყვანს. ამ თვალსაზრისით, ჭეშმარიტების მისაღწევად საკმარისია სწორი, თანმიმდევარი მსჯელობა; სინამდვილის შემეცნებისათვის საკმარისია მხოლოდ ლოგიკური აზროვნება, ლოგიკის კანონების დაცვა. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ყოველი კარგად შეთხზული, თანმიმდევრად გამართული ზღაპარი ჭეშმარიტ შემეცნებას წარმოადგენდა. რეაქციულ ფილოსოფიურ მიმართულებათა მცდარობა, მაგალითად, იდეალიზმის, აგნოსტიციზმის, მექანიციზმისა და სხვ. შეუძლებელია ავხსნათ მხოლოდ იმ გარემოებით, რომ მათი ავტორები ლოგიკურად, თანმიმდევრულად არ აზროვნებდნენ. მართალია, ისინი ხშირად არღვევდნენ და არღვევენ ლოგიკური აზროვნების წესებს, მაგრამ ამაში როდია მათი მთავარი შეცდომა. ხშირად ისინი თანმიმდევრულად, ლოგიკურად მსჯელობენ, მაგრამ მცდარ თეორიებს ქმნიან. ეს იმით აიხსნება, რომ საფუძვლები, რომლებსაც ისინი ეყრდნობიან, მცდარია, ისინი კლასობრივი ინტერესებით და კლასობრივი იდეოლოგიით განსაზღვრულია.

თეორია, რომელშიც ადგილი აქვს აზრთა თანმიმდევრობის დარღვევას, აზრთა კავშირის სისწორის, ლოგიკური აზროვნების წესების დარღვევას, არ არის მეცნიერული თეორია. მაგრამ არ შეიძლება ითქვას შებ-

რუნებით: მეცნიერული თეორია ისეთი თეორიაა, რომელშიც არ არის დარღვეული ლოგიკური აზროვნების წესები; თეორია შეიძლება მცდარი და არამეცნიერული იყოს იმ შემთხვევაშიც, თუ თანმიმდევარი აზროვნების წესები არ არის დარღვეული. თუ საფუძვლები, ე. ი. წინამძღვრები, რომლებსაც ეყრდნობა ეს თეორია, მცდარია, მაშინ აზრთა შემდეგი მსვლელობა, რაგინდ სწორი, ლოგიკურად თანმიმდევარი იყოს, ამ თეორიას ჭეშმარიტად ვერ აქცევს.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მხოლოდ ლოგიკური ფორმის სისწორე არ გვაძლევს ჭეშმარიტების მიღწევის გარანტიას, იმისდა მიუხედავად, რომ ლოგიკური ფორმები საგანთა და მოვლენათა კავშირებისა და მიმართებების ასახვას წარმოადგენენ. ეს ფორმები შემეცნების პროცესში გარკვეულ, აუცილებელ როლს ასრულებენ, მაგრამ ისინი როდი წყვეტენ ყველაფერს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შინაარსს ჩაედებთ ამ ფორმებში. ამ ფორმებში შეიძლება ჩავდოთ როგორც ჭეშმარიტი, ისე მცდარი შინაარსი: პირველ შემთხვევაში შემეცნების პროცესი განხორციელდება, მეორე შემთხვევაში ვერ განხორციელდება.

აზროვნების ლოგიკური ფორმები შემეცნების იარაღებია; ისინი წარმოადგენენ პრაქტიკის საფუძველზე განვითარებული აზროვნების უდიდეს მონაპოვარს. მაგრამ მთელი საქმე იმაზეა დამოკიდებული, თუ რა შინაარსს მოვითავსებთ ამ ფორმებში: ჭეშმარიტი შინაარსი, ჩაღებული ამ ფორმებში, აფართოებს ჩვენ შემეცნებას; მცდარი შინაარსი, ჩაღებული ამ ფორმებში, მიგვიყვანს მცდარ შედეგამდე.

გარდა ამისა: მხოლოდ ლოგიკური ფორმა რომ ყოფილიყო საკმარისი ჭეშმარიტების მისაღწევად და მის დასადგენად, ანდა აზრთა ლოგიკური თანმიმდევრობა იგივე რომ ყოფილიყო, რაც აზრთა ჭეშმარიტება, მაშინ პრაქტიკის კრიტერიუმი სრულიად ზედმეტი იქნებოდა.

4. ე. წ. ფორმალური ჭეშმარიტების შესახებ

ლოგიკის ბურჟუაზიულ თეორიებში გავრცელებული იყო აზრი, რომ არსებობს ორგვარი ჭეშმარიტება და ამიტომ ჭეშმარიტების ორგვარი საზომი. ეს თვალსაზრისი პოპულარულ ფორმაში გამოთქმულია ჩელპანოვის სახელმძღვანელოში. ის წერდა, რომ რომელიმე დებულება მატერიალურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, თუ იგი სინამდვილეს შეესაბამება; ხოლო დანასკვი წარმოადგენს ფორმალურ ჭეშმარიტებას, თუ ის ლოგიკურად არის გამოყვანილი წინამძღვრებიდან, თუნდაც ეს დანასკვი არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს. ამის მიხედვით, ის წესები, რომლებიც განსაზღვრავენ მატერიალურ ჭეშმარიტებას, ჭეშმარიტების მატერიალურ საზომს წარმოადგენენ, ხოლო ის წესები, რომლებიც განსაზღვრავენ დანასკვის ფორმალურ ჭეშმარიტებას—ფორმალურ საზომს.

აღსანიშნავია ამ თვალსაზრისში არა მარტო ის გარემოება, რომ აღიარებულია ორგვარი ტიპის ქვეშარტება, მატერიალური და ფორმალური, არამედ ის, რომ ერთი და იგივე მსჯელობა შეიძლება იყოს ერთდროულად ფორმალურად ქვეშარტი, ხოლო მატერიალურად მცდარი.

თეორია, რომელიც აღიარებს ორი ტიპის ქვეშარტებას და მათ შორის არავითარ კავშირს არ ხედავს, არსებითად მცდარია. ქვეშარტება ერთია: ის არის სინამდვილის ასახვა ადამიანის ცნობიერებაში; ის ობიექტურია, რადგან ადამიანის აზროვნებაში არის ისეთი შინაარსი, რომელიც ადამიანისაგან, კაცობრიობისაგან დამოუკიდებელია და ობიექტური სინამდვილით განსაზღვრულია; ქვეშარტება შეფარდებითია, რადგან ეპოქის ჩარჩოებით გაპირობებულია, მაგრამ შეიცავს თავისში აბსოლუტური ქვეშარტების მარცვლებს. მისი ერთადერთი საზომი არის საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკა. არავითარი ფორმალური ქვეშარტება არ არსებობს ისევე, როგორც არ არსებობს ქვეშარტების ფორმალური საზომი.

როგორც აღვნიშნეთ, ამ თვალსაზრისის მიხედვით ერთი და იგივე მსჯელობა შეიძლება იყოს ერთდროულად ფორმალურად ქვეშარტი და მატერიალურად მცდარი და, პირიქით. ასე, მაგალითად, დასკვნაში

ლითონი არ ატარებს ელექტრობას
რკინა ლითონია

რკინა არ ატარებს ელექტრობას

დანასკვი ამ თვალსაზრისით არის ფორმალურად ქვეშარტი მსჯელობა, მაგრამ მატერიალურად მცდარია.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მსჯელობა „რკინა არ ატარებს ელექტრობას“ არავითარი თვალსაზრისით არ არის ქვეშარტი, ის მცდარია, რადგან არ შეესაბამება სინამდვილეს, ამახინჯებს მას. რასაკვირველია, როგორც წინადადება, ის სწორია, რადგან აგებულია გრამატიკის წესების მიხედვით, მაგრამ ამ გარემოებას არა აქვს კავშირი ქვეშარტებამცდარობასთან.

მსჯელობის ქვეშარტება არ არის დამოკიდებული იმაზე, გამომდინარეობს იგი რაიმე სხვა მსჯელობებიდან თუ არ გამომდინარეობს წანამძღვრებიდან, თუ კიდევ არავითარ წანამძღვრებთან არა აქვს კავშირი, არამედ, დამოუკიდებლად მთგან, ცალკეულად არის წამოყენებული: მისი ქვეშარტება-მცდარობა დამოკიდებულია სინამდვილესთან მიმართებაზე და არა წანამძღვრებთან კავშირზე. წანამძღვრებთან კავშირზე დამოკიდებულია არა ქვეშარტება, არამედ გამომდინარეობა, აზრთა კავშირის თანმიმდევრობა, აზრთა ლოგიკური სისწორე.

იქნებ ამ თვალსაზრისის წარმომადგენელნი უხეიროდ გამოთქვამენ

თავის აზრს: იქნებ მათ სწორედ იმის თქმა უნდათ, რომ დასკვნითი მსჯელობა კი არ არის ფორმალურად ჰეშმარიტი, როდესაც ის მატერიალურად მცდარია, არამედ სწორედ ამ გამომდინარეობას, აზრთა თანმიმდევარ, ლოგიკურ კავშირს უწოდებენ ფორმალურ ჰეშმარიტებას?

მაგრამ არც ეს უნდა იყოს მართებული. ჰეშმარიტი შეიძლება იყოს მსჯელობა (და ცნება, რამდენადაც იგი მსჯელობის შემოკლებული რეზულტატია), და არა კავშირი, თანმიმდევრობა. აზრი ამ კავშირზე, პრინციპი, რომელიც ამ თანმიმდევრობას გამოხატავს, ე. ი. მსჯელობა, რომელიც ამ კავშირის, თანმიმდევრობის წესს, კანონს გამოხატავს, არის ჰეშმარიტი. ხშირად ურევენ ერთმანეთში ლოგიკური გამომდინარეობის ფაქტს, აზრთა კავშირის თანმიმდევრობას იმ წესთან, ზოგად ფორმულასთან, რომელიც ამ კავშირს ასახავს და ამიტომ სისწორეს, თანმიმდევრობას და ჰეშმარიტებას ერთმანეთთან აიგივებენ. ილუსტრაციისათვის განვიხილოთ ორი მაგალითი:

1. ყველა ლითონი ელექტრობას ატარებს
რკინა ლითონია

რკინა ელექტრობას ატარებს

2. კაუჩუკი ელექტრობას ატარებს
მინა კაუჩუკია

მინა ელექტრობას ატარებს

პირველ დასკვნაში ყველა მსჯელობა ჰეშმარიტია, აზრთა თანმიმდევრობა, წანამძღვრებიდან დანასკვის გამომდინარეობა სწორი, მართებულია. მეორე დასკვნაში არც ერთი მსჯელობა არ არის ჰეშმარიტი, მაგრამ აზრთა თანმიმდევრობა, წანამძღვრებიდან დანასკვის გამომდინარეობა სწორი, მართებულია. რატომ არის ორივე დასკვნა ლოგიკურად სწორი, მართებული? იმიტომ, რომ ორივე დასკვნა ემორჩილება გარკვეულ წესს! ამ წესს გამოთქვამენ სხვადასხვანაირად: ა) ის, რაც ახასიათებს საგანთა მთელ კლასს¹, ახასიათებს ამ კლასში შემავალ საგანსაც, ან საგნის ნიშნის ნიშანი თვითონ საგნის ნიშანია. აი ეს მსჯელობა, რომელიც კავშირის წესს გამოხატავს და რომელიც სინამდვილის საგანთა და მოვლენათა კავშირებისა და მიმართებების ამსახველია, არის ჰეშმარიტი.

ამრიგად: სისწორე და თანმიმდევრობა ჩვენი აზრებისა, სისწორე აზრთა კავშირისა, მათი სტრუქტურისა ჯერ კიდევ არ არის ჰეშმარიტება, ის აუცილებელი პირობაა ჩვენი მსჯელობების ჰეშმარიტებისა, ის ერთი მხარეა, ერთი მომენტი ნამდვილი ცოდნის. აზრთა მსვლელობა ფორმის მიხედვით სწორი, თანმიმდევარი და აზრთა შინაარსის მიხედვით ჰეშმარიტება—შემეცნების პროცესის ორი მხარეა.

¹ ამ წესის ზუსტი ფორმულირება ქვემოთ იქნება დადგენილი.

შემეცნება ვერ განხორციელდება, თუ ჭეშმარიტზე მსჯელობისას ჩვენი მსჯელობა (აზრთა მსვლელობა), ლოგიკურად არ იქნება სწორი, თანმიმდევარი; და, პირიქით, თუ ვიმსჯელებთ მცდარზე სწორად, თანმიმდევრად.

ჭეშმარიტი ცოდნა განხორციელდება აზროვნებით, რომელიც სწორია ფორმით და ჭეშმარიტია ამოსავალი დებულებების შინაარსით.

უსათუოდ მცდარია დებულება ჭეშმარიტების ორი საზომის შესახებ: ჭეშმარიტების საზომი ერთია, ეს არის საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკა. რაც შეეხება ე. წ. „ფორმალურ საზომს“, აქ ჩვენ საქმეთა ვიწრო მდგომარეობასთან გვაქვს, რომელიც გარკვევას მოითხოვს, ეს საკითხი დაწვრილებით იქნება განხილული დასკვნის შესახებ თავში, მაგრამ აქვეა საჭირო მისი მოკლედ მაინც განხილვა. რას გულისხმობენ ე. წ. „ფორმალურ საზომში?“ იმ წესს, დასკვნის იმ ფორმულას, რომლის მიხედვით მიმდინარეობს დასკვნა. თუ დასკვნა ამ წესს ექვემდებარება, თუ დანასკვი ამ წესის მიხედვით გამოიყვანება, მაშინ დასკვნა სწორია, წინააღმდეგ შემთხვევაში წესი დარღვეულია, დასკვნა არ არის მართებული. ე. ი. ჩვენ ვხელმძღვანელობთ დასკვნის გარკვეული წესით და ამ წესის მიხედვით გამოგვყავს დანასკვი წინამძღვრებიდან. ეს წესი ან, როგორც იტყვიან, დასკვნის ფორმულა გარკვეულ დებულებას წარმოადგენს და მისი ჭეშმარიტება პრაქტიკით არის გამართლებული.

ე. ი. ჩვენ არ გვიხდება ყოველი დასკვნის სისწორის დასადგენად პრაქტიკისადმი მიმართვა; ამ პრაქტიკის საფუძველზე ჩვენ ხელთ გვაქვს გარკვეული ჭეშმარიტი—პრაქტიკით გამართლებული—დებულებები, რომლებზედაც დაყრდნობით შეგვიძლია შევამოწმოთ დასკვნის სისწორე. მაშასადამე, ე. წ. „ფორმალური საზომი“, საბოლოო ანგარიშში, ნამდვილად პრაქტიკის კრიტერიუმია.

5. სისწორისა და ჭეშმარიტების განივივების ფორმალიზმი

სისწორე ახასიათებს არა აზრის შინაარსს, არამედ ლოგიკურ ფორმას. აზრის შინაარსი ყოველთვის კონკრეტულია: იგი ასახავს ყოველთვის ან საგანს, მოვლენას, ან ზოგადსა და იგივეობრივს საგანში. სხვა მდგომარეობასთან გვაქვს ჩვენ საქმე ლოგიკური ფორმის შემთხვევაში. აქ ჩვენ შეგვიძლია გავატაროთ ანალოგია ლოგიკურსა და გრამატიკულ ფორმებს შორის. გრამატიკა სწავლობს სიტყვათა ცვალებადობისა და წინადადებათა აგების წესებს, ამ სიტყვებისა და წინადადებების კონკრეტული შინაარსის გარეშე. ანალოგიური ვითარებაა ლოგიკაშიც.

ავიღოთ მაგალითისათვის ცნობილი ლოგიკური ფორმები:

$$\frac{\begin{array}{l} 1. a \text{ არის } b \\ b \text{ არის } c \end{array}}{a \text{ არის } c}$$

$$\frac{\begin{array}{l} 2. a \text{ არის } b \\ c \text{ არის } b \end{array}}{?}$$

რას ვგულისხმობთ a, b და c-ში? რასაკვირველია, არა კონკრეტულ საგნებსა და მოვლენებს, მაგალითად, ადამიანს, მოკვდავს, ლითონს, ელექტრობის გამტარს, რკინას და სხვ. ამ ლოგიკურ ფორმებში, ამ შემთხვევაში, დასკვნის ფორმებში, დაკავშირებულნი არიან ცნებები, რომლებიც გულისხმობენ არა კონკრეტულ საგნებსა და მოვლენებს, არამედ საგნებს ყოველგვარი კონკრეტულობის გარეშე. აბსტრაქციას ახდენს რა კერძოსა და კონკრეტულისაგან, ლოგიკური ფორმა ასახავს იმ ზოგადს, რაც საფუძვლად უდევს საგანთა და მოვლენათა კავშირებსა და მიმართებებს. ამ ფორმების საშუალებით ადამიანს შეუძლია თავისი აზრები ჩამოაყალიბოს სწორი, თანმიმდევარი სახით.

ლოგიკური ფორმები არ არიან კლასობრივი; ისინი არ ეკუთვნიან ზედნაშენს. ძველი ბერძნებიც ამ ფორმებით აზროვნებდნენ — სხვათა შორის ზოგიერთი ამ ფორმათაგანი აღმოაჩინა და შეისწავლა არისტოტელემ — მეოცე საუკუნის ადამიანებიც ამ ფორმებით აზროვნებენ. ეს ფორმები საერთო-საკაცობრიო ფორმებია; ყოველი ნორმალური ადამიანი აზროვნებს ამ ფორმებით.

მართალია, რეაქციული ბურჟუაზიის წარმომადგენელი, ფილოსოფოსები, სოციოლოგები, პოლიტიკოსები თავისი შეხედულებების, თეორიების გამართლებისათვის, თავისი მოქმედების გამართლებისათვის ხშირად მიმართავენ სოფიზმებს, ცნებებით ჟონგლირობენ, ლოგიკას უარყოფენ და ალოგიზმს ქადაგებენ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ისინი სხვა ფორმებით აზროვნებენ; ისინი არღვევენ იმ მოთხოვნებს, რომლებიც ლოგიკური აზროვნების კანონებიდან გამომდინარეობენ, „ისინი ლოგიკასთან თანხმობაში არ არიან“.

ლოგიკური ფორმები არ ეკუთვნიან ზედნაშენს, არ არიან კლასობრივი; მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ფორმების ახსნა, ინტერპრეტაცია, მათი თეორია არ ეკუთვნის ზედნაშენს, არ არის კლასობრივი. ერთია ლოგიკური ფორმა,

$$\frac{\begin{array}{l} a \text{ არის } b \\ b \text{ არის } c \end{array}}{a \text{ არის } c}$$

რომლითაც აზროვნებს ყოველი ნორმალური ადამიანი, და სულ სხვაა იმის ახსნა, თუ რა განსაზღვრავს ერთი მსჯელობის აუცილებელ გამომდინარეობას სხვა მსჯელობიდან. რა გვაიძულებს ჩვენ ამ ფორმებით აზ-

როვნებას; რა განსაზღვრავს გამომდინარეობის აუცილებლობას? ჩვენი გონების აპრიორული კანონზომიერება?—როგორც ამის დამტკიცება სურდა კანტსა და მასთან ერთად მრავალ იდეალისტს; თუ ის განსაზღვრულია „აზროვნების ეკონომიის“ პრინციპით, რომლითაც ხელმძღვანელობს ჩვენი აზროვნება შეგრძნებათა ქაოსის მოწესრიგების მიზნით? თუ კიდევ, ეს აუცილებლობა განსაზღვრულია ჩვენ მიერ შექმნილი წესებით ისევე, როგორც რაიმე თამაშის წესებს ვქმნით და შემდეგ თამაშის პროცესში ვალდებული ვართ დავემორჩილოთ ამ წესებს?

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი უარყოფს რა ყველა ამგვარ იდეალისტურ თვალსაზრისს, რომელიც ლოგიკური ფორმის არსებას ამახინჩებს, აღიარებს იმას, რომ ლოგიკური ფორმები განსაზღვრულნი არიან ობიექტურ სინამდვილის საგანთა მიმართებებით, რომ ადამიანთა პრაქტიკა მილიარდჯერ განმეორებული ჩამოყალიბდება ადამიანის ცნობიერებაში ლოგიკის ფიგურებით.

ამრიგად, როგორც კი წამოიჭრება საკითხი ლოგიკური ფორმების ახსნის, თეორიის შესახებ, მაშინვე ნათელი ხდება ორი ძირითადი ხაზი ლოგიკაში: მატერიალიზმისა და იდეალიზმისა. მატერიალიზმის და იდეალიზმის ბრძოლა ლოგიკის მთელ ისტორიას ახასიათებს: „თვით ფორმალური ლოგიკა, არისტოტელედან დაწყებული დღევანდლამდე, ცხარე კამათების ასპარეზად რჩება“¹, — წერდა ენგელსი.

აზროვნების აუცილებლობა მხოლოდ ობიექტური აუცილებლობით აიხსნება. ობიექტური სინამდვილე არის ერთადერთი წყარო აზრთა კავშირის აუცილებლობისა.

როგორც აღვნიშნეთ, ლოგიკური ფორმა აბსტრაქციას ახდენს კონკრეტული საგნებისაგან, როგორც გრამატიკული ფორმა კონკრეტული სიტყვებისაგან, კონკრეტული წინადადებებისაგან. კონკრეტული საგნები, მოვლენები, მათი არსებანი მრავალნაირია; ისინი იცვლებიან, განვითარებას განიცდიან, ერთნი მეორეებს უთმობენ ადგილს; მაგრამ რაგინდ მრავალნაირი, ცვალებადი და განვითარების პროცესში მყოფნი იყვნენ, მათ როგორც საგნებსა და მოვლენებს, როგორც არსებებს ახასიათებთ ნიშნები; აქ საუბარია არა ამა თუ იმ კონკრეტული საგნის არსების ნიშნებზე, არამედ ნიშნებზე, რომლებიც ახასიათებენ საგანს, როგორც საგანს, იმას, რომ ის საგანია; ეს ნიშნები ამ საგნების კავშირებსა და მიმართებებში გამოვლინდებიან. სხვანაირად: საგნები იცვლებიან, მაგრამ საგნის როგორც საგნის ნიშნები უცვლელია. მაგალითად, როგორც უნდა იცვლებოდეს ობიექტურად არსებული საგანი, მას აქვს ნიშანი განფენილობის, ის არსებობს გარკვეულ დროში, ის მოძრავია ან უძრავია სხვა

¹ ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 32.

საგნების მიმართ, ის ღიღია, ან მცირეა, ან ტოლია სხვა საგნების, და სხვა; ის შედის საგანთა გარკვეულ კლასში და მას ახასიათებს ამ კლასის ნიშანი; მისი ნიშნის ნიშანი მისი ნიშანია და სხვა; ერთი საგანი მეორის მიზეზია და მეორე პირველის შედეგია; ერთი არსებაა, მეორე—მისი გამოვლენა და სხვ.

როგორც უნდა იცვლებოდეს საგნები და მოვლენები, მათი ზემოდასახელებული ნიშნები, მათ შორის არსებული კავშირები და მიმართებანი ყოველთვის არსებობენ, ეს ზოგადი ნიშნები საგნის როგორც ასეთის დამახასიათებელი ნიშნებია და მატერიალური სამყაროს მარადიულობასთან ერთად მარადიულნი არიან.

ზოგიერთს უკვირს, რომ ლოგიკური ფორმები უცვლელნი არიან: აქ არაფერი გასაკვირველი არ არის ისევე, როგორც არ არის გასაკვირველი მიზიდულობის კანონის უცვლელობა და მარადიულობა.

საგანთა და მოვლენათა კავშირები და მიმართებანი მრავალგვარია; მრავალგვარია აგრეთვე ლოგიკური ფორმები; პრაქტიკა მრავალჯერ განმეორებული აისახა და „დაილექა“ ჩვენ ცნობიერებაში ლოგიკური ფორმის სახით:

a არის b

b არის c

a არის c

იგივე პრაქტიკა მრავალჯერ განმეორებული აისახა ადამიანის ცნობიერებაში მცდარი ლოგიკური ფორმის სახით:

a არის b

c არის b

?

ამრიგად, გასაგებია ის, რომ ლოგიკური ფორმა განსაზღვრულია საგანთა ზოგადი კავშირებით და მიმართებებით, საგნების, როგორც საგნების საერთოდ და ამიტომ მას არ შეუძლია მოგვეცეს იმის გარანტია, რომ ამ ფორმაში გამოთქმული კავშირი კონკრეტული საგნების და მოვლენების, მათი კონკრეტული ნიშნების კავშირი ჭეშმარიტი იქნება. ლოგიკური ფორმა—აზრთა კავშირის სწორი ფორმა, აზრთა თანმიმდევრობის ფორმა, რომელიც ასახავს საგანთა კავშირების ფორმას, მიგვიყვანს ჭეშმარიტებამდე — დასკვნის შემთხვევაში — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წანამძღვრების შინაარსი ჭეშმარიტია.

ფორმალისში ლოგიკაში გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც სინამდვილის შემეცნებისას სწორი ფორმა მოწყვეტილია წანამძღვართა ში-

ნაარსის ქეშმარიტებისაგან ანდა იმ შემთხვევაში, როდესაც ფორმის სისწორე გაიგივებულია შინაარსის ქეშმარიტებასთან.

საერთოდ, ფორმალში გამოიხატება იმის აღიარებაში, რომ ფორმა არის არსებითი მოვლენაში, ფორმის შინაარსისაგან დამოუკიდებლობის აღიარებაში ანდა კიდევ იმაში, რომ ფორმა განსაზღვრავს შინაარსს. ფორმალში ყოველთვის იდეალიზმის გამოვლენაა. ასე, მაგალითად, კანტის ლოგიკური თეორია ფორმალისტური და იდეალისტურია, რადგან ის წყვეტს ფორმას შინაარსისაგან და ფორმას წამყვან მნიშვნელობას მიაწერს; ასევე, თანამედროვე რეაქციულ „მიმართებათა ლოგიკა“ ფორმალისტური და იდეალისტურია, რადგან ის აღიარებს აზრთა ფორმებს სინამდვილისაგან დამოუკიდებლად არსებულს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ აზრის მიერ შექმნილი მიმართების ფორმები აშენებენ სამყაროს საგნებსა და მოვლენებს.

ფორმალისმის თავისებური სახე გავრცელებულია ბურჟუაზიულ ქვეყნებში გამოსულ ლოგიკის სახელმძღვანელოებში. თავისებურად გაგებული მათემატიკის ანალოგიით თანამედროვე ბურჟუაზიული ლოგიკოსები საეგზეით განდევნიან ქეშმარიტების ცნებას მეცნიერებიდან და მას სისწორის ცნებასთან აიგივებენ. „გეომეტრიას, როგორც მათემატიკას, აინტერესებს მხოლოდ ლოგიკური კავშირები დებულებათა შორის, უფრო ზუსტად — გეომეტრიას საქმე აქვს რამდენიმე დებულებიდან (აქსიომიდან) ყველა დანარჩენი დებულების ლოგიკურ გამოყვანასთან. გეომეტრიის, როგორც მათემატიკის დებულებათა ქეშმარიტების შესახებ შეიძლება მსჯელობა მხოლოდ პირობითად, სახელდობრ იმ აზრით, რომ მოცემული დებულება ნამდვილად გამოიყვანება აქსიომებიდან“.¹

საქმე ის არის, რომ აქსიომატურმა მეთოდმა დიდი ბიძგი მისცა გეომეტრიის განვითარებას: შესაძლებელი გახდა ფართო განზოგადებანი, შეიქმნა არაეკვილიდური გეომეტრიის სისტემები. ყველა ეს სისტემა ლოგიკურად უნაკლოა, დადგენილი აქსიომებიდან მოცემული სისტემის ყველა თეორემა ლოგიკურად გამომდინარეობს. მაგრამ ამის გამო ქეშმარიტების ცნების შეცვლა სისწორის, ლოგიკური გამომდინარეობის ცნებით ყოვლად დაუშვებელია. ასე აგებული სისტემა „ჰიპოთეტურ-დედუქციურ“ ხასიათს ატარებს: თუ ქეშმარიტია აქსიომები, ქეშმარიტია თეორემებიც. მაგრამ თვითონ გეომეტრიაში, როგორც მათემატიკაში, ეს მოაზროვნენი არ სვამენ არც ერთისა და არც მეორის ქეშმარიტების საკითხს. როგორც წმინდა მათემატიკაში, ამტკიცებენ ეს ლოგიკოსები, ჩვენ გამოვდივართ გარკვეული აქსიომებიდან და პოსტულატე-

¹ Р а ш е в с к и й, პილბერტის „Основания геометрии“-ს შესავალი წერილი, გვ. 12.

ბიდან და მათგან აუცილებლობით გამოგვეყავს თეორემები და „სრულიად არ ვაქცევთ ყურადღებას ჭეშმარიტნი არიან თუ არა ჩვენი დასკვნები ან აქსიომები და პოსტულატები“ (Cohen and Nagel... „An introduction to logic“. p. 7.), „ასევე, ყოველივე ნამდვილ მეცნიერებაში საკითხი ჩვენი დებულებების ჭეშმარიტების შესახებ უყურადღებოდ რჩება. მთელი მეცნიერება ერთ მსჯელობაში რომ შევეამჰილროვოთ, ჩვენ მივიღებთ ერთ პირობით მსჯელობას „თუ — მაშინ“, რომელშიც წინამავალისა და შემდგომის ჭეშმარიტების საკითხი არ ისმება“ (იგივე, გვ. 132).

გეომეტრიის სისტემა შეიძლება ლოგიკურად უნაკლო იყოს, მაგრამ ეს ჯერ არ ნიშნავს ამ სისტემის დებულებათა ჭეშმარიტებას, რჩება გადაუწყვეტელი საკითხი: რომელია ამ მრავალ სისტემათა შორის სინამდვილის ადეკვატურად ამსახველი. ამ საკითხის გადაწყვეტა ხდება პრაქტიკით, კერძოდ, ფიზიკური ექსპერიმენტებით.

„წმინდა ლოგიკური თვალსაზრისით მოიაზრება არა მარტო ერთი გეომეტრია, არამედ მრავალი განსხვავებული“. „დღეს დადგენილია, რომ არსებობს მრავალი „გეომეტრია“ აბსტრაქტულ მათემატიკური სქემის სახით. ყოველი მათგანი შეიძლება ეყრდნობოდეს აქსიომათა თავის სისტემას. საკითხი იმის შესახებ, რომელი მათგანი უფრო შეესაბამება რეალური სივრცის თვისებებს, არის საკითხი ფიზიკის და არა წმინდა მათემატიკის“¹.

გეომეტრიის სისტემების ლოგიკურობა არ წარმოადგენს მათი ჭეშმარიტების გარანტიას. ფორმალში მდგომარეობს გეომეტრიის არა აქსიომატურ აგებაში, არამედ იმის აღიარებაში, რომ ლოგიკურად უნაკლო სისტემა გაიგივებულია ჭეშმარიტთან.

ლოგიკური ფორმების მოწყვეტა ობიექტური სინამდვილისაგან, აზრთა თანმიმდევრობის გაიგივება აზრთა ჭეშმარიტებასთან ფორმალშიმის ერთ-ერთი გავრცელებული სახეთაგანია თანამედროვე ბურჟუაზიულ ლოგიკაში².

6. აზრთა კავშირის სისწორე საბანთა კავშირის ასახვა

ჭეშმარიტება სინამდვილის ადეკვატური ასახვაა; სისწორე, თანმიმდევრობა ახასიათებს არა ცალკეულ აზრებს, არამედ აზრთა კავშირს, აზრის აზრიდან გამომდინარეობას. მსჯელობა „საბჭოთა კავში-

¹ Колмогоров, «Аксиома», БСЭ. ტ. I, გვ. 615.

² ამერიკელი ლოგიკოსი Swabey წიგნი „Logic and Nature“ არკვევს რა ჭეშმარიტების პრობლემას, ოთხ დებულებას ჩამოაყალიბებს: 1. ჭეშმარიტება არ არის აზრის შესაბამისობა (correspondence) სინამდვილესთან (გვ. 308); 2. ჭეშმარიტება არ არის სიტყვად (გვ. 316); 3. ჭეშმარიტებას არა აქვს კავშირი ფაქტთან (გვ. 328) და 4. ჭეშმარიტება არის იგივე, რაც ლოგიკური სისწორე (გამომდინარეობა) (გვ. 334).

რი სოციალისტური სახელმწიფოა, კეშმარიტია, რადგან ის ადეკვატურად ასახავს სინამდვილეს; მსჯელობა „მოსკოვი ლენინგრადის ჩრდილოეთით მდებარეობს“ მცდარია, რადგან ის არ ასახავს, ამანჩეებს სინამდვილეს. აქ საქმე იმასთან კი არა გვაქვს, სწორად ავაგეთ ჩვენ აზრები, სწორად დაუუკავშირეთ ისინი ერთმანეთს თუ არა, არამედ იმასთან, კეშმარიტია თუ მცდარია მოცემული მსჯელობა.

სხვა საკითხია, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს აზრთა კავშირთან, მათ თანმიმდევრობასთან. დასკვნაში

ლითონი ელექტრობის გამტარია
რკინა ლითონია

რკინა ელექტრობის გამტარია

აზრთა კავშირი სწორია, რადგან წანამძღვრებიდან დანასკვი აუცილებლობით გამომდინარეობს; დასკვნაში

ლითონი ატარებს ელექტრობას
კაუჩუკი არ არის ლითონი

კაუჩუკი არ ატარებს ელექტრობას

აზრთა კავშირი არ არის სწორი, რადგან დანასკვი არ გამომდინარეობს წანამძღვრებიდან.

იბადება საკითხი, რა განსაზღვრავს აზრთა კავშირის სისწორეს, თანმიმდევრობას. ადვილი შესამჩნევია, რომ ეს სისწორე, თანმიმდევრობა არ არის ჩვენზე დამოკიდებული, ე. ი. არ არის დამოკიდებული ჩვენს სურვილზე, ჩვენს ნებაყოფლობაზე; ის არ არის სუბიექტური ხასიათის. ჩვენ არ შეგვიძლია მოცემული წანამძღვრებიდან ნებისმიერი დანასკვები გამოვიყვანოთ. თანმიმდევარი აზროვნების პროცესში ჩვენ „ეგრძნობთ იძულებას“ ასე ვიაზროვნოთ და არა სხვანაირად: ამა და ამ წანამძღვრებიდან ესა და ეს დანასკვი გამომდინარეობს და არა სხვა. აზრთა ასეთ კავშირს ობიექტური ხასიათი აქვს. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აზრთა თანმიმდევრობა, მათი ლოგიკური კავშირი არსებობს ობიექტურად, ცნობიერების გარეშე; აზრები ცნობიერებაში არსებობენ და არსად სხვაგან; ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ აზრთა ლოგიკური კავშირი განსაზღვრულია კანონებით, რომლებიც ჩვენი განცდებისაგან, ჩვენი ფსიქიკისაგან დამოუკიდებელნი არიან.

დებულებას იმის შესახებ, რომ აზრთა ლოგიკური კავშირი ობიექტური ხასიათისაა, ბევრი ლოგიკოსი იცავს. მაგრამ მის აუცილებელსა და ობიექტურ ხასიათს ლოგიკოსები იდეალისტურ ინტერპრეტაციას აძლევენ. იდეალისტი კანტიც აღიარებდა, რომ აზრთა ლოგიკურ კავშირს აუცილებელი და ობიექტური ხასიათი აქვს. მაგრამ აუცილებლობას ის ადამიანის გონების თავისებურებაში ეძებდა: აზრთა კავში-

რის კანონები — მისი აზრით — წმინდა აზროვნების კანონებია. ცნობიერების კანონები საერთოდ აპრიორული, ცდამდე არსებული კანონებია; ეს კანონები ინდივიდუალური ცნობიერების კანონები კი არ არის, არამედ „ცნობიერების საერთოდ“ კანონებია და ამიტომ მათ ობიექტური ხასიათი აქვთ. უცნაური მდგომარეობა იქმნება: აზრის კანონები სუბიექტურია, რადგან ისინი მხოლოდ აზრის, ცნობიერების კანონებია, მაგრამ, რადგან მათ საერთოდ ცნობიერება ემორჩილება, ამიტომ ისინი ობიექტურნი არიან.

კანტის თვალსაზრისი იდეალისტურია: ობიექტური კანონზომიერების საფუძველს კანტი სუბიექტურში, ცნობიერებაში ეძებს. თუ კანონზომიერება მხოლოდ ცნობიერების კანონზომიერება არის, მაშინ ის მხოლოდ სუბიექტურია და ყოვლად შეუძლებელია მას ობიექტური ხასიათი ჰქონდეს. უაზროა კანონზომიერების ობიექტურობის ახსნა ცნობიერებაზე დაყრდნობით, სულ ერთია, იქნება ეს ცნობიერება ინდივიდუალური თუ ე. წ. „ცნობიერება საზოგადოდ“.

ლენინი მკაცრად აკრიტიკებდა ბოგდანოვს, რომელიც განასხვავებდა სუბიექტურს ობიექტურისაგან იმით, რომ სუბიექტური დაკავშირებულია ინდივიდის ცნობიერებასთან, ხოლო ობიექტური — კოლექტიური ცნობიერების ცდასთან. ფიზიკური სამყაროს ობიექტური ხასიათი, — წერდა ბოგდანოვი, — მდგომარეობს იმაში, რომ იგი არსებობს არა პირადად ჩემთვის, არამედ ყველასთვის. ლენინი უარყოფს რა ბოგდანოვის ამ დებულებას, აღნიშნავს: სამყაროს ობიექტურობა მდგომარეობს იმაში, რომ ის დამოუკიდებელია ყველასაგან.

ლოგიკური კავშირის ობიექტური ხასიათის ახსნა ცნობიერების სუბიექტური თვისებებით შეუძლებელია; და თუ ჩვენ ცნობიერებას, კერძოდ, აზროვნებას ობიექტური ხასიათი აქვს, ეს ობიექტური სინამდვილით არის განსაზღვრული. ლოგიკურს, ე. ი. სწორს, თანმიმდევარ აზროვნებას არა აქვს თავისი საკუთარი ობიექტური სინამდვილისაგან დამოუკიდებელი კანონზომიერება. აზრთა სწორი, ლოგიკური კავშირი სხვა არაფერია, გარდა სინამდვილის საგანთა და მოვლენათა კავშირებისა და მიმართებების თავისებური ასახვისა. ამას მიუთითებდა ლენინი, როდესაც აღნიშნავდა, რომ დასკვნათა ფორმები გამოხატავენ „საგანთა მარტივ მიმართებებს“.

7. ჰეგელიანური დანასაკმის მიღება მცდარი წინამძღვრებიდან

ზემოთ ჩვენ დავადგინეთ, რომ ნამდვილი შუალობითი ცოდნა შეიძლება განხორციელდეს წინამძღვრების შინაარსის ჰეგელიანური და სწორი ლოგიკური ფორმის ერთიანობის საფუძველზე. ეს დებულება პირველი შეხედვით ეწინააღმდეგება ცნობილ ფაქტებს, სახელ-

დობრ: ჩვენ შეგვიძლია ისეთი მცდარი მსჯელობები შევარჩიოთ, რომელთაგან აუცილებლობით გამომდინარეობს ახალი მსჯელობა — დანასკვი და ეს მსჯელობა ჭეშმარიტი იქნება. მაგალითად:

1. ყველა ლითონი სითხეა
ვერცხლის წყალი ლითონია

ვერცხლის წყალი სითხეა
2. ყველა ლითონი სითხეა
წყალი ლითონია

წყალი სითხეა

პირველ მაგალითში ერთი წანამძღვარი მცდარია, მეორეში ორივე მცდარია, მაგრამ ორივე შემთხვევაში დანასკვი ჭეშმარიტია. ამრიგად, შეიძლება თურმე მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვების მიღება. თუ ეს ასეა, მაშინ სრულიად სამართლიანი იქნება ეჭვის შეტანა შუალობითი ცოდნის ღირებულებაში. მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვის მიღების შესაძლებლობა ჯერ კიდევ არისტოტელემ ახსნა¹. აიხსნება ეს გარემოება მარტივად: A შეიძლება არ იყოს B და B არ იყოს C, მაგრამ A შეიძლება იყოს C. ამიტომ მსჯელობები: A არის B და B არის C მცდარი მსჯელობებია; მაგრამ ამ მცდარი მსჯელობებიდან გამომდინარეობს, რომ A არის C, რაც ჭეშმარიტია.

ცხადია, მაშასადამე, რომ მცდარი წანამძღვრებიდან შეიძლება ჭეშმარიტი დანასკვის მიღება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დანასკვის ჭეშმარიტება სრულიად შემთხვევითია და ამიტომ შეუძლებელია წესის დადგენა: მცდარი წანამძღვრებიდან სწორი აზროვნების საშუალებით მიიღება ჭეშმარიტი დანასკვები. თუ შეიძლება აქ მსჯელობა წესზე, ის ასეთი იქნება: მცდარი წანამძღვრებიდან შეიძლება სწორი აზროვნების საშუალებით მივიღოთ როგორც ჭეშმარიტი, ისე მცდარი მსჯელობა; ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არ არსებობს არავითარი წესი, რომლის საშუალებით გაირკვევა, როდის არის დანასკვი ჭეშმარიტი და როდის მცდარი.

შენიშვნა. ზოგიერთი ლოგიკოსი, რომელიც აიგივებს აზრთა ლოგიკურ კავშირს, ე. ი. აზრთა სისწორეს, თანმიმდევრობას ჭეშმარიტებასთან, ლოგიკურად მიღის დასკვნამდე, რომ დასკვნა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს დასკვნად, როდესაც ის შინაარსითაც ჭეშმარიტია. დასკვნა მცდარი წანამძღვრებიდან არ წარმოადგენს დასკვნას. ცნობილი ტიპის დასაბუთებაშიც „საწინააღმდეგოს დაშვების“ საშუალებით (reductio ad absurdum), ამტკიცებენ ეს ლოგიკოსები, წანამძღვრები უსათუოდ ჭეშმარიტი უნდა იყოს.

ამგვარ მსჯელობაში ორი განსხვავებული საკითხი არის არეული: რასაკვირ-

¹ Аристотель, Первая Аналитика, II кн., 53 в.

ველია, კეშმარიტი დებულების დასაბუთებისათვის ჩვენ უნდა გამოვიდოდეთ კეშმარიტი დებულებებიდან. თუ არა გვაქვს კეშმარიტი საფუძვლები (წანამძღვრები), ყოველივე ცდა დებულების დასაბუთებისა უნაყოფო აღმოჩნდება, მაგრამ, როდესაც ვალიარებთ, რომ დასაბუთებისას „საწინააღმდეგოს დაშვების“ საშუალებით, ჩვენ ვაკეთებთ დასკვნას მცდარი წანამძღვრიდან (ან წანამძღვრებიდან), ამით ჩვენ არ უარყოფთ იმას, რომ კეშმარიტი დებულების დასაბუთებისათვის საჭიროა კეშმარიტი საფუძვლები. განვიხილოთ მაგალითი.

დაუშვათ, რომ დამტკიცებელი თეორემა: სამკუთხედში უდიდესი გვერდის პირდაპირ ძვეს უდიდესი კუთხე. უნდა დავამტკიცოთ შეტრუნებული თეორემა: სამკუთხედში უდიდესი კუთხის პირდაპირ ძვეს უდიდესი გვერდი. მოცემულია: LA უდიდესია; უ. დ. გვერდი a უდიდესია.

დაშვებულია საწინააღმდეგო დასაბუთებელი დებულები: გვერდი a არ არის უდიდესი სამკუთხედში; ეთქვათ სხვა რომელიმე გვერდი არის უდიდესი, მაგალითად, b. მაშინ LA ვერ იქნება უდიდესი კუთხე დამტკიცებული თეორემის მიხედვით, რაც ეწინააღმდეგება მოცემულ კეშმარიტებას, სხეულობა, რომ LA უდიდესია. მაშასადამე, ჩვენი დაშვება, რომ გვერდი a არ არის უდიდესი, მცდარია, ე. ი. გვერდი a არის უდიდესი გვერდი სამკუთხედში.

გაეანალიზოთ ეს დამტკიცება, ენახოთ რა დასკვნა გაეკეთეთ მთელი მსჯელობის პროცესში:

1. გვერდი a არ არის უდიდესი გვერდი სამკუთხედში (მცდარი დებულება)

I უდიდესი კუთხე ძვეს უდიდესი გვერდის პირდაპირ

a გვერდის პირდაპირ არ ძვეს უდიდესი კუთხე.

II a გვერდის პირდაპირ ძვეს LA

a გვერდის პირდაპირ არ ძვეს უდიდესი კუთხე.

LA არ არის უდიდესი კუთხე.

III მეორე დასკვნის დანასკვი ეწინააღმდეგება კეშმარიტ დებულებას: LA უდიდესია.

მეორე დასკვნის დანასკვი მცდარი ყოფილა. მცდარი დანასკვი შედეგია მცდარი წანამძღვრის: a გვერდის პირდაპირ არ ძვეს უდიდესი კუთხე. ეს წანამძღვარი დანასკვია პირველი დასკვნის, ხოლო პირველი დასკვნის მცდარობა განსაზღვრულია მცდარი დებულებით: გვერდი a არ არის უდიდესი გვერდი სამკუთხედში.

ამრიგად, დასაბუთების პროცესში ჩვენ ორჯერ მივშარათეთ დასკვნას მცდარი წანამძღვრით (დასკვნები I და II). რასაკვირველია, მხოლოდ მცდარი წანამძღვრები რომ გვექონოდა, დასაბუთება მიზანს ვერ მიაღწევდა. ჩვენ გვექონდა კეშმარიტი წანამძღვარი: LA უდიდესი კუთხეა სამკუთხედში. ეს კეშმარიტი დებულება რომ არ გვექონოდა, მაშინ იმასაც ვერ დავადგენდით, რომ წანამძღვარი მცდარია. წანამძღვრის მცდარობა ირკვევა კეშმარიტ დებულებასთან დაკავშირებით. მაგრამ საკითხი ეხება იმას, წარმოადგენს თუ არა დასკვნა მცდარი წანამძღვრით დასკვნას. როგორც ენახეთ, თეორემის დასაბუთებისას ორჯერ გამოვიყენეთ ასეთი დასკვნა. ამიტომ მცდარად უნდა ჩაითვალოს აზრი, თითქოს დასკვნა არ არის დასკვნა, თუ წანამძღვარი მცდარია.

8. ლოგიკა და ფსიქოლოგია

ლოგიკის საგანი აზროვნებაა. მაგრამ აზროვნებას მხოლოდ ლოგიკა როდი სწავლობს; აზროვნებას სწავლობს ფსიქოლოგიაც, აზროვნ-

ნებას სწავლობს დიალექტიკაც, რამდენადაც ეს არის მეცნიერება არა მარტო ბუნებისა და საზოგადოების განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ, არამედ აზროვნების განვითარების კანონების შესახებაც. გავარკვიოთ ჯერ საკითხი ლოგიკისა და ფსიქოლოგიის დამოკიდებულების შესახებ.

ფსიქოლოგიის საგანი საერთოდ ფსიქიკაა; ფსიქოლოგია არის მეცნიერება ადამიანის ფსიქიკის კანონზომიერების შესახებ. ფსიქიკის ცნებაში აზროვნებაც იგულისხმება. არსებობს ფსიქოლოგიის მთელი განყოფილება, რომელიც აზროვნებას შეისწავლის — აზროვნების ფსიქოლოგია. ხომ არ ემთხვევა ლოგიკა, როგორც მეცნიერება აზროვნების შესახებ აზროვნების ფსიქოლოგიას?

საკითხი ლოგიკისა და ფსიქოლოგიის დამოკიდებულების შესახებ აქტუალური საკითხი იყო ლოგიკის ისტორიაში, კერძოდ, XIX საუკ. ბოლოსა და XX საუკ. დასაწყისში. განსხვავებულ მიმართულებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფსიქოლოგისტური და ანტიფსიქოლოგისტური მიმართულება.

ფსიქოლოგიზმის წარმომადგენელი იცავდნენ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით ლოგიკა ფსიქოლოგიის ნაწილს წარმოადგენს, ლოგიკა გამოყენებითი ფსიქოლოგიაა, ანდა კიდევ, ლოგიკა ფსიქოლოგიის პრინციპებზე შენდება. ფსიქოლოგისტების ძირითადი არგუმენტი ასეთი იყო: ლოგიკას საქმე აქვს აზროვნებასთან, აზროვნება კი ფსიქიკური პროცესია, ამიტომ ლოგიკა ფსიქოლოგიის ნაწილია, რადგან ფსიქიკას ფსიქოლოგია სწავლობს.

ანტიფსიქოლოგისტები იცავდნენ ლოგიკის ფსიქოლოგიისაგან დამოუკიდებლობას. ლოგიკა მათი აზრით ფსიქოლოგიისაგან დამოუკიდებელი მეცნიერებაა: ლოგიკასა და ფსიქოლოგიას შესწავლის განსხვავებული ობიექტები აქვთ და ამიტომ მათი ერთმანეთში აღრევა, ერთის მეორის ნაწილად გამოცხადება შეუძლებელია.

რით განასხვავებენ ანტიფსიქოლოგისტები ლოგიკის საგანს ფსიქოლოგიის საგნისაგან? იმით, რომ 1) ფსიქოლოგია შეისწავლის მთელი სულიერი ცხოვრების კანონებს, ხოლო ლოგიკა აზროვნების კანონებს; 2) ფსიქოლოგია შეისწავლის აზროვნებას როგორც ასეთს, ხოლო ლოგიკა სწორ აზროვნებას. მაგრამ ასეთი განსხვავება მიზანს ვერ აღწევს, რადგან ფსიქოლოგისტები სამართლიანად უპასუხებენ: 1) თუ ფსიქოლოგია სწავლობს მთელი სულიერი ცხოვრების კანონზომიერებას, ამაში აზროვნებაც იგულისხმება; 2) სწორი აზროვნებაც, საბოლოოდ, აზროვნებაა; ამიტომ ორივე არგუმენტი ანტიფსიქოლოგიზმის სასარგებლოდ კი არ ლაპარაკობს, არამედ ფსიქოლოგიზმის სასარგებლოდ: ამ არგუმენტებიდან სწორედ ის გამომდინარეობს, რომ ლოგიკა ფსიქოლოგიის ნაწილია.

რუსი ლოგიკოსი ვედენსკი, რომელიც ანტიფსიქოლოგიზმის პოზიციებს იცავდა, ლოგიკას ასე განასხვავებდა ფსიქოლოგიისაგან: ფსიქოლოგია სწავლობს აზროვნებას ისე როგორც ის არის, ლოგიკა კი სწავლობს მას იმ თვალსაზრისით, თუ როგორი უნდა იყოს აზროვნება, რათა ის სწორი იყოს, სწავლობს მას შეფასების თვალსაზრისით.

ე. ი. ლოგიკასა და ფსიქოლოგიას ერთი საგანი ჰქონია შესასწავლი; განსხვავება განსაზღვრულია თვალსაზრისით. ასეთი მსჯელობა ყოველად მიუღებელია; მეცნიერებანი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შესასწავლი ობიექტებით და არა თვალსაზრისით. მეცნიერებათა განსხვავების საფუძველი ობიექტური ნიშანი უნდა იყოს და არა სუბიექტური თვალსაზრისი. თვალსაზრისს არ შეუძლია შექმნას ობიექტი და მისი კანონზომიერება. თვითონ თვალსაზრისი — თუ იგი სწორია — ობიექტით არის განსაზღვრული და განსხვავებული თვალსაზრისით საგნის განხილვა საგნის განსხვავებული მხარეების მაჩვენებელია.

აზროვნება ფსიქიკური პროცესია და ამდენად იგი ფსიქოლოგიის საგანია. როგორც ასეთი ის ერთ კანონზომიერებას ემორჩილება. ორ განსხვავებულ მეცნიერებას არ შეუძლია ერთი და იმავე კანონზომიერების შესწავლა: ერთი მათგანი ზედმეტი იქნება. აზროვნება როგორც ფსიქიკური პროცესი განიცდება როგორც მოვლენა, ის არც ჰეშმარიტია და არც მცდარი, არც სწორი და არც არასწორი. ამ ფსიქიკურ სამოსელში მოცემულია შინაარსი ამ ფსიქიკურისაგან დამოუკიდებელი, ე. ი. ფსიქიკურის კანონზომიერებისაგან დამოუკიდებელი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ადამიანის წარმოდგენებში არის ისეთი შინაარსი, რომელიც დამოუკიდებელია სუბიექტისაგან, დამოუკიდებელია ადამიანისაგან, კაცობრიობისაგან; მას, ამ შინაარსს, აქვს ობიექტური ხასიათი. ამ შინაარსების თავისებურება, მათი ერთმანეთთან კავშირი, მათი ერთმანეთიდან გამომდინარეობა — აი ის ობიექტი, რომელიც ლოგიკის საგანს წარმოადგენს.

ლოგიკას არ აინტერესებს ის გაცდები, რომლებიც ადამიანს აქვს რომელიმე მსჯელობის მოაზრების პროცესში, მაგალითად, მსჯელობის „ადამიანი მოკვდავია“; ლოგიკას აინტერესებს ამ შემთხვევაში ის ლოგიკური კავშირი, რომელიც არსებობს სუბიექტსა და პრედკატს შორის, ადამიანის ცნებასა და მოკვდავის ცნებას შორის. ლოგიკა განზე ტოვებს საკითხს, რა გაცდები აქვს ადამიანს დასკვნის პროცესში; ის არკვევს საკითხს, რა ლოგიკური კავშირია წანამძღვრებსა და დასკვნის შორის, რა ობიექტურ კანონებს, წესებს ექვემდებარება დასკვნა, როგორც ლოგიკური ფორმა.

იდეალიზმის თვალსაზრისზე მდგომი ანტიფსიქოლოგისტებიც ცდილობენ განასხვავონ ლოგიკის საგანი ფსიქოლოგიის საგნისაგან. მათი აზრით ეს განსხვავება იმაშია, რომ ლოგიკური იდეალურია, აპრიორუ-

ლია. იმ დროს, როდესაც ფსიქოლოგიის საგანი რეალურია; მათი აზრით, ობიექტური სინამდვილე კი არ განსაზღვრავს ლოგიკურს, ლოგიკური განსაზღვრავს ობიექტურ სინამდვილეს. ობიექტურ სამყაროს ფაქტიურობა, დროულ-ვრცეულობა ახასიათებს და ამიტომ ის შემთხვევითია; ლოგიკური ზედროული ზევრცეულია, ის ნამდვილი აუცილებლობით ხასიათდება.

ჩვენ ზემოთ უკვე გავარკვეეთ: აზრის აუცილებლობა ობიექტური სინამდვილის აუცილებლობაა; ლოგიკური ფორმების ობიექტური ხასიათი, მისი კანონზომიერება სხვა არაფერია, გარდა ობიექტური სამყაროს აუცილებლობისა, მისი კანონზომიერებისა, გადატანილისა და გადამუშავებულის ადამიანის ცნობიერებაში.

9. ლოგიკისა და დიალექტიკის დამოკიდებულება

ლოგიკის საგნისა და ლოგიკის, როგორც მეცნიერების სრული დახასიათება არ იქნება მიღწეული, თუ არ შევეხეთ ერთ აქტუალურ საკითხს, რომელიც კარგა ხანია დისკუსიის საგანს წარმოადგენს ჩვენ ფილოსოფიურ ლიტერატურაში: ეს არის ლოგიკისა და შემეცნების თეორიის დამოკიდებულების საკითხი. რამდენადაც დიალექტიკა მოიცავს იმას, რასაც დღეს შემეცნების თეორიას უწოდებენ (ლენინი) და რაც გარკვეული აზრით სწორედ შემეცნების თეორია არის (ლენინი), ამდენად დასმული საკითხი ლოგიკისა და დიალექტიკის დამოკიდებულებას ეხება.

დისკუსიის პროცესში გაირკვა ორი თვალსაზრისის არსებობა. ჩვენ აქ განვიხილავთ ორივე თვალსაზრისს მთელი რიგი საკითხების შესახებ.

1. არის თუ არა ლოგიკა ფილოსოფიური მეცნიერება? საკითხი ეხება იმ ლოგიკას, რომელსაც ტრადიციის მიხედვით ხშირად ფორმალურ ლოგიკას უწოდებენ და რომელიც ისწავლება ჩვენი კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში.

ა) ლოგიკოსთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ლოგიკა არ უნდა იყოს ფილოსოფიური მეცნიერება, რომ ის სპეციალურ მეცნიერებას წარმოადგენს. ფილოსოფიური მეცნიერება არის დიალექტიკა როგორც მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ. ლოგიკა არ სწავლობს ასეთ კანონებს, ის სწორი აზროვნების, მისი ფორმების სპეციფიკურ კანონებს სწავლობს, და ამიტომ ის სპეციალური მეცნიერება უნდა იყოს.

ბ) ლოგიკოსთა მეორე ჯგუფი თვლის ლოგიკას ფილოსოფიურ მეცნიერებად და ამ აზრის დასაბუთებისათვის შემდეგ მოსაზრებებს ეყრდნობა.

ენგელსი, ახასიათებს რა ადრინდელ, მარქსამდელ ფილოსოფიას,

უპირისპირებს მას ახალს, მარქსისტულ ფილოსოფიას და აღნიშნავს, რომ „მთელი ადრინდელი ფილოსოფიიდან დამოუკიდებელ მნიშვნელობას ინარჩუნებს მხოლოდ მოძღვრება აზროვნებასა და მის კანონებზე, ე. ი. ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა“¹. ეს არ არის შემთხვევითი დებულება, რადგან ის გამოთქმული აქვს ენგელსს საპასუხისმგებლო ადგილას, სახელდობრ იქ, სადაც ენგელსი არკვევს მარქსამდელსა და მარქსისტული ფილოსოფიის განსხვავებას².

ამავე აზრს იმეორებს ენგელსი მეორე შრომაში, სახელდობრ, „ლუდვიგ ფოიერბახში“. ენგელსის ამ დებულებას ეყრდნობა ლენინი შრომაში „კარლ მარქსი“. ლენინის ამ აზრს ეყრდნობა ა. ჟდანოვი, რომელსაც მოჰყავს ლენინის სიტყვები: „ენგელსის ეს რევოლუციური მხარე... განავითარა მარქსმა. „დიალექტიკური მატერიალიზმი არ საჭიროებს ისეთ ფილოსოფიას, რომელიც სხვა მეცნიერებებზე მაღლა დგას“. ძველი ფილოსოფიიდან რჩება „მოძღვრება აზროვნებასა და მის კანონებზე — ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა“.

როგორც ჩანს, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ლოგიკას ფილოსოფიურ მეცნიერებად თვლიან. ზემონათქვამიდან ნათელი უნდა იყოს იმ აზრის მკდარობაც, რომელიც ხშირად იყო გამოთქმული, სახელდობრ, თითქოს ენგელსის დროს ლოგიკა ჯერ კიდევ იყო ფილოსოფიური მეცნიერება, მაგრამ დღეს ის უკვე გამოეყო ფილოსოფიას და სპეციალურ მეცნიერებად იქცა. ვ. ლენინის დებულებები საესებით აქარწყლებენ ამ უცნაურ აზრს.

2. თუ ლოგიკა არის ფილოსოფიური მეცნიერება³ — და დღეს ამ თვალსაზრისს უმრავლესობა იზიარებს, — რა ხასიათი აქვს ამ ფილოსოფიურ მეცნიერებას?

ლოგიკოსთა ერთი ჯგუფი, თვლის რა ლოგიკას ფილოსოფიურ მეცნიერებად, ახასიათებს მას როგორც ზედაპირულს (поверхностная), ელემენტარულ მეცნიერებას. ლოგიკა, ფიქრობენ ეს ლოგიკოსები,

¹ ე. ენგელსი, ანტი-დიურიზმი, 1933, გვ. 9.

² გამოთქვამდნენ აზრს, თითქოს ენგელსი აქ ერთ მეცნიერებაზე მსჯელობს „მოძღვრება აზროვნებასა და მის კანონებზე“ —; მაგრამ ენგელსი გარკვეულად ასახელებს ორ მეცნიერებას: „ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა“. გარდა ამისა, ენგელსი ამავე წიგნის IX თავში გარკვეულად მრავლობით რიცხვს ხმარობს: „მეცნიერებანი... ლოგიკა და დიალექტიკა“. გვ. 66. გამოთქვამდნენ აზრს, რომ ენგელსი აქ ახასიათებს არა მარქსისტულ ფილოსოფიას, არამედ მარქსამდელს. ეს აზრიც მოკლებულია საფუძველს. ენგელსი გარკვეულად აღნიშნავს, რომ მისი მსჯელობა ეხება თანამედროვე, ე. ი. დიალექტიკურ მატერიალიზმს.

³ ლოგიკური ფორმები ის ფორმებია, რომელთა საშუალებით ადამიანის აზროვნება ასახავს, შეიცნობს სინამდვილეს; ე. ი. ლოგიკა სწავლობს შემეცნების პროცესის გარკვეულ მხარეს; შემეცნების საკითხი კი ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მეორე მხარეს წარმოადგენს.

სწავლობს თავის საგანს, ე. ი. ლოგიკურ ფორმებს, ცნებას, მსჯელობას, დასკვნას ზედაპირულად, მას არა აქვს ძალა, უნარი, საშუალება ღრმად შეისწავლოს ლოგიკური ფორმები. ლოგიკა (ფორმალური) ელემენტარული მეცნიერებაა. ნამდვილი მეცნიერება ლოგიკური ფორმების შესახებ არის დიალექტიკური ლოგიკა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ლოგიკა უნდა მოვხსნათ, უკუვადოთ; არის ორი ლოგიკა, ორივე მეცნიერებას წარმოადგენს: ერთი დაბალი (ელემენტარული), მეორე მაღალი: ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკური ლოგიკა; მათ შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც ელემენტარულსა და უმაღლეს მათემატიკას შორის. ერთ ლოგიკას ახასიათებს ის, რომ ის განიხილავს სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს იზოლირებულად ერთმანეთისაგან, უძრავ მდგომარეობაში, წინააღმდეგობათა ბრძოლის გარეშე; ხოლო მეორე ლოგიკა განიხილავს სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს მათ ურთიერთკავშირში, განვითარებაში, წინააღმდეგობათა ბრძოლის პროცესში.

ლოგიკოსთა მეორე ჯგუფი ფიქრობს, რომ ლოგიკა ნამდვილი მეცნიერებაა, ის არც ზედაპირულად განიხილავს თავის საკვლევ საგანს და არც არის ელემენტარული მეცნიერება. არსებობს ერთი მეცნიერება — ლოგიკა და შეუძლებელია ორი ლოგიკა. ორი მეცნიერება არსებობდეს ერთსა და იმავე ობიექტის, ერთსა და იმავე კანონზომიერების შესახებ. რით და როგორ ასაბუთებენ ეს ლოგიკოსები თავიანთ თვალსაზრისს?

ა) პირველი, რასაც ყურადღებას აქცევს ლოგიკოსთა ეს ჯგუფი, არის საკითხი, შეიძლება თუ არა მეცნიერება იყოს ზერელე, ზედაპირული. პასუხი უარყოფითი უნდა იყოს. მეცნიერების არსებიდან გამომდინარეობს, რომ მეცნიერება — თუ ის ნამდვილად მეცნიერება არის — არ შეიძლება იყოს ზერელე, ზედაპირული. ზერელე, ზედაპირული შეიძლება იყოს შეხედულება, აზრი, ასეთი შეიძლება იყოს ჰიპოთეზი, „თეორია“ კი, მაგრამ ისინი მეცნიერების მიერ უკუგდებულაია როგორც არამეცნიერული. შეუძლებელია ლოგიკა მეცნიერებად ვალიაროთ და, ამავე დროს, ის ზერელედ, ზედაპირულად, ე. ი. არამეცნიერულად გამოვაცხადოთ. მით უმეტეს შეუძლებელია წამოვუყენოთ მეცნიერებას მოთხოვნა, რომ მან არ შეისწავლოს თავისი საგანი ღრმად, არამედ გაჩერდეს ამ საგნის ზედაპირზე. თუ მას არა აქვს უნარი შეისწავლოს თავისი საგნის არსება, შეისწავლოს ეს საგანი ყოველმხრივად, მაშინ ის არ ყოფილა მეცნიერება, და მისი მეცნიერებად აღიარება შეუძლებელია.

ბ) მეორე: შეიძლება თუ არა მეცნიერება იყოს ელემენტარული? რასაკვირველია, საგნები და მოვლენები შეიძლება იყოს შედარებით უფრო მარტივი, „ელემენტარული“ და უფრო რთული. ცნობილია, რომ

საზოგადოებრივი მოვლენები უფრო რთულია, ვიდრე, მაგალითად, მოვლენები, რომლებსაც გეომეტრია, ანდა ვთქვათ, ადამიანის ანატომია სწავლობს, პროცესები ატომის გულში უფრო რთულია, ვიდრე ფიზიკური პროცესები მაკროსამყაროში. მაგრამ ეს როლი ნიშნავს იმას, რომ მეცნიერება ამ შედარებით მარტივ მოვლენებსა და პროცესებზე ელემენტარულია: მეცნიერება არ შეიძლება იყოს ელემენტარული, რაგინდ მარტივ საგანსაც არ უნდა სწავლობდეს ის, ელემენტარული შეიძლება იყოს დალაგება რომელიმე მეცნიერების ან თეორიის; ელემენტარული შეიძლება იყოს კურსი გეომეტრიის, ფიზიკის, ისტორიის და არა გეომეტრიის, ფიზიკის, ისტორიის მეცნიერება. ხშირად ამბობენ, რომ არითმეტიკა ელემენტარული მეცნიერებაა. ცხადია, რომ არითმეტიკა სრულიადაც არ არის ელემენტარული მეცნიერება. სინამდვილეში „ჩვეულებრივ არითმეტიკის ცნებაში გულისხმობენ სასწავლო საგანს საშუალო სკოლაში... როგორც მეცნიერება არითმეტიკა დღეს იგივეა, რაც რიცხვთა თეორია, რომელიც სასკოლო კურსში წარმოდგენილია ზოგიერთი ელემენტარული ცნობით...“¹

გ) ორი ლოგიკის აღიარება უაზრობამდე მიგვიყვანს. თუ ორივე ნამდვილი მეცნიერებაა, მათ განსხვავებული საგნები, განსხვავებული კანონზომიერება უნდა ჰქონდეს შესწავლის ობიექტად. თუ განსხვავებული საგნები, განსხვავებული კანონზომიერება აქვს მათ შესწავლის ობიექტად, მაშინ ეს ორი მეცნიერება განსხვავდება ერთმანეთისაგან და ორივეს ერთი სახელი აღარ უნდა ჰქონდეს. თუ ერთი ლოგიკაა, მეორე — განსხვავებული საგნისა და კანონზომიერების შემსწავლელი — ლოგიკა აღარ იქნება.

თუ ამ ორ ლოგიკას შესწავლის ერთი ობიექტი, ერთი კანონზომიერება აქვს, მაშინ ერთ-ერთი მათგანი ზედმეტი იქნება: რა საჭიროა, რომ ერთ და იმავე ორმა მეცნიერებამ შეისწავლოს. თუ ერთი მათგანი ზერეულედ სწავლობს თავის ობიექტს, ხოლო მეორე ღრმად და არსებითად, მაშინ პირველი არ წარმოდგენს მეცნიერებას; და გარდა ამისა, რა საჭიროა ასეთი „მეცნიერება“, თუ გვაქვს ნამდვილი, საგნის ღრმად, არსებითად და ყოველმხრივად შემსწავლელი მეცნიერება. იქნებ ეს ზერეულე, ელემენტარული „მეცნიერება“ საჭიროა საშუალო სკოლისათვის? არც ეს საბუთი გამოდგება; თუ გვაქვს ჩვენ ნამდვილი მეცნიერება ლოგიკური ფორმების შესახებ, საშუალო სკოლისათვის ახალი მეცნიერების შექმნა ამ ფორმების შესახებ არ არის საჭირო: საკმარისია შეიქმნას ამ ნამდვილი მეცნიერების ელემენტარული კურსი და არა ცალკე მეცნიერება: ეს ელემენტარული კურსი იქნება ნამდვილი მეც-

¹ Арнольд, Арифметика, БСЭ. т. 3, стр. 13.

ნიერების ელემენტარული ნაწილი, ან, როგორც იტყვიან, ამ მეცნიერების შესავალი, პროპედევტიკული კურსი.

დ) ლოგიკის დახასიათება როგორც მეცნიერების, რომელიც სწავლობს სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს ერთმანეთისაგან იზოლირებულად, უძრავ მდგომარეობაში, წინააღმდეგობათა ბრძოლის გარეშე ნიშნავს ლოგიკის მეტაფიზიკასთან გაიგივებას და თუ ლოგიკას, მართლაც, ამისთანა ხასიათი აქვს, ცხადია, ის ჩვენი თვალსაზრისით მეცნიერება ვერ იქნება.

საქმე ის არის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები ლოგიკას კი არ ახასიათებს, არამედ—გარკვეულ მეთოდს, მეტაფიზიკურ მეთოდს, რომელიც არა მარტო ლოგიკას ახასიათებდა, არამედ ყველა მეცნიერებას ახასიათებდა დიალექტიკური მეთოდის გამომუშავებამდე. რას ნიშნავს იმის თქმა, რომ ლოგიკა შეისწავლის სინამდვილის მოვლენებსა და საგნებს ერთმანეთისაგან იზოლირებულად, განვითარების გარეშე, წინააღმდეგობათა ბრძოლის გარეშე, ხოლო დიალექტიკა შეისწავლის სინამდვილის მოვლენებსა და საგნებს ერთმანეთთან კავშირში, განვითარებაში, წინააღმდეგობათა ბრძოლის პროცესში, თუ არა მეტაფიზიკისა და დიალექტიკის დაპირისპირებას?

ლოგიკა არ არის შემეცნების მეთოდი, მეცნიერებათა მეთოდოლოგია; შემეცნების მეთოდი, მეცნიერებათა მეთოდოლოგია არის მატერიალისტური დიალექტიკა და, თუ ლოგიკას მივაწერთ შემეცნების მეთოდის, მეცნიერებათა მეთოდოლოგიის მნიშვნელობას, მას მეტაფიზიკად, მეტიც, სქოლასტიკად ვაქცევთ. მისი საგანია ლოგიკური ფორმები, — რაც შემეცნების პროცესის ერთ მხარეს წარმოადგენს, — და არა სინამდვილის საგნებისა და მოვლენების შესწავლისადმი ასეთი თუ ისეთი მიდგომა.

3. არსებობს თუ არა დიალექტიკური ლოგიკა და რას წარმოადგენს ის? იმ დისკუსიაში, რომელიც დღესაც არ დამთავრებულა, ეს საკითხი ყველაზე აქტუალურია. ლოგიკოსთა ერთი ჯგუფი, ეყრდნობა რა ენგელსისა და ლენინის მიერ ხმარებულ გამოთქმას დიალექტიკური ლოგიკის შესახებ; ამტკიცებს დებულებას იმის შესახებ, რომ დიალექტიკური მეთოდის გარდა, როგორც მეთოდის, არსებობს — ან ყოველ შემთხვევაში უნდა არსებობდეს, ე. ი. უნდა შეიქმნას — დიალექტიკური ლოგიკა. ძველი ლოგიკა ფორმალური ლოგიკაა, ის განიხილავს ლოგიკურ ფორმებს ერთიმეორის გვერდით და არა როგორც ერთმანეთიდან გამომდინარეს. განიხილავს ლოგიკური ფორმების ელემენტარულ პროცესებს; არსებობენ უფრო რთული ლოგიკური ფორმები, მაგალითად, თავისუბური ფორმის მსჯელობები, დასკვნები, რომლებსაც ფორმალური ლოგიკა არა თუ არ განიხილავს, არამედ ვერც განიხილავს ამ ლოგიკის შემოსაზღვრულობის გამო. ფორმალური ლოგიკა

რჩება მეცნიერებად, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ის ცალმხრივად განიხილავს ლოგიკურ ფორმებს, რომ დიალექტიკური აზროვნება განხვავებული ლოგიკური ფორმებით მიმდინარეობს. ამ ფორმების აღმოჩენა და გარკვევა მომავლის ამოცანაა; დიალექტიკური აზროვნების ლოგიკური ფორმების არე ჯერ ხელშეუხებელია, ჯერ ამ სფეროში თითქმის არაფერი გაკეთებულა და ახლა უნდა დავიწყოთ მუშაობა ამ დარგში.

ლოგიკოსების მეორე ჯგუფი იცავს იმ აზრს, რომ მეცნიერება ლოგიკური ფორმების შესახებ, ე. ი. მეცნიერება ცნებაზე, მსჯელობაზე, დასკვნაზე, დასაბუთებაზე ერთია და ეს მეცნიერება არის ლოგიკა. ლოგიკური ფორმები საერთო-საკაცობრიო ფორმებია; სწორი, თანმიმდევარი აზროვნება ამ ფორმებით მიმდინარეობს. ამ ლოგიკურ ფორმებს ახსნა სჭირდება: უნდა შეიქმნას ლოგიკური ფორმების თეორია. ის თეორია იქნება ჭეშმარიტი, რომელიც მათ ადევკატურად ასახავს. არსებობს არა ორი ლოგიკა, არამედ განსხვავებული თეორიები ლოგიკური ფორმების შესახებ. მარქსისტულ-ლენინური, დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდი გვაძლევს საშუალებას ეს ლოგიკური ფორმები მეცნიერულად შევისწავლოთ; სხვა დანარჩენი თვალსაზრისი, მეტაფიზიკური, იდეალისტური არ და ვერ არკვევს ამ ფორმებს მეცნიერულად. დიალექტიკური ლოგიკა კი არ არის მეცნიერება მსჯელობების, დასკვნების ახალი ფორმების შესახებ, რომლებიც თურმე მართლ დიალექტიკოსებს ახასიათებს და სხვას არა; დიალექტიკური ლოგიკა არის მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი, რომლის გამოყენება ლოგიკური ფორმების შესწავლისას შექმნის ლოგიკის ნამდვილ მეცნიერებას.

ა) რას გულისხმობენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები დიალექტიკური ლოგიკის ცნებაში? მხოლოდ და მხოლოდ მატერიალისტურ დიალექტიკას, დიალექტიკურ მეთოდს. ლენინი „ფილოსოფიურ რევოლუციაში“ სიტყვა „ლოგიკას“ ხმარობს დიალექტიკის აზრით. ლენინი წერს: „ჰეგელის ლოგიკის (დიალექტიკის) გეგმა“, მატერიალისტურად კითხულობს რა ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერებას“, ლენინი განსაზღვრავს ლოგიკას: „ლოგიკა არის მოძღვრება აზროვნების არა გარეგან ფორმებზე, არამედ „ყველა მატერიალური, ბუნებრივი და სულიერი საგნის განვითარების კანონების შესახებ, ე. ი. მთელი სამყაროს კონკრეტული შინაარსისა და მის შემეცნების განვითარების შესახებ, ე. ი. სამყაროს შემეცნების ისტორიის შედეგი, ჯამი, დასკვნა“¹.

ყოველივე ექვს გარეშეა, რომ ლენინს აქ მხედველობაში აქვს მატერიალისტური დიალექტიკა: მეცნიერება ყველა მატე-

¹ В. Ленин, Философские тетради, 1947, стр. 66.

რიალური, ბუნებრივი, სულიერი საგნის განვითარების კანონების შესახებ მატერიალისტური დიალექტიკაა; მთელი სამყაროს კონკრეტული შინაარსისა და მისი შემეცნების განვითარების შესახებ მეცნიერება, რასაკვირველია; დიალექტიკას წარმოადგენს. ამიტომ სიტყვა ლოგია ნახმარია აქ დიალექტიკის ნაცვლად და ეს განსაზღვრება ემთხვევა ენგელსის მიერ მოცემულ დიალექტიკის, როგორც მეცნიერების განსაზღვრებას.

ისიც ნათელი უნდა იყოს, რომ აქ ლენინი მსჯელობს არა ფორმალურ ლოგიკაზე, არამედ დიალექტიკურ ლოგიკაზე და ესმის ეს უკანასკნელი როგორც დიალექტიკა, დიალექტიკური მეთოდი.

მეორე ადგილას ლენინი წერს, რომ „კაპიტალში გამოყენებული ერთი მეცნიერების მიმართ მატერიალიზმის ლოგია, დიალექტიკა და შემეცნების თეორია (არ არის საჭირო 3 სიტყვა: ეს ერთი და იგივეა)“¹.

აქაც ლენინი აიგივებს ლოგიკასა და დიალექტიკას — „ეს ერთი და იგივეა“ — და, რასაკვირველია, მხედველობაში აქვს არა ფორმალური ლოგია, — რადგან ფორმალური ლოგიკის დიალექტიკასთან გაიგივება შეუძლებელია, — არამედ დიალექტიკური ლოგია, რომელიც იგივეა, რაც დიალექტიკა.

შრომაში „ერთხელ კიდევ პროფკავშირების შესახებ“ ლენინი, აკრიტიკებს რა თვალსაზრისს, რომლის მიხედვით ფორმალური ლოგია გამოყენებულია შემეცნების მეთოდად, აღნიშნავს, რომ ასეთი ლოგიკა მეტაფიზიკური და სქოლასტიკურია. დიალექტიკური ლოგია მოითხოვს: იმისათვის, რომ შევიცნოთ საგანი, უნდა შევისწავლოთ მისი ყველა მხარე, ყველა კავშირი და „გაშუალება“; უნდა განვიხილოთ საგანი მის განვითარებაში, „თვითმოძრაობაში“; საგნის მთლიან „განსაზღვრებაში“ უნდა იქნეს შეტანილი ადამიანთა მთელი პრაქტიკა; დიალექტიკური ლოგიკის მიხედვით ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია, აბსტრაქტული ჭეშმარიტება არ არსებობს².

რის შესახებ არის აქ საუბარი? ახასიათებს რა დიალექტიკურ ლოგიკას, ლენინი სრულიად აცარ მითითებს განსაკუთრებულ საგანს, რომელიც მან უნდა შეისწავლოს; ლენინი ახასიათებს მეთოდს, რომლითაც უნდა ვხელმძღვანელობდეთ სინამდვილის საგნის, მოვლენის შემეცნებისას, სულ ერთია რა საგანი იქნება, იქნება ეს საგანი ლოგიკური ფორმა, საზოგადოებრივი მოვლენა, სიცოცხლის პროცესი თუ სხვა რამ. ერთი სიტყვაც

¹ В. И. Ленин, Философские тетради, 1947, стр. 215.

² В. И. Ленин, Соч., Изд. IV, т. 32, стр. 73.

არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ დიალექტიკური ლოგიკის საგანი იგივეა, რაც ფორმალური ლოგიკის, ე. ი. ლოგიკური ფორმები. აქ, ვიმეორებთ, დახასიათებულია მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი, როგორც სინამდვილის მოვლენებისადმი მიდგომის, მათი შემეცნებლის მეთოდი.

ლენინი უპირისპირებს ამ მეთოდს ფორმალურ-ლოგიკურ მეთოდს, რომელიც შემეცნების მეთოდად იყო გამოყენებული და რომელიც მეტაფიზიკური და სქოლასტიკური იყო. „ფორმალური ანუ სქოლასტიკური ლოგიკა“, წერდა ლენინი, — ეს მეთოდი ცალმხრივად უდგებოდა საგნებს, იღებდა გარეგნულად, იზოლირებულად საგნის მხარეებს და შემდეგ ცდილობდა მათ შეერთებას ეკლექტიკურად. როგორც მეთოდი ის გამოდგება სკოლის დაბალ კლასებში და ისიც შესწორებებით. ლენინი აკრიტიკებს იმათ, ვინც ამ მეთოდით უდგება საგნის შემეცნებას და აღნიშნავს საგნის ყოველმხრივი შესწავლის აუცილებლობას, რასაც დიალექტიკური ლოგიკა მოითხოვს; ამას მოითხოვს „მარქსიზმი, ესე იგი დიალექტიკური ლოგიკა“¹.

ბ) ამრიგად, დიალექტიკური ლოგიკა, ე. ი. დიალექტიკური მეთოდი იმას კი არ გვასწავლის, თუ რა სახის დასკვნები არსებობს და მეცნიერებაში გამოიყენება, რაწესების მიხედვით ვაკეთებთ ჩვენ დანასკვს მოცემული წანამძღვრებიდან, როგორია მეთოდები ინდუქციური კვლევისა და დასაბუთებისა და სხვ. — დიალექტიკური ლოგიკა, როგორც დიალექტიკური მეთოდი, რომელიც სინამდვილის ანალოგს წარმოადგენს, გვასწავლის, როგორ უნდა მივუდგეთ სინამდვილის მოვლენების შემეცნებას.

ამდენად, დიალექტიკური ლოგიკა უკვე არსებობს, ის შექმნილია მარქსისა და ენგელსის მიერ, განვითარებულია ვ. ლენინის მიერ და აბსოლუტურად მცდარია აზრი, თითქოს ის ახლა უნდა შეიქმნას, რომ მისი შექმნა მომავლის საქმეა.

დიალექტიკური ლოგიკა კი არ უნდა შეიქმნას, არამედ მარქსისტული დიალექტიკური მეთოდით უნდა ვიხელმძღვანელოთ მოვლენების შესწავლისას, კერძოდ, ლოგიკური ფორმების შესწავლისას. იქნებ ამგვარად შესწავლილი ლოგიკური ფორმების შესახებ მეცნიერებას უნდა ვუწოდოთ „დიალექტიკური ლოგიკა?“ ეს არ იქნებოდა მართებული. ჯერ ერთი იმიტომ, რომ, როგორც გავარკვიეთ, დიალექტიკური ლოგიკის ცნებაში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს ესმით არა მოძღვრება ლოგიკური ფორმების შესახებ, არამედ მეთოდი მოვლენების შემეცნებისა, ეს ამ ტერმინის შინაარსის უკანონო შევიწროება იქნებოდა; და მეორეცაა ის, რომ მატერიალისტური დიალექტი-

¹ В. И. Ленин, Соч., Изд. IV, т. 32, стр. 73.

კური მეთოდით ვხელმძღვანელობთ ჩვენ მეცნიერებათა ყველა დარგში, მაგრამ ამის გამო ხომ არ ვხმარობთ გამოთქმებს: დიალექტიკური ისტორია, დიალექტიკური ბიოლოგია, დიალექტიკური ქიმია და სხვა.

გ) დიალექტიკური მეთოდი სინამდვილის მოვლენების შემეცნების ერთადერთი მეცნიერული მეთოდია. ლოგიკა როგორც მეცნიერება ლოგიკურ ფორმებზე, სწორი აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ არ გამოდგება ამგვარ მეთოდად; მისი ამგვარ მეთოდად გადაქცევა ნიშნავს მის მეტაფიზიკად, სქოლასტიკად გადაქცევას. შუალობითი შემეცნება — სულ ერთია, რა საგნებისა და კავშირებისა, მარტივისა თუ რთულისა, მოძრაებისა თუ შედარებით უძრაებისა — განხორციელდება ლოგიკური ფორმების საშუალებით, სწორი, თანმიმდევრული, ლოგიკური აზროვნების წესების მიხედვით. მეტაფიზიკოსიც და დიალექტიკოსიც ამ ფორმებით აზროვნებს: ლოგიკური ფორმები საერთო-საკაცობრიო ფორმებია. დიალექტიკა ბატონობს მთელ სინამდვილეში; მაგრამ სინამდვილის შემეცნება შეუძლებელია ლოგიკის პრინციპების დაცვის გარეშე.

სწორი, თანმიმდევარი აზროვნება აუცილებელი პირობაა სინამდვილის შემეცნებისა, მაგრამ სინამდვილის არც ერთი სფეროს შემეცნებისათვის ის არ არის საკმარისი.

მხოლოდ ლოგიკის პრინციპების საშუალებით შეუძლებელია საკითხის გადაწყვეტა, სასარგებლოა წვიმა თუ საზიანოა, შესაძლებელია თუ არა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენება, კარგია თუ არა დემოკრატიული რესპუბლიკა, იარსებებს სახელმწიფო კომუნისტურ საზოგადოებაში თუ არა და სხვ. ლოგიკის კანონების საშუალებით უნდა ითქვას, რომ წვიმა არ შეიძლება იყოს სასარგებლოც და საზიანოც ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე მიმართებაში; როდის არის წვიმა სასარგებლო ან საზიანო და რა მიმართებაში. ეს გადაწყვეტა კონკრეტული პირობების გამოკვლევით; დემოკრატიული რესპუბლიკა არ შეიძლება კარგიც იყოს და ცუდიც ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე მიმართებაში; როდის არის ის კარგი და როდის ცუდი, რის მიმართ კარგია და რის მიმართ ცუდი, ამის ცოდნა დამოკიდებულია დროის, ადგილის, გარემოების კონკრეტული პირობების შესწავლაზე.

1. ცნება და მსჯელობა

ტრადიციული ლოგიკა განიხილავს აზროვნების ფორმებს — ცნებას, მსჯელობას და დასკვნას — იმ თანმიმდევრობით, რომელიც არისტოტელედან მომდინარეობს; ჯერ განიხილულია ცნება, რომელიც განისაზღვრება როგორც აზრი საგნის ან საგანთა კლასის არსებითი ნიშნების შესახებ. მას მოჰყვება მოძღვრება მსჯელობაზე; მსჯელობა განისაზღვრება როგორც აზრი საგანზე, რომლის შესახებ რაიმე დასტურდება ან უარიყოფება. და ბოლოს, განიხილება მოძღვრება დასკვნაზე; დასკვნა განისაზღვრება როგორც მსჯელობათა კავშირი, რომელშიც ერთი ან რამდენიმე მსჯელობიდან გამომდინარეობს აუცილებლობით ახალი მსჯელობა.

რასაკვირველია, პედაგოგიური თვალსაზრისით მოძღვრება აზროვნების ლოგიკური ფორმების შესახებ შესაძლებელია დაეწყოს როგორც მოძღვრებით ცნების შესახებ, ისე მოძღვრებით მსჯელობის ან დასკვნის შესახებ. ლოგიკის სწავლების პრაქტიკამ უნდა გადაწყვიტოს საკითხი, რომელია ამ პედაგოგიურ ხერხთაგან მისაღები, მიზანშეწონილი.

მაგრამ ტრადიციულ ლოგიკაში აზროვნების ლოგიკური ფორმების განხილვას გარკვეული თანმიმდევრობით ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა. ფორმალისტური და იდეალისტური ლოგიკა, რომელიც იწყებდა ცნებით ლოგიკური ფორმების განხილვას, მსჯელობას ცნებათა კავშირად თვლიდა. ტრადიციული ლოგიკა ლოგიკის ძირითად ობიექტად თვლიდა დასკვნას; მაგრამ პირდაპირ და უშუალოდ დასკვნის შესახებ მოძღვრებით როდი იწყებოდა; იგი, მიუთითებდა რა დასკვნის რთულ სტრუქტურას, დაშლიდა მას შემადგენელ ელემენტებზე — მსჯელობებზე; მხოლოდ ამ ელემენტების შესწავლის შემდეგ გადადიოდა იგი დასკვნის თეორიაზე. მაგრამ აქაც იგივე მდგომარეობა მეორდებოდა: მსჯელობაც შედარებით რთული სტრუქტურის მქონეა, ისიც გარკვეული ელემენტებისაგან შედგება, სახელდობრ, ცნებებიდან. აქედან ნათელი ხდება მთელი ლოგიკის აგებულება: ჯერ მოძღვ-

რება უმარტივეს ელემენტებზე — ცნებებზე —, შემდეგ მოძღვრება ამ ელემენტთა კავშირებზე — მსჯელობებზე —, და ბოლოს, მოძღვრება მსჯელობათა კავშირებზე — დასკვნებზე.

რადგან ასეთ თანმიმდევრობას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ტრადიციული ლოგიკისათვის, ცხადი ხდება, რომ ეს ლოგიკა ვერ გააჩვევდა ნამდვილ დამოკიდებულებას ცნებებსა, მსჯელობებსა და დასკვნებს შორის.

გაურკვეველს, ხშირად არამართებულ გაგებას ცნებისა და მსჯელობის დამოკიდებულების შესახებ თავისი დასკვნებიც ჰქონდა. ლოგიკის სახელმძღვანელოების უმრავლესობაში გატარებული იყო აზრი, რომლის მიხედვით ჭეშმარიტებისა და მცდარობის ნიშანი ახასიათებს მხოლოდ მსჯელობებს; რაც შეეხება ცნებებს, მათ მიმართ ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანი გამოუყენებელია: ცნება არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. ასე, მაგალითად, მსჯელობა: „ადამიანი იარაღების მკეთებელი ცხოველია“ ჭეშმარიტია, ხოლო მსჯელობა „ლითონი არ ატარებს ელექტრობას“ მცდარია. რაც შეეხება ცნებებს — „ადამიანი“, „იარაღის მკეთებელი“, მეტიც, „იარაღის მკეთებელი ადამიანი“ და „ელექტრობის გამტარი ლითონი“ და სხვ. არ არის არც ჭეშმარიტი და არც მცდარი.

ეს თვალსაზრისი არსებითად მცდარია და ეს შეცდომა გამომდინარეობს ცნებისა და მსჯელობის მცდარი გაგებიდან.

საქმე ის არის, რომ მსჯელობა ამ თვალსაზრისის მიხედვით გაგებულია როგორც ცნებათა კავშირი, იგულისხმება რა, რომ ცნებები უკვე წინასწარ მოცემულია, რომ ისინი მსჯელობაზე აღრე არსებობენ, ხოლო მსჯელობა წარმოიშობა ამ ცნებათა კავშირისა და მიმართების საფუძველზე, ამ გარემოებამ განსაზღვრა მსჯელობის განხილვა ცნებათა განხილვის შემდეგ ტრადიციულ ლოგიკაში.

ნამდვილად ცნებათა და მსჯელობათა დამოკიდებულება გაცილებით უფრო რთულია. ვიდრე ეს ტრადიციულ ლოგიკას ჰქონდა წარმოდგენილი.

როგორც ვიცით, ადამიანის მიერ სინამდვილის შემეცნება იწყება ცოცხალი განჭკვრეტით, რომელიც ადამიანთა პრაქტიკით არის გაპირობებული. ამ პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში ადამიანები შეიცნობენ ცალკეულ საგნებსა და მოვლენებს, მათ ცალკეულ თვისებებს, მათ კავშირებსა და მიმართებებს. ამ საგნებისა და მოვლენების, მათი თვისებების, კავშირებისა და მიმართებების ასახვა ცნობიერებაში, მსჯელობებში გამოიხატება. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს უკვე ცნებებთან: ცნება აზრია. რომელიც საგანთა კლასის არსებით ნიშნებს ასახავს; არსებითი ნიშნები უშუალოდ, არ აღიქმებიან. როგორც წესი, უშუალოდ აღიქმება ცალკეული, ინდივიდუალური საგ-

ნები და მოვლენები, არაარსებითი ნიშნები, ზედაპირული, გარეგანი კავშირები და მიმართებანი. სინამდვილის შემეცნების პროცესის დასაწყისში ჩვენ სწორედ ამ ცალკეული საგნების, ნიშნების, კავშირების შესახებ გამოვთქვამთ აზრს. მსჯელობებს გამოთქვამს არა მხოლოდ მეცნიერი, რომელიც ცნებებით აზროვნებს, არამედ ყოველი ადამიანი, რომელიც გამოთქვამს აზრს რაიმე კონკრეტულ საგანზე, მის თვისებაზე; მსჯელობებს გამოთქვამს ბავშვიც, რომელსაც ჯერ არა აქვს ცნებები. მსჯელობები: 1) თ ე ვ ზ ი წყალში ცხოვრობს, 2) ც ხ ე ნ ი წაიქცა, 3) ფეხი წამოგყარი ქ ვ ა ს და დავეცი და სხვა, ყველასათვის გასაგებია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ყველას აქვს ცნება თევზის, ქვის, ცხენის და სხვ. ჩვენ ვხმარობთ ამ სიტყვებს, გვესმის ისინი, მაგრამ ამ სიტყვებში ჩვენ მიერ ნაგულისხმევი მნიშვნელობები ჯერ არ წარმოადგენენ ცნებებს. ბავშვი იტყვის „დედა მოვიდა“, მაგრამ მას ჯერ სრულიადაც არა აქვს დედის ცნება, მიუხედავად იმისა, რომ მან უკვე მსჯელობა გამოთქვა.

ტრადიციული ლოგიკის მომხრეები თვითონ აღიარებენ, რომ ცნების შემუშავებისათვის საჭიროა განყენება, განზოგადება და სხვ. მაგრამ განყენების და განზოგადების პროცესი მსჯელობებისა და დასკვნების გარეშე წარმოუდგენელია.

ამრიგად, ჩვენ გამოვთქვამთ მსჯელობებს, მაგრამ სრულიადაც არ არის აუცილებელი, რომ ამ მსჯელობებში ცნებები იყოს მოაზრებული

ყოველი სიტყვა რაიმეს აღნიშნავს; ყოველ სიტყვას აქვს გარკვეული მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა ასახავს საგანთა განმასხვავებელ ნიშნებს. ცნებაც ასახავს საგანთა განმასხვავებელ ნიშნებს. მაგრამ სიტყვის მნიშვნელობა მაინც არ ემთხვევა ცნების შინაარსს. საქმე ის არის, რომ ცნებაში ასახულია საგანთა კლასის ყველა ზოგადი და არსებითი ნიშანი; მასში ფიქსირებულია მეცნიერული შემეცნების შედეგი. სიტყვის მნიშვნელობაში კი იგულისხმება მხოლოდ ზოგადი განმასხვავებელი ნიშნები, ისეთი ნიშნები, რომელნიც გვაძლევენ ჩვენ საშუალებას განვასხვავოთ საგანთა ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფისაგან. მაგალითად, თუ ზოოლოგი (ანდა მეცნიერი ვეტერინარი) ესაუბრება მოწაფეს ცხენზე, ცხადია, ორივემ იცის რაზეა საუბარი, რადგან ორივეს ესმის სიტყვის მნიშვნელობა, ორივე გამოყოფს, განასხვავებს ცხენს სხვა ცხოველებისაგან, მაგრამ მეორეს შეიძლება სრულიადაც არ ჰქონდეს ცხენის ცნება, ხოლო პირველს ეს ცნება აქვს.

შემეცნების განვითარების პროცესში ცოცხალ განჭვრეტასთან, აღქმასთან დაკავშირებულ მსჯელობებს გამოვთქვამთ. მსჯელობაში ხმარებული სიტყვის მნიშვნელობა ვიცით, ხშირად ამ სიტყვებით აღქმაში მოცემულ ცალკეულ საგანს აღვნიშნავთ, ხშირად საქმე მხოლოდ

წარმოდგენებთან გვაქვს, ხშირად საგნის იმ განსაკუთრებულ ნიშნებს ვგულისხმობთ, რომლებითაც ერთი საგანი სხვა საგნებისაგან განსხვავდება.

მხოლოდ ცოცხალი განჭკვრეტიდან აბსტრაქტულ აზროვნებაზე გადასვლით იწყება ნ ა მ დ ვ ი ლ ი ცნებების გამომუშავება. შემეცნების პროცესში ჩვენ უკუუვაგდებთ, როგორც შემთხვევითს, ნიშანთა მთელ რიგს, გამოვყოფთ არსებითს იმისაგან, რაც გვევლინება, და მათ ერთმანეთს დაუპირისპირებთ. მოვლენის არსება, ზოგადი უშუალოდ რომ გვეძლეოდეს „ინტელექტუალური ინტუიციით“, „არსების კვრეტი“ როგორც ამის დამტკიცებას ცდილობენ იდეალიზმის გარკვეული სკოლები, მაშინ, რასაკვირველია, ცნება რჩებოდა პირველადი, იგი შემეცნების ყოველგვარი განვითარების გარეშე ასახავდა საგანთა არსებას. მაგრამ ეს ინტუიციონისტური და მისტიკური ხედვა ეწინააღმდეგება შემეცნების განვითარების ხანგრძლივსა და რთულ გზას.

შემეცნება მიდის მოვლენიდან არსებისაკენ, ცალკეულიდან — ზოგადისაკენ. ეს გზა განხორციელდება პირველ რიგში მსჯელობების საშუალებით. ჯერ არც ზოგადი და არც არსება არ არის შეცნობილი, მაგრამ რიგი მსჯელობებისა უკვე ნაწარმოებია. შევიცნობთ საგანთა და მოვლენათა ნიშნებს და მათ მსჯელობებში გამოვთქვამთ; საგნები და მოვლენები ერთმანეთთან მრავალნაირ კავშირში, მიმართებაში იმყოფებიან. ამ კავშირებში, მიმართებებში გამოამყლავნებენ ისინი თავიანთ თვისებებს. ჩვენ ვადარებთ ამ საგნებს, მათ თვისებებს, კავშირებს, შევიცნობთ მათ შორის განსხვავებას, მათ მსგავსებას გარკვეული მიმართებით, ე. ი. მათ იგივეობას, განვასხვავებთ შემთხვევით ნიშნებს არსებითისაგან; შემეცნების ყველა ეს აქტი, პირველ რიგში, მსჯელობებში გამოიხატება; პირველ რიგში, ვამბობთ ჩვენ, რადგან მხოლოდ მსჯელობები არ არიან საკმარისნი ამ პროცესებისათვის: შემეცნების აღწერილი პროცესისათვის ჩვენ მიემართავთ დასკვნებს, დასკვნათა მწკრივს — დასაბუთებას. ცნება არ არის აზროვნების პირვანდელი ფორმა: იგი, გარკვეული აზრით, აზრის უკანასკნელი ფორმაა, იგი მრავალი მსჯელობისა და დასკვნის რეზულტატია.

მსჯელობები მონაწილეობენ შემეცნების დიალექტიკური გზის ყველა საფეხურზე. ცოცხალი განჭკვრეტის შედეგებიც მსჯელობაში გამოიხატება. აბსტრაქტული აზროვნებაც მიმდინარეობს მსჯელობების ფორმით, ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობა და ჩვენი აზრების პრაქტიკაში შემოწმებაც გულისხმობს მსჯელობებს.

მსჯელობის გაგება, როგორც ცნებათა კავშირის, იმის მტკიცებას ნიშნავს, თითქოს მსჯელობებს ადგილი აქვთ შემეცნების მხოლოდ მეორე საფეხურზე, აბსტრაქტული, ცნებითი აზროვნების საფეხურზე. ნამდვილად, უკვე ცოცხალ განჭკვრეტაში შეჭრილია აზრი და უკვე

ამ საფეხურზე არსებობენ მსჯელობები. ასე რომ არ ყოფილიყო, ადამიანი ვერასოდეს ვერ გადავიდოდა ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტულ აზროვნებაზე, ვერ მიაღწევდა ცნებით აზროვნებას.

კაპიტალიზმის, ელექტრონის, მსოფლიო მიზიდულობის, ძუძუმწოვრის, საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის, ბაზისისა და ზედნაშენის ცნებები და გაცილებით უფრო მარტივა ცნებები, მაგალითად, ხის, ქვის და სხვ. შემუშავდნენ შესაბამისი მასალის ხანგრძლივი და ღრმა შესწავლის საფუძველზე. ამ შესწავლის პროცესში აღამიანებმა შეიცნეს საგანთა და მოვლენათა თვისებები, დააყენეს ცდები, წამოაყენეს დებულებები — მსჯელობები. დაყენებული ცდების საფუძველზე გააკეთეს დასკვნები, ზოგიერთი დებულება დაასაბუთეს, ზოგიერთი როგორც მცდარი უარყვეს, შეამოწმეს მიღებული დებულებები პრაქტიკაში და შეიმუშავეს ესა თუ ის ცნებები.

ასე, მაგალითად, საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ცნების შემუშავებისათვის მარქსმა და ენგელსმა დაამუშავეს კაცობრიობის ისტორიული განვითარების უშველგელი მასალა, გააანალიზეს საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის ხასიათი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე და სხვ.

და მხოლოდ ყველა ამის საფუძველია და ღრმად შესწავლის საფუძველზე ჩამოაყალიბეს საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ნამდვილად მეცნიერული ცნება.

ასევე, ლენინს მოუხდა დაემუშავებია და შეესწავლა აუარებელი მასალა, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებას ეხება, რათა აღმოეჩინა მისი არსებითი მხარეები, დაესაბუთებინა არათანაბარი განვითარების კანონი და სხვ. და მხოლოდ ყველა ამის საფუძველზე ჩამოაყალიბა ერთადერთი მართებული, მეცნიერული ცნება იმპერიალიზმისა.

ლენინი აღნიშნავდა: ენგელსი ხშირად იმეორებდა, ბუნებისმეტყველებმა უნდა იცოდნენ, რომ ბუნებისმეტყველების შედეგები (ИТОГИ) ცნებებს წარმოადგენენ¹.

ეს დებულება შეიძლება გავავრცელოთ ყველა მეცნიერებაზე: ყველა მეცნიერების — როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საზოგადოებრივის — შედეგი ცნებებია.

აქედან ორი დებულება გამომდინარეობს: 1) მსჯელობის გაგება, როგორც უსათუოდ ცნებების შეერთება, კავშირი მცდარია; 2) ჭეშმარიტებისა და მცდარობის ნიშანი ახასიათებს არა მხოლოდ მსჯელობებს, არამედ ცნებებსაც.

როდესაც არისტოტელე და მის შემდეგ ტრადიციული ლოგიკა

¹ В. И. Ленин, Философские тетради, стр. 272

აღიარებდა, რომ ჭეშმარიტებისა და მცდარობის ნიშანი არ ახასიათებს ცნებებს, ეს განსაზღვრული იყო იმით, რომ ისინი შეგნებულად თუ შეუგნებლად ცნების ნაცვლად სიტყვაზე მსჯელობდნენ. სიტყვები: „კაპიტალიზმი“, „დემოკრატია“, „ლითონი“, „პეგასი“ და სხვ., რასაკვირველია, არც ჭეშმარიტი და არც მცდარია. მაგრამ ეს სრულიად არ ეხება ცნებებს.

ცნება საგანთა არსების ასახვაა, საგნის არსებითი ნიშნების ასახვაა და, როგორც ასეთი, ის არ შეიძლება არ იყოს არც ჭეშმარიტი და არც მცდარი. ცნება აზრია; ცნებაში მოიაზრება საგანთა გარკვეული მხარეები, არსებითი ნიშნები. აზრები ამ ნიშნების შესახებ ან სწორად ასახავენ სინამდვილეს, ანდა ამახინჯებენ მას, ე. ი. ისინი ან ჭეშმარიტია, ან მცდარია. კაპიტალიზმის ცნებაში მოაზრებულია არა რალაც გაურკვეველი, უფორმო, რის შესახებ არ შეიძლება ითქვას ჭეშმარიტია იგი თუ მცდარია, ამ ცნებაში მოიაზრება საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია, საზოგადოებრივი წარმოებისა და კერძო მითვისების ნიშნები. და თუ ეს ნიშნები ნამდვილად ახასიათებენ კაპიტალიზმს, მის არსებით ნიშნებს წარმოადგენენ, მაშინ კაპიტალიზმის ცნება ჭეშმარიტია, რადგან იგი ადეკვატურად ასახავს სინამდვილეს. ჩვენი აზრით, იმპერიალიზმის იდეოლოგიების მიერ შექმნილი ცნებები დემოკრატიის, თანასწორობის, თავისუფლებისა — მცდარია, რადგან ეს ცნებები ამახინჯებენ დემოკრატიის, თავისუფლებისა და სხვ. ნამდვილ ნიშნებს.

სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო: თუ ცნებები მსჯელობათა შედეგია, ხოლო მსჯელობებს უსათუოდ ახასიათებს ჭეშმარიტებამცდარობის ნიშანი, შეუძლებელია მსჯელობათა რეზულტატი ამ ნიშნების გარეშე აღმოჩნდეს.

ლენინი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ცნებები ასახავენ სინამდვილეს: ცნებების შემუშავება უკვე გულისხმობს სამყაროს ობიექტური კავშირების ცოდნას, მარტივი ცნების შემუშავება ნიშნავს უკვე სამყაროს ობიექტური კავშირის ღრმა შემეცნებას¹. ჰეგელის გამოთქმა — „ცნებები ბუნების სულს წარმოადგენენ“, — ლენინის აზრით, არის მისტიკურ ენაზე იმის თქმა, რომ ცნებები ასახავენ ბუნებას².

ჩვენ დავადგინეთ, რომ ცნებები მსჯელობების (და დასკვნა-დასაბუთების) რეზულტატია. მაგრამ, მეორე მხრივ, მსჯელობათა საშუალებით შემუშავებული ცნებები თვითონ იღებენ მონაწილეობას ახალ მსჯელობებში. მსჯელობებში: „ლითონი ელექტრობის გამტარია“, „სოციალისტურ საზოგადოებაში არ არსებობენ ანტაგონისტური კლასები“³,

¹ В. И. Ленин, Философские тетради, стр. 153.

² იქვე, გვ. 266.

ელემენტები, რომელთაგან შენდება ეს მსჯელობები, სახელდობრ, „ლი-
თონი“, „ელექტრობის გამტარი“, „სოციალისტური საზოგადოება“ და
სხვ., ცნებებს წარმოადგენენ. აქ, რასაკვირველია, არავითარ წინააღმდე-
გობას არა აქვს ადგილი: შემეცნების პროცესში მსჯელობათა საშუალე-
ბით შემუშავდებიან ცნებები, ხოლო ეს ცნებები შემეცნების შემდგომ
საფეხურზე ახალი მსჯელობის ელემენტებად გამოდიან. და ისევე: ამ
ახალი მსჯელობების საშუალებით ხდება ახალი ცნებების შემუშავება,
ძველი ცნებების დაზუსტება, — ისინი უფრო ღრმად, უფრო ადეკვა-
ტურად ასახავენ სინამდვილეს.

ასე, მაგალითად, ლენინმა შეიმუშავა დიდი მასალის შესწავლის სა-
ფუძველზე იმპერიალიზმის ცნება. ამ ცნების ჩამოყალიბების პრო-
ცესში მან წამოაყენა და დაასაბუთა დებულებათა (მსჯელობათა) მთე-
ლი რიგი. ამ მსჯელობებში და მათი დასაბუთების პროცესში მან გამოი-
ყენა ცნებათა მთელი რიგი, რომელიც უკვე იყო ჩამოყალიბებული
მარქსიზმის კლასიკოსების მიერ: ასეთია, მაგალითად, ცნებები: წარ-
მოების, კაპიტალის, საფინანსო კაპიტალის, მონოპოლიის და სხვ.

შემეცნების პროცესში ცნებები და მსჯელობები არ არიან მოწყვე-
ტილი ერთიმეორისაგან; არ არიან მოწყვეტილი არა იმ აზრით, რომ
მსჯელობა ცნებებისაგან შედგება და ამიტომ ისინი ერთმანეთთან და-
კავშირებულნი არიან. არ არიან მოწყვეტილი იმ აზრით, რომ ისინი ერ-
თმანეთს გააპირობებენ, ერთიმეორეში გადადიან, მსჯელობათა საშუა-
ლებით იქმნებიან ცნებები და ცნებებიდან იქმნებიან ახალი მსჯელო-
ბები

2. ნიშანი. არსებითი და არაარსებითი ნიშნები

საგანთა და მოვლენათა შემეცნების დროს — და პირველ რიგში
პრაქტიკის პროცესში, ე. ი. ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების პრო-
ცესში, იმ დროს, როდესაც შემეცნების პროცესი ჩაქსოვილია ადამი-
ანთა პრაქტიკულ მოღვაწეობაში — ადამიანი ადვილად ამჩნევს სა-
განთა შორის მსგავსებასა და განსხვავებას. ჩვენ ვამბობთ, რომ ერთი
საგანი ემსგავსება მეორეს, განსხვავდება მესამისაგან. ასე, მაგალითად,
პეტრე ჰგავს პავლეს და განსხვავდება ივანესაგან; სახალხო დემოკრა-
ტიული სახელმწიფოები ერთმანეთს ემსგავსებიან და იმპერიალისტურ-
ი ქვეყნებისაგან განსხვავდებიან. კიდევ მეტი: ერთი საგანი ჰგავს მე-
ორეს და მისგან განსხვავდება კიდევ: მაგალითად, მუხა ჰგავს ფიჭვს
და მისგან განსხვავდება. იმას, რითაც საგნები ერთმანეთს ემსგავსებიან
ან რითაც ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ნიშანი ეწოდება.
ერთი და იგივე ნიშანი შეიძლება იყოს საგანთა შორის მსგავსებისაც
და განსხვავების მაჩვენებელიც. ასე, მაგალითად, მეტყველება არის ადამი-
ანთა შორის მსგავსების ნიშანი, ხოლო განსხვავების ნიშანია ადამი-

ანთა და სხვა ცხოველთა შორის; მოპირდაპირე გვერდების პარალელობა ნიშანია, რომლითაც პარალელოგრამები ერთმანეთს ემსგავსებიან, ხოლო იგივე ნიშანი განასხვავებს მათ ტრაპეციებისაგან.

ნიშანი შეიძლება ახასიათებდეს ერთს, რომელიმე განსაკუთრებულ საგანს, მაგალითად, ნიშანი „ლოგიკის დამაარსებლისა“ ახასიათებს არისტოტელეს. ნიშანი შეიძლება ახასიათებდეს საგანთა კლასს, მაგალითად, ნიშანი „იმპერიალისტური სახელმწიფოსი“ ახასიათებს დღეს სახელმწიფოთა მთელ რიგს. ნიშანი „ლოგიკოსისა“ ახასიათებს ადამიანთა დიდ ჯგუფს. ამის საფუძველზე განასხვავებენ ინდივიდუალურსა და ზოგად ნიშნებს: ინდივიდუალური ნიშანი ახასიათებს ერთეულ საგანს, ხოლო ზოგადი ნიშანი საგანთა კლასს.

ყველა ნიშანს როდი აქვს ერთნაირი მნიშვნელობა, ერთნაირი ღირებულება. საგანს, მოვლენას მრავალი ნიშანი აქვს; ზოგიერთ მათგანს მეტი მნიშვნელობა აქვს, ხოლო ზოგიერთს ნაკლები. კვადრატისათვის გვერდების ტოლობას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე გვერდების სიდიდეს. იარაღების კეთების ნიშანი უფრო მნიშვნელოვანი ნიშანია ადამიანისათვის, ვიდრე, მაგალითად, კანის ფერი. რით განისაზღვრება ნიშნის მეტ-ნაკლები მნიშვნელობა საგნისათვის? კვადრატისათვის გვერდების ტოლობა აუცილებელი ნიშანია; ამ ნიშნის გარეშე კვადრატი არ არსებობს; გვერდის ასეთსა თუ ისეთ სიდიდეს არა აქვს მნიშვნელობა: კვადრატი კვადრატად რჩება, რა სიდიდისაც არ უნდა იყოს გვერდი. ადამიანისათვის იარაღების კეთების ნიშანი აუცილებელია; ამ ნიშნის გარეშე ადამიანი აღარ არის ადამიანი; რაც შეეხება კანის ასეთსა თუ ისეთ ფერს, ეს ნიშანი სრულიადაც არ არის ადამიანისათვის დამახასიათებელი: ადამიანი ადამიანად რჩება, იმისდა მიუხედავად თეთრი კანი აქვს მას თუ შავი.

ნიშნებს, რომლებიც აუცილებლად ახასიათებენ საგნებს და მათ მნიშვნელოვან მხარეებს წარმოადგენენ, არსებითი ნიშნები ეწოდებათ. ეს განსაზღვრება წინასწარია, იგი არ არის მთლად ზუსტი, რადგან ნიშნების მეტ-ნაკლები მნიშვნელობის საკითხი კიდევ მოითხოვს განმარტებას.

ზოგიერთი ლოგიკოსი ფიქრობს, რომ არსებითი ნიშნები შეფარდებითი ხასიათისაა, შეფარდებითი იმ აზრით, რომ ისინი ჩვენ თვალსაზრისზე არიან დამოკიდებული. თუ ჩვენ, მაგალითად, განვიხილავთ ხეს სხვადასხვა თვალსაზრისით, მაშინ, ფიქრობენ ეს ლოგიკოსები, სხვადასხვა ნიშანი იქნება არსებითი. სახელდობრ, თუ განვიხილავთ ხეს როგორც მცენარეს, ერთ შემთხვევაში როგორც მასალას ანძებისათვის, მეორე შემთხვევაში როგორც მასალას ავეჯის დასამზადებლად მესამეში და სხვ., ჩვენ ხან ერთ მხარეს მივაქცევთ ყურადღებას, ხან მეორეს, და ა. შ. იმის მიხედვით, თუ ჩვენს რა მოთ-

ხოვნილებას აკმაყოფილებს ესა თუ ის მხარე. რასაკვირველია, ხშირად ჩვენ იმ ნიშანს ვაქცევთ ყურადღებას, რომელიც ჩვენ გვპირდება, რომელიც ჩვენ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. მაგრამ ამ თვალსაზრისით ყველა ნიშანი უნდა იყოს არსებითი, რადგან ყოველ ნიშანს შეუძლია დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნილება სხვადასხვა პირობებში.

ყოველი საგანი, ყოველი მოვლენა წარმოადგენს არსებისა და მოვლენის ერთიანობას, ზოგადისა და ცალკეულის ერთიანობას. მოვლენა არსებას გამოავლენს და ამიტომ თვითონ არსებითია. ამდენად არაარსებითიც შეიძლება გახდეს არსებითი, რადგან იგი არსების გამოვლენაა. კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარება არ იყო კაპიტალიზმის არსებითი ნიშანი მისი აღმავლობის პერიოდში; მაგრამ იმპერიალიზმის პერიოდში ეს ნიშანი არსებითი გახდა. მაგრამ ეს ნიშანი არსებითი გახდა არა იმიტომ, რომ ჩვენ კაპიტალიზმის განხილვა დავიწყეთ რაღაც ახალი თვალსაზრისით, არამედ იმიტომ, რომ იგი თვითონ კაპიტალიზმის კანონზომიერების განვითარებას წარმოადგენს; შეიცვალა არა თვალსაზრისი, არამედ თვით კაპიტალიზმი: სამრეწველო კაპიტალიზმი შეიცვალა მონოპოლისტური კაპიტალიზმით.

ამ აზრით არსებითი ნიშნის ცნება შეფარდებითია; სინამდვილის განვითარების პროცესში არსებითი ნიშანი შეიძლება არაარსებითი გახდეს და, პირიქით.

მეორე მხრივ, არსებითი ნიშნების შეფარდებითობა დამოკიდებულია ცოდნის შეფარდებითობაზე, ჩვენი შემეცნების განვითარებაზე. შემეცნების განვითარების პროცესში ის, რაც არსებითად მიგვაჩნდა, შესაძლებელია ნაკლებ არსებითი ანდა არაარსებითი აღმოჩნდეს: ჩვენი ცოდნა შეფარდებითია, იგი, ასახავს რა სინამდვილეს, უახლოვდება მას ასიმპტოტურად, სინამდვილის სურათი შესწორებას განიცდის, სინამდვილის უფრო და უფრო ადეკვატური ხდება და შემეცნება სულ უფრო ღრმად იჭრება მოვლენაში, მის არსებაში. შემეცნება მიდის მოვლენიდან არსებისაკენ, პირველი რიგის არსებიდან მეორე რიგის არსებისაკენ და ასე დაუსრულებლად.

უშუალო ცოდნა არ და ვერ წვდება მოვლენის არსებას. იგი მოვლენის ზედაპირის ცოდნას გვაძლევს, მაგრამ მოვლენა არ არის არსებას მოწყვეტილი; არსება მოვლენაშია, იგი მოვლენათა კანონზომიერებაა. მათი შინაგანი კავშირი და მიმართება, ის არის, რაც მოვლენათა მრავალსახიანობის ერთიანობას შესაძლებლად ქმნის.

არსება მოვლენათა კანონზომიერებაა, საგანთა და მოვლენათა შინაგანი სტრუქტურაა, შინაგანი კავშირი და მიმართებაა. ამიტომ საგანთა და მოვლენათა არსებითი ნიშნები არსების ნიშნებია, კანონზომიერების, სტრუქტურის ნიშნებია. კაპიტალიზმის არსება მისი

კანონზომიერებაა. აღმოაჩენს რა იმპერიალიზმის არსებას, ლენინი ჩამოაყალიბებს ნიშნებს, რომელთა ერთობლიობა და კავშირი იმპერიალიზმის კანონზომიერებას, მის სტრუქტურას წარმოადგენს. ჩამოაყალიბებს რა ერის არსებით ნიშნებს, ი. სტალინი ერის სტრუქტურას, მის კანონზომიერებას დაადგენს. არც ერთი ნიშნის გამოტოვება არ შეიძლება, თუ არ გვინდა ამ სტრუქტურის დარღვევა, ყველა ეს ნიშანი ერთ მთლიანობაშია შეკავშირებული. წარმოადგენს მთლიანობას — ერს.

არსებითი ნიშნები, რომლებიც საგანთა და მოვლენათა კანონზომიერებას, მის სტრუქტურას, მის შინაგან კავშირებსა და მიმართებებს გამოხატავენ, აუცილებელი და საკმარისია იმისათვის, რომ საგანთა კლასი განვასხვავოთ საგანთა მეორე კლასისგან¹. ყველა დანარჩენი ნიშანი სინამდვილის განვითარების მოცემულ ეტაპზე და შემეცნების განვითარების მჭიდროდ არაარსებითია.

აზრი, რომელიც საგანთა და მოვლენათა არსებით ნიშნებს ასახავს, ცნებას წარმოადგენს. ზემონათქვამიდან ცხადი უნდა იყოს, რომ ცნება ასახავს საგანთა სტრუქტურას, მათ არსებას ანუ კანონზომიერებას.

ლოგიკის სახელმძღვანელოებში ხშირად ხმარობენ გამოთქმას „ცნების ნიშნები“. რასაკვირველია, ცნებასაც აქვს ნიშნები; ცნებაც წარმოადგენს შესწავლის საგანს; ჩვენ განვასხვავებთ ცნების ერთ სახეს მეორე სახისაგან, მაგალითად, ზოგად ცნებას ერთეულისაგან, დადებითს უარყოფითისაგან და სხვ. ამის მიხედვით ცნებასაც აქვს ნიშნები, მაგრამ ლოგიკის სახელმძღვანელოებში მსჯელობენ არა ამ ნიშნებზე. გამოთქმაში „ცნების ნიშნები“ გულისხმობენ ხშირად საგნის ნიშნებს. ასე, მაგალითად, მოკვდავობას მიაწერენ ადამიანის ცნებას, ელექტრობის გამტარობას — ლითონის ცნებას. ნამდვილად ამ ცნებებს, რასაკვირველია, არ ახასიათებს ზემოთ აღნიშნული ნიშნები. ეს ნიშნები მატერიალური საგნების ნიშნებია, ხოლო ამ საგნების ცნებები ასახავენ ამ ნიშნებს: ცნებას კი არა აქვს ეს ნიშნები, ცნებაში მოიაზრება ეს ნიშნები.

გარდა ნიშნების ამ გაყოფისა, რომელიც ზემოთ იყო წარმოებულ, სახელდობრ, ზოგადზე და ინდივიდუალურზე, არსებითზე და არაარსებითზე, გარკვეული მნიშვნელობა აქვს მათ გაყოფას აბსოლუტურზე და შეფარდებითზე.

საქმე ის არის, რომ სინამდვილის საგნები და მოვლენები თვისებრივი გარკვეულობით ხასიათდებიან. საგნის თვისებრიობა არის მი-

¹ ამ დებულების შებრუნება არ შეიძლება; არ იქნება სწორი, თუ ვიტყვით, ის რაც განასხვავებს საგანთა ერთ კლასს მეორისაგან არის არსებითი ნიშანი. არსებითი ნიშანი უნდა განვასხვავოთ განმასხვავებელი (отличительный) ნიშნისაგან.

სი ძირითადი და უმარტივესი გარკვეულობა; ნიშანთა ერთობლიობა და მთლიანობა, რომელიც შეადგენს საგნის ამ ძირითადსა და უმარტივეს გარკვეულობას, ახასიათებს საგანს, როგორც ის არის სხვა საგნებთან მიმართების გარეშე. წარმოებითი ურთიერთობის საწარმოო ძალებთან შესაბამობის ნიშანი არის სოციალისტური ქვეყნის ნიშანი, სულ ერთია, აქვს ამ ქვეყანას სხვა ქვეყნებთან კავშირი თუ არა. მაგრამ ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ნიშანი, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ იგი ეხმარება სოციალიზმის ვშენებლობას სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ხოლო ფაშისტურსა და ნახევრადფაშისტურ ქვეყნებთან ანტაგონისტურ დამოკიდებულებაშია, ეს ნიშანი როდია აბსოლუტური, ეს ნიშანი სხვა საგნების მიმართ არსებობს. ასეთი ნიშნები გამომდინარეობენ სოციალისტური ქვეყნის არსებიდან, მაგრამ გაპირობებულნი არიან იმ ქვეყნებითაც, რომელთანაც მიმართება აქვს სოციალისტურ ქვეყანას. ეს წარმოებული ნიშნები მიმართებით ხასიათს ატარებენ; მიმართებითს იმ აზრით, რომ ისინი გამოვლინდებიან და ხშირად წარმოიშობიან მხოლოდ მიმართებაში. მაგალითად, ასეთი ნიშნები, როგორც „მარცხნივ ყოფნა“, „მეტი“, „ნაკლები“, „ტოლი“, „აღმოსავლეთით“ ან „დასავლეთით“ ყოფნა და სხვ. არ წარმოადგენენ თვითონ საგნის ნიშანს, აღებულს თავისთავად. არამედ მხოლოდ სხვა საგნების მიმართ ჩნდებიან.

8. ცნება და წარმოდგენა

ცნება საგანთა ნიშნებს ასახავს. მაგრამ ცნება ასახავს საგნის არა ყველა, არა ნებისმიერ ნიშანს, არამედ მის არსებით ნიშნებს. ამიუ განსხვავდება ცნება წარმოდგენისაგან.

ცოცხალი განჭვრეტა, აღქმა გვაწვდის მრავალნაირი საგნისა და მოვლენის სურათს; მისი დამახასიათებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ საგანი აღქმაში გვეძლევა როგორც მთლიანი. აღქმული საგნები და მოვლენები არსებობენ ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად და მის გარეშე; ისინი მოქმედებენ ცნობიერებაზე, გრძნობის ორგანოებზე და აისახებიან ცნობიერების მიერ, როგორც ერთიანი, მთლიანი საგნები მათი მრავალნაირი თვისებებით. აღქმა არ არის შეგრძნებათა მხოლოდ ჯამი. აღქმაში მონაწილეობს მთელი წინანდელი გამოცდილება, წარმოდგენები ძველი გამოცდილებიდან.

აღამიანის ცნობიერების განვითარების პროცესში შეგრძნებები, აღქმები და აზროვნება, რომელიც პირველთა ნიადაგზე წარმოიშვა, ისე დაკავშირდნენ ერთმანეთთან, რომ თანამედროვე აღამიანს აღარ აქვს „წმინდა“ აღქმა ისევე, როგორც „წმინდა“ აზროვნება. აღქმა გამსჭვალულია აზრით, ხოლო აზროვნებაში არის ცოცხალი განჭვრეტის მომენტი.

ცნობიერებას შეუძლია აღადგინოს აღქმა; შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საგანი, ე. ი. ცნობიერების წინ „დავაყენოთ“ საგანი, რომელიც ჩვენ წინათ აღგვიქვამს. აღქმული საგნის ცნობიერებაში აღდგენა, რეპროდუქცია არის წარმოდგენა. წარმოდგენაც საგანს ასახავს, მასშიც საგნის ნიშნები აისახება.

წარმოდგენა უფრო ახლოს დგას სინამდვილესთან, ვიდრე ცნება; იგი უფრო ცოცხალია, ნათელია, იგი ასახავს საგანთა მრავალნაირ ნიშანს, მაგრამ იგი არ გამოყოფს არსებით ნიშნებს; წარმოდგენა საერთოდ არ განასხვავებს არსებით ნიშნებს არაარსებითისაგან. წარმოდგენა ყოველთვის ინდივიდუალურია; ინდივიდუალურია წარმოდგენა ჭერ ერთი იმით, რომ ყოველ ადამიანს აქვს თავისებური წარმოდგენა ერთსა და იმავე საგანზე — რაც ადამიანთა განსხვავებული გამოცდილებით არის განსაზღვრული; მაგალითად, სახლის, ადამიანის და სხვ. წარმოდგენა ერთ ადამიანს ერთი აქვს, ხოლო მეორეს — მეორე; მეტიც: ორი ადამიანის მიერ ერთი და იმავე საგნის წარმოდგენაც კი არ დაემთხვევა ერთმანეთს.

წარმოდგენა ინდივიდუალურია იმ აზრითაც, რომ წარმოდგენილი საგანი, საბოლოო ანგარიშში, ინდივიდუალურია. არსებობენ გარდა ცალკეული საგნების წარმოდგენისა საგანთა კლასის წარმოდგენებიც: მაგალითად, წარმოდგენა თბილისის უნივერსიტეტის შენობისა და წარმოდგენა შენობისა საერთოდ. მაგრამ თუ უკანასკნელი ნამდვილად წარმოდგენაა, იგი ყოველთვის იქნება რომელიმე ინდივიდუალური შენობის წარმოდგენა.

ცნება უფრო დაშორებულია სინამდვილისაგან; ცნება, ასახავს რა საგანთა ზოგადსა და არსებით ნიშნებს, გარკვეულობით, სიზუსტით ხსიათდება, იგი ერთია ყველა ადამიანისათვის, დამოუკიდებლად მათი პირადი გამოცდილებისა, იგი შედარებით მყარია, მისი შინაარსი ერთია ცოდნის განვითარების გარკვეულ საფეხურზე. თუ ცნება ასახავს საგნის არსებას, მის კანონზომიერებას, წარმოდგენა, როგორც წესი, ასახავს საგნის გარეგან თვისებებს, უფრო სწორად, საგნის ნებისმიერ ნიშნებს.

ასახავს რა საგანთა არსებას, კანონზომიერებას, ცნება უფრო ღრმად წვდება სინამდვილეს, უფრო ღრმად ასახავს მას.

4. ცნების შინაარსი და მოცულობა

ცნება საგანთა არსებით ნიშნებს ასახავს; აზრი საგანთა არსებითი ნიშნების მთლიანობის შესახებ ცნების შინაარსს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნიშნები საგნის ნიშნებია და არა ცნების, ცნებაში ისინი მოიაზრებიან, როგორც საგნის ნიშნები. და თუ ჩვენ ქვემოთ ვიხ-

მართ გამოთქმას „ცნების ნიშნები“, — გამოთქმა, რომელიც ხშირად იხმარება — მხედველობაში გვექნება საგნის ნიშნები და არა თვითონ ცნების ნიშნები.

ეს არსებითი ნიშნები ახასიათებენ საგანს ან საგანთა კლასს. ამრიგად, ცნება, როგორც აზრი არსებითი ნიშნების შესახებ, განსაზღვრავს საგანთა გარკვეულ კლასს. საგანთა ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრულია ცნებაში მოაზრებული ნიშნებით, საგანთა კლასი ეწოდება, ხოლო აზრი საგანთა ამ კლასზე ცნების მოცულობას წარმოადგენს.

საგანთა რაოდენობა, რომელიც ცნებაში მოიაზრება, სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს. ცნებაში შეიძლება მოაზრებული იყოს ერთი საგანი, მაგალითად, ოქტომბრის რევოლუცია, კავკასიონის ქედი, დედამიწა, ლოგიკის დამაარსებელი და სხვ.; ცნებაში შეიძლება იყოს მოაზრებული საგანთა გარკვეული რიცხვი, მაგალითად, სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, საბჭოთა კავშირის გმირი და სხვ.; და ბოლოს ცნებაში შეიძლება იყოს მოაზრებული საგანთა განუსაზღვრელი რიცხვი, მაგალითად, ადამიანი, ცხენი, ციური სხეული და სხვა.

ცნების შინაარსი განმსაზღვრელია, ცნების მოცულობა — განსაზღვრული. სინამდვილის შემეცნების პროცესში ჩვენ შევიცნობთ ცალკეულ საგნებსა და მოვლენებს, გავარჩევთ მათ ცალკეულ ნიშნებს, გამოვყოფთ არსებით ნიშნებს არაარსებითისაგან, არსებას — მოვლენისაგან, ზოგადს — ცალკეულისაგან და ამ არსებითი, ზოგადი ნიშნების საშუალებით შევადგენთ საგანთა კლასს, რომელშიც თვითეული საგანი ამ ნიშნების მატარებელია. აზრი საგანთა ამ კლასზე არის სწორედ ცნების მოცულობა.

5. ცნებათა სახეები

ცნებათა გაყოფა შეიძლება ვაწარმოოთ შინაარსისა და მოცულობის მიხედვით.

ა. ცნებათა გაყოფა მოცულობის მიხედვით ზოგადზე და ერთეულზე. ცნება ზოგადია, თუ მის მოცულობაში მოიაზრება ერთზე მეტი საგანი, სულ ერთია, საგანთა რიცხვი განსაზღვრულია თუ განუსაზღვრელი. ასე, მაგალითად, პლანეტის ცნება, კოლმეურნეობის, მცენარის, ადამიანის ცნებები ზოგადია.

ცნება ერთეულია, თუ მის მოცულობაში მოაზრებულია მხოლოდ ერთი საგანი. ასეთია, მაგალითად, ცნებები: დედამიწის ღერძის, დიდი სამამულო ომის, „ომისა და მშვიდობის“ ავტორის.

ზოგადი ცნებები იყოფა ორ კლასად; რეგისტრირებულ ზოგადზე და არარეგისტრირებულზე. პირველ შემთხვევაში საგანთა რიცხვი, რომელიც იგულისხმება ცნების მოცულობაში, განსაზღვრულია, მათი ჩა-

მოთვლა, რეგისტრაციაა შესაძლებელი. ასეთია, მაგალითად, ცნებები პლანეტის, დიდი სამამულო ომის მონაწილესი და სხვ. მეორე შემთხვევაში საგანთა რიცხვი, რომელიც ცნებაში იგულისხმება, განუსაზღვრელია, მათი ჩამოთვლა, რეგისტრაცია შეუძლებელია; ასეთია, მაგალითად, ცნებები ადამიანის, ომის მონაწილესი, მნათობის და სხვ. შემეცნების თვალსაზრისით, რასაკვირველია, მეორე სახის ზოგადი ცნებები უფრო ღირებულია.

ერთეული ცნებებიც ორ სახედ იყოფა: მარტივი ერთეული ცნება, რომელშიც იგულისხმება ერთი საგანი, როგორც თავისი თავიდან შემდგარი, მაგალითად, დედამიწის ლერძი, „ომისა და მშვიდობის“ ავტორი და ერთეული კოლექტიური ცნება, რომელშიც იგულისხმება საგანთა ერთობლიობა, როგორც ერთი საგანი, როგორც ერთი მთელი, მაგალითად, ბორჯომის ტყე, ამა და ამ სკოლის მეათე კლასი, ესა და ეს დივიზია.

ბიბლიოთეკის ცნება, რომელიც ასახავს ბიბლიოთეკების არსებით ნიშნებს, ზოგადი ცნებაა, ხოლო ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა ერთეული კოლექტიური ცნებაა, რადგან მასში მოიაზრება წიგნების ერთობლიობა, როგორც ერთი მთლიანობა. ამგვარი საგნის შესახებ გამოთქმული აზრი ახასიათებს საგანთა ერთობლიობას როგორც ერთ მთლიანობას და არა ცალკეულ საგნებს, რომელთაგან შედგება ეს ერთობლიობა. ასე, მაგალითად, თუ ჩვენ გამოვთქვამთ აზრს სკოლის მეათე კლასის შესახებ, რომ ეს კლასი მოწინავეა, ეს რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ თვითეული მოწინავე ასეთია. ეს აზრი ახასიათებს კლასს როგორც მთელს. თუ ჩვენ ვიტყვით ტყის შესახებ, რომ იგი „ძველი ტყეა“, ძველი ახასიათებს ტყეს როგორც მთელს და ამით ჩვენ სრულიადაც არ გვინდა იმის თქმა, რომ ამ ტყეში არ არის ახალი ხეები.

ბ. ცნებათა გაყოფა კონკრეტულზე და აბსტრაქტულზე. ცნება კონკრეტულია, თუ მასში მოაზრებულია საგანი ან საგანთა კლასი. აბსტრაქტულია ცნება, რომელშიც მოაზრებულია საგნის მხარე, მისი თვისება, ნიშანი. ადამიანის, კაპიტალიზმის, პოეტის, ლითონის, სახლის, კოლმეზრნეობის ცნებები კონკრეტულია; ადამიანობის, მოსაველიანობის, გმირობის, სიტკბოს ცნებები აბსტრაქტულია.

აქ რამდენიმე გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ჩვეულებრივ საგანს ჩვენ ვუწოდებთ ობიექტურად არსებულ საგანს. უკვე სულიერი მოვლენებს ჩვეულებრივ საგანს არ უწოდებენ: სიხარულის განცდას, აღქმას, წარმოადგენას, საგანს არ უწოდებენ; მათზე ჩვენ ვამბობთ, რომ ისინი სულიერი მოვლენებია (და არა სულიერი საგნები); სიტკბოს, გმირობას და სხვ. საგანს არ ვუწოდებთ, ისინი საგანთა თვისებებია. მაგრამ შემეცნების პროცესში ყველა ზემოჩამოთვლილი მოვლენა შემეცნების საგანს წარმოადგენს. ლოგიკაში ყველაფერს საგანი ვწოდება, თუკი რაიმე აზრის, შემეცნების ობიექტად გამოდის, თუკი

მასზე აზრის გამოთქმა შეიძლება. რასაკვირველია, აქ არ არის საუბარი იმის შესახებ, არსებობენ ისინი ობიექტურად თუ არა; მეტიც, აზარსებუ-ლიც ჩვენი აზრის საგანია, თუ მასზე გამოთქმულია აზრი; მაგალითად, მსჯელობაში „ემმაკი არ არსებობს“ მსჯელობის საგანი სწორედ ემმაკია.

ამიტომ: კონკრეტული ცნება ასახავს საგნის ან მოვლენის არსებით ნიშნებს, სულ ერთია, არსებობენ ეს საგნები ობიექტურად თუ არა. აბსტრაქტული ცნება კი ასახავს საგნის მხარეს, თვისებას, რომელსაც არ შეუძლია არსებობა საგნის არსებობის გარეშე. აბსტრაქტული ცნების მიღება შეიძლება საგნიდან მისი მხარის, ნიშნის გამოყოფის გზით. არ უნდა ვიფიქროთ მხოლოდ, რომ ამ გამოყოფით ჩვენ უკვე ზოგად ცნებას მივიღებთ. კონკრეტული საგნის მხარეები, თვისებები ისევ კონკრეტულია და მათი გამოყოფით მიიღება აბსტრაქტული და არა ზოგადი ცნება. მაგალითად, შაქრიდან მისი სიტკბოს გამოყოფით მივიღებთ შაქრის სიტკბოს აბსტრაქტულ ცნებას და არა სიტკბოს ზოგად ცნებას.

არსებითად, ყოველი ცნება — ასე თუ ისე — აბსტრაქტულია ამ სიტყვის ფართო გაგებით, რადგან ცნება, როგორც უნდა იყოს იგი, სულ ერთია, ასახავს საგანთა არა ყველა ნიშანს, არამედ ზოგიერთს, სახელდობრ, არსებითს, სხვა დანარჩენ ნიშანთაგან ჩვენ განყენებას ვახდენთ, მათ უკუვაგდებთ. ამრიგად, კონკრეტული ცნებაც, საბოლოოდ, საგნის ან საგანთა კლასის მხარეს ასახავს, მართალია, არსებით მხარეს, მაგრამ მაინც მხარეს, რომელსაც საგანთა გარეშე არ შეუძლია არსებობა. მაგრამ, როგორც იყო აღნიშნული, კონკრეტულ ცნებაში მოიაზრება საგანი როგორც მთლიანობა, იმ დროს, როდესაც აბსტრაქტულში მოიაზრება საგნის ნიშანი, თვისება.

კონკრეტული და აბსტრაქტული ცნება შეიძლება იყოს ერთეულიც და ზოგადიც. ზოგადი კონკრეტული ცნებები: წიგნი, კოლმეურნეობა, ძალი. ზოგადი აბსტრაქტული ცნებები: მამაცობა, მოსავლიანობა, სიტკბო. ერთეული კონკრეტული ცნებები: ლოგიკის დამაარსებელი, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, ოქტომბრის რევოლუცია. ერთეული აბსტრაქტული ცნებები: გასტელოს გმირობა, პუშკინის ლექსის სილამაზე.

ც. ცნებების გაყოფა აბსოლუტურზე და შეფარდებითზე. შეფარდებითია ცნება, რომელსაც აზრი აქვს სხვა ცნებასთან მიმართებაში, რომელიც მოიაზრება მეორე ცნებასთან კავშირში. ასეთი ცნებები ასახავენ საგნებს, რომლებსაც არ შეუძლიათ არსებობა ერთიმეორის გარეშე. ასე, მაგალითად, მამის ცნება შვილის ცნებასთან არის დაკავშირებული, პროლეტარიატის ცნება—ბურჟუაზიის ცნებასთან, გარეგანის — შინაგანთან და სხვ. აბსოლუტურ ცნებას აქვს აზრი სხვა ცნებასთან მიმართების გარეშე. ასეთია, მაგალითად, ცნება ადამიანის, საზოგადოების, გმირის; მათი მოაზრება არ მოითხოვს აუცილებლად სხვა ცნების მოაზრებას.

d. ცნებათა გაყოფა დადებითზე და უარყოფითზე. არის შემთხვევები, როდესაც ჩვენ ცნების შემუშავებას სხვა გზით ვაწარმოებთ: საერთოდ ჩვენ ცნების შემუშავებისას საგანთა არსებით ნიშნებს გამოვყოფთ. აღნიშნულ შემთხვევაში კი, პირიქით, ჩვენ მივუთითებთ იმ ნიშნებს, რომლებიც საგანთა კლასს არ ახასიათებს. თუ ცნება ასახავს საგანთა ნიშნებს, ჩვენ დადებითი ცნება გვაქვს; თუ ცნებაში მოაზრებულია ნიშნები, რომლებიც საგანს არ ახასიათებს, ჩვენ უარყოფით ცნებასთან გვაქვს საქმე. ცნებაში ყოველთვის მოიაზრება ნიშნები, მაგრამ დადებით ცნებაში ისინი მოიაზრებიან, როგორც საგნისათვის დამახასიათებელი, ხოლო უარყოფით ცნებაში მოაზრებული ნიშნები არ ახასიათებენ საგანს. ლამაზის, განათლებულის და სხვა ცნებები დადებითია, ხოლო უღამაზოსი, გაუნათლებლის ცნებები უარყოფითია.


6. ძირითადი დამოკიდებულებანი ცნებათა შორის

ცნებათა შორის დამოკიდებულება მრავალნაირია. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ძირითად დამოკიდებულებებს მათ შორის. თუ მივიღებთ მხედველობაში ცნების ორ მხარეს, მის შინაარსსა და მოცულობას, ეს ძირითადი დამოკიდებულებანი შეიძლება ორ კლასად გავყოთ: თანხმობად და არათანხმობად ცნებებზე. ცნებათა შორის დამოკიდებულებათა ასეთი დაყოფა განსაზღვრულია იმ გარემოებით, რომ საგნები და საგანთა ნიშნები, რომელნიც ცნებებშია მოაზრებული, შეიძლება ერთმანეთს ემთხვეოდნენ ანდა იგამორიცხავდნენ.

თანხმობადია ორი ისეთი ცნება, რომელთა შინაარსში არ მოიაზრება ერთმანეთის გამომრიცხავი ნიშნები. ამიტომ შესაძლებელია მათი მოცულობანი — ან შესაბამისი საგანთა კლასები — მთლიანად ან ნაწილობრივ ემთხვეოდნენ ერთმანეთს. არათანხმობადია ორი ისეთი ცნება, რომელთა შინაარსში იგულისხმება ერთმანეთის გამომრიცხავი ნიშნები. ამიტომ ცხადია, ამ შემთხვევაში არ არსებობენ ისეთი საგნები, რომელნიც ორივე ცნებაში მოიაზრებიან. თანხმობადი ცნებების მაგალითი: პოეტი და ქართველი; ამ ცნებებში არ მოიაზრება ერთმანეთის გამომრიცხავი ცნებები, ქართველი შეიძლება პოეტი იყოს და, პირიქით, პოეტი ქართველი; არათანხმობადი ცნებები: მთელი რიცხვი და არამთელი რიცხვი.

ცნებების მოცულობას ხშირად წრის საშუალებით გამოხატავენ. იგულისხმება, რომ თვითეული საგანი, რომელიც ცნებაშია მოაზრებული, წრის ერთი წერტილით გამოიხატება. წერტილების ერთობლიობა გამოხატავს საგანთა კლასს. თუ ცნებაში მოაზრებული საგნები მთლიანად ან ნაწილობრივ ემთხვევიან ერთმანეთს, შესაბამისად წრეებიც მთლიანად ან ნაწილობრივ დაემთხვევიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ცნებებში მოაზრებული საგნები იგამორიცხავენ ერთმანეთს, მათი გამომხატველი წრეებიც ერთმანეთს არსად შეეხებიან.



მაგალითად, ადამიანისა და ცხოველის ცნებები გამოიხატება წრიულ სქემებში ასე:



A — ცხოველი
B — ადამიანი

ნახ. 1

მაელი და არამთელი რიცხვის:



A — მთელი რიცხვი
B — არამთელი რიცხვი


ნახ. 2

განსხვავებენ თანხმობადი ცნებების სამ სახეს:

1) ერთმნიშვნელოვანი ცნებები, 2) დაქვემდებარებული და 3) გადა-
მკვეთი ცნებები.

1) ერთმნიშვნელოვანი ცნებები. ერთმნიშვნელოვანი ეწოდება ცნე-
ბებს, რომლებშიც მოაზრებულია იგივეობრივი საგანთა კლასი, ე. ი.
რომელთა მოცულობანი ერთმანეთს მთლიანად ემთხვევა, თუნდაც შინა-
არსები განსხვავდებოდნენ. ასეთია, მაგალითად, ტოლგვერდა და ტოლ-
კუთხა სამკუთხედების ცნებები, ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდე-
ლისა და ლოგიკის დამაარსებლის ცნებები, დედამიწის ღერძისა და დე-
დამიწის მერიდიანების საერთო დიამეტრის, სოციალიზმისა და კომუნის-
მის პირველი ფაზის ცნებები. ამ ცნებებში მოაზრებულია ერთი და იგივე
საგანი, ან საგანთა კლასი, თუნდაც ჩშირად განსხვავებული ნიშნების სა-
შუალეობით.

წრიულ სქემებში ერთმნიშვნელოვანი ცნებები გამოიხატებიან ასე:



A — ტოლგვერდა სამკუთხედი
B — ტოლკუთხა სამკუთხედი

ნახ. 3


ასოები A და B აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ მოცემულ ცნებათა შინაარსები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმცა მოცულობა ერთი და იგივე აქვთ.

2) დაქვემდებარების დამოკიდებულება. თუ შევადარებთ ორ ცნებას, ცხოველისა და ცხენის ცნებებს, ადვილად შევამჩნევთ, რომ ცხოველის ცნების მთელი შინაარსი შედის, როგორც ნაწილი, ცხენის ცნების შინაარსში, რადგან ცხენს, როგორც ცხოველს, ახასიათებს ცხოველის ყველა ნიშანი და გარდა ამისა მას ახასიათებს ცხენისათვის სპეციფიკური ნიშნები. ხოლო ცხენის მოცულობა¹ შედის ცხოველის მოცულობაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. A და B ცნებებს შორის არსებობს დაქვემდებარების დამოკიდებულება იმ შემთხვევაში, თუ A ცნების შინაარსი შედის B ცნების შინაარსში, როგორც ნაწილი, ხოლო B-ს მოცულობა — A-ს მოცულობაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი.

დიდი მოცულობის ცნება ამ შემთხვევაში ზოგადი ცნებაა, ხოლო ნაკლები მოცულობის ცნება კერძობითი ცნებაა. ზოგადი ცნება მოცულობის მიხედვით უფრო ფართოა და შინაარსით უფრო ღარიბია, კერძობითი ცნება მოცულობით უფრო ვიწროა, ხოლო შინაარსით უფრო მდიდარი. ზოგადი ცნება დამაქვემდებარებელია, კერძობითი ცნება დაქვემდებარებულია.

დაქვემდებარების დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს როგორც ორ ზოგად ცნებას შორის, ისევე ზოგადსა და ერთეულ ცნებებს შორის. პირველ შემთხვევაში უფრო ზოგად ცნებას ეწოდება გვარი, ხოლო ნაკლებად ზოგადს (კერძობითს)—სახე. გვარისა და სახის დამოკიდებულება წრიულ სქემაში ასე გამოიხატება:

გვარისა და სახის დამოკიდებულებას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ტრადიციულ ლოგიკაში: თითქმის მთელი მოძღვრება მსჯელობასა და დასკვნაზე ამ დამოკიდებულებაზე იყო აგებული. გარდა ამისა, პრობლემების მთელი რიგი იყო დაკავშირებული ამ დამოკიდებულების გარკვევასთან. ამიტომ ჩვენ მოგვიხდება უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს დამოკიდებულება და მასთან დაკავშირებული საკითხები.



A — ცხოველი
B — ცხენი

ნახ. 4


ა. კერძობითი ცნების მოცულობა შედის ზოგადი ცნების მოცულობაში, პირველი უკანასკნელის ნაწილს შეადგენს. მაგრამ მოცემული

¹ იგულისხმება ცხენის ცნების მოცულობა.

ზოგადი ცნება, თავის მხრივ, შეიძლება შედიოდეს უფრო ზოგადი ცნებების მოცულობაში და მოცემული კერძობითი ცნება შეიძლება თავის მოცულობაში მოიცავდეს კიდევ უფრო კერძობითს. ამგვარად, გვარისა და სახის ცნებები შეფარდებითი ხასიათის არიან: ერთი ცნება მეორის მიმართ შეიძლება გვარი იყოს, ხოლო მესამე ცნების მიმართ — სახე. ასე, მაგალითად, პარალელოგრამი გვარია სწორკუთხედის მიმართ და სახეა ოთხკუთხედის მიმართ; კლასობრივი საზოგადოება გვარია კაპიტალისტური საზოგადოების მიმართ და სახეა საზოგადოების ცნების მიმართ. ცნებათა გარკვეული კლასი შეიძლება დალაგდეს მათი ზოგადობის ხარისხის მიხედვით ისე, რომ თვითეული ცნება უმაღლესსა და უმდაბლესს შორის იქნება გვარი მასთან დაქვემდებარებულთან შედარებით და სახე მასთან დამაქვემდებარებელთან შედარებით. მაგალითად:

მატერია
 ორგანული ბუნება
 ცხოველი
 ადამიანი
 რუსი
 ლ. ტოლსტოი

წრიულ სქემებში:



ნახ. 5

ცხოველის ცნება გვარია ადამიანის ცნების მიმართ, ხოლო სახეა ორგანული ბუნების მიმართ. ამავე დროს, ცხოველი იგვარია არა მარტო ადამიანის მიმართ, არამედ ყველა დანარჩენი ცნების მიმართ, რომელთაც მასზე ნაკლები მოცულობა აქვთ, მაგალითად, რუსის და სხვათა მიმართ.

ცნება A გვარია ყველა დანარჩენი ცნების მიმართ, ყველა დანარჩენი სახეები A ცნების. ყველა იგვარიდან მოცემული სახისადმი უახლოესი გვარი არის ის, რომელიც თავისი მოცულობით ნაკლებად განსხვავდება ამ სახისაგან. მაგალითად, A, B, C გვარებიდან D-ს მიმართ C იქნება უახლოესი გვარი; ცხოველის ცნება იქნება უახლოესი გვარი ადამიანის მიმართ, პარალელოგრამი — სწორკუთხედის მიმართ.

b) აღნიშნული იყო, რომ გვარობით ცნებას შედარებით სახესთან მეტი მოცულობა აქვს, ზოლო შინაარსი მისი უფრო ვიწროა. მეცნიერული ცოდნის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ცნების შინაარსი და ამიტომ მოცულობაც ზუსტად განსაზღვრულია. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ცოდნის განვითარების პროცესში ცნების შინაარსი და მოცულობა უცვლელი რჩება. ცოდნის განვითარების პროცესში ადამიანი სულ უფრო ღრმად შეიჭრება საგანთა არსებაში, აღმოაჩენს ახალ არსებით ნიშნებს. ის, რაც არსებითად იყო მიჩნეული, შესაძლებელია სრულიადც არაარსებითი აღმოჩნდეს; ანდა თვითონ სინამდვილის განვითარების გამო არსებითი ნიშანი შეიძლება არაარსებითად იქცეს და, პირიქით, არაარსებითი — არსებითად.

ამიტომ ცნებები არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც უძრავი, გაქვავებული, ისინი განვითარებას განიცდიან ცოდნის განვითარებასთან ერთად. მწერის ცნებაში ერთ დროს კიბო და ობობა იგულისხმებოდა. თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით მწერის ცნება საგრძნობლად დაზუსტდა და კიბოთა და ობობების კლასი მასში აღარ მოიაზრება. შეიცვალა ატომის, დროის, სივრცის, მატერიისა და ენერჯიის ცნებები, შეიცვალა მათი შინაარსი და ზოგიერთ შემთხვევაში შეიცვალა მოცულობაც.

მაგრამ ცოდნის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ყოველ ცნებას ახასიათებს გარკვეული, ზუსტად ფიქსირებული შინაარსი. და ლოგიკაში ცნების ამ გარკვეულსა და ზუსტად ფიქსირებულ შინაარსზე და მის მოცულობასთან დამოკიდებულებაზეა საუბარი. როდესაც მსჯელობენ ცნების შინაარსის შეცვლაზე, რომელსაც თან სდევს მისი მოცულობის შეცვლა და, პირიქით, ერთ ფარემოებას უნდა მიეჭყეს ყურადღება. საქმე ის არის, რომ შინაარსის შეცვლით თვითონ ცნებაც იცვლება: ცნება, რომლის შინაარსი შეიცვალა, უკვე სხვა ცნებაა; ხშირად იგი საგანთა სულ სხვა კლასს ასახავს. როდესაც კაპიტალიზმის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ლენინმა აღმოაჩინა მისი ახალი არსებითი ნიშნები, კაპიტალიზმის ცნება შეიცვალა: სამრეწველო კაპიტალიზმის ცნებასთან ერთად ჩამოყალიბდა მონოპოლისტური კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის ცნება. როდესაც აღმოჩნდა, რომ ატომი რთული სტრუქტურის მქონეა, ატომის ცნება საგრძნობლად შეიცვალა, ჩამოყალიბდა ახალი ცნება ატომისა.

ეს ორი მაგალითი მაჩვენებელია იმისა, რომ ცნების შინაარსის ცვლილება შეიძლება იყოს გამოწვეული: 1) მხოლოდ ცოდნის გაღრმავებით,

განვითარებით და 2) თვითონ სინამდვილის განვითარებით და მისი შეცნობით.

როგორც წესი, ცნების შინაარსის შეცვლა ცვლის თვითონ ცნებას.

მართალია, ცნების შემუშავება ხდება ცოცხალი განვითარებით მოცემული მასალისა და მათი რაციონალური გადამუშავების საფუძველზე, მაგრამ მათი შემუშავება შეიძლება უკვე არსებული ცნებების საფუძველზეც. საჭიროა ამ შემთხვევაში ცნებათა შინაარსების შეცვლა, მათი ან შემცირება, ან გადიდება. ამასთან ერთად შეიცვლება ცნებათა მოცულობაც. პირველ შემთხვევაში ცნების მოცულობა, როგორც წესი, გადიდება, მეორე შემთხვევაში შემცირდება.

ახალი ცნებების შემუშავება შინაარსის შემცირების გზით ცნების განზოგადებას წარმოადგენს. ახალი ცნებების ჩამოყალიბება შინაარსის გადიდების გზით ცნების შემოსაზღვრას წარმოადგენს. ასე, მაგალითად, თუ განზოგადეთ ადამიანის ცნება, მივიღებთ ცხოველის ცნებას, ამ უკანასკნელის განზოგადება მოგვცემს კიდევ ახალ ცნებას. — ორგანიზმის ცნებას. დაბოლოს, ამ გზით მივიღებთ მატერიის უზოგადეს ცნებას. შესაბამისად, ადამიანის ცნების შემოსაზღვრა მოგვცემს, მაგალითად, რუსის ცნებას, ხოლო ამ უკანასკნელიდან შეიძლება მივიღოთ რუსი მწერლისა და ბოლოს ლ. ტოლსტოის ცნება. ორივე ოპერაციას აქვს საზღვარი: განზოგადების საზღვარი არის უზოგადესი ცნება, რომელიც გვარეობით ცნებას წარმოადგენს და სხვა ცნების სახე ვეღარ იქნება. შემოსაზღვრის საზღვარი ცალკეული საგნის ცნებაა, რომელსაც მოცულობა აღარ აქვს.

აღნიშნული იყო, რომ გვარის ცნებას უფრო ფართო მოცულობა აქვს, ვიდრე სახის ცნებას, ხოლო უფრო ღარიბი შინაარსი. საკმარისია შევადაროთ ადამიანისა და ცხოველის ცნება. ცხოველის ცნებაში იგულისხმება ყველა ცხოველი და ადამიანიც, ადამიანის ცნებაში — მხოლოდ ადამიანი. მაგრამ ადამიანის ცნების შინაარსში მოიაზრება ცხოველის ყველა არსებითი ნიშანი და გარდა ამისა ადამიანისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნები: იარაღების კეთება, ცნობიერება, მეტყველება. ამრიგად, ცნების მოცულობასა და შინაარსს შორის შებრუნებული დამოკიდებულება არსებობს. გვარისა და სახის ცნებების მოცულობისა და შინაარსის დამოკიდებულება ასეთი ყოფილა: ცნებას მეტი შინაარსით ნაკლები მოცულობა ახასიათებს.

ზემოაღნიშნულს არ ექნება ძალა იმ შემთხვევაში, თუ შინაარსს დაუმატეთ ნიშანი (ან ნიშნები), რომელიც ახასიათებს ცნებაში ნაგულისხმევ ყველა საგანს. ასეთ მდგომარეობას ხშირად აქვს ადგილი მეცნიერების განვითარების პროცესში: ასე, მაგალითად, ცოდნის განვითარების პროცესში აღმოაჩინეს ატომის ახალი არსებითი ნიშნები, მაგრამ ამით ატომის ცნების მოცულობა არ გადიდებულა. იგივე ითქმის მოცულობაზე:

ასალი პლანეტის აღმოჩენით პლანეტის ცნების მოცულობაში ახლა იგულისხმება 9 და არა 8 პლანეტა, მაგრამ ცნების შინაარსი ამით არ გაღარბებულია.

3) შინაარსისა და მოცულობის შებრუნებული დამოკიდებულების საკითხი. ა) ზოგიერთი ლოგიკოსი უარყოფს პრინციპს ცნების შინაარსისა და მოცულობის შებრუნებული დამოკიდებულების შესახებ; უარყოფს როგორც ფაქტიური მდგომარეობის თვალსაზრისით, ისე ცნების შემეცნებისათვის მნიშვნელობის თვალსაზრისით.

პირველ რიგში ამ ლოგიკოსთა შორის უნდა დაეასახელოთ ჰეგელი. ჰეგელი უარყოფს ცნების შესახებ ტრადიციულ მოძღვრებას მთლიანად, კერძოდ კი — შინაარსისა და მოცულობის შებრუნებული დამოკიდებულების პრინციპს. ჰეგელის აზრით, ცნების განზოგადება არ აღარბეჭდს მის შინაარსს. შინაარსის გაღარბება შედეგია განსჯითი განზოგადების; სპეკულატიური განზოგადება, პირიქით, ამღიდრებს ცნების შინაარსს; რაც უფრო ზოგადია ცნება, მით უფრო მღიდარია ის შინაარსით, მით უფრო კონკრეტულია. ყველაზე ზოგადი ცნება მოიცავს თავისში ცალკეულისა და კონკრეტულის მთელ სიმღიდრეს. ყველაზე ნაკლებად ზოგადი ცნება ყველაზე აბსტრაქტულია; აბსტრაქტულია იმ აზრით, რომ მას ყველაზე ღარიბი შინაარსი ახასიათებს.

ჰეგელის თვალსაზრისი გასაგებია: ჰეგელი ობიექტური იდეალისტია და ამ თვალსაზრისმა მიიყვანა იგი ამ დასკვნამდე. ჰეგელისათვის ერთადერთი ნამღვილი რეალობა ცნებაა, ყოველი საგანი ცნებაა და მთელი სინამღვილე ცნებაა.

მეორე მხრივ, ჰეგელი „მიხვდა“, რომ სინამღვილეში ზოგადი და ცალკეული არ არის ერთმანეთისაგან მოწყვეტილი, ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან: ყოველი საგანი ზოგადისა და ცალკეულის ერთიანობას წარმოადგენს. გასაგებია ამიტომ, რომ ცნებაც, როგორც სინამღვილის არსება, ნამღვილი საგანი ზოგადისა და ცალკეულის ერთიანობა უნდა იყოს. ჰეგელი, რომელიც აიგივებს სინამღვილის საგანსა და ამ საგნის ცნებას, ახასიათებს ცნებას ისე, როგორც უნდა დახასიათდეს სინამღვილის საგანი.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, რასაკვირველია, ვერ დასვა ამ იგივეობის ნიშანს საგანსა და მის ცნებას შორის. მარქსისტულ-ლენინურმა ფილოსოფიამ პირველად ისტორიაში მეცნიერულად დაასაბუწა პრინციპი ზოგადისა და ცალკეულის ერთიანობის შესახებ. ამ პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასახვის ლენინურ თეორიაში, მარქსისტულ ფილოსოფიაში საერთოდ და, კერძოდ, ლოგიკის მოძღვრებაში. პეტრე ცალკეული, ინდივიდუალურია და ამავე დროს ადამიანია (ამის შესახებ ქვემოთ); ცუგა ცალკეული, ერთეული ძალღია, მაგრამ ამავე დროს ის ძალღია;

მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ცნება, როგორც საგანთა არსების ამსახველი იყოს ზოგადისა და ცალკეულის ერთიანობა. „ყოველი ზოგადი არის ცალკეულის ნაწილი (ან მხარე, ან არსება). ყოველი ზოგადი მხოლოდ დაახლოებით მოიცავს ყველა ცალკეულ საგანს“¹. ცნების შემუშავებისას „ჩვენ უკუვაგდებთ ნიშანთა რიგს, როგორც შემთხვევით, ჩვენ გამოვყოფთ არსებობის მოვლენისაგან და დავუპირისპირებთ ერთს მეორეს“².

ცნება ასახავს მოვლენათა ზოგადსა და არსებობის. უფრო მარტივად: იგი ასახავს საგანთა და მოვლენათა არსებას და არა თვითონ საგნებსა და მოვლენებს მათი მრავალგვარი ნიშნებით. მოვლენა არსებაზე მდიდარია: ცნებას კი, რომელიც არსებას ასახავს, არ შეუძლია მოვლენის მთელი სიმდიდრე ასახოს. ცნების ჩამოყალიბების პროცესში ჩვენ უკუვაგდებთ საგნების ნიშანთა მთელ რიგს და ამიტომ ცალკეულის შემთხვევითი ნიშნები აღარ მოიაზრება ცნებას შინაარსში. ცნების განზოგადების პროცესში ჩვენ ახალ ცნებებს ვქმნით იმით, რომ ზოგიერთ ნიშანს ცანზე ვტოვებთ, მათგან განყენებას ვახდენთ და ამიტომ ახალ, უფრო ზოგად ცნებაში აღარ არის მოაზრებული ზოგიერთი ნიშანი. ასე, მაგალითად, ჩვენ უკუვაგდებთ, ე. ი. განყენებას ვახდენთ ცალკეულ ადამიანთა ინდივიდუალურ ნიშანთაგან, გამოვყოფთ ზოგადსა და არსებით ნიშნებს და ასე ჩამოვყალიბებთ ადამიანის ცნებას. ასევე, უკუვაგდებთ რა იმ ნიშნებს, რომლებიც მხოლოდ ადამიანისათვის არის არსებითი და არა ყველა ცხოველისათვის — მაგალითად, იარაღების კეთება, ცნობიერება, მეტყველება — ჩამოვყალიბებთ უფრო ზოგად ცნებას, ცხოველის ცნებას, რომელიც უფრო ფართოა მოცულობით და ღარიბია შინაარსით.

როდესაც იდეალიზმის თვალსაზრისზე მდგომი რეაქციული ბურჟუაზიის იდეოლოგები, ფილოსოფოსები და კერძოდ ლოგიკოსები სხვადასხვა ვარიაციებით იმტორებენ ჰეგელის თვალსაზრისს, — ეს ცვალებადია; მაგრამ ისინი თვითონ ცნებას თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევენ და ცნებას არ განსაზღვრავენ როგორც აზრს, რომელიც საგანთა ზოგადსა და არსებით ნიშნებს ასახავს.

ფაუტებარია იმ ლოგიკოსების თვალსაზრისი, რომლებიც ზემოთხუანნილ განსაზღვრებას იზიარებენ და ამავე დროს ცნებაში ზოგადისა და ცალკეულის ერთიანობის დამტკიცებას ცდილობენ. ასე, მაგალითად, პროფ. ასმუსის თავის ლოგიკაში აღნიშნავს, რომ „ყოველ ცნებაში, თუკი იგი ნამდვილად მეცნიერული ცნებაა, გაითვალისწინება (предусматривается) ყველა კერძო შემთხვევა, რომლებიც კი შეიძლება მისგან იყოს გამოყვანილი და რომელთაგან შედგება ცნების მთელი შინაარსი“³.

¹ В. Л е н и н, Философские тетради, стр. 327.

² იქვე.

³ А с м у с, Логика, стр. 43.

ასე, მაგალითად, სამკუთხედის ცნებაში გათვალისწინებულია სამკუთხედის კერძო სახეების ყველა არსებითი ნიშანი. მაგრამ სამკუთხედის განსაზღვრაში ეს ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ სამკუთხედის კერძო შემთხვევებს და რომლებიც სამკუთხედის ცნების შინაარსს შეადგენენ, არ აღინიშნება¹.

ცნების შინაარსისა და მოცულობის ასეთი გაგება მცდარი მსჯელობის საუკეთესო ნიმუშია და მისი გარჩევა გაგვიადვილებს სწორი თვალსაზრისის იდენტიფიკაციას.

ა) სამკუთხედის ცნებაში იგულისხმება სამკუთხედის ყველა კერძო შემთხვევის ყველა არსებითი ნიშანი, მაგალითად, მართკუთხა, მახვილკუთხა და ბლაგვეკუთხა სამკუთხედების არსებითი ნიშნები. საკმარისია ამ საკითხის დასმა, რომ პასუხი უარყოფითი მივიღოთ. სამკუთხედის მაგალითზე შესაძლებელია ეს ისე ნათელი არ იყოს, რადგან თვითონ ცნება მარტივია. ავიღოთ სხვა ცნება, მაგალითად, ცხოველის ცნება; ვის შეუძლია სერიოზულად იმის მტკიცება, რომ ცხოველის ცნებაში გათვალისწინებულია არა მარტო ცხოველთა კლასის ზოგადი და არსებითი ნიშნები, არამედ ცხოველის ყველა კერძო შემთხვევის, ე. ი. ძაღლის, ადამიანის, აქლემის, ორაგულის, ობობას, მტრედის და სხვ. ყველა არსებითი ნიშანი და რომ ყველა ეს ნიშანი შეადგენს ამ ცნების შინაარსს.

ბ) გაუგებარია ისიც, რომ თურმე ყველა ეს ნიშანი შეადგენს ცნების ნამდვილ შინაარსს, მაგრამ ცნების განსაზღვრებაში ეს ნიშნები არ აღინიშნება. რატომ არ უნდა აღინიშნებოდეს? განსაზღვრება, პროფ. ასმუსის მიხედვით, „შინაარსის დადგენაში“ მდგომარეობს. „ლოგიკური განსაზღვრება, წერს პროფ. ასმუსი, აღნიშნავს იმ ნიშნებს, რომლებიც მოაზრებულია მეცნიერების მიერ ცნების შინაარსში“². და თუ ცნების შინაარსში იგულისხმება ყველა კერძო შემთხვევის, ყველა სახის არსებითი ნიშანი და განსაზღვრებამ უნდა აღნიშნოს ისინი, რატომ არ აღინიშნება ეს ნიშნები განსაზღვრებაში?

გ) ყოველ ცნებაში, თურმე გათვალისწინებულია ყველა კერძო შემთხვევა, რომლებიც მისგან შეიძლება იყოს გამოყვანილი. თუ ეს დებულება ტავტოლოგიას არ წარმოადგენს — შესაძლებელია ცნებიდან ის გამოვიყვანოთ, რაც გათვალისწინებულია ცნებაში, — არამედ თუ მას ნამდვილი მეცნიერული დებულების პრეტენზია აქვს, მისი უარყოფა მარტივი მოსაზრებით შეიძლება: ნუთუ შეიძლება ცხოველის ცნებიდან „გამოვიყვანოთ“ კერძო შემთხვევები ძაღლის, აქლემის, ღამურაპი და სხვ.

საკითხი არც ისე მარტივია, როგორც ეს პირველი შეხედვით შეიძ-

¹ Асмус, Логика, стр. 43.

² იქვე, გვ. 53.

ლება იცეჩვენოს. რომ ცხოველის ცნებაში არ მოიაზრება ყველა სახის ცხოველის არსებითი ნიშანი, ეს ცხადი უნდა იყოს; ცხოველის ცნებაში მოიაზრება ის ნიშნები, რომლებიც ყველა ცხოველისათვის არსებითია და ზოგადია; სამკუთხედის ცნებაში მოიაზრება ის ნიშნები, რომლებიც ყველა სამკუთხედისათვის არსებითი და ზოგადია. სწორი კუთხის ნიშანი არ არის არსებითი, არ არის საერთო სამკუთხედისათვის, სამკუთხედო შეიძლება არსებობდეს ამ ნიშნის გარეშეც; აქ ერთი საკითხი იბადება: თუ სამკუთხედის ცნებაში სამკუთხედის კერძო შემთხვევები არ იგულისხმება, რა გვადევს სამკუთხედის სახეების ჩამოთვლის უფლებას; ჩვენ ზომ სულ ადვილად ჩამოვთვლით სამკუთხედის სახეებს, მართკუთხას, მახვილკუთხას და ბლაგვეკუთხას. უნდა ითქვას, რომ ეს ჩამოთვლა არ წარმოადგენს მხოლოდ ლოგიკურ ოპერაციას: აქ ჩვენ ვეყრდნობით იმ გარკვეულ ცოდნას, რომელიც ჩვენ გავაჩინია. ლოგიკური ოპერაცია აქ შემდეგია: ჩვენ ვიღებთ სამკუთხედის ერთ-ერთ ნიშანს, სახელდობრ, კუთხის სიდიდეს (უფრო ზუსტად კუთხის სიდიდის დამოკიდებულებას სწორი კუთხისადმი) და მის შესაძლებლობას გავითვალისწინებთ: 90°, მეტი 90°-ზე, ნაკლები 90°-ზე. ამ შემთხვევაში მეტი შესაძლებლობაც არ არსებობს. რომ ჩვენ აქ მხოლოდ სახეების გვარიდან „გამოყვანის“ მხოლოდ ლოგიკურ ოპერაციას არ ვეყრდნობით, არამედ წინასწარ მოცემულ გარკვეულ ცოდნას ვეყრდნობით, ჩანს შემდეგი მაგალითიდან: ადამიანის ცნებაში არ იგულისხმება კანის კონკრეტული ფერი, მაგრამ ჩვენ ადვილად ვუპასუხებთ კითხვას: ადამიანის რა სახეებია კანის ფერის მიხედვით. პასუხი გარკვეულია: თეთრკანიანი, შავკანიანი, წითელ და ყვითელკანიანი. რატომ გავჩერდით ამ ოთხ სახეზე? იმიტომ, რომ ეს ოთხი „გამოიყვანება“ ადამიანის გვარის ცნებიდან ლოგიკური ოპერაციების საშუალებით? სრულიადაც არა! წმინდა ლოგიკური ოპერაციებით ჩვენ ყველა ჩვენთვის ცნობილი ფერი უნდა ჩამოგვეთვალა, მაგალითად, მწვანეკანიანი, ლურჯკანიანი და სხვ. და თუ ჩვენ ამას არ ვაკეთებთ, არ ვაკეთებთ არა იმიტომ, რომ ლოგიკური ოპერაციების წესებს ვარღვევთ, არამედ იმიტომ, რომ გამოცდილებიდან, პრაქტიკიდან ვიცით მათი შეუძლებლობა.

(დ) საბოლოოდ: ან ცნება უნდა განვსაზღვროთ როგორც აზრი, რომელიც ასახავს საგანთა არსებით, ზოგად ნიშნებს და მაშინ არაარსებითი, ცალკეული, შემთხვევითი ნიშნები ცნების შინაარსში არ უნდა შედიოდეს, ანდა ყველა ნიშანი უნდა შედიოდეს ცნების შინაარსში — მოვლენის, ცალკეულის მთელი თავისებურება — და მაშინ ცნების ზემოთ აღნიშნული განსაზღვრება უნდა არსებითად შეიცვალოს; ან ცნება არის არსების, კანონზომიერების ამსახველი და მოვლენის მრავალფეროვნებას არ ასახავს, ან ის მოვლენის მრავალფეროვნებას ასახავს და ამით არსებასაც: ამ შემთხვევაში მოვლენა და არსება ერთი უნდა

იყოს და ცნებაც ამ ერთის ასახვა იქნება. მაგრამ მოვლენა და არსებობა არასოდეს ერთმანეთს არ ემთხვევა; ცნებაც ამიტომ — არსების ამსახველი — არ და ვერ ასახავს მთლიან მოვლენას, არ ასახავს და არც უნდა ასახავდეს.

ბ) ბურჟუაზიული ლოგიკოსების გარკვეულმა ნაწილმა — უმთავრესად ნეოკანტიანური მიმართულების მიმდევრებმა — აღადგინეს XX საუკუნე. დასაწყისში მოძღვრება ცნების შესახებ, რომელიც ჰეგელიანური კონცეფციის მსგავსია.

თუ ჰეგელი ფიქრობდა, რომ მთელი სამყარო აბსოლუტური იდეის, გონების გამოვლენაა, ნეოკანტიანელების ერთი ფრთა (კოპენი, ნატორპი, კასირერი და სხვ.) აღიარებს, რომ „წმინდა აზრი“ აშენებს სინამდვილეს მთლიანად, ე. ი. ფორმითაც და შინაარსითაც; რომ ძირითადი მიმართებანი, რომლებიც წმინდა გონებრივი ხასიათის არიან, ქმნიან სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს. ამ პრინციპების საფუძველზე აგებენ ეს ლოგიკოსები ცნების თეორიას.

ცნება არ ასახავს სინამდვილეს — ეს არის პირველი და ძირითადი ჯებულება, ამ ლოგიკოსების მიერ წამოყენებული. საერთოდ, „სინამდვილის ასახვის“ ცნება მათთვის მიუღებელია: სინამდვილე კი არ აისახება აზროვნებით, არამედ იქმნება აზროვნებით. შემდეგ: ცნება სრულიადაც არ არის საგანთა ცნება — იმ შემთხვევაშიც არ არის საგანთა ცნება, თუ ეს საგნები აზრის მიერ არის შექმნილი: ცნება ფუნქციონალური ცნებაა, მიმართებათა ცნებაა. „ცნების ნამდვილი გაგება მაშინ მოხერხდება, თუ ჩვენ გადავეჩვევით ყოველი ცნებისათვის შესაბამისი ძებნას სინამდვილეში“. „ცნება უარს ამბობს ასახვას რეალობა“. ასეთია მათი პრინციპი.

ცნების დამახასიათებელია არა ზოგადობა, არამედ რიგის პრიციპი. თუ ძველ ლოგიკაში ცნება სუბსტანციასთან (საგანთან) იყო დაკავშირებული, ახალი ლოგიკა უკავშირებს ცნებას ფუნქციის მათემატიკურ ცნებას. ყოველი ფუნქცია წარმოადგენს გარკვეულ საყოველთაო კანონს, რომელიც მოიცავს ყველა კერძო შემთხვევას, თუ ცვლადს შევუცვლით თანდათანობით მნიშვნელობას. ფუნქციის ცნება, რომელიც ნიმუშია ყველა ცნებისათვის, დაადგენს მიმართების წესს, რომელიც აკავშირებს განსაკუთრებულს, ხოლო განსაკუთრებული, ცალკეული არ არის უკუგდებული, არამედ ამ ცნებაშია და მისგან გამოიყვანება ცვალებადის თანდათანობითი ცვალების საფუძველზე. ასე, მაგალითად, მეორე რიგის მრუდის ზოგადი კანონი — ფორმულა — გვაძლევს საშუალებას გარკვეული პარამეტრისათვის, როგორც ცვალებადისათვის, რიგი მნიშვნელობის მიცემით მივიღოთ მისი კერძო შემთხვევები — წრე, ელიფსი, ჰიპერბოლა, პარაბოლა. ეს ცნება რიგის შედგენის კანონია. ამოცანა: „ვიპოვოთ ორი რიცხვი, რომელთა ჯამი 25-ია და რომელთაგან პირველი

ოყოფა 2-ზე, ხოლო მეორე 3-ზე“ გადაწყდება იმით, რომ მეორე რიცხვი გამოიხატება ასე: $6z+3$, სადაც z -ს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა 0, 1, 2, 3 და ამიტომ პირველი რიცხვი გამოიხატება $22-6z$ ფორმით. აქ ჩვენ გვაქვს საერთო კანონი ყველა საძიებელი რიცხვის დასადგენად.

ავილოთ მთელი და დადებითი რიცხვთა რიგი 1, 2, 3...; ეს რიგი აშენებულია გარკვეული კანონით: ეს კანონი განსაზღვრავს მთელ რიგს. ყოველი რიცხვი განსაზღვრულია სხვა რიცხვთან მიმართებით: არა რიცხვები და მათი გარკვეულობა განსაზღვრავს მათ შორის მიმართებას, არამედ მიმართებანი განსაზღვრავენ რიცხვებს. ცნება არის რიგის აგების კანონი და ყოველი განსაკუთრებული გამოიყვანება ამ კანონიდან. ასე, მაგალითად, კვადრატული განტოლებიდან $Ax^2+Bx+c=0$, რომელიც გამოხატავს ამ განტოლების ცნებას, მიიღება მისი ყველა სახე, თუ ჩვენ მივეცემთ კოეფიციენტებს სხვადასხვა მნიშვნელობას. ამ ცნებაში ჩვენ გვაქვს არა A, B, c, x ნიშანთა კრებული, არამედ მათი კავშირის კანონი.

ეს თეორია, რომელიც ორიენტაციას აკეთებს მათემატიკაზე და მათემატიკურ ბუნებისმეტყველებაზე და რომელიც რეალურ სინამდვილეს განტოლებად აქცევს, აღარ ცდილობს ეს თავისი თვალსაზრისი გაატაროს საზოგადოებრივ მეცნიერებებში. უკვე ეს ფარემოება მაჩვენებელია ამ თეორიის მცდარობისა.

რასაკვირველია, რამდენადაც მეცნიერული ცნებები საგანთა და მოვლენათა არსებას ასახავენ, ისინი ამდენად საგანთა და მოვლენათა კანონს, სტრუქტურას ასახავენ¹; კანონი და არსება ერთი რიგის ცნებებია. კანონში არ იგულისხმება მოვლენათა მთელი სიმდიდრე, საგანთა და მოვლენათა ყველა სახე, არამედ მხოლოდ „იდენტური მოვლენაში“ (ლენინი). „კანონი არის არსებითი მოვლენაში“, „მოვლენა კანონზე მდიდარია“². და თუ ყოველი მეცნიერული ცნება კანონს გამოხატავს, ამით, ცხადია, ის მთელ მოვლენას ჭერ კიდევ არ გამოხატავს, იგი მხოლოდ იდენტურს, ზოგადს გამოხატავს.

ჩვენ შეგვიძლია გვარის ცნებიდან „დავეშვათ“ სახის ცნებებამდე, დავშალოთ გვარის ცნება მის შემადგენელ სახეებზე, თუკი მივეცემთ „გარკვეულ პარამეტრს“ განსხვავებულ მნიშვნელობებს. როგორც აღვნიშნეთ, ასე შეგვიძლია ჩვენ სამკუთხედის ცნებიდან მისი სახეები გამოვიყვანოთ, თუ რომელიმე კუთხეს მივეცით სხვადასხვა მნიშვნელობა. მეორე რიგის მრუდი სახის ცნებაში იგულისხმება მხოლოდ ამ მრუდების არსებითი ნიშნები და არ იგულისხმება ელიფსის, პარაბოლას და ჰიპერბოლას სპეციფიკური ნიშნები. თუ ჩვენ გარკვეული ნიშნის ცვლილებით მივიღებთ ამ მრუდის სახეებს, ეს ჭერ იმას სრულიადაც არ

¹ В. Ленин, Философские тетради, стр. 275.

² იქვე, გვ. 148—9.

აპტიკებს, რომ ამ მრუდის ცნებაში ყველა სახის ნიშანი იგულისხმებოდა. ძველი ლოგიკა, „სუბსტანციის ლოგიკა“, ე. ი. მატერიალიზმის საფუძველზე აგებული ლოგიკა ამას არასოდეს არ უარყოფდა, მაგრამ მას ამისათვის არ დასჭირვებია ობიექტური საგნების — „სუბსტანციების“ — მოსპობა და საგნების აზრისეული მიმართებების შედეგად გამოცხადება.

ამ თეორიის საფუძველი სუბიექტური იდეალიზმია, იდეალიზმი, რომლის მიხედვით საგნები და მოვლენები აზრის მიერ არის შექმნილი, საგანი და საგანზე აზრი ერთი და იგივეა, საგნის შემეცნება და საგნის შექმნა ერთი და იგივეა. წმინდა აზრის, აპრიორული მიმართებანი აგებენ საგნებს, აწესებენ რიგის კანონს და საგნად იქცევა ამ მიმართებით განსაზღვრული აზრი. წმინდა აზრი გამოიყვანს რიგის კანონიდან გვარის კერძო შემთხვევებს.

ც) თუ ნეოკანტიანური ფილოსოფიის ერთი ფრთა ცნებაში ხედავს რიგის შედგენის კანონს და ამ კანონიდან სურს გამოიყვანოს ყველა კერძო შემთხვევა, ამ მიმართულების მეორე ფრთა სრულიად უარყოფს ცნების შემეცნებით ღირებულებას. ნეოკანტიანელების ეს ჯგუფი (ვინდელბანდი, რიკერტი) აღიარებს შემდეგ დებულებას: ზოგადი ცნებები, რომლებსაც ქმნის ბუნებათმეცნიერება, იმდენად უშინააზროა, რომ ისინი აბსტრაქტულ სქემებს, ჩონჩხებს წარმოადგენენ, ისინი იმდენად დაშორებულნი არიან სინამდვილეს, რომ მასთან არავითარი კავშირი აღარ აქვთ. ეყრდნობა რა საგანთა მსგავსებას, — აღსანიშნავია, რომ საგნის ცნებაში ამ მიმართულებას ესმის არა ობიექტურად არსებული საგნები, არამედ საგნები, შემეცნებელ ცნობიერებაში — ჩვენი აზროვნება გამოყოფს მსგავს ნიშნებს, უარყოფს ყოველივე კერძოსა და კონკრეტულს და ქმნის უშინააზრო სქემებს, სინამდვილისაგან მოწყვეტილს. რაც უფრო ზოგადია ცნება, მით უფრო დაშორებულია ის სინამდვილეს.

ამგვარი ცნებების შემუშავება ხდება მხოლოდ ბუნებათმეცნიერებაში; რაც შეეხება მეცნიერებას საზოგადოების შესახებ, იქ არ არსებობენ და არც შეიძლება არსებობდეს ზოგადი ცნებები. საზოგადოებრივი მოვლენები არ მეორდებიან. ამიტომ ამ სფეროში მოვლენათაგან ზოგადის გამოყოფა უაზრობა იქნება. თუ ზოგადი მოვლენებში არ არსებობს, ცხადია, შეუძლებელია აქ არსებობდეს კანონზომიერება. და თუ არ არსებობს კანონზომიერება, შეუძლებელია არსებობდეს ამ მოვლენების შესახებ მეცნიერება, რომელიც კანონებს აღმოაჩენს. ისტორიული პროცესის შემეცნება შეუძლებელია, შეუძლებელია მოვლენების გათვალისწინება, შეუძლებელია საზოგადოებაზე ზემოქმედება მისი გარდაქმნის მიზნით. ამ დარგში შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული ფაქტების აღწერა.

ეს იდეალისტური და აგნოსტიკური თეორია პრინციპულად მარქ-

ლიზმის წინააღმდეგ არის მიმართული და არსებული კაპიტალისტური წეს-წყობილების დასაცავად არის გამიზნული.

რასაკვირველია, თუ მოვლენები მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური არიან, თუ მათ განმეორებას ადგილი არა აქვს, შეუძლებელი იქნება ზოგადი ცნებების შემუშავება: ზოგადი თუ არ არსებობს, არც მისი ამსახველი ცნება იარსებებს. ზოგადი ცნების ჩამოყალიბება მხოლოდ იმ სფეროში შეიძლება, სადაც მოვლენებში არსებობს იგივეობრივი, არსებითი, ზოგადი, რადგან ზოგადი არის ის ერთიანი იგივეობრივი, რომელიც მოვლენათა სიმრავლეს აერთიანებს.

რა მსგავსებაზე და განმეორებაზე მსჯელობს ეს თეორია? თუ მსჯელობა აბსოლუტურ მსგავსებაზე და განმეორებაზეა, ამგვარი რამ არ არსებობს არც ბუნების მოვლენათა შორის და არც საზოგადოებრივ მოვლენათა შორის. ორი აბსოლუტურად იგივეობრივი მოვლენა ორი მოვლენა კი აღარ იქნება, არამედ ერთი იქნება. ბუნების ყოველი მოვლენა, მაგალითად, წვიმა, ქუხილი, ქვის ვარდნა, ატომების დაშლა და სხვ. ინდივიდუალურია, ერთეულია, მას ადგილი აქვს გარკვეულ სივრცეში, გარკვეულ დროს, გარკვეულ პირობებში და ამიტომ ინდივიდუალურია, და იგი ამ გარემოებათა გამო არასოდეს მთლიანად, აბსოლუტურად არ განმეორდება. მაგრამ ამისდა მიუხედავად მოვლენებში მეორდება ზოგადი, იგივეობრივი: როგორც უნდა განსხვავდებოდეს ერთი ელვა მეორისაგან, ერთი ძაღლი მეორისაგან; ატომის ერთი დაშლა მეორისაგან, საერთო, იგივეობრივი არის როგორც ელვათა შორის, ისე ძაღლებს შორის და სხვ. ეს ზოგადი, ეს იგივეობრივი არის სწორედ მოცემულ მოვლენათა კანონზომიერება.

ასეთივე მდგომარეობაა საზოგადოებრივ მოვლენებში: რა განსხვავებაც უნდა იყოს სოციალისტურ რევოლუციასა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში, და იმ სოციალისტურ რევოლუციებს შორის, რომელთაც ადგილი ექნებათ შემდეგ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მათ მაინც ექნებათ ზოგადი, იგივეობრივი ნიშანი, ყველა მათთვის დამახასიათებელი და არსებითი: ეს არსებითი იგივეობრივი არის სოციალისტური რევოლუციის კანონზომიერება. როგორც უნდა განსხვავდებოდეს ერთი იმპერიალისტური სახელმწიფო მეორისაგან, ისინი ხასიათდებიან არსებითი, იგივეობრივი მომენტით, რომლის ასახვა აზროვნებაში იმპერიალისტური სახელმწიფოს ცნება იქნება.

ზოგადი ცნებების შემუშავება ხდება როგორც მეცნიერებაში ბუნების შესახებ, ისე მეცნიერებაში საზოგადოების შესახებ. კანონზომიერება ბატონობს როგორც ერთ, ისე მეორე სფეროში. მოვლენათა გათვალისწინება და გარდაქმნა შესაძლებელია სინამდვილის ყველა სფეროში. ამგვარი გარდაქმნის გრანდიოზულ მაგალითს წარმოადგენს ჩვენი ქვეყანა და ეს ფაქტი პრაქტიკაში ამართლებს წამოყენებულ დებულებას.

რაც შეეხება ცნების შემცვნიერებებს ღირებულებას, უნდა ითქვას, რომ ცნება, მართლაც, შორდება გრძობად სინამდვილეს — ამაშია მისი ბუნება აღქმებისა და წარმოდგენებისაგან განსხვავებით—მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ის საერთოდ სინამდვილეს შორდება. ცნება შორდება გრძობად სინამდვილეს და სწორედ ამით უფრო ღრმად წვდება სინამდვილეს. უკუაგდება რა ზერელე, შემთხვევით, არარსებით ნიშნებს, მოახდენს რა მოვლენათა ცალკეულ, ერთეულ თავისებურებათაგან განყენებას, ცნება წვდება მოვლენათა არსებას, ასახავს მათ კანონზომიერებას და ამით გვაწვდის სინამდვილის შემცვნიერებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანს, ღირებულს. ცნება სინამდვილის უშინაარსო ჩონჩხი, აბსტრაქტული ჰქემა კი არ არის, არამედ აზროვნების ის ფორმაა, რომელიც მოვლენათა სიმრავლეში მის ერთიანობას ასახავს, იმ ბირთვის ასახავს, რომლის ცოდნის საფუძველზე ადამიანს შეუძლია აწარმოოს ზემოქმედება ბუნებაზე და საზოგადოებაზე და გარდაქმნას ისინი.

d) აღქმები, წარმოდგენები უფრო ახლო დგანან სინამდვილესთან იმ აზრით, რომ ისინი ასახავენ სინამდვილეს გრძობად, უშუალო ფორმაში; ისინი უფრო ცოცხალნი არიან, ვიდრე ცნებები, მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი უფრო დაშორებულნი არიან სინამდვილეს, რადგან ისინი არ ასახავენ და არ შეუძლიათ ასახონ სინამდვილის საგანთა არსება, მათი შინაგანი კავშირები და სტრუქტურა. სწორედ ამ გარემოების გამო ცნება უფრო ახლო დგას სინამდვილესთან, ხოლო, ამ აზრით, აღქმა და წარმოდგენა უფრო დაშორებულია მისგან.

ლენინი აღნიშნავდა: „აზროვნება კონკრეტულიდან აბსტრაქტული-საყენ გადასვლით არ შორდება—თუ იგი სწორია—ჭეშმარიტებას, არამედ უახლოვდება მას. მატერიის, ბუნების კანონის აბსტრაქცია, ღირებულების აბსტრაქცია და ა. შ. ერთი სიტყვით, ყველა მეცნიერული (სწორი, სერიოზული, არასულელური) აბსტრაქციები ასახავენ ბუნებას უფრო ღრმად, ჭეშმარიტად, მთლიანად“.

უნდა მიექცეს ყურადღება ერთ გარემოებას. საქმე ის არის, რომ კონკრეტულის ცნება იხმარება ორი განსხვავებული აზრით და ხშირად ამ ტერმინის განსხვავებული აზრით ხმაზეა იწვევს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების აზრების არამართებულ გავებას.

კონკრეტულის ცნება იხმარება ხშირად ცალკეულის, ინდივიდუალურის აღსანიშნავად. ეს აზრია, მაგალითად, ჩადებული გამოთქმებში: „ავიღოთ კონკრეტული მაგალითი“, „კონკრეტულ შემთხვევაში...“, „მოცემული კონკრეტული საგანი...“. ამ აზრით კონკრეტული ადამიანი არის სოკრატე, ივანე, პეტრე და სხვ., ე. ი. აი ეს ცალკეული, ინდივიდუალური ადამიანი; კონკრეტული სამკუთხედი არის აი ეს მოცემული სამკუთ-

¹ В. Ленин, Философские тетради, стр. 146.

ხედი ყველა თავისი ინდივიდუალური ნიშნით; რასაკვირველია, ადამიანის ცნება, რომელიც ასახავს ადამიანის არსებას, ზოგადს, განყენებას ახდენს სოკრატეს, პეტრეს, ივანეს და სხვ. კონკრეტულ, ინდივიდუალურ თვისებათაგან. ადამიანის ცნებაში აღარ მოიაზრება ათინელი, ფილოსოფოსი, ულამაზო ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა V საუკ. (სოკრატე) და სხვ. და სხვ.

მაგრამ კონკრეტულის ცნება სხვა, უფრო ღრმა აზრითაც იხმარება. კონკრეტული ამ შემთხვევაში ლათინური სიტყვის *Concrescere*-ს მნიშვნელობით იხმარება. *Concrescere* ნიშნავს შერწყმას, შეერთებას, გაერთიანებას. კონკრეტული ამ აზრით არის ის, რაც მოვლენათა სიმრავლეს გაა-ე რ თ ი-ანებს.

კონკრეტული არის ის, რაც მრავალსახეობას ერთ მთლიანობად ქმნის, ეს არის ერთიანობა სიმრავლეში. ზოგადი, ოგივეობრივი, არსება სწორედ ის კონკრეტულია, რომელიც სიმრავლეს ერთ მთლიანობად აქცევს. ადამიანები მრავალნაირები არიან, ისინი განსხვავდებიან თავიანთი ინდივიდუალური ნიშნებით, მაგრამ თავისი არსებით ერთნი არიან. ეს ერთი ზოგადი, იგივეობრივი, არსებითი ა-ე რ თ ი-ანებს ყველა განსხვავებულ ადამიანს ადამიანთა ერთ მოდგმაში.

მატერიის, ბუნების კანონის, ღირებულების და სხვ. აბსტრაქცია ასახავს სინამდვილეს უფრო ღრმად, სწორად, სრულად, ვიდრე აღქმა და წარმოდგენა, რადგან ეს აბსტრაქცია ასახავს ზოგადს, არსებას, შედეგად გვაძლევს კონკრეტულს, კონკრეტულს არა ცალკეულის ყოველნაირ თვისებათა სიმდიდრის აზრით, არამედ მრავალსახეობის ერთიანობის აზრით.

ძველი, ტრადიციული ლოგიკა არ ცდებოდა, როდესაც აღიარებდა ცნების მოცულობასა და შინაარსს შორის შებრუნებული დამოკიდებულების პრინციპს, როდესაც ამტკიცებდა, რომ ზოგად ცნებაში არ მოიაზრება ცალკეული საგნების ინდივიდუალური ნიშნები. ამას ჩვენც ვაღიარებთ, როდესაც ვამბობთ, რომ ცნება შორდება უშუალო, გრძობადი სინამდვილის სიმდიდრეს.


ძველი, ტრადიციული ლოგიკის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მას არ ესმოდა კონკრეტული, როგორც მოვლენათა სიმრავლის ერთიანობა, არ ესმოდა, რომ, ცნება არ არის სინამდვილის აბსტრაქტული სქემა, ჩონჩხი, არამედ ამ ერთიანის ასახვაა, ასახვა უფრო ღრმა, სწორი, სრული; რომ, ასახავს რა ზოგადს, ცნება აბსტრაქტულია და ამავე ღროს — და სწორედ ამიტომ — ის ნამდვილად კონკრეტულია.

ე) მათემატიკური ლოგიკის წარმომადგენლები პეანოს და ფრეგეს შემდეგ განასხვავებენ პრინციპულად გვარისა და სახის დამოკიდებულებისაგან ცალკეულის გვართან ან სახესთან დამოკიდებულებას. რადგან ისინი მსჯელობენ არა გვარისა და სახის ცნებებზე და მათ მოცულო-

ბაზე, არამედ კლასთა დამოკიდებულებაზე, ამიტომ უფრო ზუსტად ასე უნდა ითქვას: ისინი განასხვავებენ კლასის კლასში შეტანას ცალკეულის კლასში შეტანისაგან. პირველ დამოკიდებულებას აღნიშნავენ ჩვეულებრივი ტერმინით — საგანთა კლასის საგანთა მეორე კლასში შეტანა —, მეორე დამოკიდებულებას ეწოდება კლასის წევრობის დამოკიდებულება (Class membership). პირველი დამოკიდებულების მაგალითი იქნება: ადამიანთა კლასი და მოკვდავთა კლასი, რკინა და ლითონი და სხვ. მეორე დამოკიდებულების მაგალითი იქნება: სოკრატე და ფილოსოფოსთა კლასი, ივანე და კომუნისტური პარტია („ივანე კომუნისტური პარტიის წევრია“). პირველ შემთხვევაში ადამიანთა კლასი შედის მოკვდავთა კლასში, რკინა—ლითონთა კლასში; მეორე შემთხვევაში სოკრატე ფილოსოფოსთა კლასის წევრია. ივანე კომუნისტთა კლასის წევრია. განსხვავება იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში კლასთა შორის მიმართება ტრანზიტულია, მეორე შემთხვევაში მიმართება არ არის ტრანზიტული. მაგალითად, თუ რკინა შედის ლითონთა კლასში, ხოლო ლითონი — ელექტრობის გამტართა კლასში, მაშინ რკინაც შეევა ელექტრობის გამტართა კლასში. მაგრამ, თუ ივანე წევრია კომუნისტური პარტიის და კომუნისტური პარტია მუშათა კლასის მოწინავე რაზმია, ეს უკანასკნელი ნიშანი ივანეს აღარ ახასიათებს.

ამ განსხვავებების უარყოფა შეუძლებელია. საქმე ეხება აქ კლასის წევრბა და კლასს შორის ისეთ დამოკიდებულებას, როდესაც კლასის ნიშანი არ ახასიათებს (შეიძლება არ ახასიათებდეს) კლასის წევრებს, რადგან კლასი მოაზრებულა როგორც ერთეული მთელი; თუ ცნებაზე ვილაპარაკებთ, მაშინ ვიტყვი: ცნება მოაზრებულა, როგორც ერთეული ცნება.

4) გადამკვეთი ცნებები. გადამკვეთი ცნებები ეწოდება ცნებებს, რომელთა მოცულობანი ერთმანეთს ნაწილობრივ ემთხვევა. გადამკვეთი ცნებების მაგალითებია: სტუდენტისა და სპორტსმენის ცნებები, რუსისა და პოეტის, კაპიტალისტისა და ამერიკელის, ქალისა და ექიმის და სხვ. სტუდენტისა და სპორტსმენის მოცულობანი იგივეობრივი არ არის; არის სტუდენტი არასპორტსმენი და სპორტსმენი არასტუდენტი; მაგრამ არიან სტუდენტები სპორტსმენები და სპორტსმენები სტუდენტები და ამ ნა-




A—სტუდენტები
B—სპორტსმენები

ნახ. 6

წილში საგანთა ეს კლასები ემთხვევიან ერთმანეთს. წრიულ სქემებში გადამკვეთ ცნებებს ასე გამოხატავენ (იხ. ნახ. 6).

5) არათანხმობადი ცნებები. არათანხმობად ცნებებში ისეთი შინაარსები მოიაზრება, რომელნიც შეუძლებლად ზდიან მათი მოცულობის მთლიან ან ნაწილობრივ დამთხვევას. ასე, მაგალითად, ცნებები მთელი რიცხვისა და წესიერი წილადის, კაპიტალისტურისა და კომუნისტური საზოგადოების, თეთრისა და არათეთრისა გამორიცხავენ მათი მოცულობების ერთმანეთთან დამთხვევის შესაძლებლობას. წრიულ სქემებში არათანხმობად ცნებებს გამოხატავენ ორი წრით, რომელთაც არა აქვთ საერთო წერტილი:



ნახ. 7

არათანხმობადი ცნებები ორი სახისაა: კონტრადიქტორული (საწინააღმდეგო) და კონტრარული (დაპირისპირებული). კონტრადიქტორულია ერთმანეთისაღმე ორი ცნება, რომელთაგან ერთის შინაარსში უარყოფილია მეორე ცნების ზოგიერთი (ერთი ან რამდენიმე) ნიშანი¹ და, ამასთანავე, ეს უარყოფილი ნიშანი სხვა ნიშნით არ არის შევსებული. მაგალითად, ცნებები შავი საგნისა და არაშავი საგნისა. არაშავი საგნის ცნებაში უარყოფილია პირველი ცნების ერთ-ერთი ნიშანი (შავი ფერის ნიშანი), მაგრამ იგი მეორე ცნების შინაარსში არ არის რაიმე ნიშნით შევსებული.

თუ ერთ ამ ცნებათაგანს აღვნიშნავთ A ასოთი, მასთან კონტრადიქტორული იქნება არა A. ხშირად ასეთ აღნიშვნას მცდარ შეხედულებამდე მივყავართ: არა A-ში ესმით ყველაფერი A-ს გარდა; მაგალითად, თითქოს არასპორტსმენის ცნებაში იგულისხმებოდეს ყველაფერი სპორტსმენის გარდა, არათეთრის ცნებაში თითქოს მოიაზრება არა მხოლოდ ფერები თეთრის გარდა, არამედ ყველა საგანი და მოვლენა თეთრის გარდა.

ნამდვილად, თუ საქმე ცნებებს ეხება, A-სა და არა A-ში მოიაზრება საგნები, რომლებიც ერთ მთლიან კლასს წარმოადგენენ. არასპორტსმენი როდია ყოველივე საგანი და მოვლენა, მაგალითად, პლანეტა, ქვა,

¹ უფრო ზუსტი იქნებოდა გამოთქმა:... მეორე ცნებაში მოაზრებული ზოგიერთი ნიშანი...

მგელი და სხვ.. არამედ სწორედ ადამიანია, რომელიც სპორტსმენი არ არის: არათეთრი სწორედ ფერია და არა სხვა რამ.

სულ სხვა მდგომარეობაა, როდესაც ჩვენ აღქმებთან გვაქვს საქმე და გამოვთქვამთ ეკვს ანდა დარწმუნებას, რომ აღქმული საგანი არ არის ის, რაც ჩვენ გვეგონა: ეს არ არის სახლი, ეს არ არის მგელი და სხვ. („ИЦ ДОМ“. „ИЕ ВДЛК“). ამ შენობევეაში არა მგელი შესაძლებელია იყოს ყოველნაირი საგანი — და არა უსათუოდ ცხოველი —, რომელიც ჩვენ რაღაც მიზეზის გამო მგლად მივიჩნიეთ.

კონტრარულია ერთმანეთისადმი ორი ცნება, რომელთაგან ერთის შინაარსში უარყოფილია მეორე ცნების ზოგიერთი ნიშანი, მაგრამ ეს ნიშანი სხვა, გარკვეული ნიშნით არის შეცვლილი. მაგალითად, ცნებები თეთრი საგნისა და შავი საგნისა, მთელი რიცხვისა და წესიერი წილადის, კაპიტალისტურისა და კომუნისტური საზოგადოებისა და სხვ. კომუნისტური საზოგადოების ცნება კონტრარულია კაპიტალისტური საზოგადოების ცნებისადმი, რადგან პირველის შინაარსი უარყოფს რა მეორის ნიშნებს, მათ ადგილზე სხვა, გარკვეულ ნიშნებს დაადგენს.


როგორც კონტრადიქტორულსა, ისე კონტრარულ ცნებებში ნიშანთა უარყოფა ეხება სახის ნიშნებს და არა გვარის ნიშნებს. ცნებები არამთელი რიცხვის, არათეთრის, არაკომუნისტური საზოგადოების ისევე, როგორც წესიერი წილადის, შავის, კაპიტალისტური საზოგადოების, არ უარყოფენ გვარის ნიშნებს შესაბამად რიცხვის, ფერის, საზოგადოების ნიშნებს.

კონტრადიქტორულსა და კონტრარულ ცნებებს შორის განსხვავება შეიძლება დავადგინოთ უფრო მარტივად: ორი ცნება კონტრადიქტორულია იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამორიცხავენ ერთმანეთს და ამავე დროს ორივე ერთად ამოწურავენ საგანთა კლასს, რომელიც მოიაზრება მათი გვარის ცნებაში. ასე, მაგალითად, ცნებები თეთრისა და არათეთრისა, მთელისა და არამთელი რიცხვისა, კაპიტალისტურისა და არაკაპიტალისტური საზოგადოებისა კონტრადიქტორულია, რადგან ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ და ამავე დროს ამოწურავენ საგანთა მთელ კლასს, რომელიც ივლისსხმება მათი გვარის ცნებაში, სახელდობრ, თეთრისა და არათეთრის ცნება ამოწურავს ფერის ცნებას, მთელისა და არამთელი რიცხვის ცნება — რიცხვის ცნებას, კაპიტალისტურისა და არაკაპიტალისტური საზოგადოების ცნება — საზოგადოების ცნებას.

ორი ცნება კონტრარულია იმ შემთხვევაში, თუ ისინი მხოლოდ გამორიცხავენ ერთმანეთს, მაგრამ არ ამოწურავენ საგანთა იმ კლასს, რომელიც მათი გვარის ცნებაშია მოაზრებული. ასე, მაგალითად, მთელისა და წესიერი წილადის, თეთრისა და შავის, კაპიტალისტურისა და კომუნისტური საზოგადოების ცნებები კონტრარულია, რადგან ეს ცნებები,


მართალია, გამორიცხავენ ერთმანეთს, მაგრამ არ ამოწურავენ რიცხვთა კლასს, ფერთა კლასს, საზოგადოებათა კლასს.

6) თანაქვემდებარე და დისპარატული ცნებები. ცნებათა შორის დამოკიდებულება შეიძლება იყოს თანაქვემდებარე და დისპარატული სახის. თუ ცნებებს აქვთ საერთო გვარი, ისინი თანაქვემდებარენი არიან, რადგან ერთსა და იმავე გვარს ექვემდებარებიან. თანაქვემდებარე შეიძლება იყოს თანხმობადი და არათანხმობადი ცნებებიც. მაგალითად, გადამკვეთი ცნებები პოეტი და რუსი ექვემდებარებიან ადამიანის ცნებას, ლითონი და სითხე — ნივთიერების ცნებას, მთელისა და წესიერი წილადის ცნებები ექვემდებარებიან რიცხვის ცნებას, თეთრისა და შავის — ფერის ცნებას. წრიულ სქემებში თანაქვემდებარეობის მიმართება ასე გამოიხატება:



ნახ. 8

A—ფერი
a—თეთრი
B—არათეთრი



ნახ. 9

A—ადამიანი
a—რუსი
B—პოეტი

არსებობენ აგრეთვე ცნებები, რომელთაც არა აქვთ საერთო გვარი, თუ არ ჩავთვლით საერთო გვარად „არსებულის“ ცნებას საერთოდ. ასე, მაგალითად, სამკუთხედისა და სიყვარულის, გმირობისა და ატომური წონის ცნებისათვის შეუძლებელია საერთო გვარის დადგენა. ცნებებს, რომლებსაც არა აქვთ საერთო გვარი, დისპარატულ ცნებებს უწოდებენ.

7. ცნების თეორიები

როდესაც საკითხი ეხება აღქმისა და ობიექტური სინამდვილის დამოკიდებულებას, ადვილია პასუხის გაცემა ამ საკითხზე: აღქმას შეესაბამება ობიექტურ სინამდვილეში საგანი, რომელიც აისახება ამ აღქმით. ასეთივე მდგომარეობაა წარმოდგენის შემთხვევაშიც: წარმოდგენაც, მართალია, არა ასე ნათლად და გარკვეულად, როგორც აღქმა, ასახავს საგანს, მასაც შეესაბამება გარკვეული, ინდივიდუალური საგანი. წარმოდგენაც ეხება რაღაც გარკვეულს, ამა თუ იმ საგანს, თუნდაც ეს საგანი

ობიექტურ სინამდვილეში არ არსებობდეს. ფანტაზიის წარმოდგენის მასალაც აღებულია ობიექტური სინამდვილიდან და ამ უკანასკნელის ელემენტები, მხარეები თავისებურად არის შეერთებული. მაგრამ ამ ელემენტების შედეგად მიღებული სურათი მაინც რაღაც ინდივიდუალურია.

სრულიად თავისებური მდგომარეობა იქმნება, როდესაც დაისმება საკითხი ცნების შესახებ. აღნიშნული იყო, რომ ცნება ასახავს არა საგანს ან საგანთა კლასს, რომელიც არსებობს ობიექტურ სინამდვილეში, არამედ საგანთა არსებას, რომელიც საგნებში არსებობს. ამ მხრივ ცნება არა ჰგავს აღქმას ან წარმოდგენას: ცნების შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს ინდივიდუალური საგნის სურათი, არც განსხვავებული საგნების სხვადასხვა ელემენტის შეერთება, კომბინაცია; ცნებით ასახულია საგნის ან საგანთა კლასის ზოგადი, არსებითი, იგივეობრივი. მაგრამ იბადება კითხვა: არსებობს, მართლაც, ასეთი ზოგადი საერთოდ და თუ არსებობს, როგორ, რა სახით არსებობს? ეს საკითხი სერიოზული საკითხია და მის ასეთსა და ისეთ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია არა მარტო ლოგიკის მრავალი პრობლემის გადაწყვეტა, არამედ მთელი შემეცნების პრობლემა, მეცნიერული ცოდნის შესაძლებლობის პრობლემა. ეს პრობლემა ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემათაგანია ფილოსოფიაში და მან უკვე ძველ საბერძნეთში მძაფრი დისკუსია გამოიწვია.

ჩვენ გვერდს ავუვლით ამ საკითხის ისტორიას და განვიხილავთ რამდენიმე თეორიას, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ლოგიკის სისტემებში.

1) **კონცეფტუალიზმი.** ცნების კონცეფტუალისტური თეორია გავრცელებული იყო როგორც ლოგიკოსთა, ისე სპეციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლებს შორის. ამ თეორიის შინაარსი მოკლედ ასეთია: სინამდვილის მოვლენათა მრავალსახეობიდან ჩვენ გამოვყოფთ გარკვეულ მოვლენათა ჯგუფს, მსგავს მოვლენათა ჯგუფს, მაგალითად, ადამიანთა ჯგუფს, ხეების ჯგუფს და სხვ. ეს მოვლენები ცალკეული, ერთეული, ინდივიდუალური მოვლენებია. ჩვენ ვაძარებთ ამ მოვლენებს ერთმანეთს და აღმოვაჩინებთ მათში მსგავსებისა და განსხვავების ნიშნებს, ე. ი. გამოყოფილი ჯგუფის მოვლენებს გავაანალიზებთ, დავშლით მათ მხარეებზე, ნიშნებზე; ნიშნებს, რომლებითაც განსხვავდებიან ეს მოვლენები, ჩვენ უკუვაგადავბრუნებთ (ე. ი. მათგან ჩვენ განყენებას ვახდენთ), მსგავს ნიშნებს კი ვაერთებთ ერთ მთლიანობად. ეს მთელი, მსგავსი ნიშნებიდან შედგენილი, არის სწორად გამოყოფილ საგანთა ჯგუფის ცნება.

ამრიგად: ობიექტურ სინამდვილეში ზოგადი არ არსებობს, არსებობენ მხოლოდ ცალკეული, ინდივიდუალური საგნები და მოვლენები, ზოგადი ჩვენი აზროვნების მოღვაწეობის შედეგია (კონცეფტია).

რამდენიმე მომენტი არის დამახასიათებელი ამ თეორიისათვის: ა) ზოგადი, ჩვენი აზროვნების მიერ შექმნილი, სინამდვილეს მოწყვეტი-

ლია, უფრო სწორად, მას არაფერი შეესაბამება ობიექტურ სინამდვილეში. რაც უფრო ზოგადია ცნება, მით უფრო დაშორებულია ის სინამდვილისაგან და ამიტომ ის არ გამოდგება სინამდვილის შემეცნებისათვის; B) ეს თეორია ცდილობს ახსნას ზოგადის წარმოშობა არაზოგადიდან, წმინდა—ცალკეულიდან. მაგრამ, თუ მოვლენები ცალკეულნი არიან და მხოლოდ ცალკეულნი, ნათელი უნდა იყოს, რომ მხოლოდ ცალკეულიდან ზოგადი არავითარ შემთხვევაში არ გამოიყვანება. თუ, მაგალითად, ადამიანები მხოლოდ ცალკეულები არიან, თუ მათ არაფერი საერთო არა აქვთ, მაშინ ძნელი არ არის დავრწმუნდეთ იმაში, რომ ამ ცალკეულთაგან ადამიანის ზოგადი ცნების მიღება ყოვლად შეუძლებელია.

მაგრამ კონცეფტუალიზმის წარმომადგენელი თითქოს არ უარყოფენ იმას, რომ ამ ცალკეულ, ინდივიდუალურ საგნებს აქვთ საერთო: ეს საერთო არის მსგავსი ნიშნები, რომლებიც გამოყოფილ საგანთა ჯგუფის წევრებს ახასიათებენ. კონცეფტუალისტურ თეორიას არ ესმის მსგავსების ცნების ნამდვილი აზრი. მსგავსება საგანთა შორის არ იარსებებდა, ეს საგნები რომ არ ყოფილიყვნენ იგივეობრივი რაიმე მიმართებით, რადგან მსგავსება არის იგივეობა გარკვეულ მიმართებაში. A და B მსგავსია — ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი გარკვეულ მიმართებაში იგივეობრივნი არიან, ე. ი. რომ მათ რაღაც იგივეობრივი აქვთ, მაგალითად, C. პეტრე მსგავსია ივანესი იმიტომ, რომ ისინი ადამიანები არიან, რკინა და სპილენძი — იმიტომ, რომ ისინი ლითონებია, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი — იმიტომ, რომ ისინი იმპერიალისტურ ქვეყნებს წარმოადგენენ, მთელი და წილადი — იმიტომ, რომ ორივე რიცხვია, წითელი და ლურჯი იმიტომ, რომ ფერებია. საერთოდ, როგორც აღვნიშნეთ, A და B მსგავსია, რადგან მათ იგივეობრივი მომენტი C ახასიათებს. ეს C უკვე აღარ არის A-ს და B-ს მსგავსი, რადგან თუ C A-ს და B-ს მხოლოდ მსგავსი იქნება, მაშინ A და C და B და C მსგავსების ასახსნელად დაგვიკირდება კიდევ მათი იგივეობრივი მომენტების E და F-ს აღიარება და ასე უსასრულოდ.

მსგავსების საფუძველი იგივეობაა; იგივეობის გარეშე მსგავსების ცნება ყოველივე აზრს მოკლებულია; მხოლოდ იგივეობის აღიარება არის იმ ზოგადის აღიარება, რომელიც ცალკეულშია და მის არსებას წარმოდგენს. სწორედ ამ იგივეობრივს ასახავს ცნება.

კონცეფტუალური თეორია ნიშანთა მსგავსების აღიარების გარეშე ვერ აიგება. მხოლოდ მსგავსების აღიარება იგივეობას გულისხმობს; მხოლოდ ამ უკანასკნელის აღიარება მთლიანად ანგრევს ამ თეორიას.

გაუგებარია ამ თეორიაში ისიც, რომ იგი ზოგადი კონცეფტის შემუშავების პირველ ნაბიჯად საგანთა გარკვეული ჯგუფის გამოყოფას თვლის. რა გვაძლევს იმის უფლებას, რომ სინამდვილის უამრავი მოვლე-

ნიდან საგანთა გარკვეული ჯგუფი გამოვყოთ? რით ვხელმძღვანელობთ ჩვენ, როდესაც გამოვყოფთ ადამიანებს, ძალებს, ხეებსა და სხვ. ადამიანის, ძალის, ხის და სხვ. ცნებების შემუშავებისათვის. თუ ჩვენ ხის ცნების ჩამოყალიბებისათვის გამოვყავით მუხა, ნაძვი, წიფელა, ვაშლის ხე და სხვ., ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე გვქონია ხის ცნება და მისი საშუალებით შევადგინეთ ხეების კლასი. საგანთა კლასის შედგენა მაშინ შეიძლება, როდესაც ჩვენ უკვე გვაქვს გარკვეული შინაარსის ცნება და ვხელმძღვანელობთ რა ამ შინაარსით, მივაკუთვნებთ ცალკეულ მოვლენებს გარკვეულ კლასს.

რატომ არ გამოვყოფთ ჩვენ უამრავი მოვლენიდან, მაგალითად, საგანთა ასეთ ჯგუფს: სამელნე, პლანეტა, ბუჩქი, თევზი და სხვ.? იმიტომ რომ ამ საგანთა შედარებიდან განსხვავებული ნიშნების უკუგდებით ვერაფერს ვერ მივიღებთ, ყოველ შემთხვევაში საგნის საერთო ცნების მეტს ვერაფერს ვერ მივიღებთ. ზოგიერთი ლოგიკოსი სწორედ ასეთ გზასაც მიუთითებს იმისათვის, რომ გადააჩინოს კონცეპტუალისტური თეორია. მაგრამ ამ თეორიის სხვა ნაკლსაც რომ არ მივაქციოთ ყურადღება, უკვე ნათელი უნდა იყოს, რომ ამ გზით ცნებათა შემუშავება ვერ განხორციელდება.

რასაკვირველია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენ ცნებათა შემუშავების დროს არ მივმართავთ საგანთა შედარებას, ანალიზს და სხვ. ცნებათა შემუშავება შეუძლებელიც იქნებოდა შედარების, ანალიზის და სხვ. ოპერაციების გარეშე.

ა. ანალიზი. აღქმაში სინამდვილის საგნები და მოვლენები გვეძლევა უშუალოდ როგორც მთლიანი. ჩვენ აღვიქვამთ გარკვეულ ადამიანს, ამა და ამ ძაღლს, რკინის აი ამ ნაჭერს და სხვ. უკვე აღქმის პროცესში ჩვენი პრაქტიკით განსაზღვრული ცნობიერება იწყებს საგნებიდან და მოვლენებიდან მათ ცალკეული მხარეების გამოყოფას, ე. ი. იწყებს ყურადღების მიქცევას მათ გარკვეულ მხარეებზე. ჩვენი ცნობიერება „გულგრილი“ სარკის მსგავსი როდია, რომელიც ყველაფერს ერთნაირად ასახავს; ჩვენი ცნობიერება პრაქტიკული ინტერესებით განსაზღვრულია და, მართალია, მას შეუძლია ყველაფრის ასახვა, მაგრამ მიაქცევს ყურადღებას პირველ რიგში იმ საგანს, საგნის იმ მხარეს, რომელიც მის პრაქტიკულ, საცხოვრებო ინტერესების წრეში შედის.

კვლევა-ძიების პროცესში, ამა თუ იმ საგნის შესწავლის პროცესში ჩვენ უკვე ცნობიერად და გარკვეული მიზნით ვიწყებთ საგანთა და მოვლენათა დაშლას მის შემადგენელ ელემენტებად. ჩვენ დავშლით მათ ცალკეულ ნიშნების მიხედვით და მათ ცალ-ცალკე შევისწავლით.

„თუ ჩვენ გონების თვალს გადავაგვლებთ ბუნებას, კაცობრიობის ისტორიას ან ჩვენივე საკუთარ ისულებს, ჩვენს წინაშე, უწინარეს ყოვლისა, გაიშლება დაუსრულებელი შეერთებების და ურთი-

ერთზე მეტქმედების გადახლართვის სურათი, სადაც არაფერი იქ და ასე არ ჩიება, სადაც და როგორც იყო, არამედ ყოველივე მოძრაობს, იცვლება, იქმნება და ისპობა. ეს პირველყოფილი, გულუბრყვილო, მაგრამ არსებითად სწორი შეხედულება სამყაროსზე უკვე ძველმა ბერძნულმა ფილოსოფიამ შეინიშნა... მაგრამ თუმცა ეს შეხედულება ასახავს მოვლენათა საერთო სურათის ზოგად ხასიათს, მაინც საკმაოდ არ არის იმ ცალკე მხარეების ასახსნელად, რომლისგანაც ეს საერთო სურათი შედგება: ხოლო სანამ ჩვენ ამ ახსნას ვერ შევძლებთ, საერთო სურათსაც ვერ წარმოვიდგენთ ნათლად. ამ ცალკე მხარეების შესაცნობად საჭიროა, რომ ჩვენ ისინი გამოვთიშოთ მათი ბუნებრივი ან ისტორიული ურთიერთობიდან და თვითეული მათგანი გამოვიკვლიოთ მათი თვისებისა, მათი განსაკუთრებული მიზეზისა და შედეგის მიხედვით. ეს, უწინარეს ყოვლისა, ბუნებისმეცნიერებისა და ისტორიული კვლევა-ძიების ამოცანას წარმოადგენს¹.

შეუძლებელია ბუნების ან სოზოგადობების რაიმე რთული მოვლენის შესწავლა, თუ იგი არ დავშალეთ შემადგენელ ნაწილებად, თუ არ გამოვყავით მისი ცალკეული ნიშნები. ეს ზოგადი სურათი, რომელსაც გვაძლევს ცოცხალი განჭვრეტა, არ არის საკმარისი საგნის შესწავლისათვის.

საგნის მის შემადგენელ ნაწილებად აზროვნებით დაშლას, მის ნიშნებად, მხარეებად დაშლას აზროვნებითი ანალიზი ეწოდება. მოვლენათა ანალიზს ახდენს ქიმიკოსი, ფიზიკოსი, ისტორიკოსი და სხვ. საგნთა ანალიზის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სინამდვილის შემეცნება. ბუნების დაშლა ცალკე ნაწილებად, ბუნების სხვადასხვა მოვლენების და საგნების დალაგება განსაზღვრულ კლასებად, ორგანული სხეულების შინაგნობის გამოკვლევა მათი მრავალნაირი ანატომიური აღნაგობის მიხედვით—წარმოადგენდა იმ უზარმაზარი პროგრესის ძირითად პირობას, რომელიც უკანასკნელმა 400 წელმა მოგვიტანა ბუნების შემეცნების დარგში².

აზროვნებითი ანალიზის უნარი გამომუშავდა საგნთა და მოვლენათა რეალური დაშლის, ანალიზის პრაქტიკის საფუძველზე. ადამიანს შეუძლია აზრში დაშალოს, გააანალიზოს საგნები, გამოყოს მათგან ნიშნები და გამოყოფილი ნიშნები შეადაროს ერთმანეთს.

ანალიზი აუცილებელი ოპერაციაა ცნების შემუშავების პროცესში, მაგრამ ის არ არის ამისათვის საკმარისი.

ბ. ა ბ ს ტ რ ა ქ ე ც ი ა. ცნების შემუშავების პროცესში ანალიზის გარდა ჩვენ მივმართავთ გარკვეულ ლოგიკურ ოპერაციას, აბსტრაქციას. თუ ჩვენ დავშალეთ საგანი გარკვეულ მახრეებად, ნიშნებზე, ჩვენ შეგვიძ-

¹ ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-ლიურიზმი, 1933, გვ. 4.

² იქვე, გვ. 5.

ლია. თუ ამას მოითხოვს შემეცნების მსვლელობა ან რაიმე სხვა მიზანი, გამოვეყნოთ ერთი ან რამდენიმე ნიშანი და ეს ნიშანი ცალკე, მთლიანი საგნის გარეშე, მოვიაზროთ; საგნის სხვა ნიშნებს ჩვენ გვერღებ ვტოვებთ, მათ ჩვენ უკუვაგაღებთ, როგორც უმნიშვნელოს ამ შემთხვევაში. მაგალითად. თუ ჩვენ გვინდა აღმოვაჩინოთ კვადრატისა და ტრაპეციას შორის იგივეობრივი ნიშნები, ჩვენ დავშლით მათ ნიშნებზე, გამოვეყოფთ ოთხკუთხედობის ნიშანს და ამ ნიშანს ცალკე მოვიაზრებთ, ხოლო სხვა ნიშნებიდან განყენებას, აბსტრაქციას ვახდენთ. ასევე, თუ გვინდა აღმოვაჩინოთ იგივეობრივი ნიშნები ბულგარეთსა, რუმინეთსა და პოლონეთს შორის, ჩვენ გამოვეყოფთ სახალხო-დემოკრატიული წყობის ნიშანს, სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის, მშვიდობისათვის ბრძოლის და სხვ. ნიშნებს, ხოლო იმ ნიშნებიდან, რომლებითაც ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ჩვენ აბსტრაქციას ვახდენთ.

ნიშანთა როგორც უკუგდება, რომლის საშუალებით ზღვება საგნის ერთი ან რამდენიმე ნიშნის გამოყოფა, აბსტრაქციას წარმოადგენს. ნიშნის გამოყოფა კი არ არის აბსტრაქცია, ის აბსტრაქციის შედეგია. ჩვენ გამოყოფილი ნიშნის აბსტრაქციას კი არ ვახდენთ, არამედ სხვა დანარჩენი ნიშნების აბსტრაქციას ვახდენთ, რათა გამოვეყოთ ჩვენთვის საინტერესო ნიშანი. აბსტრაქციის შედეგად გამოყოფილი ნიშანი ჩვენი აზროვნების საგნად იქცევა.

აბსტრაქციის შედეგად მიღებული გამოყოფილი ნიშანი არ წარმოადგენს ყოველთვის ზოგადს; თუ ჩვენ წინამდებარე, აი ამ შაქრის გარკვეული ნიშნებიდან განყენება მოვახდინეთ და მისი სიტყბო როგორც ნიშანი გამოვეყავით, ამით ჩვენ ისევე ცალკეულ, ინდივიდუალურ ნიშანთან გვაქვს საქმე: შაქრის სიტყბოსთან. ჩვენ ამ შემთხვევაში გამოვეყავით ერთეული საგნის ნიშანი და ეს ნიშანი ისეთივე ცალკეულია, როგორც თეთონ ის საგანი, რომლიდანაც ამ ნიშნის გამოყოფა მოვახდინეთ.

მაგრამ ჩვენ შეგვიძლია საგანთა კლასიდან საერთო ნიშანი გამოვეყოთ და ამ საგანთა კლასის სხვა ნიშნებიდან აბსტრაქცია მოვახდინოთ; ამ შემთხვევაში ჩვენი აზრის საგნად იქნება არა ცალკეული საგნის ნიშანი, არამედ ჩვენ მოვიაზრებთ ზოგად ნიშანს საგანთა მოაზრების გარეშე. განზოგადების ეს ოპერაცია ეყრდნობა საგანთა შედარებას: მხოლოდ საგანთა მიმართებაში აღმოჩნდება ზოგადი, ცალკეულ საგანში ზოგადი არ ჩანს.

ც. ს ი ნ თ ე ი. ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ საგნის ცალკეული მხარეები, მისი ცალკეული ნიშნები; მაგრამ ანალიზი არღვევს საგნის მთლიან სურათს; საგნის მხოლოდ გაანალიზება ვერ მოგცემს სინამდვილის ნამდვილ სურათს. აბსტრაქციის შედეგად ჩვენ მოვიაზრებთ საგნის ან საგანთა კლასის რომელიმე ნიშანს. ანალიზის შედეგად ჩვენ მივიღებთ ერთმანეთისაგან მოწყვეტილ ელემენტებს, ნიშ-

ნების სიმრავლეს; აბსტრაქციის შედეგად ჩვენ მოვიაზრებთ ამ ცალკეულ, ერთმანეთისაგან მოწყვეტილ ნიშნებს. ეს ნიშნები საგანში როდია ერთმანეთისაგან მოწყვეტილი, იათიშული; ეს იათიშვა, დაშლა ანალიზის შედეგია: ეს ნიშნები, ელემენტები საგანში ურთიერთთან არიან დაკავშირებულნი. ამიტომ შემეცნების მიზანია აღადგინოს ის მთლიანობა, რომელიც საგანს ახასიათებს.

საგნის შემადგენელი ელემენტების, მისი ნიშნების აზრში შეერთებას ერთ მთლიანობად აზროვნებითი სინთეზი ეწოდება. სინამდვილის შემეცნების პროცესში ანალიზი არ არის მოწყვეტილი სინთეზს, ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან. ცნების შემუშავება შეუძლებელია სინთეზის გარეშე, რადგან ცნების შინაარსი ცალკეულ ნიშანთა ერთობლობას კი არ წარმოადგენს, არამედ ერთ მთლიან აზრს, მოაზრებული ნიშნების კანონზომიერ მთლიანობას წარმოადგენს.

d. აღნიშნული იყო, რომ ცოცხალი განჭვრეტის პროცესში სინამდვილის საგნები და მოვლენები ჩვენ უშუალოდ გვეძლევა. რასაკვირველია, აბსოლუტურად უშუალო არაფერი არ არსებობს, ყველაფერი რითიმე გაშუალებულია; ასევე ცოცხალი განჭვრეტაც, აღქმებიც. აღქმაც გაშუალებულია კაცობრიობის მთელი განვითარებით, მისი წარმოებით, პრაქტიკული მოღვაწეობით, მისი წინანდელი გამოცდილებით; მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ეხება იმ გარემობას, რომ საგნები არსებობენ ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად და მის გარეშე, მოქმედებენ ჩვენს ცნობიერებაზე და აღიქმებიან.

ყოველი საგანი, ყოველი მოვლენა წარმოადგენს ზოგადისა და ცალკეულის, იგივეობრივისა და განსხვავებულის, არსებისა და მოვლენის ერთიანობას. მაგრამ ეს ერთიანობა არ არის უშუალოდ მოცემული. ჩვენ არ შეგვიძლია დავინახოთ, მოვისმინოთ და სხვ. ზოგადი, იგივეობრივი, არსება ანდა მისი ერთიანობა ერთეულთან, განსხვავებულთან, მოვლენასთან.

ზოგადი, არსება უშუალოდ რომ იყოს მოცემული, ჩვენ არ დაგვჭირდებოდა ცნებების შექმნა; მეცნიერებაც ამ შემთხვევაში ზედმეტი იქნებოდა. მაგრამ, რადგან ზოგადი, იგივეობრივი არსებობს თვით საგნებში, ამიტომ ეს საგნები როგორც მსგავსი საგნები აღიქმება. მსგავსება საგანთა შორის უშუალოდ არის მოცემული. ადამიანი, ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი ადამიანი, ხედავს, ამჩნევს საგანთა შორის მსგავსებას, თუნდაც მას არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდეს იმის შესახებ, რომ არსებობს იგივეობრივი მომენტი საგანთა შორის, არსებობს არსება; ამჩნევს აგრეთვე მათ შორის განსხვავებას.

მსგავსება შეიძლება იყოს გარეგანი, მაგალითად, მსგავსება თევზსა და ვეშაპს შორის, რომელიმე მწერსა და ობობას შორის, საბჭოთა კავშირის და კაპიტალისტური საზოგადოების გლეხს შორის;

მსგავსება შეიძლება არსებობდეს ისეთ საგნებს შორისაც, რომლებიც გარეგნულად ერთმანეთს არ ჰგვანან, მაგალითად, იმ საგანთა შორის, რომლებიც წარმოებაში ერთნაირ როლს ასრულებენ.

ამრიგად, ჯერ კიდევ ცნების შემუშავებამდე, რომელსაც ცოდნის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ზუსტად გარკვეული და ფიქსირებული შინაარსი აქვს და ამიტომ გარკვეული მოცულობაც, ჩვენ გვაქვს წარმოდგენა მსგავსი საგნების შესახებ. მეცნიერული ცნებების შემუშავების პროცესში ჩვენ ვსარგებლობთ მსგავსი საგნების შესახებ წარმოდგენებით, რომლებიც ჩვენ უკვე გვაქვს პრაქტიკული მოქმედების, წინა გამოცდილების საფუძველზე; ჩვენ მათ ვაანალიზებთ; ე. ი. დავშლით მათ ცალკეულ ნიშნებზე, ვადარებთ ერთმანეთს, განყენებას ვახდენთ განსხვავებულისაგან, შემთხვევითისაგან, არაარსებითისაგან, გამოვყოფთ მათგან ზოგადს, იგივეობრივს, არსებითს; აღმოვაჩინთ ამ გამოყოფილ ნიშნებს შორის იმ კავშირს, რომელიც მათ ამთლიანებს. და ასე შევადგენთ ზოგად ცნებას; ამ ცნებაში მოაზრებული ნიშნების მიხედვით შევადგენთ საგანთა კლასს.

როგორც იყო აღნიშნული, ცნების შემუშავების პროცესში ჩვენ ვაწარმოებთ მსჯელობათა მთელ რიგს, ვაწარმოებთ დასკვნებს, დასაბუთებას: ის ლოგიკური ოპერაციები, რომლებიც ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ, სახელდობრ, ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, აზროვნების დასახელებულ ფორმებში განხორციელებდა. ადვილია თქმა, რომ ჩვენ უკუვადგებთ განსხვავებულს, არაარსებითს, ხოლო არსებითს, იგივეობრივს, ზოგადს გამოვყოფთ. იმისათვის, რომ არსებითი გამოვყოთ და არაარსებითი უკუვადგოთ, უნდა ვიცოდეთ, რომელი ნიშანია არსებითი და რომელი არაარსებითი. ეს კი შემეცნების ძნელი გზით მოიპოვება: ეს გზა მსჯელობების, დასკვნების და დასაბუთების გზაა.

ცნების შემუშავება ცალკეული, გრძობად-კონკრეტული საგნების შემეცნებით იწყება. მაგრამ ამ ცალკეულის, კონკრეტულის ნამდვილი შემეცნება მხოლოდ ზოგადის, არსების აღმოჩენით არის შესაძლებელი. საგნის შემეცნება ნიშნავს გამოვარკვიოთ, აღმოვაჩინოთ მისი არსება, დავადგინოთ მისი ადგილი ზოგად კავშირებში. გამოვარკვიოთ მისი თავისებურება ამ ზოგადის, არსების ფარგლებში, დავადგინოთ მისი ზოგადთან კავშირი; ამისათვის კი საჭიროა აღმოვაჩინოთ, ერთი მხრივ, მისი იგივეობა ზოგადთან და, მეორე მხრივ, განვასხვავოთ იგი მასთან იგივეობრივ — ე. ი. მისი არსების მქონე — საგნებისაგან.

2) ნომინალიზმი. ნომინალიზმის ამოსავალი დებულება არ განსხვავდება კონცეფტუალიზმის წინამძღვრებიდან: სინამდვილეში არსებობენ მხოლოდ ერთეული საგნები, ზოგადი არ არსებობს. საშუალო საუკუნეების ნომინალიზმის მატერიალიზმისაკენ იხრებოდნენ და სინამდვილის საგნის ცნებაში ობიექტურად არსებულ საგანს გულისხმობდნენ, ახალი

დროის და თანამედროვე ნომინალიზში უკვე აშკარა იდეალისტური მიმართულებაა და ამიტომ სინამდვილის საგნის ცნებაში გულისხმობს არა ობიექტურად არსებულ საგანს, არამედ შეგრძნებათა კომბინაციას, კომპლექსს.

ნომინალიზში უფრო თანამიმდევარია, ვიდრე კონცეფტუალიზმი: ნომინალიზტებს ესმით, რომ ცალკეულიდან, თუ ის მხოლოდ ცალკეულია, ზოგადის მიღება ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ ამოსავალი დებულებიდან ისინი შემდეგ დასკვნას აკეთებენ: ზოგადი არ არსებობს, არც ზოგადი ცნებები არსებობენ; ჩვენ ცნობიერებაში არსებობენ მხოლოდ ცალკეული საგნების წარმოდგენები. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მოვიაზროთ საგანთა კლასებიც. ამას ვაკეთებთ ჩვენ სიტყვების საშუალებით, რომლებიც მსგავს საგნებს აღნიშნავენ. ასე, მაგალითად, სიტყვა „ადამიანი“ ტერმინი კი არ არის, რომელიც ადამიანის ზოგად ცნებას გამოხატავს, არამედ ნიშანია, სახელია (nomens — აქედან ამ თეორიის სახელიც), რომელიც დაუკავშირდა ცალკეულ ადამიანებს.

როდესაც ადამიანს მოვიაზრებთ, ჩვენ ცნობიერებაში ყოველთვის გვაქვს ცალკეული ადამიანის წარმოდგენა; მაგრამ სიტყვა „ადამიანი“ გვაძლევს საშუალებას გავაერთიანოთ ერთ კლასში მსგავსი საგნები — ამ შემთხვევაში ადამიანები — ხოლო საჭიროების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია თვალი გადავაგლოთ მთელ კლასს.

ნომინალიზში აგნოსტიკური თეორიაა; ნომინალიზმის თვალსაზრისით არ არსებობს ზოგადი, არსება, იგივეობრივი საგნებში. ამ შემთხვევაში ზედმეტია მსჯელობა არსების შემეცნებაზე. ნამდვილად ზოგადი მსჯელობა, რომელიც საგანთა არსებას ასახავს და რომელიც ყველაზე ღრმა, ღირებულ ცოდნას შეიცავს, ნომინალიზმის მიერ მოხსნილია. თვითონ სინამდვილე გათიშულ საგანთა ერთობლიობას წარმოადგენს, საგანთა ქაოსს, რადგან არ არსებობს იგივეობრივი მომენტი ამ საგანთა მრავალსახეობის დამაკავშირებელი, გამაერთიანებელი.

თქმა იმისა, რომ სიტყვის საშუალებით, რომელიც აერთიანებს საგანთა კლასს და რომლის საშუალებით შესაძლებელია თვალი გადავაგლოთ მთელ კლასს, ყოველივე საფუძველს მოკლებულია, როდესაც საკითხი ეხება ცოდნისათვის ყველაზე მნიშვნელოვან შემთხვევებს.

დავუშვათ, რომ სიტყვა „პლანეტა“ მოგვცემს საშუალებას გავაერთიანოთ მსგავსი საგნები კლასში, პლანეტათა კლასში და საჭიროების მიხედვით მთელ კლასს თვალი გადავაგლოთ. დავუშვათ, რადგან პლანეტათა რიცხვი განსაზღვრულია და ყველა ეს პლანეტა, ასე ვთქვათ, სახეზეა, მაგრამ, როგორ გადავაგლოთ თვალი ადამიანთა, ხეების, ძაღლების, რიცხვების და სხვ. მთელ კლასებს, კლასებს, რომლებიც მოიცავენ საგანთა განუსაზღვრელ რიცხვს? თუ ჩვენ არ გვაქვს ამ საგანთა კლასის ზოგადი ცნება, ყოვლად შეუძლებელია „თვალის გადავლება“. თუ ჩვენ

ზოგად ცნებას მოკლებული ვართ, ჩვენ უნდა განვიხილოთ, „თვალი გადავივლოთ“ ამ კლასის ყოველ ერთეულ საგანს იმისათვის, რომ გამოვთქვათ აზრი საგანთა ამ კლასზე.

გარდა ამისა: საგანთა კლასზე არც შეიძლება მსჯელობა, თუ ზოგადი, იგივეობრივი მომენტი არ არსებობს. რა გააერთიანებს განსხვავებულ, ცალკეულ საგნებს ერთ კლასში, თუ გამაერთიანებელი არ არის. ნომინალისტები ფიქრობენ, რომ გამაერთიანებელი ამ შემთხვევაში არის სიტყვა. მაგრამ, როგორ შეიძლება სიტყვამ გააერთიანოს ის, რაც თავისთავად არ არის გაერთიანებული, რაც იმთავითვე გათიშულია?

მთავარი ლოგიკური შეცდომა, რომელიც ნომინალიზმს ახასიათებს, იგივეა, რაც კონცეფტუალიზმის. რის საფუძველზე აერთიანებს სიტყვა საგნებსა და მოვლენებს ერთ კლასში; რატომ არ აერთიანებს სიტყვა ერთ კლასში ისეთ მოვლენებს, როგორიცაა, მაგალითად: პლანეტა, კაპიტალიზმი, სამელნე, სიყვარული, იმპრობა და სხვ.? იმიტომ, რომ სიტყვა, თურმე, აერთიანებს მსგავს საგნებსა და მოვლენებს, ე. ი. მართალია, საგნები ცალკეული და მხოლოდ ცალკეულები არიან, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მაინც მსგავსნი არიან. მაგრამ საგანთა მსგავსება სხვა არაფერია, გარდა მათი იგივეობისა გარკვეულ მიმართებაში: საგნები და მოვლენები მხოლოდ მაშინ არიან მსგავსნი, როდესაც მათ აქვთ საერთო, იგივეობრივი მომენტი. თუ ვაღიარებთ მსგავსება, უნდა ვაღიაროთ აგრეთვე იგივეობაც, ხოლო თუ ვაღიარებთ ეს უკანასკნელი, უნდა ვაღიაროთ ზოგადიც, რომელიც არსებობს და რომელიც პირველად ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ საგნები ერთ კლასს მივაკუთვნოთ.

თუ ბერკლის ნომინალიზმი, მახისა და ავენარიუსის და მათი რუსი მიმდევრების მიერ აღორძინებული, უარყოფდა ზოგადს და აღიარებდა მხოლოდ ცალკეულს, მაინც მიაწერდა სიტყვებს საგანთა კლასის (შეგრძნებათა კომპლექსების) წარმომადგენლობას, მაინც აღიარებდა, რომ სიტყვას აქვს გარკვეული აზრი, ახალი, თანამედროვე ნომინალიზმი უფრო შორს მიდის და უარყოფს იმას, რომ სიტყვაში აზრი იგულისხმება.

თანამედროვე ნომინალიზმის მიხედვით, ფილოსოფია არის მეცნიერების ენის ლოგიკური სინტაქსი. ენის ლოგიკური სინტაქსის ცნებაში იგულისხმება ენის ლინგვისტური ფორმების ფორმალური თეორია. ეს თეორია ცდილობს დაადგინოს ფორმალური წესები, რომლებსაც ექვემდებარება ენა და, ამასთანავე ამ წესებიდან გამომდინარე შედეგების განვითარება. ფორმალური ეწოდება ამ თეორიას იმიტომ, რომ ის არ ეხება სიტყვათა მნიშვნელობას, არ ლაპარაკობს წინადადებათა აზრზე, არამედ მხოლოდ სიმბოლოების წესრიგზე, იმ სიმბოლოების, რომელთაგან შედგება გამოთქმები. ეს თეორია, რომელსაც არ აინტერესებს სიმბოლოების აზრი, მნიშვნელობა, დაადგენს სიმბოლოების წინადადებაებში შეერთების წესებს, დაადგენს წინადადებაების წინადადებაებიდან

გამოყვანის წესებს. ამავე დროს სიტყვებისა და წინადადებების მნიშვნელობას კი არ ენიჭება აქ როლი, არამედ მათ სინტაქსურ ფორმას.

რაც შეეხება ამ წესებს და იმას, თუ რის საფუძველზეა ისინი დადგენილი, ამაზე პასუხი მარტივია: ეს წესები კონვენციით არის დადგენილი, მათ ნებისმიერად დაადგენენ თვითონ მეცნიერები.

სიტყვა — სიმბოლო არა თუ ზოგადს არ აღნიშნავს, ის არც ცალკეულს აღნიშნავს, მას ამ მხრივ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. უაზრობაა იმის თქმა, რომ სიტყვებს აქვს რაიმე მნიშვნელობა, რომლებიც ასახავენ რეალურ საგნებსა და მოვლენებს. საერთოდ, ფილოსოფიიდან უნდა იყოს ვანდენილი დებულება იმის შესახებ, რომ აზრები ასახავენ სინამდვილეს; მეტიც: არც შეიძლება ლაპარაკი აზრისა და საგნის რაიმე დამოკიდებულების შესახებ. მეორედება ბერკლის არგუმენტაცია: თქვენ ამბობთ, — წერდა ბერკლი, — რომ იდეა შეიძლება საგნის ასლს, ასახვას წარმოადგენდეს, საგნის, რომელიც არსებობს ცნობიერების გარეშე; მე ვამბობ, რომ იდეა არ შეიძლება რაიმეს ჰვავდეს გარდა იდეისა.

თანამედროვე ნომინალისტები, ერთი მხრივ, იმეორებენ ბერკლის აზრს — აზრი შეიძლება შევადაროთ მხოლოდ აზრს და არა საგანს, ფილოსოფიის დებულებები არ გამოხატავენ სინამდვილის საგანთა ბუნებას — მეორე მხრივ, უფრო შორს მიდიან: სიტყვებს — სიმბოლოებს არავითარი აზრობრივი მნიშვნელობა არა აქვთ.

თანამედროვე ნომინალიზმი მახიზმის მსგავსად ცდილობს მატერიალიზმსა და იდეალიზმზე მალა დადგეს: იგი უარყოფს ფილოსოფიის ძირითად პრობლემას, ის ცრუ პრობლემად თვლის ყოფიერებისა და ცნობიერების დამოკიდებულების პრობლემას; უარყოფს თვით მატერიისა და ცნობიერების ცნებებს, რადგან მათ გარკვეული აზრი აქვთ და შეცვლის მათ სიმბოლოებით, რომლებსაც არავითარი აზრი და მნიშვნელობა არ გააჩნია. გამოთქმა, რომელსაც აქვს გარკვეული აზრი: „ფაქტი არის ობიექტების, საგნების კავშირი“, ითარგმნება ლოგიკური სინტაქსის ენაზე: „წინადადება არის სიმბოლოების რიგი“.

აგებენ რა „ლოგიკურ სინტაქსს“, რომელმაც მეცნიერება და ფილოსოფია უნდა შეცვალოს, თანამედროვე ნომინალისტები უარყოფენ „მეტაფიზიკას“, ე. ი. უარყოფენ ობიექტური სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობას, უარყოფენ მეცნიერებას.

3) იდეალ-რეალისტური თეორია. ცნების რეალისტური თეორიის პრინციპი, რომლითაც ის განსხვავდება როგორც ნომინალიზმისაგან, ისე კონცეფტუალიზმისაგან, მდგომარეობს ზოგადის არსებობის აღიარებაში: ზოგადი არსებობს ობიექტურად იდეის სახით, გარკვეული დამოუკიდებელი არსების სახით. ანტიკური და შუა საუკუნეების რეალიზმი, რომელიც აღიარებდა ზოგადი იდეების არსებობას ცნობიერებისაგან და თვით მატერიალური სამყაროსაგან დამოუკიდებლად, აღორძინებულია

დღეს თავისებური სახით. ამ თეორიის ახალი ავტორები ხშირად ამ თეორიას რეალისტურს კი არ უწოდებენ, არამედ იდეალ-რეალისტურს.

საქმე ის არის, ზოგიერთი ბურჟუაზიული ფილოსოფოსისათვის და ლოგიკოსისათვის ნათელი გახდა ის წინააღმდეგობანი, რომლებშიც ვარდება როგორც კონცეფტუალიზმი, ისე ნომინალიზმი: ნათელი გახდა ისიც, რომ ცოდნა არ არის მხოლოდ ერთეულის, ცალკეულის ცოდნა, არამედ ის ზოგადის ცოდნაა, რომ კანონზომიერება თუ საზოგადოებაში არა, ყოველ შემთხვევაში ბუნებაში მაინც არსებობს. ამიტომ, თუ არსებობს კანონზომიერება, ზოგადიც უნდა არსებობდეს. მაგრამ აღიარებენ რა ზოგადს, ეს ფილოსოფოსები ისე ახასიათებენ მას, რომ გაამართლონ იდეალიზმი ახალ საფუძველზე.

ამ თეორიას ეწოდება იდეალ-რეალისტური, რადგან ამ თეორიის მიხედვით ზოგადი არსებობს, მაგრამ ეს ზოგადი იდეალურია და არა მატერიალური. რეალურია ამ თეორიის მიხედვით ყველაფერი ის, რაც დროსა და სივრცეში არსებობს: რეალურია დროულ-ვრცეული მოვლენა. ზოლო ის, რასაც არ ახასიათებს არც დროულობა და არც ვრცეულობა. ის იდეალურია. ზოგადი სწორედ ასეთია: იგი ზედროულია და ზევრცეული. დროისა და სივრცის ნიშნები ზოგადს არ ახასიათებს. გარდა ამისა: თვითონ დროული და ვრცეული სამყარო არსებობს ზედროული და ზევრცეული იდეის საფუძველზე. პლატონისეული იდეალიზმი, ჭერ კიდევ არისტოტელეს მიერ დანგრეული, აღორძინებულია რეაქციული ბურჟუაზიის იდეოლოგების მიერ. ეს თეორია, ერთ დროს გერმანიაში და რუსეთში გავრცელებული, დღეს ამერიკაშია გადასახლებული.

იდეალ-რეალიზმის მიხედვით, ყოველი რეალური საგანი, მოვლენა ზუსტად ერთეულია და არაფერი იგივეობრივი, ზოგადი ამ რეალურ საგნებში არ მოიპოვება. საქმარისია შევადაროთ რამდენიმე საგანი ერთმანეთს, რომ დავრწმუნდეთ ამაში. შევადაროთ, ამბობენ იდეალ-რეალისტები, სამი პიროვნება — სოკრატე, დეკარტი და კანტი — ერთმანეთს, როგორც რეალურ პიროვნებებს, მათში ვერ აღმოვაჩინთ რაიმე იგივეობრივს, ზოგადს.

თავისი ყოფიერების მიხედვით ისინი მთლად გათიშულნი არიან ერთმანეთისაგან: სოკრატეს მთელი ყოფიერება მთლად მოთავსებულია იმ სივრცეში, რომელიც მას ეკავა ათენში და იმ დროის მონაკვეთში, რომელშიც ის ცხოვრობდა, ე. ი. V საუკუნეში; კანტის მთელი ყოფიერება მთლიანად მოთავსებულია აღმოსავლეთ პრუსიის სივრცეში და დროის გარკვეულ მონაკვეთში — მეთვრამეტე საუკუნეში; ასევე ითქმის დეკარტიზე. ამიტომ მათ არაფერი საერთო არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ.

ამრიგად, ამ თეორიის მიხედვით, ამ აღმამიანთა რეალურ — ჩვენ ვიტ-

ყოფილ, მატერიალურ ცხოვრებაში არ არსებობს არაფერი საერთო, არაფერი ზოგადი, რადგან ისინი მთლიანად განსხვავებულ დროისა და სივრცის მონაკვეთებში იმყოფებიან. და თუ მათ აქვთ რაიმე საერთო, რაიმე იგივეობრივი, ზოგადი, ცხადია, ის რეალური კი არ არის, არამედ იდეალურია. ეს იდეალური იგივეობრივი, ზოგადი არის ზედროული და ზევრცეული „მე“ ანუ „აბსოლუტური სული“, რომელიც სხვადასხვა პიროვნებაში გამოვლინდება განსხვავებულ დროში და განსხვავებულ სივრცეში. ასევე: სამკუთხედის იდეა, რომელიც არ არის რეალური, ზედროული და ზევრცეულია, განხორციელდება განსხვავებულ რეალურ სამკუთხედებში.

მთელი ეს იდეალიზმი ეყრდნობა იდეალურისა და, რეალურის თავისებურ განსხვავებას და რამდენიმე მაგალითის მკლადარ ინტერპრეტაციას. სოკრატე და კანტი, პეტრე და პავლე ცხოვრობენ განსხვავებულ დროსა და განსხვავებულ სივრცეში, მაგრამ მათი ორგანიზმის კანონზომიერება არსებობს არა სადღაც იდეალურ სამყაროში, არამედ რეალურ მატერიალურ სინამდვილეში. ეს ადამიანები განსხვავებულნი არიან, მაგრამ ნიშნები იარაღების კეთების, მეტყველების, ცნობიერების იდეალურ სამყაროში კი არ არსებობენ, არამედ რეალურ მატერიალურ სამყაროში, როგორც ადამიანთა არსებითი ნიშნები; ეს ის იგივეობრივი ნიშნებია, რომლებიც ამ ადამიანებს ერთ მთლიანობაში აერთიანებს.

ქვის ვარდნის ერთი შემთხვევა განსხვავდება მეორე ამგვარი შემთხვევისაგან იმიტომაც, რომ ერთი მოხდა ერთ დროს და ერთ ადგილას. ხოლო მეორე — სხვა დროს და სხვა ადგილას. შეუძლებელია აქედან ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს მიზიდულობის კანონი არსებობს არა რეალურ, მატერიალურ სამყაროში, არამედ იდეალურში.

ეს თეორია სპეკულაციას აკეთებს რეალურისა და იდეალურის ცნებების თავისებურ ინტერპრეტაციაზე, სარგებლობს რა იმ გარემოებით, რომ სინამდვილეში არსებობს არაგრძნობადი მხარე. საერთოდ, მრავალი იდეალისტური და მისტიკური თეორია აყრდნობს თავის მსჯელობას გრძნობადისა და არაგრძნობადი მომენტების არსებობას. გრძნობადს რეალურად, — ხანდახან მატერიალურად — მიიჩნევს, ხოლო არაგრძნობადისათვის იდეალურ სამყაროს იგონებს.

იდეალ-რეალისტური თეორია ვერ აგვიხსნის მისთვის ყველაზე რთულ საკითხს: როგორ გამოვლინდება ზოგადი ერთეულში, როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს? ზოგადი ხომ იდეალურია და, როგორც ასეთს, მას არავითარი კავშირი არა აქვს ერთეულთან, მატერიალურთან. ერთი ზედროული და ზევრცეულია, მეორე მხოლოდ დროში და სივრცეშია. რა გზით ხდება მათი შეერთება ერთი მთლიანი საგნის შექმნისათვის? ძველი საკითხი, რომლის გამო ჯერ კიდევ პლატონი თავს იმტერევდა („პარმენიდე“) და გარკვეულ გადაწყვეტას ვერ მიაღწია,

ხელახლად დგას იდეალ-რეალისტების წინაშე. მათ ზოგადი როგორც იდეალური პრინციპულად მოწყვეტეს ცალკეულისაგან როგორც რეალურისაგან; და თუ პლატონი მაინც რაღაცნაირად ცდილობდა ამ გადაწყვეტილი — იდეალიზმის საფუძველზე — საკითხის გადაწყვეტას, პლატონიზმის ახალი წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ საკითხი გადაწყვეტილია, თუ ისინი იტყვიან, რომ იდეალური „გამოვლინდება“ რეალურში, ანდა კიდევ, რომ ცალკეულები იდეალურის „ორგანოებს“ წარმოდგენენ.

ნომინალიზმისა და იდეალ-რეალიზმის ძირითადი შეცდომა ერთია: ზოგადისა და ცალკეულის ერთმანეთისაგან მოწყვეტა; ამის შედეგ ნომინალიზმი მხოლოდ ცალკეულს აღიარებს, უარყოფს რა პრინციპულად ზოგადის არსებობას; იდეალ-რეალიზმი კი, აღიარებს რა ზოგადის არსებობასაც, ცდილობს პრინციპულად ერთმანეთისაგან მოწყვეტილი მომენტების შერიგებას.

ერთიანის გაორების მაგიერ, ერთიანის, რომელიც საწინააღმდეგო მომენტებისაგან შედგება — ზოგადისაგან და ცალკეულისაგან, — რომელთაგან ორივე მატერიალურია, რაც აპირობებს მათ ერთიანობას, თანამედროვე პლატონიზმი ანტიკურის მსგავსად ამაოდ წვალობს შეაერთოს ერთ მთლიანობაში ის, რაც პრინციპულად გათიშა ერთმანეთისაგან. ნათელია, რომ ასეთი ცდა დადებითად ვერ დამთავრდება.

8. ცნების განსაზღვრება

1) განსაზღვრების არსება. აღნიშნული იყო, რომ ცნება მრავალი მსჯელობის, დასკვნისა და დასაბუთების შედეგია. შემეცნების პროცესში ჩვენ აღმოვაჩინებთ საგანთა და მოვლენათა თვისებებს (ნიშნებს) და გამოვხატავთ ჩვენ ცოდნას მათ შესახებ მსჯელობებში: ვადარებთ შეცნობილ თვისებებს ერთმანეთს და ზოგიერთ მათგანს არსებითად მივიჩნევთ, ზოგიერთს კი არაარსებითად. მსჯელობათა, დასკვნათა და დასაბუთების საშუალებით საგანზე ბუნდოვანი, გაურკვეველი წარმოდგენისაგან თანდათანობით გამოიკვეთება ცნება, რომელიც მეტად თუ ნაკლებად ადეკვატურად ასახავს საგნის არსებას.

სინამდვილის საგნები და მოვლენები იცვლებიან, განიცდიან განვითარებას: იცვლება და განიცდის განვითარებას ჩვენი ცოდნაც ამ საგნებზე; ის, რაც არსებითი იყო, შეიძლება არაარსებითად იქცეს; ის, რაც არსებითად გვევლინებოდა, შეიძლება ცოდნის განვითარების პროცესში არაარსებითი აღმოჩნდეს და სხვ. ცნებების შინაარსი იცვლება; იცვლებიან და განიცდიან განვითარებას ცნებები: ერთი ცნება შეიცვლება მეორით, ერთი ცნება გადადის მეორეში.

მაგრამ ყველაფერი ეს ხელს არ უშლის ჩვენ მისწრაფებას, დავად-
ვინოთ ზუსტად ცნების შინაარსი, მისი აზრი ცოდნის განვითარების გარ-
კვეთელ ეტაპზე. მს ჯ ე ლ ო ბ ა, რ ო მ ე ლ ი ც და ა დ ო გ ე ნ ს ც ნ ე-
ბ ის შ ი ნ ა ა რ ს ს, ც ნ ე ბ ის გ ა ნ ს ა ზ ლ ვ რ ე ბ ა ს წ ა რ მ ო-
ა ლ გ ე ნ ს. განსაზღვრება, ამრიგად, განსასაზღვრი საგნის ყველა ნიშანს,
ნის სხვა საგნებთან ყველა კავშირებსა და მიმართებებს კი არ დაადგენს,
არამედ მხოლოდ იმ ნიშნებსა და მიმართებებს, რომლებიც ცოდნის
განვითარების გარკვეულ საფეხურზე არსებითად არის აღიარებული.

განსაზღვრება გამოყოფს იმ ნიშნებს, რომლებიც აუცილებლად ახა-
სიათებენ ცნებაში მოაზრებულ საგანს ან საგანთა კლასს, იმ ძირითად
ბირთვის, რომელიც საგანთა არსებას წარმოადგენს და ამიტომ საკმარის-
ია საგანთა კლასის საგანთა მეორე კლასისაგან გამოყოფისათვის.

განსაზღვრება არ არის ამიტომ მხოლოდ მზა ცოდნის დალაგება, არა-
მედ რეზულტატია სინამდვილის შემეცნების ხანგრძლივი გზისა. ამიტომ,
რასაკვირველია, მცდარია აზრი, თითქოს შემეცნება იწყება ან უნდა და-
იწყოს ცნებათა განსაზღვრებით. სულ სხვაა, როდესაც სახელმძღვანე-
ლოში დალაგებულია ცოდნა რაიმე საგნის შესახებ, ცოდნა, რომელიც
კაცობრიობის ნიერ უკვე დაგროვილია. აქ, რასაკვირველია, შესაძლებე-
ლია ცნებათა განსაზღვრებით დაწყება. თუ ჩვენ განვსაზღვრავთ ლოგი-
კას როგორც „მეცნიერებას სწორი აზროვნების ფორმებისა და კანონე-
ბის შესახებ“ ანდა თუ ჩვენ განვსაზღვრავთ ენას, როგორც „საშუალე-
ბას, იარაღს, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერ-
თმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგე-
ბას“ — ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ საგნების შემეცნება ამ განსაზღვრე-
ბით იწყება. შემეცნების დიდი და ხშირად რთული გზა უნდა იქნეს განვ-
ლილი, მანამ ამ განსაზღვრებას მივალწევთ. განსაზღვრება გარკვეული სა-
ფეხურია შემეცნების პროცესში, ის არც პირველი და არც უკანასკნელი
საფეხურია.

აზრი იმის შესახებ, რომ განსაზღვრება შემეცნების უკანასკნელი სა-
ფეხურია, გამომდინარეობს თითქოს იქიდან, რომ განსაზღვრება საგნის
არსებას გამოხატავს, ხოლო საგნის არსების ცოდნა შემეცნების უკა-
ნასკნელი მიზანია. ეს აზრი, რასაკვირველია, მცდარია. ჯერ ერთი, შე-
მეცნება პირველი რიგის არსებიდან მიდის უფრო ღრმა არსებისაკენ
და ა. შ. უსასრულოდ; მეორე: განსაზღვრება, გამოხატავს რა საგნის არ-
სებით ნიშნებს, არაფერს ამბობს იმ მრავალ ნიშანზე, კავშირსა და მიმარ-
თებაზე, რომლებიც საგანს ახასიათებს. ეს იმ შემთხვევაშიც სწორია,
როდესაც განსაზღვრებაში გამოთქმულია ის ბირთვი, რომელზედაც
დაყრდნობით შეიძლება საგნის ბევრი სხვა თვისებაც იყოს გამოყვანილი.
კაპიტალიზმის განსაზღვრება ასახავს მის არსებას, მის „ბირთვს“ და არა

ყველა მის ნიშანს; ბევრი ამ ნიშანთაგანი გამოიყვანება ამ „ბირთვიდან“ და ბევრი გასაგები ხდება მასზე დაყრდნობით.

განსაზღვრება, ერთი მხრივ, შემეცნების განვითარების შედეგია და, მეორე მხრივ, შემდგომი შემეცნების განვითარების საფუძველი.

2) განსაზღვრება უახლოესი გვარისა და სახეობითი განსხვავების საშუალებით. განსაზღვრების ყველაზე გავრცელებული ხერხი არის განსაზღვრება უახლოესი გვარისა და სახეობითი განსხვავების საშუალებით, ხერხი, რომელიც ჯერ კიდევ არისტოტელემ დაადგინა. ამ ხერხის შესაძლებლობა განსაზღვრულია ორი მომენტით: 1) რომელიმე ცნების შინაარსში მოცემულია მისი გვარის შინაარსი; განსაზღვრებისას თუ აღვნიშნავთ ამ გვარს, ამით განსასაზღვრი ცნების ნიშნების ნაწილი აღნიშნული იქნება. ამის შემდეგ საჭიროა აღინიშნოს ის ნიშნები, რომლებიც სპეციფიკურია სახისათვის მისი გვარისაგან განსხვავებით. ყველა გვარიდან განსასაზღვრ ცნებასთან უფრო ახლოა უახლოესი გვარი. უახლოესი გვარისა და სახის განმასხვავებელი ნიშნების აღნიშვნით მივიღებთ ცნების განსაზღვრებას, რომელიც ზუსტი ფორმულირებით გამოყოფს განსასაზღვრ საგანს სხვა დანარჩენი საგნებიდან. 2) მეორე მხრივ, ასეთი განსაზღვრების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, რომ განსაზღვრება არ არის შემეცნების დასაწყისი ეტაპი: ის შესაძლებელია შემეცნების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როდესაც უკვე გვაქვს გამოშუშავებული გარკვეული ცნებები, რომელთა შორის შეიძლება აღმოვაჩინოთ განსასაზღვრი ცნებებისათვის გვარეობითი ცნებები, კერძოდ, უახლოესი გვარები. ასე, მაგალითად, თუ გვაქვს ადამიანისათვის უახლოესი გვარი — ცხოველი — ჩვენ დავუმატებთ ადამიანის სპეციფიკურ ნიშანს, რომელიც მას გვარის შიგნით სხვა სახეთაგან განასხვავებს — იარაღების კეთების უნარი — და ჩამოვაყალიბებთ განსაზღვრებას: ადამიანი ცხოველია, რომელსაც აქვს იარაღების კეთების უნარი. ასეთივეა განსაზღვრებანი: 1) მატერიალიზმი არის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომელიც აღიარებს მატერიის პირველადობას და ცნობიერების მეორადობას, 2) კვადრატი არის სწორკუთხედი ტოლი გვერდებით, 3) კაპიტალიზმი არის ანტაგონისტური სოციალ-ეკონომიური ფორმაცია, რომელშიც წარმოება ატარებს საზოგადოებრივ ხასიათს, ხოლო მითვისება — ინდივიდუალურს.

მეცნიერებაში განსაზღვრებათა დიდი ნაწილი უახლოესი გვარისა და სახეობითი განსხვავების (*definitio per genus proximum et differentiam specificam*) ხერხით არის აგებული. ეს განსაზღვრებანი არ ასახავენ საგანთა მთელ თავისებურებას; ისინი არ და ვერ აღნიშნავენ განვითარების პრინციპს, ვერ ასახავენ მრავალგვარ კავშირსა და მიმართებას, რომლებიც არსებობენ საგანთა შორის. ამიტომ, ცხადია, განსაზღვრება ვერ გამოხატავს საგანთა შესახებ მთელ ცოდნას. მაგრამ ამგვარი მიზანი გან-

საზღვრებას არც უნდა დავუსახოთ. ერთადერთი რეალური დეფინიცია: — წერდა ენგელსი, არის თვითონ საქმის არსების განვითარება, მაგრამ ეს უკვე დეფინიცია აღარ არის-ო¹.

3) უახლოესი გვარისა და სახეობითი განსხვავების საშუალებით განსაზღვრების განსაზღვრულობა. განსაზღვრების აღწერილი ხერხით შეაძლებელია მრავალი ცნება განვსაზღვროთ. მაგრამ ყველა ცნება ამ გზით ვერ განისაზღვრება. ამ ხერხის განსაზღვრულობას მიუთითებდა ლენინი „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“. რას ნიშნავს განსაზღვრება, სვამდა ჰაკითხს ლენინი. ეს ნიშნავს პირველ რიგში მოცემული ცნების მოქცევას მეორე, უფრო ფართო ცნების ქვეშ. მაგალითად, როდესაც ჩვენ განვსაზღვრავთ „ვირი არის ცხოველი“, ჩვენ ვირის ცნებას უფრო ფართო, ცხოველის ცნების ქვეშ მოვაქცევთ.

მაგრამ არსებობენ ცნებები რომლებისათვის არ მოიძებნება უფრო ფართო ცნებები; ასეთია, მაგალითად, ცნებები არსისა (бытие) და აზრისა; ამ ცნებების განსაზღვრება აღნიშნული ხერხით შეუძლებელია. საერთოდ იმ ცნებების, რომლებისათვის გვარეობითი ცნებები არ მოიპოვება, განსაზღვრების აღნიშნული ხერხი არ გამოდგება.

მეორე მხრივ, არსებობენ ცნებები, რომლებისათვის სახეობითი განსხვავების აღნიშვნა ცნებებში შეუძლებელია; ასე, მაგალითად, წითელი ფერის ცნებისათვის უახლოესი გვარი იქნება „ფერი“, მაგრამ სახეობითი განსხვავების დადგენა შეუძლებელია.

დაბოლოს, უნდა არსებობდნენ ცნებები, რომელთა განსაზღვრება ამ ხერხით საერთოდ შეუძლებელია. საქმე ის არის, რომ განსაზღვრება ამ ხერხით მდგომარეობს შემდეგში: განსასაზღვრი ცნება (definiendum) განისაზღვრება განმსაზღვრელი ცნებით (definiens); მაგალითად, ადამიანის ცნება განისაზღვრება ცხოველის ცნების საშუალებით, მაგრამ განმსაზღვრელი ცნებაც უნდა იყოს განსაზღვრებული რაიმე ცნების საშუალებით. ამრიგად, ერთი ცნება განისაზღვრება მეორით, მეორე—მესამით და ა. შ. ამიტომ უნდა არსებობდნენ ცნებები, რომელთა განსაზღვრება ამ გზით შეუძლებელია და რომელთა საშუალებით განისაზღვრება სხვა ცნებები.

ისეთი ცნებები, რომლებიც ამ გზით არ განისაზღვრებიან, განისაზღვრებიან ან არსებით ნიშანთა ჯგუფის ჩამოთვლით, ან რაიმე ნიშნის აღნიშვნით, ან საგანთა შორის კავშირის დადგენით, რომელიც მოცემულ საგანს განსაზღვრავს.

4) გენეზისური განსაზღვრება. მეცნიერებაში ხშირად მიმართავენ გენეზისურ განსაზღვრებას. ამ განსაზღვრების არსება მდგომარეობს საგნის წარმოშობის ან შექმნის ხასიათის ჩვენებაში. ასე, მაგალითად,

¹ «Единственно реальной дефиницией оказывается развитие существа самого дела, а это уже не есть дефиниция».

სფერო შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც გეომეტრიული ფიგურა, რომელიც შეიქმნება ნახევარი წრის მოძრაობით წრის დიამეტრის გარშემო; კონუსი—მართკუთხა სამკუთხედის ბრუნვით მისი ერთ-ერთი კატეტის გარშემო; მეორე რიგის მრუდი—კონუსის სიბრტყეთა გადაკვეთის გზით. ამგვარ განსაზღვრებებს ხშირად მიმართავენ მათემატიკაში. მაგრამ ამ ხერხის გამოყენება სხვა დარგშიც შეიძლება. მაგალითად, ბიძაშვილები შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ადამიანები, რომელთა მამები ძმები არიან.

მიუთითებს რა საგნის წარმოშობის ხასიათს, გენეზისური განსაზღვრება ამავე დროს აღნიშნავს საგნის ინიშნებს.

5) განსაზღვრების წესები. როგორც იყო უკვე გარკვეული, განსაზღვრების არსება მდგომარეობს საგნის არსებითი ნიშნების დადგენაში და ამით ამ საგნის სხვა საგნებიდან გამოყოფაში. განსაზღვრება ყოველთვის მსჯელობის ფორმაშია გამოთქმული, რომელშიც სუბიექტის როლში გამოდის განსასაზღვრი ცნება, ხოლო პრედიკატის როლში განმსაზღვრელი ცნება; განმსაზღვრელ ცნებაში გახსნილია განსასაზღვრის შინაარსი და ამიტომ ორივე ცნებაში საგანთა ერთი და იგივე კლასია ნაგულისხმები; სხვა სიტყვებით, განსასაზღვრი ცნების მოცულობა და განმსაზღვრელის მოცულობა ერთი და იგივეა. მხოლოდ ამ შემთხვევაშია განსაზღვრება სწორი. ამიტომ განსაზღვრების ძირითადი წესი ასეთია:

1. განმსაზღვრელი განსასაზღვრის ეკვივალენტური უნდა იყოს. ამ წესის დარღვევა ორნაირად შეიძლება მოხდეს:

1) განმსაზღვრელში გამოტოვებულია რაიმე ნიშანი, ანდა

2) განმსაზღვრელში დამატებულია ისეთი ნიშანი, რომელიც განსაზღვრაში არ იგულისხმება. პირველ შემთხვევაში, ნიშნის გამოტოვების შედეგად, ცნების მოცულობა ფართოვდება, მეორე შემთხვევაში, ზედმეტი ნიშნის დამატების შედეგად, ცნების მოცულობა ვიწროვდება. დადგენილი წესიდან გამომდინარეობს:

1ა. განმსაზღვრელი არ უნდა იყოს განსასაზღვრზე ფართო.

1ბ. განმსაზღვრელი არ უნდა იყოს განსასაზღვრზე ვიწრო.

1ა-ს დარღვევას ეწოდება ფართო განსაზღვრება. ფართოა, მაგალითად, განსაზღვრება „კვადრატი არის სწორკუთხედი“, „ლოგიკა არის შეცნიერება აზროვნებაზე“, რადგან ორივე შემთხვევაში გამოტოვებულია ნიშანი; კვადრატი და სწორკუთხედი არ არიან ეკვივალენტური: სწორკუთხედთა კლასი უფრო ფართოა, ვიდრე კვადრატების. განმსაზღვრელი ისეთი უნდა იყოს, რომ მისი მიწერა შეიძლებოდეს ყველა საგნისათვის, რომელთა პრედიკირება შეიძლება განსასაზღვრით, და ის სხვა არც ერთ საგანს არ უნდა ახასიათებდეს.

ასევე, შეცდომას წარმოადგენს 1B-ს დარღვევა: ზედმეტი ნიშნის აღნიშვნით ვიწროვდება ცნების მოცულობა, ე. ი. ცნებაში უკვე საგანთა სხვა კლასი იგულისხმება.

შესაძლებელია, რასაკვირველია, ისიც, რომ ზედმეტი ნიშნის აღნიშვნამ არ შეცვალოს ცნების მოცულობა: ეს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ნიშანი ახასიათებს კლასის ყველა საგანს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც განსაზღვრება არ იქნება კორექტული: თუ აღნიშნული ნიშანი ზედმეტია, ის არსებითი არ ყოფილა. განსაზღვრებაში კი მხოლოდ არსებითი ნიშნები უნდა იყოს დადგენილი; გარდა ამისა, ასეთი განსაზღვრება თავისთავად არ არის მცდარი, მაგრამ შესაძლებელია მან მცდარ დასკვნამდე მიგვიყვანოს. მაგალითად, ადამიანის განსაზღვრებამ, როგორც ორფეხა ცხოველის, რომელსაც იარაღის კეთების უნარი აქვს, შეიძლება მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ არსებობენ არა ორფეხა ცხოველები, რომლებსაც უნარი აქვთ იარაღების კეთების.

განსაზღვრება, რომელიც აღნიშნული წესით არის აგებული, არა მხოლოდ სწორია, არამედ ჭეშმარიტია. ამ შემთხვევაში სისწორე — წესის დაცვა — უზრუნველყოფს განსაზღვრების როგორც მსჯელობის ჭეშმარიტებას.

2. ამ წესისაგან, რომელიც განსაზღვრების არსებას წარმოადგენს, განსხვავდებიან ის წესები, რომლებიც განსაზღვრების მიზანს დაადგენენ.

1) განსაზღვრებაში არ უნდა იყოს წრე. სხვანაირად ამ წესს ასე გამოთქვამენ: განმსაზღვრელში არ უნდა იყოს გამოყენებული ცნება, რომელიც განსაზღვრავშია. წრე განსაზღვრებაში გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ: 1) ცნება A განსაზღვრება B ცნებით, ხოლო B ცნება — A ცნებით; 2) ცნება A განსაზღვრება B ცნებით, ხოლო B ცნებაში A ცნება იგულისხმება; 3) როდესაც ცნება A განსაზღვრება უშუალოდ A ცნებით. ამ უკანასკნელ შემთხვევას ტავტოლოგიას უწოდებენ.

მცდარი განსაზღვრებების მაგალითები: 1) ლოგიკა არის მეცნიერება სწორი აზროვნების შესახებ, ხოლო სწორია აზროვნება, თუ ის ლოგიკის წესებს ეთანხმება (სტრუვე „ლოგიკა“); 2) სწორი აზროვნების კანონები ის კანონებია, რომელთა დაცვა არის საჭირო იმისათვის, რომ ჩვენი აზროვნება იყოს სწორი (სტროგოვიჩი „ლოგიკა“); 3) მზე არის ვარსკვლავი, რომელიც დღისით ანათებს, და სხვ.

2) განსაზღვრება უნდა იყოს ნათელი. განსაზღვრება ვერ მიაღწევს თავის მიზანს, თუ განმსაზღვრელი გამოთქმულია ბუნდოვანი, ორაზროვანი ტერმინებით, ანდა ისეთი ტერმინებით, რომლებიც უფრო გაუგებარია, ვიდრე განსაზღვრავი. რასაკვირველია, „გაუგებარის“ და „გასაგების“ ცნებები შეფარდებითია: ის, რაც გარკვეული დარგის სპეციალისტისათვის გასაგებია, ამ დარგის არასპეციალისტისა-

თვის შეიძლება არ იყოს იგასაგები. ეს წესი ამ გარემოებას არ ეხება. საქმე ეხება განსასაზღვრსა და განმსაზღვრელს: მეორემ უნდა დაადგინოს პირველის შინაარსი; ამიტომ მეორეში ისეთი ტერმინები უნდა გამოიყენოთ, რომლებიც პირველის შინაარსის გაგებას გვაძლევდნენ.

3) განსაზღვრება არ უნდა იყოს უარყოფითი გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსასაზღვრით ვითო უარყოფითი ცნებაა. საქმე ის არის, რომ უარყოფითი განსაზღვრება ვერ აღწევს მიზანს, რადგან ამგვარ განსაზღვრებაში აღინიშნება ანა ის ნიშნები, რომლებიც საგანს ახასიათებს, არამედ, პირიქით, ის ნიშნები, რომლებიც საგანს არ ახასიათებს. მაგალითად, მსჯელობები „სოციალიზმი არ არის კაპიტალიზმი“, „კვადრატი არ არის ტრაპეცია“ მიუხედავად იმისა, რომ ქვეშარიტი მსჯელობებია, განსაზღვრებად არ გამოდგება. კვადრატის განსაზღვრებაში უნდა იყოს დადგენილი მისი არსებითი ნიშნები; აქ კი აღნიშნულია ის, თუ რას არ წარმოადგენს კვადრატი.

განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე უარყოფითი ცნებების შემთხვევაში. უარყოფითი ცნებების არსებიდან გამომდინარეობს ის, რომ მათი პოზიტიური განსაზღვრება შეუძლებელია: მათი განსაზღვრება უარყოფით ფორმაში უნდა მოხდეს. ასე, მაგალითად, ცნება „ობლის“ განსაზღვრება უარყოფით ფორმაში გამოიხატება: „ბუფვი, რომელსაც მშობლები არა ჰყავს“.

9. ცნებათა გაყოფა

1. გაყოფის არსება. განსაზღვრება წარმოადგენს ცნების ანალიზს გვარისა და სახის სპეციფიკური განსხვავების ტერმინებში; დადგინდება განსასაზღვრი ცნების შინაარსი და გამოიყოფა სახეობითი ცნება გვარის შიგნით. ამ გზით შესაძლებელი ჩდება გვარის ყველა სახის დადგენა და მათი ერთმანეთისაგან განსხვავება. ასე, მაგალითად, ოთხკუთხედის ცნებაში მისი ნიშნისა და სახის სპეციფიკური ნიშნის აღნიშვნით დავადგენთ პარალელოგრამის, ტრაპეციის და სხვ. სახეებს და მათ ერთმანეთისაგან განვასხვავებთ. რადგან ცნება საგანთა კლასის არსებას ასახავს, ცნების განსაზღვრება შესაბამის საგანთა კლასის განსაზღვრებას წარმოადგენს; რადგან განსაზღვრება გვარისა და სახის სპეციფიკური განსხვავებით წარმოებს და ამით გვარის შიგნით გარკვეულ სახეს გამოყოფს, ცხადია, ამით საგანთა კლასიდან საგანთა ქვეკლასი გამოიყოფა.

გვარის დიფერენცირება შემადგენელ სახეებად — შესაბამად, კლასის ქვეკლასებად დაყოფა — სხვა გზითაც არის შესაძლებელი. ცნების სახეებზე დაყოფა — და შესაბამად საგანთა კლასის დაქვემდებარებულ კლასებზე დაყოფა — ცნების ლოგიკურ გაყოფას წარმოადგენს. ლოგიკური დაყოფა საჭიროა საგანთა კლასის უფრო ღრმა შეს-

წავლის მიზნით, საგანთა და მოვლენათა სისტემაში მოყვანისათვის, დასაბუთების გარკვეული ზერხით აგებისათვის. ასე, მაგალითად, სამკურნელების შესწავლისას, მათ გაყოფენ მართკუთხა, მახვილკუთხა, ბლაგვკუთხა სამკუთხედებად, რადგან, სამკუთხედის საერთო არსებითი ნიშნების გარდა, მათ თავისი სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს და გარკვეული თეორემების დასაბუთება ამ სპეციფიკურ ნიშნებს ეყრდნობა.

კაცობრიობის ისტორიის შესწავლისას ჩვენ გამოვყოფთ გარკვეულ სოციალ-ეკონომიურ ფორმაციებს, რადგან, იმისდა მიუხედავად, რომ თვითელი მათგანი სწოვადობრივ ფორმაციას წარმოადგენს, თვითელი თავისებურებით ხასიათდება, თავისებურ კანონზომიერებას ექვემდებარება და მოითხოვს მის სპეციალურ შესწავლას.

ლოგიკური გაყოფის არსება მდგომარეობს იმაში, რომ ცნება განიხილება როგორც გვარი და მისი მოცულობა გაიყოფა სახეებად. ცნება, რომელსაც ვყოფთ, $\text{გ ა ს ა ყ ო ფ ი ც ნ ე ბ ა ა}$, გაყოფის შედეგად მიღებული სახეები $\text{გ ა ყ ო ფ ი ს წ ე ვ რ ე ბ ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს}$; ნიშანი, რომლის მიხედვით ვყოფთ ცნების მოცულობას — შესაბამისად, საგანთა კლასს—ქვეკლასებად—გაყოფის საფუძველს (fundamentum divisionis) წარმოადგენს.

გაყოფის საფუძველად გამოდგება ნებისმიერი ნიშანი, რომელიც მოგვეცემს საშუალებას გაყოფა ვაწარმოოთ; მეცნიერული ან პრაქტიკული მიზნებისათვის ხშირად მიმართავენ ისეთ ნიშანს, რომელიც არსებითია რაიმე მიმართებით. გაყოფა შესაძლებელია ვაწარმოოთ ორი გზით: 1) შეიძლება გავყოთ ცნების მოცულობა ნიშნის ქონება-არქონების მიხედვით; ასე, მაგალითად, თანამედროვე სახელმწიფოები შეიძლება გავყოთ დემოკრატიულზე და არადემოკრატიულზე, ოთხკუთხედები — პარალელოგრამებზე და არაპარალელოგრამებზე; 2) შეიძლება გავყოთ ცნება ნიშნის ცვალებადობის მიხედვით; ასე, მაგალითად, ადამიანები შეიძლება დავყოთ კანის ფერის მიხედვით თეთრკანიანად, შავკანიანად, წითელ და ყვითელკანიანად.

a. ცნების გაყოფა ნიშნის ქონება-არქონების მიხედვით. ეს გაყოფა არის ცნების მოცულობის გაყოფა ორ კონტრადიქტორულ სახედ. გაყოფა წარმოებს ასე: ცნების მოცულობიდან გამოიყოფა რომელიმე სახე (რომელსაც გარკვეული ნიშანი ახასიათებს) და ცნება გაიყოფა ამ სახეზე და მის კონტრადიქტორულზე (ე. ი. იმ სახეზე, რომელსაც აღნიშნული ნიშანი არ ახასიათებს). თუ აღნიშნავთ გასაყოფ ცნებას A ასოთი და მისი მოცულობიდან გამოყოფილ სახეს a ასოთი, გაყოფა ამ წესით მიიღებს შემდეგ სახეს:

$$A \begin{cases} a \\ \text{არა } a \end{cases}$$

შემდეგ შესაძლებელია არა a-დან გამოვეყოთ მისი ერთი სახე b და დავყოთ a b-ზე და არა b-ზე:

$$\text{არა } a \left\{ \begin{array}{l} b \\ \text{არა } b \end{array} \right.$$

მთლიანი პროცესი მიიღებს ასეთ სახეს:

$$A \left\{ \begin{array}{l} a \\ \text{არა } a \end{array} \right\} \left\{ \begin{array}{l} b \\ \text{არა } b \end{array} \right\} \left\{ \begin{array}{l} c \\ \text{არა } c \end{array} \right\} \left\{ \begin{array}{l} d \\ \text{არა } d \end{array} \right.$$

მაგალითი:

$$\begin{array}{l} \text{საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია} \end{array} \left\{ \begin{array}{l} \text{სოციალის-} \\ \text{ტური} \\ \text{არასოცია-} \\ \text{ლისტური} \end{array} \right. \left\{ \begin{array}{l} \text{გვარონუ-} \\ \text{ლი} \\ \text{არაგვა-} \\ \text{როვნული} \end{array} \right. \left\{ \begin{array}{l} \text{მონათმფლო-} \\ \text{ბელური არა-} \\ \text{მონათმფლო-} \\ \text{ბელური} \end{array} \right.$$

$$\text{არამონათმფლობელური} \left\{ \begin{array}{l} \text{ფეოდალური} \\ \text{არაფეოდა-} \\ \text{ლური} \end{array} \right. \left\{ \begin{array}{l} \text{კაპიტა-} \\ \text{ლისტური} \end{array} \right.$$

ასეთ გაყოფას დიხოტომიური ეწოდება. ამ გაყოფას თავისი დადებითი მხარეები აქვს: რადგან გაყოფა წარმოებს ცნების გარკვეულ სახეზე და მის კონტრადიქტორულზე, ცხადია, რომ გაყოფის წევრები ამოწურავენ ცნების მოცულობას — შესაბამისად, განსაზღვრულ საგანთა კლასს —; ყოველი საგანი მოყვება გაყოფის ან ერთ, ან მეორე წევრში. მაგრამ ამ გაყოფას ნაკლიც ახასიათებს: უარყოფითი ცნებები (არა a) გ:ურკვეველი ხასიათის არის; ამ გაურკვევლობის გამო, მასში შეიძლება იფუნქციონებოდეს ის წევრიც, რომელიც უკვე ადრე იყო გამოყოფილი.

b. გაყოფა ნიშნის ცვალებადობის მიხედვით. გაყოფის ეს ხერხი მდგომარეობს შემდეგში: გამოყოფილია ნიშანი, რომელიც კლასის ყველა საგანს ახასიათებს და რომლის ცვალებადობა შესაძლებელია და მისი ცვალებადობის მიხედვით გამოიყოფა გვარის ყველა სახე, კლასის ყველა ქვეკლასი.

მაგალითი:

$$\begin{array}{l} \text{კუთხე} \\ \text{აღამიანი} \end{array} \left\{ \begin{array}{l} \text{მართი} \\ \text{მახვილი} \\ \text{ბლაგვი} \\ \text{თეთრკანიანი} \\ \text{შავკანიანი} \\ \text{ყვითელკანიანი} \\ \text{წითელკანიანი} \end{array} \right.$$

2) გაყოფის წესები. სწორი გაყოფის პირობები განსაზღვრულია რამდენიმე წესით:

1) გაყოფის საფუძველი ერთი უნდა იყოს,

2) გაყოფა უნდა იყოს ამომწურავი (ან, რაც იგივეა, გაყოფის წევრების ჯამი უნდა უდრიდეს გასაყოფი ცნების მოცულობას).

3) გაყოფის წევრები ერთმანეთს უნდა გამორიცხავდნენ (მესამე წესი პირველი წესის შედეგია).

4) გაყოფის საფუძველი უნდა იყოს გარკვეული.

განვიხილოთ ეს წესები. რასაკვირველია, ერთი და იგივე ცნება შეიძლება გავყოთ სხვადასხვა საფუძვლის მიხედვით, ასე, მაგალითად, ადამიანის ცნება შეიძლება გავყოთ კანის ფერის მიხედვით, ეროვნული ნიშნის, სქესის, ასაკის და სხვ. მიხედვით, მაგრამ თუ გაყოფას ვაწარმოებთ რომელიმე ნიშნის მიხედვით, არ შეიძლება გაყოფის პროცესში ეს ნიშანი შეეცვალოს მეორე ნიშნით. გაყოფა არ იქნება სწორი, თუ, მაგალითად, ადამიანები დავყავით თეთრკანიანად, შავკანიანად, რუსად, მამაკაცად და სხვ. გაყოფა ამ შემთხვევაში სამი განსხვავებული საფუძვლით არის წარმოებულ: კანის ფერის, ეროვნებისა და სქესის მიხედვით. ასეთი გაყოფა არ ამოწურავს ცნების მოცულობას და, გარდა ამისა, გაყოფის წევრები ერთმანეთს არ გამორიცხავენ: ერთი და იგივე საგანი ერთდროულად განსხვავებულ სახეებში იგულისხმება.

გაყოფის საფუძველი ყოველთვის რაიმე ნიშანია, რომელიც საგანთა კლასს ახასიათებს; მაგრამ არა ყოველი ნიშანი გამოდგება გაყოფის საფუძვლად. ნიშანი, გაყოფის საფუძვლად მიღებული, იმდენად გარკვეული უნდა იყოს, რომ მისი განსხვავებულად გაგება არ შეიძლებოდეს. მაგალითად, შეუძლებელია კუთხის გაყოფა დიდზე, საშუალოზე და მცირეზე; შეუძლებელია წიგნების დაყოფა საინტერესოდ და არასაინტერესოდ, რადგან „დიდის“, „საინტერესოს“ ნიშნები მოკლებულია ზუსტ, გარკვეულ შინაარსს. მათემატიკური შინაარსის გამოკვლევა შეიძლება საინტერესო იყოს მათემატიკოსისათვის და არ იყოს საინტერესო ფილოლოგისათვის.

შენიშვნა. გაყოფის წესებს კლასიფიკაცია ემორჩილება იმისდა მიუხედავად, რომ კლასიფიკაცია ლოგიკური გაყოფის შებრუნებულ ოპერაციას წარმოადგენს. ლოგიკური გაყოფა დაშლის გვარს სახეობად; რაც შეეხება კლასიფიკაციას, ამ ოპერაციით ჩვენ დავაჯგუფებთ ცალკეულ საგნებს კლასებად და ამ კლასებს უფრო ფართო კლასებად.

ცნების გაყოფა გულისხმობს საგანთა კლასის ზედმიწევნით შესწავლას; მანამ ეს არ არის გაკეთებული, ჩვენ ვერ ვიქნებით დარწმუნებული იმაში, რომ გაყოფა მართებულად არის წარმოებული; ჩვენ არ გვეჩვენება იმის გარანტია, რომ გაყოფა ამომწურავია: შესაძლებელია აღმოჩნდეს საგანთა ისეთი ქვეკლასი, რომელიც ყურადღების გარეშე დაგვრჩა,

რომელსაც ჯერ არ ვიცნობთ; შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი კლასი, რომელიც რამდენიმე ქვეკლასს მოიცავს და სხვ.

დიხოტომიურ გაყოფას არ ახასიათებს ასეთი ნაკლი, მაგრამ მას, — როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვა ნაკლი ახასიათებს. არსებობს დიხოტომიური გაყოფის თავისებური სახე, რომელსაც გამოიყენებენ საგანთა კლასის რამდენიმე ნიშნის მიხედვით გაყოფისას. ასე, მაგალითად, ეთქვათ, გვინდა გავყოთ უნივერსიტეტის სტუდენტები ჯერ ქალებზე და ვალებზე, შემდეგ ესენი ფრიადოსნებზე და არაფრიადოსნებზე და კიდევ ფიზკულტურლებზე და არაფიზკულტურლებზე.

აღვნიშნეთ ფრიადოსნები a ასოთი, ვალები — b ასოთი, ფიზკულტურლები — c ასოთი, არაფრიადოსნები — a' ასოთი, ქალები — b' ასოთი და არაფიზკულტურლები — c' ასოთი.

ყველა ფრიადოსანი და არაფრიადოსანი გამოიხატება $a + a'$ სიმბოლოთი, ყველა სტუდენტი $b + b'$, და ფიზკულტურელი და არაფიზკულტურელი — $c + c'$. ამის საფუძველზე დაყოფა ამ ნიშნების მიხედვით მიიღებს სახეს: $abc + abc' + ab'c + ab'c' + a'bc + a'bc' + a'b'c + a'b'c'$, სადაც abc ნიშნავს ფრიადოსანს, ვაეს, ფიზკულტურელს, $a'bc'$ — არაფრიადოსანს, ვაეს, არაფიზკულტურელს, $a'b'c'$ — ქალს, არაფრიადოსანს, არაფიზკულტურელს და სხვ.

1. ტრადიციული მოძღვრება მსჯელობაზე

ტრადიციული ლოგიკის გავრცელებული მოძღვრების მიხედვით მსჯელობა წარმოადგენს ორი ცნების შეერთებას, სინთეზს. ზოგიერთი ლოგიკოსი დღესაც იზიარებს მსჯელობის ასეთ განსაზღვრებას. ასე, მაგალითად, 1948 წ. გამოსულ ლოგიკის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „მსჯელობა ეწოდება ცნებათა ისეთ შეერთებას, რომელიც გამოხატავს რაიმე აზრს“.

ცნებები — ტრადიციული ლოგიკის მიხედვით — მსჯელობის ელემენტებს წარმოადგენენ; ცალკეული ცნებებიდან — მსჯელობის ელემენტებიდან — ცოდნის აშენება შეუძლებელია, მხოლოდ ცნებათა გარკვეული შეერთება, რომელიც მსჯელობის ფორმაში გამოიხატება, შეიცავს ცოდნას.

ტრადიციული ლოგიკის წარმომადგენელი თვითონ გრძნობენ, რომ მსჯელობის ასეთი განსაზღვრება არ არის საკმარისი: ის არ გვაძლევს საშუალებას განვასხვავოთ მსჯელობა ისეთი გამოთქმებისაგან, რომლებიც თხოვნას, ბრძანებას გამოხატავენ და რომლებიც ცნებათა შეერთებას წარმოადგენენ და რაიმე აზრსაც გამოთქვამენ. ამიტომ ისინი მოცემულ განსაზღვრებასთან ერთად მეორე განსაზღვრებასაც წამოაყენებენ, განსაზღვრებას, რომელიც არისტოტელედან მომდინარეობს: მსჯელობა არის აზრი, რომელიც რაიმეს ადასტურებს ან უარყოფს.

ცალკეული ცნებები არაფერს არ ადასტურებენ და არც უარყოფენ: ცნებები „აღამიანი“, „მოკვდავი“, „ლითონი“, „ელექტრობის გამტარი“, „კაპიტალიზმი“, „კლასობრივი საზოგადოება“ და სხვ. არაფერს არ ადასტურებენ და არაფერს უარყოფენ. ამ ცნებების შეერთება დასტურისა და უარყოფის საშუალებით ქმნის მსჯელობას და, თუ ცალკეული ცნებები ცოდნას არ შეიცავენ, მსჯელობები აზრის სწორედ ისეთ ფორმას წარმოადგენენ, რომელიც ცოდნას შეიცავს. ამიტომ მსჯელობის განსაზღვრება შეიძლება, როგორც აზრის, რომე-

ლიც ან ჰემმარიტია, ან მცდარია. ამით უკვე ნათელი ხდება მსჯელობის განსხვავება ცნებათა ისეთი შეერთებისაგან, რომელიც თხოვნას, ბრძანებას გამოხატავს.

ცნებათა შეერთება დასტურის ან უარყოფის გარეშე არ მოგვცემს მსჯელობას: ასე, მაგალითად, ადამიანის და მოკვდავის ცნებებს შეერთება დასტურის ან უარყოფის გარეშე ისევ ცნებას გვაძლევს და არა მსჯელობას: „მოკვდავი ადამიანი“. მხოლოდ დასტური და უარყოფა გადააქცევს ცნებათა შეერთებას მსჯელობად: „ადამიანი მოკვდავია“.

დასტურისა და უარყოფის გარეშე ცნებები არაფერს გამოთქვამენ იმ საგნების შესახებ, რომლებსაც ისინი გამოხატავენ; მეტიც: იმასაც კი არ გულისხმობენ, არსებობენ თუ არა ეს საგნები. მაგალითად, ცნებები „პეგასი“, „ქაჯი“, „ძალი“, „ლითონი“ არ გამოხატავენ ცოდნას ამ საგნების ნიშნების, თვისებების, მათი მამართლებების შესახებ; ამ ცნებებში არც ის იგულისხმება არსებობენ ეს საგნები თუ არა.

მაგრამ იგივე ცნებები, დასტურით ან უარყოფით დაკავშირებული, ქმნიან ნამდვილ ცოდნას, რომელიც მსჯელობათა ფორმაში გამოიხატება; ისინი გამოთქვამენ ცოდნას საგანთა ნიშნებზე, თვისებებზე, მიმართებებზე: „ადამიანი მოკვდავია“, „კაპიტალიზმი კლასობრივი საზოგადოებაა“, „ქაჯი ფანტასტური არსებაა“.

მსჯელობის ასეთი გაგებიდან ნათელი ხდება მსჯელობის შედგენილობა; ყოველ მსჯელობაში სამი ელემენტია: ორი ცნება და კავშირი დასტურის ან უარყოფის სახით გამოთქმული. ის ცნება, რომლის შესახებ რაიმეს ვადასტურებთ ან უარყოფთ, არის მსჯელობის სუბიექტი, ხოლო ის, რასაც ვადასტურებთ სუბიექტის შესახებ, პრედკატი; კავშირი (copula) მსჯელობის მესამე ელემენტია. სუბიექტს აღნიშნავენ S ასოთი, (subjectum), პრედკატს P ასოთი (praedicatum), კავშირი, როგორც წესი, გამოითქმის სიტყვებით „არის“, „არ არის“. სქემატურად მსჯელობას ასე გამოხატავენ:

S არის P, S არ არის P

კავშირის გამომხატველ სიტყვას ხშირად სრულიად არ აღნიშნავენ:

S—P, SP.

2. მსჯელობის ტრადიციული განსაზღვრების ნაკლი

მსჯელობის ტრადიციული განსაზღვრება ნაკლოვანია, ის მთელ რიგ შეცდომებს შეიცავს.

ა. სრულიად მიუღებელია პრინციპული დაპირისპირება ცნებისა და მსჯელობის, რომელიც ტრადიციულ მოძღვრებაში არის ნაგულისხმ-

მევი: თითქოს ცნება არ შეიცავს ცოდნას და მას არ ახასიათებს ჰუმ-
მარიტება — მცდარობის ნიშანი, იმ დროს, როდესაც მსჯელობა შე-
იცავს ცოდნას და მხოლოდ მას ახასიათებს ჰუმმარიტება — მცდარო-
ბის ნიშანი. ეს საკითხი ჩვენ მიერ განხილულია ცნების შესახებ თავ-
ში და ამიტომ აქ მას აღარ შევეხებით.

ბ. ჰუმმარიტებისა და მცდარობის ნიშანი, რასაკვირველია, ახასი-
ათებს მსჯელობას. მაგრამ ეს ნიშანი იმდენად ფართოა, რომ იგი არ
არის საკმარისი მსჯელობის ბუნების დახასიათებისათვის. სხვა არა
იყოს რა, უკვე გარკვეული იყო, რომ ეს ნიშანი ცნებებსაც ახასი-
ათებს, და მეტიც, არა მხოლოდ ცნებებს. შემდეგ: უნდა მიეჩქეს ყუ-
რადღება იმ გარემობას, რომ ლოგიკის სახელმძღვანელოებში, სპე-
ციალურ გამოკვლევებში ბევრსა და ხშირად მსჯელობენ ჰუმმარიტე-
ბაზე. მაგრამ ჰუმმარიტების ცნება ამ სახელმძღვანელოებში და გამო-
კვლევებში ან გაურკვეველი რჩება, ანდა ამ ცნებაში ისეთი შინაარსი
ნაგულისხმევი, რომელიც არსებითად განსხვავდება სინამდვილის
ადეკვატური ასახვის ცნებისაგან.

არისტოტელე, განსაზღვრავდა რა მსჯელობას როგორც აზრს, რო-
მელიც რაიმეს ადასტურებს ან უარყოფს, ამასთანავე ერთად, იმასაც
აღნიშნავდა, რომ მსჯელობა აზრია, რომელიც შეიძლება იყოს ან ჰუმ-
მარიტი, ან მცდარი. მაგრამ არისტოტელეს ლოგიკა დაკავშირებული
იყო მისი შემეცნების თეორიასთან და, საერთოდ, მის ფილოსოფიურ
მსოფლმხედველობასთან; ის განსაზღვრული იყო მისი ფილოსოფიის
ძირითადი პრინციპებით. არისტოტელეს ფილოსოფიაში ჰუმმარიტე-
ბის ცნებას გარკვეული შინაარსი ჰქონდა: ჰუმმარიტება სინამდვილის
ასახვას წარმოადგენს შემეცნებლის ცნობიერებაში.

სულ სხვაა, როდესაც ტრადიციული ლოგიკის წარმომადგენელნი
ან თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის წარმომადგენელნი
განსაზღვრავენ მსჯელობას, როგორც აზრს, რომელიც ჰუმმარიტია ან
მცდარია. ამ შემთხვევაში ეს განსაზღვრება არა მხოლოდ არ არის საკ-
მარისი, რადგან ის ფართოა, არამედ ის შეიძლება უკვე მთლად მცდა-
რი იყოს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას გულისხმო-
ბენ ეს ლოგიკოსები ჰუმმარიტების ცნებაში

ჰუმმარიტება ის აზრია, რომელსაც აუცილებლობა და საყოველ-
თაობა ახასიათებს — ასეთია აზრი, რომელსაც იცავენ კანტის ფი-
ლოსოფიის თვალსაზრისზე მდგომი ლოგიკოსები: ხოლო აზრის აუცი-
ლებლობა და საყოველთაობა განსაზღვრულია შემეცნებელი ცნო-
ბიერების აპრიორული ფორმებით.

ჰუმმარიტება არის „ჭერარსობა“, ასე ვიაზროვნოთ და არა სხვაგა-
რად; ხოლო ეს „ჭერარსობა“ (долженствование, sollen) განსაზღ-
ვრულია „საზრისის იდეალური სამყაროთი“, — მსჯელობენ ნეოკან-

ტიანური ფილოსოფიის ერთ-ერთი მიმართულების ლოგიკოსები; ჭეშმარიტება არის თვითონ „საგნის ფლობა“ და არა მისი ასახვა ჩვენ ცნობიერებაში — ამტკიცებს ინტუიტივიზმი; ჭეშმარიტება ეს ისეთი აზრია, რომელიც სასარგებლოა ჩვენთვის, რომელიც „ჩვენზე მუშაობს“, — ამტკიცებენ პრაგმატიკები; ჭეშმარიტება არის შეგრძნებათა ეკონომიური აღწერა, „აზროვნება ენერჯის ნაკლები დახარჯვის პრინციპის მიხედვით“, — ასეთია ემპირიოკრიტიციზმის თვალსაზრისი: ჭეშმარიტება ფიქციაა, რომელიც გვეხმარება შეგრძნებათა მოწესრიგებაში. თანამედროვე „ლოგიკური ემპირიზმისათვის“ ჭეშმარიტება სისწორეს, გამომდინარეობას ემთხვევა: წინადადება უნდა წინადადებას შევადაროთ და არა ცდას, სამყაროს ან კიდევ სხვა რაიმეს. სამყაროს გაორება საგნებზე და მათ ასახვაზე მეტაფიზიკას წარმოადგენს და უნდა უკუგდებულ იქნეს. ყოველი ახალი წინადადება (მსჯელობა) უკვე მიღებულსა და ერთმანეთთან შეთანხმებულ წინადადებათა ერთობლიობას უპირისპირდება. წინადადება სწორია, თუ მისი შეტანა შეიძლება წინადადებათა სისტემაში, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უნდა უკუვაგდოთ, როგორც მცდარი.

ჭეშმარიტების ცნების ასეთი იდეალისტური დამახინჯებანი უნდა გვექონდეს მხედველობაში, როდესაც ლოგიკის სახელმძღვანელოებში მსჯელობას განსაზღვრავენ, როგორც ჭეშმარიტ ან მცდარ აზრს. სიფრთხილე გვმართებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ესა თუ ის ფილოსოფოსი ზოგადად თითქოს მართებულად განსაზღვრავს ჭეშმარიტების ცნებას. ცნობილია, მაგალითად, რომ კანტი ჭეშმარიტებას განსაზღვრავდა, როგორც აზრის საგანთან თანხმობას; თავისთავად აღებული ეს განსაზღვრება თითქოს არ უნდა იყოს მცდარი, მაგრამ თუ მივაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ საგანი აქ მოიაზრება, როგორც გონების კანონების საშუალებით აგებული სურათი და არა ობიექტურად არსებული საგანი, ცხადი გახდება ამ განსაზღვრების სუბიექტურ-იდეალისტური ხასიათი.

სტებინგი ლოგიკის სახელმძღვანელოში აღნიშნავს, რომ ჭეშმარიტების ცნების განსაზღვრება ძნელი საქმეა; არც არის მისი განსაზღვრება საჭირო; შეიძლება ვისარგებლოთ ტარსკის მითითებით: წინადადება „თოვლი თეთრია“ ჭეშმარიტია იმ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თოვლი თეთრია. ეს განსაზღვრება თითქოს მართებულია. მართლაც, რა შეიძლება ვთქვათ ამგვარი განსაზღვრების შესახებ: მსჯელობა „თოვლი თეთრია“ ჭეშმარიტია, თუ თოვლი სინამდვილეში თეთრია, ე. ი. თუ მსჯელობა ასახავს სინამდვილეს? მაგრამ თურმე სტებინგი ამას სრულიად არ გულისხმობს. სტებინგი აფრთხილებს მკითხველს, რომ აქ, რასაკვირველია, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს მოცემული მსჯელობა ასახავს სინამდვილეს, მას შეესაბამება. ასახვის

თვალსაზრისი, მისი აზრით, უნდა უკუევაგდოთ, როგორც არამეცნიერული.

ც. რასაკვირველია, მსჯელობა შედგება ცნებებისაგან (ან წარმოდგენებისაგან), მსჯელობის სუბიექტის ცნება დაკავშირებულია პრედიატის ცნებასთან; ისიც უდავოა, რომ მსჯელობა ადასტურებს ან უარყოფს რაიმეს რაიმეს შესახებ. მაგრამ პრინციპულად მიუღებელია მოძღვრება იმის შესახებ, რომ მსჯელობაში ერთ ცნებას ვადასტურებთ ან უარყოფთ მეორე ცნების შესახებ, პრედიატს — სუბიექტის შესახებ. მსჯელობის სუბიექტი გაგებულია როგორც მსჯელობის ელემენტი, მსჯელობა კი ცნებათა კავშირია, ე. ი. სუბიექტი გაგებულია როგორც ცნება. და, როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ „ადამიანი მოკვდავია“, ჩვენ განა ვადასტურებთ იმას, რომ მოკვდავობა ახსიათებს ადამიანის ცნებას? რასაკვირველია, არა! მოკვდავობას ჩვენ მივაწერთ არა ადამიანის ცნებას, არამედ თვითონ ადამიანს, ადამიანთა კლასს; ნიშანი, პრედიატის საშუალებით გამოხატული, მიეკუთვნება არა მსჯელობის სუბიექტს, არამედ თვითონ საგანს (საგანთა კლასს), რომელიც არსებობს ცნებისაგან დამოუკიდებლად და, რომელიც ამ ცნებით აისახება. ადამიანის ცნება არც მოკვდავია და არც არამოკვდავი, ასეთია ადამიანი როგორც ობიექტურად არსებული.

თავისთავად აღებული მსჯელობის განსაზღვრება, როგორც ცნებათა კავშირისა, არ არის არც მატერიალისტური და არც იდეალისტური; ამ განსაზღვრების შემდგომი განმარტება მისცემს მას ასეთსა თუ ისეთ ხასიათს. საბჭოთა ლოგიკოსები, რომლებიც ამ განსაზღვრებას იზიარებენ, აძლევენ მას მატერიალისტურ ინტერპრეტაციას იმით, რომ აღიარებენ: ცნებათა ეს შეერთება სინამდვილეს ასახავს. მაგრამ ეს ინტერპრეტაცია საქმეს ვერ გამოასწორებს, რადგან ამ განსაზღვრებიდან გამომდინარეობს უცნაური აზრი, თითქოს მსჯელობაში ვადასტურებთ (ან უარყოფთ) რაიმეს ცნების შესახებ და არა საგნის შესახებ.

მსჯელობაში დაკავშირებულია ცნებები, სუბიექტის ცნება დაკავშირებულია პრედიატის ცნებასთან; მაგრამ აზრი, რომელიც ამ მსჯელობაშია გამოთქმული ეხება არა ამ ცნებებს, არამედ საგნებს, რომლებიც ამ ცნებებში იგულისხმება. ელემენტები, რომლებიდანაც შედგება მსჯელობა, არ წარმოადგენენ საგნებს, რომლებიც მოიაზრება ამ მსჯელობაში, ხოლო საგნები, რომელთა შესახებ მსჯელობაში გამოთქმულია აზრი, არ წარმოადგენენ მსჯელობის ელემენტებს.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მსჯელობაში გამოთქმულია აზრი

ცნებების შესახებ, მსჯელობის ელემენტები — სუბიექტისა და პრედიატის ცნება — არ ემთხვევა ამ ცნებებს.

ცნობილი რუსი ლოგიკოსი კარინსკი დიდი ხანია უკვე მიუთითებდა ტრადიციული ლოგიკის ამ ნაკლებზე: „როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ სამკუთხედის კუთხეების ჯამი ორ სწორს უდრის, ჩვენ იმის თქმა კი არ გვსურს, რომ სამკუთხედის ცნებას აქვს კუთხეების ჯამი ორი სწორის ტოლი, არამედ იმის, რომ ყველა სამკუთხედს, რომელიც ამ ცნებაში იგულისხმება აქვს ეს თვისება. როდესაც ჩვენ ვამბობთ „აღამიანები მოკვდავნი არიან“, ჩვენ აზრს გამოვთქვამთ არა აღამიანის ცნებაზე, არამედ ნამდვილ აღამიანებზე“¹.

ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანი უსათუოდ ახასიათებს მსჯელობას, ისევე როგორც დასტურ-უარყოფის ნიშანი. მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუ ჩვენ სწორად გვესმის ჭეშმარიტების ცნება. მაშინაც მსჯელობის განსაზღვრება როგორც აზრის, რომელსაც ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანი ახასიათებს, რომელსაც დასტურ-უარყოფის ნიშანი ახასიათებს, არ არის საკმარისი, რადგან ეს ნიშნები არ არკვევენ იმას, თუ რის ასახვას წარმოადგენს მსჯელობა.

ამ ნაკლის მიუხედავად, ჩვენ გამოვიყენებთ ამ ნიშნებს მსჯელობის დახასიათებისათვის. მსჯელობის სწორი განსაზღვრებისათვის საჭიროა მსჯელობათა განსხვავებული სახეების გარკვევა. წინასწარ კი შეიძლება მსჯელობა განესაზღვროთ, როგორც აზრი, რომელიც ასახავს სინამდვილის საგანთა და მოვლენათა კავშირებსა და მიმართებებს. ეს განსაზღვრება, რასაკვირველია, მოითხოვს დეტალურ გარჩევას და, რაც მთავარია, გამართლებას.

გ. მსჯელობა და წინადადება

მსჯელობა, როგორც აზრი, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ენობრივი მასალის საფუძველზე. აზროვნება არ არსებობს ენისაგან დამოუკიდებლად.

ენისა და აზროვნების დამოკიდებულების პრინციპიდან გამომდინარეობს ისიც, რომ მსჯელობა, როგორც აზრი, რომელიც ასახავს სინამდვილის საგანთა და მოვლენათა კავშირებსა და მიმართებებს, ყოველთვის ენობრივ ფორმაში გამოვლინდება. ყოველი მსჯელობა არსებობს წინადადების სახით; მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ყოველი წინადადება მსჯელობას წარმოადგენს.

წინადადება, რომელიც გამოხატავს კითხვას, თხოვნას, ბრძანებას, — მაგალითად „ატარებს თუ არა ლითონი ელექტრობას?“,

¹ Вопросы философии, 1947, № 2, გვ. 298.

„იარსებებს კომუნისტურ საზოგადოებაში სახელმწიფო თუ არა?“ და სხვ., არ წარმოადგენს მსჯელობას, რადგან მას არ ახასიათებს კეშმარიტება-მცდარობის, დასტურისა და უარყოფის ნიშანი, ის არ ასახავს საგანთა და მოვლენათა კავშირებსა და მიმართებებს. რასაკვირველია, თუ ამგვარ წინადადებას აქვს რაიმე აზრი, ის მსჯელობათა რიგს გულისხმობს. ასე, მაგალითად, თუ წინადადებას „ატარებს თუ არა ლითონი ელექტრობას“ რაიმე აზრი აქვს, ის გულისხმობს მსჯელობებს, რომ არსებობენ ლითონები, არსებობს ელექტრობა, არსებობენ სხეულები, რომლებიც ატარებენ ელექტრობას, ანდა, თუ წინადადებას „აქვს თუ არა პეგასს ფრთები“ აქვს აზრი, ის გულისხმობს მსჯელობას: არსებობს პეგასი (ან ობიექტურად, ანდა, როგორც მითოლოგიის ფანტასტიური არსება). მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თვითონ ეს წინადადება მსჯელობაა.

უკვე ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ მსჯელობის გაიგივება წინადადებასთან შეუძლებელია.

წინადადებაში სუბიექტისა და პრედიკატის (შემასმენლის) გარდა შეიძლება სხვა ნაწილებიც იყოს: დამატება, განსაზღვრება და სხვ. მსჯელობაში კი მხოლოდ ორი ელემენტი ან, როგორც იტყვიან, ორი ტერმინია, სუბიექტი და პრედიკატი გარკვეულად დაკავშირებული. მსჯელობის თავისებურება და მისი წინადადებებისაგან განსხვავება კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ გავარკვევთ საკითხს მსჯელობის სუბიექტისა და პრედიკატის შესახებ. გამოვარკვეოთ, მაგალითად, სუბიექტი და პრედიკატი მსჯელობის: მოსკოვი საბჭოთა კავშირის დედაქალაქია. აქ გამოთქმულია აზრი მოსკოვზე (S), რომ ის არის საბჭოთა კავშირის დედაქალაქი (P). მაგრამ რისი თქმა გვინდა, რა აზრს ვდებთ ამ წინადადებაში: იმის თქმა გვინდა, რომ 1) მოსკოვია და არა სხვა რომელიმე ქალაქი საბჭოთა კავშირის დედაქალაქი, თუ იმის, რომ 2) მოსკოვი დედაქალაქია და არა საოლქო ან რაიონის ცენტრი, თუ კიდევ იმის, რომ 3) მოსკოვი საბჭოთა კავშირის დედაქალაქია და არა სხვა რომელიმე სახელმწიფოსი.

მოცემული წინადადება სამ განსხვავებულ აზრს შეიცავს, ე. ი. სამ განსხვავებულ მსჯელობას გამოხატავს. ეს სამი მსჯელობა სამ განსხვავებულ კითხვას უპასუხებს; სამივე კითხვას ჩვენ ერთი წინადადებით ვუპასუხებთ; ამ წინადადებაში წინადადების წევრები — ქვემდებარე და შემასმენელი უცვლელია; მაგრამ ამ წინადადებით გამოთქმულია სამი მსჯელობა განსხვავებული სუბიექტებით და პრედიკატებით. იმის გარკვევა, თუ რომელია სუბიექტი და რომელია პრედიკატი, შეიძლება იმ კითხვის გათვალისწინებით, რომელზეც გაცემულია პასუხი მოცემული მსჯელობის სახით: ის, რაც კითხვაში არის მოცემული, მსჯელობის სუბიექტს წარმოადგენს, პასუხი პრე-

დეკატი. მაგალითად, თუ მსჯელობა „მოსკოვი საბჭოთა კავშირის დედაქალაქია“ წარმოადგენს პასუხს კითხვაზე: რომელი ქალაქია საბჭოთა კავშირის დედაქალაქი? მაშინ მსჯელობის სუბიექტი იქნება „ის ქალაქი, რომელიც საბჭოთა კავშირის დედაქალაქია“, პრედიკატი კი „მოსკოვია“.

4. მსჯელობათა ტრადიციული კლასიფიკაცია

ტრადიციული მოძღვრების მიხედვით მსჯელობა ორი ცნების გარკვეულ კავშირს წარმოადგენს. ამისდა მიუხედავად, მსჯელობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ცნებათა კავშირი მსჯელობაში შეიძლება იყოს მათი მოცულობების ან შინაარსების კავშირი; შემდეგ, კავშირის ფორმაც შეიძლება განსხვავებული იყოს და სხვ. ამიტომ მსჯელობები შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს. მსჯელობათა კლასიფიკაცია არისტოტელედან მომდინარეობს. ეს კლასიფიკაცია არისტოტელეს და სტოელთა სკოლებში გადამუშავდა, ახალ დროში კანტის მიერ დაკანონდა და დღევანდლამდე მოაღწია მსჯელობათა ტრადიციული კლასიფიკაციის სახელწოდებით.

ამ კლასიფიკაციის მიხედვით მსჯელობებს განიხილავენ ოთხი თვალსაზრისით: თვისებრიობის, რაოდენობის, მიმართებისა და მოდლობის.

მსჯელობაში ორი ტერმინია — სუბიექტი და პრედიკატი; ისინი დაკავშირებული არიან დასტურის ან უარყოფის საშუალებით. მსჯელობის თვისებრიობაში იგულისხმება დასტურის ან უარყოფის ნიშანი; ამ თვალსაზრისით მსჯელობა შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი და განუსაზღვრელი. დადებით მსჯელობაში პრედიკატი მიეწერება სუბიექტს; უარყოფით მსჯელობაში პრედიკატი უარყოფილია სუბიექტის მიმართ; განუსაზღვრელ მსჯელობაში სუბიექტს მიეწერება უარყოფითი პრედიკატი.

1. დადებითი მსჯელობა: საბჭოთა კავშირი სოციალისტური სახელმწიფოა; S არის P;

2. უარყოფითი მსჯელობა; საბჭოთა ადამიანებს არ სურთ ომი; S არ არის P;

3. განუსაზღვრელი მსჯელობა: ვეშაპი არის არათევზი; S არის არა P.

მსჯელობაში პრედიკატი შეიძლება ახასიათებდეს (არ ახასიათებდეს) სუბიექტის მთელ მოცულობას, ან ამ მოცულობის ნაწილს, ანდა მოცულობაში ნაგულისხმევ ერთ წარმომადგენელს. მსჯელობათა განსხვავება, გაპირობებული სუბიექტის იმ მოცულობით, რომელსაც პრედიკატი ახასიათებს, წარმოადგენს მსჯელობათა რაოდენობრივ გან-

სხვაეგვას. რაოდენობის თვალსაზრისით მსჯელობებს ყოფენ ზოგადზე, კერძობითზე და ერთეულზე.

1) ზოგადია მსჯელობა, რომელშიც პრედიკატი ახასიათებს (არ ახასიათებს) სუბიექტის მთელ მოცულობას, მაგალითად, „ყველა ადამიანი მოკვდავი“.

2) კერძობითია მსჯელობა, რომელშიც პრედიკატი ახასიათებს (არ ახასიათებს) სუბიექტის მოცულობის ნაწილს, მაგალითად, „ზოგიერთი სტუდენტი სპორტსმენია“.

3) ერთეულია მსჯელობა, რომელშიც პრედიკატი ახასიათებს (არ ახასიათებს) ერთეულ ცნებას, საგანს, მაგალითად, „შ. რუსთაველი ვეფხისტყაოსნის ავტორია“.

ამრიგად, რაოდენობის თვალსაზრისით მსჯელობები სამი სახის არსებობს: 1) ზოგადი, ყველა $S-P$; 2) კერძობითი, ზოგიერთი $S-P$ და 3) ერთეული, $S-P$ ან ეს $S-P$.

სუბიექტისა და პრედიკატის კავშირი შეიძლება განსხვავებული სახის იყოს: პრედიკატი შეიძლება ახასიათებდეს (არ ახასიათებდეს) სუბიექტს ყველა პირობებში, ე. ი. დამოუკიდებლად პირობებისაგან; შესაძლებელია ეს კავშირი განსაზღვრული იყოს რაიმე პირობით; საბოლოოდ, შესაძლებელია ასეთი შემთხვევა: მსჯელობაში სუბიექტს რამდენიმე პრედიკატიდან ახასიათებს მხოლოდ ერთი, ანდა რამდენიმე სუბიექტიდან მხოლოდ ერთს ახასიათებს პრედიკატი. ამის მიხედვით სუბიექტისა და პრედიკატის კავშირს ხასიათის თვალსაზრისით მსჯელობებს ყოფენ კატეგორიულზე (უპირობოზე), ჰიპოთეტურზე (პირობითზე) და დისიუნქტურზე (გაყოფითზე).

1) კატეგორიულ მსჯელობაში კავშირი სუბიექტსა და პრედიკატს შორის არ არის დამოკიდებული რაიმე პირობაზე; მაგ., „ლითონი ატარებს ელექტრობას“: $S-P$.

2) პირობით მსჯელობაში კავშირი S -სა და P -ს შორის დამოკიდებულია გარკვეულ პირობაზე; მაგალითი: „თუ კომუნისტური საზოგადოება გარემოცული იქნება იმპერიალისტური ქვეყნებით, მაშინ ამ საზოგადოებაში იარსებებს სახელმწიფო“; „თუ A არის B , მაშინ S არის P “; ან „თუ A არის, მაშინ B -ც არის“.

3) გაყოფით მსჯელობაში სუბიექტს რამდენიმე პრედიკატიდან ახასიათებს მხოლოდ ერთი; მაგალითად: „სამკუთხედი ABC არის ან მართკუთხა, ან მახვილკუთხა, ან ბლაგვეკუთხა“; S არის ან P_1 , ან P_2 , ან P_3 . შესაძლებელია გაყოფით მსჯელობას სხვა სახეც ჰქონდეს: მსჯელობაში რამდენიმე სუბიექტიდან მხოლოდ ერთს ახასიათებს პრედიკატი; სქემა: S_1 , ან S_2 , ან S_3 არის P .

რაც შეეხება მსჯელობათა მეოთხე კლასს, მსჯელობათა მოდლობას, ტრადიციული მოძღვრება აქ გაყოფის საფუძვლად აღიარებს

სუბიექტისა და პრედიატის კავშირის „ღირებულებას“. ამ შემთხვევაში ტრადიციული მოძღვრება კანტის მიერ წამოყენებულ დებულებას ეყრდნობა. „მსჯელობათა მოდალობა, — წერდა კანტი, — მსჯელობის თავისებური ფუნქციაა; იგი არაფერს უმატებს მსჯელობის შინაარსს (რადგან თვისებრიობის, რაოდენობისა და მიმართების გარდა მსჯელობის შინაარსში არაფერი სხვა არ იგულისხმება); ის ეხება მხოლოდ სუბიექტისა და პრედიატის კავშირის ღირებულებას“¹. მოდალობის თვალსაზრისით მსჯელობებს ყოფენ პრობლემატურზე, ასერტორულზე და აპოდიქტიკურზე.

1) პრობლემატურ მსჯელობაში სუბიექტისა და პრედიატის კავშირი მოიაზრება როგორც მხოლოდ შესაძლებელი; მაგალითი: „შესაძლებელია მარსზე არსებობდეს ორგანული ბუნება“; „შესაძლებელია S არის P“.

2) ასერტორულ მსჯელობაში სუბიექტისა და პრედიატის კავშირი მოიაზრება, როგორც არსებული, ნამდვილი; მაგალითი: „საბჭოთა კავშირში აშენებულია სოციალიზმი“; S არის P.

3) აპოდიქტიკურ მსჯელობაში კავშირი S-სა და P-ს შორის მოიაზრება, როგორც აუცილებელი; მაგალითი; „როგორც არის მატერიალური ცხოვრების პირობები, ისეთია საზოგადოებრივი წყობის ხასიათი“; S არის აუცილებლად P.

ამგვარად, მსჯელობათა ტრადიციული კლასიფიკაცია ასეთ სახეს იღებს:

მსჯელობათა სახეები

I. თ ვ ი ს ე ბ რ ი ო ბ ა

1. დადებითი
2. უარყოფითი
3. განუსაზღვრელი

II. რ ა ო დ ე ნ ო ბ ა

1. ზოგადი
2. კერძობითი
3. ერთეული

III. მ ი მ ა რ თ ე ბ ა

1. კატეგორიული
2. პირობითი
3. გაყოფითი

IV. მ ო დ ა ლ ო ბ ა

1. პრობლემატური
2. ასერტორული
3. აპოდიქტიკური

რადგან მსჯელობათა ასეთი დაყოფა სხვადასხვა თვალსაზრისით წარმოებს, შესაძლებელია თვითეული მსჯელობა განვიხილოთ ერთდროულად რამდენიმე თვალსაზრისით. შეიძლება, კერძოდ, მსჯელო-

¹ К а н т, Критика чистого разума.

ბები განვიხილოთ ერთდროულად თვისებრიობისა და რაოდენობის თვალსაზრისით. ამას მით უმეტეს აქვს მნიშვნელობა იმიტომ, რომ დასკვნის თეორიაში ასეთი განხილვა დიდ როლს ასრულებს. ამ მხრივ ოთხი სახის მსჯელობა დადგინდება.

1. ზოგადდადებითი მსჯელობები, რომელნიც ერთდროულად ზოგადი და დადებითია, მაგალითად, „ყველა ადამიანი მოკვდავია“; ყველა S არის P.

2. ზოგადუარყოფითი მსჯელობები, რომელნიც ერთდროულად ზოგადი და უარყოფითია, მაგალითად, „არც ერთი ვეშაპი არ არის თევზი“; არც ერთი S არ არის P.

3. კერძობითდადებითი მსჯელობები, რომელნიც ერთდროულად კერძობითი და დადებითია, მაგალითად, „ზოგიერთ ქვეყანაში დამყარებულია სახალხო დემოკრატია“; ზოგიერთი S არის P.

4. კერძობითუარყოფითი მსჯელობები, რომელნიც ერთდროულად კერძობითი და უარყოფითია, მაგალითად, „ზოგიერთმა ადამიანმა არ იცის ლოგიკა“; ზოგიერთი S არ არის P.

მსჯელობის ეს ოთხი სახე აღინიშნება შესაბამისად ასოებით: a, e, i, o. ასოები a და i ლათინური სიტყვის affirmo (ვადასტურებ) პირველი და მეორე ხმოვანია, ხოლო e და o პირველი და მეორე ხმოვანია ლათინური სიტყვის nego (უარყოფ). ამ აღნიშვნათა საშუალებით მსჯელობათა ეს ოთხი სახე შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

ზოგადდადებითი მსჯელობა — SaP.
ზოგადუარყოფითი „ — SeP.
კერძობითდადებითი „ — SiP.
კერძობითუარყოფითი „ — SoP.

5. ტერმინების განაწილება მსჯელობაში

დასკვნის თეორიაში დიდ როლს ასრულებს მოძღვრება მსჯელობაში ტერმინების განაწილების შესახებ. ეს მოძღვრება ეხება კატეგორიულ მსჯელობებს და მათგან აგებულ დასკვნებს.

კატეგორიულ მსჯელობაში სუბიექტისა და პრედიკატის ცნებები მოიაზრებიან ან მთელი მოცულობით, ან მათი მოცულობის ნაწილით. ტერმინი (ცნება) განაწილებულია მსჯელობაში, თუ ის მოაზრებულია მთელი მოცულობით, ე. ი. თუ ცნებაში იგულისხმება საგანთა მთელი კლასი; ტერმინი (ცნება) არ არის განაწილებული, თუ მასში იგულისხმება საგანთა კლასის ნაწილი (ე. ი. თუ მასში მოაზრებულია ცნების მოცულობის ნაწილი).

1. ზოგადდადებით მსჯელობაში (SaP) სუბიექტი განაწილებულია,

პრედიკატი არ არის განაწილებული. ზოგადდადებითი მსჯელობის სუბიექტი განაწილებულია, რადგან ამ მსჯელობაში პრედიკატი ახასიათებს სუბიექტში ნაგულისხმევ საგანთა მთელ კლასს. მსჯელობაში „ლითონები ელექტრობას ატარებენ“ ელექტრობის გამტარობის ნიშანი გამოთქმულია ლითონთა მთელ კლასზე.

რაც შეეხება ზოგადდადებითი მსჯელობის პრედიკატს, ის არ არის განაწილებული, რადგან მოყვანილ მსჯელობის პრედიკატში — „ელექტრობის გამტარი“ — არ იგულისხმება ამგვარ სხეულთა მთელი კლასი. იმისათვის, რომ ჩვენ ვეჭონდეს უფლება გამოვთქვათ ზემოთ მოყვანილი მსჯელობა, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ყველა ლითონი, მაგრამ სრულიადაც არ არის საჭირო „ელექტრობის გამტარი“ ყველა სხეულის გათვალისწინება.

2. ზოგადუარყოფით მსჯელობაში (SeP) განაწილებულია სუბიექტიც და პრედიკატიც. მსჯელობაში „ვეშაპი არ არის თევზი“ აზრი გამოთქმულია ყველა ვეშაპზე, ვეშაპების მთელ კლასზე. პრედიკატიც განაწილებულია, რადგან ვეშაპები გამორიცხული არიან თევზთა მთელი კლასიდან.

3. კერძობითდადებით მსჯელობაში (SiP) არ არის განაწილებული არც სუბიექტი და არც პრედიკატი. მსჯელობაში „ზოგიერთი ლითონი სითხეა“, სუბიექტი არ არის განაწილებული, რადგან აზრი გამოთქმულია საგანთა კლასის ნაწილზე — ზოგიერთზე —; არც პრედიკატი განაწილებულია, რადგან ამ მსჯელობის დასადგენად არ არის საჭირო სითხეთა მთელი კლასის ცოდნა.

4. კერძობითუარყოფით მსჯელობაში (SoP) სუბიექტი არ არის განაწილებული, ხოლო პრედიკატი განაწილებულია. მსჯელობაში „ზოგიერთი ლითონი არ არის სითხე“ სუბიექტი არ არის განაწილებული, რადგან აზრი გამოთქმულია საგანთა კლასის ნაწილზე (ზოგიერთზე); ხოლო პრედიკატი განაწილებულია, რადგან ეს „ზოგიერთი“ გამორიცხულია სითხეთა მთელი კლასიდან.

ტერმინების განაწილების შესახებ მოძღვრება შეიძლება ორ დებულებად ჩამოვაყალიბოთ:

1. ზოგად მსჯელობებში განაწილებულია სუბიექტი.
2. უარყოფით მსჯელობებში განაწილებულია პრედიკატი.

6. მსჯელობის არსება

1. აზროვნების ლოგიკური ფორმები, ცნება, მსჯელობა, დასკვნა სინამდვილის ასახვას წარმოადგენენ. განსხვავებით შეგარძნებებისაგან, აღქმებისა და წარმოდგენებისაგან აზროვნების ეს ფორმები ასახვენ სინამდვილეს გაშუალებულად. საერთო დებულება, რომ აზ-

როვნების ფორმები სინამდვილეს ასახავენ, სწორია, მაგრამ არ არის საკმარისი. უნდა გაირკვეს კონკრეტულად რას და როგორ ასახავენ ეს ფორმები. სინამდვილე ერთიანი მთლიანია. ის არ არის საგანთა და მოვლენათა ერთობლიობა, არამედ დაკავშირებულია მრავალი კავშირით და მიმართებით სხვა მოვლენებთან, დაკავშირებულია ამ მთლიანობასთან, როგორც მისი ნაწილი.

არა მხოლოდ მთელი ობიექტური სამყარო წარმოადგენს ერთიან მთლიანს, არამედ ყოველი ცალკეული მოვლენა არის ერთიანი მთლიანი, რომლის განსხვავებული მხარეები, ელემენტები, თვისებები ერთმანეთთან დაკავშირებულია მრავალგვარი კავშირით და მიმართებით. ყოველი საგანი, ყოველი მოვლენა მისი შემადგენელი ნაწილების, მხარეების, თვისებების ერთიანობაა.

საგნები არსებობენ არა მხოლოდ თავისთავად, არამედ „სხვისთვისაც“, უფრო ზუსტად, სხვასთან დაკავშირებით, სხვათა საშუალებით. საგნები, მოვლენები თვისებრივად გარკვეულნი არიან; მაგრამ ისინი კანტისეული შეუცნობადი „ნივთები თავისთავად“ იქნებოდნენ, მათ რომ არ ჰქონოდათ კავშირი და მიმართება სხვა საგნებთან.

ლენინი აღნიშნავდა, რომ ნივთი თავისთავად „მარტივი აბსტრაქციაა“; სიბრძნედ გვეჩვენება დებულება, რომ ნივთი თავისთავად შეუცნობადია. ნივთი თავისთავად ყოველგვარ გარკვეულობას მოკლებულია, რადგან მას არა აქვს არავითარი მიმართება სხვასთან, ამიტომ იგი არაფერია. ნივთი თავისთავად ცარიელი, უსიცოცხლო აბსტრაქციაა. სინამდვილეში, ყველაფერი არის თავისთავადაც და სხვისთვისაც, სხვასთან მიმართებაში, გადადის რა ერთი მდგომარეობიდან მეორეში¹.

საგანთა და მოვლენათა თვისებრივი გარკვეულობა გამოვლინდება მათ მრავალგვარ თვისებაში. თვისება სხვა არაფერია, გარდა საგანთა და მოვლენათა თვისებრივი გარკვეულობის გამოვლენისა სხვა საგნებთან მიმართებაში. ჩვენ შევიცნობთ საგნებსა და მოვლენებს მათი თვისებების, მათი ნიშნების საშუალებით. თვისებათა ცოდნის საფუძველზე ჩვენ ვწვდებით საგანთა სიღრმეს, აღმოვაჩინთ მათ თვისებრივ გარკვეულობას, მათ სტრუქტურას, არსებას, კანონს. საგნები რომ მართლაც „ნივთები თავისთავად“ ყოფილიყვნენ, ე. ი. ისინი რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, იზოლირებულად არსებობდნენ, მათ რომ არ ჰქონოდათ ერთმანეთთან კავშირი, მიმართება, მაშინ მათი თვისებრივი გარკვეულობა არც ერთ თვისებაში არ გამოვლინდებოდა, მაშინ ისინი მართლაც შეუცნობად საგნებს წარმოადგენდნენ.

საგნის თვისებები დამოკიდებულნი არიან მის თვისებრივ გარკვე-

¹ В. Ленин, Философские тетради, гл. 82 — 3.

ვეულობაზე. მეორე მხრივ, თვისების ხასიათზე მოქმედებს ისიც, თუ რასთან, რომელ საგანთან აქვს მიმართება მოცემულ საგანს. თვისების ხასიათი, ამრიგად, ორ მომენტზეა დამოკიდებული: 1) იმ საგნის თვისებრივ გარკვეულობაზე, რომელიც შედის მიმართებაში და 2) იმ საგანზე, რომელთანაც აქვს მიმართება მოცემულ საგანს. რასაკვირველია, წამყვანი აქ ის საგანია, რომელიც შედის მიმართებაში, რადგან თვისება მისი თვისებრივი გარკვეულობის გამოვლენაა.

საბჭოთა კავშირი გარკვეულ თვისებრიობას წარმოადგენს. ის სოციალისტური ქვეყანაა, რომელიც თანდათანობით გადადის კომუნიზმში. მისი თვისებრივი გარკვეულობა როგორც სოციალისტური ქვეყნის, სრულიადაც არ შეიცვლება, იქნება ის კავშირში, მიმართებაში სხვა ქვეყნებთან თუ არა. მაგრამ ეს ერთი თვისებრივი გარკვეულობა გამოვლინდება სხვადასხვა თვისების სახით სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოთა მიმართ, ერთი მხრივ, და ფაშისტურსა და ნახევრად ფაშისტურ სახელმწიფოთა მიმართ, მეორე მხრივ.

ასევე, კომუნისტური საზოგადოება კომუნისტურ საზოგადოებად, გარკვეულ თვისებრიობად, გარკვეულ კანონზომიერების მქონე ქვეყნად რჩება, იქნება ის იმპერიალისტური ქვეყნებით გარემოცული თუ, არა. მაგრამ განსხვავებულ პირობებში მას განსხვავებული თვისებები ექნება: იმპერიალისტური ქვეყნების გარემოცვაში კომუნისტურ საზოგადოებაში იარსებებს სახელმწიფო, წინააღმდეგ შემთხვევაში არა. სახელმწიფოს არსებობა არ არის კანონი კომუნისტური საზოგადოების არსებობისათვის, ეს არ არის მისი თვისებრივი გარკვეულობა, ეს არის მისი თვისება, რომელსაც ის გამოავლენს გარკვეულ პირობებში, გარკვეულ მიმართებაში. ყველაფერი დამოკიდებულია პირობებზე, ადგილსა და დროზე.

სინამდვილის შემეცნების პროცესში ჩვენ შევიცნობთ საგანთა თვისებრიობას, მათ არსებას, კანონს, შევიცნობთ საგანთა შორის მიმართებებსა და კავშირებს, საგანთა თვისებებს, ნიშნებს, მდგომარეობას, რომლებიც ამ მიმართებებში და კავშირებში გამოვლინდება და გამოვხატავთ მათ მსჯელობებში.

შემეცნების პროცესში ჩვენ მივდივართ მოვლენიდან არსებისაკენ, შემთხვევითიდან — აუცილებლისაკენ, ერთეულიდან და განსხვავებულიდან ზოგადისა და იგივეობრივისაკენ და სხვ. ეს ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებულია, ერთიმეორის გარეშე არ არსებობს: არსება არ არსებობს მოვლენის გარეშე, შემთხვევითი — აუცილებელის, ცალკეული — ზოგადის, განსხვავებული — იგივეობრივის გარეშე და სხვ.

შემეცნების მიზანი არა მხოლოდ ერთეულია, არამედ ზოგადი და

უმთავრესად ზოგადი, რადგან ზოგადის შემეცნების გარეშე არც ერთეულის შემეცნება არის შესაძლებელი, არა მხოლოდ განსხვავებულნი, არამედ იგივეობრივიც, და უმთავრესად იგივეობრივი, არა მხოლოდ მოვლენა, არამედ არსება, კანონი. მხოლოდ მაშინ, როდესაც შეცნობილია არსება, კანონი, ჩვენ შეგვიძლია მოვლენაც შევიცნოთ, ის მოვლენის მიმართ გამოვიყენოთ, გარდავქმნათ მოვლენა, გავითვალისწინოთ მომავალი.

„კანონი, წერდა ლენინი, არის მიმართება“¹.

მსჯელობა არის აზრი, რომელიც ასახავს საგანთა და მოვლენათა კავშირებსა და მიმართებებს.

2. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მსჯელობის ეს განსაზღვრება ვიწროა და ამიტომ არ არის სწორი: ეს განსაზღვრება ითვალისწინებს მხოლოდ საგანთა და მოვლენათა კავშირებსა და მიმართებებს. სინამდვილეში კი არსებობენ არა მხოლოდ კავშირები და მიმართებები, არამედ თვითონ საგნები და მოვლენები, არსებობს მათი თვისებრივი გარკვეულობა, არსება, კანონი. მართალია, საგნები და მოვლენები კავშირებისა და მიმართებების გარეშე არ არსებობენ, მაგრამ კავშირები და მიმართებები ხომ საგანთა და მოვლენათა კავშირები და მიმართებებია. წამყვანი საგანია და არა მიმართება. აქ ხომ ისეთივე მდგომარეობაა, როგორც მატერიისა და მოძრაობის საკითხში: მატერია არ არსებობს მოძრაობის გარეშე, ისევე როგორც მოძრაობა არ არსებობს მატერიის გარეშე. მაგრამ მოძრაობა კი არ ქმნის მატერიას, არამედ მატერიის არსებობა განსაზღვრავს მოძრაობას; მოძრაობა მატერიის არსებობის ფორმაა.

საგანთა და მოვლენათა შემეცნება, მოვლენის არსების, კანონის შემეცნება შესაძლებელია მხოლოდ საგანთა კავშირებისა და მიმართებათა შემეცნების საშუალებით, საგანთა მხარეთა, თვისებათა შორის კავშირების შემეცნების საშუალებით. როგორც მატერიას ჩვენ შევიცნობთ მისი მოძრაობის ფორმების შემეცნების საშუალებით, ისე საგნებსა და მოვლენებს შევიცნობთ ჩვენ მათ მოძრაობაში, ე. ი. მათ კავშირსა და მიმართებებში.

ენგელსი, მსჯელობს რა მატერიის მოძრაობის ფორმებზე, მათ ერთმანეთში გადასვლაზე, ერთმანეთის გაპირობებაზე, აღნიშნავს, რომ ეს პროცესი ურთიერთმოქმედების პროცესია. ამ ურთიერთმოქმედების შემეცნება არის შემეცნების მიზანი. „ამ ურთიერთმოქმედების შემეცნების იქით წასვლა ჩვენ იმით არ შეგვიძლია, რომ მის უკან შე-

¹ Л е н и н, Философские тетради, გვ. 128.

სამეცნებელი აღარა არის რა. რაკილა შევიმეცნებთ მატერიის მოძრაობის ფორმებს... ამით თვით მატერიასაც შევიცნობთ, და ამით ამოიწურება შემეცნება“¹.

საგანთა და მოვლენათა მეტაფიზიკური მოწყვეტა მათი კავშირებისა და მიმართებებისაგან მიგვიყვანს მცდარ დასკვნამდე, თითქოს ჩვენ შევიცნობთ საგნებსა და მოვლენებს ცალკე, მათი კავშირების გარეშე, ხოლო კავშირებსა და მიმართებებს ცალკე, საგნებისა და მოვლენების გარეშე. საგნები და მოვლენები შეიცნობა მათ კავშირებში და მიმართებებში და ასე აისახებიან მსჯელობებში.

საგანთა მიმართებანი და კავშირები ჩვენ მატერიის მოძრაობის ცნებასთან შემთხვევითი ანალოგიით კი არ დავაკავშირეთ. მხოლოდ ანალოგიაც რომ ყოფილიყო, ისიც საკმარისი იქნებოდა ჩვენი აზრის ილუსტრაციისათვის. მაგრამ აქ მხოლოდ ანალოგია როდია. „მთელი ჩვენთვის მისაწვდომი ბუნება ერთგვარ სისტემას, სხეულთა ერთგვარ ერთობლივ კავშირს შეადგენს, ამასთან სხეულად ჩვენ აქ გვესმის ყველა მატერიალური არსებობანი, ვარსკვლავით დაწყებული ატომამდე, თვით ეთერის ნაწილამდეც კი, რამდენადაც მის არსებობას აღიარებენ. ის გარემოება, რომ ეს სხეულები ურთიერთკავშირში იმყოფებიან, იმასაც ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთზე მოქმედებენ, და ეს მათი ურთიერთზემოქმედება არის სწორედ მოძრაობა“².

ყოველი მსჯელობა გამოხატავს, ასახავს რაიმე კავშირს, მიმართებას, მაგრამ ეს როდის ნიშნავს იმას, რომ ასახავს რა კავშირს, მიმართებას, ის თვით საგანს, მის არსებას არ ასახავს. სწორედ იმით, რომ ის კავშირებს, მიმართებებს ასახავს, მსჯელობა საგნებსა და მოვლენებს ასახავს, რადგან საგანი, საგნის თვისებები, საგნის არსება ამ კავშირებში, მიმართებებში ვლინდება.

ყველაზე მნიშვნელოვანი, ღირებული შემეცნებაში — სინამდვილის კანონების ასახვა — ყოველთვის გამოიხატება მსჯელობით, რომელიც ასახავს მოვლენათა კავშირებსა და მიმართებებს. „კანონი არის მიმართება“, — წერდა ლენინი. ასახავს რა კანონს, მსჯელობა ამით ასახავს საგანს, მოვლენას, ასახავს თვით სინამდვილეს. ასე, მაგალითად, ავსახავთ რა მთელი სინამდვილის უზოგადეს კანონებს, ჩვენ ავსახავთ სინამდვილის მოვლენების კავშირებს, მათ მთლიანობას (დიალექტიკის პირველი ნიშანი), კავშირს რაოდენობრივსა და თვისებრივ გარკვეულობათა შორის (მესამე ნიშანი), წინააღმდეგობათა კავშირს, ერთიანობას; ავსახავთ რა სინამდვილის განვითარების კანონს (მეორე, მეოთხე ნიშნები), ჩვენ ავსახავთ დადებითისა და უარ-

¹ ე ნ გ ე ლ ს ა, ბუნების დიალექტიკა, 1950, გვ. 238.

² ი ქ ვ ე, გვ. 60.

ყოფითის კავშირს, წარსულისა და მომავლის, მომავლადებისა და განუთარებადის, ძველისა და ახლის და სხვ. კავშირს და ყველაფერს ამას მსჯელობაში გამოვხატავთ.

ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კანონები ყოველთვის მოვლენათა კავშირებსა და მიმართებებს გამოხატავენ.

გამოვხატოთ ჩვენი ცოდნა რაიმე საგნებზე: გამოვხატავთ თუ არა ჩვენ ცოდნას საგნებზე, მაშინვე დაერწმუნდებით, რომ ჩვენ გამოვთქვით მსჯელობა კავშირზე, მიმართებაზე და ამით ავსახეთ თვით საგანი. თუ გამოვთქვამთ ცოდნას კაპიტალიზმის შესახებ, აღმოჩნდება, რომ ჩვენ გამოვთქვით მსჯელობა, რომელიც ასახავს გარკვეულ კავშირს, მიმართებას წარმოების საზოგადოებრივი და მითვისების კერძო ხასიათის შესახებ; ასევე სოციალიზმის შესახებ: აქ მსჯელობა გამოვხატავს გარკვეულ კავშირს საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის სრული შესაბამისობის შესახებ.

მათემატიკის ყველა დებულება, რომლებიც მის შესასწავლ ობიექტებს ასახავს, გამოიხატება მსჯელობებში, რომლებიც გარკვეულ კავშირებს ასახავენ. ასეთია მსჯელობები, რომლებიც გამოხატავენ ფუნქციას, წარმოებულს, დიფერენციალს, განტოლებას და სხვ. ასეთივეა მსჯელობები, რომლებიც გამოხატავენ აქსიომებს.

ყველა ასეთი მსჯელობა, ასახავს რა გარკვეულ კავშირს, მიმართებას, ამით თვით საგანს, მის თვისებებს, მის არსებას ასახავს.

პირველი შეხედვით არის უამრავი ისეთი მსჯელობა, რომელიც არ ასახავს არავითარ კავშირს, არავითარ მიმართებას. ასეთია, მაგალითად, მსჯელობები: „ძალდი ცხოველია“, „ბულგარეთი სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკაა“, „ადამიანი მოკვდავია“, „ქინაქინა მწარეა“ და სხვ.

ნამდვილად ეს მსჯელობებიც ასახავენ საგანს იმით, რომ გარკვეულ კავშირს, მიმართებას ასახავენ. მართლაც, მსჯელობა „ძალდი არის ცხოველი“ დაადგენს (ასახავს) კავშირს საგანთა ორ კლასს შორის, ის ასახავს ძალთა კლასის შეტანას ცხოველთა კლასში. ასევე, მაგალითად, მსჯელობა „ვეშაპი არ არის თევზი“ ასახავს კავშირს, მიმართებას ვეშაპებსა და თევზებს შორის, სახელდობრ, რომ ვეშაპთა კლასი გამოირიცხულია თევზთა კლასიდან.

ასევე, მსჯელობა „ქინაქინა მწარეა“ ასახავს კავშირს საგანსა და მის თვისებას, ნიშანს შორის. კავშირები და მიმართებანი, რომლებიც სინამდვილეში არსებობენ, კავშირები და მიმართებებია არა მხოლოდ საგანთა შორის — იქნება ეს ცალკეულ საგანთა შორის თუ საგანთა კლასებს შორის —; ეს კავშირები არსებობენ თვითეულ საგანში, მაგალითად, კავშირი საგნის ნაწილებს შორის, მის მხარეთა, ელემენტთა შორის, საგანსა და მის თვისებას შორის, საბოლოოდ თვისებათა

შორის. ჩვენ ხშირად მოვიაზრებთ საგნის ცალკეულ მხარეს, ნაწილს, მის ცალკე თვისებას, ნიშანს. როგორ ვახერხებთ ჩვენ ამას? ჩვენ გამოვყოფთ მას მთლიანი კავშირიდან, მოვახდენთ განყენებას საგნის სხვა ნიშნებიდან და სასურველ ნიშანს გამოვყოფთ. ცხადია, ამიტომ, რომ ეს ნიშანი, თვისება დაკავშირებული იყო საგანთან, მის სხვა თვისებებთან, თუ ჩვენ მოგვიხდა მისი გამოყოფა მთლიანობიდან, საგნიდან, და ამიტომ, გამოთქვამთ რა მსჯელობას საგნის თვისებაზე. ჩვენ ავსახავთ საგნისა და მისი თვისების კავშირს.

თვითონ მარტივი მსჯელობის აგებულება, რომელიც შედგება სუბიექტის, პრედიკატისა და მათი კავშირიდან მაჩვენებელია იმისა, რომ მსჯელობა ასახავს სინამდვილის მოვლენებსა და საგნებს მათი კავშირებისა და მიმართებების ასახვის საშუალებით¹.

სამყარო ერთიანი მთლიანია; მისი ერთიანობა მის მატერიალობაშია; ეს მთლიანობა საგანთა და მოვლენათა კავშირებით, კანონზომიერი კავშირებით არის განსაზღვრული. კავშირებისა და მიმართებების რიცხვი და სახე უამრავია. ამ კავშირებში, მიმართებებში გამოვლინდება საგანთა თავისებურებანი, მათი თვისებები, მათი არსება. ამ უკანასკნელთ ავსახავთ ჩვენ შემეცნებაში და გამოვხატავთ მსჯელობებში.

მარქსამდელმა ფილოსოფიამაც იცოდა, რომ სინამდვილის საგანთა შორის არსებობს კავშირები და მიმართებანი. ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ეს კავშირები თვით ობიექტურ სინამდვილეს ახასიათებს (მატერიალისტები), ზოგიერთი კი ცდილობდა დაემტკიცებია თითქოს ჩვენ გონებას შეაქვს კავშირები სინამდვილეში (იდეალისტები). მაგრამ არსებობენ კავშირები, რომლებსაც მარქსამდელი ფილოსოფია ან ნაკლებ უურადლებას აქცევდა, ანდა სრულიად უუურადლებოდ ტოვებდა. სიანტერესოა, მოკლედ მაინც შევეხოთ ამგვარ კავშირებს, მით უმეტეს, რომ მათ გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ჩვენი საკითხისათვის.

იმ კავშირთა შორის, რომლებსაც ასახავს მსჯელობა, არის ისეთი კავშირებიც, რომელნიც შეიძლება უშუალოდ ნათელი არ იყოს და გარკვეული ანალიზია საჭირო ამ კავშირის გამომკვლავებისათვის.

1) კავშირი ზოგადსა და ერთეულს შორის. მსჯელობები, რომლებიც ასახავენ სინამდვილის მოვლენათა და საგანთა მრავალნაირ კავშირებს, ამავე დროს უამრავ შემთხვევაში ასახავენ ცალკეულისა, განსაკუთრებულისა და ზოგადის კავშირს. მაგალითად, მსჯელობები „ცუვა

¹ რაც შეეხება რთულ მსჯელობებს, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება მსჯელობა, ისინიც, რასაკვირველია, ასახავენ სინამდვილის საგანთა და მოვლენათა კავშირებს და მიმართებებს. აქ საკმარისია გავიხსენოთ პირობითი მსჯელობა: „თუ A არის B, მაშინ C არის D“; ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ამ მსჯელობაში ასახულია მოვლენათა შორის კავშირი, იმდენად ნათლად არის ეს კავშირი გამოხატული ამ მსჯელობაში.

არის ძალდი“, „ძალდი არის ცხოველი“ ასახავენ სწორედ ამგვარ კავშირსა და მიმართებას. პირველ მსჯელობაში ასახულია ცალკეულისა (ცუგა) და ზოგადის (ძალდი) კავშირი, მეორე შემთხვევაში კერძო. განსაკუთრებულისა (ძალდი) და ზოგადის (ცხოველი) კავშირი. ლენინი, განიხილავს რა ამგვარ მსჯელობებს, წერს: „უკვე აქ... არის დიალექტიკა: ცალკეული არის ზოგადი“¹.

2) შესაძლებელია მეორე მხრივ მივუდგეთ მსჯელობას და აღმოვაჩინოთ ისეთი კავშირი, რომელიც ყოველი მსჯელობის მიერ უნდა იყოს ასახული.

ყოველ მსჯელობაში გამოთქმულია აზრი გარკვეულ საგანზე. მსჯელობის სუბიექტში მოაზრებულია საგანი (საგანი, თვისება, მდგომარეობა, კავშირი, მიმართება, საერთოდ ის, რის შესახებაც გამოთქმულია აზრი), რომელიც მოცემულია ამა თუ იმ მხრით, დახასიათებულია ამა თუ იმ ნიშნით — თუნდაც უბრალო მითითებით — „ეს“. პრედიკატი კი არ იმეორებს ამ ნიშანს, ამ მხარეს, არამედ რაღაც ახალს, სუბიექტისაგან განსხვავებულს აღნიშნავს. მსჯელობა, რომელიც პრედიკატი იგივე ნიშანს, თვისებას და სხვ. აღნიშნავს, არ წარმოადგენს მსჯელობას, ის არავითარ ცოდნას არ შეიცავს. გამოთქმა „კაპიტალიზმი არის კაპიტალიზმი“, „ატომი არის ატომი“ ფორმალურად თითქოს აკმაყოფილებს იმ ნიშნებს, რომლითაც მსჯელობას ახასიათებენ — ჭეშმარიტება-მცდარობისა და დასტური-უარყოფის ნიშანი — მაგრამ სრულიადაც არ არის მსჯელობა, რადგან არავითარი ცოდნის შემცველი არ არის, მსჯელობას კი ყოველთვის ამის პრეტენზია აქვს. ეს გამოთქმები ცარიელ ტავტოლოგიას წარმოადგენენ. მსჯელობაში, რომელიც გარკვეული ცოდნის შემცველია ან, ყოველ შემთხვევაში, ამის პრეტენზია აქვს, პრედიკატი განსხვავებულია სუბიექტისაგან: მსჯელობა განსხვავებულთა კავშირს, მიმართებას ასახავს და თვითონაც განსხვავებულთა ერთიანობაა.

უფრო მეტიც: კავშირი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კავშირში მყოფ წევრებს რაღაც საერთო იგივეობრივი აქვს. ამიტომ მსჯელობაში სუბიექტი და პრედიკატი — ისევე როგორც მათ მიერ ასახული საგნები — ამავე დროს გარკვეულ მიმართებაში იგივეობრივად უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი კავშირი, ერთიანობა შეუძლებელია. ამიტომ მსჯელობა ასახავს სინამდვილის საგანთა და მოვლენათა თავისებურ კავშირს: განსხვავებულისა და იგივეობრივის კავშირს. საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ კავშირის ასახვით, მსჯელობა ასახავს თვითონ საგანს, საგნის არსებას და არა მხოლოდ შიშველ კავშირს.

¹ Ленин, Философские тетради, 1947, გვ. 329.

ჩვენ ვხმარობდით ორ ტერმინს „კავშირი“ და „მიმართება“. საქმე ის არის, რომ ზოგიერთი ლოგიკოსი განასხვავებს ამ ორ ცნებას: ფიქრობენ, რომ მიმართება არსებობს საგანთა შორის, ხოლო კავშირი შეიძლება არსებობდეს როგორც საგანთა შორის, ისე საგანსა და მის თვისებას შორის. საქმე ის კი არ არის, გამოვიყენებთ ამ ტერმინებს როგორც სინონიმებს თუ არა; საქმე ის არის, რომ საგანთა შორის კავშირები და მიმართებანი განსხვავდებიან იმ კავშირებისა და მიმართებებისაგან, რომლებიც არსებობენ საგანსა და მის თვისებებს შორის და, ამიტომ მათი ამსახველი მსჯელობების სახეები ერთმანეთისაგან იქნება განსხვავებული.

3. საბჭოთა ლოგიკოსებიდან ზოგიერთი (მაგ. სტროგოვიჩი) არ იზიარებს აზრს, რომ მსჯელობა აზრის ისეთ ფორმას წარმოადგენს, რომელიც სინამდვილის საგანთა და მოვლენათა კავშირებს ასახავს. საქმე ის არის, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ე. წ. „მიმართებათა ლოგიკა“, უარყოფს რა არისტოტელესეულ ლოგიკას, უპირისპირებს მას მოძღვრებას მსჯელობის შესახებ, როგორც აზრს, რომელიც მიმართებას გამოხატავს. „მიმართებათა ლოგიკის“ ფორმალისტურმა ხასიათმა კრიტიკული რეაქცია გამოიწვია საბჭოთა ლოგიკოსებში. მაგრამ ზოგიერთმა ლოგიკოსმა „მიმართებათა ლოგიკის“ არსება ვერ გაიგო და თავისი კრიტიკა მიმართა მსჯელობის ზემოთ აღნიშნულ გაგების წინააღმდეგ, წამოაყენა რა ბრალდება, თითქოს მსჯელობის ასეთი გაგებისას იკარგება საგანი, რომლის შესახებ უნდა გამოითქვას აზრი.

მსჯელობები, — იყო გამოთქმული აზრი, — რომლებიც მიმართებას გამოხატავენ, თავისი კონსტრუქციის მიხედვით „იდეალისტურ-ბურჟუაზიულ ფილოსოფიის“ ხასიათს შეესაბამებიან; „მიმართებათა მსჯელობების“ ლოგიკური ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ აქ დადგინდება საგანთა შორის მიმართება, მაგრამ არაფერი არ გამოითქმება თვით საგნების შესახებ. მსჯელობები მიმართებათა შესახებ უსუბიექტო მსჯელობებია. ამრიგად, ამ თეორიას იდეალისტური, ავნოსტიკური ხასიათი აქვს¹.

„მიმართებათა ლოგიკის“ ასეთი კრიტიკა მიზანს ვერ აღწევს. იმის მაგიერ, რომ კრიტიკა მიმართული იყო ფორმალისტურისა და იდეალისტური თეორიის წინააღმდეგ, უარყოფილია არსებობა მსჯელობის ისეთი სახისა, რომელიც ობიექტურ სინამდვილეში არსებულ კავშირებსა და მიმართებას ასახავს.

„მიმართებათა ლოგიკა“ ილაშქრებს არისტოტელეს ლოგიკის წინააღმდეგ არა მხოლოდ იმის გამო, რომ არისტოტელეს ლოგიკა არ შეესაბამება მეცნიერების თანამედროვე დონეს — ეს კრიტიკა ყოველ

¹ Стрoгoвич, Лoгикa, 1949, გვ. 158—9.

შემთხვევაში სამართლიანი იქნებოდა; — არისტოტელეს ლოგიკას ბევრი ნაკლი აქვს და მას ბევრი ლოგიკოსი აკრიტიკებს. მთავარი აქ იმაში მდგომარეობს, თუ რა პოზიციებიდან ილაშქრებენ არისტოტელეს ლოგიკის წინააღმდეგ. „მიმართებათა ლოგიკის“ წარმომადგენელთ არ მოსწონთ არისტოტელეს ლოგიკა მისი „სუბსტანციალიზმის“ გამო, ე. ი. აზროვნების ფორმების მატერიალისტური ინტერპრეტაციის გამო. აზროვნების ფორმები არისტოტელეს მიხედვით სინამდვილის ასახვას წარმოადგენენ. არისტოტელე აღიარებდა, რომ ჭეშმარიტია ის მსჯელობა, რომელიც სინამდვილეს ასახავს. „ჭეშმარიტება იმის მხარეზეა, ვინც გათიშულს გათიშულად თვლის და შეერთებულს შეერთებულად, ხოლო შეცდომაშია ის ჩავარდნილი, ვისი აზრიც ეწინააღმდეგება საგანთა ნამდვილ ვითარებას“¹. აზრის პრინციპებს არისტოტელეს მიხედვით ონტოლოგიური ხასიათი აქვს: საშუალო ტერმინი სილოგიზმში არა მხოლოდ საშუალოა მოცულობით, რომელიც კიდურ ტერმინებს აკავშირებს, არამედ ის რეალური მიზეზის ასახვას წარმოადგენს.

ამ მატერიალისტური თვალსაზრისის წინააღმდეგ არის მიმართული კრიტიკა, რომელსაც „მიმართებათა ლოგიკა“ აწარმოებს. „მიმართებათა ლოგიკა“ უარყოფს არისტოტელეს ლოგიკური მოძღვრების მატერიალისტურ პრინციპს, უარყოფს არისტოტელეს მოძღვრებას სინამდვილის, როგორც ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებულის შესახებ, უწოდებს ამ მოძღვრებას მეტაფიზიკასა და სუბსტანციალიზმს და დგება აშკარა რელატივიზმისა და იდეალიზმის პოზიციებზე. „მიმართებათა ლოგიკის“ ერთ-ერთი თანამედროვე წარმომადგენელი წერს: „... არსებობს იდეალიზმის სახე, რომელიც ეთანხმება მიმართებათა ლოგიკას, რომელიც მასთან მთლიანობას წარმოადგენს; ეს არის რელატივისტური იდეალიზმი... რადგან ის განიხილავს მხოლოდ აზრს რეალური ობიექტის გარეშე“².

მიმართებათა ლოგიკა აღმოცენდა კანტის ფილოსოფიის პრინციპებზე. ამ პრინციპების მიხედვით ბუნების საგნები (არა ნივთები თავისთავად, რაც პრინციპულად შეუცნობადია) ადამიანის აზროვნების მიერ არის აგებული; ეს აგება ხდება შეგარძნებათა გაფორმებით, რასაც გონების კატეგორიები აწარმოებენ, რადგან გონების კატეგორიები კავშირებისა და მიმართებების კანონებს წარმოადგენენ; გამოდის, რომ ადამიანის აზროვნებას შეაქვს სინამდვილეში მიმართებანი. ნეოკანტიანელებმა „შეასწორეს“ კანტი იდეალიზმის მიმართულეობით:

¹ Аристотель, Метафизика, IX, 10, 1051в.

² С е р р ю с, Опыт исследования значения логики, гл. 182.

აზროვნება მთლიანად აგებს სინამდვილეს როგორც ფორმით, ისე შინაარსით.

„აზროვნება ქმნის ყოფიერების საფუძვლებს“; „აზროვნებას არაფერი არ ეძლევა, ის თვითონ აშენებს მთელ სინამდვილეს“ (Cohen). კასირერი — ნეოკანტიანელთა წარმომადგენელი — ცდილობს დაამტკიცოს, რომ საგნები და მოვლენები მიმართებებით იქმნება, მიმართებათა შედეგია. „ატომი, რასაკვირველია, არ არსებობს რეალურად, მთელი მისი შინაარსი მიმართებათა შედეგია“; „შეუძლებელია იმის დაშვება, რომ ფიზიკის საგნები — მასა, ატომი, ძალა და სხვ. — რეალობას წარმოადგენენ, ესენი წარმოადგენენ ხერხს, იარაღს, რომელსაც ქმნის აზრი იმისათვის, რომ მოვლენათა ქაოსი მთლიანობად წარმოიდგინოს“. „თვითონ მატერიაც იდეად გადაიქცა“. ასეთია „მიმართებათა ლოგიკის“ ფილოსოფიური საფუძველი.

არაფერია აქ ახალი შედარებით იმ სუბიექტურ-იდეალისტურ კონცეფციებთან, რომლებიც გაანადგურა ლენინმა „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“.

ამგვარად, „მიმართებათა ლოგიკა“ უარყოფს ობიექტური სინამდვილის არსებობას, საგნები დაყავს მიმართებამდე, ხოლო მიმართებები ობიექტური სინამდვილის საგნებისა და მოვლენების კავშირები და მიმართებები კი არ არის, არამედ ადამიანის გონების აპრიორული ფორმებია. ეს თეორია თვლის, რომ არსებობენ არა საგნები და მოვლენები ობიექტურად და მათ შორის მრავალგვარი კავშირები და მიმართებებია, არამედ არსებობენ მიმართებები, იდეალური, აზროვნებითი მიმართებები, რომლებიც საგნებს ქმნიან.

ეს იდეალისტური თვალსაზრისი უნდა იქნეს გაკრიტიკებული და უარყოფილი და არა ის აზრი, რომ არსებობენ მსჯელობები, რომლებიც სინამდვილეში არსებულ კავშირებსა და მიმართებებს ასახავენ.

4. ცნების შესახებ თავში აღიარებული იყო კავშირი, რომელიც არსებობს ცნებასა და მსჯელობას შორის: ცნება, აღენიშნეთ ჩვენ მსჯელობების (და დასკვნა-დასაბუთების) შედეგია. საგანთა შემეცნების პროცესში ჩვენ აღმოვაჩინეთ მათ თვისებებს — ნიშნებს, მათ მხარეებს, კავშირებს, მიმართებებს, მათ არსებას. მსჯელობებში გამოითქმება აზრი საგნის როგორც მნიშვნელოვან, ისე არამნიშვნელოვან ნაკლებ მნიშვნელოვან მხარეებზე, თვისებებზე, მიმართებებზე. შემეცნების გაღრმავებისას დადგინდება საგნის არსებითი ნიშნები განსხვავებით არაარსებითისაგან; ამ გზით ჩამოყალიბდება ცნება, როგორც საგნის (საგანთა კლასის) არსების, არსებითი ნიშნების ასახვა. ცნებები ახალ მსჯელობებში მონაწილეობენ როგორც ელემენტები და ამ გზით შემუშავდება ახალი ცნებები და ა. შ.

იბადება საკითხი, რით განსხვავდება ცნება მსჯელობისაგან. თუ

ჩვენ საქმე გვაქვს ნამდვილად ცნებასთან, უნდა ითქვას, როგორც ეს აღნიშნული იყო ადრე, პრინციპული განსხვავება მათ შორის არ უნდა არსებობდეს. ერთიც და მეორეც სინამდვილეს ასახავს, ერთსაც და მეორესაც აქვს იმის პრეტენზია, რომ ის ცოდნას შეიცავს, ერთსაც და მეორესაც ახასიათებს ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანი. ცნება, თუ ის ნამდვილად ცნებაა, ე. ი. საგანთა კლასის არსების ასახვაა, ის ყოველთვის მსჯელობის სახით არსებობს. საგნის არსება არის ყოველთვის გარკვეულობათა მთლიანობა, გარკვეულ ნიშანთა ერთიანობა, კავშირი. საკმარისია მოვიხაზოთ რომელიმე ცნება, ცნება კაპიტალიზმის, ადამიანის, კვადრატის და სხვ., ყველგან აღმოვაჩინოთ ნიშანთა კავშირს; ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ცნება ასახავს საგნის არსებას, მის შინაგან სტრუქტურას, კანონს; ხოლო ეს უკანასკნელი ყოველთვის გარკვეულ სისტემას წარმოადგენს: არსება ცალკეულ ნიშანთა თავმოყრას როდი წარმოადგენს, არამედ სწორედ სისტემატური მთლიანობაა. ამ მხრივაც, ცნება პრინციპულად იგივეა, რაც მსჯელობა. როგორც იყო აღნიშნული, ცნება „შეკუმშული“, „შემჭიდროებული“, „კონდენსირებული“ მსჯელობაა.

მაგრამ მაინც არის განსხვავება ცნებასა და მსჯელობას შორის. მსჯელობა ასახავს საგნის ყოველივე ნიშანს, ყოველი ნიშანი შეიძლება მსჯელობაში პრედიკატის მიერ ასახული იყოს. ცნება კი ასახავს მხოლოდ არსებით ნიშნებს. შემდეგ: მსჯელობაში გარკვეულად, explicite გამოთქმულია აზრი მისი საგანთან დამოკიდებულების შესახებ, რაც დასტურისა და უარყოფის საშუალებით გამოიხატება. ცნებაში მისი დამოკიდებულება საგანთან მხოლოდ იგულისხმება, ის არ არის უშუალოდ გამოთქმული; ეს ნიშანი მხოლოდ განსაზღვრებაში, ე. ი. მსჯელობის თავისებურ სახეში ნათლად, explicite გამომჟღავნდება. ეს გარემოება იყო ხშირად იმის მიზეზი, რომ ტრადიციული ლოგიკა ცნებას არ მიაწერდა ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანს.

7. მსჯელობათა სახეები

1. მსჯელობათა ტრადიციული კლასიფიკაციის ნაკლი. მსჯელობათა ტრადიციული კლასიფიკაცია, რომელიც დადგენილი იყო არისტოტელეს და მისი მოწაფეების მიერ და საბოლოოდ დაკანონებული იყო კანტის მიერ, არ აკმაყოფილებს თანამედროვე მეცნიერების დონის მოთხოვნებს. უკვე ის გარემოება, რომ იგი საუკუნეთა განმავლობაში უცვლელი რჩებოდა და მეცნიერული ცოდნის განვითარებას უწყურადღებოდ ტოვებდა, ამ კლასიფიკაციას საეჭვოდ ხდის.

მსჯელობათა სახეების შესწავლამ აღმოაჩინა, რომ ეს კლასიფიკა-

ცია ვერ ითვალისწინებს მსჯელობათა მრავალ ფორმას; ამიტომ მას ხშირად უზღდება ზოგიერთი სრულიად განსხვავებული სტრუქტურის მსჯელობების შეტანა მის მერ დადგენილ მსჯელობათა ოთხ კლასში; მსჯელობის ზოგიერთ სახეს ის მცდარ ინტერპრეტაციას აძლევს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვაღიარებთ, რომ ტრადიციული კლასიფიკაცია ითვალისწინებს მსჯელობათა ყველა სახეს, აძლევს მათ სწორ ინტერპრეტაციას — ამასაც თუ დავუშვებთ, რაც მართებული არ იქნება — კლასიფიკაცია მაინც არ იქნება მისაღები: ამ კლასიფიკაციაში გაყოფის საფუძველი არ არის მართებული. ამ კლასიფიკაციის მიხედვით მსჯელობათა ძირითადი სახეები ასეთი უნდა იყოს: კატეგორიული, პირობითი და გაყოფითი; რაც შეეხება დადებითს, უარყოფითს, ზოგადსა და კერძობით მსჯელობებს, ისინი დასახელებული სამი ტიპის მსჯელობების სახეებს უნდა წარმოადგენდნენ.

მეორე მხრივ, ეს კლასიფიკაცია უცნაურად არის აგებული: ის არ ყოფს მსჯელობებს მარტივზე და რთულზე. მსჯელობების გაყოფა მარტივზე და რთულზე, რაც ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იყო ცნობილი, განსაზღვრულია არა გრამატიკული თვალსაზრისით, — როგორც ეს სტოელებს ჰქონდათ, არამედ ლოგიკურით. უცნაურობა ამ კლასიფიკაციისა იმაში მდგომარეობს, რომ ის არ იზიარებს რა ამ გაყოფას, საბოლოოდ იძულებული ხდება შემოიტანოს გაყოფის ეს პრინციპი. დაიწყებს თუ არა პირობითი მსჯელობის განხილვას, ამ კლასიფიკაციის წარმომადგენელს ავიწყდება ადრევე მოცემული მოძღვრება მსჯელობის შემადგენელ ნაწილებზე — სუბიექტი, პრედიკატი, კომპულა — და იწყებს საუბარს რთული მსჯელობების შესახებ.

მაგრამ თუ არსებობს რთული მსჯელობები განსხვავებით მარტივისაგან, ცხადია, რომ კლასიფიკაცია პირველ რიგში ამ პრინციპს უნდა ეყრდნობოდეს.

2. მსჯელობათა გაყოფა რთულზე და მარტივზე. გარკვეული იყო, რომ მსჯელობები ასახავენ სინამდვილის კავშირებსა და მიმართებებს. ასახავს რა მსჯელობა კავშირებსა და მიმართებებს, ამით იგი ასახავს საგანთა და მოვლენათა არსებას, მათ ნიშნებსა და მდგომარეობას, მათ შორის არსებულ მრავალგვარ კავშირებს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ კავშირები და მიმართებები აისახება მსჯელობაში უსათუოდ სუბიექტისა და პრედიკატის კავშირის სახით. მაგალითად, მსჯელობაში „თუ კომუნისტური საზოგადოება იქნება იმპერიალისტური ქვეყნების გარემოცვაში, ამ საზოგადოებაში იარსებებს სახელმწიფო“ კავშირი კომუნისტურ საზოგადოებაში სახელმწიფოს არსებობასა და ამ საზოგადოების იმპერიალისტურ ქვეყნების გარემოცვაში არსებობის შესახებ გამოთქმულია არა სუბიექტისა და პრედიკატის

კავშირით, არამედ ორი მსჯელობის კავშირით, რომლებშიც ერთი მსჯელობა საფუძველია, ხოლო მეორე — შედეგი.

ამიტომ მსჯელობის შედეგნილობა ყოველთვის როდი დაიშლება სუბიექტისა და პრედიკატის ცნებებზე. მსჯელობის ელემენტები შეიძლება იყოს ცალკეული ცნებები (წარმოადგენები), მაგრამ შეიძლება იყოს მთლიანი მსჯელობებიც.

მსჯელობები, რომელთა შემადგენელი ელემენტები წარმოადგენენ სუბიექტისა და პრედიკატის ცნებებს, მარტივი მსჯელობებია. მსჯელობები, რომელთა შემადგენელი ელემენტები მსჯელობებია, რთულ მსჯელობებს წარმოადგენენ. მარტივი მსჯელობის მაგალითებია: 1) საბჭოთა კავშირში აშენებულია სოციალიზმი; 2) აშშ აგრესიული ქვეყანაა; 3) რკინა ლითონია; 4) ვეშაპი არ არის თევზი. რთული მსჯელობის მაგალითებია: 1) თუ სამყარო შეცნობადია, მაშინ საზოგადოებრივი ცხოვრებაც შეცნობადია; 2) თუ მოცემული გეომეტრიული ფიგურა მეორე რიგის მრუდია, მაშინ ის არის ან წრეხაზი, ან ელიფსი, ან პარაბოლა, ან ჰიპერბოლა.

რასაკვირველია, რთული მსჯელობის თვითეულ შემადგენელ მსჯელობაში არის სუბიექტიც და პრედიკატიც, მაგრამ ამ მსჯელობაში მთავარი არის არა მათი კავშირი, არამედ შემადგენელი მსჯელობების კავშირი.

მარტივი მსჯელობების კლასში არის მსჯელობის მხოლოდ ერთი ტიპი: ეს არის კატეგორიული მსჯელობა, რომელიც სუბიექტ-პრედიკატის კავშირს წარმოადგენს. თუ კატეგორიული მსჯელობის ცნებაში ვიგულისხმებთ ისეთი მსჯელობა, რომელშიც, როგორც ხშირად ამბობენ, პრედიკატი მიეწერება სუბიექტს ყოველი პირობის გარეშე, მაშინ კატეგორიული მსჯელობა შეიძლება რთული მსჯელობაც იყოს: მაგალითად, მსჯელობა „A მეტია B-ზე და C-ზე“ ნამდვილად ორი მსჯელობის შეერთებას წარმოადგენს: „A მეტია B-ზე“ და „A მეტია C-ზე“, ე. ი. რთული მსჯელობაა, მაგრამ A-ს ახასიათებს ერთი ნიშანიც და მეორეც ყოველი პირობის გარეშე, ე. ი. ამ აზრით ეს მსჯელობაც კატეგორიული ხასიათისაა. ამიტომ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ჩვენ განვიხილავთ მარტივ კატეგორიულ მსჯელობას.

3. მარტივი კატეგორიული მსჯელობა. მარტივი კატეგორიული მსჯელობა გამოხატავს აზრს საგნის არსების შესახებ, საგნის თვისობრივი გარკვეულობის შესახებ, საგნის თვისების, მდგომარეობის, საგანთა შორის კავშირის, საგნის ობიექტური არსებობის და სხვ. შესახებ. კატეგორიული მსჯელობის შედეგნილობა: სუბიექტის ცნება, პრედიკატის ცნება, კავშირი; მისი სქემა ასეთია: S—P.

A. მარტივი კატეგორიული მსჯელობის სახე-

ე ბ ი შ ი ნ ა ა რ ს ი ს შ ი ხ ე დ ვ ი თ . შ ი ნ ა ა რ ს ი ს მიხედვით ეს მსჯელობები გამოხატავენ აზრს 1) საგანთა არსებობის (არარსებობის) შესახებ, 2) საგნისა და თვისების კავშირის შესახებ. 3) საგანთა კლასის საგანთა მეორე კლასში შეტანის (გამორიცხვის) შესახებ, 4) საგანთა შორის მიმართების შესახებ.

ა. მსჯელობები საგანთა არსებობის შესახებ. ყოველი კატეგორიული მსჯელობა გამოთქვამს აზრს რაიმე საგნის შესახებ. მსჯელობა აზრია, ხოლო უსაგნო აზრი შეუძლებელია არსებობდეს. სულერთია, გამოვთქვამთ ჩვენ მსჯელობას „საბჭოთა კავშირში აშენებულია სოციალიზმი“ თუ „პეგასი ფრთოსანი ცხენია“, ორივე შემთხვევაში ჩვენ გამოვთქვამთ აზრს საგნის შესახებ, ერთ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის, მეორე შემთხვევაში პეგასის შესახებ. ადვილად შევამჩნევთ, რომ ამ საგნების არსებობის ხასიათი პრინციპულად განსხვავებულია ერთმანეთისაგან: პირველ შემთხვევაში საქმე ეხება საგნის ობიექტურ არსებობას, მეორე შემთხვევაში — ანტიკური მითოლოგიის ფანტასტიურ არსებას. ჭეშმარიტებისა და მცდარობის ნიშანი ახასიათებს ორივე მსჯელობას. პირველი მსჯელობის ჭეშმარიტება გასაგებია; მეორე მსჯელობის ჭეშმარიტება მდგომარეობს არა იმაში, რომ პეგასი, როგორც ფრთოსანი ცხენი ობიექტურად არსებობს, არამედ იმაში, რომ იგი ადეკვატურად ასახავს იმ წარმოდგენას, რომელიც ძველ ბერძნებს ჰქონდათ. ამ თვალსაზრისით მსჯელობა „პეგასი რქოსანი ცხენია“, რასაკვირველია, მცდარია.

კატეგორიული მსჯელობა, რომელიც გამოხატავს საგანთა და მოვლენათა ობიექტურ არსებობას, წარმოადგენს მსჯელობას არსებობის შესახებ (ეგზისტენციალური მსჯელობა). არსებობის შესახებ მსჯელობაში დადასტურებულია (უარყოფილია) არა არსებობა საგნის რაიმე სახით, არამედ მხოლოდ ობიექტური არსებობა. მსჯელობებში „არ არსებობს მატერია მოძრაობის გარეშე“, „ღმერთი არ არსებობს“, „ატომები არსებობენ“, „არ არსებობენ შიშველი აზრები ბუნებითი მასალისაგან თავისუფალი“, გამოთქმულია აზრი საგანთა არსებობის ან არარსებობის შესახებ. კავშირი „არის“, „არ არის“, რომელიც ხშირად სხვა სიტყვით შეიძლება იყოს შეცვლილი ორმაგ როლს ასრულებს: ერთი მხრივ, ის კავშირის როლს ასრულებს, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობის აღმნიშვნელია.

შესაძლებელია ამ მსჯელობების ასეთი ინტერპრეტაცია: ამგვარ მსჯელობაში გამოთქმულია აზრი, რომ სუბიექტის ცნებაში მოაზრებული საგანი ეკუთვნის ობიექტურ სამყაროს, ე. ი. ეს არის მსჯელობა გარკვეულ საგანთა ობიექტურად არსებულ საგანთა კლასში შეტანის (გამორიცხვის) შესახებ.

ბ. მსჯელობები, რომლებიც გამოხატავენ საგ-

ნისა და მისი თვისების კავშირს. მსჯელობები, რომლებიც ასახავენ საგნისა და მისი თვისების კავშირს, იმდენად გავრცელებულია, რომ ზოგიერთი ლოგიკოსი მათ მსჯელობის ძირითად სახედ, მეტიც, მსჯელობის ერთადერთ სახედ თვლის. ასე, მაგალითად, ხშირად სახელმძღვანელოებში, სპეციალურ გამოკვლევებში მსჯელობის განსაზღვრებისას ამ ნიშანს მიუთითებენ: მსჯელობა არის აზრი, რომელიც ობიექტურ სინამდვილეს ასახავს; რაც იმაში გამოიხატება, რომ აღინიშნება საგნისადმი ნიშნის მიკუთვნება ან არმიკუთვნება.

მსჯელობებში „ეს ვარდი წითელია“, „ქინაქინა მწარეა“, „გეოგრაფიული გარემო არ არის საზოგადოების განვითარების გადაწყვეტი ძალა“, „სინამდვილის საგნები და მოვლენები ერთმანეთთან არის დაკავშირებული“ და სხვ. გამოთქმულია აზრი, რომ მოცემულ საგნებს ახასიათებს (არ ახასიათებს) ასეთი და ასეთი ნიშანი. მსჯელობებს საგნისა და თვისებების კავშირის შესახებ ატრიბუტული მსჯელობები ეწოდება. იმ თეორიას, რომელიც ყველა სახის მსჯელობას ატრიბუტულ სახეზე დაიყვანს, ატრიბუტული თეორია ეწოდება.

ატრიბუტული თეორია განსხვავებული ვარიანტებით არის წარმოდგენილი. უფრო ხშირად ეს თეორია გვხვდება იმ ლოგიკოსების ნააზრევში, რომელნიც „შინაარსის ლოგიკის“ თვალსაზრისზე დგანან. საქმე ის არის, რომ, როდესაც ლოგიკა განსაზღვრავს მსჯელობას როგორც ცნებათა კავშირს, მან უნდა დასვას საკითხი იმის შესახებ, თუ რით უკავშირდებიან მსჯელობაში ეს ცნებები, ანდა რა მხრით უკავშირდებიან ცნებები მსჯელობაში: მოცულობით თუ შინაარსით. ამ საკითხის გადაწყვეტა განსაზღვრულია იმით, თუ რა ითვლება ძირითადად, ცნების შინაარსი თუ მოცულობა. ამის მიხედვით შენდება ან „მოცულობის ლოგიკა“, ან „შინაარსის ლოგიკა“.

„შინაარსის ლოგიკაში“ ცნების შინაარსს თვლიან ძირითადად: ცნების შინაარსი განსაზღვრავს მის მოცულობას. ამის შესაბამისად აღიარებულია, რომ მსჯელობაში ცნებები დაკავშირებულია ერთმანეთთან ცნებების შინაარსით; ასევე უკავშირდებიან ცნებები ერთმანეთს დასკვნაში.

„მოცულობის ლოგიკაში“ ცნების მოცულობაა ძირითადი: ცნების მოცულობა განსაზღვრავს მის შინაარსს. ამიტომ მსჯელობაში და დასკვნაში ცნებები მოცულობის საშუალებით უკავშირდება ერთმანეთს.

მსჯელობის ატრიბუტული თეორია განვითარებულია „შინაარსის ლოგიკაში“. ამ თეორიის არსება, როგორც აღნიშნული იყო, მდგომარეობს იმაში, რომ მსჯელობა გაგებულია როგორც სუბიექტისა და პრედიკატის შინაარსების კავშირი.

1) სუბიექტისა და პრედიკატის შინაარსის სრულ იგივეობის თეორია. ეს თეორია ხშირად დაკავ-

შირებულია მოცულობათა იგივეობის თეორიასთან (ამაზე ქვემოთ). ლოგიკოსთა შორის, რომლებიც სუბიექტისა და პრედიკატის შინაარსის სრული იგივეობის თეორიას იცავენ, ცნობილია ს. ჯევონსი.

ამ თეორიის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ მსჯელობაში S და P იგივეობრივია შინაარსით; კავშირი „არის“ გამოხატავს ამ იგივეობას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თეორიის მომხრენი, კერძოდ ჯევონსი, ამ თვალსაზრისით განიხილავენ ნაბოლოდ ელემენტარულ მსჯელობებს, რაც შეეხება პირობისა და გაყოფით მსჯელობებს, ისინი ამ პრინციპს არ ექვემდებარებიან.

იგივეობა, რომელიც გამოხატულია მსჯელობაში სამგვარია: 1) მარტივი, 2) კერძო, 3) შემოფარგლული. მარტივი იგივეობის მაგალითები: „წყნარი ოკეანის ფერი = ატლანტიკური ოკეანის ფერი“, „იუპიტერი = ყველაზე დიდი პლანეტა“; ამ კლასს ეკუთვნის ყველა განსაზღვრებაც, მაგალითად, „სუფრის მარილი = ნატრიუმქლორი“. ამ სახის მსჯელობის ფორმულა ასეთია: $A = B$.

მსჯელობათა მეორე კლასი გამოხატავს კერძო იგივეობას. როდესაც ჩვენ გამოვთქვამთ მსჯელობას „ყველა ძუძუმწოვარი ხერხემლიანია“, ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ძუძუმწოვარი იგივეა, რაც ხერხემლიანი, არამედ იმის, რომ ძუძუმწოვარი არის ხერხემლიანთა კლასის ნაწილი. ძველი ლოგიკა, ფიქრობს ჯევონსი, განიხილავდა ამ მსჯელობას როგორც საგანთა ერთი კლასის შეტანას საგანთა მეორე კლასში. მაგრამ შეტანის მიმართება ეყრდნობა იგივეობის მიმართებას: ძუძუმწოვარი არ შევიდოდა ხერხემლიანთა კლასში, თუ პირველი არ იქნებოდა ხერხემლიანთა კლასის ნაწილის იგივეობრივი. ამიტომ ამ მსჯელობის აზრი ასეთი უნდა იყოს:

ძუძუმწოვარი = ხერხემლიანთა ნაწილი.

მაგრამ ამ ფორმულაში არა ჩანს რა ნაწილზეა აქ საუბარი. ნამდვილად ეს ნაწილი ის ნაწილია, რომელიც ძუძუმწოვართ წარმოადგენს, ე. ი. ამ ნაწილში ხერხემლიანთა ნებისმიერი ნაწილი კი არ იგულისხმება, არამედ გარკვეული ნაწილი — ძუძუმწოვარნი. ამიტომ მოცემული მსჯელობის ნამდვილი სახე ასე გამოითქმის:

ძუძუმწოვარი = ძუძუმწოვარი ხერხემლიანი.

მისი სქემა იქნება: $A = AB$. ჯევონსი თვითონ აღნიშნავს, რომ მსჯელობის ასეთი ინტერპრეტაცია რთული და ხელოვნურია, მაგრამ ის აადვილებს დასკვნის თეორიას.

მსჯელობათა მესამე კლასს წარმოადგენენ მსჯელობები, რომლებიც გამოხატავენ შემოფარგლულ იგივეობას. ფორმულა, რომელიც ამგვარ მსჯელობას გამოხატავს ასეთია: $AB = AC$. ეს ფორმულა გამოხატავს იმას, რომ B და C საერთოდ კი არ არის იგივეობრივი, არა-

მედ მხოლოდ A კლასის ფარგლებშია ასეთი. თუ A ასოთი აღენიშნავთ მყარ მდგომარეობას, B-თი ოქროს, C ასოთი ჰედადს, მაშინ მსჯელობა „ოქრო ჰედადია“ შემოფარგლულია A კლასით.

უარყოფითი ტერმინებისათვის შემოღებულია ასოები a, b, c და მათი საშუალებით გამოვხატავთ უარყოფით მსჯელობებს. მაგალითად, თუ A რკინაა და B სითხე, მაშინ მსჯელობა „რკინა არ არის სითხე“ გამოიხატება $A = \bar{A}b$, ე. ი. რკინა = რკინა არასითხე.

ჩვეონსი, მართალია, ხშირად ლაპარაკობს კლასებზე, მაგრამ ამისდა მიუხედავად მისი თეორია შინაარსის თეორიაა, რადგან მისი აზრით შინაარსი განსაზღვრავს მოცულობას. ამ დებულებას ის არ ასაბუთებს, მაგრამ გამოთქვამს აზრს: არის საფუძველი იმისათვის, რომ შინაარსი ჩაითვალოს ძირითადად და არსებითად.

ეს თეორია მიუღებელია მრავალი მოსაზრებით: 1) მსჯელობის ეს თეორია ითვალისწინებს მხოლოდ ე. წ. ელემენტარულ მსჯელობებს, რთული მსჯელობების მიმართ ეს თეორია გამოუსადეგარია. რთულ მსჯელობებს ჩვეონსი მხოლოდ აღწერს, მათ მიმართ თავის პრინციპს ის ვეღარ გამოიყენებს. თეორია, რომელიც მსჯელობათა ერთი კლასის ასახსნელად არის წამოყენებული, ხოლო დანარჩენი სახის მსჯელობებისათვის არ გამოდგება, შეუძლებელია მართებული იყოს; 2) ელემენტარული მსჯელობებისთვისაც ეს თეორია არ გამოდგება; ჩვეონსი თვითონ აღნიშნავს, რომ მსჯელობის ასეთი ინტერპრეტაცია — კერძოდ: $A = \bar{A}B$ — შესაძლებელია რთულად და ხელოვნურად მოეჩვენოს მკითხველს. მაგრამ ამ ხელოვნურობას ის ამართლებს იმ გარემოებით, თითქოს ის აადვილებდეს დასკვნის თეორიას. მაგრამ ხელოვნურობა უკვე მაჩვენებელია თეორიის ნაკლის, და ამით რამეს გამართლება შეუძლებელია; მით უმეტეს აღსანიშნავია ისიც, რომ ის გაადვილება, რომელსაც გულისხმობს ჩვეონსი, ძალიან სადავოა; სხვა არა იყოს რა, თვითონ ჩვეონსის სიტყვებით, არის მთელი კლასი დასკვნებისა, ე. წ. მიმართებათა შესახებ დასკვნებისა, რომელთა ახსნას ჩვეონსის პრინციპი არა თუ არ აადვილებს, არამედ მათ მიმართ სრულიადაც არ გამოდგება; 3) ეს თეორია მიუღებელია იმის გამოც, რომ ის ცდილობს მსჯელობათა მრავალი სახე ერთ სახემდე, ერთ ტიპამდე დაიყვანოს. რასაკვირველია, არსებობს ისეთი მსჯელობები, რომლებშიც სუბიექტის შინაარსი იგივეობრივია პრედიკატის შინაარსის, ე. ი. ნიშანთა ერთობლიობა, რომელიც მოიაზრება სუბიექტის ცნებაში, იგივეობრივია იმ ნიშანთა ერთობლიობის, რომელიც მოიაზრება პრედიკატის შინაარსში; მაგალითად, მსჯელობაში „კვადრატი არის ტოლგვერდიანი სწორკუთხედი“, სუბიექტისა და პრედიკატის შინაარსი იგივეობრივია. მაგრამ ამისთანა მსჯელობების არსებობა როდი ნიშნავს იმას, რომ ყველა მსჯელობა ასეთია. მსჯელობები არსებობის შესახებ,

საგანთა კლასის საგანთა კლასში შეტანის, ყოველნაირ მიმართებათა შესახებ მსჯელობები არ აიხსნება ჯევეონსის მიერ წამოყენებული პრინციპით; რასაკვირველია, იმ მჭიდრო კავშირის გამო, რომელიც არსებობს ცნების მოცულობასა და შინაარსს შორის, შესაძლებელი ხდება გარკვეული სახის მსჯელობა (და არა ყველა) ავხსნათ შინაარსების ან მოცულობათა მიმართების თვალსაზრისით, იმისდა მიხედვით, თუ რას ვაქცევთ ყურადღებას, რას ვადასტურებთ ან უარყოფთ, იმას, რომ საგანს ახასიათებს ნიშანი, თუ საგანი შედის საგანთა კლასში. მსჯელობა „ვეშაპი არ არის თევზი“ არაფერს გვეუბნება ჩვენ ვეშაპის ან თევზის ნიშნების შესახებ, არამედ იმას გვეუბნება, რომ ვეშაპები არ შედიან თევზთა კლასში; მართალია, ამ მსჯელობის გამოთქმის უფლებას ჩვენ გვაძლევს მათი ნიშნების ცოდნა, მაგრამ ეს ცოდნა სხვა მსჯელობაშია გამოხატული და არა მოცემულ მსჯელობაში; 4) სუბიექტისა და პრედიკატის შინაარსების სრული იგივეობის თეორია მიაწერს პრედიკატს მისთვის უჩვეულო ხასიათს, სახელდობრ სუბიექტის ხასიათს: $A = AB$ და შეუძლებელი ხდება სუბიექტის ცნების განსხვავება პრედიკატის ცნებისაგან; 5) ამ თეორიის ხელოვნურობა და ამიტომ მცდარობა უფრო ნათელი ხდება, როდესაც საკითხი ისმება მსჯელობებზე, რომლებიც უტოლობას ასახავენ. თუ მსჯელობა ყოველთვის იგივეობას გამოხატავს, მაშინ უტოლობა როგორ გამოვხატოთ მსჯელობით? ჯევეონსი უტოლობას ხელოვნურად ტოლობაზე დაიყვანს; ვთქვათ, გვაქვს მსჯელობები „ $A > B$ “ „ $A < B$ “, „პეტრე პავლეზე მაღალია“; ცხადია, რომ ამ მსჯელობებს ვერ გამოვხატავთ ჯევეონსის ფორმულებით. მსჯელობა „ $A > B$ “ შეიძლება გამოვხატოთ ტოლობის ფორმაში: $A = B + p$, სადაც p A და B -ს სხვაობის ტოლია. უფრო ხელოვნური იქნება ტოლობის ფორმაში გამოხატული მსჯელობა „ $A \neq B$ “; ეს მსჯელობა ალბათ ასე უნდა გამოვხატოთ: $A = B \pm p$. ასეთი ინტერპრეტაცია ჯერ ერთი ართულებს მსჯელობის სტრუქტურას, და, რაც მთავარია, მეორე: მსჯელობის აზრს არ გამოავლენს.

ჯევეონსის დაპირების საწინააღმდეგოდ მსჯელობის ასეთი გაგება კი არ გააადვილებს დასკვნის თეორიას, არამედ გაცილებით გაართულებს.

გარდა ზემონათქვამისა, ძირითადი ნაკლი ამ თეორიისა მთლიანად იმაში მდგომარეობს, რომ ის განიხილავს მსჯელობას, როგორც ცნებათა კავშირს: ეს კავშირი იგივეობაში გამოიხატება; ძირითადი მომენტი, რომელიც მსჯელობას უნდა ახასიათებდეს, მის არსებას გამოხატავდეს, სახელდობრ, რომ მსჯელობა არის აზრი სინამდვილის ამსახველი, ამ თეორიას სრულიად არ აინტერესებს.

2) სუბიექტისა და პრედიკატის ნაწილობრივი

ი გ ი ვ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა . შინაარსის თეორიის ერთ-ერთ სახეს შეიძლება ეს სახელი ვუწოდოთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს თეორია — წინათ განხილული თეორიის მსგავსად — ეხება მხოლოდ მარტივ (ელემენტარულ) მსჯელობებს; რთული მსჯელობების მიმართ ეს თეორია არ გამოდგება.

ამ თეორიის არსება შემდეგშია: სუბიექტი არის ის, რის შესახებ გამოითქმება პრედიკატი. აქედან გამომდინარეობს ის, რომ სუბიექტის შინაარსი განსაზღვრავს ყველა იმ ნიშანს, რომელიც შეიძლება გამოითქვას სუბიექტზე, ის განსაზღვრავს ყველა იმ გარკვეულობას, რომლითაც სუბიექტის პრედიცირება შეიძლება.

სუბიექტი განმსაზღვრელია, პრედიკატი განსაზღვრული; სუბიექტის შინაარსი გარკვეულობათა ერთობლიობაა, პრედიკატი როგორც გარკვეულობა სუბიექტის შინაარსის ნაწილია. თუ სუბიექტის შინაარსი მარტივია (მასში ერთი ნიშანია), მაშინ S და P თანხვედრიან, მათ შორის სრული იგივეობაა. თუ პრედიკატი გამოხატავს სუბიექტის მთელ შინაარსს — როგორც ეს განსაზღვრებაში გვაქვს — ამ შემთხვევაშიც S და P იგივეობრივია. ამ საზღვრით მნიშვნელობათა გარდა მსჯელობის წევრების მიმართება არასრულ იგივეობას წარმოადგენს: ლოგიკური მიმართება S-სა და P-ს შორის არის P-სი S-ში „შეტანის“ (Einordnung) მიმართება.

რასაკვირველია, არსებობენ ისეთი მსჯელობები; რომელთა შესახებ საუბარია ამ თეორიაში: მსჯელობები, რომლებიც ასახავენ საგნისა და მისი ნიშნის კავშირს, სწორედ ამ სახისაა. ამ აზრს გამოხატავს ეს თეორია: ნიშანი, როგორც ცნების შინაარსის ნაწილი, მიეწერება ცნებას, როგორც პრედიკატი სუბიექტს. ეს თეორია არის ატრიბუტული თეორია ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. მსჯელობაში, „ადამიანი გონიერია“, გონიერების ნიშანი ერთ-ერთი ნიშანია, რომელიც ადამიანის ცნებაშია ნაგულისხმევი და P იგივეობრივია S-ის ნიშანთა ნაწილთან.

ეს თეორია ვერ ახსნის მსჯელობათა განსხვავებულ სახეთა სტრუქტურას. ამ თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ბ. ერდმანი, თვითონ აღნიშნავს, რომ აღნიშნული პრინციპი მხოლოდ მარტივი მსჯელობებისათვის არის დამახასიათებელი.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს პრინციპი მარტივი მსჯელობებისათვისაც არ არის საკმარისი. მრავალნაირი კავშირები, რომლებიც მსჯელობებში გამოიხატება ხელოვნურად დაყვანილია ერთი სახის კავშირზე, სახელდობრ, მთელისა და ნაწილის კავშირზე. მსჯელობაში „ელვა ქუხილის მიზეზია“ ელვის ცნების შინაარსში სრულიადაც არ იგულისხმება ქუხილის ან ქუხილის მიზეზის ნიშანი და, პირიქით, ქუხილის ან ქუხილის მიზეზის ცნება სრულიადაც არ არის ელვის ცნე-

ბის შინაარსის ნაწილი. საერთოდ, მსჯელობები, რომლებიც გამოხატავენ მიზეზობრივ, დროულ, ვრცელ კავშირებს საგანთა შორის, ტოლობის, ნათესაობის და სხვ. მიმართებანი არ აიხსნება ამ თეორიით.

აქაც, როგორც ზემოთ განხილულ თეორიაში, არ არის დასმული საკითხი იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაშია მსჯელობა სინამდვილესთან. ამ თეორიების წარმომადგენელნი დაინტერესებულნი არიან მხოლოდ ერთი პრობლემით: როგორია ცნებათა დამოკიდებულება მსჯელობაში. მსჯელობა სინამდვილის შემეცნების ძირითადი იარაღია: მსჯელობა აზრია სინამდვილის ამსახველი; ჭეშმარიტებისა და მცდარობის ნიშანი აუცილებლად ახასიათებს ყოველ მსჯელობას; ამიტომ ძირითადი საკითხი, რომელიც მსჯელობის თეორიამ უნდა გადაწყვიტოს, არის საკითხი იმის შესახებ, თუ რას და როგორ ასახავს მსჯელობა.

3) ატრიბუტული თეორიის მატერიალისტური ინტერპრეტაცია. მსჯელობის ზოგადი განსაზღვრება როგორც აზრის, რომელიც გამოხატავს საგნისა და მისი თვისების კავშირს, ჯერ არაფერს ამბობს არც მატერიალიზმისა და არც იდეალიზმის სასარგებლოდ. მთავარი აქ ის არის, თუ როგორ გვესმის საგანი და მისი თვისება. მილი, მაგალითად, ყოველთვის ხაზს უსვამდა იმას, რომ მსჯელობა გამოხატავს არა ცნებათა კავშირს, არამედ საგანთა კავშირს, რომ მსჯელობაში „ოქრო ყვითელია“ გამოთქმულია აზრი არა ოქროს ცნებაზე, არამედ თვით საგანზე, ოქროზე, სახელდობრ, გამოთქმულია აზრი, რომ ოქრო (და არა მისი ცნება) არის ყვითელი. ამისდა მიუხედავად, ცნობილია, რომ მილი იზიარებდა სუბიექტურ-იდეალისტურ თვალსაზრისს და საგანი შეგრძნებათა შესაძლებლობად მიაჩნდა.

შესაძლებელია მატერიალისტური ინტერპრეტაცია ატრიბუტული თეორიისაც. ამ შემთხვევაში მსჯელობა განისაზღვრება როგორც საგნისა და მისი თვისების კავშირის ასახვა. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამგვარი მსჯელობები არსებობენ. მაგრამ ატრიბუტული თეორია მხოლოდ მათ არსებობას კი არ აღიარებს, არამედ მათ მსჯელობის ერთადერთ სახედ თვლის.

მსჯელობის თეორიამ უნდა ახსნას მსჯელობის ყველა სახე. მსჯელობის ატრიბუტული თეორია შესაძლებელია მართებულად მოგვეჩვენოს, თუ საკითხი მარტივ მსჯელობებს ეხება. საკმარისია გავიხსენოთ რთული მსჯელობების არსებობა, ეს თეორია მაშინვე საეჭვო ხდება: გავიხსენებთ თუ არა პირობითი მსჯელობის არსებობას — თუ A არის B, მაშინ C არის D — ატრიბუტულ თეორიას საფუძველი ეცლება. ყოველად შეუძლებელია ამ მსჯელობაში საგნისა და მისი თვისების ასახვის დანახვა. ამ მსჯელობას რომ ასეთი სახე მიეცეთ „თუ

A-ს ახასიათებს ნიშანი B, მაშინ C-ს ახასიათებს ნიშანი D“, ეს მაინც ვერ უშველის ატრიბუტულ თეორიას: მთავარი ამ მსჯელობაში საგნისადმი ნიშნის მიკუთვნება კი არ არის, არამედ საფუძვლისა და შედეგის კავშირი.

მაგრამ საინტერესო ის არის, რომ მარტივი მსჯელობის მრავალი სახეც არ აიხსნება ამ თეორიით. მსჯელობის ყველა სახის ატრიბუტული ინტერპრეტაციის ცდა ნიშნავს მიმართებათა და კავშირთა ყველა სახის ერთი სახის მიმართებაზე — ატრიბუტულ მიმართებაზე — დაყვანას. ის ტერმინი, რომელიც აქ გამოყენებულია, სახელდობრ, „ნიშანი“ (ან თვისება) — მსჯელობა არის აზრი, რომელიც ადასტურებს (უარყოფს) ნიშნის მიკუთვნებას საგნისადმი, ყოველივე შინაარსს კარგავს, ის მეტისმეტად ფორმალურია, რომ შეძლოს რაიმე შინაარსი გამოხატოს. საინტერესო ის არის, რომ მსჯელობის ასეთ გაგებაში ნათლად თუ ფარულად ისევ კავშირი, მიმართება არის ნაგულისხმევი, სახელდობრ, საგნისა და თვისების, ნიშნის კავშირი. რამდენიც უნდა ვეცადოთ, რათა განვდევენოთ კავშირის, მიმართების ცნება მსჯელობის განსაზღვრებიდან და შევეცვალოთ ის ნიშნის ცნებით, კავშირის, მიმართების ცნება მაინც თავს იჩენს, რადგან ამ მომენტის გარეშე მსჯელობის არსება სრულიად გაუგებარი იქნება¹.

ძველი, ტრადიციული ლოგიკის ფარგლებშიც რომ დავრჩეთ, რომელიც მხოლოდ მოცულობათა და შინაარსების მიმართებას იცნობს, იქაც ვერ გავატარებთ ბოლომდე ატრიბუტული თეორიის პრინციპს.

ხშირად მსჯელობაში გამოთქმულია აზრი საგანთა ერთი კლასის საგანთა მეორე კლასში შეტანის შესახებ — ან ცნებათა მოცულობის ტერმინებში: ერთი ცნების მოცულობის მეორე ცნების მოცულობაში — მაგალითად, „ვეშაპი ძუძუმწოვარაა“, „ბულგარეთი სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკაა“, „ურანი რადიაქტიური ელემენტი“ და სხვ. — ატრიბუტული თეორიის მიხედვით ამ მსჯელობასაც ატრიბუტული ხასიათი აქვს: მოცემულ საგანს, — ჩვენ მაგალითში „ვეშაპი“, „ურანი“, „ბულგარეთი“ — ახასიათებს ნიშანთა ერთობლიობა, რომელიც საერთოა საგანთა გარკვეული კლასის ნიშნებთან—ჩვენ მაგალითში ძუძუმწოვრის, რადიაქტიური ელემენტების და სხვ. კლასის.

რასაკვირველია, შემეცნების პროცესში ჩვენ უნდა შევიცნოთ

¹ ტვანეცი, რომელიც ატრიბუტულ თეორიას იცავს, წერს თავის გამოკლევაში «О видах суждения»: «Таким образом, деление суждений на утвердительные и отрицательные есть деление... по характеру выражаемой связи между предметами и их признаками. Имеющиеся в каждом суждении отношения между субъектом и предикатом по их объему являются следствием выраженного в связке суждения знания об отношении между предметами и их признаками».

შოცემული საგნის ნიშნები, უნდა შევიცნოთ იმ საგნების ნიშნები, რომლებიც შეადგენენ მოცემულ კლასს, უნდა შევიცნოთ, რომ ამ საგნის გარკვეული ნიშნები იგივეობრივია საგანთა მოცემული კლასის ნიშნების და მხოლოდ ამის ნიადაგზე შეგვიძლია შევიტანოთ საგანი საგანთა კლასში. ე. ი. იმისათვის, რომ, მაგალითად, ვეშაპი შევიტანოთ ძუძუმწოვართა კლასში, უნდა ვიცოდეთ ვეშაპის გარკვეული ნიშნები, ძუძუმწოვართა ნიშნები და მათი გარკვეული ნიშნების იგივეობა.

ასეთი მსჯელობა, ცხადია, მართებულია, მაგრამ ის როდი წყვეტს დასმულ საკითხს. ის გარემოება, რომ საგანი შეგვაქვს საგანთა კლასში ნიშნების ცოდნის საფუძველზე, არ უარყოფს ისეთი სახის მსჯელობების არსებობას, რომლებიც გამოხატავენ საგნის ან საგანთა კლასის საგანთა მეორე კლასში შეტანას. ერთია, რის საფუძველზე ვაკეთებთ ჩვენ ამას, და მეორეა, რას ვაკეთებთ. ჩვენ შეგვაქვს საგანი საგანთა კლასში მათი ნიშნების ცოდნის საფუძველზე, მაგრამ ამ სახის მსჯელობაში ჩვენ გამოვთქვამთ აზრს საგნის საგანთა კლასში შეტანის შესახებ და არა საგნისადმი ნიშნის მიკუთვნების შესახებ.

ატრიბუტული თეორია შეცდომას აკეთებს: იმის მაგიერ, რომ გამოარკვიოს მსჯელობის ნორმალური შინაარსი, ე. ი. ის, რას გამოთქვამს მსჯელობა, ამ თეორიის მომხრე სვამს საკითხს: რატომ, რის საფუძველზე გამოვთქვამთ ამ მსჯელობას და, უპასუხებს რა, რომ ამგვარი მსჯელობის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს საგნის ნიშნების შემეცნება, ვერ ამჩნევს იმას, თუ რა არის გამოთქმული ამ მსჯელობაში.

შინაარსისა და მოცულობის კავშირი ძალიან მკიდროა. ამიტომ შეიძლება ერთი და იმავე მსჯელობის ორნაირი ინტერპრეტაცია. მსჯელობაში „ბულგარეთი სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკაა“ ჩვენ აღვნიშნავთ, იმას, რომ ბულგარეთს ახასიათებს რიგი ნიშნები, რომლებიც მას სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად ქმნის; მაგრამ, როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ დემოკრატიული ქვეყნების ერთიან ფრონტზე და გამოვთქვამთ ზემომოყვანილ მსჯელობას, ჩვენ ვადასტურებთ იმას, რომ ბულგარეთი შედის ამ ფრონტში.

მეცნიერებაშიც, პრაქტიკულ ცხოვრებაშიც ჩვენ ხშირად გამოვთქვამთ მსჯელობებს, რომლებიც ასახავენ საგანთა კლასის საგანთა მეორე კლასში შეტანას. ამ სახის მსჯელობებს აქვთ უფლება არსებობაზე, იმისდა მიუხედავად, რომ მისი გამოთქმისათვის ჩვენ უნდა გვქონდეს წინასწარი ცოდნა საგნების ნიშნების შესახებ.

ატრიბუტული თეორიის ნაკლი უფრო ნათელი ხდება, თუ ჩვენ განვიხილავთ მსჯელობებს, რომლებიც ასახავენ საგანთა შორის მი-

მართებას, სულ ერთია, იქნება ეს მიმართება დროის, სივრცის, ტოლობის, ნათესაობისა და სხვ. განვიხილოთ მსჯელობა $A > B$; ამ მსჯელობაშიც, თურმე, ასახულია საგნისა და მისი ნიშნის კავშირი. აქაც, თურმე, ჩვენ A -ს ნიშანზე ვმსჯელობთ, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს A -ს სიდიდის (A -ს ნიშანი) შესახებ მის B -სთან შედარების საშუალებით. ატრიბუტული თეორიის მომხრენი ვეღარ უარყოფენ იმას, რომ ამ მსჯელობაში საგანთა მიმართებაზეა საუბარი: აქ არის აზრი გამოთქმული A -სა და B -ს მიმართების შესახებ, მაგრამ თურმე მთავარი მაინც საგნისა და მისი ნიშნის კავშირია.

მსჯელობაში „ A მეტია B -ზე“ ჩვენ, რასაკვირველია, გამოვთქვამთ აზრს A -ს სიდიდის შესახებ, მაგრამ გამოვხატავთ მას B -სთან მიმართებაში: „ B -ზე მეტი“ არ არის რალაც აბსოლუტური და A მისი სხვათა მიმართების გარეშე, არც დიდი იქნებოდა, არც მცირე და არც ტოლი: უაზროა მსჯელობა დიდზე, მცირეზე მიმართების გარეშე. საგანი რაოდენობრივად გარკვეულია და ამიტომ ის ერთის მიმართ დიდია და მეორის მიმართ მცირე. ნიშანი „მეტი“ („ A მეტია“) არ არსებობს თავისთავად, ის არსებობს მხოლოდ მიმართებაში და მიმართების გარეშე საგანს არა აქვს ეს ნიშანი. ავიღოთ მსჯელობა „ A არის B -ს მარცხნივ“. რომ A არსებობს და რომ ის თვისებრივად გარკვეულია — ეს ექვს გარეშეა, მაგრამ ნიშანი „მარცხნივ ყოფნა“ A -ს თავისთავად კი არ ახასიათებს, არამედ B -სთან მიმართებაში; ხოლო C -სთან მიმართებაში მას შეიძლება სწინააღმდეგო ნიშანი ახასიათებდეს.

ყოველი ქეშმარიტი მსჯელობა გვაძლევს ჩვენ ცოდნას საგნის შესახებ. თუ ყოველგვარ ცოდნას საგნის შესახებ ჩვენ ვუწოდებთ თვისების, ნიშნის შესახებ ცოდნას, მაშინ ცოდნას არსებაზე, კანონზომიერებაზე, თვისობრივ გარკვეულობაზე, საგანთაშორის მიმართებაზე, კავშირებზე ასევე უნდა ვუწოდოთ. მაგრამ მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში „თვისების“ ცნებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს: თვისება არის თვისებრიობის გამოვლენა საგნის სხვა საგანთან მიმართებაში. შეუძლებელია ყველაფერს ჩვენ თვისება ვუწოდოთ. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ მსჯელობის არსების გარკვევამ უნდა მოგვეცეს პასუხი იმის შესახებ, თუ რას და როგორ ასახავს მსჯელობა. იქვე იყო გაცემული პასუხი: მსჯელობა ასახავს სინამდვილეს, მის საგნებსა და მოვლენებს მათი კავშირებისა და მიმართებათა ასახვის საშუალებით.

ც. მსჯელობები საგანთა ერთი კლასის საგანთა მეორე კლასში შეტანის შესახებ. კატეგორიულ მსჯელობების გარკვეულსა და თვისებურ სახეს შეადგენენ მსჯელობები, რომლებიც ასახავენ საგანთა ერთი კლასის საგანთა მეორე კლას-

ში შეტანას (გამორიცხვას), მსჯელობა „ვარდი ყვავილია“ ან „ვეშაპი არ არის თევზი“ ასახავს. საგანთა კლასებს შორის კავშირს: პირველ მსჯელობაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ პირველი კლასის საგნები (ვარდები) შეტანილია მეორე კლასში (ყვავილთა კლასში), ხოლო მეორეში კი ის აზრია გამოთქმული, რომ ვეშაპები გამორიცხული არიან თევზთა კლასიდან.

უკვე აღნიშნული იყო, რომ საგანთა კლასის საგანთა მეორე კლასში შეტანა (გამორიცხვა) დამოკიდებულია საგანთა თვისებების ცოდნაზე: თვისებების ცოდნის საფუძველზე ჩვენ დაედგინეთ იმას, რომ საგანთა ერთი კლასი საგანთა მეორე კლასში შედის. ამ მსჯელობაში გამოთქმულია აზრი საგანთა კლასების დამოკიდებულების შესახებ. რაც შეეხება იმ გარემოებას, რატომ შედის საგანთა ერთი კლასი მეორეში ან რატომ გამოირიცხება, ეს სხვა მსჯელობაში არის გამოთქმული, სახელდობრ, მსჯელობაში საგნისა და მისი თვისების შესახებ.

აღნიშნული იყო ისიც, რომ ასეთი მსჯელობები ორნაირად შეიძლება გავიგოთ. მსჯელობა „ვარდი მცენარეა“ შეიძლება გავიგოთ როგორც მსჯელობა, რომელიც გამოხატავს აზრს, რომ ვარდს ახასიათებს მცენარის თვისებები; მაგრამ შეიძლება ისეც გავიგოთ, რომ ვარდი ეკუთვნის მცენარეთა კლასს. საქმე ის არის, თუ რა აზრს ვღებთ ამ მსჯელობაში, რისი თქმა გვინდა, იმისი, რომ ვარდს მცენარის თვისებები აქვს, თუ ის, რომ ვარდი მცენარეთა კლასში შედის. მრავალი მსჯელობა, რომლებიც კლასიფიკაციას გამოხატავს, მსჯელობები სიმრავლეთა შესახებ სწორედ კლასთა დამოკიდებულებას გამოხატავენ.

უნდა მივაცხოთ ყურადღება ერთ გარემოებას: მსჯელობები, რომლებიც ასახავენ საგანთა კლასების დამოკიდებულებას ან საგნისა და მისი თვისების კავშირს, ამავე დროს სინამდვილის ერთ დამახასიათებელ ნიშანსაც ასახავენ: ცალკე ულის, განსაკუთრებული სკავშირის ზოგადთან. მსჯელობა „ცუგა ძაღლია“, ანდა „ძაღლი ცხოველია“ გამოხატავს ცალკეულის (ცუგა) ან განსაკუთრებულის (ძაღლი) კავშირს, ზოგადთან (პირველ მსჯელობაში „ძაღლი“, მეორეში „ცხოველი“).

ტრადიციულ ლოგიკაში შეტანის (გამორიცხვის) მსჯელობები განიხილებოდა როგორც მსჯელობები, რომლებშიც სუბიექტისა და პრედიკატის მოცულობანი უკავშირდებოდა ერთმანეთს. თუ ცნების მოცულობა სწორად არის გაგებული, მსჯელობის ასეთი განხილვა, რასაკვირველია, შეცდომას არ შეიცავს. მცდარია თეორია, რომელსაც ყველა სახის მსჯელობა ერთ სახეზე დაყავს: „მოცულობის ლოგიკის“ წარმომადგენლნი სწორედ ამ თეორიას ავითარებენ. ეს თეორია

ორი ვარიანტით არის ცნობილი: 1) სუბსუმციის თეორია და 2) სუბიექტისა და პრედიკატის მოცულობათა სრული იგივეობის თეორია.


1. სუბსუმციის თეორია. სუბსუმციის თეორიის ძირითადი აზრი პირველად არისტოტელეს მიერ არის განვითარებული. მიუხედავად განსხვავებული ინტერპრეტაციისა, რომელსაც არისტოტელე აძლევს მსჯელობას, სილოგიზმის მისი თეორია სუბსუმციის პრინციპზეა ძირითადად აგებული. ანტიკური ქვეყნის ლოგიკოსების უმრავლესობა ამ თვალსაზრისს იზიარებს. ახალ დროშიც ამ თვალსაზრისს ბევრი მომხრე ჰყავდა. საინტერესოა ის გარემოება, რომ ის ლოგიკოსებიც, რომლებიც ამ თვალსაზრისს არ იზიარებენ, ხშირად ამ თეორიას მიმართავენ ლოგიკის ზოგიერთი ნაწილის — მაგალითად, სილოგიზმის თეორიის — ახსნა-განმარტებისას.

სუბსუმციის თეორიის მიხედვით სუბიექტის ცნება მსჯელობაში წარმოადგენს სახეს პრედიკატის ცნებასთან შედარებით; ამიტომ დადებითი მსჯელობის არსება მდგომარეობს იმაში, რომ სუბიექტის მოცულობა შედის პრედიკატის მოცულობაში. შესაბამისად, უარყოფით მსჯელობაში სუბიექტის მოცულობა გამორიცხულია პრედიკატის მოცულობიდან. დადებითი მსჯელობის ხასიათის მიხედვით ეს თეორია სუბსუმციის თეორიად იწოდება. კავშირის არსება მდგომარეობს ერთი ცნების (S) მოცულობის სუბსუმირებაში, შეტანაში მეორე ცნების (P) მოცულობაში.


მსჯელობაში „ძალდი ცხოველია“ სუბიექტის მოცულობა უფრო ვიწროა, ვიდრე პრედიკატის მოცულობა; პრედიკატი — ცხოველი — გვარია სუბიექტთან — ძალდი — შედარებით. ამ მსჯელობის არსება მდგომარეობს იმაში, რომ ძალდის ცნების მოცულობა შეტანილია ცხოველის ცნების მოცულობაში, რაც გამოიხატება კავშირით „არის“.

ამ თეორიის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მსჯელობების წრიულ სქემებში გამოხატვა. ზოგადდადებითი მსჯელობა ასე გამოიხატება:


ზოგადუარყოფითი:




ნახ. 10



ნახ. 11



ნახ. 12



ნახ. 13

სუბსუმციის თეორია ხედავს მსჯელობაში მხოლოდ ცნებათა შეერთებას ან გათიშვას: ცნებათა მოცულობების ერთმანეთში შეტანას ან გამორიცხვას. ამ თეორიის წარმომადგენელთ ყურადღება რომ მიექციათ იმისათვის, რომ მსჯელობაში ასახულია საგანთა კავშირები და მიმართებანი, ნათელი გახდებოდა ამ თეორიის მცდარობა.

სუბსუმციის თეორია მიუღებელია, იგი მცდარია. რასაკვირველია, არსებობენ მსჯელობები, რომლებშიც სუბიექტი დაკავშირებულია პრედიკატთან, როგორც სახე გვართან. მაგრამ მსჯელობის არსება ცნებათა კავშირში კი არ მდგომარეობს, არამედ საგანთა კავშირის ასახვაში. არსებობს მსჯელობის მრავალი სახე; ეს მსჯელობები ასახვენ მრავალნაირ კავშირს და არა მხოლოდ კლასთა შორის კავშირს და ისიც მხოლოდ სახისა და გვარის კავშირს. როგორ შეიძლება, მაგალითად, სახისა და გვარის დამოკიდებულების თვალსაზრისით ახსნათ ასეთი მსჯელობა: „საბჭოთა კავშირი რამდენიმე წლის განმავლობაში ფაქტიურად ერთი ებრძოდა ფაშისტურ გერმანიას და მის სატელიტებს“?

მსჯელობები „ $A=B$ “, „პეტრე პავლეს მამაა“, სრულიად აუხსნელი რჩება სუბსუმციის თეორიის თვალსაზრისით. ხომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ A -ს მოცულობა შედის B -ს მოცულობაში როგორც სახე გვარში, ან პეტრე შედის „პავლეს მამების“ კლასში.

სუბსუმციის თეორია მისაღები იყო არისტოტელესათვის, რამდენადაც მას მიზნად ჰქონდა კატეგორიული სილოგიზმის თეორიის აგება. ამ მიზნისათვის მას საკმარისად მიაჩნდა მსჯელობის ასეთი გაგება. მაგრამ მსჯელობის არსების დეტალურმა შესწავლამ ერთი მხრივ, და დასკვნის მრავალნაირი ფორმის აღმოჩენამ მეორე მხრივ, აიძულა მრავალი ლოგიკოსი გაერღვია სუბსუმციის ვიწრო ჩარჩოები და აეშენებია მსჯელობების ახალი თეორია და ახალი კლასიფიკაცია.

სხვა არა იყოს რა, სუბსუმციის თეორია ვერ ახსნის რთული მსჯელობების სტრუქტურას. დაბოლოს, ეს თეორია იმაშიც ცდება, რომ

ცნებაში განმსაზღვრელ მხარედ ცნების მოცულობას თვლის. ამრიგად, სუბსუმციის თეორიას არ ესმის კავშირის (კოპულას) მრავალნაირი მნიშვნელობა. ამ თეორიის შეცდომა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ის გარკვეული ტიპის მსჯელობების არსებობას აღიარებს, არამედ იმაში, რომ ის 1) მხოლოდ ამ ტიპის მსჯელობების არსებობას აღიარებს და სხვა სახის მსჯელობებს ვერ ხედავს; 2) არ სვამს მსჯელობის დამოკიდებულების საკითხს სინამდვილესთან და მსჯელობაში ცნებების მოცულობათა კავშირს ხედავს.

2. მოცულობათა იგივეობის თეორია. მოცულობათა იგივეობის თეორიის მიხედვით ყოველი მსჯელობის სუბიექტსა და პრედიკატს ერთნაირი მოცულობა აქვს და ამ იგივეობის გამო შეიძლება მათი მსჯელობაში შეერთება. ეს ეხება, რასაკვირველია, მხოლოდ დადებით მსჯელობებს, უარყოფით მსჯელობებში ერთი ცნების მოცულობა გამორიცხავს მეორე ცნების მოცულობას. ახალი დროის ლოგიკოსებიდან ამ თვალსაზრისს იცავდნენ „პორ-როიალის“ ლოგიკოს ავტორები, ჰამილტონი და სხვ. პორ-როიალის ლოგიკაში დადებით მსჯელობა განსაზღვრულია როგორც სუბიექტისა და პრედიკატის მოცულობათა იგივეობა; კავშირი „არის“ სწორედ იგივეობის გამომხატველია.

ლოგიკამ, მსჯელობს ამ თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი (ჰამილტონი), ნათლად და გარკვეულად უნდა გამოთქვას აზრი, რომელიც მსჯელობაში იგულისხმება. სუბიექტს ჩვენ ყოველთვის მოვიზარებთ როგორც რაოდენობრივად გარკვეულს: მაგრამ განა მხოლოდ სუბიექტია რაოდენობრივად გარკვეული? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ამ თეორიის ავტორები სუბსუმციის პრინციპს გამოიყენებენ: მსჯელობაში სუბიექტისა და პრედიკატის კავშირი ნიშნავს სუბიექტის ცნების მოქცევას პრედიკატის ცნების ქვეშ. მსჯელობაში „ადამიანი ცხოველია“ ჩვენ ადამიანის ცნებას ცხოველის ცნების ქვეშ მოვაქცევთ, ე. ი. პირველის მოცულობა მეორის მოცულობაში შეგვაქვს. მაგრამ ჩვენ კარგად გვესმის, რომ ადამიანის ცნებას გარკვეული ადგილი უკავია ცხოველის ცნებაში. ერთი ცნება მეორეში რომ მოვიზაროთ, ამისათვის ჩვენ უხდა ვიცოდეთ, რა ადგილი უკავია პირველს მეორეში. ამიტომ ჩვენ ზუსტად უნდა მოვხაზოთ ის მოცულობა, რომელიც ერთ ცნებას უკავია მეორე ცნების მოცულობაში. ცხადია, რომ პრედიკატიც ყოველთვის უნდა მოიაზრებოდეს როგორც რაოდენობრივად გარკვეული: ის უნდა იყოს სუბიექტის მოცულობის ტოლი.

ცალკე აღებული ორი ცნების — ადამიანის და ცხოველის — მოცულობას თუ ავიღებთ, რასაკვირველია, მათი მოცულობანი განსხვავებული იქნება. მაგრამ მსჯელობაში ჩვენ მათ მოცულობათა იგივეობას კი არ ვამყარებთ, არამედ ადამიანის ცნების მოცულობის ცხო-

ველის ცნების მოცულობის ნაწილთან იგივეობას დაეადგენთ. ის გარემოება, რომ პრედიკატის რაოდენობრივი ნიშანი სიტყვიერად არ არის გამოხატული, არაფერს ნიშნავს. ხშირად სუბიექტის რაოდენობრივ დახასიათებასაც არ გამოვთქვამთ, მაგრამ ის ყოველთვის იგულისხმება. მსჯელობაში „ადამიანი ცხოველია“ ჩვენ ვგულისხმობთ ყველა ადამიანს იმისდა მიუხედავად, რომ სიტყვა „ყველა“ არ გვიხმარია. ასევე პრედიკატის მიმართაც: სიტყვა „ზოგიერთი“ არ გვიხმარია ამ მსჯელობაში, მაგრამ მას ნამდვილად ვგულისხმობთ პრედიკატთან. ჩვენ ხომ იმის თქმა არ გვინდა, რომ ყველა ადამიანი ყველა ცხოველია: ამ მსჯელობით ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ყველა ადამიანი ზოგიერთი ცხოველია.

ამიტომ მსჯელობა იგივეობაა, ცნებათა მოცულობების იდენტიფიკაციაა. ჩვენ ვახდენთ ამ შემთხვევაში პრედიკატის კვანტიფიკირებას. მსჯელობათა ტრადიციული გაყოფა ზოგადზე და კერძობითზე ამ თეორიას არ აკმაყოფილებს: პრედიკატის კვანტიფიკაცია საშუალებას გვაძლევს ამ მხრივ ოთხი სახის მსჯელობა დავადგინოთ.

და დ ე ბ ი თ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ე ბ ი

1. ზოგად-ზოგადი მსჯელობა: ყველა სამკუთხედი არის ყველა სამკვერდა გეომეტრიული ფიგურა.
2. ზოგად-კერძობითი მსჯელობა: ყველა სამკუთხედი არის ზოგიერთი გეომეტრიული ფიგურა.
3. კერძობით-ზოგადი მსჯელობა: ზოგიერთი გეომეტრიული ფიგურა არის ყველა სამკუთხედი.
4. კერძობით-კერძობითი მსჯელობა: ზოგიერთი სამკუთხედი არის ზოგიერთი ტოლკვერდა ფიგურა.

უ ა რ ყ ო ფ ი თ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ე ბ ი

1. ზოგად-ზოგადი მსჯელობა: არც ერთი სამკუთხედი არ არის არც ერთი კვადრეტი.
2. ზოგად-კერძობითი მსჯელობა: არც ერთი სამკუთხედი არ არის ზოგიერთი ტოლკვერდა ფიგურა.
3. კერძობით-ზოგადი მსჯელობა: ზოგიერთი ტოლკვერდა ფიგურა არ არის არც ერთი სამკუთხედი.
4. კერძობით-კერძობითი მსჯელობა: ზოგიერთი სამკუთხედი არ არის ზოგიერთი ტოლკვერდი ფიგურა.

ამრიგად, დადებით მსჯელობაში ჩვენ ვუტოლებთ სუბიექტის მოცულობას პრედიკატის მოცულობას, ხოლო უარყოფითში ვაღიარებთ, რომ მათი გატოლება შეუძლებელია.

ამ თეორიის მცდარობა ნათელი უნდა იყოს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს თეორია ისეა აგებული, თითქოს რთული მსჯელობები არ არსებობდეს. მაგრამ ეს თეორია მარტივი, კატეგორიული მსჯელობის აზრსაც ამახინჯებს: მსჯელობა „ეს ვარდი წითელია“ გამოთქვამს აზრს იმ კავშირის შესახებ, რომელიც არსებობს ვარდსა და მის თვისებას შორის; მისი ჰამილტონისეული ინტერპრეტაცია — „ეს ვარდი არის ზოგიერთი წითელი საგნებიდან“ ყოველივე აზრს მოკლებულია, რადგან ამ მსჯელობის გამოთქმისას, შესაძლებელია, არავითარი აზრიც არ გვექონდეს წითელ საგანთა კლასზე. ანდა მსჯელობა „პეტრე პავლეს მამაა“ ამ თეორიის მიხედვით უნდა ნიშნავდეს: პეტრეს უკავია პავლეს მამების მოცულობაში გარკვეული ადგილი.

მსჯელობის ასეთი გართულება არაფერს გვაძლევს, ის ამახინჯებს მსჯელობის ნორმალურ აზრს. გარდა ამისა, ეს თეორია ვერ აღწევს მიზანს, რომელიც მან დაისახა: პრედიკატი უნდა ზუსტად გარკვეული მოიაზრებოდეს. მაგრამ ზუსტად გარკვეულს პრედიკატის შესახებ ჩვენ ვერაფერს ვიტყვით: სუბიექტის მოცულობას უკავია პრედიკატის მოცულობაში გარკვეული ადგილი, ამტკიცებს ეს თეორია; მაგრამ რომელ გარკვეულ ადგილზეა აქ საუბარი? S-ს უკავია P-ს მოცულობაში რაღაც ადგილი და არა გარკვეული ადგილი. ამ შემთხვევაში ჩვეონსი მართალი იყო, როდესაც აღნიშნავდა ამ გარკვეული ადგილის სრულ გაურკვეველობას.

შემდეგ: ამ თეორიის მიხედვით სრულიად წაიშლება განსხვავება სუბიექტსა და პრედიკატს შორის: სუბიექტსა და პრედიკატს გარკვეული მნიშვნელობა აქვს და შეუძლებელია მათი ადგილების შეცვლა. პრედიკატის კვანტიფიკაციის თეორიამ გადააქცია მსჯელობა არა განტოლებად, როგორც ეს ამ თეორიის მომხრეებს ჰგონიათ, არამედ მარტივი იგივეობად.

ამ თეორიის საწინააღმდეგოდ ისიც ლაპარაკობს, რომ ის ცნების მოცულობას თვლის განმსაზღვრელად, ხოლო შინაარსს განსაზღვრელად, რაც უსათუოდ შეცდომას წარმოადგენს.

სხვათა შორის, აღსანიშნავია ისიც, რომ უარყოფითი მსჯელობების კლასიფიკაცია ამ თეორიის თვალსაზრისითაც მიუღებელია: ზოგადკერძობითი და კერძობით-კერძობითი მსჯელობები საერთოდ არ არსებობენ. განვიხილოთ ე. წ. ზოგად-კერძობითი მსჯელობა: „არც ერთი სამკუთხედი არ არის ზოგიერთი ტოლგვერდა ფიგურა“. იმისთვის, რომ გამოვრიცხოთ სამკუთხედები გარკვეულ ტოლგვერდა ფიგურებიდან, ეს უკანასკნელი უნდა იყოს აღებული მთელი მოცულობით. და თუ ასეა, მაშინ ე. წ. ზოგადკერძობითი მსჯელობა ჩვეულებრივ

ზოგადუარყოფითი მსჯელობის სახეს მიიღებს. იგივე უნდა ითქვას ე. წ. კერძობით-კერძობით უარყოფითი მსჯელობის შესახებ.

ეს თეორია, ისევე როგორც ზემოთ განხილული თეორიები, არა სვამს მსჯელობის სინამდვილესთან დამოკიდებულების საკითხს. ამ თეორიის მატერიალისტური ინტერპრეტაცია განსაზღვრულია და მცდარია: მრავალნაირი მიმართებანი, საგნისა და თვისების, დროული, ვრცეული, მიზეზობრივი, ტოლობისა და უტოლობის, ხარისხის და სხვ. არ შეიძლება საგანთა კლასების იგივეობაზე დავიყვანოთ.

ამრიგად, არსებობენ მსჯელობები, რომლებიც ასახავენ საგანთა ერთი კლასის შეტანას (გამორიცხვას) საგანთა მეორე კლასში, არსებობენ ისეთი მსჯელობებიც, რომლებიც ასახავენ საგანთა კლასების იგივეობას.

შეცდომა ამგვარი მსჯელობების აღიარებაში კი არ მდგომარეობს, არამედ მსჯელობათა მრავალგვარი სახის დაყვანაში ან ერთ, ან მეორე ტიპზე. სხვა არა იყოს რა, თვით პრინციპი, რომელსაც ეს თეორიები წამოაყენებენ — სუბსუმცია, იგივეობა — მხოლოდ დადებითი მსჯელობისათვის გამოდგება, უარყოფითი მსჯელობისათვის ეს პრინციპები სრულიად გაუგებარია.

საგანთა კლასის საგანთა კლასში შეტანის მსჯელობა ორი სახის შეიძლება იყოს. ეს სახეები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმით, თუ როგორ გვესმის კლასის ცნება. საგანთა კლასი არის მსგავსი საგნების სიმრავლე, რომელიც გაყოფითად მოიაზრება; ჩვეულებრივ საგანთა კლასი ასე მოიაზრება. მაგალითად, ასე მოიაზრება ძაღლთა კლასი, ადამიანთა კლასი, სამკუთხედების კლასი; ამ კლასის წევრებს ახასიათებს საერთო ნიშნები, შესაბამისად ცხოველობა, მოკვდავობა, გეომეტრიის ფიგურის ნიშნები. კლასი საგანთა სიმრავლეა, რომელსაც აერთიანებს ის ზოგადი, იგივეობრივი, არსებითი, რაც კლასის ყველა საგანს ახასიათებს და ამიტომ საგანთა სიმრავლის ერთ კლასში ეს გამერთიანებელი, ზოგადი ნიშანი შეიძლება გადატანილი იყოს კლასის ყველა წევრზე. მსჯელობაში „ცუგა ძაღლია“ ძაღლის ცნებაში მოიაზრება ძაღლთა კლასი, და ერთი მხრივ, დადგინდება „ცუგას“ შეტანა ამ კლასში, მეორე მხრივ, ცალკეულისა და ზოგადის ერთიანობა. ამიტომ გვაქვს უფლება, როგორც აღვნიშნეთ, გადავიტანოთ ზოგადის ნიშნები ცალკეულზე, ძაღლის ნიშნები ცუგაზე.

მაგრამ ხშირად კლასი მოიაზრება როგორც ერთი მთლიანი, მაგალითად „დივიზია“ „ტყე“, „ს. კ. კომუნისტური პარტია“. მსჯელობა, რომელშიც გამოთქმულია აზრი, რომ მოცემული საგანი შედის საგანთა კლასში, ხოლო ეს კლასი მოაზრებულია, როგორც ერთი საგანი, თავისებური ხასიათის მატარებელია: ამ შემთხვევაში კლასის ნიშნის გადატანა კლასის წევრზე შეუძლებელია. მსჯელობაში „ამა და ამ ქარ-

ხანამ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა“ არ იგულისხმება ის, რომ ამ ქარხნის ყველა მუშამ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა;

ამგვარ მსჯელობაში გამოთქმულია აზრი კლასის წევრობის შესახებ. უნდა განვასხვავოთ კლასის წევრობის მსჯელობა ჩვეულებრივი ტიპის მსჯელობისაგან, რომელიც გამოთქვამს აზრს საგანთა კლასის საგანთა კლასში შეტანის შესახებ.

d. მსჯელობები, რომლებიც ასახავენ საგანთა შორის მიმართებებს. თავისებური ხასიათისანი არიან მსჯელობები, რომლებიც ასახავენ საგანთა შორის მიმართებებს: დროულს, ვრცელს, მიზეზობრივს და სხვ. „ლენინგრადი მოსკოვის ჩრდილოეთითაა“, „არისტოტელე ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე იყო“, „ელვა ქუხილის მიზეზია“, „ $A=B$ “ და სხვ. ყველა ასეთი მსჯელობა გამოხატავს აზრს საგანთა შორის მიმართების შესახებ. ამ მსჯელობების სუბიექტი არის რაიმე საგნის ცნება (საგანი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს არა მხოლოდ ობიექტურად არსებული საგანი, არამედ სულიერი მოვლენაც, ფანტაზიის პროდუქტიც), პრედიკატი მეორე საგნისადმი მიმართების ცნება, კავშირი კი ამ მიმართების დადგენა, დასტური ან უარყოფა. მსჯელობაში „ $A=B$ “ A სუბიექტია, B-ს ტოლი პრედიკატია, კავშირი — „არის“ — ამ მიმართების დადგენა.

საგანთა შორის მიმართების გამომხატველი მსჯელობა განსხვავდება როგორც საგნისა და მისი თვისების ამსახველი მსჯელობისაგან, ისე საგანთა კლასის საგანთა კლასში შეტანის მსჯელობისაგან. ტრადიციული ლოგიკის ტერმინებით რომ ვილაპარაკოთ, პირველ შემთხვევაში მსჯელობაში ცნებები ერთმანეთს უკავშირდება შინაარსის მიხედვით, მეორე შემთხვევაში მოცულობის მიხედვით. პირველ შემთხვევაში სუბიექტში მოაზრებულია საგანი გარკვეული თვისების მხრივ, ხოლო პრედიკატი არკვევს ამ საგანს კიდევ ერთი ნიშნის მხრივ. ადამიანი, მაგალითად, მოაზრებულია გარკვეული ნიშნების საშუალებით და პრედიკატი კიდევ არკვევს ამ საგანს ახალი ნიშნით, ვთქვათ, მოკვდავობის ნიშნით. სუბიექტისა და პრედიკატის კავშირი ასახავს საგნისა და მისი თვისების კავშირს. საგანთა კლასის საგანთა კლასში შეტანის მსჯელობაში S-ის მოცულობა შედის P-ს მოცულობაში, რაც ასახავს საგანთა ერთი კლასის მეორე კლასში ყოფნას.

განვიხილოთ ახლა ასეთი მსჯელობა: „ელვა ქუხილის მიზეზია“. ელვის ცნების შინაარსში სრულიადაც არ შედის ნიშანი ქუხილის ანდა ქუხილის მიზეზის, ისევე როგორც ელვის ცნების მოცულობაში არ შედის ქუხილის ცნება. ამიტომ ელვისა და ქუხილის (ან ქუხილის მიზეზის) ცნებები არ არის დაკავშირებული მსჯელობაში არც შინაარსით და არც მოცულობით.

ჩვენ ვაზროვნებთ არა საგნებით, არამედ საგანთა ასახევებით, ამ

შემთხვევაში ცნებებით, მაგრამ ვაზროვნებთ საგნებზე. ცნებას ორა მხარე აქვს: შინაარსი და მოცულობა. შინაარსების მიმართება ასახავს საგნისა და მისი ნიშნების მიმართებას, მოცულობათა მიმართება საგანთა კლასების გარკვეულ მიმართებას. მსჯელობები, რომლებიც ასახავენ ერთი საგნის მეორე საგანთან მიმართებას, არ ასახავენ ამ მიმართებას არც შინაარსების კავშირით და არც მოცულობათა კავშირით. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მსჯელობები წაიყვანებოდნენ ან პირველ, ან მეორე სახის მსჯელობაზე.

ბ. მ ა რ ტ ი ვ ი კ ა ტ ე გ ო რ ი უ ლ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ბ ი თ ე ი ს ე ბ რ ი ო ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ . არისტოტელე განიხილავდა მსჯელობებს ჭეშმარიტების ცნებასთან დაკავშირებით. არისტოტელეს თვალსაზრისით ის მსჯელობაა ჭეშმარიტი, რომელიც აკავშირებს იმას, რაც სინამდვილეშია დაკავშირებული, და გათიშავს იმას, რაც სინამდვილეში გათიშულია. მცდარია ის მსჯელობა, რომელიც აკავშირებს იმას, რაც სინამდვილეში გათიშულია, და გათიშავს იმას, რაც სინამდვილეში დაკავშირებულია. მსჯელობის ასეთი გაგებიდან ისიც გამომდინარეობს, რომ არსებობს მსჯელობის ორი განსხვავებული სახე თვისებრიობის თვალსაზრისით. მსჯელობა, რომელიც ასახავს „საგანთა კავშირს“, დადებითია, ხოლო ის, რომელიც ასახავს „საგანთა გათიშვას“, უარყოფითი.

ყოველი კატეგორიული მსჯელობა ან დადებითია, ან უარყოფითი. კატეგორიულ მსჯელობაში დადასტურებულია ან უარყოფილია საგნის არსებობა, საგნის თვისება, მდგომარეობა, საგანთა კლასის საგანთა მეორე კლასში შეტანა, მრავალნაირი მიმართებანი საგანთა შორის.

ლოგიკის განვითარების პროცესში ლოგიკოსებმა თანდათან დააშორეს აზროვნების ფორმები სინამდვილეს, მსჯელობა გამოაცხადეს ცნებათა ისეთ კავშირად, რომელშიც ერთი ცნება გამოითქმება მეორე ცნების შესახებ. ამ თვალსაზრისის მცდარობა განხილულია ზემოთ: მსჯელობაში დადასტურებულია ან უარყოფილია არა ცნებათა კავშირები და მიმართებანი, არამედ საგანთა კავშირები და მიმართებანი.

თუ მსჯელობა ცნებათა გარკვეული შეერთება, სინთეზია, მაშინ თითქოს გაუგებარი უნდა იყოს უარყოფითი მსჯელობების არსებობა, ყოველ შემთხვევაში გაუგებარია უარყოფითი მსჯელობის ისეთივე პირვანდელი სახის მსჯელობად აღიარება, როგორც დადებითის.

და, მართლაც, ლოგიკოსთა ერთი ნაწილი, ზიგვარტის მეთაურობით, ცდილობს დაამტკიცოს დებულება, რომ უარყოფითი მსჯელობა არ არის დამოუკიდებელი და პირვანდელი სახის მსჯელობა. მსჯელობა ცნებათა სინთეზია, სინთეზი კი მხოლოდ დადებით მსჯელობაში არსებობს, უარყოფით მსჯელობაში სინთეზი არ შეიძლება არსებობდეს; კავშირი, რომელიც თიშავს, უაზრობაა. კავშირს გარკვეული აზრი აქვს:

ის გამოხატავს სუბიექტისა და პრედკატის დადებით დამოკიდებულებას, პრედკატის სუბიექტისადმი მიკუთვნებას.

ამიტომ მხოლოდ დადებითი მსჯელობა არის მსჯელობის პირვანდელი სახე. იბადება საკითხი, რას წარმოადგენს უარყოფითი მსჯელობა; ხომ არ შეიძლება მისი არსებობის უარყოფა, ჩვენ ხომ ვხმარობთ როგორც მეცნიერებაში, ისე პრაქტიკულ ცხოვრებაში უარყოფით მსჯელობებს. ზიგვარტი არც უარყოფს უარყოფითი მსჯელობების არსებობას; ის ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ უარყოფითი მსჯელობა მეორეობითი ხასიათის არის.

მარტივ დადებით მსჯელობაში, — ფიქრობს ზიგვარტი, — სამი ელემენტია: სუბიექტი, პრედკატი და მათი კავშირის შესახებ აზრი (სინთეზი). უარყოფით მსჯელობაში კი ამ სამ ელემენტს ემატება უარყოფა, რომელიც ამ სინთეზს ეწინააღმდეგება. ამ შემთხვევაში კავშირი (კოპულა) უარყოფის მატარებელი კი არ არის, არამედ უარყოფის ობიექტია. ამიტომ მსჯელობა „A არ არის B“ ნიშნავს: მცდარია, რომ A არის B. უარყოფითი მსჯელობა მიმართულია დადებითი მსჯელობის წინააღმდეგ, ის მსჯელობის შესახებ მსჯელობაა¹. უარყოფითი მსჯელობა არ არის ელემენტარული მსჯელობა; ის მსჯელობაა, რომლის სუბიექტი დადებითი მსჯელობაა, ხოლო პრედკატი გამოხატავს ამ მსჯელობის მცდარობის შესახებ აზრს².

ამაზე თვალსაზრისს იცავს თანამედროვე ფორმალისტური ლოგიკა: თუ მარტივ მსჯელობას აღვნიშნავთ P ასოთი, მაშინ უარყოფითი მსჯელობა არა-P უნდა გვესმოდეს, როგორც მსჯელობა მსჯელობაზე: „P მცდარია“, მაგალითად, თუ P გამოხატავს მსჯელობას „ეს ვარდი წითელია“, მაშინ უარყოფითი მსჯელობა არა-P გამოიხატება ასე: „მცდარია, რომ ეს ვარდი წითელია“.

აღსანიშნავია აქ ერთი გარემოება: მსჯელობის პროცესში, რაიმე დებულების დასაბუთების პროცესში არაფერი შეიცვლება, თუ ჩვენ მსჯელობას „A არ არის B“ შევცვლით მეორე მსჯელობით, სახელობრ, ასეთი მსჯელობით „მცდარია, რომ A არის B“. ჩვენი მსჯელობის, დასაბუთების რეზულტატი ამით არ შეიცვლება. მაგრამ საკითხი მხოლოდ ამით ხომ არ ამოიწურება. საკითხი დგას მსჯელობის არსების შესახებ, მსჯელობის სინამდვილესთან დამოკიდებულების შესახებ: არის თუ არა უარყოფითი მსჯელობა მსჯელობის შესახებ მსჯელობა, თუ ის საგანთა შესახებ მსჯელობაა. აღნიშნული თვალსაზრისის ფორმალისტური ხასიათი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას სრულიად არ აინტერესებს მსჯელობის სინამდვილესთან დამოკიდებულებ-

¹ ზიგვარტი, *Логика*, т. I, გვ. 135—9.

² Erdmann, *Logik*, I, გვ. 505.

ბის საკითხი, არამედ აინტერესებს მხოლოდ ის, შეიძლება თუ არა ერთი მსჯელობა შეეცვალოს მეორე მსჯელობით ისე, რომ დასაბუთება ამით არ დაირღვეს.

ამ თვალსაზრისის წარმომადგენლები ეძებენ ლოგიკის ისტორიაში ამ აზრის მომხრეებს და აღნიშნავენ, რომ ამ თვალსაზრისის იცავდნენ გეილინქსი, კანტი, ბახმანი, კრუგი. ამ ბანაკში ეს ლოგიკოსები არისტოტელესაც ათავსებენ.

არისტოტელეს ლოგიკა არ იყო ფორმალისტური; არისტოტელე მსჯელობას განიხილავდა სინამდვილესთან დაკავშირებით. უკვე ის განმარტება, რომელსაც არისტოტელე აძლევდა ჭეშმარიტების ცნებას, მაჩვენებელია იმის, რომ არისტოტელე ლოგიკოსების ამ ჩვეულისაგან პრინციპულად განსხვავებულ თვალსაზრისს იზიარებდა. თუ ჭეშმარიტი დადებითი მსჯელობა, — არისტოტელეს აზრით, — აკავშირებს იმას, რაც დაკავშირებულია თვითონ სინამდვილეში, **ჭეშმარიტი უარყოფითი მსჯელობა თიშავს იმას, რაც გათიშულია თვით სინამდვილეში**. ამიტომ უარყოფითი მსჯელობა სინამდვილის საგნებს ეხება და არა მსჯელობას და ისეთივე პირვანდელი ხასიათის არის, როგორც დადებითი.

გარდა ამისა, არისტოტელე მიუთითებს საგნის „ნაკლს“ როგორც უარყოფითი მსჯელობის ობიექტურ საფუძველს.

მიუხედავად იმისა, რომ ზიგვარტის მიერ განვითარებული თვალსაზრისი უარყოფითი მსჯელობების შესახებ უკანასკნელ დროს საკმაოდ გავრცელებულია, ის მცდარი და მიუღებელია. საქმე ის არის, რომ მსჯელობები სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს ასახავენ, ხოლო ეს საგნები და მოვლენები გარკვეულობით ხასიათდებიან. საგნები და მოვლენები თვისებრივად გარკვეულია; საგნის გარკვეულობა ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ საგანი ისეთია, როგორც ის არის, არამედ იმასაც, რომ ის სხვისაგან განსხვავებულია. ის გარემოება, რომ საგანი ასეთია, გამოიხატება დადებითი მსჯელობით, ხოლო ის, რომ ის სხვისაგან განსხვავებულია, გამოიხატება უარყოფითი მსჯელობით. „ყოველი კონკრეტული საგანი განსხვავებულ და ხშირად საწინააღმდეგო მიმართებაშია სხვასთან, ergo, არის ის, რაც არის, და სხვაც“¹.

დაბოლოს, საგანში ნიშნის არსებობა ან არარსებობა, საგანთა შორის გარკვეული მიმართების არსებობა ან არარსებობა სრულიად საკმაოდ საფუძველია იმისათვის, რომ ორივე ტიპის მსჯელობა — დადებითი და უარყოფითი — პირვანდელი და დამოუკიდებელი სახის მსჯელობად მივიჩნიოთ.

ამით, რასაკვირველია, არ არის უარყოფილი ის ფაქტი, რომ არსებობენ უარყოფითი მსჯელობები. მაგრამ არ უნდა აგვერიოს ერთმან-

¹ В. И. Ленин, Философские тетради, гл. 136.

ნეთში უარყოფითი და უარმყოფელი მსჯელობები. უარყოფით მსჯელობებს, ისევე როგორც დადებითს, საქმე აქვს სინამდვილის საგნებთან და მოვლენებთან; უარმყოფელ მსჯელობებს საქმე აქვს სხვა მსჯელობებთან, რომელთა აზრს უარყოფენ. უარმყოფელი მსჯელობა შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი.

ამასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ დადებითი და უარყოფითი მსჯელობების რელატივისტური ინტერპრეტაცია. ეს თვალსაზრისი, ლოსკის მიერ წამოყენებული, ზოგჯერ ჩვენს ლიტერატურაშიც გვხვდება¹. ამ თვალსაზრისის მიხედვით მსჯელობის დადებითი და უარყოფითი ხასიათი მსჯელობას თავისთავად კი არ ახასიათებს, არამედ სხვა მსჯელობებთან მიმართებაში. ერთი და იგივე მსჯელობა შეიძლება დადებითიც და უარყოფითიც აღმოჩნდეს იმის მიხედვით, თუ რა მსჯელობასთან მიმართებაში განვიხილავთ მას.

მსჯელობა „ივანოვს არა აქვს სიმწიფის ატესტატი“ თავისთავად აღებული უარყოფითია. თუ ეს მსჯელობა განვიხილეთ მეორე მსჯელობასთან მიმართებაში, მაგალითად, შემდეგ მსჯელობასთან „მხოლოდ იმათ, ვისაც აქვთ სიმწიფის ატესტატი, შეუძლიათ უნივერსიტეტში შესვლა“, აღმოჩნდება, რომ პირველი მსჯელობა უარყოფითია, რადგან ივანოვი არ შედის იმათ რიცხვში, რომლებიც ამ მსჯელობის სუბიექტშია ნაგულისხმევი. ხოლო, თუ იმავე მსჯელობას განვიხილავთ შემდეგ მსჯელობასთან მიმართებაში „იმათ, ვისაც არა აქვთ სიმწიფის ატესტატი, არა აქვთ უფლება უნივერსიტეტში შესვლის“, აღმოჩნდება, რომ ეს მსჯელობა დადებითია, რადგან ივანოვი სწორედ ისეთი პირია, რომელსაც მეორე მსჯელობის სუბიექტი გულისხმობს.

ამგვარი ინტერპრეტაციის უცნაურობა მაშინვე თვალში გვეცემა: მსჯელობის დადებითი და უარყოფითი ხასიათი ირკვევა იმით, შედის თუ არა ამ მსჯელობის სუბიექტი სხვა მსჯელობის სუბიექტის მოცულობაში. ეს თვალსაზრისი ურევს უარყოფითი მსჯელობის ცნებას უარმყოფელ მსჯელობის ცნებასთან.

აღნიშნული თვალსაზრისის დასაცავად ზოგიერთს ასეთი საბუთი მოყავს. ცნობილია, რომ ორი უარყოფითი მსჯელობიდან კატეგორიული სილოგიზმის წესების მიხედვით დანასკვი არ გამოიყვანება, ამიტომ ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ერთ-ერთი მსჯელობა დადებითი უნდა იყოს:

ვისაც არა აქვს სიმწიფის ატესტატი, ის უნივერსიტეტში ვერ შევა

ივანოვს არა აქვს სიმწიფის ატესტატი

ივანოვი ვერ შევა უნივერსიტეტში

¹ ასეთი თვალსაზრისი გატარებულია ასშუსის „ლოგიკაში“; ასეთივე აზრია გატარებული ჩემ ლოგიკაში 1946 წ. (ქართულ ენაზე).

თუ არ ვაღიარებთ მსჯელობის დადებითი და უარყოფითი ხასიათის რელატიუობას, თითქოს უნდა დავთანხმდეთ, რომ ორი უარყოფითი წანამძღვრიდან სწორი დანასკვი გამოვიყვანეთ. მაგრამ ეს დადგენილ წესებს არ ემორჩილება. სწორი დანასკვის მიღება აიხსნება თურმე იმ გარემოებით, რომ მეორე წანამძღვარი დადებითია პირველ წანამძღვართან მიმართებაში, რადგან ის პირველი წანამძღვრის შინაარსს ადასტურებს.

მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ აქ ჩვენ საქმე არა გვაქვს კატეგორიულ სილოგიზმთან, რადგან პირველი მსჯელობა თავისებური სახის გამოყოფითი მსჯელობაა და ამიტომ მოყვანილი საბუთი ყოველივე საფუძველს მოკლებულია. ერთხელ კიდევ ვიმეორებთ: მსჯელობის თვისებრიობა განისაზღვრება არა მსჯელობის მსჯელობისადმი მიმართებით, არამედ მსჯელობის სინამდვილესთან მიმართებით.

ც. მ ა რ ტ ი ვ ი კ ა ტ ე გ ო რ ი უ ლ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ე ბ ი რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ. ყოველ მარტივ კატეგორიულ მსჯელობაში ნიშანი, კავშირი, მიმართება შეიძლება იყოს დადასტურებული (უარყოფილი) საგანთა მთელი კლასის მიმართ ან კლასის ნაწილის, ანდა ერთი საგნის მიმართ. მსჯელობა „ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია“ ადასტურებს, რომ ლითონთა მთელ კლასს ახასიათებს ელექტრობის გამტარობა. მსჯელობაში „არც ერთი იმპერიალისტური სახელმწიფო არ არის მშვიდობის მომხრე“ უარყოფილია, რომ გარკვეული ნიშანი ახასიათებს იმპერიალისტურ ქვეყნებს. მსჯელობა. რომელშიც დადასტურებულია ან უარყოფილია რაიმე ნიშანი, კავშირი კლასის ყველა საგნის მიმართ ზოგადი მსჯელობაა.

მსჯელობაში „ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შენდება სოციალიზმი“ გამოთქმულია აზრი, რომ გარკვეული ნიშანი ახასიათებს კლასის ზოგიერთ საგანს. მსჯელობა, რომელშიც დადასტურებულია ან უარყოფილია ნიშანი, კავშირი, მიმართება კლასის საგანთა ნაწილის მიმართ, კერძობითი მსჯელობაა. მსჯელობაში „სუეოროვი დიდი სარდალია“ გამოთქმულია აზრი ერთი საგნის შესახებ, ისევე როგორც უარყოფით მსჯელობაში „პეტრე არ არის ფიზიკულტურელი“. ამგვარ მსჯელობებს ერთეული მსჯელობები ეწოდება.

განვიხილოთ ეს მსჯელობები დაწვრილებით.

ა) ზ ო გ ა დ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ე ბ ი. მივაქციოთ ყურადღება იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ზოგადი მსჯელობის ორ სახეს შორის. შევადაროთ მსჯელობები: 1) თბილისის უნივერსიტეტის პირველი კურსის ყველა სტუდენტი კომკავშირელია და 2) ყველა ადამიანი მოკვდავია. პირველ მსჯელობაში საგანთა კლასი, რომლის შესახებ გამოთქმულია აზრი, აღრიცხვადია; ამ მსჯელობის ქეშმარიტება დამოკიდებულია იმ ერთეული მსჯელობების ქეშმარიტებაზე, რომელთა ჯამს წარ-

მოადგენს ზოგადი მსჯელობა. ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ თეთრი ცალკე აღებული სტუდენტი კომკავშირელია და მხოლოდ ამის საფუძველზე გვაქვს უფლება გამოვთქვათ ზოგადი მსჯელობა. ასეთივე მსჯელობები: 1) გათხრების დროს აღმოჩენილი ყველა მონეტა რომელია, 2) № 11 ქარხნის ყველა მუშამ შეასრულა გეგმა, 3) კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის ყველა კანდიდატი არჩეულია ქალაქის საბჭოში.

მეორე მსჯელობაში, სახელდობრ, „ყველა ადამიანი მოკვდავია“ აზრი გამოთქმულია ყველა ადამიანზე, მაგრამ ყველა ადამიანი ცალ-ცალკე არ შეგვისწავლია. მსჯელობათა დიდი რაოდენობა და ამავე დროს შემეცნების თვალსაზრისით ყველაზე ღირებული ასეთი ხასიათისაა: სინამდვილის ყველა კანონი გამოთქმულია ასეთ ზოგად მსჯელობებში.

ნომინალისტური ლოგიკა ცდილობს დაამტკიცოს, რომ ყოველი ზოგადი მსჯელობა ერთეულ მსჯელობათა ჯამს წარმოადგენს. ასეთი იყო, მაგალითად, მილის შეხედულება, მისთვის ზოგადი ერთეულების ჯამია. ამიტომ ზოგადი მსჯელობაც — „ყველა ადამიანი მოკვდავია“ ცალკეული ფაქტების შემოკლებული გამოთქმაა: ჩემი მამა მოკვდა, ჩემი პაპა მოკვდა, A, B, C მოკვდნენ.

ამავე აზრს გამოთქვამენ სუბიექტური იდეალიზმის თანამედროვე წარმომადგენლები. თანამედროვე სუბიექტური იდეალიზმის ერთ-ერთი ლიდერი რასელი ამტკიცებს, რომ ჩვენ საქმე მხოლოდ ერთეულ ფაქტებთან, ერთეულ მონაცემებთან გვაქვს. ზოგადი „მსჯელობა“ ერთეულ მსჯელობათა ჯამია და ამიტომ ზოგადი მსჯელობის ჰეშმარიტების დასამტკიცებლად ჩვენ უნდა დავამტკიცოთ ყველა ერთეული მსჯელობა. მაგრამ საგანთა რიცხვი, რომლის შესახებ გამოთქმულია აზრი ზოგად მსჯელობაში, განუსაზღვრელია. ამიტომ ყველა საგნის გათვალისწინება შეუძლებელია, ყველა ერთეული მსჯელობის ჰეშმარიტების დასაბუთება შეუძლებელია. ამიტომ ზოგადი მსჯელობა სრულიადაც არ არის მსჯელობა: მსჯელობას ახასიათებს ჰეშმარიტება-მცდარობის ნიშანი; ეს ნიშანი ახასიათებს მხოლოდ ერთეულ მსჯელობებს, ზოგად მსჯელობას მისი ხასიათის გამო ეს ნიშანი არ ახასიათებს. ზოგადი მსჯელობა ფორმულაა, სასარგებლო წესია, რომელიც ყოველ ცალკეულ ფაქტზე უნდა გავამართლოთ.

ზოგადი მსჯელობის როგორც მსჯელობის უარყოფა ნიშნავს ყველაზე ღირებული ცოდნის უარყოფას; ეს არის უარყოფა ზოგადის, არსების, კანონის. შემთხვევითი როდია რასელის მსჯელობა იმის შესახებ, რომ მიზიდულობის კანონი — რადგან ის ზოგად მსჯელობაში გამოიხატება — არ არის ჰეშმარიტება.

მეორე მხრივ, თანამედროვე ბურჟუაზიის რეაქციული ფილოსოფი-

ის წარმომადგენელი, რომლებიც აღიარებენ ზოგადისა და ამიტომ ზოგადი მსჯელობების არსებობას, რომლებიც გამოხატავენ ცოდნას განუსაზღვრელ საგანთა რიცხვზე, აღნიშნავენ, რომ ასეთ მსჯელობაში გამოთქმულია აზრი არა საგანთა კლასზე, არამედ იდეაზე, ცნებაზე, რომელიც არსებობს ობიექტურად, მატერიალური სამყაროსაგან დამოუკიდებლად, დროისა და სივრცის გარეშე.

ჩვენ უკვე განვიხილეთ ეს თეორია (ცნების შესახებ თავში); ეს რეაქციული თეორია აღადგენს პლატონიზმს, წყვეტს ზოგადს ერთეულისაგან, ზოგადს იდეალურად აცხადებს და მატერიალურის იდეალურ საფუძვლებს აღიარებს. მაგრამ ასეთ „ზოგადს“, რომელიც ცალკეულისაგან მოწყვეტილია, ამ ცალკეულისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ამ ზოგადს არა აქვს არავითარი მნიშვნელობა ობიექტური მატერიალური საგნების შემეცნებისათვის.

ნამდვილი ზოგადი მსჯელობა, რომელიც ერთეულ მსჯელობათა ჯამს არ წარმოადგენს, არის სწორედ მ ს ჯ ე ლ ო ბ ა ზ ო გ ა დ ზ ე. ზოგადი და ერთეული რეალურ სინამდვილეში მთლიანობაშია; მხოლოდ აბსტრაქციაში შეგვიძლია მოვიაზროთ ზოგადი ერთეულისაგან დამოუკიდებლად. რასაკვირველია, ზოგადი მსჯელობისაკენ გზა მხოლოდ ერთეული მსჯელობებიდან მიდის: ცალკეული საგნებისა და მოვლენების შესწავლით აღმოვაჩინთ ზოგადს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა გადავსინჯოთ და შევისწავლოთ საგნების უსასრულო რიცხვი, რათა ზოგადი მსჯელობა გამოვთქვათ.

მსჯელობა ზოგადზე ამავე დროს არის მსჯელობა საგანთა კლასზე, რადგან ზოგადი არის სწორედ ის, რაც საგანთა სიმრავლეს აერთიანებს, გარკვეულ კლასად ხდის.

ამგვარად, უნდა გავარჩიოთ ზოგადი მსჯელობის ორი სახე: 1) ზოგადი მსჯელობა, რომელიც ერთეულ მსჯელობათა შემოკლებულ გამოხატულებას წარმოადგენს და 2) ზოგადი მსჯელობა, რომელიც ზოგადს, საგანთა არსებას ასახავს.

1) ზ ო გ ა დ - გ ა მ ო ყ ო ფ ი თ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ე ბ ი. ტრადიციული ლოგიკა ზოგადი მსჯელობების განხილვისას არ აქცევდა ყურადღებას ე. წ. ზოგად-გამოყოფითსა და ზოგად-გამომრიცხავ მსჯელობებს. შეუძლებელია იმის თქმა, რომ ტრადიციული ლოგიკა არ იცნობდა ამ მსჯელობებს. ამ სახის მსჯელობები ძალიან გავრცელებულია როგორც მეცნიერებაში, ისე პრაქტიკულ ცხოვრებაში და ლოგიკის ძველ სახელმძღვანელოებში აღნიშნულიც არის ამ ტიპის მსჯელობების არსებობა. მაგრამ ტრადიციულმა ლოგიკამ ვერ გამოუნახა მათ ადგილი მსჯელობათა კლასიფიკაციაში; ამიტომ მან ან მხოლოდ აღნიშნა მათი არსებობა და შემდეგ უყურადღებოდ დატოვა ისინი, ანდა სცადა მათი დაყვანა კლასიფიკაციაში ჩამოთვლილ მსჯელობათა სახეებზე. ეს მსჯელობები

არღვევენ ტრადიციული კლასიფიკაციის სიმარტივეს და, რაც მთავარია, არღვევენ ტრადიციული ლოგიკის მოძღვრებას დასკვნის შესახებ.

ზოგად-გამოყოფითი მსჯელობის დამახასიათებელი ნიშანი არის — როგორც წესი — სიტყვა „მხოლოდ“. ასეთია, მაგალითად, მსჯელობები: 1) მხოლოდ საბჭოთა კავშირში არის აშენებული განვითარებულ სოციალიზმი, 2) მხოლოდ ადამიანი არის იარაღის მკეთებელი ცხოველი, 3) მხოლოდ ფრიადონებს აქვთ უფლება უმაღლეს სკოლაში უკმოცდოდ შესვლის და სხვ.

ამ მსჯელობების განსხვავება ჩვეულებრივი ზოგადი მსჯელობებისაგან ნათელია; მართალია, ამ მსჯელობებშიც გამოთქმულია აზრი საგანთა მთელ კლასზე — ამიტომ ეს მსჯელობებიც ზოგადია, მაგრამ ეს მსჯელობები მეტ ცოდნას გამოხატავენ, ვიდრე ჩვეულებრივი ზოგადი მსჯელობები. მსჯელობა „ყველა ადამიანი გონიერია“ გამოთქვამს აზრს, რომ ადამიანს ახასიათებს გონიერების ნიშანი. საკითხი იმის შესახებ, არსებობენ თუ არა ადამიანების გარდა სხვა გონიერი არსებანი, ღიად რჩება. ამ ზოგადი მსჯელობის საფუძველზე საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია. ზოგადგამოყოფით მსჯელობაში ეს საკითხი გადაწყვეტილია; მსჯელობა „მხოლოდ ადამიანი არის გონიერი არსება“ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ახასიათებს გონიერების ნიშანი და სხვას არავის.

ზოგად-გამოყოფითი მსჯელობა იმით განსხვავდება ჩვეულებრივი ზოგადისაგან, რომ ადასტურებს (უარყოფს) რაიმეს მხოლოდ გამოყოფილ საგანთა კლასის შესახებ.

ამ სახის მსჯელობის თავისებურ, დამოუკიდებელ სახის მსჯელობად აღიარება ჩააყენებდა ტრადიციულ ლოგიკას უხერხულ მდგომარეობაში: მთელი მისი მოძღვრება დედუქციურ დასკვნებზე დაიბრუნდა. იმისათვის, რომ ძველი მოძღვრება მსჯელობათა კლასიფიკაციისა და დედუქციური დასკვნის შესახებ უცვლელი დარჩენილიყო, ტრადიციული ლოგიკა ამ მსჯელობების თავისებურ ინტერპრეტაციას მიმართავს და მათ ბუნებას ამახინჯებს. ზოგადგამოყოფითი მსჯელობა მას დაყავს ჩვეულებრივ ზოგადზე გარკვეული გარდაქმნის საშუალებით. ასე, მაგალითად, მსჯელობა „მხოლოდ ადამიანი არის გონიერი“ დაყავს მსჯელობაზე „ყველა გონიერი არსება ადამიანია“.

მაგრამ: 1) ეს უკვე გარკვეული ინტერპრეტაციაა და, რაც მთავარია, 2) მიღებული ზოგადი მსჯელობა აღარ გამოხატავს მთლიანად იმ აზრს, რომელიც პირველ მსჯელობაში იგულისხმებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგად-გამოყოფით მსჯელობაში მეტი ცოდნაა, ვიდრე მისი გარდაქმნის შედეგად მიღებულ ჩვეულებრივ ზოგადში. ასეთი გარდაქმნის შედეგად ცოდნის გარკვეული ნაწილი იკარგება.

ზოგად-გამოყოფითი მსჯელობების დაყვანა ჩვეულებრივ ზოგადზე

ნაკარნახევია კატეგორიული სილოგიზმის წესების გამართლების მიზნით. დასკვნაში

მხოლოდ ვერცხლისწყალი არის თხიერი ლითონი

ნივთიერება X არ არის ვერცხლისწყალი

ნივთიერება X არ არის თხიერი ლითონი

დარღვეულია კატეგორიული სილოგიზმის წესები; ამისდა მიუხედავად ეს დასკვნა მართებულია. იმის მაგიერ, რომ შეისწავლოს ამგვარი დასკვნების თავისებურება, ტრადიციულ ლოგიკას დაეყვას ისინი კატეგორიულ სილოგიზმზე, ხოლო ამისათვის კი მას სჭირდება ზოგად-გამოყოფითი მსჯელობა დაიყვანოს ჩვეულებრივ ზოგადზე.

2) ზოგად-გამომრიცხავი მსჯელობები. უფრო რთულია ის ოპერაცია, რომელსაც ტრადიციული ლოგიკა მიმართავს იმისათვის, რომ დაიყვანოს ზოგად-გამომრიცხავი მსჯელობა ჩვეულებრივ ზოგად მსჯელობაზე. ზოგად-გამომრიცხავი მსჯელობისათვისაც დამახასიათებელია ზოგადი მსჯელობის გარეგნული ნიშანი, სიტყვა „ყველა“. მაგრამ ამ მსჯელობაში ამ „ყველადან“ გამომრიცხულია ნაწილი, რომელსაც „ყველასთვის“ დამახასიათებელი ნიშანი არ ახასიათებს. მაგალითად: 1) ყველა ლითონი, ვერცხლისწყლის გარდა, მყარი სხეულია. 2) ყველა აბიტურიენტი, მედალოსნების გარდა, აბარებს მისაღებ გამოცდებს უნივერსიტეტში შესასვლელად და სხვ.

არც ამ სახის მსჯელობები ემორჩილება ტრადიციული ლოგიკის პრინციპებს. ტრადიციული ლოგიკა მათ ასე გარდაქმნის: ასეთი მსჯელობა ჯერ ზოგად-გამოყოფითად იქნება გარდაქმნილი. ასე, მაგალითად, მსჯელობა „ყველა აბიტურიენტი, მედალოსნების გარდა, აბარებს მისაღებ გამოცდებს უნივერსიტეტში შესასვლელად“ გარდაიქმნება მსჯელობად „მხოლოდ მედალოსანი აბიტურიენტი არ აბარებს მისაღებ გამოცდებს უნივერსიტეტში შესასვლელად“; ეს უკანასკნელი კი დაიყვანება ჩვეულებრივ ზოგად მსჯელობაზე: „ყველა, ვინც უგამოდოდ შედის უნივერსიტეტში, მედალოსანია“.

თავი რომ დავანებოთ ამ გარდაქმნების სირთულეს და არაბუნებრივ ხასიათს, ერთი რამ არის აღსანიშნავი: ყველა ეს გარდაქმნა უაზრო და უმიზნოა. მეცნიერულ გამოკვლევაში და პრაქტიკულ ცხოვრებაში არაეინ ცდილობს გარდაქმნას ეს მსჯელობები, ისინი ჩვენ ისევე კარგად გვესმის როგორც ჩვეულებრივი ზოგადი მსჯელობები; ამ გარდაქმნებით იკარგება გარკვეული ცოდნა. რაც შეეხება დასკვნებს ამ მსჯელობათაგან, ესენიც წესიერ დასკვნებს წარმოადგენენ და მათგან ჩვენ ვაგებთ დასკვნებს ყოველგვარი გარდაქმნების გარეშე.

b) კერძოობითი მსჯელობები. კერძოობით მსჯელობებში გამოთქმულია აზრი საგანთა კლასის ნაწილის შესახებ. ამ გარემოების

აღსანიშნავად უმთავრესად იხმარება სიტყვა „ზოგიერთი“. მაგალითად, 1) ზოგიერთი ლითონი სითხეა, 2) ზოგიერთი სტუდენტი ფიზიკულტურელია, 3) ზოგიერთ პლანეტას არა ჰყავს თანამგზავრი და სხვ.

სიტყვა „ზოგიერთი“ ორი აზრით იხმარება. ხმარობენ ამ სიტყვას „მხოლოდ ზოგიერთის“ აზრით. ასე, მაგალითად, თუ ქარხნის დირექტორი ამბობს, რომ ყველა მუშამ შეასრულა გეგმა, ხოლო ზოგიერთმა გადაქარბებით შეასრულა იგი, ცხადია, სიტყვა „ზოგიერთი“ მან იხმარა სწორედ ამ აზრით.

მეორე მხრივ, თუ მასწავლებელი, რომელმაც გაიგო, რომ პირველ რიგში მჭდომი მოწაფეები ქართველები არიან, იტყვის: „ზოგიერთი მოწაფე ამ კლასში ქართველია“, ხმარობს სიტყვას „ზოგიერთი“ უკვე სხვა აზრით: მას იმის თქმა კი არ უნდა, რომ მხოლოდ ზოგიერთია ქართველი, არამედ ის, რომ კლასში ყოველ შემთხვევაში ზოგიერთია ქართველი. „ზოგიერთი“ ამ შემთხვევაში „არც ერთის“ უარყოფას არ წარმოადგენს. ამ აზრით, ზოგიერთი შეიძლება იყოს ერთიც, რამდენიმეც და ყველაც.

უნდა განვასხვავოთ სიტყვა „ზოგიერთის“ ეს ორი აზრი. ლოგიკონები ხშირად კამათობენ იმის შესახებ, თუ რომელი აზრი უფრო მართებულია, რა აზრით უნდა ვინმართ ეს სიტყვა. ტრადიციულ ლოგიკაში თითქმის ყოველთვის „ზოგიერთის“ ცნებაში „ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი“ იგულისხმება; თანამედროვე ლოგიკის ზოგიერთ წარმომადგენელს ესმის „ზოგიერთი“ როგორც „მხოლოდ ზოგიერთი“.

კამათი ამ საკითხის შესახებ სრულიად უნაყოფოა და უაზროა. საქმე ის არის, რომ არსებობს კერძობითი მსჯელობის ორი სახე: 1) კერძობითი მსჯელობა, რომელიც გამოხატავს ჩვენი ცოდნის გარკვეულს, ჭერ დაუმთავრებელ საფეხურს: ჩვენ ვიცით, რომ საგანთა კლასის ერთ ან რამდენიმე საგანს ახასიათებს ესა და ეს ნიშანი, მაგრამ ახასიათებს ეს ნიშანი ყველა საგანს თუ არა, არ ვიცით. ამ ცოდნას გამოხატავთ მსჯელობით: ზოგიერთი (ე. ი. ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი) საგანი ასეთი და ასეთია. ეს არის ჩვეულებრივი კერძობითი მსჯელობა. ეს მსჯელობა შემეცნებითი ღირებულების თვალსაზრისით გაცილებით დაბლა დგას ზოგად მსჯელობაზე. ის დაუმთავრებელ ცოდნას გამოხატავს. მისი მნიშვნელობის უარყოფა შეუძლებელია. ჩვენ ერთბაშად როდი შევიცნობთ სინამდვილეს; ცოდნის განვითარების თვალსაზრისით ამ მსჯელობებს აქვს გარკვეული მნიშვნელობა. 2) არსებობენ კერძობით-გამოყოფითი მსჯელობები, სადაც სიტყვა „ზოგიერთი“ გამოყენებულია „მხოლოდ ზოგიერთის“ აზრით. ეს მსჯელობები შემეცნებითი ღირებულების თვალსაზრისით გაცილებით მაღლა დგანან ჩვეულებრივ კერძობითზე და ხშირად ზოგად მსჯელობებს არ ჩამოუვარდებათ თავის მნიშვნელობით.

კერძობით-გამოყოფითი მსჯელობების გარკვეულ სახეს წარმოადგენენ მსჯელობები, რომლებშიც გამოთქმულია ცოდნა საგანთა კლასის უმრავლესობის შესახებ. ასეთია, მაგალითად, მსჯელობები: 1) ფილოსოფიური ფაქულტეტის სტუდენტების უმრავლესობა კომკავშირელია, 2) დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობა მშვიდობის მომხრეა და სხვ.

ამ სახის მსჯელობაში გამოთქმული აზრი ეხება საგანთა კლასის ნაწილს, მაგრამ არა მთლად გაურკვეველ ნაწილს: აზრი გამოთქმულია საგანთა კლასის იმ ნაწილზე, რომელიც საგანთა კლასის ნახევარს აღემატება. კერძობით-გამოყოფით მსჯელობებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს დასკვნის თავისებურ ფორმებში.

ც) ზოგიერთი განმარტება კერძობითსა და ზოგად მსჯელობებზე. ზოგად-გამოყოფითი და კერძობით-გამოყოფითი მსჯელობები ჩვენ მარტივი მსჯელობების კლასში მოვითავსეთ. იბადება საკითხი, ხომ არ არის ეს მსჯელობები რთული? მართლაც, გამოყოფით მსჯელობაში — სულ ერთია, იქნება ის ზოგადი თუ კერძობითი — ორი აზრია გამოთქმული. მსჯელობაში „მხოლოდ ადამიანი არის გონიერი არსება“ იგულისხმება, რომ დანარჩენი არსება არ არის გონიერი; მსჯელობაში „მხოლოდ ვერცხლისწყალი არის თხიერი ლითონი“ იგულისხმება, რომ დანარჩენი ლითონი არ არის თხიერი ნივთიერება. ზოგიერთი ლოგიკოსი ფიქრობს, რომ გამოყოფითი მსჯელობები ორი მსჯელობის სინთეზს გამოხატავს და ამიტომ ისინი რთული მსჯელობების კლასს ეკუთვნის. გამოთქმული იყო ისეთი აზრიც, თითქოს კერძობით-გამოყოფითი მსჯელობა სრულიადაც კერძობითი არ არის, ის არის რთული ზოგადი მსჯელობა. კერძობით-გამოყოფითი მსჯელობა „მხოლოდ ზოგიერთი S არის P“ ნამდვილად შემდეგი აზრის გამომთქმელია: „ყველა S არის ნაწილობრივ P, ნაწილობრივ არა P“; მსჯელობა „მხოლოდ ზოგიერთი ლითონი თხიერია“ ნიშნავს: „ყველა ლითონი ნაწილობრივ თხიერია, ნაწილობრივ არ არის თხიერი“ (აზრის სწორად გამოხატვისათვის, რასაკვირველია, სჯობდა გამოთქმა „ყველა ლითონის“ მაგიერ ეხმარათ „ლითონები“).

ჩვენ არ მიგვაჩნია ასეთი ინტერპრეტაცია მართებულად. თუ გავიზიარებთ ინტერპრეტაციას, რომლის მიხედვით გამოყოფითი მსჯელობები რთული მსჯელობების კლასს ეკუთვნის, რადგან ამ მსჯელობებში, გარდა ნათლად და უშუალოდ გამოთქმულისა, კიდევ სხვა მსჯელობაც იგულისხმება (მსჯელობაში „მხოლოდ ზოგიერთი S არის P“ იგულისხმება მეორე მსჯელობაც „დანარჩენი ზოგიერთი S არ არის P“), მაშინ ჩვეულებრივი კერძობითი მსჯელობაც რთულ მსჯელობად უნდა ჩაითვალოს. როდესაც გამოვთქვამთ მსჯელობას „ზოგიერთი S არის P“, ჩვენ ხომ ვგულისხმობთ, რომ „დანარჩენი S-იც შეიძლება იყოს P“.

მაშ ამ მსჯელობაშიც იგულისხმება მეორე — პრობლემატური — მსჯელობა. ანდა კიდევ: „ზოგიერთი S არის P“. დანარჩენი S-ის შესახებ რა შეიძლება ვთქვათ? საკვებით მართებული და კანონიერი მსჯელობა: „დანარჩენი S-ის შესახებ არ ვიცით არაფერი“ — ესეც ხომ მსჯელობაა. ვინც გამოყოფით მსჯელობას რთულ მსჯელობად თვლის, ის ვერ გაეჭეცევა დასკვნას, რომ ჩვეულებრივი კერძობითიც რთული უნდა იყოს. მაგრამ ამ აზრის დაცვას ეს ლოგიკოსები არ ცდილობენ მისი უსაფუძვლობის გამო.

შემდეგ: ასეთი ინტერპრეტაცია ძალიან შორს წაგვიყვანს, თუ ჩვენ იმის ძებნა დავიწყებთ, რა სხვადასხვა ფორმის მსჯელობა და სხვადასხვა აზრი იგულისხმება მოცემულ მსჯელობაში. ჩვეულებრივ მარტივ მსჯელობაში „თბილისი საქართველოს დედაქალაქია“ იგულისხმება, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, მსჯელობები: 1) ის, რისი დედაქალაქიცაა თბილისი, არის საქართველო (და არა სხვა რომელიმე სახელმწიფო), 2) საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი (და არა მცხეთა), 3) საქართველოსათვის თბილისი დედაქალაქია (და არა რაიონული ცენტრი). სუბიექტები და პრედიკატები ამ მსჯელობებში განსხვავებულია, ე. ი. აქ სამი განსხვავებული მსჯელობაა. მაგრამ ეს როდენიშნავს იმას, რომ მოცემული წინადადებით გამოთქმულია რთული მსჯელობა¹.

დაბოლოს: უშუალო დასკვნის ყველა დანასკვი მთლიანად იგულისხმება წინამძღვარში; მაგრამ ამის გამო არავინ იტყვის, რომ წინამძღვარი უსათუოდ რთულ მსჯელობას წარმოადგენს.

რასაკვირველია, გამოყოფითი მსჯელობა შედეგია გარკვეული ცოდნის, რომელიც ორ მსჯელობაში არის გამოხატული; საკმარისია აღმოვაჩინოთ ერთი ლითონი მაინც, რომელიც თხიერია ჩვეულებრივ პირობებში და ერთი მაინც, რომელიც მყარია ამავე პირობებში, რომ გვეკონდეს უფლება გამოყოფითი მსჯელობა გამოვთქვათ. ამ მხრივ, ჩვეულებრივი კერძობითისათვის საკმარისია ერთი ერთეული მსჯელობა: თუ კლასში პირველივე მოწაფე, რომელსაც შევეციოთხეთ, ქართველი აღმოჩნდა („ივანე ქართველი“), ეს საკმარისია კერძობითი მსჯელობისათვის: „ზოგიერთი მოწაფე კლასში ქართველია“.

გამოყოფით მსჯელობაში ჩვენ გამოვთქვამთ აზრს, რომ გარკვეული ნიშანი, კავშირი, მიმართება ახასიათებს საგანთა გამოყოფილ ჯგუფს; ის გარემოება, რომ ეს ნიშანი, მიმართება სხვას არ ახასიათებს, მისი გარკვეულობის მაჩვენებელია, ხოლო გარკვეულობა შემცველია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მომენტის. ამიტომ ყვე-

¹ ზოგადი მსჯელობის ის სახეც, რომელიც ერთეულ მსჯელობათა ჯამს წარმოადგენს, რთულ მსჯელობად უნდა ჩაითვალოს ამ თვალსაზრისით.

ლა მარტივი დადებითი მსჯელობა თავის შესაბამის უარყოფითს გულისხმობს. საბჭოთა კავშირი რომ სოციალისტური ქვეყანაა, სწორედ იმიტომ არ არის ის კაპიტალისტური, მაგრამ მსჯელობა „საბჭოთა კავშირი სოციალისტური ქვეყანაა“ ამიტომ რთული მსჯელობა კი არ არის.

2) ინგლისელი ლოგიკოსი ვენიდან მომდინარეობს ზოგადისა და კერძობითი მსჯელობის თავისებური გაგება, რომელიც ძირითადი ვახდა თანამედროვე ბურჟუაზიულ ლოგიკაში. ზოგადი — ამ ლოგიკის ტერმინოლოგიით უნივერსალური — მსჯელობა არაფერს არ ადასტურებს საგანთა არსებობის შესახებ, ის უარყოფს გარკვეული საგნების არსებობას; კერძობითი მსჯელობა ადასტურებს საგანთა არსებობას. ასე, მაგალითად, მსჯელობაში „ყველა ადამიანი მოკვდავია“ ჩვენ იმას კი არ ვადასტურებთ, რომ არსებობენ მოკვდავი ადამიანები, არამედ უარყოფთ უკვდავი ადამიანების არსებობას, ე. ი. ჩვენ აღვნიშნავეთ, რომ უკვდავ ადამიანთა კლასი ცარიელია. ჩვეულებრივი სქემა „ყველა S არის P“ შეცვლილია სქემით $S\bar{P} = O$.

მსჯელობა „ზოგიერთი სტუდენტი სპორტსმენია“ ნიშნავს, რომ არსებობენ სპორტსმენი სტუდენტები; ჩვეულებრივი სქემა „ზოგ. S არის P“ შეცვლილია სქემით $SP \neq 0$ (ე. ი. სპორტსმენ სტუდენტების კლასი არ არის ცარიელი).

ეს თვალსაზრისი განვითარებული მათემატიკური ლოგიკის წარმომადგენელთა მიერ გავრცელებულია საზღვარგარეთ. განვიხილოთ ეს თვალსაზრისი. სწორია თუ არა აზრი, რომ ზოგად მსჯელობაში არ არის გამოთქმული აზრი საგანთა არსებობის შესახებ? რა არსებობაზეა აქ საუბარი? მსჯელობა ყოველთვის გულისხმობს საგანს, რომლის შესახებ გამოთქმულია აზრი ამ მსჯელობაში; უსაგნო აზრი არ არსებობს. მაგრამ რა სახით, რა ფორმით არსებობს ეს საგანი? არის საგანთა ობიექტური არსებობა; მსჯელობა ამ საგანთა არსებობის შესახებ ეგზისტენციალური მსჯელობაა. არსებობენ ცნობიერების მოვლენები, რომელთა შესახებ ჩვენ გამოვთქვამთ მსჯელობებს. მათ არ ახასიათებთ ობიექტური არსებობა, ისინი არსებობენ როგორც ასახვანი. ამასთან დაკავშირებით, არსებობენ წარმოდგენები ფანტასტურ არსებებზე; ღმერთზე, ეშმაკზე, კენტაურზე, ცხრათავიან დევზე და სხვ. არსებობენ აზრები წარმოდგენელ — და არა თუ არარსებულ — საგნებზე, მაგალითად, მრგვალ კვადრატზე, ხის რკინაზე და სხვ. ყველა ამ „საგნის“ შესახებ შეიძლება გამოითქვას მსჯელობა: 1) ადამიანი არსებობს, 2) მწუხარების განცდა აღუწერს ადამიანის ნებელობას, 3) კენტაური ფანტასტური არსებაა, 4) მრგვალი კვადრატი არ არსებობს.

თუ ჩვენ გამოვთქვამთ მსჯელობას, მსჯელობის საგანი ყოველთვის არის, მაგრამ არსებობს ეს საგანი ნამდვილად, თუ ის მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია, ეს უშუალოდ ხშირად ამ მსჯელობის სტრუქტურრიდან

არა ჩანს. არის მრავალი მსჯელობა, რომლებიც სიტყვის განსაზღვრებას ე. ი. ე. წ. ნომინალურ განსაზღვრებას წარმოადგენს, მაგალითად, „პეგასი არის ფრთოსანი ცხენი“; ამ მსჯელობაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს სიტყვა „პეგასი“, როგორ ჰქონდათ ძველ დროში ის წარმოდგენილი, და არა იმის შესახებ, რომ პეგასი მართლაც არსებობს როგორც ფრთოსანი ცხენი. მაგრამ ამისთანა მსჯელობების გამოთქმისას ან მოსმენისას ჩვენ უნდა გვექონდეს ცოდნა, რომ საქმე ნომინალურ განსაზღვრებასთან გვაქვს. წარსულ საუკუნეში ეთერის განსაზღვრებაში იგულისხმებოდა ეთერის არსებობა, ეხლა ეთერის განსაზღვრება ნომინალური, ე. ი. სიტყვის განსაზღვრება იქნება.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ჩვენ გამოვთქვამთ ზოგად მსჯელობას, რომელიც ნომინალურ განსაზღვრებას არ წარმოადგენს და რომელშიც საგანთა არსებობას კი არ ვადასტურებთ, არამედ გარკვეულ საგანთა არსებობას უარყოფთ. მაგალითად, ჩვენ გამოვდივართ მზის სისტემის წარმოშობის გარკვეული თეორიიდან და გამოვთქვამთ მსჯელობას „ყველა პლანეტა პლუტონის იქეთ მოძრაობს მზის გარშემო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ“. მაგრამ არსებობენ პლანეტები პლუტონის იქეთ თუ არა ჩვენ არ ვიცით. ვეყრდნობით რა გარკვეულ კანონზომიერებას, ჩვენ გამოვთქვამთ ამ მსჯელობას, რომელშიც არ არის დადასტურებული ასეთი პლანეტების არსებობა, მაგრამ უარყოფილია პლანეტების არსებობა, რომლებიც ასე არ მოძრაობენ. მაგრამ გამოვთქვამთ რა ამგვარ მსჯელობებს, ჩვენ სინამდვილეში ზოგად მსჯელობასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ პირობითთან: თუ არსებობენ ასეთი პლანეტები, ისინი ასე და ასე უნდა მოძრაობდნენ.

d. ერთეული მსჯელობები. ერთეული მსჯელობა არის მსჯელობა ერთეულ საგანზე. ერთეული მსჯელობა შეიძლება ორი სახის იყოს: 1) მსჯელობა ერთ საგანზე, როგორც საგანზე, მაგალითად, „ეს ვარდი წითელია“, „პოკრიშკინი სამგზის გმირია“, „მ. რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია“; 2) მსჯელობა საგანთა ერთობლიობაზე, რომელიც განხილულია როგორც ერთიანი მთლიანი, მაგალითად, „კომუნისტური პარტია მუშათა კლასის მოწინავე რაზმია“. „ინგლისის მთავრობა ემორჩილება ამერიკის შეერთებული შტატების ბრძანებებს“ და სხვ.

ტრადიციული ლოგიკა არ განასხვავებს ერთეულ მსჯელობას ზოგადისაგან. თუ მივაქცევთ ყურადღებას ერთეული მსჯელობის მეორე სახეს, დავინახავთ, რომ მათი გაიგივება შეუძლებელია. აზრი გამოთქმული ერთეულ მსჯელობაში ახასიათებს საგანს როგორც ერთიან მთლიანს და არა მასში შემავალ ცალკეულ საგნებს: ნიშანი „მუშათა კლასის მოწინავე რაზმი“ ახასიათებს კომუნისტურ პარტიას და არა

პარტიის ცალკეულ წევრებს. ზოგად მსჯელობაში კი ნიშანი ახასიათებს კლასში შემავალ ყოველ წევრს იმიტომ, რომ ზოგადი მსჯელობა ან ერთეული მსჯელობების კრებულისა, ან საგანთა კლასის არსებობას ეხება და ამიტომ ამ კლასის ყველა საგანს ახასიათებს.

8. მსჯელობათა დაყოფა კავშირის ხასიათის მიხედვით (მსჯელობის ე. წ. მოდლობა)

1. ტრადიციულ ლოგიკაში მოძღვრება მსჯელობათა მოდლობის შესახებ არ არის ზუსტად დამუშავებული; არც ის არის საკმაო სიზუსტით გარკვეული, თუ რა უდევს საფუძვლად მსჯელობათა მოდლობის თვალსაზრისით გაყოფას; ეს გაყოფა ცნობილია: მსჯელობები არის პრობლემატური, ასერტორული და აპოდიქტიკური. ზოგიერთი ამგვარი გაყოფის საფუძველს ხედავს სუბიექტისა და პრედიკატის კავშირის ქვეშარითების ხარისხში. ზოგიერთი იმაში, თუ რამდენად მყარია კავშირი სუბიექტსა და პრედიკატს შორის; ზოგიერთი ამ საფუძველს ეძებს იმ ცოდნის უშუალობაში და გაშუალებაში, რომელიც მსჯელობაშია გამოხატული; ზოგიერთი კი იმაში, თუ რამდენად არსებითია სუბიექტისათვის ის ნიშანი, რომელიც გამოთქმულია პრედიკატში. ამასთანავე გაყოფის ეს საფუძველები ხშირად ერთი მეორეს ცვლის, ხან ერთია გამოცხადებული ძირითადად და ხან მეორე.

ასე, მაგალითად, ასმუსის „ლოგიკაში“ გაყოფის საფუძველი ქვეშარითების ხარისხია. მსჯელობაში გამოთქმული აზრი შეიძლება იყოს ან სააღბათო, ან ქვეშარითი. პრობლემატურ მსჯელობაში გამოთქმული აზრი მხოლოდ სააღბათოა, ხოლო ასერტორულსა და აპოდიქტიკურში აუცილებელია. აუცილებლობა თავის მხრივ შეიძლება იყოს ფაქტის აუცილებლობა ან დასაბუთების აუცილებლობა. პირველ შემთხვევაში აუცილებლობა უშუალოა, ხოლო მეორეში შუალობითია; პირველ შემთხვევაში გვაქვს ასერტორული მსჯელობა, მეორეში — აპოდიქტიკური.

უფრო „თანმიმდევრად“ ეს თვალსაზრისი გატარებულია იბერვეგის ცნობილ სახელმძღვანელოში. პრობლემატურ მსჯელობაში ჩვენ არა ვართ დარწმუნებული იმაში, რომ წარმოდგენათა კავშირი თანხვედბა სინამდვილეს; ასერტორულ მსჯელობაში გამოთქმულია უშუალო ქვეშარითება, ხოლო აპოდიქტიკურში — შუალობითი, დასაბუთებული ქვეშარითება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქვეშარითებას არა აქვს ხარისხი; ხარისხი აქვს ალბათობას. შეიძლება ვილაპარაკოთ ალბათობის ხარისხზე და არა ქვეშარითების ხარისხზე. მსჯელობები „ტოლსტოი დაიბადა 1828 წ.“ და „კვადრატი, მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუსზე აგებული, მის კათეტებზე აგებულ კვადრატების ჯამის ტოლია“ — პირვე-

ლი, ასერტორული, მეორე აპოდიქტიკური მსჯელობა — ერთნაირად ჭეშმარიტია ან მცდარია იმის მიხედვით, ასახავენ ისინი სინამდვილეა თუ არა.

შემდეგ, უშუალოა და შუალოა არაფერს ცვლის მსჯელობის ჭეშმარიტებაში: წინამძღვრები არ არიან ნაკლებად ჭეშმარიტი დანსკვთან შედარებით.

ითვალისწინებს რა ამ მოსაზრებებს, ზოგიერთი მთლიანად უარყოფს მსჯელობათა გაყოფას მოდალობის თვალსაზრისით: პრობლემატური მსჯელობა მთლად განდევნილია მსჯელობათა კლასიდან, ხოლო ასერტორულსა და აპოდიქტიკურს შორის განსხვავება მოხსნილია.

2. მსჯელობათა დასახელებული სახეების არსებობის უარყოფა შეუძლებელია: მეცნიერებაშიც და პრაქტიკულ ცხოვრებაშიც ჩვენ ხშირად გამოვიყენებთ ამ სახის მსჯელობებს; ხშირად აღვნიშნავთ ამათუ იმ მოვლენის შესაძლებლობას, მოვლენის არსებობას, ამა თუ იმ მოვლენის, მისი წარმოშობის, მოვლენათა კავშირის აუცილებლობას. მათ აქვთ გარკვეული მნიშვნელობა შემეცნების პროცესში, მათგან ვაშენებთ დასკვნებს; მათი საშუალებით გამოვთქვამთ აზრს მომავალი მოვლენების შესახებ.

ფორმალურად შესაძლებელია ეს მსჯელობები ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ასე: 1) აპოდიქტიკურია მსჯელობა, თუ მისი საწინააღმდეგოს მოაზრება გამორიცხულია; 2) ასერტორულია მსჯელობა, თუ მისი საწინააღმდეგო გამორიცხულია არსებული ფაქტით, მოვლენით; 3) პრობლემატურია მსჯელობა, თუ მისი საწინააღმდეგო მსჯელობა არ არის გამორიცხული.

ამ ფორმალური ნიშნის მიხედვით მსჯელობები „ $2+2=4$ “, „ეკვლიდეს გეომეტრიაში სამკუთხედის კუთხეების ჯამი 2 d-ს ტოლია“ და სხვ. აპოდიქტიკურია, რადგან საწინააღმდეგოს მოაზრება შეუძლებელია. მსჯელობები „წვიმს“, „ეს ვარდი წითელია“ და სხვ. ასერტორულია, რადგან საწინააღმდეგოს მოაზრება, მართალია, შესაძლებელია, მაგრამ ეს საწინააღმდეგო უარყოფილია ფაქტით. მსჯელობა „ხეალ შეიძლება იწვიმოს“ პრობლემატურია, რადგან საწინააღმდეგო სრულიადაც არ არის გამორიცხული.

იქნებ დასკვნის თეორიისათვის ეს ფორმალური განსხვავება მსჯელობათა შორის საკმარისი აღმოჩნდეს, მაგრამ ის არ წყვეტს საკითხს. რადგან არ გვაძლევს პასუხს ამ მსჯელობების არსებით განსხვავების შესახებ.

ამ მსჯელობების განსხვავების არსება იმაში მდგომარეობს, რომ პრობლემატური მსჯელობა არის მსჯელობა შესაძლებელია, ასერტორული — ნამდვილი და აპოდიქტიკური — აუცილებელია შესახებ.

შესაძლებლობა, სინამდვილე და აუცილებლობა ობიექტური კატეგორიებია; ისინი სინამდვილის გარკვეულ კავშირებსა და მიმართებებს ასახავენ. მსჯელობები, რომლებიც სინამდვილის ამ კავშირებს ასახავენ, მოდალობის მსჯელობებია.

ობიექტური სინამდვილე, რომელიც ადამიანის ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობს, ჩვენი მსოფლმხედველობის ამოსავალი წერტილია. ეს სინამდვილე განსაზღვრავს როგორც შესაძლებლობას, ისე აუცილებლობას. შესაძლებლობა არის განვითარების ტენდენცია, რომელიც თვითონ სინამდვილესა ჩაქსოვილი. ჩვენ განვასხვავებთ აბსტრაქტულსა და რეალურ შესაძლებლობას: აბსტრაქტული შესაძლებლობა ეს არის მოვლენის შესაძლებლობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება სინამდვილის კანონებს, მაგრამ რომელიც არ არის სინამდვილის განვითარების ტენდენციით განსაზღვრული. რასაკვირველია, შესაძლებელია გამოვთქვათ მსჯელობები, რომლებიც ამგვარ შესაძლებლობას გამოხატავენ, მაგრამ ისინი არავითარ როლს არ თამაშობენ შემეცნების პროცესში. რაც შეეხება მსჯელობებს, რომლებიც გამოხატავენ რეალურ შესაძლებლობას, მათ უდიდესი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ შემეცნების პროცესში. „შესაძლებელია სოციალიზმის აშენება ერთ ქვეყანაში“, „შესაძლებელია კომუნისტური საზოგადოების აშენება ერთ ქვეყანაში“ — ამ მსჯელობებს აქვს უდიდესი მნიშვნელობითი და პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნის საქმეში: ეს მსჯელობები ასახავენ სინამდვილის განვითარების ტენდენციას და ამით განსაზღვრავენ ადამიანთა პრაქტიკულ-პოლიტიკური მოქმედების ხასიათს.

შესაძლებლობა არსებობს სინამდვილეში: შესაძლებლობა არა მხოლოდ შესაძლებელია, ის არის. როგორც სინამდვილის განვითარების ტენდენცია ის თვითონ სინამდვილეა, მაგრამ ის არის სხვა სინამდვილის შესაძლებლობა, სინამდვილისათვის, რომელიც ჯერ არ არსებობს, არ არის განხორციელებული.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ არსებობდა რეალური შესაძლებლობა სოციალიზმის აშენებისა ჩვენს ქვეყანაში. ეს შესაძლებლობა ობიექტურად არსებობდა, მაგრამ ჯერ არ იყო განხორციელებული; ეს შესაძლებლობა თვითონ სინამდვილე იყო, მაგრამ მომავალი სინამდვილის მიმართ შესაძლებლობას წარმოადგენდა.

მანამ შესაძლებლობა არ არის განხორციელებული, არსებობს სხვა შესაძლებლობაც და იქნებ — სხვა შესაძლებლობანიც. როდესაც გამოვთქვამთ მსჯელობას „შეიძლება დღეს წამოვიდეს წვიმა“, ჩვენ ავსახავთ სინამდვილეში არსებულ შესაძლებლობას — ამ შესაძლებლობის არსებობაზე მიუთითებს ბარომეტრის ჩვენება, მოღრუბლულობა და

სხვ. მაგრამ ამ შესაძლებლობასთან ერთად არსებობს სხვადასხვა პირობები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ შესაძლებლობის განხორციელებას.

ამიტომ წინადადება, რომელშიც გამოთქმულია აზრი შესაძლებლობის შესახებ, ორ აზრს გამოხატავს: 1) შესაძლებლობა როგორც განვითარების ტენდენცია არსებობს; მსჯელობა, რომელიც ამ აზრს გამოხატავს, არაფრით არ განსხვავდება ასერტორული მსჯელობისაგან; 2) არსებული შესაძლებლობა ჯერ არ არის განხორციელებული — შესაძლებლობა არ არის ჯერ სინამდვილე — მისი განხორციელება დამოკიდებულია გარკვეულ პირობებზე, რომლებიც შეიძლება არც იყოს და ამიტომ შესაძლებლობა არც განხორციელდეს; მსჯელობა, რომელიც ამ გარემოებას ასახავს, პრობლემატური მსჯელობაა.

სინამდვილის განვითარების პროცესი განსაზღვრავს სხვადასხვა შესაძლებლობის წარმოშობას; მაგრამ იგივე განვითარება უკუაგდება ზოგიერთ შესაძლებლობას, თანდათან შემოფარგლავს შესაძლებლობათა წრეს, მანამ ყველა შესაძლებლობა ერთის გარდა არ იქნება მოხსნილი. დარჩენილი „შესაძლებლობა“ უკვე შესაძლებლობა კი აღარ არის, არამედ სინამდვილეა.

თუ პრობლემატური მსჯელობა ადასტურებს სინამდვილეში გარკვეული მოვლენის წარმოშობის შესაძლებლობას, მაგრამ საკითხს მისი განხორციელების შესახებ ღიად ტოვებს, ასერტორული მსჯელობა ამ მოვლენის არსებობის ფაქტს ადასტურებს. თუ ჩვენ, მაგალითად, გამოვთქვამთ მსჯელობას, რომ იმპერიალიზმის პერიოდში შესაძლებელია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენება, ამით, რასაკვირველია, იმას ვადასტურებთ, რომ ასეთი შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ ამ მსჯელობაში ჯერ არ ვადასტურებთ სოციალისტური საზოგადოების სინამდვილეს.

როდესაც გამოვთქვამთ მსჯელობას „საბჭოთა კავშირში აშენებულია სოციალიზმი“, ჩვენ უკვე ვადასტურებთ არა შესაძლებლობას, არამედ ამ მოვლენის არსებობის ფაქტს.

აპოლიტიკური მსჯელობა გამოხატავს აზრს აუცილებელის შესახებ. აუცილებლობის კატეგორიის შესახებ აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ გარემოებას: აუცილებელი მოვლენა არსებობს, კანონზომიერებასთან არის დაკავშირებული. ცალკეული არ არსებობს ზოგადისაგან მოწყვეტილი, მოვლენა არ არსებობს არსებობისაგან დამოუკიდებლად; უკვე აქ გვაქვს ჩვენ ცნება ბუნების ობიექტური კავშირის, აუცილებლობისა. აუცილებლობა არსებობს სინამდვილეში, ის გამოხატავს იმას, რაც კანონზომიერებიდან, საგანთა და მოვლენათა შინაგანი სტრუქტურებიდან გამომდინარეობს.

აპოლიტიკური მსჯელობა იმით კი არ განსხვავდება ასერტორული-

საგან, რომ უკანასკნელი ფაქტის აუცილებლობას გამოხატავს, ხოლო პირველი დასაბუთების აუცილებლობას — ამ შემთხვევაში განსხვავება სუბიექტური ხასიათის იქნებოდა — ; სინამდვილისა და აუცილებლობის კატეგორიები ობიექტური ხასიათის არიან: ამ განსხვავებულ ობიექტურ ვითარებას ასახავენ განსხვავებული სახის მსჯელობები — ასერტორული და აპოდიქტიკური.

შესაძლებლობა, სინამდვილე (როგორც განხორციელებული შესაძლებლობა), აუცილებლობა არ არიან ერთმანეთისაგან მოწყვეტილი; ისინი ობიექტურად არსებული სინამდვილის სხვადასხვა მხარეებია და ერთმანეთში გადადიან: ამიტომ შესაძლებელის, სინამდვილის და აუცილებელის შესახებ მსჯელობებიც ერთმანეთში გადადიან. პრობლემატური მსჯელობა ადასტურებს რა შესაძლებლობის არსებობას ობიექტურ სინამდვილეში, ასერტორულ მსჯელობად იქცევა. პრობლემატური მსჯელობა ადასტურებს რა შესაძლებლობას გარკვეული მოვლენის წარმოშობის, რომელიც სინამდვილის განვითარების კანონზომიერებით არის განსაზღვრული, აპოდიქტიკურ მსჯელობას წარმოადგენს. ყოველი კატეგორიული მსჯელობა ასახავს რა ნიშნის, კავშირის, მიმართების არსებობის ფაქტს, — სულ ერთია, არის ეს ნიშანი, კავშირი და სხვ. აუცილებელი თუ არა, — წარმოადგენს ასერტორულ მსჯელობას.

9. რთული მსჯელობები

1. რთული მსჯელობების თავისებურება. რთული მსჯელობების მრავალი სახიდან ჩვენ განვიხილავთ პირობით, გაყოფით, გამყოფს, კონიუნქციურსა და კოპულატიურ მსჯელობებს.

პირობითი მსჯელობის სქემა: თუ A არის B, მაშინ C არის D, ან თუ A არის, B-ც არის. მაგალითი: „თუ კომუნისტური საზოგადოება გარემოცულია იმპერიალისტური ქვეყნებით, მაშინ ამ საზოგადოებაში არსებობს სახელმწიფო“.

გაყოფითი მსჯელობის სქემა: A არის ან B, ან C; ანდა: ან A, ან B არის C. მაგალითი: სამკუთხედი ABC არის ან მართკუთხა, ან მახვილკუთხა, ან ბლაგვეკუთხა; ანდა: ან ილიამ, ან აკაკიმ დაწერა ეს ლექსი.

გამყოფი მსჯელობის სქემა: ყველა A არის ნაწილობრივ B, ნაწილობრივ C. მაგალითი: სამკუთხედები ნაწილობრივ მართკუთხაა, ნაწილობრივ მახვილკუთხაა, ნაწილობრივ ბლაგვეკუთხაა.

კონიუნქციური მსჯელობის სქემა: A არის B და C; მაგალითი: სამკუთხედი ABC არის თანასწორკუთხიანი და თანასწორგვერდიანი.

კოპულატიური მსჯელობის სქემა: A და B არის C; მაგალითი: ბულგარეთი და ჩეხოსლოვაკია სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკებია.

ზოგიერთი ლოგიკოსი ფიქრობს, რომ რთული მსჯელობის დამახა-

სიათბელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, თითქოს ამ მსჯელობებში რამდენიმე სუბიექტი ან რამდენიმე პრედიკატია. მაგალითად, გაყოფით მსჯელობაში A არის ან B, ან C, ან D“ ერთი სუბიექტი და სამი პრედიკატია; პირობით მსჯელობაში „თუ A არის B, მაშინ C არის D“ ორი სუბიექტია — A და C — და ორი პრედიკატი — B და D.

ეს თვალსაზრისი ვერ გამოავლენს რთული მსჯელობის თავისებურებას; პირობით მსჯელობაში „თუ A არის B, მაშინ C არის D“ ჩვენ იმას კი არ ვადასტურებთ, რომ B ახასიათებს A-ს და D კი C-ს, არამედ ორი მსჯელობის კავშირს, რომელიც ობიექტური სინამდვილის კავშირს ასახავს. გაყოფითი მსჯელობა „A არის ან B, ან C, ან D“ წარმოადგენს სამი მსჯელობის შემოკლებულ გამოხატულებას:

A არის B
ან A არის C
ან A არის D

რამდენიმე სუბიექტისა და პრედიკატის არსებობა მსჯელობაში სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ აქ რამდენიმე მსჯელობაა შეერთებული. რთული მსჯელობები ასახავენ სინამდვილის კავშირებსა და მიმართებებს მსჯელობათა კავშირის საშუალებით.

2. პირობითი მსჯელობა. პირობითი მსჯელობის რთული აგებულება და მათგან აგებული დასკვნების თავისებური ხასიათი იყო, ალბათ, იმის მიზეზი, რომ არისტოტელე მათ სრულიად არ განიხილავს. არისტოტელეს მოწაფეებმა და სტოელთა სკოლის ფილოსოფოსებმა მიაქციეს პირველად მათ სათანადო ყურადღება. ამ დროიდან პირობითი მსჯელობა გახდა შესწავლისა და ინტერპრეტაციის ობიექტი.

ა) პირობითი მსჯელობის ყველაზე გავრცელებული ინტერპრეტაცია ტრადიციულ ლოგიკაში ასეთია: თუ კატეგორიულ მსჯელობაში ჩვენ ვადასტურებთ პრედიკატის სუბიექტისადმი მიკუთვნებას ყოველგვარი პირობის გარეშე, პირობითში ეს მიკუთვნება განსაზღვრულია გარკვეული პირობით. პირობითი მსჯელობის ასეთი გაგება მთლად სპობს ამ მსჯელობის თავისებურებას და ის ნამდვილად კატეგორიულ მსჯელობაზე დაყავს.

ამ ინტერპრეტაციის მიხედვით პირობით მსჯელობაში დადგენილია კავშირი S-სა და P-ს შორის: გამოთქმულია სუბიექტისა და პრედიკატის კავშირის დასტური ან უარყოფა გარკვეული პირობით. ეს პირობა გამოთქმულია მსჯელობის პირველ ნაწილში, ხოლო S-ის და P-ს კავშირი მეორე ნაწილში. მთავარი აქ ის არის, რომ ის, რაც დადასტურებულია ან უარყოფილია, ი გ ი ვ ე ა, რაც კატეგორიულ მსჯელობაში კატეგორიულიც და პირობითი მსჯელობაც:

S ა რ ი ს P

თუ A არის B, მაშინ S არის P

გამოთქვამენ ერთსა და იმავე აზრს, სახელდობრ, რომ „S არის P“. მაგრამ პირველში ეს აზრი გამოთქმულია უპირობოდ, მეორეში — პირობით ფორმაში. აქედან გამომდინარეობს გარკვეული დასკვნები: პირობითი მსჯელობა იქნება დადებითი, თუ გამოთქმულია აზრი, რომ P მიეკუთვნება S-ს, ხოლო იქნება უარყოფითი, თუ P არ მიეკუთვნება S-ს. ასე, მაგალითად, მსჯელობა „თუ კომუნისტური საზოგადოება გარემოცული იქნება იმპერიალისტური ქვეყნებით, ამ საზოგადოებაში იარსებებს სახელმწიფო“ იქნება დადებითი (თუ A არის B, მაშინ C არის D); ხოლო მსჯელობა „თუ კომუნისტური საზოგადოება გარემოცული იქნება სოციალისტური ქვეყნებით, მაშინ ამ საზოგადოებაში არ იარსებებს სახელმწიფო“, უარყოფითი იქნება. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ მსჯელობის კეშმარიტება ან მცდარობა დამოკიდებულია მსჯელობის მეორე ნაწილის კეშმარიტებაზე ან მცდარობაზე.

ასეთი თვალსაზრისი არ უნდა იყოს მართებული. პირობით მსჯელობაში გამოთქმულია — პირველ რიგში — აზრი არა იმის შესახებ მიეკუთვნება P S-ს თუ არა, არამედ აუცილებელი კავშირის შესახებ, კავშირის საფუძველსა და შედეგს შორის. პირობით მსჯელობაში არ არის ჩვეულებრივი სუბიექტი და პრედიკატი.

b) ასევე შემცდარია პირობითი მსჯელობის დაშლა ორ სუბიექტზე და ორ პრედიკატზე, რადგან ამით მსჯელობის აზრი სრულიად არ იქნება გამოვლენილი: აღნიშნული იქნება A-ს B-სთან და C-ს D-სთან კავშირი, ხოლო რაც შეეხება საფუძვლისა და შედეგის კავშირს — რაც მსჯელობის არსებას წარმოადგენს — უყურადღებოდ რჩება; გარდა ამისა, ამ შემთხვევაში პირობითი მსჯელობის კეშმარიტების საკითხი დაიყვანება შემადგენელ მსჯელობათა კეშმარიტების საკითხზე, რაც შეცდომა იქნებოდა. მსჯელობები: 1) თუ რკინა რთული სხეულია, ის ელემენტებზე დაიშლება, 2) თუ ამერიკის ჩრდილოეთი შტატები მშვიდობის მომხრეა, ის არ დაიწყებდა ომს კორეის წინააღმდეგ, და სხვ. კეშმარიტია იმისდა მიუხედავად, რომ მათი შემადგენელი მსჯელობები მცდარია.

ამ შემთხვევაში გართულდებოდა საკითხი მსჯელობის თვისებრიობის შესახებ; დაისმებოდა საკითხი იმის შესახებ, რომელი მსჯელობა ჩაითვალოს დადებითად და რომელი უარყოფითად:

1. თუ A არის B, C არის D
2. თუ A არ არის B, C არის D
3. თუ A არ არის B, C არ არის D
4. თუ A არის B, C არ არის D

ც) არც ის თვალსაზრისია მისაღები, რომლის მიხედვით პირობით მსჯელობაში საფუძველი და შედეგი ერთად აღებულ სუბიექტს წარმოადგენს, ხოლო პრედიკატი საფუძვლისა და შედეგის კავშირია. ასეთ თვალსაზრისს ზიგვარტი იცავდა.

პირობითი მსჯელობის მთელი მასალა ზიგვარტის მიერ მსჯელობის სუბიექტად არის გამოცხადებული; აზრი აუცილებელი გამომდინარეობის შესახებ, მისი აზრით, პრედიკატს წარმოადგენს. აუცილებელი კავშირის გამოცხადება პრედიკატად იგივე შეცდომა იქნება, როგორც კატეგორიულ მსჯელობაში კავშირის გამოცხადება პრედიკატად.

d) არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ მსჯელობის ერთი თეორია, რომლის მიხედვით არა მხოლოდ პირობითი მსჯელობა, არამედ ყველა სახის მსჯელობა საფუძვლისა და შედეგის კავშირს წარმოადგენს. ამ თეორიის მიხედვით მსჯელობაში სუბიექტი საფუძველია, პრედიკატი შედეგია. ამ მხრივ არავითარი განსხვავება არ არსებობს კატეგორიულსა და პირობით მსჯელობას შორის. განსხვავება მათ შორის მდგომარეობს იმაში, რომ კატეგორიული მსჯელობის სუბიექტი არის რაღაც უკვე აღმოჩენილი შემეცნებელის მიერ სამყაროს შედგენილობაში, ხოლო პირობითი მსჯელობის სუბიექტი მხოლოდ ჰიპოთეტურად დაშვებულია. ამდენად კატეგორიული მსჯელობა ცოდნის უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს პირობითთან შედარებით; ეს უკანასკნელი ნამდვილი ცოდნის წინა საფეხურია.

ამ მიმართულების წარმომადგენელი იცავენ ფილოსოფიაში უკიდურეს რეაქციულსა და იდეალისტურ თეორიას. მათთვის სამყარო „სისტემობას“ წარმოადგენს, რომელიც იდეალური კავშირებით არის განსაზღვრული. ჩვენ უშუალოდ, ინტუიციის საშუალებით აღვიქვამთ ამ კავშირებს. ჩვენ აქ არ გვინტერესებს ამ თეორიის მისტიკური¹ ხასიათი; გავარჩიოთ მსჯელობის ეს თეორია.

ეს თეორია მცდარი და მიუღებელია. თუ ყოველ მსჯელობაში სუბიექტსა და პრედიკატს შორის კავშირი საფუძვლისა და შედეგის კავშირია, მაშინ ყველა მსჯელობა ჰემარტი უნდა იყოს. მართლაც, ამ თვალსაზრისის წარმომადგენელი იმ აზრს იზიარებენ, რომ მსჯელობა ყოველთვის ჰემარტია, რომ მცდარი მსჯელობა არ არსებობს. მსჯელობა აზრია, ხოლო აზრი მხოლოდ ჰემარტიტების წყაროა: მცდარი მსჯელობა არ არის აზრის შედეგი, ის „გამოთქმა“ და არა მსჯელობა.

ამ თვალსაზრისის უაზრობა ნათელი გახდება მაშინვე, თუ მივაქცევთ ყურადღებას შემეცნების განვითარების ისტორიას: ერთი თეორია მეორეს ცვლიდა, ერთი ფილოსოფიური სისტემა ინგრეოდა და

¹ ამ თეორიის ერთმა წარმომადგენელმა თავის შრომას უწოდა სახელი: „მისტიკური ემპირიზმის დასაბუთება“.

მეორე შენდებოდა, უამრავი თეორია, იდეა მცდარი აღმოჩნდა — და თურმე ისინი მსჯელობებისაგან არ შედგებოდნენ, თურმე მათი ავტორები არ მსჯელობდნენ, ისინი მხოლოდ „გამოთქმებს“ აწარმოებდნენ, ისინი არ აზროვნებდნენ.

ე) პირობითი მსჯელობა გამოხატავს ორი მსჯელობის კავშირს; ეს კავშირი საფუძვლისა და შედეგის კავშირია. ამ მსჯელობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მეცნიერებაში, პრაქტიკულ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში. პირობითი მსჯელობებით ხშირად არის გამოთქმული სინამდვილის კანონები; ამ მსჯელობებით გამოვთქვამთ ხშირად პროგნოზებს, წინასწარგანჭვრეტას; მათი საშუალებით ხშირად გამოვთქვამთ პრაქტიკულ-პოლიტიკურ პრინციპებს.

პირობით მსჯელობაში გამოთქმული კავშირი საფუძველსა და შედეგს შორის ხშირად გამოხატავს უშუალოდ მოვლენათა შორის არსებულ მიზეზობრივ კავშირს. მაგალითად: 1) თუ კომუნისტური საზოგადოება გარემოცულია იმპერიალისტური ქვეყნებით, მაშინ ამ საზოგადოებაში არსებობს სახელმწიფო, 2) თუ რკინას გავატობთ, ის გაფართოვდება.

რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საფუძვლისა და შედეგის ლოგიკური კავშირი იგივეა, რაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. მოყვანილი მაგალითები მხოლოდ იმის ილუსტრაციას წარმოადგენენ, რომ საფუძვლისა და შედეგის კავშირი ხშირად უშუალოდ ასახავს მიზეზობრივ კავშირს.

პირობით მსჯელობაში „თუ კომუნისტურ საზოგადოებაში არსებობს სახელმწიფო, მაშინ, ნათელია, რომ ეს საზოგადოება გარემოცულია იმპერიალისტური ქვეყნებით“ სახელმწიფოს არსებობა კომუნისტურ საზოგადოებაში არ არის მიზეზი იმპერიალისტური გარემოცვისა; ანდა მსჯელობაში „თუ მდინარე გაიყინა, მაშინ დიდი სიცივე ყოფილა“ მდინარის გაყინვა სრულიადაც არ არის სიცივის მიზეზი.

ამ მსჯელობებში — თუ მათ მსჯელობებად მივიჩნევთ და არა შემოკლებულად გამოთქმულ დასკვნებად — საფუძველი არ გამოხატავს მიზეზს და შედეგი მოქმედებას; ამ შემთხვევაში მსჯელობის საფუძველი გამოხატავს ცოდნის ლოგიკურ საფუძველს; ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ სიცივის დროს იყინება მდინარე. რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიც — მოყვანილ მაგალითებში — მსჯელობები ასახავენ მიზეზობრივ კავშირს, მაგრამ არა უშუალოდ.

ხ შ ი რ ა დ პირობით მსჯელობაში გამოთქმულია აზრი მიზნისა და საშუალების კავშირის, მაგალითად: თუ არ გინდა შეცდე, წინ უნდა იყურებოდე და არა უკან; ხანდახან პირობით მსჯელობის ფორმაში არის გამოთქმული მოვლენათა თანმიმდევრობის ან ერთდროულობის კავშირი. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პირობით მსჯელობებს, რომლე-

ბიკ ასახავენ საგანთა ნიშნების აუცილებელ კავშირს, მაგალითად: 1) თუ სამკუთხედი თანასწორფერდიანია, მაშინ ფუძესთან მდებარე კუთხეები ტოლია, 2) თუ სამკუთხედების შესაბამისი კუთხეები ტოლია, მაშინ ეს სამკუთხედები მსგავსია.

ამ მსჯელობებში გამოთქმულია არა მიზეზობრივი კავშირი მოვლენათა შორის, არც მიზნისა და საშუალების კავშირი ანდა დროული კავშირი, არამედ აუცილებელი კავშირი ერთი ნიშნისა, რომელიც საფუძველს წარმოადგენს, მეორე ნიშანთან, რომელიც შედეგს წარმოადგენს.

საფუძველსა და შედეგს შორის კავშირი ყოველთვის დადებითია მსჯელობებში:

1. თუ A არის B, მაშინ C არის D
2. თუ A არ არის B, მაშინ C არის D
3. თუ A არ არის B, მაშინ C არ არის D
4. თუ A არის B, მაშინ C არ არის D

დადასტურებულია ყოველთვის საფუძველისა და შედეგის კავშირი. შეიძლება გვეფიქრა, რომ მხოლოდ პირველი მსჯელობა არის დადებითი. დანარჩენი კი უარყოფითი, რადგან სამ უკანასკნელში გვხვდება უარყოფა ან საფუძველში, ან შედეგში. განვიხილოთ მეორე მაგალითი: თუ A არ არის B, მაშინ C არის D. ყურადღება უნდა მივაქციოთ არა იმ გარემოებას, რომ აქ საფუძველში უარყოფა გვაქვს, არამედ იმას, რომ საფუძველი — რა სახისაც უნდა იყოს ის — განსაზღვრავს გარკვეულ შედეგს. მსჯელობებში 1) თუ A არ არის B-ზე არც მეტი, არც ნაკლები, მაშინ A B-ს ტოლია, 2) თუ სახელმწიფომ არ მიიღო „მარშალის გეგმა“, ის ნამდვილად დემოკრატიულია და სხვ. მიუხედავად უარყოფითი საფუძველისა დადასტურებულია საფუძველისა და შედეგის კავშირი.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მესამე შემთხვევაში, რომელშიც საფუძველიც და შედეგიც უარყოფითია. მსჯელობები 1) თუ კომუნისტური საზოგადოება არ იქნება იმპერიალისტურ გარემოცვაში, ამ საზოგადოებაში არ იარსებებს სახელმწიფო, 2) თუ სამკუთხედი არ არის ტოლფერდა, ფუძესთან მდებარე კუთხეები არ არის ტოლი, და სხვ. დადებითია, რადგან აქაც დადასტურებულია საფუძველისა და შედეგის კავშირი.

საბოლოოდ, მეოთხე შემთხვევა, რომელსაც ლოგიკოსთა უმრავლესობა უარყოფით მსჯელობად თვლის. მსჯელობები: 1) თუ კომუნისტური საზოგადოება გარემოცულია სოციალისტური ქვეყნებით, მაშინ ამ საზოგადოებაში არ იარსებებს სახელმწიფო, 2) თუ სახელმწიფომ მიიღო „მარშალის გეგმა“, ის არ არის დემოკრატიული და სხვ. დად-

ბითია, რადგან აქაც დადასტურებულია საფუძვლისა და შედეგის კავშირი.

თუ პირობითი მსჯელობის აზრი მდგომარეობს საფუძვლისა და შედეგის კავშირის აღნიშვნაში, ცხადია, რომ უარყოფითი პირობითი მსჯელობა შეუძლებელია არსებობდეს. არსებობენ პირობითი მსჯელობების უარყოფელი მსჯელობები; მაგალითად, მსჯელობაში „თუმცა ამერიკის ჩრდილოეთი შტატების მთავრობა აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ამერიკელი ხალხი ომის მომხრეა“ უარყოფილია შესაბამისი პირობითი მსჯელობის საფუძვლისა და შედეგის კავშირი. არსებობს თავისებური სახის პირობითი მსჯელობა გამოყოფითი მსჯელობის ანალოგიური, რომელსაც შეიძლება გამოყოფით-პირობითი ვუწოდოთ. ამ სახის მსჯელობაში საფუძვლისა და შედეგის კავშირი ერთმნიშვნელოვანია, ე. ი. მხოლოდ A არის B-ს საფუძველი და მხოლოდ B არის A-ს შედეგი. მისი სქემა ასეთია: მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ A არის, მაშინ (და მხოლოდ მაშინ) არის B.

3. კონიუნქციური და კოპულატიური მსჯელობები. კონიუნქციური მსჯელობის სქემა ასეთია: A არის B და C; მაგალითი: „სამკუთხედი ABC მართკუთხა და ტოლფერდაა“. კონიუნქციურ მსჯელობაში შეერთებულია ორი (ან მეტი) მსჯელობა „და“ კავშირით.

სამკუთხედი ABC მართკუთხაა

სამკუთხედი ABC ტოლფერდაა

კოპულატიურ მსჯელობაშიც მსჯელობები შეერთებულია „და“ კავშირით, მაგრამ აქ ერთი ნიშანი მიეწერება (არ მიეწერება) განსხვავებულ საგნებს:

ბულგარეთი სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკაა

ჩეხოსლოვაკია სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკაა

კოპულატიური მსჯელობა ასეთი სახის იქნება: „ბულგარეთი და ჩეხოსლოვაკია სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკაა“. სქემა: A და B არის C.

4. გაყოფითი მსჯელობა. გაყოფითი მსჯელობის სქემა, როგორც აღნიშნული იყო, ორნაირია: 1) A არის ან B, ან C, 2) A ან B არის C. კავშირი „ან“ რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობის მქონეა და ამიტომ ამ გარემოებას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. ტრადიციულ ლოგიკაში — ყოველ შემთხვევაში დასკვნის თეორიაში — კავშირი „ან“ გაყოფით-გამომრიცხავი მნიშვნელობით იყო გაგებული. ნამდვილად კი, თუ მივიღებთ მხედველობაში დასკვნის თავისებურ სახეებს, „ან“ კავშირის სამი განსხვავებული აზრი შეიძლება დავადგინოთ და ამიტომ მსჯელობის სამი განსხვავებული სახე.

1) ა ლ ტ ე რ ნ ა ტ უ ლ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ა. განვიხილოთ ასეთი მსჯე-

ლობა: „ფრიადოსანი სტუდენტი ან ბეჭითია, ან ნიჭიერი“. ნათელია რომ სტუდენტი შეიძლება იყოს ფრიადოსანი, თუ მას ერთ-ერთი დასახელებული ნიშანი უსათუოდ ახასიათებს; მაგრამ შესაძლებელია მას ორივე ნიშანი ახასიათებს; ის ნიჭიერიც არის და ბეჭითიც. მსჯელობას, რომელშიც გამოთქმულია აზრი, რომ საგანს ორი პრედიკატიდან ყოველ შემთხვევაში ერთი მაინც ახასიათებს, მაგრამ შესაძლებელია ორივეც ახასიათებდეს, ალტერნატიული მსჯელობა ეწოდება.

2) გაყოფითი მსჯელობა ტრადიციული ლოგიკის აზრით. განვიხილოთ მსჯელობა: „პეტრე ან ცოლიანია, ან უცოლო“. კავშირი „ან“ აქ იხმარება გამომრიცხავი აზრით; შეუძლებელია პეტრეს არ ახასიათებდეს ერთ-ერთი დასახელებული ნიშანი, მაგრამ შეუძლებელია ორივე ახასიათებდეს. მსჯელობას, რომელშიც გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ საგანს ორი ნიშნიდან ერთი აუცილებლად ახასიათებს, ხოლო შეუძლებელია ორივე ახასიათებდეს, საკუთრივ გაყოფითი მსჯელობა ეწოდება.

3) დისიუნქტური მსჯელობა. რთული მსჯელობა, რომელშიც მარტივი მსჯელობები „ან“ კავშირით არის დაკავშირებული შეიძლება მივიღოთ კონიუნქციური მსჯელობის უარყოფის შედეგად. კონიუნქციური მსჯელობის „პეტრე წაიქცა და თავი გაიტეხა“ მცდარობა გამოიხატება ამ მსჯელობის უარყოფაში. ერთ-ერთი ნიშანი ყოველ შემთხვევაში მცდარია, შეიძლება ორივეც: ან პეტრე არ წაიქცეულა, ან თავი არ გაუტეხია; ანდა, არც ერთი და არც მეორე. რთული მსჯელობა, რომელშიც გამოთქმულია აზრი, რომ ორი ნიშნიდან საგანს ყოველ შემთხვევაში ერთი ნიშანი მაინც არ ახასიათებს, დისიუნქტური მსჯელობაა.

5. გამყოფი მსჯელობა. გამყოფი მსჯელობა განსხვავდება გაყოფითისაგან: მისი სქემა ასეთია: ყველა A არის ნაწილობრივ B, ნაწილობრივ C; მაგალითად: 1) ხეები ნაწილობრივ ფოთლოვანია, ნაწილობრივ — წიწვიანი, 2) სამკუთხედები ნაწილობრივ მართკუთხაა, ნაწილობრივ — ბლაგვეკუთხა, ნაწილობრივ მახვილკუთხა.

გაყოფითი მსჯელობის სუბიექტში იგულისხმება ერთეული საგანი, გამყოფ მსჯელობის სუბიექტში საგანთა კლასი; კავშირი „ან“ არ არის აუცილებლად დამახასიათებელი გამყოფი მსჯელობისათვის: ამ შემთხვევაში კავშირი „ან“ არ არის სანდო ნიშანი. გამყოფ მსჯელობაში შემადგენელი მსჯელობები შეიძლება იყოს დაკავშირებული კავშირებით „ან“, „და“, მაგალითად, „ხეები ან ფოთლოვანია, ან წიწვიანი“, „ხეები ფოთლოვანია და წიწვიანია“.

6. მსჯელობათა კლასიფიკაცია თანამედროვე ბურჟუაზიულ ლოგიკაში. ლოგიკის თანამედროვე სახელმძღვანელოებში, რომლებიც გამოსულია ამერიკასა და ინგლისში, მსჯელობათა თავისებური კლასიფიკა-

ცია არის მოცემული, რომელსაც „ახალ კლასიფიკაციას“ (modern classification) უწოდებენ. საჭიროა ამ კლასიფიკაციის გათვალისწინება და შეფასება.

ამ კლასიფიკაციის მიხედვით მსჯელობები იყოფა სამ კლასად: 1) რთულ, 2) მარტივ და 3) ზოგად მსჯელობებად. 1) რთულია ყველა ის მსჯელობა, რომელიც შეიცავს სხვა მსჯელობებს როგორც კომპონენტებს. რთული მსჯელობის ოთხი სახე არსებობს: იმპლიკაციური, ალტერნატიული, კონიუნქციური და დისიუნქტიური.

ა) იმპლიკაციური მსჯელობა. ორი მსჯელობა, დაკავშირებული „თუ მაშინ“ კავშირით, იმპლიკაციური მსჯელობაა. გარეგნულად ეს მსჯელობა პირობითს ჰგავს, მაგრამ აქ — როგორც წესი — შემადგენელი მსჯელობები არ არის დაკავშირებული საფუძვლისა და შედეგის კავშირით. პირველ მსჯელობას წინამავალი (ანტეცედენტი) ეწოდება, მეორეს — შემდგომი (კონსეკვენტი). იმპლიკაციური მსჯელობის ჰეშმარიტება მდგომარეობს არა ცალკე კომპონენტის ჰეშმარიტებაში, არამედ იმაში, რომ წინამავალი არ შეიძლება იყოს ჰეშმარიტი, თუ შემდგომი არ არის ჰეშმარიტი. „თუ მაშინ“ კავშირით ვაკავშირებთ ყოველგვარი შინაარსის მსჯელობებს, თუნდაც მათ ერთმანეთთან არავითარი კავშირი შინაარსის მიხედვით არ ჰქონდეთ, მაგალითად, „თუ $2 \cdot 2 = 4$, ნიუ-იორკი დიდი ქალაქია“.

იმპლიკაციური მსჯელობა მხოლოდ მაშინ არის მცდარი, თუ წინამავალი ჰეშმარიტია და შემდგომი მცდარია. მსჯელობებიდან:

1. თუ $2 \cdot 2 = 4$, მაშინ თოვლი თეთრია
2. თუ $2 \cdot 2 = 5$, მაშინ თოვლი შავია
3. თუ $2 \cdot 2 = 5$, მაშინ თოვლი თეთრია
4. თუ $2 \cdot 2 = 4$, მაშინ თოვლი შავია.

პირველი სამი მსჯელობა ჰეშმარიტია, ხოლო მეოთხე მცდარია.

თუ აღვნიშნავთ წინამავალს p ასოთი, შემდგომს q ასოთი, ხოლო იმპლიკაციას სიმბოლოთი \supset , იმპლიკაციური მსჯელობა ასე დაიწერება: $p \supset q$. შეიძლება შევადგინოთ ამ მსჯელობის ჰეშმარიტებისა და მცდარობის ცხრილი:

p	q	$p \supset q$
ჰ	ჰ	ჰ
მ	მ	ჰ
მ	ჰ	ჰ
ჰ	მ	მ

ჰ — ჰეშმარიტი
 მ — მცდარი

b) ალტერნატიული მსჯელობა. ორი მსჯელობა, დაკავშირებულ „ან“ კავშირით, ალტერნატიული მსჯელობაა. შემადგენელ მსჯელობებს ალტერნატიები ეწოდება. ალტერნატიული მსჯელობა ჰემმარიტია, თუ ერთი ალტერნატი მაინც ჰემმარიტია, მაგრამ შესაძლებელია ორივე იყოს ჰემმარიტი. ალტერნაციის ნიშანი არის სიმბოლო v ; ამიტომ ალტერნატიული მსჯელობა ასე გამოიხატება: $p \vee q$. შეიძლება შევადგინოთ ამ მსჯელობის ჰემმარიტებისა და მცდარობის ცხრილი:

p	q	$p \vee q$
ჰ	ჰ	ჰ
ჰ	მ	ჰ
მ	ჰ	ჰ
მ	მ	მ

15

ალტერნატიული მსჯელობა მცდარია, თუ ორივე ალტერნატი მცდარია

c) კონიუნქციური მსჯელობა. კონიუნქციურ მსჯელობაში შემადგენელი მსჯელობები დაკავშირებულია „და“ კავშირით. შემადგენელ მსჯელობებს კონიუნქტები ეწოდება. კონიუნქტების შინაარსი შეიძლება ერთმანეთთან სრულიად არ იყოს დაკავშირებული, მაგალითად, „მთვარე სავსეა და ვენერა დილის ვარსკვლავია“ ანდა „ $2 \cdot 2 = 4$ და ღლეჯკარგი ღარია“. ეს მსჯელობა ჰემმარიტია, თუ ორივე კონიუნქტი ჰემმარიტია. „და“ კავშირის სიმბოლო წერტილია (\cdot). მსჯელობა ასე დამწერება: $p \cdot q$. ჰემმარიტებისა და მცდარობის ცხრილი:

p	q	$p \cdot q$
ჰ	ჰ	ჰ
ჰ	მ	მ
მ	ჰ	მ
მ	მ	მ

16

d) დისიუნქტიური მსჯელობა. დისიუნქტიური მსჯელობა მიღებულია კონიუნქციურის უარყოფის საფუძველზე. მის კომპონენტებს დისიუნქტები ეწოდება. რადგან კონიუნქციური მსჯელობა ადასტურებს ორივე კონიუნქტის ჰემმარიტებას, მისი უარყოფა ასეთი უნდა იყოს:

ყოველ შემთხვევაში ერთი დისიუნქტაგანი მცდარია, ორივე დისიუნქტი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი.

მივაქციოთ ყურადღება იმპლიკაციურსა (p_q) და კონიუნქციურ (p·q) მსჯელობებს, ვნახოთ, როგორ გამოხატავენ მათ გაშლილი სახით. ავიღოთ ჩვეულებრივი მსჯელობა: „თუ რკინა გავატებთ, ის გაფართოვდება“. ამ იმპლიკაციურ მსჯელობას ასე გამოხატავენ: (რკინა გავატებთ) \supset (რკინა გაფართოვდა). რაც შეეხება კონიუნქციურ მსჯელობას „მთვარე სავსეა და ვენერა დილის ვარსკვლავია“, მისი სახე ასეთი იქნება: (მთვარე სავსეა). (ვენერა დილის ვარსკვლავია).

2) მარტივი მსჯელობა სამი სახისაა: 1) საგნისა და მისი თვისების გამოხატველი, 2) კლასის წევრობის გამოხატველი და 3) ორ საგანს (ყოველ შემთხვევაში ორ საგანს) შორის კავშირის გამოხატველი მსჯელობა.

3) ზოგადი მსჯელობები. მსჯელობა „ყველა მათემატიკოსი გამოცდილი ლოგიკოსია“ არ არის მსჯელობა სუბიექტ-პრედიკატული ტიპის: ის არ მიაწერს პრედიკატს რომელიმე ინდივიდს, არ დაადგენს მიმართებას ერთი საგნისა მეორესთან, არც იმას გამოხატავს, რომ საგანი არის კლასის წევრი. აქ დადგენილია სპეციფიკური მიმართება, — ინკლუზიის (შეტანის) მიმართება — ორ კლასს შორის. მსჯელობას, რომელსაც საქმე აქვს მთლიან ან ნაწილობრივ ინკლუზიასთან (ექსკლუზიასთან) ერთი კლასისა მეორეში, ზოგადი მსჯელობა (general proposition) ეწოდება.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის აზრი შემდეგია: თუ რომელიმე ინდივიდი მათემატიკოსია, ის აგრეთვე გამოცდილი ლოგიკოსია. ჩვენ აქ იმპლიკაციასთან გვაქვს საქმე და ამ მხრივ ეს მსჯელობა ანალოგიურია რთული მსჯელობისა. ზოგადი მსჯელობა ორი სახისაა: უნივერსალური და კერძობითი. უნივერსალურის მაგალითი: „ყველა ადამიანი მოკვდავია“; კერძობითის მაგალითი: „ზოგიერთი ადამიანი თეთრკანიანია“. უნივერსალურში არ იგულისხმება საგანთა არსებობა; უნივერსალურის აზრი ნამდვილად ასეთია: უკვდავი ადამიანები არ არსებობენ და არა ის, რომ ადამიანები არსებობენ და ისინი მოკვდავნი არიან. კერძობითის აზრი ასეთია: არსებობენ თეთრკანიანი ადამიანები. გამოვხატოთ a, e, i და o მსჯელობები ამ თვალსაზრისის მიხედვით:

1. ყველა ადამიანი მოკვდავია: [ყველა x-სათვის (x ადამიანია) \supset (x მოკვდავია)]

2. არც ერთი ადამიანი არ არის მოკვდავი: [(ყველა x-სათვის (x ადამიანია) \supset (x მოკვდავია)']

ხიშანი „'“ გამოხატავს: „მცდარია“. ამიტომ მსჯელობა წაიკითხება ასე: ყველა x-სათვის, თუ x ადამიანია, მცდარია, რომ x მოკვდავია.

3. ზოგიერთი ადამიანი თეთრკანიანია: (არსებობს ისეთი x , რომ $(x$ ადამიანია) \cdot (x თეთრკანიანია)

4. ზოგიერთი ადამიანი არ არის თეთრკანიანი (არსებობს ისეთი x , რომ $(x$ ადამიანია) \cdot (x თეთრკანიანია)'

ასეთია ე. წ. „თანამედროვე“ კლასიფიკაცია. რა ნაკლი ახასიათებს ამ კლასიფიკაციას?

1) იმისდა მიუხედავად, რომ ამ კლასიფიკაციის ავტორები ყოველთვის სვამენ საკითხს მსჯელობის ჭეშმარიტების შესახებ, ისინი ან გვერდს უხვევენ ჭეშმარიტების ცნების განსაზღვრებას, აღნიშნავენ რა, რომ ამ ცნების განსაზღვრება ძალიან რთულია; ყოველ შემთხვევაში, მათი თვალსაზრისით, ჭეშმარიტება სინამდვილის ასახვას არ წარმოადგენს, ანდა ჭეშმარიტება მათთვის მხოლოდ ფორმალურ გამომდინარეობას წარმოადგენს. ფორმალისტური ხასიათი მთელი ამ თვალსაზრისის მხოლოდ იმაში კი არ ჩანს, რომ ამ ლოგიკოსებს არ აინტერესებთ მსჯელობის დამოკიდებულების საკითხი სინამდვილისადმი — ამ საკითხს ისინი არ სვამენ, ხოლო ზოგიერთი მათგანი მას უმართებულო, მეტაფიზიკურ საკითხად თვლის — ეს მხოლოდ ამ ფორმალიზმის საყრდენია; ფორმალიზმი მთელ მათ მოძღვრებას ახასიათებს.

2) მსჯელობათა მთელი რიგი სახეების . ამ კლასიფიკაციაში სრულიად არ არის გათვალისწინებული.

3) იმპლიკაციურ მსჯელობებს აქვს გარკვეული აზრი; ჩვენ ზშირად ვხმარობთ ამგვარ მსჯელობებს, მაგალითად, „თუ დალეხი არის მშვიდობის მომხრე, მაშინ $2 \cdot 2 = 5$ “; ეს მსჯელობა ჭეშმარიტია იმისდა მიუხედავად, რომ შემადგენელი მსჯელობები მცდარია; გარკვეული მიზნებისათვის და გარკვეულ დარგში ამ სახის მსჯელობების გამოყენება თუ შესაძლებელია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პირობითი მსჯელობა — საფუძვლისა და შედეგის კავშირის გამომხატველი მსჯელობა — ერთი ფორმალური ნიშნის მსგავსების გამო იმპლიკაციური ხასიათის იყოს. საქმე ის არის, რომ იმპლიკაციურში ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მსჯელობის ჭეშმარიტება-მცდარობის შედარებასთან გვაქვს საქმე: რამდენადაც ერთია ჭეშმარიტი, იმდენად მეორეა ჭეშმარიტი. პირობითში კი საქმე გვაქვს ორ მსჯელობასთან, რომელნიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საფუძვლისა და შედეგის კავშირით.

4) იმ სახის ერთეული მსჯელობა, რომელშიც გამოთქმულია აზრი, რომ ერთი საგანი შედის კლასში, მაგალითად, „სოკრატე ადამიანია“, „ივანე კომუნისტური პარტიის წევრია“ და სხვ. ყველა შემთხვევაში კლასის წევრობის მსჯელობად არის გამოცხადებული. საგანთა კლასს ჩვენ ვადგენთ რაიმე ნიშნის საფუძველზე, რომელიც კლასის ყველა საგანს ახასიათებს. თუ ადამიანს ახასიათებს იარაღების კეთების უნარი, ეს უნარი პეტრესაც როგორც ადამიანს დაახასიათებს; თუ ადამიანს

ახასიათებს მოკვდავობა, სოკრატესაც, როგორც ადამიანს, ის დაახასიათებს, მაგრამ საგანთა კლასი შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ერთიანი მთლიანი, როგორც ერთი საგანი. ამ შემთხვევაში, გასაგებია ის, რომ რაც კლასს, როგორც ერთ საგანს ახასიათებს, ის შეიძლება არ ახასიათებდეს კლასის წევრს. მაგალითად, კომუნისტური პარტიის ნიშანი „მუშათა კლასის მოწინავე რაზმი“ ცხადია არ ახასიათებს ივანეს როგორც პარტიის წევრს. ერთეული მსჯელობა მხოლოდ ამ შემთხვევაშია კლასის წევრობის მსჯელობა და არა ყველა შემთხვევაში.

5) კლასიფიკაციის საფუძვლის შესახებ. თუ მსჯელობები გაყოფილია მარტივზე და რთულზე, შეუძლებელია ამის შემდეგ მესამე კლასის გამოყოფა ზოგადი მსჯელობების სახით: ზოგადი მსჯელობა, რა სახისაც უნდა იყოს ის, ან რთული იქნება ან მარტივი. ზოგიერთი ლოგიკოსი არ მალავს ამას და აღიარებს, რომ ზოგადი მსჯელობა „ანალოგიურია“ რთული მსჯელობის¹. და, მართლაც, ზემოთ მოყვანილი a, e, i და o მსჯელობების ინტერპრეტაციიდან ჩანს, რომ უნივერსალური მსჯელობა იმპლიკაციურის ხასიათს იღებს, ხოლო კერძობითი — კონიუნქციურის.

მაგრამ საქმე უფრო რთულია, ვიდრე ეს მოჩანს. ეს მსჯელობები ინკლუზიის (ექსკლუზიის) მსჯელობებია, ე. ი. საგანთა კლასის საგანთა კლასში შეტანის (გამორიცხვის) მსჯელობებია². ეს მარტივი მსჯელობები ხელოვნური ინტერპრეტაციით გართულებულია და, საბოლოოდ, ამ კლასიფიკაციის მიმდევრებმა თვითონ აღარ იციან, სად მოათავსონ ე. წ. ზოგადი მსჯელობები. თუ ერთნი ამ მსჯელობებს — კლასიფიკაციის საერთო პრინციპების საწინააღმდეგოდ — ცალკე კლასად გამოყოფენ, და მერე — ლოგიკის — პრინციპების საწინააღმდეგოდ — ისევ რთულ მსჯელობებად მონათლავენ³, მეორენი ცდილობენ ამ ულოგიკობას თავი დააღწიონ.

S. Stebbing-ის მიხედვით მსჯელობა „ყველა კვადრატი მართკუთხაა“ გამოთქვამს აზრს: თუ რაიმე საგანს აქვს ნიშანი „კვადრატობისა“, მას აქვს აგრეთვე ნიშანი „მართკუთხობისა“. ამ მსჯელობაში დაკავშირებულია ორი ნიშანი. ეს ნიშნები განხილულია საგნის გარეშე, ამიტომ ამ მსჯელობას არა აქვს სუბიექტ-პრედიკატული ხასიათი. მსჯელობაში „სოკრატე ბრძენია“ ნიშანი ბრძენის ახასიათებს საგანს — სოკრატეს; მსჯელობაში „ვინც ბრძენია, ის კეთილია“ ჩვენ არ ვფიქრობთ იმაზე, არის თუ არა ვინმე ბრძენი სინამდვილეში. ამიტომ ამ მსჯელობის გამოთქმა იმპლიკაციურ ფორმაში შეიძლება: „თუ ვინმე არის

¹ Cohen and Nagel, Logic, გვ. 51.

² იქვე, გვ. 50.

³ იქვე, გვ. 61.

ბრძენი, ის არის კეთილი“, მაგრამ ამ მსჯელობის პირველი ნაწილი „თუ ვინმე არის ბრძენი“ მსჯელობა კი არ არის, არამედ გამოთქმა, ამიტომ აქ ორი მსჯელობის კავშირი არა გვაქვს, ე. ი. ეს მსჯელობა იმპლიკაციური არ ყოფილა¹.

თქმა იმისა, რომ მსჯელობის პირველი ნაწილი მსჯელობა კი არ არის, არამედ გამოთქმა, არ შეეფერება სიმართლეს; პირველი ნაწილი ნამდვილი მსჯელობაა; ამიტომ მოცემული მსჯელობის ფორმა იმპლიკაციურია და ამიტომ იგი რთული მსჯელობაა. ესეც რომ არ იყოს Stebbing-ი კერძობით მსჯელობას ველარას უშველის, რადგან მისი ინტერპრეტაციითაც ის კონიუნქციური სახისაა, ე. ი. რთულია.

თუ „ზოგადი“ მსჯელობა თვისების, ნიშნების ლოგიკურ კავშირზე გამოთქვამს აზრს, ის ნამდვილი სახის პირობითი მსჯელობაა. თუ ის ნამდვილად ზოგადია, მაშინ ის საგანთა, მოვლენათა არსებაზე გამოთქვამს აზრს. ამ კლასიფიკაციის ავტორები ნომინალიზმის თვალსაზრისზე დგანან: მათთვის სუბიექტ-პრედიკატული ტიპის მსჯელობა, როგორც ჩანს, ყოველთვის ერთეული მსჯელობაა, მათთვის „სუბიექტი“ ყოველთვის ერთეულია, რადგან ზოგადი არ არსებობს, ზოგადი არ არის საგანი, რომლის შესახებ შეიძლება გამოითქვას აზრი.

მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ამ ლოგიკოსებს აქ მოელით. ზოგადი არ არსებობს; ზოგადზე არ გამოითქმება მსჯელობა. ე. წ. ზოგადი მსჯელობა არის ერთეულ მსჯელობათა ჯამი; ეს არის სწორედ ის, რასაც რასელმა გენერალიზაცია უწოდა და მის შემდეგ ლოგიკის სახელმძღვანელოებში ზოგადი მსჯელობების (general) სახით შევიდა. ეს ზოგადი მსჯელობა მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტი, როდესაც დასაბუთებულია მასში შემავალი ყველა ერთეული მსჯელობა. მაგრამ საგანთა რიცხვის განუსაზღვრელობის გამო ნამდვილად ზოგადი მსჯელობის ჭეშმარიტების დასაბუთება შეუძლებელია. ამიტომ ზოგადი მსჯელობა სრულიადაც არ არის მსჯელობა, რადგან მას მსჯელობის ძირითადი ნიშანი აკლია, ჭეშმარიტების ან მცდარობის ნიშანი.

ამრიგად, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ღირებული შემეცნებისათვის მსჯელობები მთლად განდევნილია, არსებითად მეცნიერებიდან.

¹ Stebbing, A modern introduction to logic, გვ. 43—44.

1. დასკვნის განსაზღვრება. აღნიშნული იყო, რომ ცოდნა ორგვარა შეიძლება იყოს: უშუალო და შუალობითი. ცოდნა, რომელიც გამოთქმულია ასეთ მსჯელობებში, როგორც, მაგალითად, „დღეს ცუდი დარია“, „ეს ვარდი წითელია“, „პეტრე ზის პაულეს გვერდით“ და სხვ. უშუალოა. უშუალოა ეს ცოდნა იმ აზრით, რომ ამ მსჯელობათა ქეშმარიტებაში ჩვენ ვრწმუნდებით აღქმის საშუალებით. ჩვენ არ გვიხდება ამ მსჯელობათა დასაბუთება, ე. ი. სხვა მსჯელობების დახმარება დასახელებულ მსჯელობათა გამართლებისათვის. ჩვენ მივუთითებთ მსმენელს მსჯელობის საგანზე და მისთვის საკმარისია ამ საგნის აღქმა, რომ დარწმუნდეს მსჯელობის ქეშმარიტებაში.

აღნიშნული იყო ისიც, რომ ამ ცოდნის უშუალობა შეფარდებითია: აბსოლუტურად უშუალო ცოდნა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს: თვითონ აღქმაც პრაქტიკით არის გაშუალებული, გაშუალებულია კაცობრიობის მთელი ისტორიით. გრძნობის ორგანოები, — წერდა მარქსი, — მსოფლიო ისტორიის შედეგია.

ამრიგად, უშუალო ცოდნის ცნებაში ჩვენ ვგულისხმობთ აღქმებით შეძენილ ცოდნას განსხვავებით დასკვნის საშუალებით მიღებულ ცოდნისაგან, განსხვავებით იმ ცოდნისაგან, რომელიც გაშუალებულია ჩვენს განკარგულებაში მყოფი ცოდნით.

ასე, მაგალითად, იმის ცოდნა, რომ სამკუთხედის კუთხეების ჯამი ორი სწორი კუთხის ტოლია, არ არის უშუალო, რადგან ვერავითარი აღქმა ამ ცოდნას ვერ მოგვცემს; ეს ცოდნა გაშუალებულია იმ ცოდნით, რომელიც ჩვენ უკვე გავაჩნია და რომლისაგან იგი გამომდინარეობს. ის ცოდნა, რომელიც ჩვენ გვაქვს კომუნიზმის ერთ ქვეყანაში აშენების შესაძლებლობის შესახებ, ანდა იმის შესახებ, რომ ენა არ არის ზედნაშენი და ამიტომ არ არის კლასობრივი, არ არის უშუალო: ვერავითარი ცოცხალი განჭვრეტა ვერ დაგვარწმუნებს ჩვენ ამ მსჯელობათა ქეშმარიტებაში; ეს მსჯელობები დასაბუთებას, გამართლებას მოითხოვენ: ფაქტების მთელი რიგი უნდა იყოს შესწავლილი, გაანალიზებული, უნდა იყოს შესწავლილი ენის ისტორია და მისი არსება

და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ ენის არაკლასობრიობის, მისი არაზედნაშენური ხასიათის შესახებ.

შუალობითი ცოდნა სინამდვილის ადეკვატური ასახვაა, მაგრამ არა უშუალო, არამედ დასკვნის მრავალგვარი ფორმის საშუალებით.

დასკვნა აზროვნების ისეთი ფორმაა, რომლის საშუალებით, იმ ცოდნის საფუძველზე, რომელიც უკვე არსებობს ჩვენს განკარგულებაში, მივიღებთ დანასკვის სახით ახალ ცოდნას.

რადგან ის ცოდნაც, რომელიც ჩვენს განკარგულებაში უკვე არსებობს, და ის ცოდნაც, რომელიც დანასკვის სახით მიიღება, მსჯელობებში გამოიხატება, ამიტომ დასკვნა იღებს ყოველთვის მსჯელობათა კავშირის სახეს, რომელშიც ერთი ან რამდენიმე მსჯელობიდან აუცილებლობით ახალი მსჯელობა გამომდინარეობს.

მოცემული განსაზღვრება გვიჩვენებს, რამდენად განსხვავდება აზროვნების ეს ფორმა ცნებისა და მსჯელობისაგან. საქმე ის არის, რომ ცოდნა ყოველთვის მსჯელობებში გამოიხატება; არ არსებობს არც ერთი ჰემმარიტება, რომელიც მსჯელობაში არ გამოიხატებოდეს: ყოველი ჰემმარიტება, როგორც სინამდვილის ასახვა ადამიანის ცნობიერებაში, სულ ერთია, მიღებულია ის აღქმის საშუალებით თუ დასკვნის შედეგად, მსჯელობის ფორმაში გამოიხატება. შევიგარძნობთ ჩვენ სიცივეს თუ სითბოს, აღვიქვამთ წითელ ვარდს თუ მზის ამოსვლას და სხვ., ჩვენ გამოვთქვამთ ჩვენ ცოდნას მსჯელობის ფორმაში: „მცივა“, „ეს ვარდი წითელია“, „მზე ამოდის“ და სხვ. ვაკეთებთ დასკვნას, მაგალითად, „რკინა ლითონია, ლითონი ელექტრობას ატარებს, მაშ, რკინაც ელექტრობას ატარებს“, აქაც ჩვენი ცოდნა, წანამძღვრებში და დანასკვაში მოცემული, მსჯელობების ფორმაშია გამოთქმული.

რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ მთელი თეორია, შეხედულებათა სისტემა, რომელშიც ერთი ჰემმარიტება მეორესთან არის დაკავშირებული, ერთი მეორედან გამომდინარეობს, დასაბუთების რთული პროცესი არის წარმოებული, ერთ მსჯელობაში გამოიხატება, არამედ იმის, რომ ყოველი თვითი ჰემმარიტება მსჯელობაში გამოითქმება. ცნებაც ხომ შეიცავს ცოდნას? რასაკვირველია, შეიცავს, ისიც გამოხატავს ჰემმარიტებას და ეს იმიტომ, რომ ცნება დამუშავებული, „კონდენსირებული“, შეკუმშული მსჯელობაა. როგორც აზრი არ შეიძლება არსებობდეს სიტყვის გარეშე, „ენობრივი ბაზისის“ გარეშე, ისე ცნება არ არსებობს მსჯელობის გარეშე: ცნების სინამდვილე მხოლოდ მსჯელობაშია.

ამიტომ ჰემმარიტებისა და მცდარობის ნიშანი მათი სრული მნიშვნელობით მხოლოდ მსჯელობას (და ამიტომ ცნებას) ახასიათებს.

ამ მხრივ დასკვნას თავისებური ხასიათი აქვს: დასკვნა აზრის ფორმაა, რომლის საშუალებით მოცემული ცოდნიდან ახალი ცოდნა

გამოიყვანება. თვითონ დასკვნა ლოგიკური ხერხია, გარკვეული ფორმაა, რომელიც შეიძლება სწორი იყოს ან მცდარი. როგორც ანალიზი და სინთეზი არის ლოგიკური ოპერაცია და მისი შედეგი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, თვითონ კი შეიძლება იყოს ან სწორი ან, არასწორი (მცდარი), ისე დასკვნაც.

სიტყვა „მცდარი“ ორი აზრით იხმარება: მცდარია აზრი, რომელიც სინამდვილეს არ ასახავს, მას ამახინჯებს; მცდარია (არასწორია) აზრთა კავშირი, რომელშიც მიღებული დანასკვი არ გამომდინარეობს წინამძღვრებიდან, თუნდაც წინამძღვრებიც და დანასკვიც ჭეშმარიტნი იყვნენ. მაგალითად, დასკვნა:

ზოგიერთი მარლი იხსნება წყალში
შაბიამანი მარლია

შაბიამანი იხსნება წყალში

მცდარია იმისდა მიუხედავად, რომ წინამძღვრებიც და დასკვნითი მსჯელობა ჭეშმარიტია.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დასკვნის ფორმები სინამდვილისაგან მოწყვეტილია და სინამდვილის ფორმებით არ არის განსაზღვრული. როგორც ანალიზი განსაზღვრულია საგნის ნამდვილი შედგენილობით, სახელდობრ, იმით, რომ საგანი შედგება ცალკეული ელემენტებისაგან, მხარეებისაგან, რომლებზედაც იგი შეიძლება დაიშალოს, ისე დასკვნის ფორმაც განსაზღვრულია საგანთა კავშირების ფორმებით; ეს უკანასკნელნი განსაზღვრავენ აზრთა კავშირის ფორმებს.

დასკვნა, ე. ი. მსჯელობათა კავშირის ფორმა, რომელშიც ერთი მსჯელობა აუცილებლობით გამომდინარეობს სხვა მსჯელობათაგან, სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი საგანთა და მოვლენათა კავშირის ფორმას ასახავს. აღნიშნული იყო, რომ გამომდინარეობას აუცილებელი, ობიექტური ხასიათი აქვს, ხოლო აზრთა აუცილებლობა, მათი აუცილებელი კავშირი სხვა ვერაფრით ვერ აიხსნება, გარდა ობიექტური აუცილებლობისა.

მაგრამ რა შინაარსს ჩავდებთ ამ ფორმაში, ეს უკვე ხშირად ჩვენზეა დამოკიდებული: ეს შინაარსი არის წინამძღვრებში გამოთქმული აზრი, ეს აზრები თავის მხრით განსაზღვრულნი არიან აღქმებით, საგანთა და მოვლენათა კონკრეტული კვლევის შედეგებით, მსოფლმხედველობით. ჭეშმარიტების მისაღწევად არ არის საკმარისი დასკვნის ფორმის გამოყენება. მისი კანონზომიერებისადმი დამორჩილება: ჭეშმარიტების მიღწევისათვის საჭიროა, რომ ამ კანონზომიერ ფორმაში ჭეშმარიტი შინაარსი იყოს მოქცეული, მხოლოდ ამ გზით შეიძლება მივიღოთ აუცილებლობით ახალი ჭეშმარიტება.

საგანთა და მოვლენათა კავშირი ხშირად არა გვაქვს ჩვენ უშუალოდ

მოცემული; ამიტომ ჩვენ გვიხდება ამ კავშირის დასადგენად მივმართოთ გამაშუალებელ მოვლენას, გამაშუალებელ რგოლს (ან რგოლებს); ეს გამაშუალებელი რგოლი ხშირად არც არის აუცილებელი თვითონ საგანთა კავშირისათვის, იგი ჩვენთვის არის საჭირო.

დავუშვათ, რომ სინამდვილეში A და B მოვლენა გარკვეული კავშირით არის დაკავშირებული და ეს კავშირი ჩვენ უშუალოდ არა გვაქვს მოცემული. იმისათვის, რომ აღმოვაჩინოთ ეს კავშირი, ჩვენ გვიხდება გამაშუალებელი რგოლის, მაგალითად, C-ს აღმოჩენა და ამ C-ს საშუალებით დავადგენთ კავშირს A-სა და B-ს შორის. სინამდვილეში ხშირად A და B უშუალოდ დაკავშირებულია და მათი კავშირისათვის სრულიად არ არის საჭირო C-ს არსებობა. A C-ზე მაღალია და C B-ზე მაღალია; ჩვენ დავასკვნით, რომ A B-ზე მაღალია. A და B უშუალოდ რომ ყოფილიყო მოცემული, არავითარი დასკვნა არ დაგვჭირდებოდა, ჩვენ უშუალოდ დავინახავდით, რომ A B-ზე მაღალია. მაგრამ, რადგან A და B უშუალოდ არ გვქონდა მოცემული, ჩვენ დაგვჭირდა ისეთი C-ს გამოჩენა, რომელიც დაკავშირებულია A-სთან და B-სთან და ამ C-ს საშუალებით დავადგინეთ A-ს და B-ს დამოკიდებულება.

სამკუთხედის კუთხეების ჯამი ორი სწორი კუთხის ტოლია. ამ თეორემის ქეშმარიტება არ არის უშუალოდ მოცემული. ამიტომ, იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ ამ დებულების ქეშმარიტებაში, ჩვენ გამოვიყენებთ გამაშუალებელ რგოლთა მთელ რიგს, სახელდობრ, პარალელური ხაზების შესახებ თეორემას, შინაგან ჯვარედინად მდებარე კუთხეების ტოლობას, შესაბამისი კუთხეების ტოლობას და სხვ. და ამით გავაშუალებთ მოცემულ კავშირს ქეშმარიტების დასადგენად.

მიზიდულობის კანონის მიხედვით სხეულები მიიზიდებიან ერთმანეთისადმი ძალით, რომელიც მათი მასების პროპორციულია და მათ შორის მანძილის კვადრატის უკუპროპორციულია. არც ამ დებულების ქეშმარიტება არის მოცემული უშუალოდ; აქაც ჩვენ ვეძებთ საშუალო რგოლებს, დავაყენებთ ცდებს, დავაკავშირებთ მსჯელობებს და ბოლოს დავრწმუნდებით ამ დებულების ქეშმარიტებაში.

ეს გამაშუალებელი რგოლები, რასაკვირველია, სინამდვილიდან არის აღებული, მაგრამ მოცემული კავშირისათვის ისინი ხშირად საჭირონი სრულიადაც არ არიან; ამ კავშირების არსებობას ხშირად სრულიად არ სჭირდება გამაშუალებელი რგოლი. მიზიდულობის კავშირს არ სჭირდება ეს გამაშუალებელი რგოლები; ისინი ჩვენ გვჭირდება ამ კავშირის აღმოსაჩენად, მისი დასაბუთებისათვის.

მოვიყვანოთ კიდევ მაგალითი. ვთქვათ, რეალურ სინამდვილეში A არ არის D. არავითარი საშუალო რგოლი სინამდვილეში არ არის საჭირო: A არ არის D; მაგრამ, რომ ეს ასეა, უშუალოდ ეს არ არის მოცე-

მული. როგორ შეგვიძლია დავრწმუნდეთ ჩვენ, რომ A-სა და D-ს შორის ასეთი მიმართება არსებობს?

ჩვენ შეგვიძლია მრავალი საშუალებით დავრწმუნდეთ ამაში, თუ გამოვხაავთ გამაშუალებელ რგოლებს, რომელთა საშუალებით დავაკავშირებთ მათ: 1) თუ აღმოვაჩინოთ საშუალო რგოლს B-ს და დავადგენთ, რომ A არის B, ხოლო D არ არის B; უფრო რთულად: 2) თუ აღმოვაჩინოთ, რომ A არის ან მხოლოდ B, ან მხოლოდ C და D კი არის ერთსა და იმავე დროს B-ც და C-ც; კიდევ უფრო რთულად: 3) თუ დავადგენთ, რომ A არის ან მხოლოდ B, ან მხოლოდ C, ხოლო D არის ერთდროულად B-ც და C-ც. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც D არის E; ამ შემთხვევაში D არ არის არც B და არც C.

აქაც, როგორც ვხედავთ, ისეთივე მდგომარეობაა: სინამდვილეში A და D-ს დამოკიდებულება უშუალოა: A არ არის D. ჩვენ გავაშუალებთ ეს დამოკიდებულება და ამით დავადგინებთ მათი უშუალო დამოკიდებულება.

თუ არ მივაქცევთ ამ გარემოებას სათანადო ყურადღებას, დასკვნის თავისებურება, მისი არსება გაუგებარი დარჩება ჩვენთვის: გაჩნდება მცდარი წარმოდგენა დასკვნის შესახებ, გაჩნდება მცდარი საკითხების მთელი რიგი, რომლებზედაც ბევრს კამათობენ ლოგიკაში. ერთ-ერთი ამ საკითხთაგანი არის საკითხი დასკვნის ანალიზური და სინთეზური ხასიათის შესახებ. ამ საკითხის ფორმულირება ასეთია: იგულისხმება დანასკვი წანამძღვრებში თუ დანასკვი წარმოდგენს რაღაც ახალს წანამძღვრებთან შედარებით. ეს მცდარად დაყენებული საკითხი მიგვიყვანს უცნაურ დასკვნამდე: ან დანასკვი იგულისხმება წანამძღვრებში და მაშინ დანასკვიში ახალი არაფერი არ არის, ის წანამძღვრების თავისებური განმეორებაა და ამიტომ დასკვნას არაერთარი შემეცნებითი ღირებულება არა აქვს; ან დანასკვი გვაძლევს რაღაც ახალს წანამძღვრებთან შედარებით და მაშინ გაუგებარია, როგორ ჩნდება დანასკვიში ისეთი რამ, რაც წანამძღვრებში არ ყოფილა ნაგულისხმევი.

საკითხი არ არის მართებულად დასმული და ამიტომ არც მართებულად არის გადაწყვეტილი.

1) ჭერ ერთი, ტერმინი „ახალი“ გამოთქმაში „გვაძლევს დანასკვი რაღაც ახალს წანამძღვრებთან შედარებით თუ არა“ არ არის ზუსტი შინაარსით ნახმარი. რას ნიშნავს „ახალი“ ამ შემთხვევაში: ფსიქოლოგიურად ახალი თუ ლოგიკური თვალსაზრისით ახალი. დანასკვი შესაძლებელია ფსიქოლოგიურად იმდენად „ახალი“ იყოს, რომ იგი მოულოდნელიც კი აღმოჩნდეს და შესაძლებელია დანასკვიში გამოთქმული აზრი ჩვენთვის კარგად ცნობილიც იყოს; ამისდა მიუხედავად ლოგიკურად მათ ერთნაირი ღირებულება აქვთ.

ილუსტრაციისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: ა) ცნობილი მაგალითი თეკერეის მოთხრობიდან: მოხუცი აბატი ნაცნობთა წრეში ამბობს: უცნაურ ამბებს გავიგებთ ხოლმე ჩვენ აბატები: მაგალითად, პირველი ადამიანი, ვინც ჩემთან აღსარებაზე მოვიდა, მკვლეელი აღმოჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შემოდის ცნობილი ლორდი, მიესალმება ყველას, შეამჩნევს აბატს და იტყვის: თქვენც აქ ხართ მამაო; იცით თქვენ, — მიმართავს ის დამსწრეთ, — მე ვიყავი პირველი მასთან აღსარებაზე. დასკვნა, რომელიც გააკეთეს ნაცნობებმა, რასაკვირველია, სრულიად მოულოდნელი იყო მათთვის; ბ) ცნობილი მაგალითი საათების შესახებ, სადაც დასკვნა ასევე მოულოდნელია: A ჰკითხავს B-ს: რომელი საათი ჯობია, ის, რომელიც წელიწადში მხოლოდ ერთხელ აჩვენებს სწორ დროს, თუ ის საათი, რომელიც დღეში ორჯერ აჩვენებს სწორ დროს? რასაკვირველია, მეორე, უპასუხებს B. რომელი საათი გირჩენიათ, საათი, რომელიც სულ გაჩერებულია, თუ საათი, რომელიც ერთი წუთით აგვიანებს დღეში, ჰკითხავს A. რასაკვირველია, მეორე, — უპასუხებს B. მარტივი მოფიქრება მიგვიყვანს დასკვნამდე: B თავის თავს ეწინააღმდეგება; საათი, რომელიც სულ გაჩერებულია, დღეში ორჯერ უჩვენებს სწორ დროს, ხოლო საათი, რომელიც ერთი წუთით აგვიანებს, სწორ დროს უჩვენებს მხოლოდ ერთხელ ორ წელიწადში (უფრო ზუსტად 720 დღეში).

დანასკვის ასეთი სიახლის მოულოდნელი ხასიათი ფსიქოლოგიურია და არა ლოგიკური. ლოგიკურად დანასკვის ასეთი სიახლე არაფრით არ განსხვავდება იმ დანასკვისაგან, რომელსაც აკეთებს, მაგალითად, გეომეტრიის მასწავლებელი, როდესაც ის მისთვის კარგად ცნობილ თეორემას ამტკიცებს გაკვეთილზე. მისთვის დანასკვი სრულიად არავითარ სიახლეს არ შეიცავს, მან ის დიდი ხანია კარგად იცის; მაგრამ დანასკვი ახალი აზრის შემცველია წანამძღვრებთან შედარებით.

2) საკითხის გადასაწყვეტად ავიღოთ დასკვნის მარტივი მაგალითი:

$$\begin{array}{l} A = B \\ B = C \\ \hline A = C \end{array}$$

თუ ჩვენ ვიმსჯელებთ ასე: „წანამძღვრებში დადგენილია სამი სიდიდის A, B და C-ს ტოლობა, ხოლო დანასკვაში ჩვენ დავადგენთ A-ს და C-ს ტოლობას“, რასაკვირველია, ასეთი დანასკვი არაფერს ახალს არ მოგვცემს: დანასკვაში განმეორებული იქნება ის, რაც მოცემულია წანამძღვრებში. მაგრამ ამ დასკვნის არსება ამაში როდი მდგომარეობს. ამ დასკვნის აზრი შემდეგია: მოცემულია ორი სიდიდე, A და C, რომელთა შორის დამოკიდებულება უნდა გამოირკვეს. A-სა და C-ს შო-

რის მიმართება ცნობილი რომ ყოფილიყო, მაშინ დასკვნა ზედმეტო იქნებოდა. დასკვნას მივმართავთ ჩვენ იმიტომ, რომ A-სა და C-ს შორის მიმართება უშუალოდ მოცემული არ არის. იმისათვის, რომ ეს მიმართება დაეადგინოთ, ჩვენ მოვძებნით სხვა სიდიდეთა შორის ისეთს სიდიდეს B-ს, რომლის შესახებ ჩვენ ვიცით მისი A-სთან და C-სთან მიმართება. ამ გაშუალებული გზით ჩვენ აღმოვაჩინებთ იმ კავშირს, რომელიც A-სა და C-ს შორის არსებობდა სინამდვილეში — ყოველგვარი B-ს გარეშე, — მაგრამ, რომელიც ჩვენ უშუალოდ მოცემული არა გვქონდა.

ამასთან დაკავშირებით უნდა მივაქციოთ ყურადღება ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. დასკვნის ფორმა, ე. ი. აზრთა, მსჯელობათა გარკვეული კავშირის ფორმა განსაზღვრულია საგანთა და მოვლენათა კავშირის ფორმით; მაგრამ საგანთა და მოვლენათა კავშირის ფორმის ასახვა დასკვნით არ უნდა გავიგოთ, როგორც უშუალო, ფოტოგრაფიული ასახვა სინამდვილისა.

ჩერ ერთი, გამაშუალებელი რგოლი (ან რგოლები) S-სა და P-ს კავშირის დასადგენად ჩვენ გვჭირდება და სინამდვილის საგნებისათვის ეს რგოლი ხშირად სრულიადაც არ არის საჭირო. ასე, მაგალითად, A და C-ს ტოლობას სრულიადაც არ სჭირდება გამაშუალებელი B: A და C ტოლია არა იმიტომ, რომ B არსებობს და მათ ტოლობას აშუალებს, A და C ტოლია B-ს დახმარების გარეშე. მეორე: მოცემული გამაშუალებელი რგოლი არ არის დასკვნისათვის აუცილებელი, ის შეიძლება სხვაც ყოფილიყო. A და C-ს ტოლობისათვის არ არის აუცილებელი უსათუოდ B იყოს გამოძებნილი; ასეთი საშუალო შეიძლება D, E და სხვ. იყოს. რასაკვირველია, A და C-ს ტოლობისათვის გამაშუალებელი რგოლი საბოლოოდ მათი ტოლი უნდა იყოს. მაგრამ დასკვნებში ხშირად ეს რგოლები შეიძლება განსხვავებული იყოს; საჭიროა მხოლოდ, რომ ერთი კატეგორიის იყვნენ, რომ მათში იყოს ის ზოგადი, რომელიც შესაძლებლად ხდის მათ, როგორც საშუალო რგოლს. მაგალითად, ტრადიციულ მაგალითში სოკრატეს (S) მოკვდავობის (P) შესახებ S-სა და P-ს კავშირი გაშუალებულია „ადამიანის“ ცნებით, მაგრამ ეს კავშირი შეიძლება იყოს გაშუალებული „ცხოველის“ და „ორგანიზმის“ ცნებებითაც.

ორი მოვლენის კავშირის გაშუალებისათვის ლოგიკის ტერმინებში: S-სა და P-ს კავშირის გაშუალებისათვის — აუცილებელია არა ესა თუ ის კონკრეტული რგოლი, არამედ ის ზოგადი, რომელიც ამ კონკრეტულში გამოვლინდება. ამიტომ დასკვნა S-ისა და P-ს კავშირის შესახებ შეიძლება გავაშუალოთ განსხვავებული კონკრეტული რგოლებით და ამიტომ განსხვავებულ წანამძღვრებს შეუძლიათ მოგვცენ ერთი და იგივე დანასაკვი და ერთი და იგივე დღებულება შეიძლება დავამ-

ტიცოთ განსხვავებული გზით. მთავარია ის, რომ ამ კონკრეტულ რგოლებს ახასიათებდეს ის ზოგადი, რომელიც გვაძლევს საშუალებას S და P დავაკავშიროთ ისე, როგორც შესაბამი საგნები დაკავშირებულნი არიან სინამდვილეში.

2. დასკვნათა სახეები. კლასიკური ლოგიკა ჰყოფდა დასკვნებს ორ კლასად: უშუალო და შუალობით დასკვნებზე. განსხვავება მათ შორის მდგომარეობს წანამძღვართა რაოდენობაში: უშუალო დასკვნაში დასასკვი გამომდინარეობს ერთი წანამძღვრიდან, ხოლო შუალობით დასკვნაში ორი ან მეტი წანამძღვრიდან.

უშუალო დასკვნაში თავის მხრივ სახეთა მთელი რიგი იგულისხმება: უკუქცევა, გადაქცევა, პრედიკატისადმი დაპირისპირება და სხვ.: ხოლო შუალობით დასკვნაში კლასიკური ლოგიკა ორ ძირითად სახეს არჩევდა: დედუქციურსა და ინდუქციურს. განსხვავებას მათ შორის ის ხედავდა იმაში, რომ დედუქციურ დასკვნაში აზრი ზოგადიდან კერძოსაკენ მიდის, ხოლო ინდუქციურში პირიქით, კერძოდან ზოგადისაკენ.

დედუქციური და ინდუქციური დასკვნების თავისებურება და მათი განსხვავება ქვემოთ იქნება დაწვრილებით განხილული. ახლა კი გავარკვიოთ საკითხი უშუალო და შუალობითი დასკვნების შესახებ.

ზემოთ ჩვენ გავარკვიეთ დასკვნა, როგორც აზროვნების ფორმის თავისებურება. აღმოჩნდა, რომ ამ ფორმას მიემართავთ ჩვენ იმ შემთხვევაში, როდესაც საგანთა კავშირი და მიმართება უშუალოდ არ არის მოცემული. ამ კავშირის დასადგენად ჩვენ გამაშუალებელ რგოლს (რგოლებს) მივმართავთ. ხოლო თუ საგანთა შორის კავშირი, მიმართება უშუალოდ მოცემულია, მაშინ დასკვნა ზედმეტი ხდება. თუ $A > B$ და ეს უშუალოდ მოცემულია, დასკვნა აღარ არის საჭირო; თუ ის უშუალოდ მოცემული არ არის, მაშინ ვეძებთ ჩვენ საშუალო რგოლს (C-ს) და დასკვნას ავაგებთ:

$$\begin{array}{l} A > C \\ C > B \\ \hline A > B \end{array}$$

თავისებური მდგომარეობა გვაქვს უშუალო დასკვნაში. მიემართოთ უშუალო დასკვნის რომელიმე მაგალითს:

ყველა ძალდი ცხოველია

ზოგიერთი ცხოველი ძალდია

აქ ამ შემთხვევაში ირკვევა ორი საგნის — ცნებებში ასახულის — ძალდისა და ცხოველის დამოკიდებულება. აქ არავითარი საშუალო

რგოლი საჭირო არ არის: A-ს და B-სთან დამოკიდებულება გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ B-ს A-სთან დამოკიდებულება.

ლოგიკაში არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა უშუალო დასკვნა ნამდვილ დასკვნას. ზოგიერთი ლოგიკოსი იმ აზრისაა, რომ უშუალო დასკვნა ნამდვილ დასკვნას წარმოადგენს. კლასიკური ლოგიკა მას, როგორც ნამდვილ დასკვნას განიხილავდა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ უშუალო დასკვნა ნამდვილად დასკვნა კი არ არის, არამედ მსჯელობის გარდაქმნაა. და ბოლოს, ზოგიერთი ცდილობს საშუალო პოზიცია დაიცვას ამ დავაში და უშუალო დასკვნას ასე ახასიათებს: უშუალო დასკვნა არის დასკვნა მსჯელობის გარდაქმნის საშუალებით.

მესამე თვალსაზრისი არსებითად პირველ თვალსაზრისს ემთხვევა: საკითხი ეხება იმას, არის უშუალო დასკვნა ნამდვილი დასკვნა თუ არა; რაც შეეხება იმას, თუ რის საშუალებით ხდება იგი, ეს მეორე საკითხია, ხოლო დასმულ საკითხს მესამე თვალსაზრისი დადებითად უპასუხებს.

რა საბუთებია იმისათვის, რომ უშუალო დასკვნა არ ჩათვალოთ ნამდვილ დასკვნად და ის მხოლოდ მსჯელობის გარდაქმნად მივიჩნიოთ?

დასკვნა ახალ აზრს უნდა გვაძლევდეს დანასაკმეო; გვაძლევს თუ არა უშუალო დასკვნა ახალ აზრს დანასაკმის სახით? უშუალო დასკვნაში ერთი მსჯელობაა წინამძღვრის სახით. ამ მსჯელობიდან ვერაფერს ისეთს ვერ მივიღებთ, რაც ამ მსჯელობაში არ იგულისხმება. როგორც უნდა გარდაიქმნას მსჯელობა, რა ფორმაც უნდა მივცეთ მსჯელობას, ის თუ მსჯელობის აზრს არ დაამახინჩებს, გარდაქმნილი მსჯელობის აზრი უსათუოდ მოცემულ მსჯელობაში უნდა იგულისხმებოდეს. სხვა საქმეა, როდესაც ორი ან მეტი მსჯელობის კავშირიდან ჩვენ ახალ აზრს გამოვიტანთ: ერთ მსჯელობაში ერთი აზრია გამოთქმული, მეორეში — მეორე და სხვ. და ამ სხვადასხვა აზრებიდან, რომელნიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან, შეიძლება ერთი ახალი აზრი გამოვიტანოთ. მაგრამ ერთი მსჯელობიდან სხვა, მისგან განსხვავებული აზრის გამოტანა შეუძლებელია.

ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ყურადღება მივაქციოთ მსჯელობაში გამოთქმული აზრის ერთ მხარეს, ერთი ცნების შინაარსი წინ წამოვიწიოთ, ერთი ცნების მეორესთან ან მეორის პირველთან (და ასევე შესაბამისად მათ მიერ ასახული საგნების) მიმართება გავითვალისწინოთ, მაგრამ იმაზე მეტის თქმა, რაც მოცემულ მსჯელობაში არის ნაგულისხმევი, შეუძლებელია. უშუალო დასკვნის სხვადასხვა ფორმები უფრო ნათლად არკვევენ იმ მიმართებას ცნებათა შორის (და ამიტომ შესაბამე საგანთა შორის), რომელიც დადგენილია მოცემულ მსჯელობა-წინამძღვარში.

მეორე მხრივ, უშუალო დასკვნაში გამოთქმულია აზრი გარკვეულ საგანთა გარკვეული მიმართების შესახებ, ვთქვათ, A-სი B-სთან; მაგრამ მოცემულია უშუალოდ B-ს დამოკიდებულება A-სთან? ამისათვის უნდა მოვახდინოთ A და B ცნებების ანალიზი და ხშირად სხვა რაიმეც უნდა ვიგულისხმოთ გარდა იმისა, რაც მსჯელობა-წანამძღვარშა ნაგულისხმევი. მაგალითად, თუ A B-ს აღმოსავლეთით მდებარეობს, ცხადია, რომ B A-ს დასავლეთით იქნება. მაგრამ აქ ჩვენ ვგულისხმობთ გარკვეულ ცოდნას, მსჯელობას, სახელდობრ, რომ აღმოსავლეთის საწინააღმდეგო მიმართულება დასავლეთია. ჩვენ ამ ცოდნას იმდენად შეეჩვიეთ, რომ მას ყურადღებას არ ვაქცევთ, მას თავისთავად ცხადად ვგულისხმობთ. მთლად ზუსტად რომ ვიმსჯელოთ, ეს უშუალო დასკვნა შესაძლებელია შუალობითი აღმოჩნდეს.

გარდა ამისა, ე. წ. უშუალო დასკვნების დანასკვში ხშირად სხვა ცნებები მონაწილეობენ, ვიდრე წანამძღვარში. მაგალითად:

ყველა S არის P
 არც ერთი S არ არის არა P

ან:

ყველა ძალი ცხოველია
 არც ერთი ძალი არ არის არაცხოველი

P და არა P, ცხოველი და არაცხოველი განსხვავებული ცნებებია ისევე, როგორც (წინა მაგალითში) A-ს B-სთან მიმართება განსხვავებულია B-ს A-სთან მიმართებისაგან. ამიტომ მთლად უარყოფა იმისა, რომ უშუალო დასკვნის დანასკვში ახალი არაფერი არ არის წანამძღვრებთან შედარებით, შეუძლებელია. მართალია, ეს ახალი მოცემულის ფარგლებს ხშირად არ სცილდება, მოცემულის ანალიზით მიიღება, მაგრამ ხშირად სხვა რაიმეც არის ნაგულისხმევი, ვიდრე ის, რაც მოცემულია მსჯელობა-წანამძღვარში.

არც ის გამოდგება საბუთად, რომ უშუალო დასკვნა სულ მარტივია. მისი წარმოებისათვის თითქმის არ არის საჭირო აზრის დაქაბვა. სიმარტივე და სირთულე არ არის საზომი, რომელიც გაარკვევს იმას, ვაკვს ჩვენ საქმე დასკვნასთან თუ არა. შუალობითი დასკვნა:

ყველა ადამიანი მოკვდავია
სოკრატე ადამიანია
 სოკრატე მოკვდავია

გაცილებით ადვილი და გასაგებია, ვიდრე უშუალო დასკვნა.

ყველა ადამიანი მოკვდავია
 ზოგიერთი არაადამიანი არის არამოკვდავი

ფორმალურად მეორე მაგალითის სისწორის დადგენა გაცილებით უფრო რთულია.

განსხვავება შუალობითსა და უშუალო დასკვნებს შორის პირობითია. უშუალო დასკვნის ზოგიერთი ფორმა, მართლაც, დასკვნას არ წარმოადგენს; ზოგიერთი კი ნამდვილ შუალობით დასკვნას წარმოადგენს, რამდენადაც ჩვენ მოცემულ მსჯელობა-წანამძღვარს გარდა გარკვეულ ცოდნას ვეყრდნობით, რომელსაც არც ვაქცევთ ხშირად ყურადღებას, როგორც თავისთავად ცხადს.

1. საკითხის დასმისათვის. კლასიკურ ლოგიკაში მსჯელობათა დამოკიდებულების საკითხი ვიწროდ და ცალმხრივად იყო განხილული. ცალმხრივობა მართო იმაში კი არ გამოიხატებოდა, რომ კლასიკური ლოგიკა განიხილავდა მხოლოდ კატეგორიული მსჯელობის სახეებს, a, e, i და o-ს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას, არამედ იმაშიც, რომ მას მსჯელობათა დამოკიდებულების ცნების არსება არ ჰქონდა სწორად მოაზრებული. ამ საკითხის ტრადიციულ განხილვას მთელი რიგი ნაკლი ახასიათებდა.

a) კლასიკური ლოგიკა, როგორც აღვნიშნეთ, განიხილავდა a, e, i და o მსჯელობათა დამოკიდებულებას. ის არ აქცევდა სათანადო ყურადღებას სხვა სახის მსჯელობათა დამოკიდებულებას, მაგალითად, პირობით, გაყოფით, კონიუნქციური მსჯელობების ერთმანეთთან დამოკიდებულებას.

b) ის დამოკიდებულებანიც რომლებიც არსებობენ a, e, i და o-ს შორის, სრულად არ იყო ტრადიციულ ლოგიკაში გარკვეული. მეცნიერების წინსვლამ გვიჩვენა, რომ არსებობენ თავისებური დამოკიდებულებანი ამ ტიპის მსჯელობათა შორის, რომელნიც კლასიკურ ლოგიკას არ ჰქონდა გათვალისწინებული.

c) კლასიკურმა ლოგიკამ იცის კარგად დამოკიდებულება რომელიმე კატეგორიულ მსჯელობასა და მის უარყოფასთან, მაგრამ ძალიან მცირე ყურადღებას აქცევდა სხვა სახის მსჯელობების უარყოფას, მაგალითად, როგორია მსჯელობა, რომელიც პირობითის, გაყოფითის, კონიუნქციურის და სხვათა სახის მსჯელობის უარყოფას წარმოადგენს.

d) თვით დამოკიდებულების ცნება მსჯელობათა შორის არ იყო ძველ ლოგიკაში ბოლომდე მოაზრებული. საქმე ის არის, რომ მსჯელობათა დამოკიდებულების საკითხი არსებითად დასკვნის პრობლემას უკავშირდება. რას ნიშნავს მსჯელობათა ერთმანეთთან დამოკიდებულება?

არსებითად აქ საკითხი ისმება იმის შესახებ, გამომდინარეობს თუ

არა ერთი მსჯელობა მეორისაგან; არის თუ არა ერთი მსჯელობა იმავე აზრის გამომთქმელი, როგორც მეორე, — თუ ასეა, მაშინ არავითარ დასკვნასთან არა გვაქვს საქმე, — თუ ეს მეორე მსჯელობა გამოთქვამს პირველისაგან განსხვავებულ აზრს; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისევ პირველი საკითხი წამოიჭრება: გამომდინარეობს ეს განსხვავებული აზრის გამომთქმელი მსჯელობა პირველიდან, თუ მისგან დამოუკიდებელია. ეს საკითხები ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით შეიძლება გამოვხატოთ: რა დამოკიდებულებაა მსჯელობათა შორის ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით, როგორია მოცემული მსჯელობა ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით, თუ მეორე მსჯელობა ჭეშმარიტია ან მცდარია.

ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ჩვენ არა მხოლოდ იმ პრობლემას, რომელსაც კლასიკურ ლოგიკაში უშუალო დასკვნების პრობლემა ეწოდება, არამედ მთელ რიგ პრობლემებს, რომელნიც მსჯელობათა დამოკიდებულებას ეხებიან.

პირველ რიგში განვიხილავთ კლასიკური ლოგიკის მოძღვრებას მსჯელობათა დამოკიდებულების შესახებ ე. წ. „ლოგიკურ კვადრატში“.

2. კლასიკური ლოგიკის მოძღვრება მსჯელობათა დამოკიდებულების შესახებ. ლოგიკური კვადრატი. კატეგორიული მსჯელობის განხილვისას განასხვავებენ მსჯელობის ფორმასა და მასალას. მსჯელობის მასალაში იგულისხმება ის ცნებები, რომლებიც შედიან მსჯელობის შედგენილობაში, ხოლო ფორმაში იგულისხმება მსჯელობის თვისებრიობა და რაოდენობა. მაგალითად, მსჯელობებში „ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია“ და „ზოგიერთი ლითონი ელექტრობის გამტარია“ მასალა ერთი და იგივეა, ხოლო ფორმა განსხვავებული, რადგან ცნებები, რომლებიც შედიან მსჯელობის შედგენილობაში — „ლითონი“ და „ელექტრობის გამტარი“ = ერთი და იგივენი არიან, მაგრამ ეს მსჯელობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რაოდენობრივი ნიშნით.

ამ თვალსაზრისით a, e, i და o მსჯელობათა შორის შესაძლებელია შემდეგი დამოკიდებულებანი დავადგინოთ.


a) ზოგადი მსჯელობები, რომლებსაც ერთნაირი მასალა აქვთ და განსხვავდებიან მხოლოდ თვისებრიობით, ე. ი. მსჯელობები SaP და SeP; ამგვარ მსჯელობათა დამოკიდებულებას კონტრარული (დაპირისპირებული) ეწოდება. მაგალითი: „ყველა ლითონი ატარებს ელექტრობას“ და „არც ერთი ლითონი არ ატარებს ელექტრობას“.

b) კერძობითი მსჯელობები, რომლებსაც ერთნაირი მასალა აქვთ და განსხვავდებიან მხოლოდ თვისებრიობით, ე. ი. მსჯელობები SiP და SoP; დამოკიდებულებას SiP-სა და SoP-ს შორის ეწოდება სუბკონტრარული (ქვედაპირისპირებული). მაგალითი: „ზოგიერთი ლითონი მყარი სხეულია“ და „ზოგიერთი ლითონი არ არის მყარი სხეული“.

ც) მსჯელობები, რომლებსაც ერთნაირი მასალა აქვთ და განსხვავდებიან მხოლოდ რაოდენობით, ე. ი. მსჯელობები SaP და SiP ან SeP და SoP; ამგვარ დამოკიდებულებას ეწოდება დამაქვემდებარებელი და დაქვემდებარებული. მაგალითად, ორი მსჯელობიდან „ყველა ლითონი ატარებს ელექტრობას“ და „ზოგიერთი ლითონი ატარებს ელექტრობას“ პირველი მსჯელობა მეორის მიმართ დამაქვემდებარებელია, ხოლო მეორე პირველის მიმართ დაქვემდებარებული.

დ) მსჯელობები, რომლებსაც აქვთ ერთნაირი მასალა და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც თვისებრიობით, ისე რაოდენობით, ე. ი. მსჯელობები SaP და SoP ან SeP და SiP; ამგვარ მსჯელობათა დამოკიდებულებას კონტრადიქტორული ეწოდება. მაგალითი: „ყველა ლითონი მყარი სხეულია“ და „ზოგიერთი ლითონი არ არის მყარი სხეული“ ანდა კიდევ: „არც ერთი ლითონი არ არის თხიერი“ და „ზოგიერთი ლითონი თხიერია“.

მსჯელობათა შორის აღნიშნულ დამოკიდებულებებს ხშირად გამოხატავენ ე. წ. „ლოგიკური კვადრატის“ სახით.



3. მსჯელობათა ქეშმარიტებისა და მცდარობის პირობები „ლოგიკურ კვადრატში“. ზემოთ განხილული დამოკიდებულებანი იმდენად მარტივი და ნათელია, რომ ადვილად შეიძლება დავადგინოთ ერთი მსჯელობის ქეშმარიტება ან მცდარობა მეორე მსჯელობის ქეშმარიტებისა ან მცდარობის საფუძველზე.

განვიხილოთ a, e, i და o მსჯელობების დამოკიდებულება ამ თვალსაზრისით.

1) კონტრარული მსჯელობები (a და e). ორი მსჯელობიდან „ყველა ლითონი ატარებს ელექტრობას“ და „არც ერთი ლითონი არ ატარებს ელექტრობას“ ერთი მსჯელობის ჭეშმარიტება არის მეორის მცდარობის პირობა. ორივე მსჯელობა არ შეიძლება (ერთდროულად) ჭეშმარიტი იყოს, რადგან თუ პირველი მსჯელობა ჭეშმარიტია, მაშინ მეორე მსჯელობა უსათუოდ მცდარია. მაგრამ კონტრარული მსჯელობები შეიძლება ერთდროულად მცდარი იყოს; მაგალითად, ორივე ქვემოთ მოყვანილი მსჯელობა მცდარია: „ყველა ლითონი მყარი. სხეულია“ და „არც ერთი ლითონი არ არის მყარი სხეული“.

ამრიგად: a) ორი კონტრარული მსჯელობა შეუძლებელია ერთდროულად ჭეშმარიტი იყოს, მაგრამ შეიძლება ერთდროულად მცდარი იყოს:

b) ერთის ჭეშმარიტება არის პირობა მეორის მცდარობის, მაგრამ ერთის მცდარობა სრულიადაც არ არის მეორის ჭეშმარიტების პირობა.

2) კონტრადიქტორული მსჯელობები (a და o ან e და i). განვიხილოთ ორი კონტრადიქტორული მსჯელობა: „ყველა სტუდენტი სპორტსმენია“ და „ზოგიერთი სტუდენტი არ არის სპორტსმენი“. თუ ყველა სტუდენტს ახასიათებს გარკვეული ნიშანი, შეუძლებელია ეს ნიშანი არ ახასიათებდეს ზოგიერთ სტუდენტს. ამიტომ a-ს ჭეშმარიტება არის o-ს მცდარობის პირობა. მეორე მხრივ, თუ მცდარია მსჯელობა „ყველა სტუდენტი სპორტსმენია“, ცხადია მაშინ, რომ ჭეშმარიტი იქნება მსჯელობა „ზოგიერთი სტუდენტი სპორტსმენია“.

აქედან ნათელია: a) ორი კონტრადიქტორული მსჯელობა არ შეიძლება იყოს ერთდროულად ჭეშმარიტი ან ერთდროულად მცდარი; b) ერთის ჭეშმარიტება არის მეორის მცდარობის პირობა და ერთის მცდარობა არის მეორის ჭეშმარიტების პირობა.

3) დამაქვემდებარებელი და დაქვემდებარებული მსჯელობები (a და i ან e და o). ორი მსჯელობიდან — „ყველა ფიზიკულტურელი მზად არის შრომისა და თავდაცვისათვის“ და „ზოგიერთი ფიზიკულტურელი მზად არის შრომისა და თავდაცვისათვის“ — ზოგადი მსჯელობის ჭეშმარიტება არის კერძობითის ჭეშმარიტების პირობა, რადგან, თუ რაიმე ნიშანი ახასიათებს საგანთა მთელ კლასს, აღებულს დისტრიბუტულად, მაშინ ეს ნიშანი დაახასიათებს აგრეთვე ამ კლასის ნაწილსაც. მაგრამ თუ რომელიმე ნიშანი ახასიათებს საგანთა კლასის ნაწილს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი დაახასიათებს ამ კლასის ყველა საგანს. ასე, მაგალითად, თუ ზოგიერთი ქვეყანა სახალხო-დემოკრატიულია, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ქვეყანა სახალხო-დემოკრატიულია.

ამრიგად, ზოგადი მსჯელობის ჭეშმარიტება არის დაქვემდებარებული კერძობითი მსჯელობის ჭეშმარიტების პირობა, მაგრამ დაქვემ-

დებარებული მსჯელობის ჭეშმარიტება სრულიადაც არ არის დამაქვემდებარებელი მსჯელობის ჭეშმარიტების პირობა: ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, მაგრამ შეიძლება იყოს მცდარიც. შემდეგ: ორი მსჯელობიდან: „ზოგიერთი ლითონი გაზია“ და „ყველა ლითონი გაზია“ პირველის მცდარობა არის მეორის მცდარობის პირობა, რადგან. თუ რაიმე ნიშანი არ ახასიათებს საგანთა კლასის ნაწილს, მით უმეტეს ის არ დაახასიათებს საგანთა მთელ კლასს. დაქვემდებარებული მსჯელობის მცდარობა არის დამაქვემდებარებელი მსჯელობის მცდარობის პირობა.

დაბოლოს: ორი მსჯელობიდან — „ყველა ლითონი სითხეა“ და „ზოგიერთი ლითონი სითხეა“ ჩანს, რომ დამაქვემდებარებლის მცდარობა არ არის პირობა დაქვემდებარებული მსჯელობის მცდარობის, რადგან რაიმე ნიშანი შეიძლება არ ახასიათებდეს საგანთა მთელ კლასს, მაგრამ შეიძლება ახასიათებდეს ამ საგანთა კლასის ნაწილს (ამ კლასის ზოგიერთ საგანს).

ამრიგად: a) დამაქვემდებარებლის ჭეშმარიტება არის დაქვემდებარებულის ჭეშმარიტების პირობა.

b) დაქვემდებარებულის მცდარობა არის დამაქვემდებარებლის მცდარობის პირობა.

c) დაქვემდებარებულის ჭეშმარიტება არ არის დამაქვემდებარებლის ჭეშმარიტების პირობა.

d) დამაქვემდებარებლის მცდარობა არ არის დაქვემდებარებულის მცდარობის პირობა.

4) ქვეკონტარული მსჯელობები (i და o).

ავიღოთ ორი მსჯელობა: 1) „ზოგიერთი ლითონი თხიერია“ და 2) „ზოგიერთი ლითონი არ არის თხიერია“. ეს ორი მსჯელობა არ შეიძლება ორივე მცდარი იყოს, რადგან, თუ მცდარია მსჯელობა, რომ ზოგიერთი ლითონი თხიერია, მაშინ ცხადია, რომ არსებობენ არათხიერი ლითონები, და თუ მცდარია, რომ ზოგიერთი ლითონი არ არის თხიერია, ცხადია მაშინ, რომ არსებობენ თხიერი ლითონები.

ამავე მაგალითიდან ჩანს ისიც, რომ შესაძლებელია ორივე სუბკონტარული მსჯელობა ჭეშმარიტი იყოს.

ამრიგად: a) ერთი სუბკონტარული მსჯელობის მცდარობა არის მეორე სუბკონტარულის ჭეშმარიტების პირობა და b) ერთი სუბკონტარული მსჯელობის ჭეშმარიტება არ არის მეორე სუბკონტარულის მცდარობის პირობა.

მსჯელობათა ჭეშმარიტებისა და მცდარობის პირობები ე. წ. „ლოგიკურ კვადრატში“ შესაძლებელია იქნეს წარმოდგენილი ცხრილის სახით. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასოები „კ“, „მ“ და „გ“ შესაბამისად ნიშნავს: „ჭეშმარიტი“, „მცდარი“, „გაურკვეველი“.

	a	e	i	o
თუ a ჰეშმარიტია .	—	მ	კ	მ
თუ a მცდარია	—	ბ	გ	ზ
თუ e ჰეშმარიტია	მ	—	კ	მ
თუ e მცდარია	ბ	—	გ	ზ
თუ i ჰეშმარიტია .	ბ	მ	—	გ
თუ i მცდარია	გ	მ	—	ზ
თუ o ჰეშმარიტია	მ	ბ	კ	—
თუ o მცდარია	კ	ბ	გ	—

შ ე ნ ი შ ე ნ ა: თანამედროვე ბურჟუაზიულ ლოგიკაში მოძღვრებას მსჯელობათა ჰეშმარიტებისა და მცდარობის პირობების შესახებ „ლოგიკურ კვადრატში“ თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევენ. ასე, მაგალითად, ამ ლოგიკის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ a მსჯელობის ჰეშმარიტება არ წარმოადგენს i მსჯელობის ჰეშმარიტების პირობას, ისევე როგორც e-ს ჰეშმარიტება არ არის o-ს ჰეშმარიტების პირობა.

ამ თვალსაზრისის საფუძველი მდგომარეობს ზოგადისა და კერძობით მსჯელობის თავისებურ ინტერპრეტაციაში. პირველი სახის მსჯელობას ეს ლოგიკოსები უნივერსალურ მსჯელობას უწოდებენ, ხოლო მეორეს ეგზისტენციალურს. უნივერსალურის ნიშანს (კვანტორს) ასე გამოხატავენ: $(x) A(x)$, რაც ნიშნავს: ყველა x -ისათვის ჰეშმარიტია $A(x)$; მაგალითად, უნივერსალური მსჯელობა „ყველა ადამიანი მოკვდავია“ გამოითქმება ამ ინტერპრეტაციის მიხედვით ასე: x -ის ყველა მნიშვნელობისათვის, თუ x ადამიანია, მაშინ x მოკვდავია. ამგვარ მსჯელობაში საგანთა არსებობა არ იგულისხმება. მოყვანილ მსჯელობაში სრულიად არ არის გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანები არსებობენ და ისინი მოკვდავნი არიან, აქ გამოთქმულია მხოლოდ ის, რომ უკვდავი ადამიანები არ არსებობენ.

რაც შეეხება კერძობით მსჯელობას (ეგზისტენციალურს), მისი ნიშანი (კვანტორი) ასეთია $(\exists x) A(x)$, რაც იმას ნიშნავს, რომ „არსებობს ისეთი x , რომლისათვისაც $A(x)$ ჰეშმარიტია“. მაგალითად, მსჯელობას „ზოგიერთი ადამიანი შავკანიანია“ ამ გაგებით ასეთი აზრი აქვს: „არსებობს ისეთი ადამიანი, რომელიც შავკანიანია“ (უფრო ზუსტად, „არსებობს ადამიანი და ის შავკანიანია“) ¹. აქ ლადასტურებულია შავკანიან ადამიანთა არსებობა.

¹ ეს მსჯელობები უფრო ზუსტად ასე გამოითქმებიან: 1) უნივერსალური ყველა x -ისათვის თუ x ადამიანია, მაშინ x მოკვდავია; 2) ეგზისტენციალური: არსებობს ისეთი x , რომ x ადამიანია და x შავკანიანია.

ამრიგად, უნივერსალურ მსჯელობაში საგანთა არსებობა არ იგულისხმება, ხოლო კერძობითში დადგინდება საგანთა არსებობა. თუ ეს ასეა, ცხადია, რომ *a*-ს ჭეშმარიტებიდან *i*-ს ჭეშმარიტება არ გამომდინარეობს, ისევე როგორც *e*-ს ჭეშმარიტებიდან — *o*-ს ჭეშმარიტება.

ზოგადისა და კერძობითი მსჯელობების ინტერპრეტაციის ასეთი პრინციპი მიუღებელი უნდა იყოს ასახვის მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით. ჭეშმარიტება სინამდვილის ადეკვატური ასახვაა. და თუ ჩვენ ვადასტურებთ ზოგადი მსჯელობის ჭეშმარიტებას, ამით ჩვენ ვადასტურებთ იმას, რომ ეს მსჯელობა სინამდვილეს ასახავს. ჭეშმარიტებისა და მცდარობის პირობების შესახებ მოძღვრების მთელი არსება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ჩვენ დავადგინეთ, მაგალითად, *a*-ს ჭეშმარიტება, არამედ პირობაში, სახელდობრ: თუ მივიჩნევთ *a* მსჯელობას ჭეშმარიტად, მაშინ *e* უნდა იყოს მცდარი, *o* მცდარი და *i* ჭეშმარიტი. ჭეშმარიტია *a* თუ არა, ამ საკითხის გადაწყვეტა ლოგიკის რესურსებით შეუძლებელია. ორი მსჯელობიდან:

a) ყველა ეშმაკი შავია და b) არც ერთი ეშმაკი არ არის შავი — ორივე მცდარია, რადგან არავითარი ეშმაკი არ არსებობს. მაგრამ, თუ რომელიმე ცრუმორწმუნე ადამიანმა მიიჩნია პირველი მსჯელობა ჭეშმარიტად, მან ლოგიკურად თუ იმსჯელა, უნდა აღიაროს მეორე მსჯელობა მცდარად, ხოლო *i* მსჯელობა ჭეშმარიტად.

გარკვეულ დარგში, გარკვეულ შემთხვევებში ზემომოყვანილი ინტერპრეტაცია შეიძლება მართებულიც იყოს; მაგრამ მისი გამოყენება საერთო პრინციპად უსათუოდ მცდარ, ფორმალისტურ თვალსაზრისს წარმოადგენს.

4. *a*, *e*, *i* და *o* მსჯელობათა დამოკიდებულების შესახებ მოძღვრების განზოგადება. მეცნიერებაში დიდი ხანია წამოიჭრა პრობლემა — და ეს პრობლემა დღეს ზოგიერთ მეცნიერებაში ძალიან მნიშვნელოვანია — მსჯელობათა დამოუკიდებლობის შესახებ, მსჯელობათა ეკვივალენტობის შესახებ. პირველი შეხედვით მსჯელობათა დამოუკიდებლობის პრობლემა თითქოს არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მართლაც და, თუ ავიღებთ ორ მსჯელობას: a) „ლითონი ელექტრობის გამტარია“ და b) „საბჭოთა კავშირი მშვიდობის მომხრეა“, თავისთავად ცხადია, რომ ეს მსჯელობები ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი არიან, ერთი მეორიდან არ გამომდინარეობენ, ერთის ჭეშმარიტება-მცდარობა არ არის მეორის ჭეშმარიტება-მცდარობის საფუძველი.

მაგრამ თუ ავიღებთ ისეთ ორ მსჯელობას, როგორც არიან: a) „სწორი ხაზის გარეშე მდებარე წერტილზე შეიძლება გავავლოთ მხოლოდ ერთი პარალელური ამ სწორი ხაზისადმი“ და b) „სამკუთხედის შინაგანი კუთხეების ჯამი უდრის 2*d*-ს“, აღმოჩნდება, რომ ეს ორი

მსჯელობა მიუხედავად მათი შინაარსების არსებითი განსხვავებისა, დამოკიდებულნი არიან ერთიმეორეზე. თურმე ერთი მსჯელობის ჭეშმარიტება-მცდარობაზე არის დამოკიდებული მეორე მსჯელობის ჭეშმარიტება-მცდარობა. თუ მივიჩნევთ ჭეშმარიტად მსჯელობას, რომ ამ წერტილზე შესაძლებელია მრავალი პარალელური ხაზის გავლება მოცემული სწორისადმი, მაშინ ჭეშმარიტი იქნება სხვა მსჯელობა, სახელდობრ, რომ სამკუთხედის შინაგანი კუთხეების ჯამი 2 d-ზე ნაკლებია, ხოლო, თუ არც ერთი პარალელური ხაზის გავლება არ შეიძლება, მაშინ სამკუთხედის კუთხეების ჯამი 2 d-ზე მეტი იქნება.

მსჯელობათა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობის საკითხი — ეკრძოდ, მათემატიკაში აქსიომების დამოუკიდებლობის საკითხი — აქტუალურსა და სერიოზულ საკითხს წარმოადგენს. ამიტომ ლოგიკამ უნდა გაარკვიოს და დაადგინოს, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს მსჯელობათა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობა.

ასევე საინტერესოა მსჯელობათა ეკვივალენტობის საკითხი. მსჯელობებს შეიძლება განსხვავებული ფორმა ჰქონდეთ, მაგრამ ერთი შინაარსის, ერთი აზრის გამომხატველნი იყვნენ. ადვილი შესამჩნევია, რომ ორი მსჯელობა „ყველა ადამიანი მოკვდავი“ და „არც ერთი ადამიანი არ არის უკვდავი (არამოკვდავი)“ ეკვივალენტური, ე. ი. ერთი შინაარსის გამომხატველია. უფრო რთულია იმის გაგება, რომ ქვემოთ მოყვანილი ორი მსჯელობაც ეკვივალენტურია: „თუ რკინას გავათბობთ, ის გაფართოვდება“ და „რკინა ან არ გავათბეთ, ან ის გაფართოვდა“ ან სიმბოლოებში: „თუ A არის, მაშინ B არის“ და „ან A არ არის, ან B არის“.

ამიტომ დასაბუთების პროცესში შესაძლებელი ხდება ერთი მსჯელობის მეორით — ეკვივალენტურით — შეცვლა: დასაბუთების პროცესში თუ ერთი ჭეშმარიტი მსჯელობა შევცვალებთ მეორეთი, ასეთივე ჭეშმარიტი მსჯელობით, ცხადია, ამით დასაბუთების პროცესი არ დაირღვევა.

ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ ისეთ ხერხს, რომლის საშუალებით გაირკვევა მსჯელობათა ის დამოკიდებულებანიც, რომლებიც „ლოგიკურ კვადრატშია“ მოცემული და ამავე დროს დადგინდება მსჯელობათა დამოუკიდებლობისა და ეკვივალენტობის პირობები. აღვნიშნოთ ორი მსჯელობა შესაბამისად p და q ასოებით. დამოკიდებულება ამათ შორის ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით შესაძლებელია იყოს ასეთი: p-ს ჭეშმარიტების შემთხვევაში q შეიძლება იყოს ან ჭეშმარიტი (ჭ.), ან მცდარი (მ.), ან გაურკვეველი (გ.), ასევე p-ს მცდარობის შემთხვევაში. ამის მიხედვით შეგვიძლია შევადგინოთ შემდეგი ცხრილი:

	p	q		p	q
1.	ქ	ქ	4.	მ	პ
2.	კ	მ	5.	მ	პ
3.	კ	ზ	6.	მ	ზ

ეს ცხრილი წაიკითხება ასე: მაგალითად, 1) თუ p ჭეშმარიტია, მაშინ q-ც ჭეშმარიტია; 2) თუ p ჭეშმარიტია, მაშინ q მცდარია; ...5) თუ p მცდარია, მაშინ q-ც მცდარია და ა. შ.

შევადართ ასე შედგენილი მსჯელობები წყვილ-წყვილად; პირველი მეოთხეს, პირველი მეხუთეს, პირველი მეექვსეს, შემდეგ მეორე მეოთხეს, მეორე მეხუთეს, მეორე მეექვსეს, უკანასკნელად, მესამე მეოთხეს, მეხუთეს, მეექვსეს. სულ ამგვარი ცხრა წყვილი იქნება.

1) პირველი და მეოთხე:

თუ p ჭეშმარიტია, q ჭეშმარიტია.

თუ p მცდარია, q ჭეშმარიტია.

განვიხილოთ p-ს და q-ს დამოკიდებულება: q ჭეშმარიტია იმ შემთხვევაშიც, როდესაც p ჭეშმარიტია და იმ შემთხვევაშიც, როდესაც p მცდარია, ე. ი. p-ს ჭეშმარიტება-მცდარობაზე q-ს ჭეშმარიტება სრულიადაც არ არის დამოკიდებული. ამ შემთხვევაში p და q ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან.

2) პირველი და მეხუთე:

თუ p ჭეშმარიტია, q ჭეშმარიტია.

თუ p მცდარია, q მცდარია.

p-ს ჭეშმარიტებასა და მცდარობას შეესაბამება ყოველთვის q-ს ჭეშმარიტება და მცდარობა; ამ შემთხვევაში p და q ეკვივალენტურნი არიან. დასაბუთების პროცესში, თუ საჭირო იქნება, ყოველთვის შეგვიძლიან p შევცვალოთ q-თი და პირიქით.

3) პირველი და მეექვსე:

თუ p ჭეშმარიტია, q ჭეშმარიტია.

თუ p მცდარია, q გაურკვეველია.

დიდი დაკვირვება არ არის საჭირო იმის გასარკვევად, რომ ამ შემთხვევაში p-ს დამოკიდებულება q-სთან არის დამოკიდებულება დამატებულბარებლის დაქვემდებარებულთან (ლოგიკურ კვადრატში: a-სი i-სთან და e-სი o-სთან).

4) მეორე მეოთხესთან:

თუ p ჭეშმარიტია, q მცდარია.

თუ p მცდარია, q ჭეშმარიტია.

p-სა და q-ს შორის კონტრადიქტორული დამოკიდებულებაა (ლოგიკური კვადრატის მიხედვით: a და o-ს და e და i-ს დამოკიდებულება).

5) მეორე მეხუთესთან:

თუ p ჭეშმარიტია, q მცდარია.

თუ p მცდარია, q მცდარია.

p ჭეშმარიტია თუ მცდარია, ეს არ ახდენს გავლენას q-ზე, ის მაინც მცდარი რჩება, ე. ი. q-ს მცდარობა არ ყოფილა დამოკიდებული p-ს ჭეშმარიტება-მცდარობაზე. p და q მსჯელობები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან.

6) მეორე მეექვსესთან:

თუ p ჭეშმარიტია, q მცდარია.

თუ p მცდარია, q გაურკვეველია.

p-სა და q-ს შორის კონტრარული დამოკიდებულება არსებობს: ერთის ჭეშმარიტება მეორის მცდარობის პირობას წარმოადგენს, ხოლო ერთის მცდარობიდან არ გამოიყვანება მეორის არც ჭეშმარიტება, არც მცდარობა (ლოგიკურ კვადრატში a-სი და e-ს დამოკიდებულება)

7) მესამე მეოთხესთან:

თუ p ჭეშმარიტია, q გაურკვეველია.

თუ p მცდარია, q ჭეშმარიტია.

თუ p ჭეშმარიტია, q გაურკვეველია, ე. ი. შეიძლება ჭეშმარიტიც იყოს, შეიძლება მცდარიც. მაშ p და q შეიძლება ორივე იყოს ჭეშმარიტი; მაგრამ თუ p მცდარია, მაშ q ჭეშმარიტია, ე. ი. ორივე მცდარი არ შეიძლება იყოს. ნათელია, რომ p-სა და q-ს შორის დამოკიდებულება სუბკონტრარულია (ლოგიკურ კვადრატში i-სა და o-ს დამოკიდებულება).

8) მესამე და მეხუთე:

თუ p ჭეშმარიტია, q გაურკვეველია.

თუ p მცდარია, q მცდარია.

აქ გვაქვს დამოკიდებულება დაქვემდებარებულის დამაქვემდებარებელთან. ლოგიკურ კვადრატში i-ს a-სთან და o-ს e-სთან.

9) მესამე მეექვსესთან:

თუ p ჭეშმარიტია, q გაურკვეველია.

თუ p მცდარია, q გაურკვეველია.

გაურკვეველი ნიშნავს იმას, რომ იგი შეიძლება ჭეშმარიტიც იყოს, მაგრამ შეიძლება მცდარიც აღმოჩნდეს, ე. ი. q შეიძლება ან ერთი იყოს, ან მეორე იმისდა მიუხედავად, p ჭეშმარიტია თუ მცდარი. მაშ, p და q დამოუკიდებელ მსჯელობებს წარმოადგენენ.

5. ე. წ. უშუალო დასკვნები. 1) უკუქცევა (conversio). უკუ-

ქცევა არის უშუალო დასკვნა მსჯელობის პრედიკატის შესახებ. მისი სქემა ასეთია:

$$\frac{S - P}{P - S}$$


მაგალითი:

$$\frac{\text{ლითონი ელექტრობის გამტარია}}{\text{ელექტრობის ზოგიერთი გამტარი ლითონია}}$$

a) ზოგადდადებითი მსჯელობის უკუქცევა. ზოგადდადებითი მსჯელობის უკუქცევა გვაძლევს კერძობითადადებით მსჯელობას:

$$\frac{S a P}{P i S}$$

მართლაც ზოგადდადებითი მსჯელობის პრედიკატი არ არის განაწილებული; მსჯელობის გარდაქმნის შედეგად იგი სუბიექტის ადგილს დაიკავებს და ისევ არ იქნება განაწილებული, ე. ი. მიღებული მსჯელობა კერძობითი იქნება. წრიულ სქემებში:



ნახ. 18.

S — ლითონი

P — ელექტრობის გამტარი

სქემიდან ნათლად ჩანს გარდაქმნის სისწორე. უკუქცევას, რომელიც შეცვლის მსჯელობის რაოდენობის ხასიათს (ზოგადი გარდაქმნება კერძოდ) ეწოდება უკუქცევა შემოფარგვლით (conversio per limitationem); უკუქცევას, რომელიც არ ცვლის მსჯელობის რაოდენობას, მარტივი ეწოდება (conversio simplex).


b) ზოგადუარყოფითი მსჯელობის უკუქცევა. ზოგადუარყოფითი მსჯელობის უკუქცევა მარტივია. სქემა:

$$\frac{S e P}{P e S}$$

მაგალითი:

არც ერთი სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა არ არის აგრესიული
 არც ერთი აგრესიული ქვეყანა არ არის სახალხო დემოკრატიული.

ზოგადუარყოფით მსჯელობაში პრედიკატი განაწილებულია; ამიტომ ის გარდაქმნის შემდეგ სუბიექტის როლშიც განაწილებული იქნება. წრიულ სქემებში:



ნახ. 19.


ც) კერძობითდადებითი მსჯელობის უკუქცევა. კერძობითდადებითი მსჯელობის უკუქცევა მარტივია.

$$\frac{S \text{ i } P}{P \text{ i } S}$$

მაგალითი:

ზოგიერთი სტუდენტი სპორტსმენია
ზოგიერთი სპორტსმენი სტუდენტია

კერძობითდადებით მსჯელობაში პრედიკატი არ არის განაწილებული, ამიტომ არც გარდაქმნილ მსჯელობაში იქნება იგი განაწილებული. წრიულ სქემებში:




ნახ. 20.

ბ) კერძობითუარყოფითი მსჯელობის უკუქცევა არ შეიძლება.


$$\frac{SoP}{?}$$

მართალია, კერძობითუარყოფით მსჯელობაში პრედიკატი განაწილებულია, მაგრამ ეს გარემოება აქ არ შველის: ერთი კერძობითი მსჯელობიდან ზოგადი მსჯელობის გამოყვანა არ შეიძლება; ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს, რომ უკუქცევა მსჯელობის გარდაქმნას წარმოადგენს და მისი დანასკვი თავისი აზრით მთლიანად ემთხვევა წანამძღვარს: კერძობითუარყოფითი მსჯელობის შინაარსი იმდენად გაურკვეველია, რომ მასში რამდენიმე აზრი შეიძლება იგულისხმებოდეს და ჩვენ არ გვაქვს




ნახ. 21.

უფლება უკუქცევის გზით ერთი გარკვეული აზრი გამოვთქვათ მის პრედიკატზე. ეს მსჯელობა შეიძლება გამოხატავდეს ასეთ აზრს: (იხ. ნახ. 21). ე. ი. ზოგიერთი S არ არის P; მაგრამ თუ მას ასეთი აზრი აქვს, მაშინ უკუქცევა მოგვეცემა: ყველა P არის S. მაგრამ მას შეიძლება ჰქონდეს სხვა აზრიც:



ნახ. 22.

ე. ი. ისევ: ზოგიერთი S არ არის P; ამ შემთხვევაში უკუქცევა მოგვეცემა: ზოგიერთი P არ არის S. ბოლოს, მას შეიძლება ჰქონდეს კიდევ ასეთი აზრი:



ნახ. 23.

ამ შემთხვევაში უკუქცევის შედეგი იქნება: არც ერთი P არ არის S.

რადგან კერძობითუარყოფითი მსჯელობიდან არა ჩანს, რა აზრი იგულისხმება ამ მსჯელობაში, ამიტომ შეუძლებელია მისი უკუქცევა.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ზოგადგამოყოფითი მსჯელობის უკუქცევა ყოველთვის მარტივია. მაგალითად, მსჯელობა „მხოლოდ ადამიანი არის მეტყველი არსება“ უკუქცევის შედეგად მიიღებს სახეს: „მხოლოდ მეტყველი არსება არის ადამიანი“. შეიძლება, რასაკვირველია, ზოგადგამოყოფითი მსჯელობა უკუვაქციოთ ჩვეულებრივ ზოვად მსჯელობად: „ყველა მეტყველი არსება არის ადამიანი“, მაგრამ ამ შემთხვევაში იკარგება ცოდნის გარკვეული ნაწილი.

2) გადაქცევა (obversio). გადაქცევის პროცესში დადგინდება დამოკიდებულება მოცემული მსჯელობის სუბიექტსა და ამავე მსჯელობის პრედიკატის საწინააღმდეგო ცნებას შორის.

$$\frac{S-P}{S-არა P}$$

მაგალითი:

პირველი კურსის ყველა სტუდენტი ფრიადოსანია

პირველი კურსის არც ერთი სტუდენტი არ არის არაფრიადოსანი

გადაქცევის დროს მსჯელობის სუბიექტი უცვლელი რჩება: პრედიკატი კი შეიცვლება საწინააღმდეგოზე; იმისათვის, რომ მსჯელობის აზრი არ შეიცვალოს, უნდა შეიცვალოს მსჯელობის თვისებრიობა: დადებითი მსჯელობა გადაიქცევა უარყოფითად და უარყოფითი დადებითად.

SaP გადაიქცევა Se არა P-დ; SeP → Sa არა P-დ; SiP → So არა P-დ და SoP → Si არა P-დ.

3) პრედიატიკისადმი დაპირისპირება (contrapositio). პრედიატიკისადმი დაპირისპირება მსჯელობის ისეთ გარდაქმნას (ან უშუალო დასკვნას) წარმოადგენს, რომელშიც ამ მსჯელობის სუბიექტი გამოითქმის მისი პრედიატის საწინააღმდეგოს შესახებ.

$$\frac{S-P}{არა P-S}$$

ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია

ელექტრობის არც ერთი არაგამტარი არ არის ლითონი

ადვილი შესამჩნევია, რომ კონტრაპოზიციო არის გადაქცევისა და უკუქცევის შეერთება. ზემომოყვანილი სქემა მიიღებს ასეთ სახეს:

$$\begin{array}{l} \frac{S-P}{S-არა P} \quad \text{გადაქცევა} \\ \text{არა } P-S \quad \text{უკუქცევა} \end{array}$$

მაგალითი:

ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია

არც ერთი ლითონი არ არის ელექტრობის არაგამტარი

ელექტრობის არც ერთი არაგამტარი არ არის ლითონი

თუ გამოვიყენებთ გადაქცევისა და უკუქცევის წესებს, ადვილად მივიღებთ კონტრაპოზიციოს წესებს; მოცემული მსჯელობა ჯერ გადავაქციოთ, ხოლო შემდეგ გადაიქცეული უკუვაქციოთ.

მოცემული მსჯელობა	→	გადაქცევის შედეგი	→	გადაქცევის უკუქცევა (კონტრაპოზიციო)
S a-P	→	S e არა P	→	არა P e S
S e-P	→	S a არა P	→	არა P i S
S i-P	→	S o არა P	→	?
S o-P	→	S i არა P	→	არა P i S

ე. ი. ზოგადდადებითი გარდაიქმნება ზოგადუარყოფითად;
 ზოგადუარყოფითი—კერძობითდადებითად,
 კერძობითდადებითი არ გარდაიქმნება
 კერძობითუარყოფითი: გარდაიქმნება კერძობითდადებითად.

4) ი ნ ვ ე რ ს ი ა. ჩვენ განვიხილეთ ე. წ. უშუალო დასკვნის სამი სახე: უკუქცევა, გადაქცევა და კონტრაპოზიციო. პირველის გარდაქმნა გვაძლევს მსჯელობას, რომელშიც გამოთქმულია აზრი მოცემული მსჯელობის პრედიკატის (P) შესახებ; მეორის გარდაქმნა—მსჯელობას, რომელშიც მოცემული მსჯელობის სუბიექტის შესახებ გამოთქმულია მისი პრედიკატის საწინააღმდეგო (არა P); მესამეში აზრი გამოთქმულია საწინააღმდეგო პრედიკატის (არა P-ს) შესახებ. იბადება საკითხი, ხომ არ შეიძლება მსჯელობა ისე გარდაექმნათ, რომ მივიღოთ ახალი მსჯელობა, რომელშიც აზრი გამოთქმული იქნება სუბიექტის საწინააღმდეგო ცნების შესახებ (არა S-ზე), მაგალითად, თუ გვაქვს მსჯელობა „ყველა ადამიანი მოკვდავია“, შეიძლება დაისვას საკითხი, რა დამოკიდებულება არსებობს არაადამიანსა და მოკვდავს შორის ანდა არაადამიანსა და არამოკვდავს შორის, ე. ი. თუ გვაქვს S—P, როგორი იქნება დამოკიდებულება არა S-სა და P-ს ანდა არა S-სა და არა P-ს შორის. მსჯელობა, რომელიც დასახელებულ დამოკიდებულებას გამოხატავს, მოცემული მსჯელობის ი ნ ვ ე რ ს ი ა ს წარმოადგენს.

მოცემული მსჯელობის ინვერსია შეიძლება მივიღოთ, თუ ზედიზედ გამოვიყენებთ მსჯელობის უკუქცევას და გადაქცევას. ვცადოთ მათი გამოყენება რომელიმე მსჯელობის მიმართ იმდენჯერ, მანამ საძიებელ მსჯელობას მივიღებთ. ავიღოთ ჩვეულებრივი მსჯელობა:

ყველა ადამიანი მოკვდავია

S a P ყველა ადამიანი მოკვდავია

P i S ზოგიერთი მოკვდავი ადამიანია

P o არა S ზოგიერთი მოკვდავი არ არის არაადამიანი.

ამრიგად: დავიწყეთ უკუქცევიდან, შემდეგ ვაწარმოეთ გადაქცევა და აქ გავჩერდით, რადგან მივიღეთ o მსჯელობა, რომლის უკუქცევა შეუძლებელია.

განვიხილოთ მეორე გზა: დავიწყეთ გადაქცევიდან.

ყველა ადამიანი მოკვდავია

არც ერთი ადამიანი არ არის არამოკვდავი

არც ერთი არამოკვდავი არ არის ადამიანი

ანუ: ყველა არამოკვდავი არის არაადამიანი

აქედან: 1) ზოგ. არაადამიანი არის არამოკვდავი

და 2) ზოგ. არაადამიანი არ არის მოკვდავი

ორი უკანასკნელი მსჯელობა მოცემული მსჯელობის ინვერსიას წარმოადგენს. პირველ ინვერსიაში როგორც სუბიექტი, ისე პრედიატი მოცემული მსჯელობის სუბიექტისა და პრედიკატის შესაბამისად კონტრადიქტორულია. ამ ინვერსიას სრული ინვერსია ეწოდება. მეორე ინვერსიაში, რომელსაც ნაწილობრივი ინვერსია ეწოდება, პრედიატი უცვლელი რჩება, ხოლო სუბიექტი მოცემული მსჯელობის სუბიექტის კონტრადიქტორულია.

ინვერსია შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი მსჯელობის (S a P და S e P-სი); ინვერსია ყოველთვის შემოფარგვლით ხდება.

თუ არ მივაქციეთ სათანადო ყურადღება უარყოფის სწორ გამოყენებას, შესაძლებელია უაზრობა მივიღოთ. მაგალითად, მსჯელობა „ყველა სქელი ადამიანი მოკვდავია“¹ ინვერსია თითქოს მოგვცემს: „ზოგიერთი არასქელი ადამიანი უკვდავია“; ეს უაზრობა ინვერსიის შედეგი კი არ არის, არამედ უარყოფის არამართებული ხმარების შედეგია; ნამდვილი ინვერსია ასეთია: „ზოგ. სქელი არაადამიანი უკვდავია“. ცნებაში „სქელი არაადამიანი“ იგულისხმება ქვაც, ტყავიც და სხვ.

გაუგებრობას იწვევს, პირველი შეხედვით, ნაწილობრივი ინვერსია. საქმე ის არის, რომ მოცემულ მსჯელობაში „ყველა ადამიანი მოკვდავია“ პრედიატი არ არის განაწილებული, ხოლო ინვერსიით მიღებულ მსჯელობაში „ზოგ. არაადამიანი არ არის მოკვდავი“ პრედიატი განაწილებულია, რაც ყოვლად შეუძლებელი უნდა იყოს. ასეთი გარდაქმნა შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ვგულისხმობთ შემდეგს: არამოკვდავთა კლასი არ არის ცარიელი.

5) დასკვნა მიმართების უკუქცევით. თუ ერთი საგანი მეორე საგნის მიმართ გარკვეულ მიმართებაში იმყოფება, მაშინ მეორე საგანი პირველის მიმართ უკუქცევულ მიმართებაში იქნება. მაგ. თუ გორი თბილისის დასავლეთით იმყოფება, მაშინ თბილისი გორის აღმოსავლეთით იქნება; თუ ივანე პეტრეს მამაა, მაშინ პეტრე ივანეს შვილი იქნება. რასაკვირველია, მსჯელობათა თვითეული წყვილი ეკვივალენტურია. ე. წ. დასკვნა მიმართების უკუქცევით ეყრდნობა პრინციპს: თუ a გარკვეულ მიმართებაშია b-სთან, მაშინ b შებრუნებულ მიმართებაშია a-სთან.

6) დასკვნა ტერმინების შემოფარგვლის საფუძველზე. ჩვენ შეგვიძლია ერთი მსჯელობა გამოვიყვანოთ მეორედან თუ პირველის სუბიექტისა და პრედიატს შემოფარგლავთ გარკვეული დეტერმინანტით, მაგალითად, მსჯელობიდან „რელიგიის მომხრე ცრუმორწმუნეა“ გამოვიყვანოთ მეორე მსჯელობას: „რელიგიის მომხრე ქართველი ცრუმორწმუნე ქართველია“; ამ შემთხვევაში წანამძღვრის სუ-

¹ ასეთი მაგალითი განგებ არის შერჩეული, რათა საკითხი ნათლად გაირკვეს.

ბიექტი და პრედიკატი ჩვენ დამატებითი ნიშნით „ქართველი“ შემოფარგლეთ. ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: დამატებითი ნიშანი ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე აზრის უნდა იყოს.

7) რ თ უ ლ ი მ ს ჭ ე ლ ო ბ ე ბ ი ს ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ ო ბ ა. რთული მსჯელობები, მიუხედავად მათი ფორმის განსხვავებისა, შეიძლება ერთმანეთზე დავიყვანოთ. განვიხილოთ რთული მსჯელობის რამდენიმე სახე. დავიწყოთ პირობითი მსჯელობით. ავიღოთ ცნობილი დებულება:

1) „თუ კომუნისტური საზოგადოება გარემოცულია იმპერიალისტური ქვეყნებით, მაშინ ამ საზოგადოებაში არსებობს სახელმწიფო“.

გასაგებია, რომ 2) „თუ კომუნისტურ საზოგადოებაში სახელმწიფო არ არსებობს, მაშინ ეს საზოგადოება არ არის გარემოცული იმპერიალისტური ქვეყნებით“, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო იქ იარსებებდა.

ნათელია, რომ მსჯელობები 1) და 2) ერთი და იმავე შინაარსის გამომხატველია, ე. ი. ეკვივალენტურია. ეკვივალენტობას აღნიშნავენ ასეთი სიმბოლოთი: ≡

ამრიგად:

თუ კომუნისტური საზოგადოება გარემოცულია იმპერიალისტური ქვეყნებით, მაშინ ამ საზოგადოებაში არსებობს სახელმწიფო ≡ თუ კომუნისტურ საზოგადოებაში არ არსებობს სახელმწიფო, მაშინ ეს საზოგადოება არ არის გარემოცული იმპერიალისტური ქვეყნებით.

შემდეგ: მსჯელობა 1) შეიძლება დავიყვანოთ ალტერნატიულ მსჯელობაზე: 3) „კომუნისტური საზოგადოება ან არ არის გარემოცული იმპერიალისტური ქვეყნებით, ან ამ საზოგადოებაში არსებობს სახელმწიფო“.

და ბოლოს: მსჯელობა 1) შეიძლება დავიყვანოთ დისიუნქტურ სახეზე 4) „შეუძლებელია ორივეს ჰქონდეს ადგილი: კომუნისტური საზოგადოება გარემოცული იყოს იმპერიალისტური ქვეყნებით და ამ საზოგადოებაში სახელმწიფო არ არსებობდეს“.

ამიტომ: თუ კომუნისტური საზოგადოება გარემოცულია იმპერიალისტური ქვეყნებით, მაშინ ამ საზოგადოებაში არსებობს სახელმწიფო ≡ თუ კომუნისტურ საზოგადოებაში სახელმწიფო არ არსებობს, მაშინ ეს საზოგადოება არ არის გარემოცული იმპერიალისტური ქვეყნებით ≡ კომუნისტური საზოგადოება ან არ არის გარემოცული იმპერიალისტური ქვეყნებით, ან ამ საზოგადოებაში არსებობს სახელმწიფო ≡ შეუძლებელია ორივე, კომუნისტური საზოგადოება გარემოცული იყოს იმპერიალისტური ქვეყნებით და ამ საზოგადოებაში სახელმწიფო არ არსებობდეს.

ყველა ეს მსჯელობა ეკევივალენტურია, ერთი აზრის გამომხატველია, მიუხედავად ფორმის განსხვავებისა. მსჯელობები 2), 3) და 4) პირველ მსჯელობაში იგულისხმება და მის გარკვეულ გადაშუაებებს წარმოადგენს.

8) მსჯელობის უარყოფა. ზემოთ, მსჯელობის თავში ჩვენ გავარჩიეთ ზოგიერთი ლოგიკოსის მცდარი აზრი იმის შესახებ, რომ უარყოფითი მსჯელობა არ არის პირვანდელი სახის მსჯელობა, რომ იგი დადებითი მსჯელობის უარყოფას წარმოადგენს. ჩვენ განვასხვავეთ უარყოფითი მსჯელობა მსჯელობის უარყოფისაგან.

იბადება საკითხი მსჯელობის უარყოფის შესახებ, ე. ი. უნდა გაირკვეს საკითხი, როგორი ხასიათის არის მსჯელობა, რომელიც მოცემულ მსჯელობასთან უარყოფით დამოკიდებულებაშია. რასაკვირველია, ზოგადად შესაძლებელია ეს საკითხი სულ მარტივად გადაწყდეს: მოცემული მსჯელობის შესახებ გამოთქმეთ მსჯელობა მისი მცდარობის შესახებ. თუ გვაქვს მსჯელობა „რკინა არ ატარებს ელექტრობას“, მისი უარყოფა შეიძლება მის შესახებ გამოთქმული მსჯელობით: მცდარია მსჯელობა, რომ „რკინა არ ატარებს ელექტრობას“. მაგრამ ეს არ იქნება დასმული საკითხის გადაწყვეტა: ჩვენ უნდა ჩამოვყალიბოთ მსჯელობის ისეთი სახე, რომელიც უარყოფს მოცემულ მსჯელობას, მაგრამ იგი არ უნდა იყოს მსჯელობა მსჯელობის შესახებ, არ იყოს მასში მოცემული მსჯელობის ჰეშმარიტების შეფასება, რაც ასე გამოითქმება: ეს მსჯელობა არ არის ჰეშმარიტი, ეს მსჯელობა მცდარია.

მარტივი კატეგორიული მსჯელობის უარყოფა, როგორც წესი, არ არის ძნელი; მსჯელობას „ეს წიგნი საინტერესოა“ უპირისპირდება ასეთივე ტიპის უარყოფითი მსჯელობა: „ეს წიგნი არ არის საინტერესო“, ე. ი. თუ მსჯელობის აზრი იმაშია, რომ საგანს ახასიათებს ნიშანი, ამ მსჯელობის უარყოფა გამოითქმება მსჯელობით, რომელშიც უარყოფილია ამ ნიშნის მიწერა საგნისათვის და პირიქით, თუ მსჯელობაში გამოთქმულია აზრი, რომ საგანს არ ახასიათებს ნიშანი, ამ მსჯელობის უარყოფა გამოიხატება მსჯელობით, რომელიც ადასტურებს იმას, რომ ამ საგანს ეს ნიშანი ახასიათებს.

მაგრამ უარყოფითი მსჯელობის ფორმა ხშირად არ არის ისეთი გარკვეული როგორც დადებითის და ამიტომ მასში შესაძლებელია განსხვავებული აზრი იგულისხმებოდეს. მაგალითად, ჩვენ გვინდა უარყოფთ მსჯელობა „პეტრე წავიდა სახლში“ მსჯელობით „პეტრე არ წავიდა სახლში“. რას უარყოფთ ჩვენ ამ მსჯელობით? იმას, რომ პეტრე წავიდა (პავლე წავიდა და არა პეტრე), თუ იმას, რომ წავიდა (არ წასულა, დარჩა), თუ იმას, რომ სახლში წავიდა (სახლში კი არა, კინოში წავიდა), ხოლო იმ ენებში, რომლებშიც განსაკუთრებულად ხაზი ესმება

იმას, თუ რა საშუალებით წავიდა („поехал“ და არა „пошел“) კიდევ ერთი აზრი აქვს ამ უარყოფას.

უფრო რთული მდგომარეობაა რთულ მსჯელობაში: „პეტრე დაბრუნდა გუშინ საღამოთი სახლში ავტომანქანით“. ცხადია, მსჯელობა „პეტრე არ დაბრუნდა სახლში“ არ იქნება მოცემული მსჯელობის ზუსტი უარყოფა. ამ მსჯელობის უარყოფა ასეთ სახეს მიიღებს: ან პეტრე არ დაბრუნებულა, ან სახლში არ დაბრუნებულა, ან გუშინ არ დაბრუნებულა, ან საღამოთი არ დაბრუნებულა, ან ავტომანქანით არ დაბრუნებულა.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გავარკვიოთ, რას უარყოფთ; ამას ხშირად მახვილით, ინტონაციით ვახერხებთ. ზოგადი უარყოფა კი გაყოფითი მსჯელობის საშუალებით ხდება.

უფრო რთულია და საინტერესოა პირობითი, ალტერნატიული, დისუნქტური და კონიუნქციური მსჯელობების უარყოფა. ზემოთ ჩვენ დავადგინეთ პირობითის, ალტერნატიულისა და დისუნქტური მსჯელობების ერთმანეთზე დაყვანა. სიმბოლოებში:

1) თუ A არის, B არის, 2) თუ B არ არის, არც A არის, 3) ან A არ არის, ან B არის, 4) შეუძლებელია A იყოს და B არ იყოს.

პირველის უარყოფა გამოიხატება მსჯელობაში: 1) თუმცა A არის, B არ არის
 მეორის " " " 2) თუმცა B არ არის, A მაინც არის
 მესამის " " " 3) A არის და B არ არის
 მეოთხის " " " 4) A არის და B არ არის.

რადგან ეს მსჯელობები ეკვივალენტურია და მათი აზრი შესაძლებელია გამოვხატოთ მეოთხე მსჯელობით: შეუძლებელია A იყოს და B არ იყოს, ამიტომ უკანასკნელი მსჯელობის უარყოფა იქნება ამავე დროს როგორც პირობითის, ისე ალტერნატიულის და ისე დისუნქტურის უარყოფა: შესაძლებელია A იყოს და B არ იყოს, ან უფრო ზუსტად — პრობლემატურობის ელფერის გარეშე: A არის და B არ არის.

1. ზოგადი შენიშვნები. კლასიკური, ტრადიციული ლოგიკის თვალსაზრისით მოძღვრება დედუქციურ დასკვნებზე მთლიანად ემთხვევა სილოგიზმის შესახებ მოძღვრებას: დედუქციური დასკვნა სილოგიზმია და სილოგიზმი დედუქციური დასკვნაა. არისტოტელე, რომელიც სილოგიზმს თვლიდა დასკვნის ერთადერთ ნამდვილ ფორმად, სილოგიზმს განსაზღვრავდა, როგორც დასკვნას საერთოდ: სილოგიზმი არის აზრი (λογος), რომელშიც, თუ რაიმე დადგენილია, მაშინ ამ დადგენილიდან აუცილებლობით გამომდინარეობს რალაც განსხვავებული.

ეყრდნობა რა გარკვეულ პრინციპებს, არისტოტელე აშენებს სილოგისტური დასკვნის ერთი სახის თეორიას, სახელდობრ, კატეგორიული სილოგიზმის თეორიას. მხოლოდ შემდეგ, არისტოტელეს მოწაფეებმა და სტოელთა სკოლის წარმომადგენლებმა, არისტოტელეს პრინციპების საწინააღმდეგოდ, გააფართოეს მოძღვრება სილოგიზმის შესახებ, შეიტანეს რა ამ მოძღვრებაში პირობითი (და გაყოფითი) დასკვნის თეორია. ამის შემდეგ დამყარდა ტრადიცია, რომელიც უკანასკნელ დრომდე ბატონობდა: სილოგიზმის თეორიაში განიხილება არა მხოლოდ კატეგორიული სილოგიზმი, არამედ პირობითი და გაყოფითი დასკვნებიც.

დასკვნის თეორიის გაფართოება მასში პირობითი და გაყოფითი დასკვნების შეტანით უსათუოდ დადებითი მოვლენა იყო: იგი თეორიის განვითარებისა და გაღრმავების მაჩვენებელი იყო: მაგრამ, დასკვნის აღნიშნული სახეების სილოგიზმების კლასში შეტანამ გარკვეული უხერხულობაც შექმნა; განსხვავებული სახის დასკვნების ერთ კლასში—სილოგიზმის კლასში—შეტანამ ჩააყენა ლოგიკოსები უხერხულ მდგომარეობაში: შეუძლებელი გახდა სილოგიზმის განსაზღვრება. სილოგიზმის ის განსაზღვრებანი, რომლებსაც ტრადიციული ლოგიკა მიმართავს ან საერთოდ დასკვნის განსაზღვრებას წარმოადგენენ, ან დედუქციური დასკვნის ანდა მხოლოდ კატეგორიული სილოგიზმის განსაზღვრებას.

2. მარტივი კატეგორიული სილოგიზმი. მარტივი კატეგორიული სილოგიზმი შედგება სამი მსჯელობიდან: ორი მათგანი წანამძღვარია, ხოლო მესამე დანასკვი. წანამძღვრები კატეგორიულ მსჯელობებს წარმოადგენენ; ნათელია, რომ დანასკვიც კატეგორიული მსჯელობა იქნება. მაგალითად:

1. ლითონი ელექტრობის გამტარია
რკინა ლითონია

რკინა ელექტრობის გამტარია

2. სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკებში შენდება
სოციალიზმი

ინგლისში არ შენდება სოციალიზმი

ინგლისი არ არის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა

პირველ დასკვნაში დანასკვი „რკინა ელექტრობის გამტარია“ არ გამომდინარეობს არც მხოლოდ პირველი წანამძღვრიდან და არც მხოლოდ მეორე წანამძღვრიდან. მართლაც, მხოლოდ პირველი მსჯელობიდან „ლითონი ელექტრობის გამტარია“ არ გამომდინარეობს ის, რომ „რკინა ელექტრობის გამტარია“, რადგან მხოლოდ პირველი წანამძღვრის საფუძველზე ჩვენ არა გვაქვს იმის ცოდნა, რომ „რკინა ლითონია“, ეს უკანასკნელი მსჯელობა უნდა დაემატოს პირველს, რომ დანასკვი მივიღოთ. ეს გარემოება ნათელი გახდება შემდეგი მაგალითიდან:

ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია

მაშ, ნივთიერება x ელექტრობის გამტარია

ცხადია, რომ დანასკვი არ გამომდინარეობს წანამძღვრიდან. ამ დანასკვის გაკეთება შეიძლებოდა, ჩვენ რომ გვცოდნოდა, რომ ნივთიერება x ლითონია, რაც მეორე წანამძღვარს წარმოადგენს.

როგორც ჩანს, კატეგორიული სილოგიზმიც მსჯელობათა დამოკიდებულების გარკვეულ სახეს წარმოადგენს: ორი მსჯელობის (წანამძღვრები) კეშმარტება არის მესამე მსჯელობის (დანასკვის) კეშმარტების პირობა.

ორი მსჯელობა, რომლებიც კატეგორიული სილოგიზმის წანამძღვრებს წარმოადგენენ, რამენაირად უნდა იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი დანასკვი არ მიიღება. მაგალითად ორი მსჯელობიდან:

ლითონი ელექტრობის გამტარია

რკინას დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობაში

არავითარი დანასკვის მიღება არ შეიძლება, რადგან ეს მსჯელობები

არაფრით არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. პირველ მაგალითში კი

ლითონი ელექტრობის გამტარია

რკინა ლითონია

რკინა ელექტრობის გამტარია

ლითონის ცნება საერთოა ორივე წანამძღვრისათვის და მათ სწორედ ეს საერთო ცნება აკავშირებს. წანამძღვრებისათვის საერთო ცნებას საშუალო ცნება ან საშუალო ტერმინი ეწოდება (terminus medius) და M ასოთი აღინიშნება. საშუალო ტერმინი—ჩვენ მაგალითში „ლითონი“—აკავშირებს ორ სხვა ტერმინს — რკინასა და ელექტრობის გამტარობას. მათ კიდური ტერმინები ეწოდება. კიდურ ტერმინს, რომელსაც დანასკვში სუბიექტის ადგილი უკავია, მცირე ტერმინი ეწოდება, ხოლო მეორე კიდურ ტერმინს, რომელსაც დანასკვში პრედიკატის ადგილი უკავია დიდი ტერმინი ეწოდება. მცირე ტერმინი აღინიშნება S ასოთი, ხოლო დიდი ტერმინი P ასოთი.

სახელწოდება „მცირე“ და „დიდი“ ტერმინი აიხსნება სუბსუმციის თეორიის პრინციპებით: სუბიექტის მოცულობა მცირეა შედარებით პრედიკატის მოცულობასთან, სუბიექტის მოცულობა შედის პრედიკატის მოცულობაში, როგორც სახე გვარში. მაგალითად, ჩვენ მაგალითში რკინის ცნება (S) შედის „ელექტრობის გამტარის“ (P) ცნებაში.

საშუალო ტერმინი შედის რა ორივე წანამძღვარში, აკავშირებს მათ. ამაშია მისი როლი; ამიტომ დანასკვში ის აღარ მონაწილეობს. ეს ასეც უნდა იყოს: კატეგორიული სილოგიზში არის ტიპური ფორმა დასკვნის იმ სახისა, რომელზეც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. გასარკვევია დამოკიდებულება ორ ცნებას შორის; რადგან ეს დამოკიდებულება უშუალოდ არ არის მოცემული, ჩვენ ვეძებთ ისეთ საშუალო რგოლს, რომლის საშუალებით შესაძლებელი ხდება მათი დაკავშირება; ამიტომ დადგენილ კავშირში საშუალო რგოლი—ამ შემთხვევაში საშუალო ტერმინი—აღარ იღებს მონაწილეობას.

ორი დანარჩენი ტერმინიდან თვითეული შედის ერთ წანამძღვარში. წანამძღვარი, რომელშიც შედის მცირე ტერმინი, მცირე წანამძღვარია, ხოლო წანამძღვარი, რომელშიც შედის დიდი ტერმინი, დიდი წანამძღვარია. აზრთა თანამიმდევრობისათვის, დასკვნისათვის წანამძღვრების ადგილს, ე. ი. რომელი მოიაზრება პირველად და რომელი მეორედ, არა აქვს მნიშვნელობა.

1. კაპიტალისტურ ქვეყნებში არ არსებობს გეგმიანი მეურნეობა ინგლისი კაპიტალისტური ქვეყანა

ინგლისში არ არსებობს გეგმიანი მეურნეობა

2. ინგლისი კაპიტალისტური ქვეყანა

კაპიტალისტურ ქვეყანაში არ არსებობს გეგმიანი მეურნეობა
ინგლისში არ არსებობს გეგმიანი მეურნეობა

ეს მაგალითები ნათლად გვიჩვენებენ, რომ წანამძღვრების თანმიმდევრობის რიგს არა აქვს მნიშვნელობა დასკვნაში. ამისდა მიუხედავად, ტრადიციის მიხედვით დიდ წანამძღვარს სვამენ პირველ ადგილზე, ხოლო მცირეს მეორეზე. კატეგორიული სილოგიზმის სახეების შესწავლისათვის წანამძღვრების ასეთ თანამიმდევრობას აქვს გარკვეული მნიშვნელობა ტრადიციული ლოგიკის მიხედვით.


თუ გამოვიყენებთ ტერმინების აღნიშვნას, შეგვიძლია კატეგორიული სილოგიზმის სქემა ასე დავწეროთ:

$$\begin{array}{c} M - P \\ S - M \\ \hline S - P \end{array}$$

დიდ წანამძღვარში დადგენილია დამოკიდებულება საშუალო ტერმინისა დიდ ტერმინთან, მცირე წანამძღვარში კი—მცირე ტერმინისა საშუალოსთან. დანასკვში უნდა დადგინდეს მცირე ტერმინის დამოკიდებულება დიდ ტერმინთან. სხვა სიტყვებით: მოცემულია მიმართება S-სა და M-ს შორის და M-სა და P-ს შორის, უნდა დადგინდეს მიმართება S-სა და P-ს შორის. ამიტომ კატეგორიული სილოგიზმის განსაზღვრება ასეთი იქნება: კატეგორიული სილოგიზმი არის შუალობითი დასკვნა ორი ცნების (S და P) დამოკიდებულების შესახებ მათ მესამე ცნებასთან (M) დამოკიდებულების ცოდნის საფუძველზე.

კატეგორიული სილოგიზმის შესახებ მოძღვრებაში ხშირად გამოიყენებენ სუბსუმციის თეორიას და ამ სახის დასკვნას წრიულ სქემებში წარმოადგენენ. ეს სქემები აადვილებენ კატეგორიული სილოგიზმის სახეების შესწავლას, თვალსაჩინოდ ხდიან მათ.

ჩვენი მაგალითი წრიულ სქემებში ასე გამოიხატება



ნახ. 24.

მაგალითად: რკინის (S) მოცულობა შედის ლითონის (M) მოცულობაში, ლითონის (M) მოცულობა შედის ელექტრობის გამტარის (P)

მოცულობაში; მაშასადამე, რკინის (S) მოცულობა შედის ელექტრობის გამტარის (P) მოცულობაში. ამ სქემიდან ისიც ჩანს ნათლად, თუ რატომ ეწოდება კატეგორიული სილოგიზმის ტერმინებს მცირე, საშუალო და დიდი. მართალია, წრიული სქემებით კატეგორიული სილოგიზმისა და მისი სახეების ილუსტრაცია გარკვეულ თეორიას გულისხმობს და მას ეყრდნობა, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის მათ ჩვენც გამოვიყენებთ.

3. კატეგორიული სილოგიზმის ფიგურები. განვიხილოთ კატეგორიული სილოგიზმის ორი მაგალითი:

1. ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია
რკინა ლითონია

რკინა ელექტრობის გამტარია

2. ყველა ლითონი ელექტრობას ატარებს
ნივთიერება X არ ატარებს ელექტრობას

ნივთიერება X არ არის ლითონი

პირველი დასკვნის სქემა იქნება:

M — P

S — M

S — P

მეორე დასკვნის სქემა იქნება:

P — M

S — M

S — P

თუ შევადარებთ ამ სქემებს, დავინახავთ მათ შორის არსებულ განსხვავებას. პირველ სილოგიზმში საშუალო ტერმინს დიდ წანამძღვარში უკავია სუბიექტის ადგილი, ხოლო მცირე წანამძღვარში პრედიკატის ადგილი. მეორე სილოგიზმში საშუალო ტერმინს უკავია ორივე წანამძღვარში პრედიკატის ადგილი. როგორც ჩანს, აქ ჩვენ საქმე გვაქვს კატეგორიული სილოგიზმის განსხვავებულ სახეებთან და სახეების ეს განსხვავება განსაზღვრულია საშუალო ტერმინის ადგილით. კატეგორიული სილოგიზმის სახეებს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საშუალო ტერმინის ადგილით წანამძღვრებში, კატეგორიული სილოგიზმის ფიგურები ეწოდება.

კატეგორიული სილოგიზმის თეორიისათვის საშუალო ტერმინის ად-

გილს—და ამაზე იქნება დამოკიდებული კიდური ტერმინების ადგილიც—დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თუ საშუალო ტერმინს უკავია სუბიექტის ადგილი, ის შეიძლება იყოს განაწილებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯელობა ზოგადია. თუ მას პრედიკატის ადგილი უკავია, იგი განაწილებული იქნება მხოლოდ უარყოფით მსჯელობაში. იგივე ითქმის კიდურ ტერმინებზე. ტერმინებისა და კერძოდ, საშუალო ტერმინის განაწილებაზე დამოკიდებულია, როგორც ვნახავთ, დასკვნის შესაძლებლობა და ხასიათი.

არისტოტელემ შეისწავლა კატეგორიული სილოგიზმის სამი ფიგურა:

1.	2.	3.
$M - P$	$P - M$	$M - P$
$S - M$	$S - M$	$M - S$
<hr style="width: 100%;"/>	<hr style="width: 100%;"/>	<hr style="width: 100%;"/>
$S - P$	$S - P$	$S - P$

მეოთხე ფიგურა გალენის სახელს ატარებს:

4.
$P - M$
$M - S$
<hr style="width: 100%;"/>
$S - P$

პირველ ფიგურაში საშუალო ტერმინი დიდი წანამძღვრის სუბიექტია და მცირე წანამძღვრის პრედიკატია; მაგალითი:

ყველა სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა აშენებს სოციალიზმს

ბულგარეთი სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკაა

ბულგარეთი აშენებს სოციალიზმს

მეორე ფიგურაში საშუალო ტერმინი ორივე წანამძღვარში პრედიკატია; მაგალითი:

არც ერთმა სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არ მიიღო „მარშალის გეგმა“

იტალიამ მიიღო „მარშალის გეგმა“

იტალია არ არის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა

მესამე ფიგურაში საშუალო ტერმინი ორივე წანამძღვარში სუბიექტია; მაგალითი:

ეწმაპი ძუძუმწოვარია
 ეწმაპი წყალში ცხოვრობს

ზოგიერთი წყალში მცხოვრები (ცხოველი) ძუძუმწოვარია

მეოთხე ფიგურაში საშუალო ტერმინს დიდ წანამძღვარში უკავია პრედიკატის ადგილი, ხოლო მცირეში სუბიექტის ადგილი; მაგალითი:

ყველა კვადრატი პარალელოგრამია
არც ერთი პარალელოგრამი არ არის სამკუთხედი
 არც ერთი სამკუთხედი არ არის კვადრატი

4. კატეგორიული სილოგიზმის მოდუსები. კატეგორიული სილოგიზმის ყოველ ფიგურაში განასხვავებენ რამდენიმე სახეს; საქმე ისაა, რომ ყოველ ფიგურაში სილოგიზმები შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან წანამძღვრების ხასიათით, ე. ი. წანამძღვრების თვისებრივი და რაოდენობრივი ნიშნით: თვითეული წანამძღვარი შეიძლება იყოს ან ზოგადდადებითი, ან ზოგადუარყოფითი, ან კერძობითდადებითი, ანდა კერძობითუარყოფითი.

კატეგორიული სილოგიზმის ფიგურების სახეებს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან წანამძღვრების ხასიათით, ე. ი. წანამძღვრების თვისებრივით და რაოდენობით, კატეგორიული სილოგიზმის მოდუსები ეწოდება. მაგალითად, პირველი ფიგურის სილოგიზმი, რომელშიც ორივე წანამძღვარი ზოგადდადებითია (ა და ა) ერთ მოდუსს წარმოადგენს, ხოლო თუ დიდი წანამძღვარი ზოგადუარყოფითია და მცირე და კერძობითდადებითია (e და i), — მეორე მოდუსს. მაგალითი:

1. ლითონი ელექტრობის გამტარია (a)
 რკინა ლითონია (a)

 რკინა ელექტრობის გამტარია (a)
2. არც ერთი სამართლიანი ომი არ არის იმპერიალისტური (c)
 ზოგიერთი ომი სამართლიანია (i)

 ზოგიერთი ომი არ არის იმპერიალისტური (o)

შესაბამი სქემები:

1. M a P	2. M e P
S a M	S i M
<hr style="width: 50%; margin: 0 auto;"/>	<hr style="width: 50%; margin: 0 auto;"/>
S a P	S o P

ორივე მაგალითი წარმოადგენს დასკვნას პირველი ფიგურით, მაგრამ განსხვავებული მოდუსებია. ადვილი გამოსათვლელია რამდენი შესაძლებელი კომბინაცია შეიძლება შევადგინოთ a, e, i და o წანამძღვრებიდან. ყოველ ფიგურაში დიდი წანამძღვარი შეიძლება იყოს a, e, i და o; ასევე მცირე წანამძღვარიც. ამიტომ კომბინაციათა რიცხვი თვითველ ფიგურაში = 16.

a a	e a	i a	o a
a e	e e	i e	o e
a i	e i	i i	o i
a o	e o	i o	o o

ოთხივე ფიგურაში შესაძლებელ კომბინაციათა რიცხვი უდრის 64. მაგრამ წანამძღვართა ყველა აღნიშნული კომბინაცია როდი გვაძლევს დანასკვს. მაგალითად, წანამძღვრები

ზოგიერთი მარტილი იხსნება წყალში
შაბიამანი მარტილია

?

დასკვნას არ გვაძლევს. უნდა გამოვარკვიოთ, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ წანამძღვრები, რომ მათგან დანასკვი გამომდინარეობდეს.

5. კატეგორიული სილოგიზმის წესები. კატეგორიულ სილოგიზმს გარკვეული სტრუქტურა აქვს და გარკვეულ წესებს ემორჩილება. ლოგიკის ამოცანა ამ შემთხვევაში მდგომარეობს ამ წესების დადგენაში. ეს წესები მოგვეცემენ საშუალებას გამოვყოთ 64 შესაძლებელი კომბინაციიდან მართებული მოდუსები.

კატეგორიული სილოგიზმის წესებს ორ ჯგუფად ყოფენ: პირველ ჯგუფში შედიან წესები, რომლებსაც ემორჩილება ყველა ოთხი ფიგურა; მათ ზოგადი წესები ეწოდება. მეორე ჯგუფში შედიან წესები, რომლებსაც ემორჩილება ცალკეული ფიგურები; მათ სპეციალური წესები ეწოდება. ზოგადი წესები თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა: ა) ზოგადი ძირითადი წესები, რომლებიც კატეგორიული სილოგიზმის სტრუქტურიდან გამოიყვანება და ბ) ზოგადი წარმოებული წესები, რომლებიც ზოგადი ძირითადი წესებიდან გამოიყვანება. ამრიგად, არსებობენ:

I. ზოგადი წესები

a) ზოგადი ძირითადი წესები

b) ზოგადი წარმოებული წესები

II. სპეციალური წესები.

1. ზოგადი ძირითადი წესები. 1. კატეგორიულ სილოგიზმში სამი ტერმინია. ეს წესი გამომდინარეობს კატეგორიული სილოგიზმის განსაზღვრებიდან. კატეგორიულ სილოგიზმში მოცემულია S-ის და M-სა და M-ის და P-ს მიმართება. დანასკვში უნდა დავდგინდეს S-სა და P-ს მიმართება.

2. საშუალო ტერმინი უნდა იყოს განაწილებული ერთ-ერთ წანამძღვარში მაინც. საშუალო ტერმინი უნდა იყოს აღებული მთელი მოცულობით ერთ-ერთ წანამძღვარში მაინც, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება იმის გარკვევა რასთან აქვს მიმართება S-სა და P-ს: შესაძლებელია S-ს ჰქონდეს მიმართება M-ის ერთ ნაწილთან, ხოლო P-ს M-ის მეორე ნაწილთან და მაშინ საშუალო ტერმინი აღარც არსებობს. მაგალითი:

შაბიამანი იხსნება წყალში

შაქარი იხსნება წყალში

?

3. თუ კიდური ტერმინები არ არიან განაწილებულნი წანამძღვრებში, ისინი არც დანასკვში იქნებიან განაწილებულნი. დანასკვში შეიძლება იყოს მსჯელობა მხოლოდ იმ S-სა და P-ზე, რომლებზედაც არის მსჯელობა წანამძღვრებში, თუ წანამძღვრებში საუბარია ზოგიერთ S-სა ან ზოგიერთ P-ზე, ცხადია, რომ დანასკვში შეუძლებელია ცოდნის მიღება ყველა S-სა ან ყველა P-ზე. მაგალითი:

ნატრიუმი წყალზე მჩატეა

ნატრიუმი ლითონია


ზოგიერთი ლითონი წყალზე მჩატეა

მცირე წანამძღვარში პრედიატი (ლითონი) არ არის განაწილებული, ამიტომ იგი არც დანასკვში (ზოგიერთი ლითონი) შეიძლება იყოს განაწილებული.

4. ორი უარყოფითი წანამძღვრიდან დანასკვი არ გამოიყვანება. უარყოფით მსჯელობაში სუბიექტის მოცულობა პრედიატის მოცულობის გარეშეა. თუ ორივე წანამძღვარი უარყოფითია, მაშინ S-იც და P-ც M-ის გარეშე არიან. ამიტომ შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა დამოკიდებულებაში არიან S და P. ამ მდგომარეობიდან ის კი არ გამომდინარეობს, რომ S-სა და P-ს შორის არ არსებობს კავშირი—ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ დანასკვიც (უარყოფით-

თი) მიიღებოდა; საქმე სწორედ ისაა, რომ აქ არ ჩანს, აქვთ S-სა და P-ს რაიმე კავშირი თუ არა.

სინამდვილეში S-სა და P-ს შორის შესაძლებელია სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული კავშირი იყოს, მაგრამ ამ კავშირების შესახებ მოცემული წანამძღვრებით ვერ დავასკვნით; აი ეს შესაძლებელი კავშირები:



ნახ. 25.


1. S არ არის P; 2. ყველა S არის P; 3. ზოგიერთი S არის P.

სწორედ ის გარემოება, რომ ორი უარყოფითი წანამძღვრის შემთხვევაში შესაძლებელია განსხვავებული მიმართებანი არსებობდეს S-სა და P-ს შორის და წანამძღვრებიდან არ ჩანს, რომელია მოცემულ შემთხვევაში კავშირი, პირველი, მეორე თუ მესამე, შეუძლებლად ხდის დანასკვის გამოყენას. მაგალითი:

მინა არ ატარებს ელექტრობას
რკინა არ არის მინა

?

5. თუ ერთ-ერთი წანამძღვარი უარყოფითია და ნასკვიც უარყოფითია. თუ ერთი წანამძღვარი უარყოფითია, ხოლო მეორე დადებითია, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი კიდური ტერმინის მოცულობა შედის საშუალო ტერმინის მოცულობაში, ხოლო მეორე კიდური ტერმინი არ შედის საშუალოს მოცულობაში, ე. ი. S შედის M-ში და P გამორიცხულია M-დან. ნათელია, S გამორიცხული იქნება P-დან.



ნახ. 26.

მაგალითი:

აგნოსტიკოსები არ ცნობენ ობიექტურ ჭეშმარიტებას
კანტი იყო აგნოსტიკოსი

კანტი არ ცნობდა ობიექტურ ჭეშმარიტებას

II. ზოგადი წარმოდგენილი წესები. ზოგადი წარმოდგენილი წესების დასადგენად, გარდა ძირითადი წესებისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი მოსაზრებანი: 1) რა ფიგურაც უნდა იყოს, სულ ერთია. წანამძღვრებში ერთი ტერმინი (M) მაინც უნდა იყოს განაწილებული; თუ გავიხსენებთ მესამე წესს, ადვილად დავადგენთ, რომ კერძობითადღებითი დანასკვისათვის საკმარისია იყოს განაწილებული მხოლოდ ერთი ტერმინი, სახელდობრ M, რადგან S და P ამ მსჯელობაში განაწილებული არ არის; 2) კერძობითუარყოფითი დანასკვისათვის საჭიროა უკვე ორი განაწილებული ტერმინი, სახელდობრ M და P; P უნდა იყოს განაწილებული, რადგან დანასკვი უარყოფითია; 3) ზოგადღებებითი დანასკვისათვის საჭიროა აგრეთვე ორი ტერმინი, M და S (რადგან დანასკვი ზოგადია); 4) ზოგადუარყოფითი დანასკვისათვის საჭიროა უკვე სამი ტერმინი M, S და P (S და P, რადგან დანასკვი ზოგადია და უარყოფითი).

ამ კლასში გვაქვს სამი წესი:


1) ორი კერძობითი წანამძღვრიდან დანასკვი არ გამომდინარეობს. კერძობითი წანამძღვრები შემდეგია: ii, io, oi, oo. წანამძღვრები oo დანასკვს არ გვაძლევენ, რადგან ორივე უარყოფითია; ასევე არ გვაძლევენ დანასკვს წანამძღვრები ii, რადგან მათში არ არის არც ერთი განაწილებული ტერმინი. წანამძღვრებში io და oi განაწილებულია თითო ტერმინი—უარყოფითი წანამძღვრის პრედიკატი; მაგრამ დანასკვის მისაღებად ეს არ არის საკმარისი; დანასკვის მისაღებად განაწილებული უნდა იყოს ორი ტერმინი M და P; (P, რადგან ერთ-ერთი წანამძღვარი უარყოფითია და დანასკვიც უარყოფითია, ე. ი. მისი პრედიკატი განაწილებული უნდა იყოს).

მაგალითი:

ზოგიერთი ლითონი სითხეა

ზოგიერთი სითხე გემრიელია

წრიულ სქემებში:



ნახ. 27.

2) თუ ერთი წანამძღვარი კერძოა, დანასკვიც კერძოა. თუ წინასწარ გამოვრიცხავთ eo და oe წანამძღვრებს (ორი უარყოფითი წანამძღვარი), დაგვრჩება განსახილველი შემდეგი კომბინაციები: 1) ორივე წანამძღვარი დადებითი; ai და ia ; 2) ერთი დადებითი და მეორე უარყოფითი, ao , oa , ei , ie .


განვიხილოთ ai და ia : წანამძღვრებში განაწილებულია თითო ტერმინი—ზოგადდადებითის სუბიექტი; მაგრამ ზოგადი დანასკვის მისაღებად საჭიროა ორი განაწილებული ტერმინი M და S (ზოგადი დანასკვის სუბიექტი). ამიტომ ამ შემთხვევაში არსებობს კერძობითი დასკვნის მიღების შესაძლებლობა.

განვიხილოთ კომბინაციები ao , oa , ei , ie . თვითუფლში ორი განაწილებული ტერმინია. მაგრამ აქ ზოგადი დანასკვის მისაღებად საჭიროა უკვე სამი ტერმინი იყოს განაწილებული: M როგორც საშუალო ტერმინი, S როგორც ზოგადი დასკვნის სუბიექტი და P როგორც უარყოფითი მსჯელობის პრედიკატი. ეს წანამძღვრებიც გვაძლევენ უფლებას მხოლოდ კერძობით დანასკვზე. მაგალითი:

ყველა ლოგიკოსი იცნობს არისტოტელეს შრომებს
ზოგიერთი მათემატიკოსი ლოგიკოსია

ზოგიერთი მათემატიკოსი იცნობს არისტოტელეს შრომებს

წრიულ სქემებში:



ნახ. 28.

3) თუ დიდი წანამძღვარი კერძოა, მცირე წანამძღვარი არ შეიძლება იყოს უარყოფითი.

მცირე წანამძღვარი უარყოფითი რომ იყოს, დანასკვის მისაღებად საჭიროა დიდი წანამძღვარი იყოს დადებითი. მაგრამ მოცემულია, რომ დიდი კერძოა. კერძოობით დადებითში ტერმინები არ არის განაწილებული. თუ მცირე უარყოფითია, დანასკვიც უარყოფითია და დიდი ტერმინი განაწილებულია, მაგრამ ეს შეუძლებელია; ამიტომ დიდი წანამძღვარი არ შეიძლება იყოს კერძო, თუ მცირე უარყოფითია.

6. პირველი ფიგურა.

ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია
 რკინა ლითონია

რკინა ელექტრობის გამტარია

სქემა:

$$\begin{array}{r} M - P \\ S - M \\ \hline S - P \end{array}$$

დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ დავინახოთ: 1) მცირე წანამძღვარი უნდა იყოს დადებითი. 2) დიდი წანამძღვარი უნდა იყოს ზოგადი.

1) მცირე წანამძღვარი უარყოფითი რომ იყოს, დანასკვიც უარყოფითი იქნება და P განაწილებული. მაშინ P წანამძღვარშიც განაწილებული იქნება, ე. ი. დიდი წანამძღვარი უარყოფითი უნდა იყოს. ამრიგად: თუ მცირე წანამძღვარი უარყოფითია, ასეთივე იქნება დიდიც; ხოლო ორი უარყოფითი წანამძღვარიდან დანასკვი არ გამომდინარეობს. დანასკვის შესაძლებლობისათვის მცირე წანამძღვარი უნდა იყოს დადებითი.

2) რადგან მცირე წანამძღვარი დადებითია, მისი პრედიკატი—ამ შემთხვევაში საშუალო ტერმინი (M)—არ არის განაწილებული. დასკვნის მისაღებად M ერთ-ერთ წანამძღვარში მაინც უნდა იყოს განაწილებული, ე. ი. ის უნდა იყოს განაწილებული დიდ წანამძღვარში. ამიტომ დიდი წანამძღვარი ზოგადია.

თუ გავითვალისწინებთ ზოგადსა და პირველი ფიგურის სპეციალურ წესებს, ადვილად გამოვარკვევთ, რამდენი მართებული მოდუსი დარჩება პირველ ფიგურაში 16 შესაძლებელიდან.

ee, eo, oc და oo წანამძღვრები დანასკვს არ მოგვცემენ, რადგან ორივე უარყოფითია; ii, io და oi დანასკვს არ გვაძლევენ, რადგან ორივე კერძოა; ae, ao და ie—რადგან მცირე წანამძღვარი უარყოფითია; ie, და oa — რადგან დიდი წანამძღვარი კერძოა. ამგვარად, დარჩა ოთხი ლო-


გიკურად მართებული მოდუსი, რომელთა წანამძღვრები ასეთია: aa, ea, ai, ei.

განვიხილოთ ეს მოდუსები:

1) aaa. ყველა M არის P და ყველა S არის M; ნათელია, რომ ყველა S არის P.

სქემა:

$$\begin{array}{c} M a P \\ S a M \\ \hline S a P \end{array}$$



ნახ. 29.

ყველა შემთხვევაში დასკვნა კანონიერია.


მაგალითი:

ყველა სახალხო-დემოკრატიული ქვეყანა მშვიდობის მომხრეა
რუმინეთი სახალხო-დემოკრატიული ქვეყანაა

რუმინეთი მშვიდობის მომხრეა.

2) eae. არც ერთი M არ არის P, ყველა S არის M; ნათელია, რომ არც ერთი S არ არის P.

სქემა:



ნახ. 30.


მაგალითი:

არც ერთი პლანეტა არ ანათებს თავისი საკუთარი სინათლით
მარსი პლანეტაა

მარსი არ ანათებს თავისი საკუთარი სინათლით

3) ა ი ი ყველა M არის P და ზოგიერთი S არის M; ნათელია დანას-
კვი: ზოგიერთი S არის P.

სქემა:



ნახ. 31.


მაგალითი:

ყველა ლითონი ატარებს ელექტრობას
ზოგიერთი სითხე ლითონია

ზოგიერთი სითხე ატარებს ელექტრობას

4) ე ი ი არც ერთი M არ არის P და ზოგიერთი S არის M; მაშ, ზოგი-
ერთი S არ არის P.

სქემა:



ნახ. 32.

მაგალითი:

არც ერთმა სახალხო-დემოკრატიულმა ქვეყანამ არ მიიღო
„მარშალის გეგმა“

ევროპის ზოგიერთი ქვეყანა სახალხო-დემოკრატიულია

ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ არ მიიღო „მარშალის გეგმა“

ამრიგად, პირველ ფიგურაში ოთხი მართებული მოდუსი აღმოჩნდა, რომელთა სტრუქტურა ასეთია $a a a$, $e a e$, $a i i$, $e i o$. ამ მოდუსებს გარკვეული სახელებიც აქვთ: Barbara, Celarent, Darii, Ferio.

პირველი ფიგურის დამახასიათებელი ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ ამ ფიგურით ხდება მიყენება რომელიმე ზოგადი პრინციპისა კერძო შემთხვევისადმი. დიდი წანამძღვარი გამოხატავს კანონს, აქსიომას, პრინციპს, საერთოდ დებულებას, რომელიც ეხება საგანთა მთელ კლასს, ცნების მთელ მოცულობას; მცირე წანამძღვარი ადასტურებს, რომ საგანი ან საგნები, რომლებზედაც ჩვენ ვმსჯელობთ, შედიან მოცემულ კლასში (ანდა ცნება არის მოცემული ცნების სახე); გასაგებია დანასკვიც; ის, რაც დადასტურებულია საგანთა მთელ კლასზე (გვარზე), დასტურდება აგრეთვე ამ კლასში შემავალ საგნებზე (ამ გვარის სახეებზე).

პირველი ფიგურის შემეცნებითი ღირებულება დიდია: შემეცნების განვითარების გზის ერთი მომენტი, სახელდობრ „აბსტრაქტული აზროვნებიდან პრაქტიკისაკენ“, როგორც წესი, ლოგიკურად პირველი ფიგურის სახეს იღებს. ზოგადი დებულების ჰეგემონიზმს ჩვენ პრაქტიკაში ვამოწმებთ; ეს კი ზოგადი დებულების კერძო შემთხვევისადმი გამოყენებით წარმოებს. აგრეთვე: მომავალი მოვლენების წინასწარ განჭვრეტა გარკვეული სახის დასკვნის ფორმაში განხორციელდება, ეს ფორმა სწორედ პირველი ფიგურაა.

პირველი ფიგურა გვაძლევს ყველა სახის დანასკვს a , e , i და o -ს. აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ პირველი ფიგურა გვაძლევს დანასკვში ზოგადდადებით მსჯელობას.

7. მეორე ფიგურა. მეორე ფიგურის წესებიც მისი სტრუქტურიდან გამომდინარეობენ. საკმარისია დავაკვირდეთ მის სტრუქტურას,

P — M

S — M

S — P

რომ ნათელი გახდეს ამ ფიგურის პირველი სპეციალური წესი.

1) ერთ-ერთი წანამძღვარი უნდა იყოს უარყოფითი. მართლაც და, საშუალო ტერმინს აქ ორივე წანამძღვარში პრედიკატის ადგილი უკავია; მაგრამ საშუალო ტერმინი უნდა იყოს განაწილებული ერთ-ერთ წანამძღვარში; ის წანამძღვარი, რომელშიც M განაწილებულია, უარყოფითი იქნება.

2) დიდი წანამძღვარი უნდა იყოს ზოგადი. რადგან ერთ-ერთი წანამძღვარი უარყოფითია, დანასკვიც უარყოფითი იქნება და P-ც—განაწილებული. ამიტომ P, რომელსაც დიდ წანამძღვარში


სუბიექტის ადგილი უკავია, მთელი მოცულობით არის აღებული, ე. ი. დიდი წანამძღვარი ზოგადი ყოფილა.

თუ გამოვიყენებთ 16 შესაძლებელი მოდუსის მიმართ ზოგადსა და სპეციალურ წესებს, ვიპოვიოთ ოთხს, ლოგიკურად მართებულ მოდუსს, eae, aee, eio, aoo; მათი სახელებია: Cesare, Camestres, Festino, Baroco, განვიხილოთ ეს მოდუსები.

1) Cesare (eae).

$$\begin{array}{c} P e M \\ S a M \\ \hline S e P \end{array}$$

თუ S მთლიანად შეტანილია M-ში და P მთლიანად გამორიცხულია M-დან, ცხადია, რომ S-ც მთლიანად გამორიცხული იქნება P-დან.




ნახ. 33.

მაგალითი:

არც ერთ სწორ სილოგიზმში არ არის დარღვეული ლოგიკის წესები
მოცემულ სილოგიზმში დარღვეულია ლოგიკის წესები
 მოცემული სილოგიზმი არ არის სწორი -

2) Camestres (aee)




ნახ. 33.

მაგალითი:

დემოკრატიულ ქვეყნებში ყველა მოქალაქე სარგებლობს ერთნაირი უფლებებით
 ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქალაქენი არ სარგებლობენ
 ერთნაირი უფლებებით

ამერიკის შეერთებული შტატები არ წარმოადგენს დემოკრატიულ ქვეყანას

3) Festino (eio).



ნახ. 35.


თუ S-ის მოცულობის ნაწილი შედის M-ში, ხოლო P მთლიანად გამორიცხულია M-დან, ნათელია, რომ S-ის აღნიშნული ნაწილიც იქნება გამორიცხული P-დან.

მაგალითი:

არც ერთი დემოკრატიული ქვეყანა არ არის აგრესიული
 ზოგიერთი ქვეყანა აგრესიულია

ზოგიერთი ქვეყანა არ არის დემოკრატიული

4) Baroco (aoo)



ნახ. 36.

თუ S-ის ნაწილი არ შედის M-ში, ხოლო P-მთლიანად შედის M-ში, ცხადია, რომ S-ის აღნიშნული ნაწილი არ შეევა P-ში.

მაგალითი:

ყველა მარქსისტი აღიარებს აზროვნებისა და ენის კავშირს
ზოგიერთი ენათმეცნიერი უარყოფდა აზროვნებისა და ენის
კავშირს

ზოგიერთი ენათმეცნიერი არ იყო მარქსისტი

დასკვნები მეორე ფიგურით განსხვავდებიან პირველი ფიგურის დასკვნებისაგან; პირველ ფიგურაში, როგორც იყო აღნიშნული, ჩვენ ვუმორჩილებთ კერძო შემთხვევას ზოგად წესს, პრინციპს. მეორე ფიგურაში კი კიდური ტერმინები, რომლებიც უნდა დაკავშირდნენ დანასკვში, ორივე წანამძღვარში სუბიექტის როლს თამაშობენ, პრედიკატი კი—საშუალო ტერმინი— ერთ წანამძღვარში მიეწერება, ხოლო მეორეში არ მიეწერება შესაბამის სუბიექტს. თუ ნიშანი, რომელიც ახასიათებს ერთ საგანს, არ ახასიათებს მეორე საგანს, ნათელია, რომ ეს საგნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან; დანასკვში სწორედ ეს არის გამოთქმული: S არ არის P. რასაკვირველია, დანასკვი ყოველთვის უარყოფითი იქნება.

მოცულობის თეორიის თვალსაზრისით ეს გარემოება ასე გამოითქმის: დასკვნა მეორე ფიგურით არის ერთი ცნების მოცულობის (საგანთა ერთი კლასის) გამორიცხვა მეორე ცნების მოცულობიდან (საგანთა მეორე კლასიდან), იმის საფუძველზე, რომ პირველის ნიშნები არ ახასიათებს მეორეს.

8. მესამე ფიგურა.

M — P

M — S

S — P


მესამე ფიგურა ემორჩილება ერთ სპეციალურ წესს: მ ც ი რ ე წ ა ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს და დ ე ბ ი თ ი. ეს წესი მტკიცდება იმავე ხერხით, როგორც პირველი ფიგურის პირველი წესი. თუ გამოვიყენებთ ზოგადსა და სპეციალურ წესებს, მივიღებთ ექვს ლოგიკურად მართებულ მოდულს: a a i, i a i, a i i, e a o, o a o, e i o. მათი სახელებია:

Darapti, Disamis, Datisi, Felapton, Bocardo, Ferison.

მესამე ფიგურა გვაძლევს მხოლოდ კერძობით დანასკვს, რადგან მცირე ტერმინი (S) არ არის განაწილებული. განვიხილოთ მესამე ფიგურის მოდულსები.

1) Darapti (a a i).

$$\begin{array}{r} M a P \\ M a S \\ \hline S i P \end{array}$$



ნახ. 37.


თუ M მთლიანად შედის როგორც S-ში, ისე P-ში, ცხადია, რომ S-ისა და P-ს მოცულობანი ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ ერთმანეთს ემთხვევიან.

მაგალითად:

ნატრიუმი წყალზე მჩატეა
 ნატრიუმი ლითონია
 ზოგიერთი ლითონი წყალზე მჩატეა

2) Disamis (i a i)

$$\begin{array}{r} M i P \\ M a S \\ \hline S i P \end{array}$$



ნახ. 38.


თუ ყველა M შედის S-ში და ზოგიერთი M შედის P-ში, მაშინ S-ის ის ნაწილიც, რომელიც შეიცავს ამ ზოგიერთ M-ს, შევა P-ში.

მაგალითი:

ზოგიერთი ლითონი სითხეა
 ყველა ლითონი ატარებს ელექტრობას
 ზოგიერთი ელექტროგამტარი სითხეა

3) Datisi (aii).

$$\begin{array}{l} M a P \\ M i S \\ \hline S i P \end{array}$$



ნახ. 39.

თუ ყველა M შედის P-ში და ზოგიერთი M შედის S-ში, მაშინ S-ის ნაწილი, რომელიც შეიცავს ამ ზოგიერთ M-ს, შევა P-ში.


მაგალითი:

ყველა ლოგიკოსი იცნობს არისტოტელეს ორგანონს
 ზოგიერთი ლოგიკოსი მათემატიკოსია

ზოგიერთი მათემატიკოსი იცნობს არისტოტელეს ორგანონს

4) Felapton (eao).

$$\begin{array}{l} M e P \\ M a S \\ \hline S o P \end{array}$$



ნახ. 40.

თუ ყველა M შედის S-ში და არც ერთი M არ შედის P-ში, ცხადია, რომ ყოველ შემთხვევაში S-ის ნაწილი—სახელდობრ ის ნაწილი, რომელიც არის M,—არ შედის P-ში.


მაგალითი:

არც ერთ სოკოს არა აქვს ქლოროფილი
 ყველა სოკო მცენარეა

ზოგიერთ მცენარეს არა აქვს ქლოროფილი

5) Bocardo (oao)

$$\begin{array}{l} M o P \\ M a S \\ \hline S o P \end{array}$$



ნახ. 41.

თუ ყველა M შედის S-ში და ზოგიერთი M გამორიცხულია P-დან, ცხადია, რომ S-ის ნაწილი, რომელიც შეიცავს ამ ზოგიერთ M-ს, არ შევა P-ში.


მაგალითი:

ზოგიერთი სტუდენტი უმიზნოდ არ ატარებს დროს ყველა სტუდენტი დაინტერესებულია სპორტით

ზოგიერთი სპორტით დაინტერესებული სტუდენტი უმიზნოდ არ ატარებს დროს

6) Ferison (eio)

M e P
M i S
S o P



ნახ. 42.

თუ ყველა M გამორიცხულია P-დან და ზოგიერთი M შედის S-ში, ცხადია, რომ S-ის ის ნაწილი, რომელიც შეიცავს ამ ზოგიერთ M-ს, გამორიცხული იქნება P-დან.

კლასიკურმა ლოგიკამ კარგა ხანია შეამჩნია მესამე ფიგურის თავისებურება. მესამე ფიგურას აძლევენ სხედასხვა ინტერპრეტაციას. ძირითადი მათგანი ასეთია: 1) ვადარებთ რა ორ ერთნაირ სუბიექტს განსხვავებული პრედიკატებით, დაეასკვნით ამ პრედიკატების შეთავსებადობაზე; 2) ვადარებთ ორ ერთნაირ სუბიექტს განსხვავებული პრედიკატებით და დაეასკვნით, რომ ერთი პრედიკატი არის შესაძლებელი დახასიათება მეორე პრედიკატში გამოხატული ცნების მთელი მოცულობისათვის, თუმცა ამ დახასიათებას მივაწერთ არა მთელ მოცულობას, არამედ მხოლოდ ნაწილს.

წანამძღვრებიდან

ვეშაპი წყალში ცხოვრობს

ვეშაპი ძუძუმწოვარია

დაეასკვნით, რომ „წყალში მცხოვრები“ და „ძუძუმწოვარი“ შეთავსებადი ცნებებია.

დასკვნებს მესამე ფიგურით ნაკლები შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ კლასიკური ლოგიკის მიხედვით მას მაინც გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს; გარდა ზემოაღნიშნულისა აღნიშნავენ კიდევ

შემდეგ გარემოებას: დასკვნა მესამე ფიგურით გამოიყენება მცდარი ზოგადი დებულების უარსაყოფად. მაგალითად, მცდარი ზოგადი დებულება, რომ ყოველი მატერიალისტური თეორია უარყოფს პიროვნების როლს ისტორიაში, შეიძლება უარყოფილი იქნეს მესამე ფიგურის დასკვნის მეოხებით:

მარქსიზმის კლასიკოსების მოძღვრება აღიარებს პიროვნების როლს ისტორიაში

მარქსიზმის კლასიკოსების მოძღვრება მატერიალიზმია

მატერიალიზმის ზოგიერთი სახე აღიარებს პიროვნების როლს ისტორიაში

9. მეოთხე ფიგურა. არისტოტელეს მოწაფეებმა თეოფრასტემ და ევდემოსმა შეცვალეს პირველ ფიგურაში საშუალო ტერმინის ადგილი (დიდ წანამძღვარში მისცეს მას პრედიკატის ადგილი, ხოლო მცირეში — სუბიექტის ადგილი) და აღმოაჩინეს კიდევ ხუთი მოდუსი ამ ფიგურაში. კლ. გალენმა გამოყო ეს მოდუსები დამოუკიდებელ მეოთხე ფიგურად.

მეოთხე ფიგურის სქემა ასეთია:

$$\begin{array}{r} P - M \\ M - S \\ \hline S - P \end{array}$$

მისი წესები შემდეგია:

1) თუ დიდი წანამძღვარი დადებითია, მცირე უნდა იყოს ზოგადი. თუ დიდი წანამძღვარი დადებითია, საშუალო ტერმინი მასში არ იქნება განაწილებული: ამიტომ ის უნდა იყოს განაწილებული მცირე წანამძღვარში, ე. ი. იგი უნდა იყოს ზოგადი.

2) თუ ერთ-ერთი წანამძღვარი უარყოფითია, მაშინ დიდი წანამძღვარი უნდა იყოს ზოგადი. თუ ერთ-ერთი წანამძღვარი უარყოფითია, მაშინ დანასკვიც უარყოფითია და P განაწილებულია; მაშასადამე, დიდი წანამძღვარი ზოგადია.

თუ გამოვიყენებთ მეოთხე ფიგურისადმი ზოგადსა და სპეციალურ წესებს, აღმოვაჩინებთ ხუთ ლოგიკურად მართებულ მოდუსს: aai, aee,iai, eao, eio. მათი სახელებია: Bramalip, Camenes, Dimatis, Fesaro, Fresison. ზოგადი დანასკვიც მეოთხე ფიგურით შეიძლება მხოლოდ უარყოფითი იყოს.

ზოგადი დანასკვის მისაღებად მცირე ტერმინი უნდა იყოს წანამძღვარში განაწილებული; ამ ტერმინს კი უკავია მცირე წანამძღვარში პრედიკატის ადგილი; ე. ი. ის განაწილებული იქნება, თუ მცირე წანამძღვარი უარყოფითია, მაგრამ ამ შემთხვევაში დანასკვიც უარყოფითი იქნება.

დასკვნა მეოთხე ფიგურით, როგორც ამას კლასიკური ლოგიკა აღიარებს, ხელოვნურ ხასიათს ატარებს.

წანამძღვრებიდან


ყველა კვადრატი პარალელოგრამია
 არც ერთი პარალელოგრამი არ არის სამკუთხედი

ყველა გააკეთებს დანასკვს: არც ერთი კვადრატი არ არის სამკუთხედი.

სქემა:



ნახ. 43.



ნახ. 44.

მაგრამ ეს დასკვნა პირველი ფიგურის მიხედვით არის გაკეთებული და არა მეოთხე ფიგურით:

$$\begin{array}{r} P - M \\ M - S \\ \hline P - S \end{array}$$

მეოთხე ფიგურით დანასკვი უნდა ყოფილიყო ასეთი: არც ერთი სამკუთხედი არ არის კვადრატი.

შენიშვნა I. 1) პირველი ფიგურის მოდუსებს Barbara და Celarent, რომლებიც დანასკვში ზოგად მსჯელობებს a-ს და e-ს გვაძლევენ, შეუძლიათ მოგვცენ დანასკვში აგრეთვე კერძობითი მსჯელობები, შესაბამისად i და o. ეს მოდუსები შესაბამისად იქნებიან aai და eao; მათ დაქვემდებარებულს ან შესუსტებულს უწოდებენ.

2) ასეთივე მდგომარეობა არის მეორე ფიგურაში: მოდუსები Cesare და Camestres გვაძლევენ უფლებას კერძობით დანასკვზე eao და aei შესაბამისად. ეს მოდუსებიც შესუსტებული მოდუსებია.

3) მესამე ფიგურაში მოდუსებს Darapti (aai) და Felapton (eao) გაძლიერებულ მოდუსებს უწოდებენ, რადგან წანამძღვრები aa და ea ძლიერები არიან კერძობითი დასკვნებისათვის i-სა და o-სათვის. ასეთი დასკვნების მიღებისათვის არ არის საჭირო ორი ზოგადი წანამძღვარი,

საქმარისია ზოგადი წანამძღვარი ერთი ყოფილიყო, მეორე კი კერძობითი.

4) მეოთხე ფიგურაში Bramalip და Fesaro გაძლიერებული მოდულსება; ხოლო მოდულსი Camenes გვაძლევს აგრეთვე შესუსტებულ მოდულსს aeo-ს.

შ ე ნ ი შ ე ნ ა II. თანამედროვე ბურჟუაზიულ ლოგიკაში იმეორებენ მათემატიკური ლოგიკიდან ნასესხებ დებულებას იმის შესახებ, რომ ზოგადი მსჯელობის ჭეშმარიტებიდან არ გამოიყვანება კერძობითი მსჯელობის ჭეშმარიტება. ამიტომ შესუსტებული მოდულსები მთლიანად უნდა იქნეს ამოღებული. გარდა ამისა ამოღებული უნდა იყოს ე. წ. გაძლიერებული მოდულსები Darapti, Felapton, Bramalip და Fesaro, როგორც ლოგიკურად არამართებული მოდულსები.

10. კატეგორიული სილოგიზმის აქსიომა. კლასიკური ლოგიკა, როგორც ეს ზემოთ იყო გარკვეული, განიხილავდა მსჯელობას, როგორც ცნებათა შეერთებას. რადგან ცნებას ორი მხარე აქვს, შინაარსი და მოცულობა, ნათელია, რომ ცნებათა შეერთება შესაძლებელი ხდება ან მათი მოცულობის თვალსაზრისით, ანდა შინაარსის თვალსაზრისით. იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე ჩაითვლება ძირითადად, მოცულობა თუ შინაარსი, შენდება მსჯელობის შინაარსის ან მოცულობის თეორია. ამასთან დაკავშირებით შენდება აგრეთვე კატეგორიული სილოგიზმის ესა თუ ის თეორიაც.

ტრადიციულ ლოგიკაში გარკვეულია ორივე ეს თვალსაზრისი. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ კატეგორიული სილოგიზმის თეორია ძირითადად მოცულობის პრინციპის თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით მოძღვრება კატეგორიული სილოგიზმის შესახებ სრულიად მარტივ სახეს იღებს: ერთი ცნების მოცულობა შედის მეორე ცნების მოცულობაში, ხოლო ამ მეორის მოცულობა შედის მესამე ცნების მოცულობაში; ამიტომ პირველი ცნების მოცულობა შედის მესამე ცნების მოცულობაში. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში მდგომარეობა ასეთია: ერთი ცნების მოცულობა შედის (გამორიცხულია) მეორე ცნების მოცულობაში, ხოლო მეორე ცნების მოცულობა გამორიცხულია (შედის) მესამე ცნების მოცულობიდან; ამიტომ პირველი ცნების მოცულობა გამორიცხულია მესამე ცნების მოცულობიდან.

ეს პრინციპი, რომელიც აგვიწერს აზრთა მსვლელობას დასკვნის პროცესში, კატეგორიული სილოგიზმის აქსიომად იწოდება. არსებობს ორნაირი ფორმულირება სილოგიზმის აქსიომისა: 1) ის, რაც დასტურდება ყველაზე, დასტურდება აგრეთვე ზოგიერთზე და ცალკეულზეც; ის, რაც უარყოფილია ყველას მიმართ, უარყოფილია ზოგიერთისა და ცალკეულის მიმართაც. 2) ის, რაც დასტურდება გვარის ან სახის მიმართ, დასტურდება აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებულის მიმართ;

ის, რაც უარყოფილია გვარის ან სახის მიმართ, უარყოფილია აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებულის მიმართაც. მოკლედ ამ პრინციპს უწოდებენ: *dictum de omni et de nullo*.

ასეთივე მარტივია კატეგორიული სილოგიზმის აქსიომა „შინაარსის“ ლოგიკაში. კატეგორიული სილოგიზმი ამ შემთხვევაში წარმოადგენს მსჯელობათა კავშირს, რომელშიც ცნებები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან შინაარსის მიხედვით. ამ შემთხვევაში მდგომარეობა ასეთია: თუ ერთ ცნებას ახასიათებს გარკვეული ნიშანი, ხოლო ამ ნიშანს, თავის მხრივ, ახასიათებს რაიმე ნიშანი, მაშინ ეს უკანასკნელი ნიშანი ახასიათებს თვით ცნებას. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში: თუ ცნებას ახასიათებს (არ ახასიათებს) გარკვეული ნიშანი, ხოლო ამ ნიშანს არ ახასიათებს (ახასიათებს) რაიმე ნიშანი, მაშინ ეს უკანასკნელი არ ახასიათებს ცნებას. აქსიომის ფორმულირება ასეთი იქნება: საგნის ნიშნის ნიშანი არის თვით საგნის ნიშანი, ის რაც ეწინააღმდეგება საგნის ნიშანს, ეწინააღმდეგება თვით საგანს. მოკლედ ამ აქსიომას ეწოდება *Nota notae* (ნიშნის ნიშანი).

ტრადიციული ლოგიკის მიხედვით კატეგორიული სილოგიზმის გამართლება ამ აქსიომის საფუძველზე ხდება; ეს არის სილოგისტური დასკვნის ზოგადი საფუძველი. ამ აქსიომის ძალით ჩვენ უნდა ვალიაოთ დანასკვის ჰეშმარიტება, თუ კი ვალიარეთ წანამძღვრების ჰეშმარიტება.

საჭიროა მივაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას: საქმე ის არის რომ კატეგორიული სილოგიზმის ეს აქსიომა—სულ ერთია, მოცულობის თვალსაზრისით არის ის აგებული, თუ შინაარსის—წარმოადგენს პირველი ფიგურის დასკვნის ზოგად ფორმულას. სხვა ფიგურებისათვის ეს აქსიომა არ გამოდგება: სხვა ფიგურებში აღარ არის ისეთი კავშირი ცნებებს შორის, როგორსაც მოითხოვს ეს აქსიომა. ეს გარემოება განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს პირველ ფიგურას.

არისტოტელედან მომდინარე ტრადიციული ლოგიკა თვლის პირველ ფიგურას სრულქმნილ ფიგურად არა მხოლოდ იმიტომ, რომ მხოლოდ ის გვაძლევს უფლებას ყველა შესაძლებელ დანასკვზე *a*, *e*, *i* და *o*-ზე, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ ამ ფიგურას ახასიათებს ნამდვილი დამაჯერებლობა. დასკვნები ამ ფიგურით გამართლებულია აქსიომით. რაც შეეხება სხვა ფიგურებს, მათ არ ახასიათებს ასეთი დამაჯერებლობა; აქ დანასკვის აუცილებელი გამომდინარეობისათვის საჭიროა დამატებითი ოპერაციები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება ამ ფიგურის პირველ ფიგურაზე დაყვანა და ამ გზით პირველი ფიგურის აქსიომისადმი—დაქვემდებარება. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ დასკვნები დანარჩენი ფიგურებით ნამდვილ დამაჯერებლობას.

11. ფიგურების ერთმანეთზე დაყვანა. ანტილოგიზმი. შესაძლებელია

კატეგორიული სილოგიზმის ერთი ფიგურის რომელიმე მოდუსი დაიყვანოთ სხვა ფიგურის გარკვეულ მოდუსზე; მაგრამ დასმული პრობლემის შინაარსი მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ დაყვანა მოხდეს პირველი ფიგურის მოდუსებზე და ამით გავამართლოთ დანარჩენი ფიგურები. რასაკვირველია, შეიძლება პირველი ფიგურის მოდუსებიც დაიყვანოთ სხვა ფიგურების გარკვეულ მოდუსებზე, მაგრამ ეს ოპერაცია უმიზნო იქნება.

რა გზას უნდა მივმართოთ იმისათვის, რომ ვაწარმოოთ ასეთი დაყვანა? საინტერესო ის არის, რომ ამ დაყვანისათვის საჭირო ოპერაციები მითითებულია მოდუსების სახელწოდებებში. მოდუსების სახელები შედგენილია გარკვეული წესით. პირველ ფიგურაში მიღებულია ოთხი მოდუსი: $a a a$, $e a e$, $a i i$ და $e i o$. აღებულია პირველი ოთხი თანხმოვანი ლათინური ანბანის B, C, D და F როგორც დასაწყისი ასოები მოდუსების სახელების; შემდეგ აღებულია ხმოვნები, რომლებიც აღნიშნავენ მოდუსის შედგენილობას, პირველისათვის $a a a$, მეორისათვის $e a e$ და სხვ; ეს ხმოვნები დაკავშირებული არიან თანხმოვნებით ისე, რომ სიტყვები შეიქმნას, მაგალითად $Barbara$ და სხვ. დანარჩენი ფიგურების მოდუსების სახელებიც იწყება B, C, D და F -ით; ეს ასოები გვიჩვენებენ, რომელი მოდუსი რომელზე დაიყვანება, ხოლო თანხმოვნები, რომელიც აკავშირებენ მოდუსების შედგენილობის გამომხატველ ასოებს (a, e, i, o -ს), მიუთითებენ, თუ რა ლოგიკური ოპერაციით ხდება მოდუსების ერთმანეთზე დაყვანა. მაგალითად, ასო s აღნიშნავს მარტივ უკუქცევას (*conversio simplex*), ასო m აღნიშნავს წანამძღვართა ადგილის შეცვლას (*metathesis præmissarum*), ასო c აღნიშნავს სილოგიზმის უკუქცევას (*Conversio syllogismi*) და სხვ.

რომელიმე მოდუსის პირველი ფიგურის მოდუსზე დაყვანა ხდება შემდეგნაირად. დაიყვანოთ, მაგალითად, მეორე ფიგურის მოდუსი $Cesare$ პირველი ფიგურის მოდუსზე $Celarent$ -ზე.

მოდუს $Cesare$ -ში ასო s -ის წინ არის e ასო, რომელიც დიდ წანამძღვარს აღნიშნავს:

$$\begin{array}{c} P e M \\ S a M \\ \hline S e P \end{array}$$

ასო s მიუთითებს დიდ წანამძღვრის (e -ს) უკუქცევაზე; PeM წანამძღვრის უკუქცევა მოგვცემს MeP -ს; იგი ჰქმნარიტი იქნება, თუ PeM ჰქმნარიტია; ამიტომ თუ შევცვლით PeM წანამძღვარს მისი უკუქცევით, ე. ი. MeP -თი, მივიღებთ მართებულ დასკვნას:

M e P
S a M
 S e P

ეს დასკვნა არის პირველი ფიგურის მოდუსი Celarent-ი. ამრიგად, Cesare — მეორე ფიგურის მოდუსი — დაყვანილია პირველი ფიგურის მოდუს Celarent-ზე და ამით სილოგიზმის აქსიომით გამართლებულია.

მაგალითი:

არც ერთი იმპერიალისტური ომი არ არის სამართლიანი
 კორეელთა ომი ამერიკის წინააღმდეგ იყო სამართლიანი

კორეელთა ომი ამერიკის წინააღმდეგ არ იყო იმპერიალისტური
 მოვახდინოთ დიდი წანამძღვრის უკუქცევა; ამით მისი ჭეშმარიტების ხასიათი არ შეიცვლება:

არც ერთი სამართლიანი ომი არ არის იმპერიალისტური
 კორეელთა ომი ამერიკის წინააღმდეგ იყო სამართლიანი

კორეელთა ომი ამერიკის წინააღმდეგ არ იყო იმპერიალისტური
 ადვილად შევამჩნევთ, რომ მიღებული დასკვნა პირველი ფიგურის მოდუსი Celarent-ია. ამავე გზით დაიყვანება, მაგალითად, მოდუსი Festino მოდუს Ferio-ზე:

Festino
P e M
 Si M
S o P

დიდი წანამძღვრის უკუქცევით (s)
 მივიღებთ

Ferio
 M e P
Si M
 S o P

დაიყვანოთ მოდუსი Camestres მოდუს Celarent-ზე. მოდუს Camestres-ში ასო m მიუთითებს წანამძღვრების ადგილის შეცვლას; პირველი თანხმომავანი s—მცირე წანამძღვრის მარტივ უკუქცევაზე, ხოლო მეორე თანხმომავანი s მიუთითებს დანასკვის მარტივ უკუქცევაზე.

C a m e s t r e s
P a M
 S e M
S e P

მცირე წანამძღვარი უკუვაქციოთ და წანამძღვრების ადგილები შეეცვალოთ.

M e S
 P a M

ამ წანამძღვრებიდან მოდუს Celarent-ის მიხედვით მიიღება დანას-

კვი $P e S$. უკუვაქციოთ ეს დანასკვი: $S e P$. ამრიგად, საბოლოოდ მივიღებთ:

$$\begin{array}{c} M e S \\ \hline P a M \\ P e S \rightarrow S e P \end{array}$$

მაგალითი:

1. ყველა სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას
2. ინგლისი არ აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას

ინგლისი არ არის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა

უკუვაქციოთ მე-2 წანამძღვარი და შევეცვალოთ წანამძღვრების ადგილები:

სოციალისტურ საზოგადოების მშენებელ რესპუბლიკათა შორის არ იმყოფება ინგლისი

ყველა სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას

სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკათა შორის არ იმყოფება ინგლისი

დანასკვის უკუქცევა მოგვცემს:

ინგლისი არ არის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა.

ზოგიერთი მოღუსის პირველი ფიგურის მოღუსებზე დაყვანა წარმოებს უაზრობამდე მიყვანის (*reductio ad absurdum*) ხერხით.

ამ ხერხის ილუსტრაციისათვის დავიყვანოთ მეორე ფიგურის მოღუსი- Baroco მოღუსს Bar: 'ara-ზე.

მოღუსი Baroco:

$$\begin{array}{c} P a M \\ S o M \\ \hline S o P \end{array}$$

უნდა დავასაბუთოთ, რომ მიღებული დანასკვი მართებულია; დავუშვათ, რომ იგი მცდარია. მაშინ ამ დასკვნის კონტრადიქტორული მსჯელობა $S a P$ იქნება ჭეშმარიტი. მივიღოთ ეს უკანასკნელი მსჯელობა მცირე წანამძღვრად, ხოლო დიდი წანამძღვარი უცვლელად დავტოვოთ თავის ადგილზე:

$$\begin{array}{c} P a M \\ S a P \\ \hline S a M \end{array}$$

ჩვენ მივიღეთ მოდუს Barbara, რომელშიც P საშუალო ტერმინის როლს თამაშობს. მაგრამ დანასკვი S a M, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ეწინააღმდეგება მოდუსს Baroco-ს მცირე წანამძღვარს. თუ მსჯელობა S a M ჭეშმარიტია, მაშინ S o M მცდარია; მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ის მიღებულია, როგორც მოცემული დასკვნის მცირე წანამძღვარი და ამიტომ ჭეშმარიტი უნდა იყოს. ამიტომ ჩვენი დაშვება S o P-ს მცდარობის შესახებ არ არის მართებული, ე. ი. დანასკვი S o P სწორია.

დანასკვის წანამძღვრებიდან აუცილებელი გამომდინარეობის დასაბუთებისათვის, როგორც აღვნიშნეთ, არისტოტელემ შექმნა მოძღვრება ფიგურების ერთმანეთზე დაყვანის შესახებ: პირველ ფიგურაზე სხვა ფიგურები დაიყვანება ან პირდაპირ გარკვეული ლოგიკური ოპერაციების საშუალებით, ან არაპირდაპირ აბსურდამდე მიყვანის გზით. უკანასკნელ დროს ლოგიკოსთა დიდი ჯგუფი ამ მიზნისათვის გამოიყენებს მოძღვრებას შეუთავსებელი ტრიადის, ანუ ანტილოგიზმის შესახებ. მოძღვრება ანტილოგიზმის შესახებ ჩამოაყალიბებს რამდენიმე პირობას, რომელთა დაცვა დასკვნის სისწორის გარანტიას გვაძლევს.

ავიღოთ რომელიმე დასკვნა, მაგალითად:

ყველა სპორტსმენი ჯანსაღია

ყველა ფეხბურთელი სპორტსმენია

ყველა ფეხბურთელი ჯანსაღია

ამ დასკვნაში სპორტსმენი საშუალო ტერმინია (M), ჯანსაღი დიდი ტერმინია (P) და ფეხბურთელი მცირე ტერმინია.

M a P

S a M

S a P

რადგან ყველა სპორტსმენი ჯანსაღია, ნათელია, რომ არაჯანსაღ ადამიანთა კლასში სპორტსმენები არ იმყოფებიან. ამის გამოხატვა ასე შეიძლება: $M \overline{P} = 0$, სადაც M სპორტსმენებია, ხოლო \overline{P} არაჯანსაღი ადამიანებია (P—ჯანსაღია, მაშ \overline{P} არაჯანსაღი იქნება), ე. ი. არაჯანსაღი სპორტსმენები არ არსებობენ. სხვა სიტყვებით: კლასი არაჯანსაღი სპორტსმენებისა ცარიელია, ამ კლასში არ არის არც ერთი ადამიანი ($= 0$). ასევე შეიძლება გამოვხატოთ მეორე წანამძღვარი: $SM = 0$, ე. ი. არ არსებობს ფეხბურთელი არასპორტსმენი. სხვა სიტყვებით: ფეხბურთელთა არასპორტსმენთა კლასი ცარიელია ($= 0$); ასევე გამოიხატება დანასკვიც: $S \overline{P} = 0$, ე. ი. არაჯანსაღი ფეხბურთელების კლასი ცარიე-

ლია. თუ მივიღებთ ამ აღნიშვნებს, ჩვენი სილოგიზმი მიიღებს შემდეგ სახეს:

$$1. \quad \begin{array}{l} M\bar{P}=o \\ S\bar{M}=o \\ \hline S\bar{P}=o \end{array}$$

თუ ჩვენი დასკვნა სწორია, ცხადია მაშინ, რომ ამ დასკვნის წანამძღვრები შეუთავსებელი იქნებიან დანასკვისადმი კონტრადიქტორულ მსჯელობასთან:

$$\begin{array}{l} \text{ყველა სპორტსმენი ჯანსაღია} \\ \text{ყველა ფეხბურთელი სპორტსმენია} \\ \hline \end{array}$$

ზოგიერთი ფეხბურთელი არ არის ჯანსაღი

ახალი აღნიშვნით:

$$1a. \quad \begin{array}{l} M\bar{P}=o \\ S\bar{M}=o \\ \hline S\bar{P}\neq o \end{array}$$

დანასკვი $S\bar{P}\neq o$ ნიშნავს: ზოგიერთი ფეხბურთელი არ არის ჯანსაღი, ე. ი. კლასი არაჯანსაღი ფეხბურთელებისა არ არის ცარიელი.

თუ მივიღეთ მხედველობაში, რომ პირველი (1) სილოგიზმი სწორია, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ მეორე (1a) სილოგიზმი არ არის სწორი, ე. ი. რომ ეს სამი მსჯელობა შეუთავსებელია. სამ მსჯელობას, რომელთაგან ორი მსჯელობა წარმოადგენს სწორი სილოგიზმის წანამძღვრებს, ხოლო მესამე მსჯელობა კონტრადიქტორულია ამ სილოგიზმის დასკვნისადმი, ანტილოგიზმი ან შეუთავსებელი ტრიადა ეწოდება. ამრიგად, მცდარი სილოგიზმის (1a) სამი მსჯელობა:

1. ყველა სპორტსმენი ჯანსაღია
2. ყველა ფეხბურთელი სპორტსმენია
3. ზოგიერთი ფეხბურთელი არ არის ჯანსაღი,

წარმოადგენს ანტილოგიზმს ან შეუთავსებელ ტრიადას. მისი სქემა შენაბამისად იქნება:

$$\begin{array}{l} \overline{M\bar{P}}=o \\ S\bar{M}=o \\ \hline S\bar{P}\neq o \end{array}$$

ანტილოგიზმის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი ყოველი ორი მსჯელობა აუცილებლობით განაპირობებს მსჯელობას, რომელიც ანტილოგიზმის მესამე მსჯელობის კონტრადიქტორულია. მოცემულ შემთხვევაში ეს თავისთავად გასაგებია, რადგან აქ ჩვენ მართებული დანასკვი 1-ლი სილოგიზმიდან შეეცვალეთ კონტრადიქტორული მსჯელობით: რასაკვირველია, სწორი სილოგიზმის წანამძღვრები აუცილებლობით განაპირობებენ კანონიერ დანასკვს, ე. ი. მსჯელობას, რომელიც ანტილოგიზმის მესამე მსჯელობის კონტრადიქტორულია.

ამრიგად, ანტილოგიზმში

1. $M \bar{P} = 0$
2. $S \bar{M} = 0$ (A)
3. $S \bar{P} \neq 0$

პირველი და მეორე მსჯელობა განაპირობებენ $S \bar{P} = 0$, რომელიც ანტილოგიზმის მესამე მსჯელობის $S \bar{P} \neq 0$ — კონტრადიქტორულია.

ავიღოთ ახლა ანტილოგიზმიდან 1 და 3 მსჯელობა: „ყველა სპორტსმენი ჯანსაღია“ და „ზოგიერთი ფეხბურთელი არ არის ჯანსაღი“ და მივეუწეროთ მათ მსჯელობა, რომელიც კონტრადიქტორულია ანტილოგიზმის მეორე მსჯელობისადმი, სახელდობრ, „ზოგიერთი ფეხბურთელი არ არის სპორტსმენი“.

1. ყველა სპორტსმენი ჯანსაღია
3. ზოგიერთი ფეხბურთელი არ არის ჯანსაღი

კონტრადიქტორული 2-ის: ზოგიერთი ფეხბურთელი არ არის სპორტსმენი.

მივიღეთ მეორე ფიგურის კანონიერი მოდუსი, რომელშიც P საშუალო ტერმინის როლს ასრულებს.

$M a P$	$M \bar{P} = 0$	მისი	$M P = 0$
$S o P$	$S \bar{P} \neq 0$	ანტილოგიზმი:	$S P \neq 0$
$S o M$	$S \bar{M} \neq 0$		$S M = 0$ (B)

ამ შემთხვევაშიც გამართლდა ზემოთ წამოყენებული პრინციპი, სახელდობრ, რომ ანტილოგიზმის ყოველი ორი მსჯელობა აუცილებლობით განაპირობებს მსჯელობას, რომელიც ანტილოგიზმის მესამე მსჯელობის კონტრადიქტორულია. გავარკვეით რა გავაკეთეთ ჩვენ! ჩვენ ავიღეთ ანტილოგიზმიდან ორი მსჯელობა (1 და 3) და მივეუწერეთ მათ დარჩენილი, მესამე (ანტილოგიზმის მეორე მსჯელობა) მსჯელობის კონტრადიქტორული; მივიღეთ მართებული მოდუსი: ეს იმის მაჩვენებელია, რომ ანტილოგიზმის ორი მსჯელობიდან გამომდინარეობს აუცი-

ლებლით ანტილოგიზმში მოცემული მესამე მსჯელობის კონტრადიქტორული.

ავიღოთ საბოლოოდ მეორე და მესამე მსჯელობა ანტილოგიზმიდან და დარჩენილი მსჯელობა (1) შევცვალოთ კონტრადიქტორულით. წამოყენებული პრინციპის მიხედვით ამ შემთხვევაშიც უნდა მივიღოთ მართებული მოდუსი

2. ყველა ფეხბურთელი სპორტსმენია

3. ზოგიერთი ფეხბურთელი არ არის ჭანსალი

კონტრადიქტორული 1-ლის: ზოგიერთი სპორტსმენი არ არის ჭანსალი.

მივიღეთ მესამე ფიგურის მართებული მოდუსი, რომელშიც S საშუალო ტერმინის როლს ასრულებს.

$$\begin{array}{r}
 S a M \\
 \hline
 S o P \\
 M o P
 \end{array}
 \quad
 \text{ან}
 \quad
 \begin{array}{r}
 S \bar{M} = o \\
 \hline
 S \bar{P} \neq o \\
 M \bar{P} \neq o
 \end{array}
 \quad
 \text{ანტილოგიზმი}
 \quad
 \begin{array}{r}
 S \bar{M} = o \\
 \hline
 S \bar{P} \neq o \\
 M \bar{P} = o
 \end{array}
 \quad
 (C)$$

შევადაროთ მიღებული სამი ანტილოგიზმი (A), (B), (C). ადვილად შევამჩნევთ შემდეგს:

1) ყოველ ანტილოგიზმში ორი ზოგადი და ერთი კერძობითი მსჯელობაა, ე. ი. ორი ტოლობა (= o) და ერთი უტოლობა ($\neq o$); 2) ზოგად მსჯელობებს აქვთ საერთო ტერმინი აღებული ერთხელ დადებითა და მეორედ უარყოფით ფორმაში; 3) კერძობითი მსჯელობა შედგება ორი დანარჩენი ტერმინიდან. ეს სამი პირობა ახასიათებს ყოველ ანტილოგიზმს.

რადგან ყოველ სილოგიზმს შეესაბამება ანტილოგიზმი, ჩვენ შეგვიძლია აღნიშნული სამი პირობა გამოვიყენოთ სილოგიზმის სისწორის საზომად: სილოგიზმი სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის შესაბამ ანტილოგიზმში დაცულია აღნიშნული სამი პირობა.

მაგალითები:

1. კაპიტალიზმის დამცველები რეაქციონერები არიან

მემარჯვენე სოციალისტები იცავენ კაპიტალიზმს

მემარჯვენე სოციალისტები რეაქციონერები არიან

ჩვეულებრივ სქემაში:

$$\begin{array}{r}
 M a P \\
 S a M \\
 \hline
 S a P
 \end{array}$$

ახალ სქემაში:

$$\begin{array}{l} M\bar{P} = 0 \\ S\bar{M} = 0 \\ \hline S\bar{P} = 0 \end{array} \quad \text{ანტილოგიზმი} \quad \begin{array}{l} M\bar{P} = 0 \\ S\bar{M} = 0 \\ S\bar{P} \neq 0 \end{array}$$

ამ ანტილოგიზმში: 1) ორი ზოგადი მსჯელობაა ($M\bar{P}=0$, $S\bar{M}=0$) და ერთი კერძობითია ($S\bar{P} \neq 0$); 2) ამ ზოგად მსჯელობებს ერთი საერთო ტერმინი აქვთ (M), ერთხელ დადებითსა და მეორედ უარყოფით ფორმაში აღებული; 3) კერძობითი მსჯელობა შედგება ორი დანარჩენი ტერმინიდან (S და P). სამივე პირობა შესრულებულია, ე. ი. დასკვნა სწორია.

2. ზოგიერთი მარტილი იხსნება წყალში

შაბიამანი მარტილია

შაბიამანი იხსნება წყალში

$$\begin{array}{l} M i P \\ S a M \\ \hline S a P \end{array} \quad \text{ან} \quad \begin{array}{l} M\bar{P} \neq 0 \\ S\bar{M} = 0 \\ S\bar{P} = 0 \end{array} \quad \text{ანტილოგიზმი:} \quad \begin{array}{l} M\bar{P} \neq 0 \\ S\bar{M} = 0 \\ S\bar{P} \neq 0 \end{array}$$

ანტილოგიზმში დარღვეულია პირველი პირობა: არ არის ორი ზოგადი მსჯელობა; ამიტომ შესაბამი სილოგიზმი მცდარია.

3) სწორ სილოგიზმში სამი ტერმინია

ყველა მოცემულ სილოგიზმში სამი ტერმინია

ყველა მოცემული სილოგიზმი სწორია

$$\begin{array}{l} P a M \\ S a M \\ \hline S a P \end{array} \quad \text{ან} \quad \begin{array}{l} P\bar{M} = 0 \\ S\bar{M} = 0 \\ S\bar{P} = 0 \end{array} \quad \text{ანტილოგიზმი} \quad \begin{array}{l} P\bar{M} = 0 \\ S\bar{M} = 0 \\ S\bar{P} \neq 0 \end{array}$$

ანტილოგიზმში დარღვეულია მეორე პირობა, სახელდობრ, საერთო ტერმინი ორივე ზოგად მსჯელობაში აღებულია უარყოფით ფორმაში, ე. ი. სილოგიზმი არ არის სწორი.

შ ე ნ ი შ ე ნ ა. კატეგორიულ-სილოგისტური დასკვნის სისწორის გასარკვევად ანტილოგიზმის გამოყენება შეიძლება ყველა მოდუსის მიმართ, გარდა შესუსტებულისა და გაძლიერებულისა. მათ მიმართ ანტილოგიზმის გამოყენება არ შეიძლება. მაგალითად, ანტილოგიზმის გამოყენება არ შეიძლება Darapti-ს მიმართ. ავიღოთ, მაგალითად, დასკვნა:

ნატრიუმი წყალზე მჩატეა

ნატრიუმი ლითონია

ზოგიერთი ლითონი წყალზე მჩატეა

$M a P$		$M \overline{P} = 0$		$M \overline{P} = \neq 0$
$M a S$	ან	$M \overline{S} = 0$	ანტილოგიზმი:	$M \overline{S} = 0$
$S i P$		$S \overline{P} \neq 0$		$S \overline{P} = 0$

ანტილოგიზმში დარღვეულია პირველი და მეორე პირობა, მაგრამ შე-
საბამი სილოგიზმი ამისდა მიუხედავად სწორია.

12. პირობითი სილოგიზმი. კატეგორიული სილოგიზმის ერთ-ერთი
დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი კატეგორიული მსჯელობე-
ბიდან შენდება. კლასიკური ლოგიკის თვალსაზრისით სილოგისტური
დასკვნა შეიძლება შედგებოდეს აგრეთვე პირობითი და გაყოფითი
მსჯელობებიდან; სილოგიზმი შეიძლება აიგოს არა მხოლოდ პირობითი
მსჯელობებისაგან და გაყოფითი მსჯელობებისაგან, არამედ პირობითისა
და კატეგორიული მსჯელობების კომბინაციიდან, გაყოფითისა და
კატეგორიულის, პირობითისა და გაყოფითი მსჯელობების კომბინა-
ციიდან. ყველა ეს დასკვნა კლასიკური ლოგიკის მიხედვით სილოგის-
ტურია და ისინი გარკვეულ წესებს ემორჩილებიან. როგორც კატეგო-
რიულ სილოგიზმში, ისე აღნიშნულ დასკვნებშიც პირობითის, გაყოფი-
თისა და კატეგორიულ მსჯელობათა ყველა კომბინაცია როდი გვაძლევს
მართებული დასკვნის უფლებას.

კლასიკურ ლოგიკაში დაწვრილებით არის დამუშავებული მოძღვრე-
ბა წმინდა პირობით, წმინდა გაყოფით, პირობით-კატეგორიულ, გაყო-
ფით-კატეგორიულსა და პირობით-გაყოფით დასკვნებზე.

1) წ მ ი ნ დ ა პ ი რ ბ ი თ ი და ს კ ვ ა. წმინდა პირობითი სილო-
გიზმის სტრუქტურა ასეთია: ორივე წანამძღვარი პირობითია, დანასკვიც
პირობითია.

მაგალითი:

თუ კომუნისტური საზოგადოება გარემოცული იქნება იმპერია-
ლისტური ქვეყნებით, მაშინ იარსებებს მასზე შეიარაღებული
თავდასხმის საშიშროება

თუ იარსებებს შეიარაღებული თავდასხმის საშიშროება, მაშინ
კომუნისტურ საზოგადოებაში იარსებებს სახელმწიფო

თუ კომუნისტური საზოგადოება გარემოცული იქნება იმპერია-
ლისტური ქვეყნებით, მაშინ ამ საზოგადოებაში იარსებებს სა-
ხელმწიფო

წმინდა პირობითი სილოგიზმის სტრუქტურა შემდეგი სქემით გამოიხატება:

თუ A არის B, მაშინ C არის D

თუ C არის D, მაშინ E არის F

თუ A არის B, მაშინ E არის F

ხშირად ამ სქემას უფრო მარტივად გამოხატავენ:

თუ A არის, მაშინ B არის

თუ B არის, მაშინ C არის

თუ A არის, მაშინ C არის

კლასიკური ლოგიკა არ აქცევს რა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ წმინდა პირობით დასკვნის წანამძღვრებში და დანასკვნებში დადგენილია კავშირი არა ცნებებს შორის (S, M, P), არამედ მსჯელობათა შორის (თუ A არის B, მაშინ C არის D), განიხილავს ამგვარ დასკვნას ისე, როგორც ცნებათა გარკვეულ დამოკიდებულებას, კომბინაციას. წმინდა პირობით დასკვნაში კლასიკური ლოგიკის მიხედვით ისევე მონაწილეობენ საშუალო და კიდური ტერმინები. საშუალო ტერმინის როლს აღნიშნულ სქემაში ასრულებს გამოთქმა „C არის D“, კიდური ტერმინების როლს ასრულებენ შესაბამისად გამოთქმები: „A არის B“ და „E არის F“. მოყვანილ მაგალითში საშუალო ტერმინის როლს ასრულებს გამოთქმა „იარსებებს კომუნისტურ საზოგადოებაზე შეიარაღებული თავდასხმის საშიშროება“.

პირობით მსჯელობაში დადგენილია ტერმინებს შორის საფუძვლისა და შედეგის კავშირი. პირველ წანამძღვარში დადგენილია საფუძვლისა და შედეგის კავშირი მცირესა და საშუალო ტერმინს შორის: მცირე ტერმინი საფუძველია, საშუალო კი შედეგია, მეორე წანამძღვარში დადგენილია საფუძვლისა და შედეგის კავშირი საშუალოსა და დიდ ტერმინს შორის: აქ უკვე საშუალო ტერმინია საფუძველი, ხოლო დიდი ტერმინი შედეგია. აქედან ნათელია, რომ მცირე ტერმინი საფუძველია, ხოლო დიდი შედეგია.

სქემა ასეთი იქნება:

საფუძველი: A არის B (S)

შედეგი: C არის D (M); მაგრამ C არის D (M) არის თვითონ
საფუძველი

შედეგისათვის: E არის F (P)

ამიტომ საფუძველიდან A არის B (S) გამომდინარეობს შედეგი E არის F (P). ე. ი. თუ საფუძველიდან (S) გამომდინარეობს შედეგი (M),

რომელიც თვითონ საფუძველია (M) შედეგისათვის (P), მაშინ ცხადია, რომ საფუძველი (S) საფუძველისა (M) არის საფუძველი (S) შედეგისა (P); ანდა სხვანაირად: შედეგი (P) შედეგისა (M) არის შედეგი (P) საფუძველისა (S).

S —→ M —→ P
 (საფუძველი) (შედეგი) (შედეგის შედეგი)

როგორც ვხედავთ, ტრადიციული ლოგკა არ ხედავს პრინციპულ განსხვავებას კატეგორიულსა და წმინდა პირობით დასკვნებს შორის. „ლოგიკური სტრუქტურა პირობითი დასკვნისა იმდენად მსგავსია კატეგორიული სილოგიზმისა, რომ მისი დაწერილებითი განხილვა საჭიროებს არ წარმოადგენს“, — წერს ერთ-ერთი ლოგიკოსი.

გასაგებია ამიტომ, რომ კლასიკურ ლოგიკაში წმინდა პირობითი სილოგიზმისათვის დადგენილია იგივე ფიგურები, როგორც კატეგორიულისათვის. შეცვლილია მხოლოდ წანამძღვართა ადგილები.

კატეგორიული სილოგიზმის წანამძღვრები:

1 ფიგურა	2 ფიგურა	3 ფიგურა
S — M	S — M	M — S
M — P	P — M	M — P

შესაბამი წანამძღვრები წმინდა პირობითი სილოგიზმებისათვის:

1 ფიგურა	2 ფიგურა	3 ფიგურა
თუ S, მაშინ M	თუ S, მაშინ M	თუ M, მაშინ S
თუ M, მაშინ P	თუ P, მაშინ M	თუ M, მაშინ P

განსხვავება კატეგორიულსა და პირობით სილოგიზმების წანამძღვართა შორის ის არის, რომ რაოდენობრივი დახასიათება პირობით სილოგიზმში არ თამაშობს არაერთარ როლს. რაც შეეხება თვისებრივ დახასიათებას, იგი ტრადიციული ლოგიკის მიერ მიღებულია მხედველობაში. მაგალითად:

თუ S, მაშინ M
 თუ M, მაშინ P არ არის
 —————
 თუ S, მაშინ P არ არის

გარდა ამისა აღსანიშნავია ისიც, რომ მესამე ფიგურა პირობით სილოგიზმში დაადგენს S-სა და P-ს შორის საფუძველისა და შედეგის კ ა ვ-ში რის მხოლოდ შესაძლებლობას.

მაგალითი მეორე ფიგურისათვის:

თუ გავიზიარეთ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება კლასების შე-

სახებ, უნდა გავიზიაროთ აგრეთვე მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ

თუ გავიზიარეთ მენშევიკური მოძღვრება კლასების შესახებ, უნდა უარყოთ მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ

თუ გავიზიარეთ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება კლასების შესახებ, უნდა უარყოთ მენშევიკური მოძღვრება კლასებზე

2) პ ი რ ო ბ ი თ - კ ა ტ ე გ ო რ ი უ ლ ი ს ი ლ ო გ ი ზ მ ი . პირობით მსჯელობაში დადგენილია პირობისა (საფუძვლისა) და შედეგის კავშირი, ე. ი. სწორედ ის, რაც დასკვნას ახასიათებს. მაგრამ პირობითი მსჯელობა ჯერ კიდევ მსჯელობაა და არა დასკვნა, რადგან მასში არ არის ნამდვილი გადასვლა ერთიდან მეორეზე, რაც ნამდვილ დასკვნაში განხორციელდება. იმისათვის, რომ მივიღოთ დასკვნა, პირობითი მსჯელობის გარდა, საჭიროა კიდევ ერთი მსჯელობა (მაინც), რომელიც დაადასტურებს პირობითი მსჯელობის საფუძველს, და გამოიწვევს შედეგის დადასტურებასაც დანასკვში ან უარყოფს შედეგს, რაც საფუძვლის უარყოფას გამოიწვევს, ე. ი. საჭიროა წანამძღვარი, რომელიც დაადგენს საფუძვლის ჭეშმარიტებას ან შედეგის მცდარობას.

საფუძვლის ჭეშმარიტება ან შედეგის მცდარობა გამოიხატება კატეგორიული მსჯელობით. ამგვარად, პირობით-კატეგორიული დასკვნის სტრუქტურა ასეთი უნდა იყოს: პირველი წანამძღვარი პირობითი მსჯელობაა, მეორე წანამძღვარი კატეგორიულია; ეს უკანასკნელი დაადგენს ან საფუძვლის ჭეშმარიტებას, ან შედეგის მცდარობას. ამის შესაბამისად დანასკვი იქნება კატეგორიული მსჯელობა, რომელიც დაადგენს ან შედეგის ჭეშმარიტებას, ან საფუძვლის მცდარობას.

აქედან გასაგები ხდება ისიც, რომ არსებობს პირობით-კატეგორიული სილოგიზმის ორი სახე ან მოდუსი: დამადასტურებელი მოდუსი (modus ponens) და უარყოფელი მოდუსი (modus tollens).

ამ მოდუსების სქემები შესაბამისად ასეთია:

modus ponens

თუ A არის B, მაშინ C არის D

A არის B

ან

C არის D

თუ A არის, მაშინ B არის

A არის

B არის

modus tollens

თუ A არის B, მაშ C არის D

C არ არის D

ან

A არ არის B

თუ A არის, მაშინ B არის

B არ არის

A არ არის

მაგალითები:

1. (m. ponens)

თუ დედამიწა შორეულ წარსულში გავარვარებულ მდგომარეობაში იყო, მასზე ორგანული ბუნება ვერ იარსებებდა

დედამიწა შორეულ წარსულში გავარვარებულ მდგომარეობაში იყო

დედამიწაზე ორგანული ბუნება მაშინ არ არსებობდა

2. (m. tollens)

თუ საბჭოთა კავშირის სუბტროპიკულ რაიონებში ტემპერატურა დაიწევს— 10° -ზე დაბლა, ციტრუსების ნაწილი დაიღუპება

საბჭოთა კავშირის სუბტროპიკულ რაიონებში ციტრუსები სრულიადაც არ დაღუპულა

საბჭოთა კავშირის სუბტროპიკულ რაიონებში ტემპერატურა არ დაწეულა — 10° -ზე დაბლა

აღნიშნული ორი მოდუსის განხილვა მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ ის პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ დასკვნის მსვლელობას, პირველ მოდუსში პირველი წანამძღვარი დაადგენს კავშირს საფუძველსა და შედეგს შორის; მეორე წანამძღვარი ადასტურებს საფუძვლის არსებობას (ჭეშმარიტებას): დანასკვეში დასტურდება შედეგის არსებობა (ჭეშმარიტება).

საფუძვლის არსებობიდან (ჭეშმარიტებიდან) დავასკვნით შედეგის არსებობას (ჭეშმარიტებაზე). დასკვნა სავსებით კანონიერია.

მეორე მოდუსში პირველი წანამძღვარი ისეთივეა, რაც მოდუს ponens-ში; მეორე წანამძღვარი უარყოფს შედეგს; დანასკვეში უარყოფილია საფუძველი, რადგან, საფუძველი რომ ყოფილიყო, შედეგიც იქნებოდა. ამ მოდუსის პრინციპი ასეთია: შედეგის არარსებობიდან (მცდარობიდან) დავასკვნით საფუძვლის არარსებობაზე (მცდარობაზე). დასკვნა სავსებით მართებულია.

მოდუს ponens ხშირად პროგრესულ მოდუსს უწოდებენ; ხოლო მოდუს tollens—რეგრესულს, რადგან პირველ შემთხვევაში აზრი საფუძვილიდან შედეგზე გადადის, ხოლო მეორე შემთხვევაში—შედეგიდან საფუძველზე.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ უნდა არსებობდეს დასახელებული ორი მოდუსის გარდა კიდევ ორი მოდუსი: 1) მოდუსი, რომლის მიხედვით დავასკვნით საფუძვლის არარსებობიდან შედეგის არარსებობაზე, და 2) შედეგის არსებობიდან საფუძვლის არსებობაზე.

საფუძველი და შედეგი გარკვეულ, კანონზომიერ კავშირს წარმოადგენს და ამიტომ საესებით გასაგებია საკითხის დასმა: თუ შეიძლება დასკვნის გაკეთება საფუძვლის არსებობიდან შედეგის არსებობაზე, რატომ არ უნდა იყოს შესაძლებელი დასკვნის გაკეთება საფუძვლის არარსებობიდან შედეგის არარსებობაზე.

ამ საკითხს ლოგიკოსების უმრავლესობა ასე უპასუხებს: მიზეზისა და შედეგის კავშირი არ არის ერთმნიშვნელოვანი; ერთმნიშვნელოვანია კავშირი, თუ გარკვეული შედეგი შეიძლება იქნეს განსაზღვრული ერთით და მხოლოდ ერთი საფუძველით, ან თუ გამოვიყენებთ მიზეზობრივი კავშირის ტერმინებს, თუ გარკვეული მოქმედება შეიძლება იქნეს გამოწვეული ერთით და მხოლოდ ერთი მიზეზით. სინამდვილეში, — ფიქრობენ ეს ლოგიკოსები, — ერთი შედეგი შესაძლებელია განპირობებული იყოს მრავალი განსხვავებული საფუძველით, ერთი მოქმედება — მრავალი განსხვავებული მიზეზით. ასე, მაგალითად, მარილის სიმჟავის მოქმედებით გამოიყოფა ნახშირყვანი არა მხოლოდ ცარციდან, არამედ სხვა ნივთიერებიდანაც; გემი ილუპება არა მხოლოდ ნაღმთან დაჯახების გამო, არამედ კიდევ ბევრი სხვა მიზეზის გამო, შეიძლება დაილუპოს, მაგალითად, ქარიშხლის, ხანძრის და სხვ. გამო. ამიტომ, თუ გემი დაილუპა, ამ ფაქტიდან შეუძლებელია დანასკვის გამართლება, რომ გემი ნაღმთან დაჯახების გამო დაილუპა.

დაუშვათ, მოვლენა A შეიძლება იყოს გამოწვეული რამდენიმე მიზეზით: x-ით, y-ით, z-ით.

$$x \rightarrow A$$

$$y \rightarrow A$$

$$z \rightarrow A$$

ამ გარემოების გამოხატვა შეიძლება პირობით მსჯელობებში;

1) თუ არის x, არის A

2) თუ არის y, არის A

3) თუ არის z, არის A

ე. ი. თუ არის საფუძველი, არის შედეგიც. მაგრამ სრულიად უსაფუძველო იქნება დასკვნა: თუ არის A, მაშინ არის x-იც, რადგან შესაძლებელია A იყოს გაპირობებული არა x-ით, არამედ y-ით ან z-ით. ამიტომ დასკვნა შედეგის არსებობიდან გარკვეული საფუძვლის არსებობაზე არ არის კანონიერი.

აგრეთვე: თუ x არ არის, ეს ჯერ არ ნიშნავს იმას, რომ არც A არის, რადგან A შეიძლება იყოს გაპირობებული y-ით ან z-ით. ამიტომ დასკვნა გარკვეული საფუძვლის არარსებობიდან შედეგის არარსებობაზე არ არის კანონიერი.

შეცდარი დასკვნების მაგალითები:

- 1) თუ ნივთიერება x ცარცია, ის მარილის სიმკავეს ზეგავლენით გამოყოფს ნახშირყანგს

ნივთიერება x არ არის ცარცი

ნივთიერება x მარილის სიმკავეს ზეგავლენით არ გამოყოფს ნახშირყანგს

- 2) თუ გემი ნალმს დაეჯახა, ის დაილუპება გემი დაილუპა
-

გემი ნალმს დაეჯახა

რასაკვირველია, არც პირველსა და არც მეორე მაგალითში დანასკვი არ გამომდინარეობს წანამძღვრებიდან; პირველ შემთხვევაში: ნივთიერება x შეიძლება ცარცი არ იყოს, მაგრამ მაინც გამოყოფს ნახშირყანგს მარილის სიმკავეს ზეგავლენით; დანასკვი სწორი იქნებოდა იმ შემთხვევაში, ჩვენ რომ გვექონოდა წანამძღვარი: მხოლოდ ცარცი გამოყოფს ასეთ გაზს მარილის სიმკავეს ზეგავლენით.

ასევე მეორე დასკვნაში: დანასკვი მართებული იქნებოდა შესაფერი წანამძღვრიდან: გემი ილუპება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ნალმს დაეჯახა.

პირველი შეხედვით შესაძლებელია გვეფიქრა, რომ აღიარება მხოლოდ ორი კანონიერი მოდუსის არ უნდა იყოს მართებული; მეცნიერებაშიც და პრაქტიკულ ცხოვრებაშიც ჩვენ ხშირად დავასკვნით, მაგ., შედეგის არსებობიდან საფუძვლის არსებობაზე. არსებობენ მეცნიერებანი, რომელნიც ხშირად დასკვნის ამ მოდუსს მიმართავენ. მაგალითად, გეოლოგია აგვიხსნის კონტინენტების, მთებისა და სხვ. წარმოშობას გარკვეული მიზეზით; ეყრდნობა რა შედეგის არსებობას, გეოლოგი დაასკვნის ამ შედეგის მიზეზზე. ასევე შენდება, მაგალითად, მზის სისტემის წარმოშობის თეორია; ასევე იქცევა ისტორიკოსი, რომელიც შეისწავლის რა მატერიალური კულტურის ძეგლებს, დაასკვნის იმ საზოგადოებაზე და მის თავისებურებაზე, რომელმაც ეს ძეგლები შექმნა; ასევე იქცევა უშიშროების ორგანოს წარმომადგენელი, როდესაც ჩადენილი ბოროტმოქმედების საფუძველზე დაასკვნის ამ ბოროტმოქმედების ჩამდენზე.

რასაკვირველია, ყველა ზემომოყვანილი ამოცანის გადაწყვეტისას ჩვენ უსათუოდ მივმართავთ პირობით-კატეგორიული ფორმის დასკვნას და ისიც შედეგის არსებობიდან საფუძვლის არსებობაზე, მაგრამ დასკვნის ეს ფორმა მხოლოდ ერთი მომენტიამ ამ ამოცანის გადაწყვეტის რთულ პროცესში. დასახელებული ამოცანების გადაწყვეტა გაცილებით რთული გზით მიმდინარეობს; გზა ამგვარი ამოცანების გადაწყვეტისას

დაახლოებით ასეთია. განიხილება არსებული მოვლენა A და დაისმება საკითხი ამ მოვლენის შესაძლებელი მიზეზის შესახებ. ამ მოვლენის შესწავლა გვიჩვენებს, რომ იგი შესაძლებელია იყოს გამოწვეული ან x, ან y, ან z მოვლენით. ახლა გამოკვლევა მიიმართება ამ შესაძლებელი მიზეზების შესწავლისაკენ. რიგი ფაქტების, მოსაზრებების საფუძველზე ირკვევა, რომ არც x და არც y არ შეიძლება A მოვლენის მიზეზი ყოფილიყო; ამიტომ დავასკვნით, რომ A მოვლენის მიზეზი უნდა ყოფილიყო z. მაგრამ, შესაძლებელია, ეს დანასკვიც მცდარი აღმოჩნდეს, თუ შემდეგ გავიკვლევა, რომ არ გავითვალისწინეთ ყველა შესაძლებელი მიზეზი, რომელსაც შეეძლო A მოვლენის გამოწვევა: შესაძლებელია z კი არ იყოს A მოვლენის მიზეზი, არამედ რომელიმე u ან t, რომლებაც ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ თავის დროზე.

მაგალითად, თუ ჩვენ ვიცით მხოლოდ ცარიელი ფაქტი ადამიანის სიკვდილისა, ცხადია, ამ ფაქტიდან ვერასგზით ვერ დავასკვნით მისი სიკვდილის კონკრეტულ მიზეზს. მაგრამ ამ ადამიანის გვამის კონკრეტული შესწავლა, მისი სხეულისა და ორგანოების კონკრეტული ანალიზი მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ ის მიზეზი, რომელმაც გამოიწვია სიკვდილი.

პრინციპულად, თითოეული, ესა და ეს კონკრეტული მოვლენა ყოველთვის გამოწვეულია ამა და ამ გარკვეული მიზეზით, მაგრამ მხოლოდ ფორმალურ-ლოგიკური წესების საშუალებით ამ დამოკიდებულების გარკვევა ყოველად შეუძლებელია.

რასაკვირველია, თუ წინასწარ ვიცით, რომ საფუძველსა და შედეგს შორის მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება არსებობს. ე. ი. თუ ვიცით, რომ A მოვლენა მხოლოდ B მოვლენას იწვევს და B მოვლენა მხოლოდ A მოვლენის შედეგი შეიძლება იყოს, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მართებული დასკვნა საფუძვლის არარსებობიდან შედეგის არარსებობაზე და შედეგის არსებობიდან საფუძვლის არსებობაზე.

13. გაყოფითი სილოგიზმი. გაყოფით სილოგიზმში ერთ-ერთი წანამძღვარი გაყოფითი მსჯელობაა; მეორე წანამძღვარი შეიძლება იყოს გაყოფითიც, კატეგორიულიც და პირობითიც. პირველ შემთხვევაში გვექნება წმინდა გაყოფითი სილოგიზმი, მეორე შემთხვევაში გაყოფით-კატეგორიული, ხოლო მესამეში—პირობით-გაყოფითი სილოგიზმი.

წმინდა გაყოფით სილოგიზმში ორივე წანამძღვარი გაყოფითი მსჯელობაა. ამ სილოგიზმის სქემა ასეთია:

A არის ან B, ან C

C არის ან D, ან E

A არის ან B, ან D, ან E.

მოცემულ სილოგიზმში A არის გვარეობითი ცნება, რომლის სახეებს წარმოადგენენ B და C. მეორე წანამძღვარი დაადგენს A ცნების C სახის ქვესახეებს, სახელდობრ, დაადგენს, რომ D და E C-ს სახეებია. დანასკევი ჩამოთვლილია A-ს სახეები, ამასთანავე, ერთ-ერთი სახე შეცვლილია მისი ქვესახეებით.

მაგალითი.

საზოგადოებრივი ფორმაციები არიან ან კლასობრივ-ანტაგონისტური, ან სოციალისტური
 კლასობრივ-ანტაგონისტური ფორმაციები არიან ან მონათმფლობელური ან ფეოდალური, ან კაპიტალისტური

საზოგადოებრივი ფორმაციები არიან ან მონათმფლობელური, ან ფეოდალური, ან კაპიტალისტური, ან სოციალისტური

1) გაყოფით-კატეგორიული სილოგიზმი. ტრადიციული ლოგიკა განიხილავს ორი სახის გაყოფით-კატეგორიულ სილოგიზმს. გაყოფით-კატეგორიული სილოგიზმის პირველი სახე სტრუქტურით არ განსხვავდება. კატეგორიული სილოგიზმისაგან; განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ აქ, გაყოფით-კატეგორიული სილოგიზმის პირველ სახეში ერთი წანამძღვარი გაყოფითი მსჯელობაა. ამ თვალსაზრისით ამ სილოგიზმში არსებობს იგივე ოთხი ფიგურა, როგორც კატეგორიულ სილოგიზმში.

1 ფიგურა

M არის ან P₁, ან P₂

S არის M

S არის ან P₁, ან P₂

2 ფიგურა

P არის ან M₁, ან M₂

S არ არის არც M₁, არც M₂

S არ არის P

3 ფიგურა

M არის ან P₁, ან P₂

M არის S

ზოგ. S არის ან P₁ ან P₂

4 ფიგურა

P არის ან M_1 ან M_2

არც M_1 და არც M_2 არ არის S

S არ არის P

გაყოფით-კატეგორიული სილოგიზმის მეორე სახე განსხვავდება თავისებურებით, იგი არ დაყავთ კატეგორიულზე. ამ მეორე სახეს გულისხმობენ ყოველთვის, როდესაც მსჯელობენ გაყოფით-კატეგორიულ სილოგიზმზე. ამ სილოგიზმის სტრუქტურა ასეთია: პირველი წანამძღვარი გაყოფითი მსჯელობაა, რომელშიც გამოთქმულია აზრი, რომ რამდენიმე შესაძლებელი პრედიკატიდან სუბიექტს ახასიათებს აუცილებლად მხოლოდ ერთი მათგანი¹; მეორე წანამძღვარი კატეგორიული მსჯელობაა, რომელიც ან 1) დაადგენს, რომ სუბიექტს ახასიათებს ერთი ამ პრედიკატთაგანი, ან 2) უარყოფს, რომ სუბიექტს ახასიათებს რომელიმე მათგანი.

მეორე წანამძღვრის ხასიათის მიხედვით გამოიყვანება დანასკვი, ამიტომ გაყოფით-კატეგორიულ სილოგიზმში ორი მოდუსია: 1) დამადასტურებელ-უარყოფითი (modus ponendo tollens) და 2) უარყოფელ-დამადასტურებელი (m. tollendo ponens).

1. m. ponendo tollens

A არის ან B, ან C

A არის B

A არ არის C

მაგალითი:

საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი პირობა შეიძლება იყოს ან გეოგრაფიული გარემო, ან მოსახლეობის სიმჭიდროვე, ან მატერიალური დოვლათის წარმოების წესი

მაგრამ დამტკიცებულია, რომ საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი პირობა არის წარმოების წესი

მაშასადამე, არც გეოგრაფიული გარემო, არც მოსახლეობის სიმჭიდროვე არ შეიძლება იყოს საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი პირობა

¹ ან: რამდენიმე შესაძლებელი სუბიექტიდან მხოლოდ ერთს ახასიათებს აუცილებლად დასახელებული პრედიკატი.

2. m. tollendo ponens

A არის ან B, ან C

A არ არის B

A არის C

მაგალითი:

ფილოსოფიური თეორიები ან ხელს უწყობენ, ან ხელს უშლიან
საზოგადოების განვითარებას
იდეალისტური ფილოსოფიური თეორიები არ უწყობენ ხელს სა-
ზოგადოების განვითარებას

იდეალისტური ფილოსოფიური თეორიები ხელს უშლიან საზოგა-
დოების განვითარებას

გაყოფით-კატეგორიული დასკვნები საკმაოდ გავრცელებულია რო-
გორც პრაქტიკულ ცხოვრებაში, ისე მეცნიერულ გამოკვლევებში. ხში-
რად დასაბუთება შენდება ამ დასკვნის ფორმის მიხედვით. ნათელია
ამიტომ, რა დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს დასკვნის გაყოფით-
კატეგორიულ ფორმას. ჰიპოთეზების შეფასებისას ჩვენ თითქმის ყო-
ველთვის ამ ფორმის დასკვნას მივმართავთ. თუ გავიხსენებთ მაგალითს
წინა პარაგრაფიდან, სახელდობრ, რომ რომელიმე A მოვლენა შეიძლე-
ბა იყოს გაპირობებული ან x-ით, ან y-ით, ან z-ით, ხოლო შემდეგი
კვლევა გვიჩვენებს, რომ არც x და არც y არ შეიძლება A მოვლენის მი-
ზეზი ყოფილიყო, ჩვენ დავასკვნით tollendo ponens მოდუსის მიხედ-
ვით, რომ A მოვლენა z-ით არის გაპირობებული.

2) შეცდომები გაყოფით-კატეგორიულ დასკვ-
ნებში. რადგან ტრადიციულ ლოგიკაში გაყოფითი მსჯელობა აღებუ-
ლია როგორც გაყოფით-გამომრიცხავი, გასაგებია, რომ აქ შეცდომა შე-
საძლებელია დავუშვათ იმ შემთხვევაში, თუ ცნების გაყოფა თავის სა-
ხეებზე არ არის სწორად წარმოებულ. ცნების გაყოფისას გაყოფის წევ-
რების ჯამი უნდა უდრიდეს გასაყოფ ცნებას და გაყოფის წევრები ერთ-
მანეთს უნდა გამორიცხავდნენ.

გაყოფით-კატეგორიულ სილოგიზმში გაყოფითი წანამძღვრის პრე-
დიკატები უნდა ამოწურავდნენ სუბიექტის ცნების ყველა სახეს. თუ ეს
პირობა შესრულებული არ არის, მაშინ დანასკვი გაყოფით-კატეგორიუ-
ლი სილოგიზმის მიხედვით არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულად. ამ-
გვარ შეცდომას აკეთებდნენ ფილოსოფოსები, როდესაც ფიზიკაში ახა-
ლი აღმოჩენების საფუძველზე იდეალიზმის პოზიციებზე დგებოდნენ.
მათი მსჯელობის სვლა დაახლოებით ასეთი იყო:

ფიზიკის ახალი აღმოჩენების ახსნა შესაძლებელია ან მექანიკურ-მატერიალისტური, ან იდეალისტური თვალსაზრისით
მაგრამ მათი ახსნა მექანიკურ-მატერიალისტური თვალსაზრისით
შეუძლებელია

მაშ, ერთადერთი მართებული ახსნა ამ აღმოჩენებისა შესაძლებელია მხოლოდ იდეალისტური თვალსაზრისით

დასკვნა არ არის სწორი, რადგან გამოტოვებულია შესაძლებლობა შესამე თვალსაზრისისა; სახელდობრ, დიალექტიკურ მატერიალისტური თვალსაზრისისა.

ასეთი შეცდომა შესაძლებელია შეგვხვდეს tollendo ponens მოდუსში.

განსხვავებული ხასიათის შეცდომა შეიძლება შეგვხვდეს ponendo tollens მოდუსში; აქ შესაძლებელი შეცდომა გამოწვეულია იმით, რომ გაყოფითი წანამძღვრების პრედიკატები არ გამორიცხავენ ერთმანეთს.

მაგალითი:

ლექცია შესაძლებელია კარგი იყოს ან შინაარსით, ან ფორმით
ამხ. ივანეს ლექცია კარგი იყო შინაარსის მიხედვით

ამხ. ივანეს ლექცია არ იყო კარგი ფორმის მიხედვით

დასკვნა არ არის სწორი, რადგან ლექციის შინაარსი და ფორმა ერთმანეთს არ გამორიცხავენ.

14. პირობით-გაყოფითი სილოგიზმი. პირობით-გაყოფითი სილოგიზმი, როგორც ეს სახელწოდებიდან ჩანს, შედგება ორი წანამძღვრიდან: პირობითი და გაყოფითი წანამძღვრებიდან.

პირობით-გაყოფითი სილოგიზმის თავისებურ სახეს წარმოადგენს დილემა. დილემის თავისებურება მდგომარეობს ორი გადაწყვეტის შესაძლებლობაში; ამ ორ შესაძლებელ გადაწყვეტას ალტერნატივები ეწოდება.

განასხვავებენ დილემის ორ სახეს: კონსტრუქციულსა და დესტრუქციულს. კონსტრუქციული დილემა პირველ წანამძღვარში დაადგენს ორ პირობას და ორ შედეგს, რომლებიც ამ პირობებიდან გამომდინარეობენ:

თუ A არის B, მაშინ A არის M; თუკი A არის C,
მაშინ A არის N.

მეორე წანამძღვარი დაადგენს მხოლოდ ამ ორი პირობის
შესაძლებლობას:

A არის ან B, ან C

დანასკეში გაყოფითი მსჯელობის სახით დადგინდება პირველი წა-
ნამძღვრის შედეგები:

A არის ან M, ან N

კონსტრუქციული დილემის სქემა ასეთი იქნება:

თუ A არის B, მაშინ A არის M; თუკი A არის C, მაშინ A არის N

A არის ან B, ან C

A არის ან M, ან N

მაგალითი:

1. თუ N არის მატერიალისტი, მაშინ ის რელიგიის მოწინააღმდე-
გეა, თუკი ის იდეალისტია, მაშინ ის რელიგიის მომხრეა

N ან მატერიალისტია, ან იდეალისტი

N ან რელიგიის მოწინააღმდეგეა, ან რელიგიის მომხრეა,

2. თუ თეორია ჭეშმარიტია, მაშინ ის ხელს უწყობს საზოგადოების
განვითარებას, თუკი თეორია მცდარია, მაშინ ის საზოგადოების
განვითარებას ხელს უშლის

მაგრამ მოცემული თეორია ან ჭეშმარიტია, ან მცდარია.

მაშასადამე, მოცემული თეორია ან ხელს უწყობს, ან ხელს უშ-
ლის საზოგადოების განვითარებას

დესტრუქციული დილემა განსხვავდება კონსტრუქციულისაგან
იმით, რომ 1) პირველი წანამძღვარი თავისებური სახის პირობით მსჯე-
ლობას წარმოადგენს: ამ მსჯელობაში საფუძველი არის პირობითი მსჯე-
ლობის ჩვეულებრივი საფუძველი, ხოლო შედეგი გაყოფით მსჯელობას
წარმოადგენს:

თუ A არის B, მაშინ A არის ან C, ან D.

2) მეორე წანამძღვარი უარყოფს ამ შედეგებს:

A არ არის არც C და არც D

3) დანასკეში უარყოფილია მოცემული საფუძველი.

დესტრუქციული დილემის სქემა ასეთი იქნება:

თუ A არის B, მაშინ A არის ან C, ან D.

A არ არის არც C და არც D

მაშ, A არ არის B.

მაგალითი:

თუ მოცემული გეომეტრიული ფიგურა მეორე რიგის მრუდი ხაზია, მაშინ ის ან წრეა, ან ელიფსი, ან პარაბოლაა, ანდა ჰიპერბოლაა მოცემული გეომეტრიული ფიგურა არც წრეა, არც ელიფსია, არც პარაბოლაა და არც ჰიპერბოლაა

მაშასადამე, მოცემული გეომეტრიული ფიგურა არ არის მეორე რიგის მრუდი ხაზი

დილემის აგების ძირითადი პირობა მდგომარეობს იმაში, რომ ალტერნატივები, რომლებსაც დილემა შეიცავს, უნდა ამოწურავდნენ ყველა შესაძლებელ შედეგებს.

15. ენთიმემა. ჩვეულებრივ, ყოველდღიურ აზროვნებაში, ისევე როგორც მეცნიერული მსჯელობისას, ჩვენ ვაკეთებთ დასკვნებს ისე, რომ მის ყველა ელემენტს არ გამოვთქვამთ. ასე, მაგალითად, თუ ვაკეთებთ დასკვნას კატეგორიული სილოგიზმის წესების თანახმად, ჩვენ ხშირად ვტოვებთ გამოუთქმელად რომელიმე წანამძღვარს ანდა თვითონ დანასკვასაც. იმის მაგიერ, რომ დასკვნა მთლიანად ჩამოვაყალიბოთ:

ყველა ადამიანი მოკვდავია

სოკრატე ადამიანია

სოკრატე მოკვდავია

ჩვენ ვამბობთ: სოკრატე მოკვდავია, რადგან ის ადამიანია; ასევე ვიტყვით: პეტრე პრინციპული ადამიანია, რადგან ის კომუნისტია. ეს უკანასკნელი გამოთქმა წარმოადგენს ნამდვილ კატეგორიულ სილოგიზმს.

ყოველი კომუნისტი პრინციპულია

პეტრე კომუნისტია

პეტრე პრინციპულია

რომელშიც გამოტოვებულია დიდი წანამძღვარი.

კატეგორიულ სილოგიზმს, რომელშიც გამოტოვებულია ერთ-ერთი მისი ელემენტი, ე. ი. დიდი ან მცირე წანამძღვარი ანდა დანასკვი, ენთიმემა ეწოდება. ენთიმემაში ერთ-ერთი წანამძღვარი ან დანასკვი იგულისხმება.

ნათქვამიდან ნათელი უნდა იყოს, რომ შეიძლება სამგვარი ენთიმემა არსებობდეს: 1) ენთიმემა, რომელშიც გამოტოვებულია დიდი წანამძღვარი, მაგალითად: ამერიკის შეერთებული შტატები აგრესიული სახელმწიფოა, რადგან იგი იმპერიალისტური სახელმწიფოა. ამ დასკვნის მთლიანი ფორმა ასეთი იქნება:

ყველა იმპერიალისტური სახელმწიფო აგრესიულია
ამერიკის შეერთებული შტატები იმპერიალისტური სახელმწიფოა
ამერიკის შეერთებული შტატები აგრესიული სახელმწიფოა

2) ენთიმემა, რომელშიც გამოტოვებულია მცირე წანამძღვარი, მაგალითად: რკინა ატარებს ელექტრობას, რადგან ყველა ლითონი ატარებს ელექტრობას. ამ დასკვნაში გამოტოვებულია მცირე წანამძღვარი: რკინა ლითონია.

3) ენთიმემა, რომელშიც გამოტოვებულია დანასკვი, მაგალითად: საბჭოთა მოქალაქენი მშვიდობის მომხრენი არიან, შენ კი საბჭოთა მოქალაქე ხარ. აქ გამოტოვებულია დანასკვი: შენ უნდა მშვიდობის მომხრე იყო.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩვენ საქმე გვაქვს ე. წ. უშუალო დასკვნებთან, ე. ი. დანასკვთან ერთი წანამძღვრიდან. მაგალითად, დასკვნა: „ნივთიერება X ატარებს ელექტრობას, რადგან ყველა ლითონი ატარებს ელექტრობას“ არ არის მართებული, თუ ჩვენ არ ვიცით (ვგულისხმობთ), რომ ნივთიერება X ლითონია.

16. **რთული სილოგიზმი.** ადამიანები იშვიათად თუ აზროვნებენ (ალკეული დასკვნებით; მით უმეტეს ეს ეხება მეცნიერულ აზროვნებას. მეცნიერულ გამოკვლევაში ერთი დასკვნა დაკავშირებულია მეორესთან, მეორე მესამესთან და ა. შ., რის შედეგადაც იქმნება აზრთა მთლიანობა, სისტემა, თეორია. აქ, ამ შემთხვევაში, აზრთა მსვლელობის ერთი დანასკვი მეორე დანასკვის წანამძღვრის როლში გამოდის. დასკვნა, რა ფორმისაც უნდა იყოს იგი, თითქმის ყოველთვის დასაბუთების ელემენტს წარმოადგენს ჩვენ გვინდა დავასაბუთოთ გარკვეული დებულება, სახელდობრ, დებულება, რომ „სოციალიზმი ოცნებიდან კაცობრიობის უკეთეს მომავალზე გადაიქცა მეცნიერებად“. ამისათვის ვასაბუთებთ ორ დებულებას, რომ სინამდვილე გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება და რომ კანონზომიერება შეცნობადია. ამ დებულებებიდან როგორც წანამძღვრებიდან გამოვყავს ახალი დანასკვი, რომ საზოგადოებაც, როგორც სინამდვილის ერთი ნაწილი, კანონზომიერებას ემორჩილება და ეს კანონზომიერებაც შეცნობადია: ახლა ამ დებულებაზე დაყრდნობით ახალ დასკვნას ავაგებთ, რომლის დანასკვი ასეთი იქნება: მეცნიერება საზოგადოების მოვლენების შესახებ შეიძლება გახდეს ისეთივე ზუსტი მეცნიერება, როგორიც არის, მაგალითად, ბიოლოგია. თუ მივიღებთ ამ დებულებას და გავითვალისწინებთ კიდევ ერთ წანამძღვარს, სახელდობრ, რომ კანონზომიერების შემეცნება გვაძლევს საშუალებას ზემოქმედება მოვახდინოთ მოვლენებზე და გარდავიქმნათ ისინი, ავაგებთ ახალ დასკვნას, რომ-

ლის დანასკვი დაადგენს დებულებას: კანონზომიერების ცოდნის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია გარდავექმნათ საზოგადოებრივი ურთიერთობა; თუ აღმოვაჩინთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას, შეგვიძლია გავითვალისწინოთ საზოგადოების განვითარების მომავალი ბედი. და ამიტომ აზრი სოციალისტურ საზოგადოებაზე, რაც საზოგადოების განვითარების კანონზომიერების ცოდნიდან გამომდინარეობს, ოცნებას კი აღარ წარმოადგენს, არამედ — მეცნიერულად დასაბუთებულ დებულებას.

აქ სქემატურად არის მოხაზული საკმაოდ რთულ აზრთა მსვლელობა, რომელიც დასკვნათა ჯაჭვს წარმოადგენს და სადაც ერთი დასკვნის დანასკვი მეორე დასკვნის ერთ-ერთ წანამძღვარს წარმოადგენს.

ამგვარ დასკვნათა ჯაჭვს ადგილი აქვს ყველა მეცნიერებაში, ყველა თეორიაში. ძალიან თვალსაჩინოდ ჩანს ეს მათემატიკურ დისციპლინებში. გეომეტრიაში, მაგალითად, რომელიმე თეორემა, როგორც გარკვეული დასკვნის დანასკვი, ახალი თეორემის წანამძღვრად გამოდის, ეს ახალი თეორემა კიდევ შემდეგი თეორემის და ასე შემდეგ.

ასევე: დებულება კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების შესახებ, რომელიც გამომდინარეობს გარკვეული წანამძღვრიდან, გამოყენებულია ერთ-ერთ მთავარ წანამძღვრად ახალი დებულების მისაღებად, სახელდობრ, დებულებისა, რომ შესაძლებელია სოციალიზმის აშენება ერთ ქვეყანაში.

1) თავისებური ფორმა ახასიათებს სილოგიზმის კავშირს, რომელშიც ერთი სილოგიზმის დანასკვი მეორე სილოგიზმის წანამძღვარს წარმოადგენს. სილოგისტური დასკვნების ამგვარ კავშირს პოლისილოგიზმი ეწოდება. მისი სქემა ასეთია:

A არის B

B არის C

A არის C

C არის D

A არის D

სილოგიზმს, რომლის დანასკვი წარმოადგენს მეორე სილოგიზმის წანამძღვარს, პროსილოგიზმი ეწოდება; ამ შემთხვევაში პროსილოგიზმი იქნება:

A არის B

B არის C

A არის C

ხოლო სილოგიზმს, რომლის წანამძღვარს პროსილოგიზმის და-
ნასკვი წარმოადგენს, ეპისილოგიზმი ეწოდება; ამ შემთხვევა-
ში ეპისილოგიზმი იქნება:

A არის C

C არის D

A არის D

მაგალითი:

ობიექტური ქვეყანა შეცნობადია და ჩვენი ცოდნა მისი განვითა-
რების კანონებზე სარწმუნო ცოდნას წარმოადგენს

საზოგადოებრივი ცხოვრება ობიექტური ქვეყნის ნაწილია

საზოგადოებრივი ცხოვრება შეცნობადია და ჩვენი ცოდნა მისი
განვითარების კანონებზე სარწმუნო ცოდნას წარმოადგენს

ცოდნა იმ საგნებზე, რომელნიც შეცნობადნი არიან, შესაძლებე-
ლია გადაიქცეს ზუსტ მეცნიერებად

ცოდნა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე შესაძლებელია გადაიქცეს
ზუსტ მეცნიერებად

2) ხშირად რთული სილოგიზმების შედგენისას გამოტოვებენ ზო-
გიერთ წანამძღვარს. ასეთ პოლისილოგიზმებს სორიტს (საეპე-
გროვა) უწოდებენ. შესაძლებელია გამოვტოვოთ მცირე წანამძღვრე-
ბი, მაგრამ აგრეთვე შესაძლებელია დიდი წანამძღვრების გამოტოვე-
ბა. მცირე წანამძღვრების გამოტოვებით მივიღებთ არისტოტე-
ლეს სორიტს; დიდი წანამძღვრების გამოტოვებით მიიღება გოც-
ლენიუსის სორიტი. სორიტის სქემა ასეთია:

A არის B

B არის C

C არის D

D არის E

A არის E

თუ აღვადგენთ გამოტოვებულ წანამძღვრებს, მივიღებთ სამ მარ-
ტივ სილოგიზმს:

1. A არის B

B არის C

A არის C

2. C არის D
A არის C

A არის D

3. D არის E
A არის D

A არის E

არისტოტელეს სორიტი:

ბუცეფალი ცხენია
ცხენი ოთხფეხაა
ოთხფეხა ცხოველია
ცხოველი სუბსტანციაა

ბუცეფალი სუბსტანციაა

გაშლილი სახით ეს სორიტი სამი სილოგიზმის სახით წარმოიდგინება:

1. ცხენი ოთხფეხაა
ბუცეფალი ცხენია

ბუცეფალი ოთხფეხაა

2. ოთხფეხა ცხოველია
ბუცეფალი ოთხფეხაა

ბუცეფალი ცხოველია

3. ცხოველი სუბსტანციაა
ბუცეფალი ცხოველია

ბუცეფალი სუბსტანციაა

გოკლენიუსის სორიტი:

ცხოველი სუბსტანციაა
ოთხფეხა ცხოველია
ცხენი ოთხფეხაა
ბუცეფალი ცხენია

ბუცეფალი სუბსტანციაა

არისტოტელეს სორიტში ყოველი ცნება — დანასკვის სუბიექტისა და პრედკატის გარდა — ოჩქერ მონაწილეობს წანამძღვრებში, პირ-

ველად წანამძღვრის პრედიკატის სახით და შემდეგ მომღვენო წანამძღვრის სუბიექტის სახით.

ჩვეულებრივ, სორიტში წანამძღვრები ზოგადდადებითი მსჯელობებია, მაგრამ შესაძლებელია წანამძღვარი კერძოც იყოს და უარყოფითაც. ამგვარი წანამძღვრების შესახებ არსებობს გარკვეული წესებიც.

წესები არისტოტელეს სორიტის შესახებ.

1. არისტოტელეს სორიტში შესაძლებელია იყოს მხოლოდ ერთი უარყოფითი წანამძღვარი; თუ არის უარყოფითი წანამძღვარი, ის უნდა იყოს უკანასკნელი.

2. არისტოტელეს სორიტში კერძობითი წანამძღვარი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: თუ არის კერძობითი წანამძღვარი, ის უნდა იყოს პირველი.

წესები გოკლენიუსის სორიტის შესახებ.

1. გოკლენიუსის სორიტში უარყოფითი წანამძღვარი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი:

თუ არის უარყოფითი წანამძღვარი, ის უნდა იყოს პირველი.

2. გოკლენიუსის სორიტში კერძობითი წანამძღვარი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი;

თუ არის კერძობითი წანამძღვარი, ის უნდა იყოს უკანასკნელი.

17. სილოგიზმის ღირებულების შესახებ. დასკვნა, რა სახისაც უნდა იყოს იგი, ნამდვილ დასკვნად არ ჩაითვლება, თუ ის დანასკვეში ახალ ცოდნას არ გვაძლევს. დასკვნის, როგორც აზროვნების ფორმის, მთელი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი საშუალებით ჩვენ განკარგულებაში უკვე არსებული ცოდნის საფუძველზე ახალ ცოდნას ვიღებთ. თუ დანასკვეში ასეთი ახალი ცოდნა არ არის, მაშინ დანასკვი წარმოადგენს წანამძღვრების განმეორებას; ამ შემთხვევაში დასკვნას არავითარი შემეცნებითი ღირებულება არ ექნებოდა და აზროვნების ეს ფორმა სრულიად ზედმეტი იქნებოდა.

ლოგიკის ისტორიაში არაერთხელ წამოუყენებიათ ასეთი აზრი დელუქციური დასკვნის შესახებ. ყველაზე ცნობილი და გავრცელებულია ჯ. ს. მილის აზრი, რომელიც ეხება არა საერთოდ დელუქციურ დასკვნას, არამედ კატეგორიულ სილოგიზმს.

მილის აზრით, ტრადიციული მოძღვრება კატეგორიული სილოგიზმის შესახებ უსაფუძვლოა. საქმე ის არის, რომ ტრადიციული მოძღვრების მიხედვით კატეგორიული სილოგიზმის ერთ-ერთი წანამძღვარი ზოგადი უნდა იყოს. მაგრამ ზოგადი მსჯელობა მილის აზრით ნამდვილად ერთეულ მსჯელობათა ჯამს წარმოადგენს; დანასკვეში კი

დასტურდება ამ ჯამში შემავალი ერთ-ერთი მსჯელობა. ილუსტრაციისათვის მილი განიხილავს ცნობილ მაგალითს

ყველა ადამიანი მოკვდავია
სოკრატე ადამიანია

სოკრატე მოკვდავია

თუ ჩვენ გამოვიყენებთ წანამძღვარს „ყველა ადამიანი მოკვდავია“, ზედმეტია სილოგისტური დასკვნა, რადგან „ყველა ადამიანში“ სოკრატეც იგულისხმება: ჩვენ არ გვეცოდინებოდა ყველა ადამიანის მოკვდავობა, სოკრატეს მოკვდავობაც რომ არ გვეცოდნოდა. ამიტომ ჩვენ ვიცით ყველა ადამიანის მოკვდავობა და ამიტომ სოკრატეს მოკვდავობაც და დანასკვი სრულიად ზედმეტია, რადგან ის ახალს არაფერს შეიცავს.

ამიტომ კატეგორიულ-სილოგისტური დასკვნა ზოგადი დიდი წანამძღვრით სავსებით უნაყოფოა: ის არაერთარ ახალ ცოდნას არ გვაძლევს: დანასკვის აზრი უკვე იგულისხმება დიდ წანამძღვარში.

კატეგორიული სილოგიზმი *petitio principii*-ს განხორციელებას წარმოადგენს.

ნიშნავს ეს, მილის აზრით, რომ კატეგორიული სილოგიზმი ყოველივე ღირებულებას მოკლებულია? მილი არ უარყოფს კატეგორიული სილოგიზმის მნიშვნელობას, ის მას სხვა ახსნას აძლევს. ჩვენ შეგვიძლია, ფიქრობს მილი, ვიმსჯელოთ ჰერცოგ ველინგტონზე (რომელიც ჭერ ცოცხალია) და დავასკვნათ, რომ იგი მოკვდავია; მაგრამ ეს დასკვნა არ ეყრდნობა ზოგად წანამძღვარს „ყველა ადამიანი მოკვდავია“. აბა, რა გზით ვაკეთებთ ჩვენ ამ დასკვნას. რა წანამძღვარს ეყრდნობა ეს დასკვნა? ნამდვილი წანამძღვარი, რასაც ეყრდნობა დანასკვი, წარმოადგენს ცალკეული ფაქტების ჯგუფს, სახელდობრ, „ჩემი მამა, მამის მამა, A, B, C და სხვ. მოკვდნენ“. ეს არის სწორედ დიდი წანამძღვარი, რომელიც შეიცავს იმას, რაც ჩვენ ნამდვილად ვიცით. მეორე წანამძღვარი გამოთქვამს აზრს, რომ ჰერცოგი ველინგტონი ადამიანია, ე. ი. ჰგავს ჩემს მამას, მამის მამას, A-ს, B-ს, C-ს და სხვ.

ამრიგად, კატეგორიული სილოგიზმი არის დასკვნა არა ზოგადიდან კერძოსაკენ, არამედ კერძოდან კერძოსაკენ.

ზოგიერთი ადამიანი მოკვდა

(A) ჰერცოგი ველინგტონი ადამიანია

ჰერცოგი ველინგტონიც მოკვდება

ზოგადი მსჯელობა „ყველა ადამიანი მოკვდავია“ აქ თამაშობს ორგვარ როლს: ის წარმოადგენს კერძო ფაქტების მოკლე ჩანაწერს, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, იგი დანასკვის შემოწმების საშუალებაა. ზოგადი მსჯელობა მონაწილეობს დასკვნაში, მაგრამ დანასკვი მისგან კი არ გამომდინარეობს, არამედ მის შესაბამისად. ხოლო თვით ეს ზოგადი მსჯელობა მიღებულია ინდუქციის გზით. ამრიგად, კატეგორიული სილოგიზმი არის ინდუქციური დასკვნა კერძოდან კერძოზე, რომელიც ამავე დროს შემოწმებას განიცდის მეორე ინდუქციური დასკვნის მეოხებით კერძოდან ზოგადზე.

საკმარისია ყურადღება მივაქციოთ ზემოთ მოყვანილი დასკვნის (A) ფორმას, რომ დავრწმუნდეთ: მილის თეორია აგნოსტიკურია. საქმე ის არის, რომ აქ მოცემული წანამძღვრებიდან დანასკვი არ გამომდინარეობს. დანასკვი, „ჰერცოგი ველინგტონი მოკვდება“, საალბათოა. იმის თქმა, რომ ეს დანასკვი შემოწმდება პარალელური ინდუქციური ხასიათის დასკვნით, რომელიც კერძოდან ზოგადისაკენ მიგვიყვანს, ვერ უშველის მილს, რადგან ინდუქციური დასკვნაც მხოლოდ საალბათოა.

მილი არც თვითონ უარყოფს იმას, რომ მისი მოძღვრება აგნოსტიკურია; მილი აღნიშნავს, რომ სილოგიზმს — მისი გაგებით — არა აქვს იმის პრეტენზია, რომ დანასკვი აუცილებელი და მართებულია, არა აქვს ეს პრეტენზია და არც შეიძლება ეს პრეტენზია ჰქონდეს.

მილის ძირითადი შეცდომა კატეგორიული სილოგიზმის ინტერპრეტაციაში, მის ნომინალიზმში მდგომარეობს. მილისათვის ზოგადი ცალკეულების ჯამია; ზოგადი მსჯელობა კი ცალკეული მსჯელობების აგრეგატია. მილი მართალი იქნებოდა, რომ ზოგადი მსჯელობა მხოლოდ რეგისტრირებული ზოგადი ყოფილიყო. რეგისტრირებული ზოგადი მსჯელობა მართლაც ცალკეული მსჯელობების აგრეგატს, ჯამს წარმოადგენს. თუ ჩვენ განვიხილეთ პლანეტები ცალ-ცალკე და აღმოვაჩინეთ, რომ თვითული მათგანი მოძრაობს მზის გარშემო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ცოდნა ერთ მსჯელობაში გამოეთქვათ: ყველა ჩვენთვის ცნობილი პლანეტა მოძრაობს მზის გარშემო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ეს ზოგადი მსჯელობა მართლაც ცალკეული მსჯელობების — მერკური მოძრაობს მზის გარშემო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ვენერა მოძრაობს ასევე, დედამიწა მოძრაობს ასევე და სხვ. — ჯამი იქნება, და ყოველივე აზრს მოკლებული იქნება ამ ზოგადი მსჯელობიდან ხელახლად დედასკვნათ, რომ დედამიწა მოძრაობს მზის გარშემო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, რადგან ეს მსჯელობა უკვე ზოგად მსჯელობაში იგულისხმება, როგორც მისი შემადგენელი მომენტი, რომლის გარეშე არც ზოგადი მსჯელობა იქნებოდა ქეშმარიტი.

მაგრამ ხშირად ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ზოგად მსჯელობებთან, რომლებიც სრულიადაც არ წარმოადგენენ კერძო მსჯელობების ჯამს — ამგვარი მსჯელობებისაგან შედგება უმთავრესად მეცნიერება —; ასეთი ზოგადი მსჯელობა ცალკეული მსჯელობების ჯამს კი არ წარმოადგენს, არამედ იგი მოვლენათა კლასის არსებას, ზოგადს ასახავს, ზოგადს, რომელიც წარმოადგენს „ერთიანობას სიმრავლეში“ და რომლის საფუძველზე შეიძლება პირველად მსჯელობა კლასზე, როგორც ასეთზე. მსჯელობა „ყველა ადამიანი მოკვდავია“ სრულიადაც არ ნიშნავს ცალკეული მსჯელობების — ჩემი მამა მოკვდა, მამის მამა მოკვდა, A, B, C და სხვ. მოკვდა და სხვ. და სხვ. — ჯამს, არამედ ამ მსჯელობაში გამოთქმულია აზრი: ადამიანის ბუნება, ადამიანის არსება მოკვდავია.

ნომინალიზმი უარყოფს ზოგადის, არსების არსებობას, ზოგადი მისთვის ერთეულების კონაა; ეს თვალსაზრისი უარყოფს არა მხოლოდ სილოგისტური დასკვნის ღირებულებას, როგორც დასკვნის ზოგადიდან კერძოზე, არამედ იგი უარყოფს ყოველგვარ ცოდნას კანონზომიერების შესახებ, უარყოფს თვით კანონების არსებობას ბუნებაში და საზოგადოებაში.

საინტერესო ისიც არის მილის მსჯელობაში, რომ მილი უარყოფს არა სილოგიზმში ზოგად მსჯელობას, როგორც წანამძღვარს, თვითონ აგებს თავის თეორიას სილოგიზმის ტრადიციული გაგების გამოყენებით. რატომ შეგვიძლია ჩვენ მილის აზრით — ჰერცოგ ველინგტონის სიკვდილი გამოვიყვანოთ A, B, C და სხვათა სიკვდილის საფუძველზე? იმიტომ გვარწმუნებს მილი, რომ ჩვენ ვხელმძღვანელობთ დებულებით: ის, რაც იყო ჰეშმარიტი ამა და ამ შემთხვევებში, იქნება ჰეშმარიტი ყველა მსგავს შემთხვევაში. ამით მილი უკვე ეყრდნობა ზოგად დებულებას, როგორც წანამძღვარს და ჩვეულებრივ დასკვნას აკეთებს.

ის, რაც ჰეშმარიტია A, B, C და სხვ. მიმართ, ჰეშმარიტია ყველა მსგავს შემთხვევათა მიმართ. ეს დებულება ზოგადი მსჯელობაა და თვითონ მილის თვალსაზრისითაც არ უნდა იყოს ცალკეული მსჯელობების ჯამი.

1. დედუქციური დასკვნების შესახებ ტრადიციული მოძღვრების ნაკლი

1. მოძღვრება კატეგორიულ სილოგიზმზე. არისტოტელეს დროიდან დღევანდლამდე ლოგიკოსები მუშაობენ დედუქციური დასკვნის თეორიაზე და დღემდე არ არის შექმნილი ამ დასკვნების დამაკმაყოფილებელი თეორია. არა თუ არ არსებობს თეორია, რომელსაც შეუძლია ახსნას ყველა მრავალგვარი ფორმა დედუქციური დასკვნისა, არამედ ისიც კი არ არის გარკვეული საბოლოოდ, დასკვნის რა ფორმები შედიან დედუქციურ დასკვნათა კლასში.

დედუქციურ დასკვნათა თეორიაში ტრადიციული ლოგიკა განიხილავდა მხოლოდ სილოგისტურ დასკვნებს, მაგრამ სილოგისტური დასკვნის ცნებაში ის გულისხმობდა არა მხოლოდ კატეგორიულს, არამედ პირობითსა და გაყოფით დასკვნებს. ეს მდგომარეობა, ტრადიციით დაკანონებული, გრძელდება დღევანდლამდე, მიუხედავად მრავალი გაუგებრობისა და წინააღმდეგობისა, რომელშიც ტრადიციული ლოგიკა ვარდება.

ისიც თუ დავუშვით, რომ ეს გაუგებრობანი და წინააღმდეგობანი, რომლებიც ტრადიციულ მოძღვრებას ახასიათებს, არ არის არსებითი — ეს დაშვება, რასაკვირველია, არ არის მართებული — მაინც ერთი გარემოება უნდა აღინიშნოს: დედუქციური დასკვნის მრავალი ფორმა ტრადიციული მოძღვრების მიერ არ არის გათვალისწინებული. კატეგორიული სილოგიზმი ერთ-ერთი ფორმაა დედუქციურ დასკვნათა მრავალგვარ ფორმათა შორის; მაგრამ მის მიმართაც შეიძლება დაისვას საკითხი, რამდენად მართებულად არის ის წარმოდგენილი ტრადიციულ მოძღვრებაში. განვიხილოთ პირველ რიგში ტრადიციული მოძღვრება კატეგორიულ სილოგიზმზე და მის ფიგურებზე.

მიუხედავად იმ დიდი მნიშვნელობისა, რომელიც აქვს კატეგორიულ სილოგიზმში საშუალო ტერმინს, ეს უკანასკნელი, — როგორც ეს კარგა ხანია შეამჩნიეს — ორაზროვან როლს თამაშობს სილოგიზ-

მში. საშუალო ტერმინი საშუალოა თავისი მოცულობით, შედარებით დიდსა და მცირე ტერმინებთან. ამით აიხსნება მათი სახელებიც: საშუალო, დიდი, მცირე. საშუალო ტერმინის ასეთი გაგება გამოდგება, მაგალითად პირველი ფიგურის მიმართ. მოდუს Barbara-ში S-ის მოცულობა შედის M-ის მოცულობაში, ხოლო ეს უკანასკნელი P-ს მოცულობაში; ასეთივე მდგომარეობაა მოდუს Darii-ში. Celarent-ში უკვე გაურკვეველია, არის თუ არა M მოცულობით საშუალო S-სა და P-ს შორის: S რომ შედის M-ში, ჩანს მცირე წანამძღვრიდან. მაგრამ M-ის და P-ს მოცულობის შედარება უკვე შეუძლებელია.

სრულიად განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს მეორე ფიგურაში, მაგალითად, Camestres-ში. აქ დიდი ტერმინის მოცულობა ნაკლები აღმოჩნდება საშუალო ტერმინის მოცულობაზე; ასეთივე მდგომარეობაა მოდუს Baroco-ში. მესამე ფიგურაში, მაგალითად, მოდუს Darapti-ში საშუალო ტერმინი მცირე ტერმინზე მცირეა მოცულობით.

ამგვარად, საშუალო ტერმინის პრინციპი როგორც მოცულობით საშუალოსი არ არის ბოლომდე გატარებული. სადაც საშუალო ტერმინის ასეთი ინტერპრეტაცია არ გამოდგება, მას უკვე სხვა ინტერპრეტაციას აძლევენ: საშუალო ტერმინი საშუალოა იმ აზრით, რომ ის ორი დანარჩენი ტერმინის დამაკავშირებელი რგოლია.

შეიძლება ვეფიქრა, რომ საშუალო ტერმინის ასეთი ორმაგი როლი განსაზღვრულია მოცულობითი თეორიის მცდარი პრინციპით და რომ კატეგორიული სილოგიზმის შესახებ მოძღვრება შეიძლება ადვილად განთავისუფლდეს ამ ნაკლისაგან. თუკი ჩვენ დავდგებით შინაარსის ლოგიკის თვალსაზრისზე. მაგრამ ეს არ უშველის საქმეს, რადგან დასკვნები ხშირად ისეთი მსჯელობებიდან აიგება, რომლებიც კლასთა მიმართებას გამოხატავენ (მოცულობათა მიმართებას).

საშუალო ტერმინი რომ დედუქციურ დასკვნების ზოგიერთ ფორმაში გარკვეულ როლს თამაშობს, და ამ როლს თამაშობს ხან ერთი და ხან მეორე მნიშვნელობით, ეს ფაქტია, რომელიც უნდა აეხსნათ და არა მხოლოდ აღვნიშნოთ. კატეგორიულ სილოგიზმზე მოძღვრების ნაკლი დასახელებულ ფაქტის არსებობაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ ეს ფაქტი ამ მოძღვრებაში აუხსნელი რჩება.

საშუალო ტერმინის ადგილისა და წანამძღვრების თავისებურების საფუძველზე ავებულება მოძღვრება ფიგურებზე და მოდუსებზე; დადგენილა კატეგორიული სილოგიზმის აქსიომა. მაგრამ. რადგან ეს აქსიომა მხოლოდ პირველი ფიგურისათვის არის დადგენილი, საჭირო ხდება დანარჩენი ფიგურების დამორჩილება ამ აქსიომისადმი, ე. ი. დანარჩენი ფიგურების პირველ ფიგურაზე დაყვანა. იბადება საკითხი, რამდენად შესაძლებელია ტრადიციული მოძღვრება ფიგურებზე და მო-

დუსებზე, ფიგურების ერთმანეთზე დაყვანა? ხომ არ არის ამ მოძღვრებაში ზედმეტი ბალასტი, რომლისგანაც საჭიროა განთავისუფლება? მრავალი ლოგიკოსი დადებითად უპასუხებს ამ კითხვას. ჩვენი მიზანია გამოვყოთ კატეგორიული სილოგიზმის შესახებ მოძღვრებიდან არსებითი და საჭირო.

ა. მეოთხე ფიგურა. განვიხილოთ კატეგორიული სილოგიზმის ფიგურები; დავიწყოთ მეოთხე ფიგურით. არისტოტელე, მიუხედავად საშუალო ტერმინის ცნების ორაზროვანი ხმარებისა, ცდილობდა აეგო კატეგორიული სილოგიზმის თეორია სუბსუმციის პრინციპის საფუძველზე. რა სახისაც უნდა ყოფილიყო წანამძღვრები, დანასკვში უნდა დადგენილიყო S-ის P-ში შეტანა ან P-დან გამორიცხვა. ამიტომ თვითონ წანამძღვრები ისე უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ მათ ასეთი დანასკვი უზრუნველყოთ. აქედან ნათელი ხდება ის გარემოება, რომ წანამძღვრებში მცირე ტერმინი არ შეიძლება პრედიკატი ყოფილიყო, თუ დიდ ტერმინს სუბიექტის ადგილი ეკავა. მაგრამ მეოთხე ფიგურაში ტერმინების კომბინაცია სწორედ ასეთია.

არისტოტელეს გაცილებით უფრო კარგად ესმოდა კატეგორიული სილოგიზმის არსება, ვიდრე მის მოწაფეებს და ამიტომ მეოთხე ფიგურა სრულიად ამოავდო თავისი თეორიიდან, იმისდა მიუხედავად, რომ კარგად ხედავდა ტერმინების მეოთხე კომბინაციას. არისტოტელეს მოწაფეებმა და საბოლოოდ გალენმა „აღმოაჩინეს“ მეოთხე ფიგურა, შექანიკურად მიუდგნენ რა პრინციპს, რომ საშუალო ტერმინის ადგილი განსაზღვრავს ფიგურას.

P — M

M — S

S — P

ძნელი არ არის იმის ჩვენება, რომ აზრთა სვლა ამ ფიგურაში ხელოვნურია; აზრთა ნორმალური სვლა მოცემული წანამძღვრებიდან მოგვემდა დანასკვის: P—S. მაგალითად:

' ყველა კვადრატი პარალელოგრამია
 არც ერთი პარალელოგრამი არ არის სამკუთხედი

არც ერთი კვადრატი არ არის სამკუთხედი (P—S)

კვადრატები შედიან პარალელოგრამთა კლასში, პარალელოგრამები არ შედიან სამკუთხედთა კლასში, მაშ, კვადრატები არ შედიან სამკუთხედთა კლასში. ასეთი დანასკვი ფაქტიურად გაკეთებულია პირ-

ველი ფიგურის მიხედვით. მეოთხე, ფიგურით უნდა მიგველო: სამკუთხედები არ შედიან კვადრატების კლასში.

ამ ფიგურის ხელოვნური ხასიათი თითქმის ყველა ლოგიკოსისათვის ცნობილია, მაგრამ ტრადიციით მაინც ტოვებენ მას პირველი სამის გვერდით. აღსანიშნავია ისიც, რომ დასკვნა მეოთხე ფიგურით ხშირად ამცირებს დანასკვის შემეცნებით ღირებულებას, რაც შემეცნების მიზანს ეწინააღმდეგება. მაგალითად, მეოთხე ფიგურის მოდუსი Bramalip გვაძლევს უფლებას მხოლოდ კერძობით დანასკვზე იმ დროს, როდესაც იგივე წინამძღვრები —, თუ არ ვაიძულებთ ჩვენი თავი ვიაზროვნოთ მეოთხე ფიგურის მიხედვით — ბუნებრივად გვაძლევს ზოგად დანასკვს. მაგალითად:

PaM

MaS

SiP

P თუ შედის M-ში და M შედის S-ში, ცხადია, P შედის S-ში. ასეთია ბუნებრივი სვლა ლოგიკური აზრის. მაგალითი:

დემოკრატიული ქვეყნები მშვიდობის მომხრენი არიან

მშვიდობის მომხრე ქვეყნები „ატლანტიკური პაქტის

წინააღმდეგნი არიან

ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც ატლანტიკური პაქტის

წინააღმდეგია, დემოკრატიულია

ეს იმ დროს, როდესაც გაცილებით ბუნებრივი იქნებოდა და ამავე დროს მეტი შემეცნებითი მნიშვნელობის მქონე იქნებოდა დასკვნა: „ყველა დემოკრატიული ქვეყანა ატლანტიკური პაქტის წინააღმდეგია“.

b. მესამე ფიგურა. მესამე ფიგურის ისტორია საინტერესოა. უკვე არისტოტელემ შეამჩნია მსგავსება, რომელიც არსებობს მესამე ფიგურასა და ინდუქციური დასკვნის გარკვეულ სახეს შორის. ვთქვათ, ჩვენ გვაქვს სამი ტერმინი: 1) უნადველო ცხოველები (M), 2) ცხოველები, რომლებიც დიდხანს ცოცხლობენ (P), 3) ადამიანთა, ცხენი, ვირი და სხვ. (S); ამ ტერმინებიდან შეგვიძლია ავაგოთ კატეგორიული სილოგიზმი:

უნადველო ცხოველები დიდხანს ცოცხლობენ

ადამიანს, ცხენს, ვირს არა აქვთ ნადველა

ადამიანი, ცხენი, ვირი დიდხანს ცოცხლობენ

ამვე ტერმინებიდან შეიძლება ავაგოთ ინდუქციური დასკვნა:

ადამიანი, ცხენი, ვირი დიდხანს ცოცხლობენ
ადამიანს, ცხენს, ვირს არა აქვთ ნაღველა

უნაღველო ცხოველები დიდხანს ცოცხლობენ

სილოგიზმში ჩვენ ვაკავშირებთ კიდურ ტერმინებს საშუალო ტერმინის საშუალებით; ინდუქციურ დასკვნაში კი ჩვენ ვაკავშირებთ საშუალო ტერმინს დიდ ტერმინთან მცირე ტერმინის საშუალებით.

მაგრამ მეორე დასკვნა ხომ ფორმის მიხედვით კატეგორიული სილოგიზმის მესამე ფიგურას წარმოადგენს; ის კი მხოლოდ კერძობით დანასკვს გვაძლევს. პირველ ფიგურაზე მისი დაყვანა შეიძლება მცირე წანამძღვრის უკუქცევით, მაგრამ უკუქცევა აქ შესაძლებელია მხოლოდ შემოფარგვლით; ინდუქციამ კი უნდა მოგვცეს ზოგადი დანასკვი. ეს კი მაშინ არის შესაძლებელი, თუ მცირე წანამძღვრის სუბიექტი და პრედიკატი ტოლია მოცულობით, რაც მარტივი უკუქცევის შესაძლებლობას მოგვცემს. ამრიგად, მცირე წანამძღვრის სუბიექტის ცნებაში უნდა იყოს ნაგულისხმევი ყველა უნაღველო ცხოველი. იმ აზრს, რომ მესამე ფიგურა ინდუქციური დასკვნის გარკვეულ სახეს ემსგავსება, მიემხრო ზოგიერთი ლოგიკოსი.

გამართლება მესამე ფიგურისა როგორც დასკვნისა საერთოდ და როგორც დედუქციური დასკვნისა კერძოდ, რიგ წინააღმდეგობას ელობება. განვიხილოთ მესამე ფიგურა ჯერ როგორც დედუქციური დასკვნის სახე და შემდეგ როგორც დასკვნა საერთოდ.

დედუქციური დასკვნა ტრადიციული განსაზღვრებით ისეთი შუალობითი დასკვნაა, რომლის დანასკვი ნაკლებად ზოგადი უნდა იყოს წანამძღვრებთან შედარებით. რაც შეეხება მესამე ფიგურას — მისი დამცველების მიხედვით, — აქ მდგომარეობა არსებითად განსხვავებულია. განვიხილოთ დასკვნა მესამე ფიგურის მიხედვით:

ნატრიუმი წყალზე მჩატეა

ნატრიუმი ლითონია

ზოგიერთი ლითონი წყალზე მჩატეა

რა სახის დასკვნასთან გვაქვს ჩვენ აქ საქმე — ვვლისხმობთ ჯერჯერობით, რომ აქ ნამდვილ დასკვნასთან გვაქვს საქმე? ის, ვინც იცავს იმ აზრს, რომ მესამე ფიგურა ნამდვილ დასკვნას წარმოადგენს, ვერ გაექცევა დასკვნას, რომ აქ ჩვენ ინდუქციურ დასკვნასთან გვაქვს საქმე. მართლაც და, წანამძღვრებში გამოთქმულია აზრი ნატ-

არიუმის შესახებ, ხოლო დანასკეში — ლითონის შესახებ, ე. ი. დანასკვი უფრო ზოგადია, ვიდრე წანამძღვრები. ეს დასკვნა არის, როგორც თვითონ ამ ფიგურის დამცველები ამბობენ, „საგანთა ჯგუფის შესახებ მთლიანად“, მაგრამ „მთლიანი ჯგუფის ეს დახასიათება ჯერ არ არის საკმარისი“, რადგან არ ვიცით, ჯგუფის რა ნაწილს ახასიათებს დადგენილი ნიშანი (ასმუსი); ანდა: ამ დასკვნას აქვს ტენდენცია მოგვცეს ზოგადი დანასკვი, მაგრამ ეს ზოგადი დანასკვი არ არის დასაბუთებული წანამძღვრებით. მაგრამ არსება ამ დასკვნისა მაინც მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ გადაგვაქვს ნიშანი ერთეული საგნიდან საგანთა კლასზე (მის ზოგიერთ წარმომადგენელზე). ამ დასკვნის საშუალებით ჩვენ ნაწილობრივ ვახასიათებთ ზოგადს (ტავანეცი).

ჯერ ერთი, უნდა ითქვას, რომ ზოგადის ნაწილობრივი დახასიათება ნიშნავს ზოგადის ერთი ან რამდენიმე ნიშნის აღნიშვნას, იმას, რომ ზოგადის დამახასიათებელი ყველა ნიშანი არ არის აღნიშნული; რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ აღვნიშნავთ ნიშანს, რომელიც საგანთა კლასის რამდენიმე საგანს ახასიათებს, ეს არ არის ზოგადის არავითარი დახასიათება.

მაგრამ მთავარი აქ მაინც სხვა არის: თუ დასკვნა მესამე ფიგურით გვაძლევს დანასკეში ზოგადის დახასიათებას, იმ დროს, როდესაც წანამძღვრებში ასეთი რამ მოცემული არ ყოფილა, ცხადია, რომ ეს დასკვნა ინდუქციური უნდა იყოს და არა დედუქციური. მაგრამ დასახელებული ავტორები, გრძნობენ რა ამ თვალსაზრისის მცდარობას, მას მაინც დედუქციურად თვლიან. ამ წინააღმდეგობიდან გამოსავალი აქ არ ჩანს: დანასკვი უფრო ზოგადია, ვიდრე წანამძღვრები, მაგრამ ეს დასკვნა დედუქციურია.

რით აიხსნება ეს წინააღმდეგობა, რომელშიც ვარდებიან მესამე ფიგურის დამცველები? განვიხილოთ ორი მსჯელობა: 1) ლითონი ნატრიუმი წყალზე მჩატეა და 2) ზოგიერთი ლითონი წყალზე მჩატეა. ეს ორი მსჯელობა ცალკე აღებული, რასაკვირველია, ერთმანეთისაგან განსხვავდება. მეორე მსჯელობა შეიძლება გავიგოთ, როგორც უფრო ზოგადი, პირველთან შედარებით. პირველში მხოლოდ ერთ ლითონზეა საუბარი — ნატრიუმზე; მეორეში აზრი გამოთქმულია ზოგიერთ ლითონზე, ხოლო „ზოგიერთი“ შეიძლება ნიშნავდეს ერთსაც, რამდენიმესაც და ყველასაც. საქმე ის არის, რომ ჩვენ არ ვიცით ნამდვილად „რამდენია“ ეს ზოგიერთი. ამ აზრით და მხოლოდ ამ აზრით შეიძლება (და არა აუცილებელია) მეორე მსჯელობა გავიგოთ, როგორც უფრო ზოგადი, ვიდრე პირველი.

სრულიად სხვა მდგომარეობა გვაქვს დასკვნაში მესამე ფიგურის მიხედვით: „ზოგიერთი ლითონი წყალზე მჩატეა“ — ეს მსჯელობა აღარ არის დამოუკიდებელი წანამძღვრებიდან. აღებული ცალკე წა-

ნამძღვრებისაგან მას არა აქვს გარკვეული შინაარსი, გარკვეული შინაარსი იმ აზრით, რომ ჩვენ არ ვიცით რა ლითონზეა საუბარი. ერთზე, მრავალზე თუ ყველაზე. მაგრამ ეს მსჯელობა, როგორც დანასკვი გარკვეული წანამძღვრებიდან, გარკვეული შინაარსის მქონეა: ეს ის შინაარსია, რომელზედაც იყო საუბარი წანამძღვრებში, ხოლო წანამძღვრებში საუბარი იყო მხოლოდ ერთ ლითონზე — ნატრიუმზე. საკმარისია ვიკითხოთ დანასკვის „ზოგიერთის“ შესახებ: რომელ ზოგიერთზეა საუბარი? პასუხი ნათელი იქნება: ზოგიერთი, ე. ი. ლითონი ნატრიუმი. რა უფლება გვაქვს ჩვენ დედუქციურ დასკვნის დანასკვი ვიმსჯელოთ სხვა საგნებზე (ზოგიერთზე ან ყველაზე), როდესაც წანამძღვრებში საუბარია ერთადერთ საგანზე?

თუ ეს ასეა, ცხადი უნდა იყოს ისიც, რომ მესამე ფიგურა, არსებითად, არავითარ დანასკვს არ გვაძლევს, რადგან დანასკვი მეორდება იგივე, რაც წანამძღვრებში იყო ნათქვამი. ერთ წანამძღვარში დადასტურებულია საგნის ერთი ნიშანი (ლითონი), მეორეში — საგნის მეორე ნიშანი (წყალზე მჩატე), დანასკვი კი აღნიშნულია, რომ მოცემულ საგანს ორივე ნიშანი ახასიათებს; მოცემულ საგანს ვამბობთ ჩვენ, რადგან ცხადია, რომ დანასკვიში საუბარია იმავე საგანზე.

ტრადიციული ლოგიკის თვალსაზრისით მესამე ფიგურის შემეცნებითი ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მისი საშუალებით შეგვიძლია მცდარი ზოგადი მსჯელობის უარყოფა. ასე, მაგალითად, მცდარი დებულების „ლითონი წყალზე მძიმეა“ უარყოფა წარმოებს მესამე ფიგურის დასკვნით:

ნატრიუმი წყალზე მჩატეა
ნატრიუმი ლითონია

მაშ, ზოგიერთი ლითონი წყალზე მჩატეა

მაგრამ განა მცდარი დებულების უარსაყოფად საკმარისი იყო სილოგიზმის აგება; უფრო მარტივი არ იქნებოდა ლითონ ნატრიუმზე მიგვეთითებინა, რომელიც წყალზე მჩატეა? რასაკვირველია, ეს მითითება შეიძლება სილოგისტურ ფორმაში ჩამოვავალიბოთ, მაგრამ გაუგებარია რას ვალწევთ ამით.

ც. პირველი და მეორე ფიგურა. განვიხილოთ ორი დანარჩენი ფიგურა; თვითნებულში ოთხი მოდუსია. პირველი ფიგურის მოდუსებია:

$$1. \frac{MaP}{SaP}, \quad 2. \frac{MeP}{SeP}, \quad 3. \frac{MaP}{SiP}, \quad 4. \frac{MeP}{SoP}$$

საკმარისია დაეკვირდეთ ამ მოდუსებს, რომ დავინახოთ: აქ დასკვნის ოთხი განსხვავებული სახე კი არ არის, არამედ მხოლოდ ორი. მოდუსები Barbara და Darii დასკვნის ერთ ტიპს წარმოადგენენ.

$$\frac{M a P}{S a, i M} \\ S a, i P$$

ცნებათა მოცულობის თვალსაზრისით დასკვნის ეს ტიპი ასეთია: M -ის მოცულობა მთლიანად შედის P-ს მოცულობაში, ხოლო S-ის მოცულობა მთლიანად (ნაწილობრივ) შედის M-ის მოცულობაში; ამიტომ S-ის მოცულობა მთლიანად (ნაწილობრივ) შედის P-ს მოცულობაში.

ცნებათა შინაარსის თვალსაზრისით: P ნიშანი ახასიათებს M-ს, ხოლო ნიშანი M ახასიათებს S-ს (S-ის ნაწილს); ამიტომ ნიშანი P ახასიათებს S-ს (S-ის ნაწილს).

ასევე, მოდუსები Celarent და Ferio წარმოადგენენ დასკვნის ერთ ტიპს:

$$\frac{M e P}{S a, i M} \\ S e, o P$$

ამრიგად, მთავარი აქ არის არა მოძღვრება ოთხი მოდუსის შესახებ, მოძღვრება, რომელსაც სრულიად არ ახასიათებს პრინციპულობა და სრულიად შემთხვევით ხასიათს ატარებს, არამედ დასკვნის ტიპი, აზრის სვლა, რომელიც მხოლოდ ორია. სხვათა შორის, სილოგისმის აქსიომატ სულ ერთია, რა სახით იქნება ის ფორმულირებული — დასკვნის ამ ორ ტიპს გულისხმობს: რაც დადასტურებულია გვარის შესახებ, ის დასტურდება ამ გვარისადმი დაქვემდებარებულზე; რაც უარყოფილია გვარის შესახებ, ის უარყოფილია ამ გვარისადმი დაქვემდებარებულზე. ამ აქსიომის პირველი ნახევარი ახასიათებს პირველი ფიგურის დასკვნის პირველ ტიპს, მეორე ნახევარი — დასკვნის მეორე ტიპს.

ამავე აქსიომიდან გამომდინარეობს პირველი ფიგურის წესები: ის, რაც დადასტურებულია (უარყოფილია) მთელ გვარზე, — P დადასტურებულია (უარყოფილია) მთელ M-ზე, ამიტომ დიდი წანამძღვარი ზოგადია—, ის დადასტურებულია (უარყოფილია) ამ გვარისადმი დაქვემდებარებულზე. — S ექვემდებარება M-ს, ე. ი. მცირე წანამძღვარი დადებითია.

მეორე ფიგურა:

$$1. \frac{Pe M}{Sa M}, \quad 2. \frac{Pa M}{SeM}, \quad 3. \frac{PeM}{SoP}, \quad 4. \frac{Pa M}{SoP}$$

ისევე როგორც პირველ ფიგურაში, ჩვენ აქ გვაქვს ოთხი მოდული და მხოლოდ ორი თავისებური ტიპის დასკვნა: Cesare და Festino. ერთი მხრივ და Camestres და Baroco, მეორე მხრივ:

$$\frac{Pe M}{Sa, iM} \text{ და } \frac{Pa M}{Se, oM}$$

არისტოტელე, რომელმაც მხოლოდ პირველი ფიგურისათვის ჩამოაყალიბა აქსიომა, იძულებული გახდა მთელი მოძღვრება შეექმნა ფიგურების პირველ ფიგურაზე დაყვანის შესახებ, რათა ამით სხვა ფიგურებიც დაექვემდებარებია ამ აქსიომისადმი. უფრო ბუნებრივი იყო სხვა ფიგურებისათვისაც ასეთივე აქსიომების ჩამოყალიბება. ამგვარი აქსიომა შეიძლება ჩამოვყალიბოთ მეორე ფიგურისათვისაც:

ს ა გ ა ნ თ ა კ ლ ა ს ე ბ ი გ ა მ ო რ ი ც ხ ა ე ე ნ ე რ თ მ ა ნ ე თ ს მ თ ლ ი ა ნ ა დ (ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ე), თ უ ნ ი შ ა ნ ი, რ ო მ ე ლ ი ც ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს (ა რ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს) ს ა გ ა ნ თ ა ე რ თ კ ლ ა ს ს, ა რ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს (ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს) მ თ ლ ი ა ნ ა დ (ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ე) ს ა გ ა ხ თ ა მ ე ო რ ე კ ლ ა ს ს. მ არ თ ლ ა ც, თ უ ს ა გ ა ნ თ ა ე რ თ კ ლ ა ს ს ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს ი ს ნ ი შ ა ნ ი, რ ო მ ე ლ ი ც ს ა გ ა ნ თ ა მ ე ო რ ე კ ლ ა ს ს ა რ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს, ც ხ ა დ ი ა, ს ა გ ა ნ თ ა ე ს ო რ ი კ ლ ა ს ი ე რ თ მ ა ნ ე თ ს გ ა მ ო რ ი ც ხ ა ე ს; ა ნ დ ა: თ უ ნ ი შ ა ნ ი, რ ო მ ე ლ ი ც ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს ს ა გ ა ნ თ ა ე რ თ კ ლ ა ს ს, ხ ო ლ ო ი გ ი ე ე ნ ი შ ა ნ ი ს ა გ ა ნ თ ა მ ე ო რ ე კ ლ ა ს ს ნ ა წ ი ლ ს ა რ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს, ც ხ ა დ ი ა, ე ს ო რ ი კ ლ ა ს ი ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ე გ ა მ ო რ ი ც ხ ა ე ს ე რ თ მ ა ნ ე თ ს. ო რ ი შ ე - ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა, რ ო მ ე ლ ი ც ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი ა ა ქ ს ი ო მ ა შ ი — „ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს“, „ა რ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს“ და ს კ ე ნ ი ს ო რ ი ტ ი პ ი ს მ ა ჩ ე ე ნ ე ბ ე ლ ი ა. ა მ ა ქ ს ი ო მ ი დ ა ნ მ ე ო რ ე ფ ი გ უ რ ი ს წ ე ს ე ბ ი ც გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს: ს ა გ ა ნ თ ა პ ი რ ვ ე ლ კ ლ ა ს ს ნ ი შ ა ნ ი ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს ა ნ ა რ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს — დ ი დ ი წ ა ნ ა მ ძ ლ ვ ა რ ი ზ ო გ ა დ ი ა; თ უ ე რ თ კ ლ ა ს ს ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს ნ ი შ ა ნ ი, მ ა შ ი ნ ი ს მ ე ო რ ე კ ლ ა ს ს ა რ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს, ხ ო ლ ო თ უ ე რ თ კ ლ ა ს ს ა რ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს, მ ა შ ი ნ მ ე ო რ ე კ ლ ა ს ს ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს — ე რ თ - ე რ თ ი წ ა ნ ა მ ძ ლ ვ ა რ ი უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ა. ს ხ ე ა თ ა შ ო რ ი ს, ა ქ ს ი ო მ ა შ ი ი ს ი ც კ ი ა რ ი ს გ ა თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ უ ლ ი, რ ო მ დ ა ნ ა ს კ ე ვ მ ე ო რ ე ფ ი გ უ რ ი თ ყ ო ვ ე ლ თ ე ვ ი ს უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ა და შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი ყ ო ს რ ო გ ო რ ც ზ ო გ ა დ ი, ის ე კ ე რ ძ ო ბ ი თ ი.

2. სილოგისტური და არასილოგისტური დასკვნები. ტრადიციული ფორმალისტური ლოგიკა. განიხილავდა დასკვნას, როგორც ცნე-

ბათა კომბინაციას ამ ცნებათა სინამდვილესთან დამოკიდებულებს გარეშე. ლოგიკური მოძღვრებანი ისე იყო დალაგებული, რომ საგნობრივი მიმართებანი საეხებით განდევნილი იყო ლოგიკიდან: განხილვი! საგნად რჩებოდა მხოლოდ „ლოგიკური“ მიმართებანი. პირველი შეხედვით: თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო: აბა, სხვა რა უნდა შეისწავლოს ლოგიკამ, თუ არა ლოგიკური მიმართებანი? მაგრამ ლოგიკური მიმართების ცნებაში გარკვეულ აზრს გულისხმობდნენ: ლოგიკური მიმართება არის ცნებათა მოცულობების ან ცნებების შინაარსების მიმართება.

დგებოდა რა ასეთ თვალსაზრისზე, ტრადიციული ლოგიკა უძლური აღმოჩნდებოდა, როგორც კი შეხვდებოდა ისეთ მსჯელობებსა და დასკვნებს. რომლებშიც ასახული მიმართებანი არ თავსდებოდა მოცულობათა და შინაარსთა წინასწარ დამზადებულ სქემაში. გამოდიოდა რა ამ სქემიდან და იმ თვალსაზრისიდან, რომ ლოგიკური მიმართება არის ცნების მოცულობისა ან შინაარსის მიმართება და რომ მსჯელობაში და დასკვნაში გამოხატულია მხოლოდ ასეთი მიმართება, ტრადიციული ლოგიკა ან მთლად უარყოფს დედუქციური დასკვნის მრავალ ფორმას, გარდა სილოგისტურისა, ან მათ არალოგიკურ ფორმებად აცხადებს.

არასილოგისტური დასკვნები არ არსებობენ, წერდა ერთი ლოგიკოსი. სილოგისტური დასკვნა ეყრდნობა ლოგიკური მიმართების გარკვეულ ტიპს — ეს არის მიმართება, რომელიც სილოგიზმის აქსიომით გამოიხატება dictum de omni და nota notae, ე. ი. მოცულობისა და შინაარსის მიმართება. ეს აძლევს სილოგიზმს გარკვეულ ლოგიკურ სტრუქტურას. რაც შეეხება დასკვნებს, რომლებიც აგებულია საგანთა მიმართებაზე დროში, სივრცეში, მიზეზობრივ მიმართებაზე და სხვ. მათ არა აქვთ რაიმე ერთი ლოგიკური საფუძველი, ისინი მოკლებულნი არიან გარკვეულობას, ისინი არ ემორჩილებიან ლოგიკურ კანონებს (სტროგოვიჩი).

მართლაც, თუ ლოგიკურის ცნებაში ჩვენ ჩაედებთ გარკვეულ შინაარსს, სახელდობრ, ცნებათა, მოცულობათა ან შინაარსების მიმართებას. მაშინ ის მსჯელობები და დასკვნები, რომლებიც სხვა სახის მიმართებას გამოხატავენ, არალოგიკური აღმოჩნდება.

დაახლოებით ასე მსჯელობენ სხვებიც: ლოგიკას საქმე უნდა ჰქონდეს მხოლოდ სილოგიზმებთან, რადგან მხოლოდ მათ აქვთ ლოგიკური ხასიათი. ლოგიკური ხასიათი ნიშნავს სუბიექტსა და პრედიკატს შორის კავშირის ანალიზურ ხასიათს; ასეთივე ხასიათი აქვს დანაკვეთის გამოყვანას წინამძღვრებიდან. არსებობენ დასკვნის სხვა ფორმებიც, რომლებშიც ცნებათა შორის მიმართება სინთეზურია, მაგალითად, დასკვნები აგებული დროულ, ვრცეულ, მიზეზობრივ მიმართე-

ბაზე. მაგრამ ეს დასკვნები ლოგიკის გარეშე დგანან, რადგან ამ დასკვნებში ლოგიკური აზროვნება არ იღებს მონაწილეობას.

შეუძლებელია დავეთანხმოთ ტრადიციული ლოგიკის ამგვარ თვალსაზრისს: შეუძლებელია არსებობდნენ დასკვნები, რომლებსაც ლოგიკური საფუძველი არ ჰქონდეთ, რომლებშიც ლოგიკური აზროვნება არ იღებდეს მონაწილეობას, ლოგიკა ვალდებულია განიხილოს და ახსნას დასკვნის ყველა ის ფორმა, რომლებიც გამოყენებულია მეცნიერებაში და პრაქტიკულ ცხოვრებაში. ფორმალისტურ-იდეალისტური თვალსაზრისი, რომელიც ტრადიციულ ლოგიკას ახასიათებდა, ხელს უშლიდა მას დაენახა ცნებების სინამდვილესთან კავშირი, და ამით მიიყვანა იგი დედუქციური დასკვნის კატეგორიული სილოგიზმით შემოფარგვლამდე.

საყურადღებოა კიდევ შემდეგი გარემოება. სილოგისტური დასკვნა — ტრადიციული ლოგიკის მიხედვით — ეყრდნობა ცნებათა მიმართების გარკვეულ ლოგიკურ ტიპს. დგება რა ამ თვალსაზრისზე, ტრადიციული ლოგიკა ვერ ამჩნევს იმ წინააღმდეგობებსა და გაუგებრობას, რომელშიც ის ვარდება, როდესაც განიხილავს პირობითს, პირობით-კატეგორიულ დასკვნებს, როგორც სილოგისტურს. პირობით დასკვნებში ჩვენ აღარ გვაქვს ცნებათა შორის დამოკიდებულებანი მათი მოცულობებისა და შინაარსების თვალსაზრისით. რასაკვირველია, პირობით დასკვნებშიც მონაწილეობენ ცნებები, მაგრამ აქ, ამ დასკვნებში ჭერ ერთი, მთავარია არა ცნებათა დამოკიდებულება, არამედ მსჯელობების დამოკიდებულება, და მეორეც, დამოკიდებულება აქ ცნებათა მოცულობებისა და შინაარსების კი არ გვაქვს, არამედ კავშირი საფუძველსა და შედეგს შორის. ეს კავშირი ყველა დასკვნაშია, მაგრამ, თუ კატეგორიულ სილოგიზმში ცდილობენ ეს კავშირი ცნებათა კავშირით ახსნან, პირობით დასკვნაში ასეთი ცდა იმთავითვე მცდარია.

დასკვნებში:

თუ A არის B, მაშინ C არის D
თუ C არის D, მაშინ E არის F

თუ A არის B, მაშინ E არის F

ან

თუ A არის B, მაშინ C არის D
A არის B

C არის D

მთავარია არა ცნებათა შორის მიმართება, არამედ მსჯელობათა შორის მიმართება და ეს მიმართება არის საფუძველისა და შედეგის

მიმართება. ამ ფორმების ნაძალადევი დაყენა კატეგორიული სილოგიზმის ფორმამდე უაზრობას წარმოადგენს:

თუ S, მაშინ M
თუ M, მაშინ P

თუ S, მაშინ P

მისცემენ რა პირობით დასკვნას კატეგორიული სილოგიზმის ფორმას, იწყებენ შემდეგ S, M, P-ს განხილვას ისე, თითქოს ისინი სილოგიზმის ტერმინები იყოს; არ აქცევენ სრულიად ყურადღებას იმ უაზრობას, რომელსაც წარმოადგენს გამოთქმა „თუ S, მაშინ P“: ზოლო თუ მოვიაზრეთ ეს გამოთქმა იმ აზრით, რა აზრიც იგულისხმება მასში, სახელდობრ, „თუ S არის, მაშინ P არის“ ნათელი გახდება, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა ცნებათა მიმართებასთან — კერძოდ ცნებათა მოცულობებისა და შინაარსების მიმართებებთან — არამედ მსჯელობათა მიმართებებთან.

ამიტომ პირობითი დასკვნების შეტანა სილოგიზმის კლასში ეწინააღმდეგება სილოგიზმის შესახებ ტრადიციული მოძღვრების პრინციპს.

2. დედუქციური დასკვნების ძირითადი ნიშნები

1. ზოგადი შენიშვნები. ტრადიციული ლოგიკის შეზღუდულობა უფრო ნათელი ხდება, როდესაც დაისმება საკითხი ე. წ. არასილოგისტური დასკვნების შესახებ. როგორც აღნიშნული იყო, ამ ტიპის დასკვნების ახსნა მხოლოდ ცნებათა მიმართების თვალსაზრისით შეუძლებელია. რასაკვირველია, არსებითად არც კატეგორიული სილოგიზმის ახსნა შეიძლება ამ თვალსაზრისით, თუ არ იქნება გათვალისწინებული საგანთა და მოვლენათა მიმართებანი, რომლებიც ცნებებით აისახება. მაგრამ საქმე იცვლება, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ დასკვნებთან, რომლებიც ისეთი მსჯელობებიდან შენდება, რომ ცნებათა მიმართებანი არ ასახავენ საგანთა მიმართებებს. აქ, ამ შემთხვევაში დიდი, საშუალო და მცირე ტერმინების ცნებები, მათი დამოკიდებულებანი არ გამოდგებიან დასკვნის სისწორის პრინციპის ასახვად. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ამგვარ დასკვნებს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ შემეცნების პროცესში.

უკვე საბერძნეთის ლოგიკოსებმა მიაქციეს ყურადღება დასკვნის თავისებურ ფორმებს, რომლებიც განსხვავდებიან არისტოტელესეულ კატეგორიული სილოგიზმისაგან, განსხვავდებიან აგრეთვე პირობითსა და გაყოფითი დასკვნებისაგან. ახალი დროის ლოგიკაში გვხვდება ამგვარი დასკვნის მაგალითები. მაგრამ ლაიბნიცამდე მათ არავინ აქ-

ყველა სერიოზულ ყურადღებას. ე. წ. არასილოგისტურ დასკვნას აქვს უმრავლეს შემთხვევაში კატეგორიული სილოგიზმის გარეგანი ფორმა, მაგრამ მისგან განსხვავდება იმით, რომ ამ სახის დასკვნაში სამ ტერმინზე მეტია და ამის გამო არ ემორჩილება კატეგორიული სილოგიზმის წესებს.

ამ სახის დასკვნების მაგალითებს წარმოადგენენ შემდეგი დასკვნები:

$$\begin{array}{l}
 A = B \\
 1. \quad \frac{B = C}{A = C}
 \end{array}$$

ასეთივე მართებულ დასკვნას მივიღებთ, თუ ტოლობის მიმართების მაგიერ გამოვიყენებთ მიმართებებს: „მეტია“, „ნაკლებია“, „მაღალი“, „აღმოსავლეთით ყოფნა“, „ადრე“, „გვიან“ და სხვ.

ყველა ამ დასკვნაში ოთხ-ოთხი ტერმინია; A, B, „B-ს ტოლი“ და „C-ს ტოლი“.

- პეტრე არასოდეს არ გასულა თბილისიდან
 2. პავლე არასოდეს არ ჩამოსულა თბილისში

პეტრე არასოდეს არ შეხვედრია პავლეს

ამ დასკვნაში ოთხ ტერმინზე მეტია. ცხადია, რომ არც პირველი და არც მეორე დასკვნა არ არის კატეგორიული სილოგიზმი.

არსებობენ დასკვნები, რომლებშიც შესაძლებელია მხოლოდ სამი ტერმინი იყოს, მაგრამ რომელნიც სილოგიზმის წესებს არ ემორჩილებიან და ამიტომ კატეგორიული სილოგიზმის კლასის გარეშე რჩებიან.

მაგალითად, დასკვნები, რომლებიც აგებულია გამოყოფითი მსჯელობებიდან

1. მხოლოდ ადამიანები აკეთებენ იარაღებს
 მაიმუნები არ არიან ადამიანები

მაიმუნები არ აკეთებენ იარაღებს

ეს დასკვნა პირველი ფიგურის მიხედვით მიმდინარეობს, მაგრამ მის წესებს არ ემორჩილება, რადგან აქ მცირე წანამძღვარი უარყოფითია.

2. მხოლოდ M არ არის P
 არც ერთი S არ არის M

ყველა S არის P.

ან:

მხოლოდ დემოკრატიული ქვეყნები არ არიან აგრესიულნი
არც ერთი იმპერიალისტური ქვეყანა არ არის დემოკრატიული

ყველა იმპერიალისტური ქვეყანა აგრესიულია

სწორია, პირველი ფიგურის მსგავსია, მაგრამ კატეგორიული სი-
ლოგიზმის ყოველგვარ წესს არღვევენ: ორი უარყოფითი წანამძღ-
რიდან არა თუ დანასკვი მიიღება, არამედ ამავე დროს ეს დანასკვი
დადებითია.

ამგვარი დასკვნების მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამ
ტიპის დასკვნები არსებობენ და მათთვის გვერდის ავლა შეუძლე-
ბელია.

ლოგიკოსების ერთი ჯგუფი უარყოფდა ამგვარი სახის დასკვნების
არსებობას. ეს ლოგიკოსები ფიქრობდნენ, რომ ეს დასკვნები ენთი-
მემას წარმოადგენენ, რომელშიც დიდი წანამძღვარი იგულისხმება. მა-
გალითად, დასკვნა

$$\begin{array}{r} A = B \\ B = C \\ \hline A = C \end{array}$$

ისეთ ენთიმემას წარმოადგენს, თურმე, რომლის დიდი წანამძღვარი
„ორი სიდიდე (A და C) ცალ-ცალკე მესამის (B-ს) ტოლი, ერთმანე-
თის ტოლია“ (ან პირობითი მსჯელობის სახით გამოთქმული: „თუ
ორი სიდიდე ცალ-ცალკე მესამის ტოლია, მაშინ ისინი ერთმანეთის
ტოლია“) ნაგულისხმევია, ხოლო მცირე წანამძღვარი „A და C ცალ-
ცალკე B-ს ტოლი“ ორ მსჯელობად არის გაყოფილი. მთლიანი სახის
დასკვნა ასეთი იქნება:

თუ ორი სიდიდე (A და C) ცალ-ცალკე მესამის (B-ს) ტოლია, მა-
შინ ისინი ერთმანეთის ტოლია.

A და C ცალ-ცალკე B-ს ტოლია

მაშინ, A C-ს ტოლია

ე. წ. არასილოგისტური დასკვნის კატეგორიულ სილოგიზმზე ან
პირობით-კატეგორიულ სილოგიზმზე დაყვანის „რეცეპტი“ მიზანს
ვერ აღწევს. ე. წ. „დიდი წანამძღვარი“, რომელიც ამ „რეცეპტის“ მი-
ხედვით ნაგულისხმევია, სრულიადაც არ არის წანამძღვარი, ის დასკვ-
ნის ფორმულაა, რომელიც ზოგად ფორმაში გამოხატავს დასკვნაში
განხორციელებულ მსჯელობათა შორის კავშირს.

სოკრატე ადამიანია

სოკრატე მოკვდავია

ნამდვილად იგულისხმება დიდი წანამძღვარი: თუ ჩვენ არ ვიცით, რომ ყველა ადამიანი მოკვდავია, მხოლოდ აღნიშნული წანამძღვრიდან დანასკვს ვერ გამოვიყვანთ. რაც შეეხება დასკვნას

$$A = B$$

$$B = C$$

$$A = C$$

მას არავითარი წანამძღვარი იმის გარდა, რაც არის მოცემული, არ სჭირდება დანასკვის მისაღებად.

2. დედუქციური დასკვნის ცნება ტრადიციულ ლოგიკაში. ა) შუალობით დასკვნებს ტრადიციული ლოგიკა ყოფს დედუქციურზე და ინდუქციურზე. არსებითად ეს დაყოფა არისტოტელედან მომდინარეობს. უკვე იყო აღნიშნული, რომ არისტოტელე, ადარებს რა კატეგორიულ სილოგისტურ დასკვნას გარკვეული სახის ინდუქციურ დასკვნას, მიდის დასკვნამდე: სილოგიზმში ჩვენ ვაკავშირებთ მცირე და დიდ ტერმინს საშუალო ტერმინის საშუალებით, ხოლო ინდუქციაში კი საშუალოსა და დიდ ტერმინს მცირე ტერმინის საშუალებით.

არისტოტელესათვის ამ განსხვავებას ჰქონდა გარკვეული აზრი, რამდენადაც ის ადარებდა კატეგორიულ სილოგიზმს სრულ ინდუქციას. მაგრამ იმის შემდეგ, რაც სხვა სახის „სილოგისტური“ დასკვნებში — მაგალითად, პირობითი და გაყოფითი — შეიყვანეს სილოგისტურ დასკვნების კლასში — ეს განსხვავება უკვე მიუღებელი აღმოჩნდა, მით უმეტეს, აღარ გამოდგება ეს განსხვავება დასკვნების მრავალი სხვა ფორმის აღმოჩენის შემდეგ.

ტრადიციულმა ლოგიკამ გამოიყენა დედუქციური დასკვნის მეორე განსაზღვრება, რომელიც არსებითად ისევ არისტოტელედან მომდინარეობს: დედუქციურია დასკვნა ზოგადიდან კერძოსაკენ (ან მეტად ზოგადიდან ნაკლებად ზოგადისაკენ), ხოლო ინდუქციურია ის დასკვნა, რომელიც კერძოდან ზოგადისაკენ მიდის (ან ნაკლებად ზოგადიდან მეტად ზოგადისაკენ).

მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა და გაუგებრობისა, რომელსაც ეს განსაზღვრება იწვევს, ის გამოყენებულია სახელმძღვანელოთა უმრავლესობაში. ჩვენ მივუთითებთ აქ მხოლოდ ზოგიერთ წინააღმდეგობაზე და გაუგებრობაზე.

ა) მიუხედავად დედუქციური დასკვნის განსაზღვრებისა, რი-

გორც დასკვნისა ზოგადიდან კერძოსაკენ, ლოგიკოსები ათავსებენ პირობით დასკვნებს დედუქციურ დასკვნათა კლასში. ნამდვილად კი პირობით დასკვნებში აზრის სვლა სრულიადაც არ არის ზოგადიდან კერძოსაკენ. წმინდა პირობით დასკვნაში დანასკვის ხასიათი ამ თვალსაზრისით სრულიად არ განსხვავდება წანამძღვრების ხასიათისაგან:

თუ A არის B, მაშინ C არის D

თუ C არის D, მაშინ E არის F

თუ A არის B, მაშინ E არის F

ამ დასკვნაში მსჯელობები — წანამძღვრები და დანასკვი საესებით ერთნაირია, არავითარ განსხვავებაზე ზოგადობის თვალსაზრისით არ შეიძლება იყოს საუბარი. ამიტომ, თუ დედუქციური დასკვნის ტრადიციული განსაზღვრება გავიზიარეთ, ყოვლად შეუძლებელია პირობითი დასკვნა დედუქციურად ჩავთვალოთ: დედუქციური დასკვნის განსაზღვრება ეწინააღმდეგება დედუქციური დასკვნის ერთ-ერთი სახის არსებას, სახელდობრ პირობითი დასკვნის არსებას.

b) იგივე ითქმის პირობით-კატეგორიულსა და გაყოფით დასკვნებზე, რომლებიც ტრადიციულ ლოგიკას დედუქციურ დასკვნათა კლასში შეყავს. დასკვნაში

A არის ან B, ან C

A არის B

A არ არის C

წანამძღვარი და დანასკვი არ განსხვავდებიან ზოგადობის თვალსაზრისით. ასევე პირობით-კატეგორიულ დასკვნაში

თუ A არის B, მაშინ C არის D

A არის B

C არის D

წანამძღვრებში აქ დადგენილია 1) საფუძვლისა და შედეგის კავშირი და 2) საფუძველი; დანასკვიში დადგენილია შედეგი. არც საფუძვლისა და შედეგის კავშირი და არც საფუძველი არ არის უფრო ზოგადი, ვიდრე შედეგი; ცნებები; სახელდობრ, „მეტად ზოგადისა“ და „ნაკლებად ზოგადისა“ საერთოდ არ გამოდგება ამ სახის დასკვნების მიმართ.

ის თვალსაზრისიც, რომ გავითვალისწინოთ, რომლის მიხედვით პირობით მსჯელობაში გამოთქმულია სუბიექტისა და პრედიკატის კავშირი, გარკვეული პირობით განსაზღვრული, იმ შემთხვევაშიც ეს

დასკვნა დედუქციური დასკვნის განსაზღვრების ქვეშ ვერ მოქცევა; ამ შემთხვევაში წანამძღვარსა და დანასკვნს შორის განსხვავება იქნება შემდეგში: ის, რაც წანამძღვარში მოცემულია პირობითად, დანასკვნში მოცემულია უპირობოდ.

ც) არსებობს დასკვნათა დიდი კლასი, ე. წ. არასილოგისტური დასკვნების კლასი, რომლის მიმართ დედუქციური დასკვნის განსაზღვრება არ გამოდგება; ამ დასკვნებში დანასკვე იმავე ზოგადობის არის, როგორც წანამძღვრები. გავიხსენოთ დასკვნის ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც წინა პარაგრაფში იყო მოყვანილი:

$$\begin{array}{r} A = B \\ B = C \\ \hline A = C \end{array}$$

ამრიგად, აღნიშნული სახის დასკვნები არ უნდა ჩავთვალოთ დედუქციურ დასკვნებად, თუ დედუქციური დასკვნა განსაზღვრება როგორც დასკვნა ზოგადიდან კერძოსაკენ. რასაკვირველია, დასკვნის ეს სახეები არც ინდუქციურია, რადგან აქ არა გვაქვს აზრის სვლა კერძოდან ზოგადისაკენ.

დედუქციისა და ინდუქციის სწორედ ეს განსაზღვრებები ჰქონდა ენგელსს მხედველობაში, როდესაც ის უსაყვედურებდა იმ ფილოსოფოსებს, რომლებსაც სურდათ დასკვნების ფორმების მთელი სიმდიდრე ამ ორ ფორმაში მოეთავსებიათ.

დ) ზოგიერთმა ლოგიკოსმა შემდეგი გამოსავალი იპოვა ამ მდგომარეობიდან: გაყო ყველა დასკვნა სამ კლასად. დედუქციურისა და ინდუქციური დასკვნის განსაზღვრება უცვლელად დატოვა და გაანაწილა რა დასკვნები ზოგადიდან კერძოსაკენ და კერძოდან ზოგადისაკენ ამ ორ კლასში ყველა დანარჩენი სახის დასკვნა, ე. ი. ის დასკვნები, რომელთა წანამძღვრები და დანასკვეი არ განსხვავდებიან ზოგადობის თვალსაზრისით, მოათავსა მესამე კლასში, ტრადუქციული დასკვნების კლასში.

ამრიგად, ტრადუქციული დასკვნების კლასში უნდა მოთავსდეს ყოველნაირი სახის არასილოგისტური დასკვნები, პირობითი, პირობით-კატეგორიული, გაყოფითი, დასკვნები ანალოგიით, სრული ინდუქცია. საკმარისია თვალი გადავავლოთ დასკვნების ამ განსხვავებულ სახეებს, რომ მაშინვე ეჭვი შეგვეპაროს ასეთი კლასიფიკაციის სისწორეში.

საკითხის გადასაწყვეტად განვიხილოთ ე. წ. არასილოგისტური დასკვნები. რა დიდი განსხვავებაც უნდა იყოს მათსა და კატეგორიულ სილოგიზმს შორის, მაშინვე იგრძნობა მათი პრინციპული ერთგვარო-

ბა, იგრძნობა ის, რომ ისინი დასკვნის ერთ კლასს ეკუთვნიან, სახელდობრ, დედუქციურ დასკვნათა კლასს.

რასაკვირველია, მხოლოდ „გრძნობა“ აქ საკითხს ვერ გადაწყვეტს. მათი გარეგანი ფორმა, მათი შინაგანი სტრუქტურა მიუთითებს მათ საერთო პრინციპზე. განვიხილოთ კონკრეტული არასილოგისტური დასკვნის მაგალითი:

$$\begin{array}{l} A = B \\ 1. \frac{B = C}{A = C} \end{array}$$

2. მოსკოვი თბილისზე დიდია
თბილისი გორზე დიდია

მოსკოვი გორზე დიდია

და სხვ.

ამ დასკვნების აგებულება გარკვეულ მიმართებაში ერთგვარაა სილოგისტურთან: ორი წანამძღვარი ერთსა და მეორეში (მარტივი სილოგიზმი); თვითეულ წანამძღვარში დაკავშირებულია ორი ელემენტი; დანასკვში დაკავშირებულია ისეთი ორი ელემენტი, რომლებიც განსხვავებულ წანამძღვრებში იმყოფებიან და ერთმანეთთან წანამძღვრებში უშუალოდ არ არიან დაკავშირებული; დანასკვში გამოთქმულია აზრი მხოლოდ იმ საგნებზე, რომლებზედაც საუბარია წანამძღვრებში; თუ წანამძღვრები ჰეშმარითია და დანასკვი მიღებულია ლოგიკის კანონების მიხედვით, დანასკვი აუცილებლად ჰეშმარითი იქნება. ინდუქციური დასკვნა კი, მეტად თუ ნაკლებად, სააღბათო დანასკვეს გვაძლევს.

ჩამოთვლილი ნიშნები ახასიათებენ როგორც კატეგორიულ სილოგისტურს, ისე პირობითს, გაყოფითს და ე. წ. არასილოგისტურ დასკვნებს. ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ ყველა ეს დასკვნა ერთ ტიპს ეკუთვნის, განსხვავება მათ შორის არის განსხვავება ამ ტიპის შიგნით.

e) ტრადიციული ლოგიკა, რომელსაც დედუქციური დასკვნების შესახებ მოძღვრებაში არა აქვს ერთი გარკვეული პრინციპი, ათავსებს ერთ კლასში ყოველნაირი სახის დასკვნას და არ ცდილობს იმის ახსნას, რატომ ეკუთვნიან ისინი ერთ კლასს; იგი დაადგენს დასკვნათა გარკვეული ჯგუფის ისეთ განსაზღვრებას, რომელსაც ამ ჯგუფში შემაჯავალი დასკვნის სახეები ეწინააღმდეგებიან. ხშირად ადგილი აქვს ასეთ გარემოებასაც: დედუქციის ძირითადი ნიშანი გამოცხადებულია დედუქციის დამახასიათებელ, ტიპურ ნიშნად და შემდეგ იგივე ნიშანი დახასიათებულია როგორც გარეგანი, პირობითი (სტროგოვიჩი).

დედუქციური დასკვნა ხშირად გაიგივებულია სილოგისტურთან, ხოლო სილოგიზმი განსაზღვრულია როგორც დასკვნა, რომელშიც ორი მოცემული მსჯელობიდან გამოიყვანება მესამე, ამასთანავე, ერთ-ერთი წინამძღვარი უსათუოდ ზოგადი უნდა იყოს (ვინოგრადოვი და უზმინი). ამ განსაზღვრების მიხედვით დასკვნა

ოქრო რკინაზე მძიმეა
რკინა გოგირდზე მძიმეა

ოქრო გოგირდზე მძიმეა

უნდა ჩაითვალოს სილოგისტურ დასკვნად, ხოლო დასკვნა

პეტრე მძიმეა პავლეზე
პავლე მძიმეა ივანეზე

პეტრე მძიმეა ივანეზე

აღარ იქნება სილოგისტური.

ამ განსაზღვრების საფუძველზე გაყოფითი მსჯელობებისაგან აგებული დასკვნა — ანდა გაყოფით-კატეგორიული არ უნდა იყოს სილოგისტური, რადგან გაყოფითი მსჯელობის სუბიექტი ერთეულ საგანს გამოხატავს.

3. დედუქციური დასკვნების არსებითი ნიშნები. აღნიშნული იყო, რომ დასკვნის ფორმების მთელი რიგი, რომელსაც ტრადიციული ლოგიკა დედუქციურ დასკვნათა კლასში ათავსებს, ეწინააღმდეგება ამავე ლოგიკაში გავრცელებულ განსაზღვრებას დედუქციური დასკვნისა. ზოგადიდან კერძოზე დასკვნა არ არის დამახასიათებელი დედუქციური დასკვნის ყველა სახისათვის. თუ მაინც ტრადიციული განსაზღვრების მთლიანად უკუგდება არ გვინდა, ის გარკვეულად უნდა შეიცვალოს, ის უნდა გაფართოვდეს ისე, რომ ყველა სახის დედუქციურ დასკვნას აკმაყოფილებდეს. ასეთი იქნება განსაზღვრება: დედუქციურია დასკვნა, რომლის დანასკვი ან ნაკლებად ზოგადია, ან იმავე ზოგადობისაა, როგორც წინამძღვრები. მართლაც დავაკვირდეთ დასკვნის იმ ფორმებს, რომლებსაც ყველა დედუქციურ დასკვნად თვლის.

1. კატეგორიული სილოგიზმი:
ლითონი ელექტრობის გამტარია
რკინა ლითონია

რკინა ელექტრობის გამტარია

დასკვნითი მსჯელობა ნაკლებად ზოგადია დიდ წინამძღვართან შედარებით.

2. წმინდა პირობითი დასკვნა:

თუ ენა ბაზისის ზედნაშენია, მაშინ ენა კლასობრივი უნდა იყოს
თუ ენა კლასობრივია, მაშინ არ არსებობს
საერთო ნაციონალური ენა

თუ ენა ბაზისის ზედნაშენია, მაშინ არ არსებობს
საერთო ნაციონალური ენა

თუ შეიძლება ამ შემთხვევაში ლაპარაკი მეტ-ნაკლებ ზოგადობაზე, მაშინ ცხადია, რომ დანასკვი ამ თვალსაზრისით არ განსხვავდება წანამძღვრისაგან.

3. პირობით-კატეგორიული დასკვნა:

თუ ენა ბაზისის ზედნაშენია, ის უნდა
კლასობრივი იყოს
მაგრამ ენა არ არის კლასობრივი
ენა არ არის ბაზისის ზედნაშენი

აქაც, როგორც მეორე მაგალითში, დასკვნითი მსჯელობა იმავე ზოგადობისაა, როგორც წანამძღვრები. საერთოდ, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს მსჯელობებთან, რომლებიც საფუძვლისა და შედეგის კავშირს გამოხატავენ, იქ ზედმეტია მათ მეტ-ნაკლებ ზოგადობაზე საუბარი.

4. გაყოფით-კატეგორიული დასკვნა:

A არის ან B, ან C
A არის B
A არ არის C

დანასკვი იმავე ზოგადობის მსჯელობაა, როგორც წანამძღვრები. არისტოტელედან დღევანდლამდე არც ერთ ლოგიკოსს ეჭვი არ შეუტანია იმაში, რომ აღნიშნული დასკვნის სახეები დედუქციურია: ყველა მათ დედუქციურ დასკვნებად თვლის, იმისდა მიუხედავად, რომ მხოლოდ პირველი სახის დასკვნა აკმაყოფილებს დედუქციურ დასკვნის ტრადიციულ განსაზღვრებას. როგორც ჩანს, ტრადიციულ ლოგიკაში დედუქციური დასკვნის ცნება გაიგივებულია კატეგორიული სილოგიზმის დასკვნის ცნებასთან¹.

თუ გავითვალისწინებთ დასკვნის ზემოთ ჩამოთვლილ სახეებს, ნა-

¹ ზოგიერთ შემთხვევაში არც კატეგორიული სილოგიზმისათვის არის დამკმაყოფილებელი ეს ცნება.

თელი განდება, რომ დედუქციური დასკვნის ცნების ის გაფართოება, რომელიც ჩვენ ვაწარმოეთ, თვითონ საქმის ვითარებით არის განსაზღვრული.

ა მ მ რ ი ვ ე. წ. არასილოვისტური დასკვნა არაფრით განსხვავდება ზემოთ აღნიშნული სახეებისაგან:

A B-ზე მაღალია

B C-ზე მაღალია

A C-ზე მაღალია

მსჯელობა A C-ზე მაღალია იმავე ზოგადობისაა, როგორც მსჯელობები: A B-ზე მაღალია და B C-ზე მაღალია. აქ საჭიროა გაეითვალისწინოთ რამდენიმე მოსაზრება, რომლებიც აღნიშნული თვალსაზრისის წინააღმდეგ შეიძლება იყოს წამოყენებული.

ა) ცნობილი რუსი ლოგიკოსი კარინსკი, ითვალისწინებდა რა დედუქციური დასკვნის ცნების ასეთ გაფართოებას, აღნიშნავდა, რომ ეს განსაზღვრება საერთო პრინციპის მიმართ ლალატს წარმოადგენს: ჯერ აღიარებენ, რომ დედუქციური (სილოვისტური) დასკვნის დამახასიათებელია აზრის სვლა ზოგადიდან კერძოსაკენ და შემდეგ აღიარებენ, რომ დედუქციური დასკვნა არის დასკვნა ზოგადიდან ან ნაკლებზე, ან იმავე ზოგადობის მსჯელობაზე.

რასაკვირველია, არ იქნებოდა ლოგიკური, რომ ჩვენ ორივე განსაზღვრება მართებულად ჩაგვეთვალა. ჩვენთვის მისაღებია მხოლოდ ერთი პრინციპი: დედუქციური დასკვნის ცნებაში იგულისხმება დასკვნა, რომლის დანასაკეი არ შეიძლება იყოს უფრო ზოგადი, ვიდრე წანამძღვრები, ე. ი. შეიძლება იყოს ან იმავე, ან ნაკლები ზოგადობისა. დედუქციური დასკვნის ტრადიციული გაგება იგულისხმება აქ, როგორც ერთი კერძო შემთხვევა. დედუქციური დასკვნების ძველი პრინციპის — ზოგადიდან კერძოსაკენ — სავსებით უარყოფა შეუძლებელია: ის ახასიათებს დედუქციური დასკვნების გარკვეულ სახეს, ამასთანავე მის ერთ-ერთ ღირებულ სახეს, კატეგორიული სილოგიზმის პირველ ფიგურას. პირველი ფიგურა ღირებულია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის გვაძლევს ზოგადდადებით დანასკვს, არამედ იმიტომაც, რომ მისი საშუალებით ხდება ზოგადი დებულებების გამართლება პრაქტიკაში.

ზოგადი და კერძობითი (ერთეული) დაკავშირებულია სინამდვილეში; და თუ შემეცნება ეძებს ზოგადს, მოვლენათა კანონს, მაშინ ის მიდის კერძოდან, ერთეულიდან ზოგადისაკენ, ე. ი. მიდის ინდუქციის გზით. ინდუქციური დასკვნის გზა განსაზღვრულია სინამდვილის თავისებურებებით, ერთეულისა და ზოგადის განუყრელი კავშირით.

თუ ზოგადი დებულების კეშმარიტება მართლდება პრაქტიკაში, ცხადია, რომ დედუქციური დასკვნის ერთ-ერთი სახე, სახელდობრ, დასკვნა ზოგადიდან კერძოსაკენ შემეცნების პროცესის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. ამიტომ იყო აღნიშნული, რომ დედუქციური დასკვნის ტრადიციული ცნება მთლად უარსაყოფი როლია, ის რჩება როგორც ერთი მომენტი, ერთი მხარე ამ დასკვნების გაფართოებულ გაებაში.

დედუქციური დასკვნის აღნიშნული ნიშანი უკვე განასხვავებს მას ინდუქციური დასკვნისაგან, მაგრამ ეს ნიშანი ჯერ არ გამოხატავს, მთლიანად დედუქციური დასკვნის არსებას.

ს) შუალობითი დასკვნების დედუქციურზე და ინდუქციურზე გაყოფით ჩვენ ტრადიციული ლოგიკის პრინციპი ვავიზიარეთ. მართალია, დედუქციურის ცნება ჩვენ სხვაგვარად გვესმის, მაგრამ გაყოფა შუალობითი დასკვნების ორ კლასად მაინც ძალაში რჩება. ხომ არ ეწინააღმდეგება ეს დაყოფა ენგელსის ცნობილ აზრს: „ეს ადამიანები ისე ღრმად ჩაეფლნენ ინდუქციისა და დედუქციის დაპირისპირებაში, რომ დასკვნის ყველა ლოგიკური ფორმა ამ ორ ფორმაზე დაჰყავთ და მასთან სრულიად ვერ ამჩნევენ, რომ ისინი 1) ამ სახელწოდებით შეუგნებლად დასკვნის სრულიად სხვა ფორმებს იყენებენ, 2) დასკვნის ფორმების მთელ სიმდიდრეს ისპობენ, ვინაიდან ფორმათა ეს სიმდიდრე არ შეიძლება ჩაიჭიდოს ამ ორი ფორმის ჩარჩოებში, და 3) ამის გამო თვით ამ ფორმებს — ინდუქციას და დედუქციას — მტკნარ უაზრობად აქცევენ“¹.

ენგელსი აქ საკვებით მართალია. ესმით რა დედუქციურ დასკვნაში დასკვნა ზოგადიდან კერძოზე, ლოგიკოსები გულისხმობენ მასში სრულიად განსხვავებული ფორმის დასკვნებს, პირობითს, გაყოფითს, ე. წ. არასილოგისტური დასკვნის მრავალ ფორმას, რომლებიც არ არიან ტრადიციული განსაზღვრების მიხედვით დედუქციური და, რომელთა მოთავსება დედუქციურის კლასში უაზრობას წარმოადგენს.

ენგელსი ტრადიციული ლოგიკის სწორედ იმ ნაკლს აღნიშნავს, რასაც ჩვენ მივუთითებდით:

с) ბოლოს, ინდუქციისა და დედუქციის განსხვავება, მათი საწინააღმდეგო ნიშნების დახასიათება ხომ არ ნიშნავს მათ ერთმანეთისაგან მოწყვეტას. რასაკვირველია, არა! „ინდუქცია და დედუქცია ერთმანეთთან ისევე აუცილებლად არიან დაკავშირებული, როგორც სინთეზი და ანალიზი“². ინდუქციისა და დედუქციის კავშირის გარეშე შემეცნების პროცესი ვერ განხორციელდება. მაგრამ ეს როდი ნიშნავს

¹ ე. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950, გვ. 232.

² იქვე, გვ. 233.

მას, რომ მათ შორის არ არის განსხვავება; განსხვავება რომ არ ყოფილიყო, უაზრობა იქნებოდა მათ კავშირზე, ერთიანობაზე ლაპარაკი. ჩემი მაგიერ, რომ ერთი მეორის ხარჯზე ცალმხრივად ცამდე არ განვადიდოთ, უნდა ვეცადოთ თითოეული მათგანი თავის ადგილზე გამოვიყენოთ, ეს კი მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხერხდეს, თუ მხედველობიდან არ გავუშვებთ მათ ურთიერთ კავშირს და მათ ურთიერთ შეესებას¹.

მაშასადამე, უნდა გამოვიყენოთ ინდუქცია და დედუქცია თითოეული თავის ადგილზე. არის ადგილი ინდუქციის გამოყენებისა და არის ადგილი დედუქციის გამოყენებისა შემეცნების პროცესში, თითოეული მათგანი გარკვეულ ადგილზე გამოიყენება, მაგრამ არც ერთი მათგანი ცალკე აღებული შემეცნების მთლიანი პროცესის განხორციელებას ვერ უზრუნველყოფს.

d) დედუქციურისა და ინდუქციური დასკვნების განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც ზემოთ დავადგინეთ, გამოიხატება შემდეგში: ინდუქციური დასკვნა დანასკვში გვაძლევს უფრო ზოგად ცოდნას, ვიდრე ეს იყო მოცემული წინამძღვრებში; დედუქციური დასკვნის დანასკვი გვაძლევს ნაკლები ზოგადობის ან იმავე ზოგადობის ცოდნას, როგორც არის ცოდნა წინამძღვრებში მოცემული. დასკვნის წინამძღვრები და დანასკვი წარმოადგენენ მსჯელობებს, რომლებშიც გამოხატულია საგანთა და მოვლენათა შესახებ გარკვეული ცოდნა. ინდუქციურ დასკვნებში ის ცოდნა, რომელიც მოცემულია დასკვნით მსჯელობაში, ეხება საგანთა და მოვლენათა უფრო ფართო კლასს, ვიდრე ის ცოდნა, რომელიც მოცემულია წინამძღვრებში. არც ერთი წინამძღვარი ცალკე აღებული, არ შეიცავს იმ ცოდნას, რომელიც დასკვნით მსჯელობაშია.

ჩვენი შემეცნება იწყება ცოცხალი განჭვრეტით, რომელსაც შეუძლია მოგვეცეს ცოდნა მხოლოდ ერთეულ, ცალკეულ საგნებზე, მათ ცალკეულ თვისებებზე. ცოცხალი განჭვრეტა, აღქმა ვერც მოგვეცემს ცოდნას საგანთა მთელი კლასის შესახებ, საგანთა არსების, კანონის შესახებ, მოვლენათა ღრმა კავშირების შესახებ. შემეცნების პროცესი ერთეულიდან ზოგადისკენ არის გზა ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტულ აზროვნებისაკენ და ეს პროცესი ინდუქციურ დასკვნაში პოვებს თავის ლოგიკურ გამოხატულებას.

ამიტომ ინდუქციური დასკვნის დანასკვში ჩვენ ვაღწევთ არა მხოლოდ ცალკეული საგნების, მათ ცალკეული თვისებების ცოდნას --- ასეთი ცოდნა უკვე გვაქვს ცოცხალ განჭვრეტაში და ეს ცოდნა მოცემულია უკვე ინდუქციური დასკვნის წინამძღვარში — არამედ ცოდ-

¹ ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950, გვ. 233.

ნას საგანთა მთელი კლასის შესახებ, არსების, კანონის ცოდნას, მოვლენათა ღრმა კავშირების ცოდნას.

ყოველივე სახის დასკვნა, თუ ის ნამდვილად დასკვნას წარმოადგენს, დანასკვეში ახალ ცოდნას გვაძლევს, ახალს იმ ცოდნასთან შედარებით, რომელიც გამოხატულია წინამძღვრებში. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ყოველი დასკვნა დანასკვეში გვაძლევს ცოდნას ახალი საგნების შესახებ, ახალი საგნების, შედარებით იმ საგნებთან, რომლებზედაც არის საუბარი წინამძღვრებში.

დედუქციურ დასკვნაში დანასკვე ახალ ცოდნას გვაძლევს, მაგრამ ეს ახალი ცოდნა ეხება იმავე საგნებს, რომელთა შესახებ საუბარია წინამძღვრებში, მაგალითად, დასკვნებში:

1. ყველა დემოკრატიული ქვეყანა იბრძვის მშვიდობისათვის უნგრეთი დემოკრატიული ქვეყანაა

უნგრეთი იბრძვის მშვიდობისათვის

2. მხოლოდ ადამიანი აკეთებს იარაღს მხოლოდ ადამიანს აქვს ცნობიერება

მხოლოდ იარაღის მკეთებელს აქვს ცნობიერება

4. თუ კომუნისტური საზოგადოება გარემოცულია იმპერიალისტური ქვეყნებით, მაშინ ამ საზოგადოებაში არსებობს სახელმწიფო კომუნისტური საზოგადოება გარემოცულია იმპერიალისტური ქვეყნებით

კომუნისტურ საზოგადოებაში არსებობს სახელმწიფო

აღვილი შესამჩნევია, რომ ამ მაგალითებში ყველა დასკვნითი მსჯელობა ახალ ცოდნას შეიცავს წინამძღვრებთან შედარებით. რომ უნგრეთი იბრძვის მშვიდობისათვის, ეს ცოდნა არც ერთ წინამძღვარში არ არის, მაგრამ საგნები (თვისებები), რომელთა შესახებ არის გამოთქმული აზრი დანასკვეში იგივეა, რაც საგნები (თვისებები), რომელთა შესახებ საუბარია წინამძღვრებში. ცოდნა იმისა, რომ $A = C$ არ არის არც ერთსა და არც მეორე წინამძღვარში, ეს ახალი ცოდნაა, მაგრამ A და C სწორედ ის საგნებია, რომელთა შესახებ საუბარია წინამძღვრებში.

რაც შეეხება ინდუქციურ დასკვნას, აქ მდგომარეობა სხვაგვარია: აქ დანასკვეში გამოთქმული აზრი ეხება არა მხოლოდ იმ საგნებს, რომელთა შესახებ არის საუბარი წინამძღვრებში; წინამძღვრებში გამოთქმული აზრი ეხება საგანთა კლასის განსაზღვრულ ნაწილს, იმ დროს, როდესაც დანასკვე გამოხატავს ცოდნას ამ საგანთა მთელი კლასის შესახებ. ასე, მაგალითად, წინამძღვრებიდან, რომლებშიც მოცემულია ცოდნა, რომ ზოგიერთ სამხრეთით მდებარე ქვეყნებში ჭაობიან

ადგილებში არის მალარია, დავასკვნით, რომ ყველა სამხრეთით მდებარე ქვეყნებში ჰაობიან ადგილებში არის მალარია.

ამრიგად, ახალი ცოდნა, მიღებული დედუქციური დასკვნის საშუალებით განსხვავდება თავისი ხასიათით იმ ახალი ცოდნისაგან, რომელიც მიიღება ინდუქციური დასკვნის საშუალებით. პირველ შემთხვევაში ახალი ცოდნა ეხება იმავე საგნებს, რომელთა შესახებ საუბარი უკვე წანამძღვრებშია, მეორე შემთხვევაში ეს ახალი ცოდნა ეხება ისეთ საგნებსაც, რომელთა შესახებ წანამძღვრებში საუბარი არ ყოფილა.

ე) აქამდე ჩვენ უურადლებას ვაქცევდით ახალი ცოდნის, ასე ვთქვათ, მოცულობას, რომელსაც გვაწვდის დედუქციური და ინდუქციური დასკვნა; ამ ცოდნის ხასიათი ჩვენ ჯერ არ გავვირკვევია. ამ საკითხის სრული გარკვევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ინდუქციური დასკვნის სახეები იქნება შესწავლილი. მაგრამ, რადგან ამ საკითხს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მისი წინასწარი გადაწყვეტა სწორედ ესაა არის საჭირო. ინდუქციური დასკვნების სპეციალურმა განხილვამ შემდეგ უნდა გაამართლოს ეს წინასწარი გადაწყვეტა.

დედუქციური დასკვნის დანასკვი აუცილებლად ჰეშმარიტ მსჯელობას წარმოადგენს, თუ წანამძღვრები ჰეშმარიტია; თუ ჩვენი წანამძღვრები ჰეშმარიტია და მათ მიმართ ჩვენ სწორად გამოვიყენებთ ლოგიკის პრინციპებს, დანასკვი აუცილებლად ჰეშმარიტი იქნება. ინდუქციურ დასკვნაში კი დასკვნით მსჯელობას ახასიათებს მეტი ან ნაკლები ხარისხის ალბათობა. ცოდნის ეს განსხვავებული ხასიათი განსაზღვრულია იმ გარემოებით, რომელიც ზემოთ იყო აღნიშნული: დედუქციური დასკვნის დანასკვი არ გადის მოვლენათა იმ წრის ფარგლებიდან, რომლებსაც წანამძღვრები ეხება; ხოლო ინდუქციური დასკვნის დანასკვი გადის მოვლენათა იმ წრის ფარგლებიდან, რომლებსაც წანამძღვრები ეხება. ამიტომ დანასკვი, როგორც წესი, საალბათოა; გავრცელება რაიმე ნიშნის, რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ ზოგიერთ მოვლენაში, ამ მოვლენათა მთელ კლასზე, შეიძლება არ გამართლდეს სინამდვილეში. მაგალითად: მრავალი დაკვირვების საფუძველზე იყო დადგენილი, რომ ძუძუმწოვარი კვერცხს არ დებს, მაგრამ შემდეგში აღმოჩნდა ძუძუმწოვარი — იხვნისკარტა, რომელიც კვერცხებს დებს.

მარქსიზმის კლასიკოსები ყოველთვის მიუთითებდნენ იმ გარემოებას, რომ ინდუქციური დასკვნით მიიღება ყოველთვის საალბათო ცოდნა.

„... ინდუქციური დასკვნა, — წერდა ენგელსი, — არსებითად პრობლემატურია“¹.

¹ ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 233.

ლენინი ადარებდა ინდუქციას მიხვედრას: „ყველაზე მარტივი კემ-მარტივება, ყველაზე მარტივი ინდუქციური გზით მიღებული, არასოდეს არ არის სრული, რადგან ცდა არასოდეს არ არის დამთავრებული. Ergo: კავშირი ინდუქციისა ანალოგიასთან — მიხვედრასთან“¹.

საქმის მთელი ვითარება მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ „ცდა არასოდეს არ არის დამთავრებული“ და ეს ნიშანი ინდუქციის დამახასიათებელი ნიშანია.

f) ყურადღება უნდა მივაქციოთ კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც ახასიათებს დედუქციურ დასკვნას ინდუქციურისაგან განსხვავებით. აღნიშნული იყო, რომ დედუქციური დასკვნის დანასკვში ახალი ცოდნაა მოცემული, მაგრამ ეს ცოდნა ეხება იმავე საგნებს, რომელთა შესახებ საუბარია წინამძღვრებში. მეორე მხრით, საგანთა (საგანთა კლასების, თვისებებისა და სხვ.) კავშირი, რომელიც S-ისა და P-ს ცნებებშია ასახული, არასოდეს არ გვაქვს მოცემული წინამძღვრებში, წინააღმდეგ შემთხვევაში დანასკვი წინამძღვრის განმეორება იქნება.

ყოველი ნამდვილი დასკვნა დანასკვში ახალ ცოდნას გვაძლევს. მაგრამ ამ სიახლის ხასიათი თავისებურია: დედუქციურ დასკვნაში ახალი ცოდნა ეხება არა საგნებს (ასეთია ინდუქციური დასკვნა), არამედ ახალ კავშირს იმ საგნებს შორის, რომლებზედაც აზრი გამოთქმულია წინამძღვრებში.

გ) ჩვენ გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა დედუქციური დასკვნის ერთი ნიშანი: დედუქციური დასკვნის დანასკვში S-სა და P-ს შორის კავშირის დადგენა ხდება საშუალო რგოლის საშუალებით, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, კატეგორიულ სილოგიზმში) საშუალო ტერმინის სახეს იღებს. S-ისა და P-ს კავშირი უშუალოდ რომ ყოფილიყო მოცემული, მაშინ დასკვნა სრულიად ზედმეტი იქნებოდა; სწორედ იმიტომ, რომ ეს კავშირი არ არის უშუალოდ მოცემული, ჩვენ ვეძებთ იმ მესამეს, რომელიც მათი დამაკავშირებლის როლში გამოდის. დანასკვში ეს საშუალო, დამაკავშირებელი რგოლი ელიმინირებულია.

ეს საშუალო რგოლი (საშუალო ტერმინი) მარტივი სახის დასკვნაში, როგორც არის, მაგალითად, მარტივი კატეგორიული სილოგიზმი

M — P

S — M

—————
S — P

¹ В. Ленин, Философские тетради, стр. 154.

ან მარტივი სახის ე. წ. არასილოგისტური დასკვნის

$$\begin{array}{r} A > B \\ B > C \\ \hline A > C \end{array}$$

ერთია, მაგრამ რთულ შემთხვევაში საშუალო რგოლი შეიძლება იყოს და ფაქტიურად რამდენიმეა. მაგალითად, დასკვნაში

$$\begin{array}{r} A > B \\ B > C \\ 1. \quad C > D \\ D > E \\ A > E \end{array}$$

ამისთანა საშუალო სამია B, C და D. არ არის საჭირო ამ დასკვნის აუცილებლად დაყოფა სამ-სამ წევრიან დასკვნებად:

$$\begin{array}{r} A > B \\ 2. \quad B > C \\ \hline A > C \end{array} \quad \begin{array}{r} A > C \\ C > D \\ \hline A > D \end{array} \quad \text{და} \quad \begin{array}{r} A > D \\ D > E \\ \hline A > E \end{array}$$

ჩვენ შეგვიძლია ყველა საშუალო რგოლი ერთად გამოვრიცხოთ (1) და მივიღოთ დანასკვი $A > E$. დედუქციური დასკვნა არის დასკვნა საშუალო რგოლის (რგოლების) საშუალებით და ამ საშუალო რგოლის (რგოლების) ელიმინაციით. რგოლების ესა თუ ის რიცხვი — ტერმინების რიცხვი — არ არის დამახასიათებელი დედუქციურ დასკვნისათვის. მთავარია მათი ელიმინაცია, ამაშია დედუქციური დასკვნის თავისებურება; შესაძლებელია მათი „ერთდროულად“ გამორიცხვა (მაგალითი 1), შესაძლებელია მათი თანდათანობითი ელიმინაცია (მაგალითი 2).

მარტივი დედუქციური დასკვნის შემთხვევაში ერთი საშუალო რგოლია, რომელიც ერთ საგანს შეესაბამება, და, რომლის საშუალებით დადგინდება მიმართება, კავშირი ორ დანარჩენ საგანს შორის. საგნის ცნებაში იგულისხმება მსჯელობის საგანი, სულ ერთია არსებობს ის ობიექტურად თუ მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია, კონკრეტული საგანია, თუ საგანთა არსება, საგანია თუ საგნის თვისება, მდგომარეობა, საგნობრივი ვითარება და სხვ., ერთი სიტყვით, ყველაფერი, რის შესახებაც შეიძლება გამოითქვას აზრი.

მარტივ დედუქციურ დასკვნაში ჩვენ ყოველთვის სამ ამისთანა საგანთან გვაქვს საქმე, თუნდაც საგანთა რიცხვი ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მეტიც იყოს. ცნობილია, რომ არსე-

ბობენ დუადიკურ მიმართებათა გარდა ტრიადიკური და პოლიადიკური; არსებობენ ისეთი სახის მიმართებანი, რომლებიც თავისი ხასიათის მიხედვით გულისხმობენ ორ საგანზე მეტს. მაგალითად, „პეტრემ მისცა წიგნი პავლეს“, „მიცემის“ მიმართება გულისხმობს სამ საგანს; მსჯელობაში „ამერიკამ იყიდა ალასკა რუსეთისაგან 14 მილიონ მანეთად“ უკვე ოთხი საგანი იგულისხმება. მაგრამ ლოგიკური თვალსაზრისით მსჯელობაში ყოველთვის ორი წევრია, ხოლო მარტივ დედუქციურ დასკვნაში სამი ამგვარი წევრია. განვიხილოთ დედუქციური დასკვნების სახეები ამ თვალსაზრისით.

ა. კატეგორიული სილოგიზმი:

ლითონი ელექტრობის გამტარია
რკინა ლითონია
 რკინა ელექტრობის გამტარია

ამ დასკვნის წანამძღვარში სამი წევრია: რკინა, ლითონი, ელექტრობის გამტარი. დადგენილია ამ სამ წევრს შორის წყვილ-წყვილად გარკვეული მიმართება; დადგენილია ორი წევრის მიმართება ერთსა და იმავე მესამე წევრთან. დანასკვში ეს მესამე წევრი ელიმინირებულია და დადგენილია მიმართება ამ ორ წევრს შორის.

ბ. ე. წ. არასილოგისტური დასკვნა:

A = B
 B = C

 A = C

ან უფრო რთული:

პეტრე არასოდეს არ გამოსულა მოსკოვიდან
პავლე არასოდეს არ ჩასულა მოსკოვში
 პეტრე არასოდეს არ შეხვედრია პავლეს

ტერმინთა რიცხვი ერთსა და მეორე შემთხვევაში სამს აღემატება (პირველ შემთხვევაში ოთხია, მეორე შემთხვევაში არა ნაკლებ ხუთისა), მაგრამ წევრთა რიცხვი ორივე შემთხვევაში მხოლოდ სამია; პირველში A, B და C, მეორეში — პეტრე, პავლე და მოსკოვი, რომელშიც ერთი მთლიანად შეტანილია, და რომლიდანაც მეორე მთლიანად გამორიცხულია. ორ წევრს აქვს გარკვეული დამოკიდებულება მესამესთან, დანასკვში მესამე წევრი ელიმინირებულია და დადგენილია გარკვეული მიმართება ამ ორ წევრს შორის.

ტერმინების რიცხვი, რომელიც ასეთ დიდ როლს თამაშობს ტრადიციულ მოძღვრებაში დედუქციური დასკვნების შესახებ, ახასიათებს მხოლოდ კატეგორიულ სილოგიზმს. იმიტომ, რომ ტრადიციულმა ლოგიკამ დედუქციური დასკვნის ყველა სახე სილოგიზმებად გადააქცია, დასკვნის თეორია უხერხულ მდგომარეობაში ჩაეარდა: ზოგიერთი სახის დასკვნა მოექცა სილოგიზმების კლასში იმისდა მიუხედავად, რომ მათ არ ახასიათებთ ჩვეულებრივი ტერმინები და მათი მიმართებანი (პირობითი დასკვნები); დედუქციური დასკვნების დიდი კლასი უპატრონოდ დარჩა: მათ აღმოაჩნდა სამ ტერმინზე მეტი. ამ სახის დასკვნებს არასილოგისტური უწოდეს. მაგრამ ამ არასილოგისტური დასკვნების კლასი შემდეგ გაყვეს ინდუქციურზე და ტრადუქციულ დასკვნაზე.

ყველაფერი ეს განსაზღვრული იყო ერთი გარემოებით, ერთი შეცდომით: დასკვნის თეორიაში განიხილავდნენ მხოლოდ ცნებათა კავშირებს და არ აქცევდნენ ყურადღებას იმ გარემოებას, თუ რას ასახავენ ეს ცნებები.

განვიხილოთ ცნობილი მაგალითი, რომელშიც მოცემულია რამდენიმე მსჯელობა და დასმულია ამოცანა: რა დანასკვი გამომდინარეობს აქედან?

1. A არის ან მხოლოდ B, ან მხოლოდ C;
2. D არის B-ც და C-ც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც D არის E;
3. იმ შემთხვევაში, როდესაც D არის E, D არ არის არც B და არც C.

მოცემულ სამ მსჯელობაში ხუთი ტერმინია A, B, C, D, E; უნდა გაირკვეს დამოკიდებულება A-სა და D-ს შორის; ელიმინაცია უნდა მოეახდინოთ სამი საშუალო ტერმინის B, C და E-სი.

პირველ მსჯელობაში A-ს მიეწერება გარკვეული ნიშანი (არის ან მხოლოდ B, ან მხოლოდ C); მეორე მსჯელობაში D-ს მიეწერება ყველა შემთხვევაში ერთის გარდა ნიშანი, რომელიც A-ს ნიშნის საწინააღმდეგოა (არის B-ც და C-ც); მესამე მსჯელობაში დარჩენილ შემთხვევაშიც D-ს მიეწერება ნიშანი, რომელიც A-ს ნიშნის საწინააღმდეგოა (არ არის არც B და არც C). თუ დაეიყვანთ ამ მსჯელობებს მარტივ სახემდე, მივიღებთ შემდეგს: გვაქვს სამი წევრი, ორი საგანი A და D და ნიშანი, რომელიც ერთს ახასიათებს, ხოლო მეორეს არ ახასიათებს, ცხადია, დანასკვის ხასიათიც: A არ არის D.

გაყოფით-კატეგორიულ დასკვნაში შესაძლებელია მრავალი ტერმინი იყოს, ეს დამოკიდებულია გაყოფითი წანამძღვრის შინაარსზე:

A არის ან B, ან C; A არის ან B, ან C, ან D და სხვ. მაგრამ ამას დასკვნისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს:

A არის ან B, ან C

A არის B

A არ არის C

აქაც სამ წევრთან გვაქვს საქმე: A, B, C. დადასტურებულია, რომ A-ს ახასიათებს ნიშანი B, დანასკვეში დადასტურებულია, რომ A-ს არ ახასიათებს ნიშანი C. იმ შემთხვევაშიც, როდესაც პრედიკატების რიცხვი გაყოფით მსჯელობაში მრავალია, პრინციპი მაინც იგივე რჩება: დასტურდება, რომ A-ს ახასიათებს გარკვეული ნიშანი, დანარჩენი უარყოფილია. ეს „დანარჩენი“ ერთია თუ მრავალი საქმის ვითარებას არ ცვლის.

ყ. წმინდა პირობითსა და პირობით კატეგორიულ დასკვნებში მდგომარეობა ერთგვარად გართულებულია იმით, რომ უკვე წანამძღვრებშია დადგენილი საფუძვლისა და შედეგის კავშირი. ამისდა მიუხედავად, ზემოთ აღნიშნული პრინციპი აქაც ძალაში რჩება. პირობით დასკვნებში დადგენილია კავშირი სამ მსჯელობას შორის, რომლებიც გამონათვენ საგნების ან უფრო ზუსტად, საგნობრივ ვითარებათა შორის გარკვეულ დამოკიდებულებას:

თუ საქანი გავათბეთ, ის გაგრძელდება

თუ საქანი გაგრძელდა, მისი ქანაობა შენელდება

თუ საქანი გავათბეთ, მისი ქანაობა შენელდება

საქანის გათბობა და მისი მოძრაობის შენელება ორი საგნობრივი ვითარებაა და მათი კავშირი გაშუალებულია მესამე საგნობრივი ვითარებით, რომელიც საშუალო რგოლს წარმოადგენს და რომელიც ელიმინირებულია დანასკვეში.

მარტივი დელუქციური დასკვნის ყველა ფორმაში დანასკვეში მყარდება გარკვეული მიმართება ორ წევრს შორის — ეს ორი წევრი შეიძლება ორი საგანი იყოს, შეიძლება საგანი და მისი თვისება იყოს, შეიძლება ორი საგნობრივი ვითარება და სხვ. იყოს — მესამე წევრის როგორც გამაშუალებელი რგოლის დახმარებით. საგნები და მათი კავშირები შეიძლება გამოიხატოს ტერმინებით, მთელი მსჯელობებით; ტერმინების რიცხვი — სამი თუ მეტი — დამოკიდებულია წანამძღვართა თავისებურებაზე, და ამიტომ დამოკიდებულია სინამდვილის მოვლენათა კავშირის ხასიათზე, რომელსაც ეს წანამძღვრები ასახავენ.

3. დედუქციური დასკვნის სახეები

დედუქციური დასკვნის მრავალი სახიდან ჩვენ დავახასიათებთ მოკლედ ზოგიერთს, უმთავრესად ისეთს, რომლებიც უფრო ხშირად გამოიყენება მეცნიერებაში და პრაქტიკულ ცხოვრებაში.

1. კატეგორიული სილოგიზმი და ე. წ. „არასილოგისტური“ დასკვნები. ზემოთ აღნიშნული ნიშნები, რომლებიც დედუქციურ დასკვნებისათვის დამახასიათებელია, ახასიათებენ როგორც კატეგორიულ სილოგიზმს, ისე ე. წ. „არასილოგისტურ“ დასკვნებს. განსხვავება მათ შორის გარკვეულია: 1) კატეგორიულ სილოგიზმში მსჯელობები გამოხატავენ ან საგნისა და მისი თვისების კავშირს, ან საგანთა ერთი კლასის საგანთა მეორე კლასში შეტანას (გამორიცხვას). ეს მსჯელობები ასახავენ საგანთა და მოვლენათა კავშირს უშუალოდ სუბიექტისა და პრედიკატის კავშირით. ამიტომ მარტივ კატეგორიულ სილოგიზმში სამი წევრის კავშირი წანამდგრებში ყოველთვის სამი ტერმინის კავშირით გამოიხატება.

ე. წ. „არასილოგისტური“ დასკვნის ცნებაში გულისხმობენ არა ყველა სახის დასკვნას, რომლებიც კატეგორიული სილოგიზმისაგან განსხვავდება, არამედ მხოლოდ ისეთ დასკვნებს, რომელთა წანამდგრებში გამოთქმულია აზრი ორი საგნის დროული, ვრცეული, მიზეზობრივი, ტოლობის, ნათესაობის და სხვ. კავშირის შესახებ. მსჯელობები, რომელთაგან შენდება ასეთი დასკვნა კატეგორიული ხასიათისაა. დროული, ვრცეული და სხვათა კავშირები ხშირად არ აისახება უშუალოდ სუბიექტისა და პრედიკატის კავშირით, არამედ მხოლოდ მთელი მსჯელობის აზრით და ამიტომ, მართალია, ამ დასკვნებში სამი წევრია, მაგრამ ტერმინთა რიცხვი ყოველთვის სამზე მეტია. ასე, მაგალითად, ტრადიციულ მაგალითში:

ადამიანი მოკვდავია
სოკრატე ადამიანია

სოკრატე მოკვდავია

სამი წევრია, რომელიც შესაბამისად სამ საგანს ასახავს და სამი ტერმინია.

ე. წ. „არასილოგისტურ“ დასკვნაში

თბილისი მოსკოვის სამხრეთით მდებარეობს
მოსკოვი ლენინგრადის სამხრეთით მდებარეობს

თბილისი ლენინგრადის სამხრეთით მდებარეობს.

ანდა დასკვნაში

არისტოტელე ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვეა
ალექსანდრე მაკედონელი პერიკლეზე გვიან ცხოვრობდა

არისტოტელე პერიკლეზე გვიან ცხოვრობდა

სამ ტერმინზე მეტია, იმისდა მიუხედავად, რომ წანამძღვრებში სა-
მი წევრია ნაგულისხმევი, რომელიც სამ საგანს ასახავს.

2. დასკვნები გაყოფითი წანამძღვრებით. წმინ-
და პირობითი და პირობით-კატეგორიული დასკვნების თავისებურება
უკვე განმარტებულია, აქ მათ აღარ დაეუბრუნდებით. რაც შეეხება
გაყოფით დასკვნებს, აქ ზოგიერთი რამ კიდევ გასარკვევია. გაყოფითი
მსჯელობის ცნებაში ჩვენ სამი განსხვავებული სახის მსჯელობა დავად-
გინეთ: a) ალტერნატიული (გაყოფით-შემაერთებელი), b) ჩვეულებ-
რივი გაყოფითი (გაყოფით-გამომრიცხავი) და c) დისიუნქტური. ამ
სამი სახის მსჯელობის მიხედვით გვექნება სამი სახის დასკვნა.

a) ალტერნატიული დასკვნა:

A არის ან B, ან C

A არ არის B

A არის C

ალტერნატიულ დასკვნას ერთი მოდუსი აქვს: ერთი ალტერნანტის
უარყოფიდან გამომდინარეობს დანასკვი, რომელშიც დადასტურებუ-
ლია მეორე ალტერნანტი. ტრადიციული ლოგიკის სახელწოდება რომ
გამოვიყენოთ, მას უნდა ეწოდოს მოდუსი tollendo ponens. მო-
დუსი ponendo tollens-ი არ არის კანონიერი:

A არის ან B, ან C

A არის B

?

აქედან არ გამომდინარეობს, რომ A არ არის C, რადგან ალტერ-
ნატიულ მსჯელობაში სუბიექტის მიერ ასახულ საგანს შეიძლება ორი-
ვე პრედიკატი ახასიათებდეს.

b) ჩვეულებრივ გაყოფით დასკვნას, როგორც ეს გარკვეულია შე-
საბამ თავში, ორი მოდუსი აქვს: ponendo tollens და tollendo po-
nens. აქ მათ აღარ განვიხილავთ.

c) დისიუნქტური დასკვნა:

A არის ან B, ან C

A არის B

A არ არის C

დისიუნქტურ დასკვნას ერთი მოდუსი აქვს: ერთი დისიუნქტის დასტურიდან გამომდინარეობს დანასკვი, რომელშიც უარყოფილია მეორე დისიუნქტი. ეს არის მოდუსი *ponendo tollens*.

მოდუსი *tollendo ponens* ამ შემთხვევაში არ არის კანონიერი:

A არის ან B, ან C

A არ არის B

9

დანასკვი არ გამოყვანება, რადგან დისიუნქტურ მსჯელობაში, რომელიც კონიუნქციურის უარყოფას წარმოადგენს, გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ ერთი დისიუნქტი ყოველ შემთხვევაში მცდარია, მაგრამ შეიძლება ორივე მცდარი იყოს.

3. დასკვნები ზოგად-გამოყოფითი წანამძღვრებიდან. ტრადიციულ ლოგიკას დაჰყავს დასკვნები ზოგად გამოყოფითი წანამძღვრებით ჩვეულებრივ კატეგორიულ სილოგიზმზე. დასკვნა

1. მხოლოდ დემოკრატიული ქვეყნები იცავენ მშვიდობის საქმეს ამერიკის შ.შ. არ არის დემოკრატიული ქვეყანა

ამერიკის შ. შ. არ იცავენ მშვიდობის საქმეს

გარეგანი ფორმით კატეგორიული სილოგიზმის პირველი ფიგურაა, მაგრამ მცირე წანამძღვარი უარყოფითია და ამიტომ ის არ შეიძლება იყოს კატეგორიული სილოგიზმი. მისი დაყვანა კატეგორიული სილოგიზმის მეორე ფიგურაზე, რომელიც შემდეგი ოპერაციით ხდება

2. მშვიდობის დამცველი ყველა ქვეყანა დემოკრატიულია ამერიკის შ. შ. არ არის დემოკრატიული ქვეყანა

ამერიკის შ. შ. არ არის მშვიდობის დამცველი

ყოველივე აზრს მოკლებულია, რადგან პირველი (1) დასკვნა მართებულია და დამაჯერებელია ყოველგვარი გარდაქმნის გარეშეც.

დასკვნები ზოგად-გამოყოფითი (და საერთოდ გამოყოფითი) წანამძღვრებით დედუქციური დასკვნის თავისებური სახეა, კატეგორიული სილოგიზმისაგან განსხვავებული. მართალია, გარეგანი ფორმით ეს დასკვნა ჰგავს კატეგორიულ სილოგიზმს, მაგრამ მის წესებს არ ემორჩილება, რადგან გამოყოფითი მსჯელობები მეტ ცოდნას შეიცავენ, ვიდრე შესაბამისი ჩვეულებრივი ზოგადი და კერძობითი მსჯელობები. ეს გარემოება შესაძლებლად ხდის დანასკვის მიღებას იმ შემთხვევაშიც, როდესაც კატეგორიული სილოგიზმის წესებით დასკვნის მიღება შეუძლებელია. ასე, მაგალითად, დასკვნის მაგალითში

მხოლოდ დემოკრატიული ქვეყნები იცავენ მშვიდობის საქმეს
ამერიკის შ. შ. არ არის დემოკრატიული ქვეყანა

ამერიკის შ. შ. არ იცავს მშვიდობის საქმეს

დანასკვი გამომდინარეობს გარკვეული პრინციპის მიხედვით: ის, რაც ახასიათებს მხოლოდ გარკვეული კლასის საგნებს, ის არ ახასიათებს განსხვავებული კლასის საგნებს.

ამ დასკვნების თავისებურება მქლავნდება იმაშიც, რომ ისინი გვაძლევენ ზოგად დანასკვს მესამე ფიგურით:

მხოლოდ ადამიანებს აქვთ იარაღების კეთების უნარი
მხოლოდ ადამიანებს ახასიათებს მეტყველება

მხოლოდ იმათ, ვისაც ახასიათებს მეტყველება, აქვთ
იარაღების კეთების უნარი

ამ დასკვნის წანამძღვრების მარტივი უკუქცევით მივიღებთ დასკვნას კატეგორიული სილოგიზმის მეორე ფიგურით, რამელშიც ორი წანამძღვარი დადებითია და დანასკვიც დადებითია.

ამ სახის დასკვნების თავისებურება იმაშიც გამოიხატება, რომ უარყოფითი წანამძღვრებიდანაც გამომდინარეობს მართებული დანასკვა და ამასთან დადებითი დანასკვი. მაგალითად:

მხოლოდ M არ არის P
არც ერთი S არ არის M

ყველა S არის P

ან:

მხოლოდ დემოკრატიული ქვეყნები არ არიან აგრესიულები
არც ერთი იმპერიალისტური ქვეყანა არ არის დემოკრატიული

ყველა იმპერიალისტური ქვეყანა აგრესიულია

დანასკვი განსაზღვრულია იმავე პრინციპით, რომელიც ზემოთ იყო ფორმულირებულ: ის, რაც ახასიათებს მხოლოდ გარკვეული კლასის საგნებს, ის არ ახასიათებს განსხვავებული კლასის საგნებს.

ნათქვამიდან ცხადი უნდა იყოს: 1) დასკვნები გამოყოფითი წანამძღვრებით დედუქტიურ დასკვნათა კლასს ეკუთვნიან, რადგან მათ ახასიათებთ იგივე ნიშნები, რაც ამ კლასს; 2) დასკვნები გამოყოფითი წანამძღვრებით კანონიერი დასკვნებია და მათი კატეგორიულ სილოგიზმზე დაყვანა სრულიად ზედმეტია; 3) ყველა ეს დასკვნა ექვემდებარება

ერთ პრინციპს (დასკვნის ფორმულას), რომელიც ზემოთ არის ფორმულირებული.

არსებობენ დასკვნები, გამოყოფითი პირობითი მსჯელობებით. გამოყოფითი პირობითი მსჯელობის დამახასიათებელია გამოთქმა „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ..., მაშინ“ (ან უფრო მკაცრად: „იმ შემთხვევაში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ..., მაშინ“). ასეთი მსჯელობა თუ იღებს მონაწილეობას დასკვნაში, მაშინ პირობით კატეგორიულ სილოგიზმში ოთხი მოდუსია შესაძლებელი: 1) დასკვნა საფუძვლის არსებობიდან შედეგის არსებობაზე, 2) საფუძვლის არარსებობიდან შედეგის არარსებობაზე, 3) შედეგის არსებობიდან საფუძვლის არსებობაზე და 4) შედეგის არარსებობიდან საფუძვლის არარსებობაზე. გამოთქმა „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ..., მაშინ“ მაჩვენებელია იმის, რომ საფუძველსა და შედეგს შორის არსებობს ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება.

4) დასკვნები გარკვეული კერძობითი წანამძღვრებით. გამოთქმა „გარკვეული კერძობითი წანამძღვარი“ (ან მსჯელობა) არ არის მთლად კორექტული სახელწოდება იმ მსჯელობებისათვის, რომლებიც გამოხატავენ აზრს, რომ ნიშანი, მიმართება ახასიათებს კლასის საგნების უმრავლესობას. მაგრამ ეს სახელწოდება აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ნიშანი, მიმართება ახასიათებს კლასის საგანთა არა გაუკვეველ რიცხვს, რომლებიც იგულისხმება სიტყვაში „ზოგიერთი“, არამედ ახასიათებს შედარებით გარკვეულ რიცხვს, სახელდობრ კლასის საგნების ნახევარზე მეტს. ასეთი წანამძღვრები გვაძლევენ უფლებას ზუსტ დანასკვზე, თუ საგანთა რაოდენობა აღნიშნულია რიცხვებში, და კერძობით დანასკვზე, თუ საგანთა რაოდენობა არ არის რიცხვებში გამოხატული. მაგალითი:

სტუდენტთა უმრავლესობა კომკავშირელია

სტუდენტთა უმრავლესობა ფიზკულტურელია

ზოგიერთი ფიზკულტურელი კომკავშირელია

თუ უმრავლესობა, ე. ი. სტუდენტთა რიცხვის ნახევარზე მეტი კომკავშირელია და ფიზკულტურელია, ცხადია, რომ ყოველ შემთხვევაში, სტუდენტ კომკავშირელთა ნაწილი და სტუდენტ ფიზკულტურელთა ნაწილი ერთმანეთს ემთხვევა.

თუ უმრავლესობა რიცხვებშია გამოხატული, მაშინ დანასკვი შეიძლება ორნაირი იყოს; ეს დამოკიდებულია წანამძღვრების შინაარსზე.

1) სტუდენტების 70% კომკავშირელია

სტუდენტების 60% ფიზკულტურელია

სტუდენტთა შორის, ყოველ შემთხვევაში,

30% კომკავშირელი ფიზკულტურელია

დანასკვი „ყოველ შემთხვევაში 30%“ განსაზღვრულია წანამძღვრების შინაარსით: კომპაევირელ-ფიზკულტურულ სტუდენტთა რიცხვი შეიძლება 60%-იც იყოს, რადგან კომპაევირელი და ფიზკულტურელი ერთმანეთს არ გამორიცხავს, მაგრამ ამგვარი დასკვნის უფლებას წანამძღვრები არ გვაძლევენ.

2. საბჭოს წევრებიდან კანდიდატ A-ს მისცა ხმა 70%

საბჭოს წევრებიდან კანდიდატ B-ს მისცა ხმა 60%

საბჭოს წევრების 30% მისცა ხმა ორივე კანდიდატს

ამ დასკვნაში დანასკვი ზუსტად გარკვეულია, მხოლოდ 30%-მა მისცა ხმა და არა „ყოველ შემთხვევაში“ 30%-მა, რადგან, თუ მონაწილეობას იღებდა კენჭის ყრაში 100 ადამიანი, ხმა კი მისცა 130-მა, მაშ, 30-მა საბჭოს წევრმა ხმა ორჯერ მისცა.

5) დანასკვები უარყოფითი წანამძღვრებით. კატეგორიული სილოგიზმის წესების თანახმად ორი უარყოფითი წანამძღვრიდან დანასკვი არ გამომდინარეობს. მაგრამ არსებობენ ისეთი სახის დასკვნები, რომლებიც ამ წესს არ ემორჩილებიან. მაგალითად:

A არ არის B-ზე მეტი

B არ არის C-ზე მეტი

A არ არის C-ზე მეტი

ამ ტიპის დასკვნები ძალიან ჰგვანან კატეგორიულ სილოგიზმს; მაგრამ, მართალია, აქ სამი საგანია ერთმანეთთან შედარებული, მაინც სამ ტერმინზე მეტია. პრინციპი კი მარტივი დედუქციური დასკვნისაა.

ზოგიერთი ლოგიკოსი ცდილობს დასახელებული უარყოფითი მსჯელობა დადებით ფორმაში წარმოადგინოს. მსჯელობა „A არ არის B-ზე მეტი“ ზიგვარტისეული ინტერპრეტაციით, რომელსაც დღეს იზიარებს მათემატიკური ლოგიკა და ამერიკულ-ინგლისური ლოგიკა, ასეთ ფორმას მიიღებს: „მცდარია, რომ A არის B-ზე მეტი“, ანდა კიდევ ამ მსჯელობას ასე გარდაქმნიან: „A არის ან ნაკლები, ან ტოლი B-სი“. შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი დასკვნა მიიღებს ან ერთს, ან მეორე სახეს:

1. მცდარია, რომ A არის B-ზე მეტი

მცდარია, რომ B არის C-ზე მეტი

მცდარია, რომ A არის C-ზე მეტი

2. A არის ან ნაკლები, ან ტოლი B-სი

B არის ან ნაკლები, ან ტოლი C-სი

A არის ან ნაკლები, ან ტოლი C-სი

რასაკვირველია, დასაბუთების პროცესში არაფერი შეიცვლება, თუ ზემოთ მოყვანილი დასკვნა შევცვალებთ ან პირველი (1), ან მეორე (2) დასკვნით. მაგრამ იბადება საკითხი: რა ჰაპირთა ერთი სახის დასკვნის შეცვლა დასკვნის მეორე სახით, რა გამართლება აქვს ამ შეცვლას? მოცემული დასკვნა უარყოფითი წანამძღვრებით მართებულია და დამაჯერებელი და ცხადია არანაკლებ მოდუს Barbara-სი.

განვიხილოთ დასკვნები უარყოფითი წანამძღვრებით და დავადგინოთ პრინციპები, რომლებიც გაარკვევენ დასკვნის გამომდინარეობის შესაძლებლობას თუ შეუძლებლობას. განვიხილოთ ჯერ ის მავალითები, რომლებიც მართებულ დანასკვს გვაძლევენ:

1. A არ არის B-ს აღმოსავლეთით (დასავლეთით და სხვ.)

B არ არის C-ს აღმოსავლეთით (დასავლეთით და სხვ.)

A არ არის C-ს აღმოსავლეთით (დასავლეთით და სხვ.)¹

2. A არ არის B-ზე აღრე (გვიან)

B არ არის C-ზე აღრე (გვიან)

A არ არის C-ზე აღრე (გვიან)

3. A არ არის B-ზე დაბლა (მაღლა)

B არ არის C-ზე დაბლა (მაღლა)

A არ არის C-ზე დაბლა (მაღლა)

და სხვა და სხვა.

ამ დასკვნების ყველა წანამძღვარში უარყოფილია განსხვავება საგანთა შორის (უარყოფილია „ნაკლები“, „მეტი“, „აღრე ყოფნა“, „გვიან ყოფნა“, „აღმოსავლეთით ყოფნა“, „მაღლა“, „დაბლა ყოფნა“ და სხვა). ამ შემთხვევებში დასკვნა მართებულია.

განვიხილოთ ისეთი წანამძღვრები, რომლებიც არ გვაძლევენ მართებულ დანასკვს:

1. A არ არის B-ს ტოლი

B არ არის C-ს ტოლი

?

2. A არ არის B-ს ერთდროული

B არ არის C-ს ერთდროული

?

¹ დასკვნა მართებულია გარკვეულ ფარგლებში; ქალაქების მიმართ: მოსკოვი—სანფრანცისკო — ტოკიო დასკვნა არ იქნება მართებული.

3. A არ იმყოფება, იქ, სადაც B-ა

B არ იმყოფება, იქ, სადაც C-ა

?

არც ერთ შემთხვევაში დანასკვი მოცემული წანამძღვრებიდან არ გამომდინარეობს¹. წანამძღვრებიდან, რომლებშიც უარყოფილია იგივეობა რაიმე მიმართებით (ტოლობა, ერთდროულობა, იგივეობა სივრცეში და სხვ.), დანასკვი არ გამომდინარეობს.

4. დედუქციური დასკვნის სახეები და დასკვნის ფორმულები

იბადება კანონიერი კითხვა: რის საფუძველზე გამოგვყავს ჩვენ დანასკვი წანამძღვრებიდან. რასაკვირველია, ზოგადი პასუხი მატერიალისტური ფილოსოფიის თვალსაზრისით ერთადერთი შეიძლება იყოს: აზრთა კავშირი დასკვნაში ასახავს საგანთა კავშირს, საგანთა და მოვლენათა ვითარებათა კავშირს; აზრთა კავშირი არ არის ნებისმიერი, ის არ არის დამოკიდებული ჩვენს ფსიქიკაზე, ჩვენ სურვილებზე და განწყობილებებზე; ეს კავშირი ობიექტური ხასიათისაა, რადგან ობიექტური სინამდვილის საგნების კავშირებისა და მიმართებების ზოგად ფორმას ასახავს.

მაგრამ ეს ზოგადი დებულება არ არის სრულიად საკმარისი დასკვნის თეორიისათვის. ეს დებულება საერთო საფუძველია თეორიისათვის, მაგრამ ამ დებულებით დაკმაყოფილება შეუძლებელია.

არისტოტელეც ამ საკითხში მატერიალისტურად მსჯელობდა: მისი აზრითაც დასკვნის ფორმა სინამდვილის ასახვას წარმოადგენდა, მაგრამ ამით ის არ დაკმაყოფილებულა. მან ჩამოაყალიბა აქსიომა, რომელიც პირველი ფიგურის დასკვნებს ამართლებდა და იმისდა მიუხედავად, რომ მეორე და მესამე ფიგურაც სინამდვილის ასახვას წარმოადგენდა მისი აზრით, მაინც დაყვანის შესახებ მოძღვრება შექმნა, რათა ეს ფიგურები აქსიომისადმი დაემორჩილებია. თანამედროვე ლოგიკოსები უმთავრესად ამერიკასა და ინგლისში დასკვნის შესაძლებლობას მიმართებათა ფორმალური თვისებებით ხსნიან. მაგრამ ამ პრინციპს ეს ლოგიკოსები ბოლომდე ვერ ატარებენ, და იგარდა ამისა, ეს პრინციპი ბოლომდეც რომ გაატარონ, ის მაინც საკმარისი არ იქნება: საკმარისი რომ ყოფილიყო დასკვნის მართებულობის დასადგენად, მათ არ დასჭირდებოდათ ანტი-ლოგიზმის შესახებ მოძღვრების შექმნა.

¹ რასაკვირველია, შეიძლებოდა იმის თქმა, რომ დასკვნის შესაძლებლობა ან შეუძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია მოაზრებული მიმართება, ტრანზიტულია თუ არა. ამ საკითხს შემდეგ თავში შევხებით.

ჩვენ აღვნიშნეთ: ზოგადი დებულება იმის შესახებ, რომ დასკვნის ფორმები ასახავენ საგანთა და მოვლენათა ზოგად ფორმებს, სწორია, რომ აზრთა კავშირები ობიექტური ხასიათისაა და სხვ. მაგრამ, ვინც ამ ზოგადი დებულებით დაკმაყოფილდება დასკვნის თეორიაში, მას ჯერ დასკვნის პრობლემა სულაც არა აქვს გაგებული.

ქეშმარიტებაც აზრია, რომელიც სინამდვილით განსაზღვრულია; მაგრამ ამა თუ იმ აზრის ქეშმარიტების დასამტკიცებლად ზომ არ იქნება საკმარისი იმის თქმა, რომ ეს აზრი ქეშმარიტია, რადგან ობიექტით არის განსაზღვრული: მოწინააღმდეგესაც ზომ შეუძლია ამისთანა „დასაბუთებას“ მიმართოს. საჭიროა რაღაც პრინციპი, რომელზედაც დაყრდნობით ვაირკვევა, ასახავს მართლაც აზრი სინამდვილეს თუ არა. მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას აქვს ამისთანა პრინციპი — ეს არის პრაქტიკის პრინციპი.

როდესაც ჩვენ მსჯელობებს დავაკავშირებთ და დანასკვნს გამოვიყვანთ, სად არის იჯარანტია იმისა, რომ დანასკვი ნამდვილად, აუცილებლობით გამომდინარეობს ამ მსჯელობებიდან — წანამძღვრებიდან? თქმა იმის, რომ საგანთა კავშირების და მიმართებების თავისებურება განსაზღვრავს დასკვნის ფორმასა და დასკვნის აუცილებლობას, არ არის საკმარისი, ეს არ არის პასუხი დასმულ კითხვაზე. რით განვასხვავოთ კანონიერი დასკვნა უმართებულო დასკვნისაგან, რა პრინციპის მიხედვით ვიხელმძღვანელოთ, რა პრინციპს დავეყრდნოთ. იქნებ ინტელექტუალურ გრძნობას? „ჩვენ ვგრძნობთ დანასკვის წანამძღვრებიდან გამომდინარეობის აუცილებლობას“, მაგრამ „აუცილებლობის გრძნობა“ იმდენად სუბიექტურია, რომ მას, ცხადია, ჩვენ ვერ დავეყრდნობით.

ერთადერთი პრინციპი, რომელზედაც დაყრდნობით შეგვიძლია განვასხვავოთ მართებული დასკვნა უმართებულოსაგან, ისევე როგორც ქეშმარიტი მცდარისაგან, არის პ რ ა ქ ტ ი კ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი.

მაგრამ აქ თითქოს მეორე სირთულე იბადება: შეუძლებელია მსჯელობის პროცესში ყოველი დასკვნის გამართლებისათვის პრაქტიკას მივმართოთ; ეს რომ საჭირო იყოს, მაშინ მსჯელობის წარმოებაც თითქმის შეუძლებელი გახდებოდა: გეომეტრიის მარტივი თეორემის დასაბუთებისას ჩვენ რამდენიმე დასკვნას მაინც ვაკეთებთ, და თუ ყოველი დასკვნის სისწორის შესამოწმებლად პრაქტიკას მივმართოთ, ჩვენ შეიძლება ვეღარც დავამთავროთ თეორემის დასაბუთება, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ დებულების პრაქტიკაში გამართლება ხელახლად დასკვნის ფორმას მიიღებს.

დასკვნის სისწორის ან მცდარობის შემოწმებას ჩვენ საბოლოოდ მაინც პრაქტიკით ვახდენთ იმის და მიუხედავად, რომ უშუალოდ პრაქტიკას არ მივმართავთ.

დასკვნის სისწორის შემოწმება ხდება გარკვეული პრინციპების საფუძველზე; ეს პრინციპები პრაქტიკით განსაზღვრული პრინციპებია. მილიარდჯერ განმეორებულმა ამ პრაქტიკამ განსაზღვრა დასკვნის პრინციპები, რომლებსაც დასკვნის აქსიომებს უწოდებენ ან დასკვნის ფორმულებს.

ასე, მაგალითად, კლასიკურ ლოგიკაში, რომელიც მოცულობის თვალსაზრისზე იდგა, კატეგორიული სილოგისტური დასკვნა აიხსნებოდა აქსიომით dictum de omni. და, მართლაც, თუ დასკვნას ვანვიხილავთ, როგორც ცნებათა გარკვეულ კავშირს მათი მოცულობების თვალსაზრისით, dictum-ის აქსიომა სავსებით სამართლიანად აგვცხსნის წანამძღვრებიდან დანასკვის აუცილებელ გამომდინარეობას: თუ S-ის მოცულობა მთლიანად შედის M-ის მოცულობაში, ზოლო უკანასკნელის მოცულობა მთლიანად შედის P-ს მოცულობაში, ცხადია, რომ S-ის მოცულობაც შედის P-ს მოცულობაში.

ჩვენ ხაზი გავუსვით სიტყვას „ცხადია“. სიტხადის ცნების წინააღმდეგ დიდი ხანია წარმოებს ბრძოლა. ეს ბრძოლა, რომელიც უმთავრესად მათემატიკოსებმა დაიწყეს და სავსებით სამართლიანად, ცალკეულ შემთხვევებში არამართებულ, უხეშ ფორმებს იღებს.

მართალია, ბევრი რამ, რაც ჩვენ „ცხადია“ გვეგონა, სრულიად ცხადი არ აღმოჩნდა, ზოგიერთ შემთხვევაში კი მცდარიც აღმოჩნდა. მთელი რომ ნაწილზე მეტია, ეს თითქოს ცხადზე ცხადი დებულება იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს დებულება არ არის ყოველთვის ჭეშმარიტი.

მაგრამ აქედან როდი გამომდინარეობს ის, რომ სიტხადის მნიშვნელობა მთლიანად უნდა ამოვაჯღოთ შემეცნების პროცესიდან და შემეცნების თეორიიდან.

ჭერ ერთი, ის სიტხადე, რომელიც ახლავს ცოცხალ განჭვრეტას — მიუხედავად მისი ბევრი ნაკლის და შეცდომისა — საბოლოო ანგარიშში ნამდვილი ცოდნის უკანასკნელი საფუძველია. მხოლოდ დისკურსიული აზროვნების არსებობის და მხოლოდ მისი შემეცნებისათვის მნიშვნელობის აღიარება ისეთივე შეცდომაა, როგორც რალაც მისტიკური ინტუიციის აღიარება, რომელსაც თითქოს შეუძლია უშუალოდ მოგვეცეს ცოდნა საგნის არსებისა, მისი ყოველნაირი კანონზომიერებისა და შინაგანი კავშირების.

ადამიანის ცნობიერების განვითარების პროცესში აზროვნება წარმოიშობა ისტორიულად პრაქტიკის პროცესში შეგრძნებათა, აღქმათა, ცოცხალი განჭვრეტის საფუძველზე. ამიტომ აზროვნება, რომელიც ცოცხალი განჭვრეტის საფუძველზე აღმოცენდა, მართალია მისგან თვისებრივად განსხვავდება, მაგრამ მასთან დაკავშირებულია: განჭვრეტის მომენტი თავისებური სახით მონაწილეობს აზროვნებაში, ისევე როგორც თანამედროვე ადამიანის აღქმაც განმსჭვალულია აზრით.

წმინდა ლოგიკური აზროვნება, ე. წ. წმინდა დისკურსიული აზროვნება ისეთივე აბსტრაქციაა, როგორც წმინდა ინტუიტიური აზროვნება. წმინდა დისკურსიის ფორმალისში და წმინდა ინტუიციის მისტიციზმში შედეგია (გნოსეოლოგიური) ლოგიკური აზროვნების მოწყვეტის ცოცხალი განჭვრეტისაგან.

დასკვნის ყოველი პროცესი, როგორც ლოგიკური აზროვნების პროცესი, განჭვრეტასთან არის დაკავშირებული. დასკვნაში

ყველა ადამიანი მოკვდავია
სოკრატე ადამიანია
 სოკრატე მოკვდავია

იმასაც თუ არ მივაქცევთ ყურადღებას, რომ მცირე წანამძღვარი არ არის დადგენილი ცოცხალი განჭვრეტის დახმარების გარეშე, ყოველ შემთხვევაში, ერთეულის მოქცევა ზოგადის ქვეშ არავითარი ლოგიკური ოპერაციით არ აიხსნება.

ქვემოთ მოყვანილი დასკვნის სისწორე

A ზის B-ს მარცხნივ
B ზის C-ს მარცხნივ
 A ზის C-ს მარცხნივ

ვერაფრით ვერ აიხსნება, თუ არა განჭვრეტის მომენტის დახმარებით, სახელდობრ იმის განჭვრეტით, რომ A, B და C სხედან სწორი ხაზის მონაკვეთზე.

ბოლოს, ისევ ის საკითხი, რომელიც ჩვენ დასაწყისში დავსვით: რა გვარწმუნებს ჩვენ დასკვნის სისწორეში? ერთადერთი პასუხი ამ კითხვაზე არის „სიცხადე“; რამდენიც უნდა ვეცადოთ არ ვიხმაროთ ეს სიტყვა, ჩვენ მას ამ შემთხვევაში ვერ გავექცევით. რასაკვირველია, აქ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ჩვენ გამომდინარეობის სისწორეს „ვხედავთ“, „ვპყვრეტთ“ და სხვა. რა გვარწმუნებს, მაგალითად, იმაში, რომ დასკვნა

S—M
 M—P
 ———
 S—P

სწორია? ერთადერთი პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: თუ S შეტანილია M-ში, და M შეტანილია P-ში, ცხადია, რომ S აგრეთვე შეტანილია P-ში; ან: თუ S-ს ახასიათებს ნიშანი M, ხოლო M-ს კი ნიშანი P, ცხადია, S-საც ახასიათებს ნიშანი P; ან თუ S-დან გამომდინარეობს M და M-დან გამომდინარეობს P, ცხადია, რომ S-დან P გამომდინარეობს.

ე. ი. დასკვნის სისწორის, დანასკვის აუცილებლობის გამართლება ხდება ე. წ. „აქსიომაზე“ დაყრდნობით. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება: აქსიომა გაგებულია აქ არა როგორც დებულება, რომელიც მიღებულია როგორც აუცილებელი და საკმარისი სხვა დებულების დასაბუთებისათვის, არა როგორც დებულება, რომლის ჭეშმარიტების შესახებ საკითხი არ ისმება, არამედ როგორც დებულება, რომლის ჭეშმარიტება ცხადია.

თანამედროვე მათემატიკაში აქსიომის ცნება სხვანაირად არის გაგებული. ჩვენ აქ ამ საკითხს არ ვეხებით. ის, რაც მათემატიკისათვის შეიძლება გამოდგეს, ყოველთვის არ გამოდგება სხვა დარგისათვის, კერძოდ ლოგიკისათვის¹.

ლოგიკაში ეს აქსიომები დასკვნის ფორმულებს წარმოადგენენ. მათი სიცხადის საფუძველი არის არა მისტიკური ინტუიცია, არამედ კაცობრიობის მრავალგზის განმეორებული პრაქტიკა. ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობისას საგანთა და მოვლენათა კავშირების მილიარდჯერ განმეორებამ განსაზღვრა ეს დებულებები, რომელთა ჭეშმარიტებას სწორედ ეს პრაქტიკული მოღვაწეობა ამართლებს, „ადამიანის პრაქტიკა მეორდება რა მილიარდჯერ, განმტკიცდება ადამიანის ცნობიერებაში ლოგიკის ფიგურებით. ამ ფიგურებს აქვთ ცრურწმენის სიმყარე, აქსიომური ხასიათი სწორედ (და მარტოოდენ) ამ მილიარდჯერ გამეორების გამო“.

(ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 216).

რა უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს აქსიომის ცნების მათემატიკური გაგების გამოყენება ლოგიკაში, ჩანს შემდგომად. თანამედროვე ინგლისურ-ამერიკული ლოგიკის სახელმძღვანელოებში სილოგიზმის წესების ასეთ განხილვას წშირად შეხედულებით: „სილოგიზმის სისწორის წესები ანუ აქსიომები“. ყველა წესი დაყოფილია ორ კლასად: პირველი კლასის წესები გამოცხადებულია აქსიომებად — მათ არ ვამტკიცებთ, მათი ჭეშმარიტების საკითხი არ ისმება; მეორე კლასის წესები გამოცხადებულია თეორემებად. პირველთა საშუალებით საბუთდება მეორენი; თუ პირველი ჭეშმარიტნი არიან, ასეთივეა მეორენიც. აქსიომები ასეთია:

1. რაოდენობის აქსიომები:
 - ა. საშუალო ტერმინი უნდა იყოს განაწილებული ერთ-ერთ წანამძღვარში შიდა.
 - ბ. არც ერთი ტერმინი არ შეიძლება იყოს განაწილებული დანასკვაში, თუ ის არ არის განაწილებული წანამძღვარებში.
2. თვისებრიობის აქსიომები:
 - ა. თუ ორივე წანამძღვარი უარყოფითია, დანასკვი არ გამოიყვანება („არ არსებობს“).
 - ბ. თუ ერთი წანამძღვარი უარყოფითია, დანასკვიც უნდა იყოს უარყოფითი.
 - გ. თუ არც ერთი წანამძღვარი არ არის უარყოფითი, დანასკვი დადებითი იქნება, დანარჩენი წესები დედუქციურად არის გამოყვანილი ამ „აქსიომებიდან“. ეს აქსიომები პირობითი დასკვნის პრინციპის დამატებით საკმარისია სილოგიზმის თეორიის ასაშენებლად.

ამრიგად, დასკვნის სისწორის ან მცდარობის შემოწმებას ჩვენ პრაქტიკის საშუალებით ვაწარმოებთ; მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ყოველივე ცალკეულ ნაბიჯს აზროვნებაში, ყოველ ცალკეულ დასკვნას პრაქტიკაში ვცდით მისი სისწორის ან მცდარობის გასაგებად. პრაქტიკის პროცესში და მის საფუძველზე გამომუშავდა მთელი რიგი დებულებებისა, რომელთა ქვეშარიტება სწორედ ამ პრაქტიკით არის შემოწმებული და რომლებსაც ჩვენ გამოვიყენებთ დასკვნის სისწორის ან მცდარობის დასადგენად. ამ პრინციპებით ვხელმძღვანელობთ ჩვენ როდესაც იბადება საკითხი დასკვნის სისწორის შესახებ. სულ ერთია რას ვუწოდებთ ამ პრინციპს, დასკვნის აქსიომებს თუ დასკვნის ფორმულებს.

დედუქციური დასკვნების კლასში მრავალი სახის დასკვნა იგულისხმება; ყველა ეს დასკვნა გარკვეული საერთო ნიშნებით ხასიათდება; გარდა ამ საერთო ნიშნებისა მათ ახასიათებთ თავისებური, თითოეული სახისათვის სპეციფიკური ნიშნები. სახეთა თავისებურება ასახავს ხშირად საგანთა და მოვლენათა კავშირების თავისებურებას. დასკვნის ფორმულები დედუქციური დასკვნის ყოველი სახისათვის თავისებურია. ყველა სახის კავშირის ნაძალადევად ერთი სახის კავშირზე დაყვანა, ყველა სახის დასკვნის ერთი ფორმის დასკვნაზე ნაძალადევად დაყვანა, მათი მრავალსახიანობის დასკვნის ერთ ფორმულაზე დაყვანა, არ არის მართებულნი: ის არა თუ დასკვნის თეორიას ამახინჯებს, ის სინამდვილესაც ამახინჯებს.

ჩვენ აქ ჩამოვთვლით დედუქციური დასკვნის ზოგიერთს, ყველაზე გავრცელებულ სახეს და მათ დასკვნის ფორმულებს ჩამოვყალიბებთ,

1. კატეგორიული სილოგიზმი.

I ფიგურა

პირველი სახე

მეორე სახე

Ma P

Me P

Sa, iM

Sa, iM

Sa, iP

Se, oP

დასკვნის ფორმულა — თუ წანამძღვრებში ნაგულისხმევია აზრი საგნისა და მისი ნიშნის კავშირის შესახებ—: საგნის ნიშნის ნიშანი არის საგნის ნიშანი, ის, რაც არ ახასიათებს საგნის ნიშანს, არ ახასიათებს თვით საგანს. ამ ფორმულის პირველი ნახევარი დასკვნის პირველი სახის ფორმულაა, ხოლო მეორე ნახევარი დასკვნის მეორე სახის ფორმულაა.

თუ წანამძღვრებში ნაგულისხმევია აზრი საგანთა კლასის საგანთა კლასში შეტანის (გამორიცხვის), დასკვნის ფორმულა ასეთი იქნება: ის, რაც ახასიათებს საგანთა კლასს დისტრიბუტულად, ახასიათებს ამ კლა-

სის თითოეულ წევრს, ის რაც უარყოფილია საგანთა კლასის მიმართ იმავე აზრით, უარყოფილია ამ კლასის თითოეული წევრის მიმართ. ამ ფორმულის ორი ნაწილი შეესაბამება კატეგორიული სილოგიზმის პირველი ფიგურის ორ სახეს.

II ფიგურა

პირველი სახე

PeM

Sa,iM

Se,oP

მეორე სახე

PaM

Se,oM

Se,oP

დასკვნის ფორმულა: საგანთა კლასები გამორიცხვენ ერთმანეთს, თუ ნიშანი, რომელიც ახასიათებს საგანთა ერთ კლასს, არ ახასიათებს საგანთა მეორე კლასს.

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, თუ აღიარებულია მესამე ფიგურის დასკვნები ნამდვილ დასკვნებად, შესაძლებელია ამ ფიგურისათვისაც დასკვნის ფორმულა ჩამოყალიბდეს. ეს ფორმულა დაახლოებით ასეთი ზასიათის უნდა იყოს: ის, რაც ახასიათებს საგანთა კლასის ერთ ან რამდენიმე საგანს, ის ახასიათებს ამ საგანთა კლასის ნაწილს (და შესაბამაღ უარყოფით ფორმულირებაში).

2. პირობითი დასკვნა.

თუ A არის B, მაშინ C არის D

თუ C არის D, მაშინ E არის F

თუ A არის B, მაშინ E არის F

დასკვნის ფორმულა: საფუძვლის შედეგის შედეგი არის საფუძვლის შედეგი.

3. პირობითი კატეგორიული დასკვნა.

m. ponens (ponendo ponens)

თუ A არის B, მაშინ C არის D

A არის B

C არის D

დასკვნის ფორმულა: თუ საფუძველი არის, შედეგიც არის.

m. tollens (tollendo tollens)

თუ A არის B, მაშინ C არის D

C არ არის D

A არ არის B

დასკვნის ფორმულა: თუ შედეგი არ არის, არც საფუძველი არის.

4. დასკვნები პირობით-გამოყოფითი მსჯელობებით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ A არის B, მაშინ C არის D. ასეთია ერთი წანამძღვარი, რომელიც დაადგენს საფუძველსა და შედეგს შორის ერთმნიშვნელოვან დამოკიდებულებას. მეორე წანამძღვარი შეიძლება იყოს: 1) A არის B, 2) A არ არის B, 3) C არის D, 4) C არ არის D. თუ საფუძველს აღვნიშნავთ p ასოთი, შედეგს q ასოთი, მაშინ ოთხი შესაძლებელი მოდუსი ასეთ სახეს მიიღებს: 1) $p \rightarrow q$, 2) არა $p \rightarrow$ არა q, 3) $q \rightarrow p$ და 4) არა q არა p.

5. ალტერნატიული დასკვნა.

m. tollendo ponens

A არის ან B, ან C

A არ არის B

A არის C

დასკვნის ფორმულა ეყრდნობა ალტერნატიული მსჯელობის შინაარსს: ორი ნიშნიდან საგანს ერთი ნიშანი მა ა ი ნ ც ახასიათებს. ცხადია, აქედან: თუ საგანს ერთი ნიშანი არ ახასიათებს, მას აუცილებლად მეორე ნიშანი უნდა ახასიათებდეს. m. ponendo tollens მცდარია.

6. გაყოფითი დასკვნა.

m. ponendo tollens

A არის ან B, ან C

A არის B

A არ არის C

m. tollendo ponens

A არის ან B, ან C

A არ არის B

A არის C

დასკვნის ფორმულა განსაზღვრულია გაყოფითი მსჯელობის შინაარსით: გაყოფით მსჯელობაში იგულისხმება ტრადიციული ლოგიკის გაყოფითი მსჯელობა, ე. ი. გაყოფით გამომრიცხავი მსჯელობა: საგანს ორი ნიშნიდან უნდა ახასიათებდეს მხოლოდ ერთი. გასაგებია აქედან დასკვნის სტრუქტურა.

7. დისიუნქტური დასკვნა.

m. ponendo tollens

A არის ან B, ან C

A არის B

A არ არის C

ამ შემთხვევაშიც დასკვნის ფორმულა განსაზღვრულია დისიუნქტური მსჯელობის შინაარსით: საგანს ორი ნიშნიდან ერთი მა ა ი ნ ც არ ახასიათებს, ე. ი. თუ ერთი ახასიათებს, მეორე აღარ ახასიათებს, მაგრამ

თუ ერთი არ ახასიათებს, მეორეზე ვერაფერს ვიტყვით: m. tollendo ponens აქ მცდარია.

8. დასკვნები საგანთა მიმართების შესახებ.

ამ დასკვნებს გულისხმობენ უმთავრესად, როდესაც ე. წ. „არასილოგისტურ“ დასკვნებზე მსჯელობენ. ეს სახელწოდება არ არის კორექტული, რადგან არასილოგისტურია ყველა დასკვნა კატეგორიული სილოგიზმის გარდა.

- | | |
|--|--|
| <p>1. $A=B$
$B=C$
<hr style="width: 100%;"/>$A=C$</p> | <p>2. $A >$ (ნაკლებია, მაღალია, აღმოსავლეთითაა, აღრეა და სხვ.) B-ზე
$B >$ „ „ „ „ C-ზე
„ „ „ „
<hr style="width: 100%;"/>$A >$ („ „ „ „) C-ზე</p> |
|--|--|

თუ მსჯელობებში — წინამძღვრებში გამოთქმულია აზრი დროულ, ვრცელ, ტოლობის და სხვათა მიმართებაზე და დებოთ ფორმაში — „არის მეტი“, „არის ნაკლები“, „არის აღრე, გვიან“, „არის აღმოსავლეთით“ და სხვ. — დასკვნის ფორმულა გამოიხატება შესაბამ აქსიომებში; ზოგადად: ორი საგანი გარკვეულ მიმართებაში იგივეობრივი მესამესთან, ერთი მეორის იგივეობრივია იმავე მიმართებაში.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მიმართებანი დადებით ფორმაშია გამოხატული. თუ უარყოფით ფორმაში გვაქვს ეს მიმართებანი გამოხატული, მაგალითად:

- | |
|---|
| <p>1. A არ არის B-ზე მეტი
B არ არის C-ზე მეტი
<hr style="width: 100%;"/>A არ არის C-ზე მეტი</p> |
| <p>2. A არ არის B-ს ტოლი
B არ არის C-ს ტოლი
<hr style="width: 100%;"/></p> |
| <p>?</p> |

მაშინ, როგორც უკვე აღნიშნული იყო (იხ. „დასკვნები უარყოფითი წინამძღვრებით“), დასკვნა მართებულია, თუ უარყოფილია გ ა ნ ს ზ ვ ა ვ ე ბ ა საგანთა შორის, ხოლო, თუ უარყოფილია იგივეობა საგანთა შორის რაიმე მიმართებით, დასკვნა არ იქნება კანონიერი. როგორც ვხედავთ, დასკვნის ფორმულა აქაც იგივე რჩება.

9. დასკვნები გამოყოფითი წინამძღვრებით.

მხოლოდ ადამიანი აწარმოებს შრომის პროცესს
მაიმუნი არ არის ადამიანი

მაიმუნი არ აწარმოებს შრომის პროცესს

დასკვნის ფორმულა: ის, რაც ახასიათებს მხოლოდ სავანთა ვარკვე-
ულ კლასს. არ ახასიათებს სავანთა სხვა კლასს.

დასკვნის სახეები მრავალია: დასკვნის ყველა ფორმა სინამდვილას
სავანთა და მოვლენათა კავშირებისა და მიმართებების თავისებულ ანაბ-
ვას წარმოადგენს. რასაკვირველია, ამიტომ დანასკვის გამოკვინაწილობას
აუცილებლობა წანამძღვრებიდან ამ თბიექტურა კავშირებით და მიმარ-
თებებით არის განსაზღვრული.

5. მიმართებათა ფორმალური თვისებები, როგორც დედუქციური დასკვნების საფუძველი

ლოგიკოსები, რომლებიც აშენებენ დასკვნის თეორიას მიმართება-
თა ფორმალურ თვისებებზე, არ მალავენ, რომ ისინი ძირითად იდეებს
სესხულობენ მათემატიკიდან. „იმ ზოგადი იდეების ანალიზი, რომლებ-
საც მათემატიკა გამოიყენებს, გვიჩვენებს იმას, რომ ყველაზე ფართო
(მომცველი — (pervasive) ამ იდეათა შორის არის მიმართების იდეა. მი-
მართების ბუნების ნათელი გაგება აუცილებელია პროპოზიციული
სტრუქტურის გასაგებად“¹.

მიმართების ცნების განსაზღვრება ძნელია, მაგრამ მისი მაგალითე-
ბით ილუსტრირება ადვილია. მიმართების მაგალითებად გამოდგება:
„მეტი ვიდრე“, „უფრო ცივი ვიდრე“, „იმდენი წლისაა, რამდენიც“ და
სხვ. ტერმინი, რომელიც შედის მიმართებაში, რეფერენტია, ხოლო ტერ-
მინი, რომლისაკენაც მიმართულია მიმართება, რელატია. „ნაპოლეონი
იყო ყოზეფინას ქმარი“ — ამ მსჯელობაში მიმართება არის „ქმარად ყოფ-
ნა“, რომელიც აკავშირებს ორ ტერმინს, ნაპოლეონს და ყოზეფინას. ნა-
პოლეონი რეფერენტია, ყოზეფინა რელატია. მიმართება, რომელიც ორ
ტერმინს აკავშირებს დუადიკურია. მიმართებას შეუძლია დააკავშიროს
სამი ტერმინი, მაგალითად, „ბორჯიამ მისცა საწამლავი თავის სტუმარს“.
მიმართება „მიცემა“ აკავშირებს ყოველთვის სამ ტერმინს; ამ შემთხ-
ვევაში ეს სამი ტერმინი ასეთია: ბორჯია, საწამლავი, სტუმარი. არის
მიმართება, რომელიც აკავშირებს სამსა და მეტ ტერმინს.

თუ განვიხილავთ დუადიკურ მიმართებას, მაგალითად, 1) „სოკრატე
ფილოსოფოსია“, 2) „ბერძნები ევროპელები არიან“, და სხვ. ადვილად
შევამჩნევთ, რომ ამ მაგალითებში დადგენილია გარკვეული მიმართე-
ბანი: პირველში დადგენილია „კლასის წევრობის“ მიმართება (კლასის
წევრად ყოფნა), ხოლო მეორეში — „კლასის კლასში შეტანის“ მიმარ-
თება. ამრიგად, მიმართების ცნება აქ კავშირის (copula) როლს ასრუ-

¹ Cohen and Nagel, An introduction to logic and scientific method, p. 113.

ლებს. ტრადიციული ლოგიკის კოპულა არის დუადიკური მიმართების სპეციალური ტიპი.

ჩვეულებრივი დასკვნები დამოკიდებულია დუადიკური მიმართების თვისებებზე. ამიტომ პირველ რიგში განიხილება ამ მიმართებათა ფორმალური თვისებები.

1. სიმეტრია. განვიხილოთ ტოლობის მიმართება: $A=B$. თუ ამ მიმართებაში მიმართების წევრებს შევუცვლით ადგილს — რეფერენტს შევუცვლით რელატივს და პირიქით — მიმართების ჩასიათი არ შეიცვლება: ასეთ მიმართებას სიმეტრიული ეწოდება; ასეთივეა მიმართებანი: „მსგავსი“, „გვერდით ჯდომა“ და სხვ.

მიმართება, რომლის ჩასიათი იცვლება მიმართების წევრების ადგილის შეცვლით, ასიმეტრიულია. ასეთია, მაგალითად, მიმართებანი: „მეტი“, „ნაკლები“, „მარცხნივ ჯდომა“, „მამად ყოფნა“, $A > B$ და $B < A$; A ზის B -ს მარცხნივ; B ზის A -ს მარჯვნივ; A მამაა B -სი; B შვილია A -სი; და სხვ.

არსებობს, ბოლოს, არასიმეტრიული (nonsymmetrical) მიმართება. ამ შემთხვევაში მიმართების წევრების ადგილის შეცვლით გაურკვეველი რჩება, გამოიცვლება თუ არა მიმართების ჩასიათი.

მაგალითად, სიყვარულის მიმართება: A -ს უყვარს B , მაგრამ B -ს უყვარს თუ არა A , გაურკვეველია.

2. ტრანზიტეობა. მიმართება ტრანზიტულია, თუ მიმართება A -სი B -სთან და B -სი C -სთან გადადის A და C -ზე. მიმართებანი „ტოლობის“, „მეტის“, „ნაკლების“, „მარცხნივ მჯდომის“ და სხვ. ტრანზიტულია, რადგან: თუ $A=B$ და $B=C$, მაშინ $A=C$; თუ A არის B -ს მარცხნივ და B არის C -ს მარცხნივ, მაშინ A -ც იქნება C -ს მარცხნივ (სწორ ჩაზზე).

მიმართება ინტრანზიტულია, თუ მიმართება A -სი B -სთან და B -სი C -სთან არ გადაიტანება A და C -ზე. მაგალითად, A ზის B -ს გვერდით და B ზის C -ს გვერდით, ცხადია, რომ A არ ზის C -ს გვერდით (იგულისხმება, რომ სხედან სწორ ჩაზზე); A არის B -ს მამა, B არის C -ს მამა, A არ არის C -ს მამა.

დაბოლოს, მიმართება არის არა ტრანზიტული (nontransitive), როდესაც A -სი B -სთან მიმართებისა და B -სი C -სთან მიმართების საფუძველზე გაურკვეველი რჩება, გადადის ეს მიმართება A -დან C -ზე თუ არა.

სიმეტრიულისა და ტრანზიტეობის მიმართებათა თვისებების ტანსხვავება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია; ამიტომ შესაძლებელია ამ მიმართებათა საფუძველზე მივიღოთ მიმართების ცხრა ტიპი: ტრანზიტულ-სიმეტრიული, ტრანზიტულ-ასიმეტრიული, ტრანზიტულ-არასიმეტრიული, ინტრანზიტულ-სიმეტრიული, ინტრანზიტულ-ასიმეტრიული, ინტრანზიტულ-არასიმეტრიული, არატრანზიტულ-სიმეტრიული, არატრანზიტულ-ასიმეტრიული, არატრანზიტულ-არასიმეტრიული.

3. კოლერაცია. მიმართების წვერები შეიძლება დაკავშირებული იყოს კორელაციის სამი ტიპით.

a) მათ შორის შეიძლება არსებობდეს მრავალმნიშვნელოვანი (მრავალსახა) დამოკიდებულება: მაგალითად, დამოკიდებულება სტუდენტსა, და პროფესორს შორის: სტუდენტ A-ს აქვს დამოკიდებულება არა მხოლოდ ერთ პროფესორთან, მას სხვა პროფესორებიც ჰყავს; პროფესორ B-ს აქვს დამოკიდებულება არა მხოლოდ ერთ სტუდენტთან — A-სთან, არამედ სხვა მრავალ სტუდენტთანაც.

b) მიმართების წვერებს შორის შეიძლება არსებობდეს მიმართება ერთის მრავალთან და მრავლის ერთთან; მაშის მიმართება შეილებთან (თუ რამდენიმე შეილი ჰყავს) და შეილების მამასთან.

c) დაბოლოს, შეიძლება არსებობდეს ერთი-ერთმნიშვნელოვანი (ცალსახა) დამოკიდებულება; მაგალითად, „10 ერთით მეტია 9-ზე“: არსებობს მხოლოდ ერთი რიცხვი (9), რომლის მიმართ „ათს“ აქვს ასეთი დამოკიდებულება, და არსებობს მხოლოდ ერთი რიცხვი (10), რომლის მიმართ „ცხრას“ აქვს ასეთი დამოკიდებულება.

ამ მიმართებათა ფორმალურ თვისებებზე აშენებს ფორმალისტური ლოგიკა მოძღვრებას დასკვნების შესახებ. განვიხილოთ დასკვნის ზოგიერთი სახე ამ თვალსაზრისით. ვნახოთ, როგორ აიხსნება დასკვნების თანისებურება ამ გზით.

ჯერ განვიხილოთ ე. წ. უშუალო დასკვნები.

კატეგორიული მსჯელობის უკუქცევა დამოკიდებულია საგანთა კლასის საგანთა კლასში შეტანის (გამორიცხვის) სიმეტრიულობაზე. მაგალითად, მსჯელობის „ყველა ადამიანი მოკვდავია“ მარტივი უკუქცევა შეუძლებელია, რადგან ერთი კლასის მეორე კლასში შეტანა არ არის სიმეტრიული მიმართება. რაც შეეხება კერძობით მსჯელობას „ზოგიერთი ადამიანი შავკანიანია“, მისი მარტივი უკუქცევა შესაძლებელია, რადგან კლასის ნაწილობრივი შეტანა მეორე კლასში სიმეტრიული მიმართებაა; ასევე მარტივად უკუქცევა ზოგად-უარყოფითი მსჯელობა, რადგან კლასის კლასიდან მთლიანი გამორიცხვა სიმეტრიულ მიმართებას წარმოადგენს.

კატეგორიული სილოგიზმის სისწორე დამოკიდებულია კლასის კლასში შეტანის მიმართების ტრანზიტულობაზე: განვიხილოთ სილოგიზმი

ლითონი ელექტრობის გამტარია

რკინა ლითონია

რკინა ელექტრობის გამტარია

ეს სილოგიზმი ასე უნდა გავიგოთ: „რკინის“ კლასი შეტანილია „ლითონთა“ კლასში, ხოლო „ლითონთა“ კლასი — „ელექტრობის გამტარ-

თა“ კლასში. ეს მიმართება ტრანზიტულია. სხვა ფიგურებისა და მოდულების სისწორე კავშირის ამ თვისებაზეა დამოკიდებული.

ყველა დასკვნა მიმართებათა შესახებ, დასკვნები a fortiori მიმართებათა ტრანზიტულობაზეა დამოკიდებული. მაგალითად, დასკვნის

პეტრე პავლეზე უფროსია
პავლე ივანეზე უფროსია

პეტრე ივანეზე უფროსია

სისწორე დამოკიდებულია „უფროსად ყოფნის“ მიმართების ტრანზიტულობაზე. მიმართების ამავე ხასიათით აიხსნება სორიტები.

ასევე აიხსნება წმინდა პირობითი დასკვნაც:

თუ წვიმა მოდის, მე თან წავიღებ ქოლგას
თუ მე ქოლგა წავიღე, დარწმუნებული ვარ დავკარგავ მას

თუ წვიმა მოდის, მე დარწმუნებული ვარ, რომ დავკარგავ ქოლგას

აქ თითოეულ მსჯელობაში დადგენილია იმპლიკაცია: დასკვნის სისწორე განსაზღვრულია იმით, რომ იმპლიკაციის მიმართება ტრანზიტულია.

როგორი იქნება დედუქციურ დასკვნათა კლასიფიკაცია ამ თეორიის მიხედვით? ამ კითხვაზე ორი განსხვავებული პასუხის მიღება შეიძლება: ერთი იმ ლოგიკოსების პასუხი იქნება, რომლებიც ცდილობენ ყველა სახის დედუქციური დასკვნა აღნიშნული პრინციპით, ე. ი. მიმართებათა ფორმალური თვისებებით ახსნას; მეორე პასუხი იქნება იმ ლოგიკოსების, რომლებიც ამ პრინციპით ცდილობენ მხოლოდ მიმართებათა დასკვნების ახსნას, ხოლო დანარჩენი სახეების ახსნაში ძველ თვალსაზრისს იცავენ.

განვიხილოთ ჯერ პირველი სახის კლასიფიკაცია. დედუქციური დასკვნის სამი ძირითადი სახე არსებობს: 1) იმპლიკაციური სილოგიზმი, 2) სუბსუმეციური სილოგიზმი, 3) რელაციონალური სილოგიზმი¹.

1. იმპლიკაციური სილოგიზმი.

აღვნიშნოთ p, q და r-ით მსჯელობები; მაშინ იმპლიკაციური სილოგიზმის სახე ასეთი იქნება.

იუ p-დან გამომდინარეობს q
და q-დან გამომდინარეობს r,
მაშინ p-დან გამომდინარეობს r

¹ ტერმინი „სილოგიზმი“ იხმარება აქ, როგორც ჩანს, დედუქციური დასკვნის სინონიმად.

ტრადიციული ლოგიკა იცნობს მას როგორც „წმინდა პირობით სილოგიზმს“.

2. სუბსუმციური სილოგიზმი:

აღვნიშნოთ α , β და γ -თი კლასები; X -ით აღვნიშნოთ ცალკეული საგანი (an individual).

აქ ჩვენ გვაქვს ტრადიციული კატეგორიული სილოგიზმის ორი სახე, რომელთაგან მხოლოდ ერთია სუბსუმციური.

a. თუ α შეტანილია β -ში

b. თუ α შეტანილია β -ში

და β შეტანილია γ -ში,

და X არის α ,

მაშინ α შეტანილია γ -ში.

მაშინ X არის β .

3. რელაციონალური სილოგიზმი (დასკვნა a fortiori, მისი სპეციალური შემთხვევაა), ორ ფორმაში გამოიხატება:

a. თუ $A = B$

b. თუ A არის B -ზე მაღალი

და $B = C$

და B არის C -ზე მაღალი.

მაშინ $A = C$

მაშინ A არის C -ზე მაღალი.

განვიხილოთ რა ლოგიკური თვისებები ახასიათებს იმ მიმართებებს, რომლებიც აკავშირებენ მსჯელობებს დასკვნებში:

1. იმპლიკაცია: არასიმეტრიული და ტრანზიტულია

2. ტოლობა: სიმეტრიული და ტრანზიტულია

3. შეტანისა და „უფრო მაღალის“ მიმართება: ასიმეტრიული და ტრანზიტულია.

დასკვნის ყველა ფორმაში — 2b-ს გამოკლებით — დაკავშირებული მიმართება ტრანზიტულია. ყველა შემთხვევაში — 2b-ს გამოკლებით — დადგინდება მიმართება პირველსა და მესამე ტერმინს შორის: მეორე ტერმინი ყველა შემთხვევაში დგას მოცემულ მიმართებაში ერთ-ერთ ტერმინთან და კონვერსულ მიმართებაში მეორე ტერმინთან. რადგან ეს მიმართება ტრანზიტულია, ამიტომ გამაშუალებელი ტერმინი ელიმინაციას განიცდის.

განვიხილოთ დასკვნა 2b. მსჯელობა „ X არის α “ არ წარმოადგენს სუბსუმციას (ან ინკლუზიას). ის გამოხატავს აზრს: „ X არის α კლასის წევრი“; ამიტომ ეს დასკვნა ასეთი სახის უნდა იყოს: „თუ ყოველი წევრი α კლასის არის წევრი β კლასის და X არის წევრი α კლასის, მაშინ X არის წევრი β კლასის“. დასკვნის პრინციპი აქ თავისებურია, სახელდობრ ასეთია: ის, რაც დადასტურებულია კლასის ყოველი წევრის შესახებ, ის შეიძლება დადასტურდეს კლასის რომელიმე სპეციფიკური წევრის შესახებ.

მკითხველი ადვილად შეამჩნევს აქ dictum de omni-ს თავისებურ ფორმულირებას.

ამრიგად, დაასკვნიან ამ თეორიის მიმდევრები, სუბსუმციური სილოგიზმი არის ერთ-ერთი სახე, რომლითაც ხდება გამაშუალებელი წევრების ელიმინაცია. ძველი ლოგიკა ცდილობს დაიყვანოს დედუქციური დასკვნის ყველა ფორმა dictum-ის პრინციპზე და ამით უაზროდ (absurd) შემოფარგლოს დედუქცია ერთი ფორმით¹.

რა შეიძლება ითქვას ამ თეორიის შესახებ? ძველი ლოგიკა რომ მართლაც ძალიან ვიწრო და შემოფარგლული იყო, ეს უდავოა. ისიც უდავოა, რომ ეს ახალი თეორია გაითვალისწინებს დასკვნათა მრავალ ფორმას. მაგრამ რამდენად მართებულია თვითონ ეს თეორია?

სიმარტივე და იშვიათი ფარკვეულობა ამ თეორიისა, რომელსაც პრეტენზია აქვს ერთი დარტყმით ახსნას დედუქციურ დასკვნათა თავისებურება, გარკვეულ ეჭვს იწვევს, საქმე ის არის, რომ ამ თეორიის მიხედვით თითქოს ზედმეტი ხდება აქსიომები, დასკვნის წესები. საკმარისია ვიცოდეთ მიმართებათა სამი თვისება: ტრანზიტულობა, ინტრანზიტულობა და არატრანზიტულობა. პირველ შემთხვევაში დანასკვში დასტურდება ის მიმართება, რომელიც წანამძღვრებშია, მეორე შემთხვევაში დანასკვში საწინააღმდეგო მიმართება დასტურდება, ხოლო მესამე შემთხვევაში დანასკვი შეუძლებელია.

ზოგიერთი ლოგიკოსი ამ თეორიას ნაწილობრივ იზიარებს. ე. წ. სილოგისტური დასკვნებისათვის, რომლებშიც ძულისხმობენ კატეგორიულს, პირობითსა და გაყოფით დასკვნებს, ტოვებენ ძველ თეორიას მისი აქსიომებით, პრინციპებით, წესებით, ხოლო მიმართებათა შესახებ დასკვნებისათვის გამოიყენებენ ზემოთ გათვალისწინებულ თეორიას.

მაგრამ ნათელია ამ კომპრომისული თვალსაზრისის არათანმიმდევრობა: საქმე ის არის, რომ თუ ამ ახალ თეორიას შეუძლია ახსნას დასკვნის რაიმე სახე, მას აგრეთვე შეუძლია ახსნას კატეგორიულიც და პირობითი დასკვნებიც. მართლაც თუ დასკვნა

$$\begin{array}{l} A=B \\ B=C \\ \hline A=C \end{array}$$

აიხსნება ტოლობის მიმართების ტრანზიტულობით, რა გვიშლის ხელს ავხსნათ ამავე პრინციპით დასკვნა

¹ Stebbing, A modern introduction to logik, p. 172-74

რკინა ელექტრობის გამტარია

საგანთა კლასის საგანთა კლასში შეტანის მიმართება ტრანზიტულია და ამიტომ ეს დასკვნაც აიხსნება ისევე, როგორც პირველი. ამიტომ ჩვენ ამ კომპრომისულ თვალსაზრისს აღარ განვიხილავთ. განვიხილოთ სპეციალურად დასკვნის ე. წ. ახალი თეორია.

1. ეს თეორია ვერ ატარებს თავის პრინციპს ბოლომდე. ტრანზიტულობის პრინციპი არ გამოდგება ჯერ-ერთი დასკვნისათვის, რომელიც კლასიფიკაციაში აღნიშნულია 2b-თი. აქ თურმე სხვა პრინციპი მოქმედებს, პრინციპი, რომელსაც „აპლიკაციურ პრინციპს“¹ უწოდებენ, და რომელიც სხვა არა არის რა, გარდა dictum-ის თავისებური ფორმულირებისა². ეს არის დასკვნის ერთ-ერთი ფორმულა ანუ აქსიომა, რომლის გამოყენება აუცილებელი აღმოჩნდა ამ ახალი თეორიისათვის; და თუ დასკვნის ერთი სახისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ასეთი პრინციპი, რატომ არ შეიძლება, რატომ არ უნდა შეიძლებოდეს შესაბამისი პრინციპები გამოვიყენოთ სხვა სახის დასკვნებისათვის.

ტრანზიტულობის პრინციპი არ გამოდგება პირობით-კატეგორიულისათვის და გაყოფით-კატეგორიულისათვის (უკანასკნელის ყველა სახისათვის); ამიტომ ამ სახის დასკვნებს ეს თეორია ი რ ე გ უ ლ ა რ უ ლ დასკვნებს უწოდებს³. თეორია, რომელიც დედუქციურ დასკვნების რიგსახეებს ვერ ახსნის და მათ „კანონის“ გარეშე დატოვებს, და გარკვეულად აღიარებს, რომ დედუქციური დასკვნებისათვის წამოყენებული პრინციპი ამ დასკვნების გარკვეულ სახეებს ვერ ახსნის, არ შეიძლება ჰეგემარიტ თეორიად ვაღიაროთ.

2. მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის. რას ნიშნავს ტრანზიტული (გარდამავალი) მიმართება? მიმართება ტრანზიტულია, თუ მიმართება A-სი B-სთან და B-სი C-სთან ისეთივეა, როგორც მიმართება A-სი C-სთან. როდის შეიძლება ეს მიმართება გახდეს დასკვნის საფუძვლად? როდესაც ჩვენ ვ ი ც ი თ, რომ ეს მიმართება ტრანზიტულია, ე. ი. როდესაც ჩვენ ვ ი ც ი თ, რომ მიმართება A-სი B-სთან და B-სი C-სთან ისეთია, როგორც A-სი C-სთან, ე. ი. რ ო დ ე ს ა ც ჩ ვ ე ნ უ კ ვ ე გ ა მ ო ვ ი ყ ვ ა ნ ე თ დ ა ნ ა ს კ ვ ი დ ა დ ა რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი ვ ა რ თ, რ ო მ დ ა ნ ა ს კ ვ ი ს წ ო რ ი ა. თუ დანასკვი არ არის გამოყვანილი და თუ ჩვენ არა ვართ დარწმუნებული დასკვნის სისწორეში, ჩვენ არ გვეცოდინება, ტრანზიტულია თუ არა მიმართება.

¹ Stebbing, დასახელებული, შრომა, გვ. 174.

² Cohen and Nagel, p. 116.

³ Stebbing, p. 105.

ჩვენ ვაკეთებთ დასკვნას, ჩვენ ვერწმუნდებით დასკვნის სისწორეში, ვხელმძღვანელობთ რა რალაც პრინციპით, და აბის შემდეგ ვერწმუნდებით იმაში, რომ მოცემული მიმართება ტრანზიტულია. მათემატიკური ლოგიკა უსათუოდ დადებით საქმეს აკეთებს, როდესაც ის მიმართებათა ფორმალურ თვისებებს სწავლობს, მაგრამ ის ვერ შეცვლის ლოგიკას, ის არ გვაძლევს და ვერ მოგვცემს დასკვნის თეორიას.

როგორ გავიგოთ, რა ხასიათის არის მიმართებანი: „მარცხნით ჯდომა“, „გვერდით ყოფნა“, „ტოლობა“, „უტოლობა“, „სიყვარულის“ მიმართება? ამ მიმართებებს თავის თავად არა აქვს ინიშანი, რომლის მიხედვით უშუალოდ შეიძლება დასკვნა, რა ხასიათის არიან ისინი. განა ჩანს უშუალოდ, რომ „მარცხნივ ყოფნა“ და „ტოლობა“ ტრანზიტულია, „გვერდით ყოფნა“ ინტრანზიტულია, ხოლო „უტოლობა“ არატრანზიტულია?

აღქმაში ჩვენ ხშირად შეგვიძლია უშუალოდ დავადგინოთ, რომ A ზის C-ს მარცხნით და A არ ზის C-ს გვერდით, გამაშუალებელ B-სთან კავშირის გარეშე. მაგრამ ეს უშუალო დადგენა — დასკვნის გარეშე — არ მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ მიმართების ხასიათი.

მაშ, მდგომარეობა ასეთია: წანამძღვრებში არ ჩანს და არც შეიძლება ჩანდეს მიმართების ხასიათი; წანამძღვრებში უნდა გამოვიყვანოთ დანასკვი, ეს ერთი; მეორე: ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დასკვნა სწორია და მხოლოდ ამის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ მიმართების ხასიათი.

რა ნაკლიც უნდა ჰქონდეს ტრადიციულ მოძღვრებას დასკვნის შესახებ — მისი იდეალისტური და ფორმალისტური ხასიათი, მისი განსაზღვრულობა და სხვ. — ერთი დიდი უპირატესობა აქვს მას ახალ მოძღვრებასთან შედარებით: კატეგორიული სილოგიზმი ისე არის აშენებული, რომ წანამძღვრების ხასიათი გვიჩვენებს დასკვნის შესაძლებლობას თუ შეუძლებლობას. დასკვნის თეორია, რომელიც ტრანზიტულობის პრინციპს ეყრდნობა, არ აგვიხსნის დასკვნის შესაძლებლობას: ის სწორი დასკვნის ფაქტიდან დასკვნის მიმართების ხასიათზე, რომელიც წანამძღვრებშია მოცემული და შემდეგ ამ მიმართების ხასიათით ამართლებს დასკვნის სისწორეს.

რა გვარწმუნებს ჩვენ იმაში, რომ დანასკვი $A = C$ დასკვნაში

$$\begin{array}{r} A=B \\ B=C \\ \hline A=C \end{array}$$

მართებულია? ის გარემოება განა, რომ ტოლობის მიმართება ტრანზიტულია? ის გარემოება, რომ ეს მიმართება ტრანზიტულია, ჩვენთვის ნათელი გახდა იმის შემდეგ, რაც ჩვენ დასკვნა გავაკეთეთ და დარწმუნებული ვართ, რომ დასკვნა მართებულია. ე. ი. ჩვენ, ვაკეთებთ რა დასკვნას, ვხელმძღვანელობთ არა მიმართების ტრანზიტულობის ხასიათით — ეს ჩვენ ჯერსრულიად არ ვიცით, — არამედ გარკვეული პრინციპით — დასკვნის პრინციპით (აქსიომით), რომელიც პრაქტიკის პროცესით არის გამართლებული.

დასკვნის თეორია, რომელიც ტრანზიტულობის პრინციპს ეყრდნობა, უკეთეს შემთხვევაში წრეში ტრიალებს: ჩვენი დარწმუნებულობა იმაში, რომ დასკვნა სწორია, ეყრდნობა მიმართების ხასიათის ცოდნას, ხოლო მიმართების ხასიათის ცოდნა ეყრდნობა დარწმუნებულობას დასკვნის სისწორეში. უკეთეს შემთხვევაში ვამბობთ ჩვენ, რადგან ნამდვილად ეს თეორია ტავტოლოგიას წარმოადგენს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას მატერიალისტურ ინტერპრეტაციას მივცემთ. რას ამბობს ეს თეორია? დანასაკვი წანამძღვრებიდან გამომდინარეობს იმიტომ, რომ ამას მოითხოვს სინამდვილის საგანთა და მოვლენათა მიმართების ხასიათი. ეს დებულება საცვებით სამართლიანია, ჭეშმარიტია, მაგრამ ეს ხომ ვერ შეცვლის დასკვნის თეორიას. ამ თეორიის მთელი არსება ნათელი ზდება, თუ უცხო სიტყვებს ქართულზე ვთარგმნით. ტრანზიტული ნიშნავს გარდამავალს, იმას, რაც გადაიტანება. დასკვნა ამ თეორიის მიხედვით არის გადატანა მიმართებისა, რომელიც არსებობს A-სა და B-სა და B-სა და C-ს შორის A-ზე და C-ზე. ამასთანავე: გადატანის შესაძლებლობა (შეუძლებლობა) ახსნილია ასე: A-სა და B-ს და B-სა და C-ს შორის არსებული მიმართების გადატანა A-ზე და C-ზე შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მიმართება ტრანზიტულია, ე. ი. თუ მიმართება გარდამავალია, ე. ი. თუ ის გადაიტანება, და არ შეიძლება გადატანა, თუ ის არ გადაიტანება.

6. კარინსკის დასკვნათა კლასიფიკაცია

წარსული საუკუნის 80-იან წლებში კარინსკიმ სცადა დასკვნათა ახალი კლასიფიკაცია დაედგინა. მისი შრომა „დასკვნათა კლასიფიკაცია“ ბევრს საინტერესოს და მართებულს შეიცავს. ძველი ლოგიკის ნაკლი, კერძოდ, დასკვნის შესახებ ძველი მოძღვრების ნაკლი კარინსკის მიერ შესანიშნავად არის დახასიათებული. ამავე დროს კარინსკი დასკვნის ახალ კლასიფიკაციას აღგენს.

დასკვნა, კარინსკის აზრით, არის გადატანა ერთი მსჯელობის ერთ-ერთი ელემენტის მეორე მსჯელობის შესაბამისი ელემენტის ადგილზე. დასკვნა წყვეტს საკითხს იმის შესახებ, იკვამის ამგვარი გადატანის უფლება თუ არა. ასე, მაგალითად, დასკვნა: $A=B$, $B=C$, იმიტომ $A=C$ წა-

რმოდგენს პრედიკატის „C-ს ტოლია“ გადატანას B სუბიექტიდან A სუბიექტზე. ამ გადატანის უფლებას გვაძლევს პირველი წანამძღვარი, რომელშიც დადგენილია A-ს და B-ს იგივეობა. ამ შემთხვევაში გადატანის შესაძლებლობა განსაზღვრულია ლოგიკური იგივეობით, მაგრამ დასკვნის გაკეთება შესაძლებელია წინააღმდეგობის საფუძველზეც. თუ მსჯელობის პრედიკატები ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, მაშინ მათი სუბიექტებიც უნდა ერთმანეთისაღმე საწინააღმდეგო იყოს.

ამრიგად, არსებობს დასკვნების ორი ძირითადი კლასი: 1) დასკვნები სუბიექტების შედარების საფუძველზე და 2) დასკვნები პრედიკატების შედარების საფუძველზე. პირველი კლასის დასკვნებში ჩვენ ვაძარებთ წანამძღვრების სუბიექტებს; პირველ წანამძღვარში დადგენილია A და B-ს იგივეობა; მეორე წანამძღვარში დადგენილია, რომ B-ს ახასიათებს რაღაც გარკვეულობა (C); რადგან წანამძღვრების სუბიექტები იგივეობრივია, ამიტომ შესაძლებელია B-ს პრედიკატი — გარკვეულობა (C) — გადავიტანოთ B-დან A-ზე; A არის C. მეორე კლასის დასკვნებში ჩვენ ვაძარებთ პრედიკატებს; პრედიკატები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან (A არის B, C არ არის B); ამიტომ სუბიექტებიც ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს: A არ არის C (კატ. სილოგიზმის მეორე ფიგურა). კარინსკი ამ ორი კლასის შიგნით — უმთავრესად პირველი კლასის — დასკვნის მრავალ სახეს დაადგენს.

მიუხედავად დიდი ჰკუთმახვილობისა, რომელიც კარინსკიმ გამოიჩინა, ამ კლასიფიკაციაში, მიუხედავად მრავალი საინტერესო მოსაზრებისა, რომლებიც ბევრ სახელმძღვანელოში და გამოკვლევაში შევიდა, კარინსკის მიერ ჩამოყალიბებული კლასიფიკაცია დღეს ვეღარ დააკმაყოფილებს ლოგიკას.

1. გაუგებარია, რის გამო უნდა მივცეთ განსხვავებული ინტერპრეტაცია დასკვნის წანამძღვრებს — მსჯელობებს. პირველი მსჯელობა თურმე, ადგენს იგივეობას სუბიექტსა და პრედიკატს შორის ($A=B$), ხოლო მეორე მსჯელობა — რომელიც გვაძლევს გადატანის უფლებას მსჯელობის ელემენტის მეორე მსჯელობაში — მიაწერს სუბიექტს გარკვეულობას ($B=C$). ეს მსჯელობები არაფრით პრინციპულად არ განსხვავდებიან და ამიტომ მათი განსხვავებული ინტერპრეტაცია ყოველივე საფუძველს მოკლებულია.

2. უხერხულ მდგომარეობაში ვარდება კარინსკის თეორია. როდესაც წანამძღვრებში დადგენილია არა ტოლობა, არამედ უტოლობა; მაგალითად, მარტივი დასკვნა — $A>B$, $B>C$, ამიტომ $A>C$ — კარინსკის თეორიით ვერ აიხსნება. კარინსკი ამგვარი დასკვნების ასახსნელად მიმართავს ჯევონსის მიერ გამოყენებულ ხერხს; $A>B$ შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: თუ A შევამცირებთ რაღაც სიდიდით, მაგალითად X-ით, ის გახდება B-ს ტოლი და ამ ოპერაციის საშუალებით ამ დასკვნას დავიყ-

ვანთ ტოლობის დასკვნაზე: $A-X=B$, $B>C$, ამიტომ $A-X>C$, მაშ A მით უმეტეს მეტია C -ზე. ზელოვნურობა ამ ოპერაციის ნათელია; მარტივი დასკვნა ჭერ — ერთი გართულებულია, დასკვნა ამ გართულების გარეშე უფრო დასაგებიც არის; გარდა ამისა, ნამდვილად აქ ერთი კი არა ორი დასკვნა გვაქვს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ჭევონსის თეორიას აქ სპეციალურად არ განვიხილავთ. მსჯელობის შესახებ თავში აღნიშნული იყო ჭევონსის მსჯელობის თეორიის ნაკლი. გარდა იმ ნაკლისა, რომელიც ჭევონსის დასკვნის თეორიას კარინსკის თეორიასთან ერთად ახასიათებს. ჭევონსის თეორიას თავისი სპეციფიკური ნაკლიც ახასიათებს. ჭევონსი არ ცდილობს დედუქციური დასკვნების მრავალსახეობა გაითვალისწინოს. უამრავი სახე მიმართებათა შესახებ დასკვნებისა ჭევონსის მიერ უყურადღებოდ არის დატოვებული.

•

1. ინდუქციური დასკვნების ზოგადი დახასიათება

წინა თავში გარკვეული იყო, რომ ინდუქციური დასკვნის ტრადიციული განსაზღვრება დღესაც ძალაში რჩება: ინდუქციური დასკვნა არის დასკვნა ცალკეულიდან, კერძოდან ზოგადზე.

ინდუქციური დასკვნის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები შემდეგია: 1) ინდუქციური დასკვნა, როგორც ყოველი ნამდვილი დასკვნა, აფართოებს ჩვენ ცოდნას; ის გვაძლევს დასკვნაში ცოდნას საგანთა მთელ კლასზე იმ დროს, როდესაც წინამძღვრებში მოცემულია ცოდნა ამ კლასის საგანთა ნაწილზე; 2) ინდუქციური დასკვნა ყოველთვის სააღბათოა. ეს გასაგებიც უნდა იყოს: ინდუქციური დასკვნის საშუალებით ჩვენ ვავრცელებთ ცოდნას, რომელიც მოცემულია წინამძღვრებში, ისეთ საგნებზე, რომლებიც არ არის შესწავლილი: ამიტომ არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ აღმოჩნდეს ისეთი საგნები, რომლებსაც შესწავლილი საგნებისაგან განსხვავებული ნიშნები ექნება; ანდა: ვეყრდნობით რა ფაქტების განსაზღვრულ რაოდენობას, არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ გამოგვჩაჩა ისეთი გარემოება, რომელიც ვადაწყვეტ როლს თამაშობს.

მეცნიერების ისტორიაში ზშირად გვხვდება ინდუქციური დასკვნები, რომელთა დანასკვები აბსოლუტურად სარწმუნოდ იყო მიჩნეული. მაგრამ შემდეგი კვლევა დაადგენდა ამ დანასკვის მცდარობას. ინდუქციის გზით იყო „დადგენილი“, რომ ორგანული ნივთიერების, მაგალითად, ხორცის ლუბის დროს ახალი ორგანიზმები წარმოიშობიან. არ იყო გათვალისწინებული ისეთი გარემოება როგორც ჰაერი, რომელშიც არიან უკვე ეს ორგანიზმები და იქიდან გადადიან ზორცის ნაჭერში. ინდუქციითვე იყო „დადგენილი“, რომ ორგანიზმების თვითწარმოშობა საერთოდ შეუძლებელია. აქაც არ იყო გათვალისწინებული დედამიწის თანამედროვე მდგომარეობა.

ინდუქციით იყო დადგენილი ბოილის მიერ, რომ ლითონის გახურების შედეგად მისი წონა მატულობს; და რადგან გათბობის გარდა არავითარ ცვლილებას ადგილი არ ჰქონდა, მან დაასკვნა, რომ ლითონის წონა

ნის მომაცემა აიხსნება გარკვეული ნივთიერების — თბომბადის — დამატების შედეგად.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ყოველთვის მიუთითებდნენ ინდუქციური გზით მიღებული ცოდნის სააღბათო ხასიათზე. ენგელსი წერდა: „... ინდუქციური დასკვნა არსებითად პრობლემატურია“¹. ლენინი ადარებს ინდუქციას მიხვედრას. ლენინი წერს: „ყველაზე მარტივი ჭეშმარიტება, ყველაზე მარტივი, ინდუქციური გზით მიღებული ყოველთვის არასრულია, რადგან ცდა არასოდეს არ არის დასრულებული. Ergo: ინდუქციის კავშირი ანალოგიასთან, მიხედვით ან...“²

ყველაფერი დამოკიდებულია სწორედ იმ გარემოებაზე, რომ „ცდა არასოდეს არ არის დამთავრებული“.

პირველი შეხედვით ინდუქციური დასკვნების ასეთი დახასიათება ეწინააღმდეგება მეცნიერების მიღწევებს. არსებობს უამრავი ზოგადი დებულება, კანონი, ინდუქციის საშუალებით აღმოჩენილი და დადგენილი. საერთოდ: ჩვენ ვერ მივიდოდით ზოგად დებულებამდე, თუ არაკერძო, ცალკეული მოვლენების შესწავლის საფუძველზე. შემეცნების პროცესი ცოცხალი განჭვრეტით იწყება და აქედან მიდის შემეცნება ზოგადის, არსების, კანონის აღმოჩენისაკენ. ინდუქციის ასეთი დახასიათებით გამოდის, რომ ჩვენი ცოდნა საგანთა და მოვლენების არსების, კანონის შესახებ ყოველთვის სააღბათო, პრობლემატური უნდა იყოს.

რასაკვირველია, ჩვენ თუ გარკვეული, ერთეული ფაქტებიდან ინდუქციის გზით დასკვნა გავაკეთებთ და აქ გავჩერდით, ჩვენი ცოდნა სააღბათო იქნება. აქ რამდენიმე მომენტს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ა) დასკვნის სააღბათო ხასიათი თვითონ ინდუქციურ დასკვნაზე, როგორც აზროვნების ლოგიკურ ფორმაზე, არ არის დამოკიდებული. დასკვნის ეს ფორმა ისეთივე კანონიერი და მართებულია, როგორც დედუქციური დასკვნა. მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, ფაქტებში, რომლებიც ასახულია წინამძღვრებში, ხშირად ძნელია გადამწყვეტი გარემოების დადგენა; ამის გამო დანასაკვი შესაძლებელია ისეთ გარემოებას ეყრდნობოდეს, რომელიც სრულიადაც არ არის საკმარისი გვარი დანასკვისათვის.

ბ) ინდუქციური დასკვნის ზემოთ მოცემული დახასიათება სრულიადაც არ უარყოფს ამ სახის დასკვნის შემეცნებით ღირებულებას. ცოდნა შეფარდებითია: ცოდნა, მიღებული ინდუქციის გზით, უნდა გამართლდეს პრაქტიკაში. შემდგომი პრაქტიკა გაამართლებს, შეასწორებს ამ ცოდნას; შეცვლის ან დააზუსტებს ინდუქციით მიღებულ ცოდნას, მაგრამ, როგორც წესი, მთლიანად კი არ უარყოფს მას, არამედ ნაწილი, მარცვლი ჭეშმარიტების შეინახება, როგორც „აბსოლუტური შინაარსი“

¹ ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 233.

² ლენინი, Философские тетради, გვ. 154.

შემეცნების ყოველი ნაბიჯის. ზოგადი დებულება ინდუქციის საშუალებით მიღებული, მრავალჯერ გამოცდილი პრაქტიკაში, შეიცვლება, შესწორდება და სინამდვილის უფრო ადეკვატური ხდება. 3) დედუქციური დასკვნებისაგან განსხვავებით, რომელთა დანასკვში დადგინდება ახალი კავშირი — კავშირი S-სა და P-ს შორის, რომელიც წანამძღვრებში არ არის მოცემული — ინდუქციურ დასკვნებში კავშირი, რომელიც დანასკვში დადგინდება, მოცემულია უკვე წანამძღვრებში. ეს გარემოება ინდუქციური დასკვნის არსებიდან გამომდინარეობს; ინდუქციური დასკვნა ყოველთვის ეყრდნობა—საბოლოო ანგარიშში—ცალკეულ ფაქტებსა და მოვლენებს. ეს ცალკეული არ არის მოწყვეტილი ზოგადს. ზოგადი ამ ცალკეულშია, და ცალკეული ასე თუ ისე ზოგადს გამოავლენს. ეს ზოგადი, მართალია, არ არის უშუალოდ მოცემული აღქმაში, მაგრამ ის აღქმის საგანშია. მიზიდულობის კანონი არ არის უშუალოდ მოცემული ქვის ვარდნის აღქმაში, მაგრამ ის სწორედ ამ ქვის ვარდნაში და ანალოგიურ მოვლენებში არსებობს. როდესაც ჩვენ შევისწავლით მოვლენათა გარკვეულ რაოდენობას და დანასკვში დავადგენთ, რომ მოვლენა A მოვლენა a-ს მიზეზია, ნათელია, რომ A-სა და a-ს შორის მიზეზობრივი კავშირი თვითთულ იმ ფაქტშია, რომელიც თვითთულ წანამძღვარშია ასახული. ინდუქციური დასკვნა მდგომარეობს სხვა გარემოებათა გამოორიცხვაში; რათა დანასკვში იყოს გამოყოფილი ის კავშირი, რომელიც ყოველ წანამძღვარში უკვე არის მოცემული, მაგრამ სხვა გარემოებებთან დაკავშირებული.

რ. ბეკონი დაინტერესდა ცისარტყელას წარმოშობის საკითხით. მან შეამჩნია, რომ ცისარტყელა ჩნდება მზის სხივების გავლის დროს წვიმის წვეთებში, ნამის წვეთებში, წყლის „მტვერში“ წყალვარდნილთან, კრისტალში და სხვა. მან დაასკვნა, რომ ცისარტყელას ფერები ჩნდება მზის სხივის გავლის დროს გარკვეული ფორმის გამჭვირვალე გარემოში. ამ დასკვნის ყოველ წანამძღვარში იყო უკვე მოცემული კავშირი მზის სხივის გავლასა გარკვეულ გარემოში და ცისარტყელას ფერებს შორის, მაგრამ არც ერთ წანამძღვარში ეს კავშირი წმინდა სახით არ არის მოცემული, რადგან არ ჩანს უშუალოდ, რით არის გამოწვეული ეს ფერები, წყლის მტვრით, პრიზმით, თუ რაიმე სხვა გარემოებით. დასკვნა გამოორიცხავს სხვა გარემოებებს და წარმოადგენს წმინდა სახით იმ კავშირს, რომელიც თვითთულ წანამძღვარში უკვე დადგენილია.

ინდუქციური დასკვნის სახეების განხილვა გაამართლებს კონკრეტულ მასალაზე მის აქ მოცემულ ზოგად დახასიათებას.

2. სრული ინდუქცია

სრულ ინდუქციაში დანასკვი გამოიყვანება ისეთი წანამძღვრებიდან, რომელთა ჯამი ამოწურავს საგანთა მთელ კლასს, რომელზედაც გამოიქ-

მულია აზრი დანასკეში. წანამძღვრები შეიძლება ერთეულ მსჯელობებს წარმოადგენდნენ; შესაძლებელია ეს წანამძღვრები წარმოადგენდნენ ისეთ ზოგად მსჯელობებსაც, რომლებიც ერთისა და იმავე გვარის სახე-ები არიან.

მაგალითად:

1. მერკური მოძრაობს მზის გარშემო დასავლეთიდან აღმოსავლეთი-საკენ.

ვენერა	„	„	„	„	„
დედამიწა	„	„	„	„	„
მარსი	„	„	„	„	„

და სხვა: ჩამოთვლილია ყველა პლანეტა

მაშასადამე, ყველა პლანეტა მოძრაობს მზის გარშემო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

2. წრე არის კონუსის კვეთი
ელიფსი არის კონუსის კვეთი
პარაბოლა არის კონუსის კვეთი
ჰიპერბოლა არის კონუსის კვეთი

წრე, ელიფსი, პარაბოლა, ჰიპერბოლა წარმოადგენენ მეორე რიგის მრუდი ხაზების მთელ კლასს.

მაშასადამე, მეორე რიგის ყველა მრუდი ხაზი კონუსის კვეთებს წარ-მოადგენს.

გამოხატავენ ინდუქციის დასკვნის წანამძღვრები აზრს ერთეულ საგ-ნებზე თუ ერთი გვარის სახეებზე—სულ ერთია—აზრის სვლა იგივე-ობრივია: ნიშნები, მიმართებანი, რომლებიც კლასის ყველა თვითეულ საგანს, ან გვარის ყველა სახეს ახასიათებენ, ახასიათებენ საგანთა მთელ კლასს, მთელ გვარს. ამაში მდგომარეობს სრული ინდუქციის მთელი ში-ნაარსი.

დიდი დაკვირვება არ არის საჭირო იმისათვის, რომ შევამჩნიოთ: 1) თუ წანამძღვრები ჰემმარიტია, დანასკევიც ჰემმარიტია, და არა მხოლოდ საალბათოა; 2) დანასკევი იმავე საგნებზეა გამოთქმული აზრი, რომელ-თა შესახებ საუბარია წანამძღვრებში. ე. ი. დასკვნას სრული ინდუქციით ახასიათებს დედუქციის ნიშნები და არა ინდუქციის. და, მართლაც, სრული ინდუქციის ზუსტი განხილვა გვარწმუნებს იმაში, რომ თუ ეს დასკვნა ნამდვილად დასკვნას წარმოადგენს, ის უსათუოდ დედუქ-ციური ჩასიათის უნდა იყოს. განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი მაგალითი პლანეტების მოძრაობის შესახებ მზის გარშემო; დასკვნის ეს მაგალითი ნამდვილად შემდეგი ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი:

მერკური, ვენერა, დედამიწა და სხვ. (ჩამოთვლილია ყველა პლანეტა) მზეს გარშემო მოძრაობენ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ყველა პლანეტა არის: მერკური, ვენერა, დედამიწა და სხვა (ჩამოთვლილია ყველა პლანეტა)

ყველა პლანეტა მოძრაობს მზის გარშემო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ

როგორც ვხედავთ, სრული ინდუქციის დასკვნა ნამდვილ კატეგორიულ სილოგიზმს წარმოადგენს. განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი: ელიფსის, პარაბოლისა და ჰიპერბოლას შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ სწორი ხაზი მათ გადაკვეთს არა უმეტეს ორი წერტილისა, და კონუსის კვეთებიც გადაიკვეთება სწორი ხაზით არა უმეტეს ორი წერტილის. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი მსჯელობა სილოგისტურად გამოვხატოთ:

წრეხაზი, ელიფსი, პარაბოლა, ჰიპერბოლა გადაიკვეთება სწორი ხაზით არა უმეტეს ორი წერტილისა.

კონუსის ყოველი კვეთი არის ან წრეხაზი, ან ელიფსი, ან პარაბოლა ან ჰიპერბოლა

კონუსის ყველა კვეთი გადაიკვეთება სწორი ხაზით არა უმეტეს ორი წერტილისა

ამ დასკვნის სქემა ასეთი იქნება:

$$\begin{array}{c} M_1, M_2, M_3, \dots, M_n \text{ არის } P \\ \text{ყოველი } S \text{ არის ან } M_1, \text{ ან } M_2, \text{ ან } M_3, \dots \text{ ან } M_n \\ \hline \text{ყოველი } S \text{ არის } P \end{array}$$

გასაგებია ამიტომ, რომ სრული ინდუქციის დასკვნას დედუქციური დასკვნის ნიშნები უნდა ახასიათებდეს. ისიც გასაგებია უნდა იყოს, რომ ამგვარ დასკვნას ძალიან მცირე შემეცნებითი ღირებულება უნდა ჰქონდეს. ის, ვინც მას ინდუქციურ დასკვნად განიხილავს, ამ დასკვნას „შემაჯამებელი ინდუქცია“ უნდა უწოდოს, როგორც ამას ზოგიერთი თანამედროვე ლოგიკოსი აკეთებს. ამ აზრით სრული ინდუქციის დანასკეში შეეჯამებულია წინამძღვრებში გამოთქმული აზრი ერთ მსჯელობაში.

ხოლო თუ მას დედუქციური დასკვნის სახედ მივიჩნევთ, რაც საქმის ნამდვილ ვითარებას შეესაბამება, ამ შემთხვევაშიც მისი შემეცნებითი ღირებულება უმნიშვნელოა. ეს ისეთი სილოგისტური დასკვნაა, რომლის ზოგადი წინამძღვარი საგანთა კლასის არსებას კი არ ასახავს, არამედ ზოგადი რეგისტრირებული მსჯელობაა, რომლის პრედიკატი, ცხადია, გადაიტანება ყველა რეგისტრირებულ საგანზე.

3. არასრული ინდუქცია

ე. წ. სრული ინდუქციის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ჩამოთვლილია მოცემული კლასის ყველა საგანი ან გვარის ყველა სახე. სინამდვილის შემეცნების პროცესში ჩვენ იშვიათად გვაქვს საქმე ამგვარ შემთხვევასთან. ზოგადი დებულების მისაღებად ჩვენ რომ გვჭირდებოდეს ყოველთვის გარკვეული კლასის ყველა საგნის ცალ-ცალკე შესწავლა, მეცნიერული შემეცნება განუხორციელებელი საქმე იქნებოდა: მეცნიერების ყველა ძირითადი დებულება საექვო გახდებოდა. მსგელობები: ადამიანი მოკვდავია, ძაღლს ოთხი ფეხი აქვს. სხეულები ერთმანეთისადმი მიიზიდებიან და სხე. საექვო ხასიათის იქნებოდნენ, რადგან შეუძლებელია ყველა ადამიანის, ძაღლის, სხეულის ცალკეულად შესწავლა. შემეცნება ამ შემთხვევაში უნდა შემოთარჯლულიყო ცალკეული საგნების ანდა განსაზღვრული საგნების შემცველი კლასების შესწავლით. საგანთა არსება, კანონზომიერება მიუწვდომელი იქნებოდა.

საგანთა კლასის ყველა საგნის შესწავლა ბევრ შემთხვევაში არა თუ შეუძლებელია, არამედ არც არის საჭირო, მეტიც, უაზროა. როგორც ვიცით, სინამდვილეში ცალკეული და ზოგადი ერთმანეთთან არის დაკავშირებული; ისინი მთლიანობას წარმოადგენენ. ცოცხალ განჭვრეტაში ჩვენ გვეძლევა ერთეული, ცალკეული, მაგრამ ეს ერთეული ზოგადის გამოვლენას წარმოადგენს. ამიტომ შესაძლებელი ხდება ერთეულის შესწავლის საფუძველზე ზოგადის, არსების აღმოჩენა და დადგენა. ამიტომ არ არის საჭირო საგანთა კლასის ყველა ცალკეულის, ერთეულის შესწავლა, თუ შესაძლებელია ერთეულთა გარკვეული რიცხვის საფუძველზე არსების, ზოგადის აღმოჩენა, ბუნების მოვლენების ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი, ობიექტური კავშირის დადგენა.

არასრული ინდუქცია წარმოადგენს დასკვნის ისეთ ფორმას, რომლის საშუალებით ჩვენ დავასკვნით ზოგადზე. კანონზე ერთეული, ცალკეულის საფუძველზე. არასრული ინდუქციის ორ სახეს განასხვავებენ: პოპულარულ ინდუქციას და მეცნიერულ ინდუქციას.

1. პოპულარული ინდუქცია. ყოველდღიური პრაქტიკის საფუძველზე ჩვენ ხშირად ვაკეთებთ დასკვნებს რამდენიმე შემთხვევის საფუძველზე; ეს შემთხვევები შეგვხვედრია ცხოვრებაში, ჩვენ ისინი სპეციალური მიზნით არ შეგვიჩვენია. ასე, მაგალითად, შეგვიძინებია, რომ წვიმის წინ მერცხლები ფრინავენ დაბლა, მიწასთან ახლოს. ჩვენ დავასკვნით, რომ, როდესაც მერცხლები დაბლა ფრინავენ, წვიმაა მოსალოდნელი. ანდა შეგვიძინებია რამდენჯერმე, თუ საღამოს, მზის ჩასვლისას ცა მოწითალოა, მეორე დღეს ქარი ქროდა. ჩვენ დავასკვნით, რომ ყოველთვის, როცა მზის ჩასვლისას ცას წითელი ელფერი გადაკრავს, მეორე დღეს ქარი იქნება. ეს ცნობილი მაგალითებია. ანდა ხშირად, თუ შევამჩნევთ, რომ

რამდენიმე საგანს გარკვეული ნიშანი აქვს, დავასკვნით, რომ ამ საგანთა მთელ კლასს ასეთივე ნიშანი უნდა ჰქონდეს.

რასაკვირველია, ასეთი დანასკვი შესაძლებელია მაშინ, თუ ჩვენ პრაქტიკაში შეგვხვედრია საწინააღმდეგო შემთხვევა. ამიტომ ამგვარ დასკვნას ხშირად უწოდებენ ინდუქციურ დასკვნას მარტივი ჩამოთვლის საშუალებით, რომელშიც არ გვხვდება საწინააღმდეგო შემთხვევა (*inductio per enumerationem Simplicem ubi non reperitur instantia contradictoria*).

ინდუქცია მარტივი ჩამოთვლის საშუალებით ნამდვილი დასკვნაა იმ აზრით, რომ დანასკვი შეიცავს ახალ ცოდნას წინამძღვრებთან შედარებით. ეს ახალი ცოდნა მდგომარეობს იმაში, რომ ნიშანი შემჩნეული კლასის საგანთა განსაზღვრულ რიცხვზე გადატანილია საგანთა მთელ კლასზე. მაგარამ საქმე ის არის, რომ ეს ცოდნა საეჭვოა. მოვლენები, რომელთა საფუძველზე ჩვენ ზოგად დებულებაზე დავასკვნით, სრულიად შემთხვევითია: ჩვენ არ შეგვიჩვევია სპეციალურად ეს მოვლენები, ჩვენ ისინი სპეციალურად არ შეგვისწავლია, ჩვენ არ დავგვისახავს მიზნად მოგვეძებნა საწინააღმდეგო ფაქტი: იქნებ ამისთანა ფაქტებიც არსებობენ, და მხოლოდ ჩვენი უცოდინარობა ამართლებს ამგვარ დასკვნას. საკმარისია ყურადღება მივაქციოთ პოპულარული ინდუქციის სქემას, რომ ნათელი გახდეს მისი ნაკლი:

$S_1—P$

$S_2—P$ (S-ს ახასიათებს ნიშანი P)

$S_3—P$

ყველა S—P (ყველა S-ს აქვს ნიშანი P)

ან

$S_1—P$

$S_2—P$ (S-ის შემდეგ გაჩნდა P)

$S_3—P$

S—P (S-ის შემდეგ ყოველთვის გაჩნდება P)

ცხადია, რომ ჩვენ არა გვაქვს არავითარი უფლება S-ს მივაწეროთ ნიშანი P მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ S_1 , S_2 და S_3 -ს ახასიათებს ეს ნიშანი. ჩვენ ან უნდა ჩამოვთვალოთ S კლასის ყველა საგანი და ამით დავუბრუნდებით სრულ ინდუქციას, ანდა უნდა გამოვიყენოთ რაიმე ხერხი, რომლის საშუალებით მოვახერხებთ გარკვეული საგნების გამოყოფას, რათა განვთავისუფლოთ შემთხვევითობისაგან; „უკუვაგდებთ რა ნიშანთა რიგს, როგორც შემთხვევითს, ჩვენ გამოვყოფთ არსებობის მოვლენისაგან...“ (ლენინი).

ზემოთ აღნიშნულ სქემიდან არ ჩანს, რომ ნიშანი P არის არსებითი S_1 , S_2 და S_3 -ისათვის; არ არის არავითარი გარანტია იმისა, რომ P აუცი-

ლებლად თანსდევს S-ს. არ არის არავითარი გარანტია იმისა, რომ მოწითალო ცა მზის ჩასვლისას აუცილებლად დაკავშირებულია ქართან მეორე დღეს. და ის გარემოება, რომ ეს ორი მოვლენა ჩვენ შეგვიძინევი რამდენჯერმე ერთმანეთთან კავშირში, არ ამართლებს იმ დასკვნას, რომ ეს ორი მოვლენა ყოველთვის იქნება ერთმანეთთან დაკავშირებული.

ამგვარი შემჩნევის ან დაკვირვების საფუძველზე ჩვენ გვიჩნდება რწმენა, რომ გარკვეული ნიშანი ყოველთვის ახასითებს ამა და ამ მოვლენას ან საგანთა მთელ კლასს, ანდა რომ მოვლენათა თანმიმდევრობა აუცილებელია; მაგრამ ეს რწმენა პრინციპულად განსხვავებულია ქეშმარიტებისაგან, ლოგიკური დასაბუთებულობისაგან.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ რწმენა ნიშანთა კავშირის, თანმიმდევრობის აუცილებელ ხასიათში ჩნდება მაშინაც, როდესაც არსებობს *instantia contradictoria* — საწინააღმდეგო შემთხვევატ. ასე, მაგალითად, მრავალი ცრურწმენა შედეგია პოპულარული ინდუქციის. რასაკვირველია, აქ მთავარ როლს თამაშობენ არა დასკვნის პრინციპები, არამედ აღამიანის ცნობიერების განვითარების დაბალი საფეხური, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული, რელიგიური მსოფლმხედველობა.

მიუხედავად იმისა, რომ ინდუქცია მარტივი ჩამოთვლის საშუალებით ნაკლოვანია, ის გარკვეულ როლს თამაშობს სინამდვილის შემეცნების პროცესში. საქმე ის არის, რომ განზოგადება, რომელსაც ვახდენთ ამ ინდუქციის საშუალებით ყოველთვის როდია მცდარი. არის ხშირი შემთხვევა, როდესაც ამ გზით მიღებული ზოგადი დანასკვი ქეშმარიტია. გამოცდილი გლეხი გარკვეული ნიშნების საფუძველზე დაასკვნის მომავალ ამინდზე, მოსავალზე. ამგვარი დასკვნები პოპულარული ინდუქციით არის მიღებული, და ამისდა მიუხედავად ხშირად ქეშმარიტებას გამოხატავენ. მაგრამ ის გარემოება, რომ ამ დასკვნაში არ არის გამორიცხული შეცდომა — და ეს შეცდომა ძალიან ხშირია — უკარგავს მათ დასაბუთების ძალას. პოპულარული ინდუქციით მიღებული დასკვნები შესაძლებელია აბსოლუტურად მცდარ შედეგებს გვაძლევდეს.

რომ გავარკვიოთ ქეშმარიტია თუ მცდარია პოპულარული ინდუქციით მიღებული დანასკვი, ჩვენ უნდა გამოვცადოთ ის: ეს პოპულარული ინდუქციის ფარგლებს სცილდება. ეს უკვე მეცნიერული ინდუქციის საქმეა. მაგრამ მეცნიერული ინდუქცია, რომელიც ეყრდნობა ფაქტების არა მარტივ ჩამოთვლას, არამედ ფაქტების გარკვეულ შერჩევას, შეუძლებელი იქნებოდა, თუ ჩვენ წინასწარ არ გვაქვს გარკვეული მიზანი, სახელდობრ, მიზანი გამოვცადოთ ამა თუ იმ დებულების ქეშმარიტება ან მცდარობა. ცხადია, ამიტომ, რომ ჩვენ უნდა გვეჩინდეს გარკვეული მიხვედრა, აზრი, რომლის გამოცდა გვსურს ცდაში, პრაქტიკაში, ხოლო ეს მიხვედრა ძალიან ხშირად პოპულარული ინდუქციის საფუძველზე გვიჩნდება.

2. მეცნიერული ინდუქცია. ე. წ. მეცნიერული ინდუქცია არის დასკვნა რამდენიმე საგნის, მოვლენის ცოდნიდან ამ საგანთა მთელი კლასის ცოდნაზე, ერთეულიდან, კერძო ან ზოგადზე. ამით ის არ განსხვავდება პოპულარული ინდუქციისაგან. ინდუქციური ლოგიკის წარმომადგენლები თვლიან მეცნიერულ ინდუქციას აღმოჩენისა და დასაბუთების მეთოდად. ინდუქცია მარტივი ჩამოთვლის საშუალებით არ არის მეცნიერული მეთოდი; ის ახასიათებს ადამიანს, რომელიც არ არის შეჩვეული მეცნიერულ აზროვნებას. მეცნიერებაში ეს არ გამოდგება, მაგრამ ჩვენ იმულებული ვართ ხშირად ამ მეთოდით დავიწყოთ. მაგრამ ბუნების ნამდვილი და ზუსტი შესწავლისათვის საჭიროა უფრო მძლავრი იარაღი. პოპულარული ინდუქცია აგროვებს ფაქტებს, ის არ შეარჩევს მათ. რამდენიმე კარგად შერჩეული ფაქტი სრულიად საკმარისია მეცნიერული ინდუქციის დასკვნისათვის. პოპულარული ინდუქცია ეყრდნობა ფაქტების რიცხვს, ხოლო მეცნიერული ინდუქცია კი—ფაქტების ბუნებას. „ერთი შემთხვევა, რომელიც გამოყოფს ფაქტს სხვა შემთხვევებშიც არსებულს, უფრო ღირებულია, ვიდრე მრავალი ფაქტი მხოლოდ მარტივად ჩამოთვლილი“, წერს ინდუქციური ლოგიკის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

ამრიგად, მეცნიერულ ინდუქციაში მთავარია არა შემთხვევათა რიცხვი, არამედ მათი ბუნება. აქ დასკვნა ეყრდნობა არა შემთხვევათა მარტივ ჩამოთვლას, არამედ შემთხვევებს, რომლებიც გარკვეული წესით არიან შერჩეულნი.

როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, შემთხვევათა გარკვეული შერჩევა მიუთითებს გარკვეულ მიზანს. ე. ი. მეცნიერული ინდუქცია გულისხმობს გარკვეულ მსჯელობას, რომლის გამართლება გვინდა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემთხვევათა შერჩევა უაზრო იქნებოდა. თუ გვაქვს აზრი S-სა და P-ს ნიშნების კავშირის შესახებ, ან S-ისა და P-ს შორის მიზეზობრივი კავშირის შესახებ, ან იმის შესახებ, რომ P არის არსებითი ნიშანი საგანთა S კლასისა, ჩვენ მივმართავთ ფაქტების, შემთხვევათა შერჩევას, მივმართავთ მეცნიერულ ინდუქციას ჩვენი აზრის, მიხვედრის გასამართლებლად.

მეცნიერული ინდუქციის წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია კაპიტალისტური წარმოების წესის აღმოცენებასა და განვითარებასთან და მასთან დაკავშირებულს ბუნების მეცნიერების განვითარებასთან. ჯერ კიდევ ფ. ბეკონამდე, რომელმაც პირველად სცადა მეცნიერული ინდუქციის მეთოდების ჩამოყალიბება, ბუნებისმეტყველები იყენებდნენ ინდუქციის ხერხებს: რ. ბეკონი, გალილეი, ლეონარდო და სხვ. ხშირად მიმართავენ ინდუქციას. ფ. ბეკონის დროისათვის ინდუქციური კვლევის მეთოდები უკვე საკმარად გავრცელებულია ბუნების მეცნიერებაში.

ფ. ბეკონი — „ინგლისური მატერიალიზმის ნამდვილი მამამთავარი“

(მარქსი) ებრძვის რა შუა საუკუნეების რელიგიურ-სქოლასტიკურ მსოფლმხედველობას, რომლის მიხედვით ბუნებაში მიზანდასახულობა ბატონობს და ამიტომ ბუნების ყოველი მოვლენა გარკვეულ მიზანს განახორციელებს, დაუპირისპირებს მას მატერიალისტურ მსოფლმხედველობას: ბუნებაში არ არსებობენ მიზნები, ბუნების მოვლენები არავითარ მიზანს არ განახორციელებენ. ბუნების მოვლენები დაკავშირებულია ერთმანეთთან მიზეზისა და მოქმედების კავშირით. მეცნიერების მიზანია აღმოაჩინოს ეს კავშირები. თუ გვეცოდინება, რა მოქმედებას იწვევს გარკვეული მიზეზი, ხოლო გარკვეული მოქმედება რა მიზეზით არის გამოწვეული, ჩვენ შეგვიძლია გავბატონდეთ ბუნებაზე. ამ თვალსაზრისმა გარკვეული დიდი დასავა მეცნიერული ინდუქციის შემდეგ განვითარებას: მეცნიერული ინდუქციის მეთოდები დამუშავდა უმთავრესად იმ მიზნით, რომ მათი საშუალებით შესაძლებელი ყოფილიყო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა. ამ ხაზს მისდევს ჯ. ს. მილიც, რომელმაც ჩამოაყალიბა მეცნიერული ინდუქციის ის მეთოდები, რომლებსაც უკანასკნელ დრომდე ლოგიკა განიხილავს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ მილის თვალსაზრისის საერთო ნაკლი. მილი სუბიექტური იდეალისტი და ნომინალისტი. იქნებ მისი იდეალიზმი ისე ნათლად არ ჩანს მის წმინდა ლოგიკურ კონსტრუქციებში, მაგრამ ის მაინც არის ის ძირითადი ფონი, რომელზედაც იშლება მისი ლოგიკური მოძღვრება. მილმა ვერ გაიგო დედუქციური დასკვნების ბუნება; უკვე ეს გარემოება საფუძველია იმის, რომ ის ვერ გაიგებდა დასკვნის ბუნებას საერთოდ, და კერძოდ, ინდუქციური დასკვნის ბუნებას. იცავდა რა ნომინალისტურ თვალსაზრისს, მას არ ესმის ზოგადისა და ცალკეულის დამოკიდებულება და ამიტომ ვერც ინდუქციის ბუნებასა და მისი მეთოდების არსებას გაიგებდა. თვლიდა რა მიზეზობრიობას ერთადერთ „კანონზომიერებად“ და, ამასთანავე, აღიარებდა რა მას „აზროვნების ჩვევად“, მილი მეცნიერული ინდუქციის ვერც მნიშვნელობას გაიგებდა და ვერც მის განსაზღვრულობას. მილმა ეს განსაზღვრული მნიშვნელობის ხერხი მეცნიერებათა საერთო მეთოდოლოგიად გადააქცია.

მილმა დაამახინჯა მეცნიერული შემეცნების არსება იმითაც, რომ მეცნიერული ინდუქცია მოვლენათა ახსნის პრინციპად გამოაცხადა. საქმე ის არის, რომ გარკვეულად შერჩეული შემთხვევების შესწავლა თუ მოგვეცემს საშუალებას გავავრცელოთ გარკვეული ნიშანი საგანთა მთელ კლასზე, ხშირად არ გვაძლევს საშუალებას ავხსნათ მოვლენები. ახსნა ყოველთვის დაკავშირებულია დედუქციასთან. ინდუქციის საშუალებით ჩვენ დავადგინეთ, რომ ყველა პლანეტა მოძრაობს მზის გარშემო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, მაგრამ ამ ფაქტის ახსნას ვერ შეძლებს ვერავითარი ინდუქცია. ამის ახსნა შესაძლებელია მხოლოდ განვითარების თეორიით, სახელდობრ, მზის სისტემის წარმოშობის თეო-

რიით. ინდუქციის საშუალებით შესაძლებელია დავადგინოთ მიზეზობრივი კავშირი სხეულთა გათბობასა და მათ გაფართოებას შორის, მაგრამ ვერავითარი ინდუქცია ვერ აგვიხსნის ამ ფაქტს. მხოლოდ სხეულთა მოლეკულური აგებულების თეორიას შეუძლია აგვიხსნას სხეულთა გაფართოება გათბობისაგან. რ. ბეკონის მიერ დადგენილი დებულება ცისარტყელას ფერების წარმოშობის შესახებ გარკვეული ფორმის გამკვირვალე სხეულებში მზის სხივის გავლის გამო აღნიშნავს ორ ფაქტს შორის გარკვეულ მიზეზობრივ კავშირს, მაგრამ ამ ფაქტს ინდუქცია ვერ ახსნის.

მილის შეცდომა, ისევე როგორც ყველა ინდუქტივისტისა, იმაში მდგომარეობს, რომ ინდუქცია, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს შემეცნების პროცესში, გამოცხადებულია სინამდვილის შემეცნების ერთადერთ მეთოდად. „ინდუქციონისტების აზრით ინდუქცია შეუცდომელი მეთოდია. ეს არ არის სწორი და იმდენად, რომ მისი თითქოს ყველაზე სარწმუნო შედეგებიც კი ყოველდღე ახალი აღმოჩენებით უარყოფება“¹.

ინდუქციის არსების სწორი გაგებისათვის დიდი წვლილი მიუძღვით რუს ლოგიკოსებს კარინსკის და რუტკოვსკის, რომელთა ზოგიერთა მოსაზრება ჩვენ მიერ ქვემოთ გამოყენებულა.

4. მეცნიერული ინდუქციის მეთოდები

1. ერთადერთი მსგავსების მეთოდი. მეცნიერული ინდუქციის მეთოდებს, ან როგორც მათ მილი ხშირად უწოდებს „ექსპერიმენტალურ მეთოდებს“ მიზეზობრივი კავშირის დასადგენად ორი ფუნქცია აქვს: 1) ისინი მიზეზობრივი კავშირის აღმოჩენის მეთოდებია (და 2) დასაბუთების მეთოდებია. ამ მეთოდების გამოყენება ხდება ასე: ჩვენ გვაქვს უკვე აზრი გარკვეულ მოვლენათა მიზეზობრივი კავშირის შესახებ. ამის გარეშე ინდუქციური მეთოდების გამოყენება უაზრო იქნებოდა.

ჩვენ შევარჩევთ ცდაში შესაფერ მოვლენებს, რომლებსაც ჩვენ აზრით კავშირი აქვს დასმულ პრობლემასთან, და მათ ანალიზს ვახდენთ. ვთქვათ, იგაგვიჩნდა აზრი იმის შესახებ, რომ S და P მიზეზობრივად არიან დაკავშირებულნი. შერჩეული მოვლენების ანალიზის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობთ პრინციპით: არც ერთი ფაქტორი არ შეიძლება მიზეზი იყოს, თუ ის არსებობს და შედეგი არ არსებობს, ანდა, თუ ის არ არსებობს და შედეგი არსებობს, ანდა კიდევ, თუ ის იცვლება როგორმე და შედეგი არ იცვლება შესაბამისად. შესაძლებელია ოთხი კომბინაცია

¹ ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 234.

S-ისა და P-ს დამოკიდებულების: 1) S არის, P არის, 2) S არის, P არ არის 3) S არ არის, P არის, და 4) S არ არის, P არ არის. მისთვის, რომ დადგინდეს S-ისა და P-ს მიზეზობრივი კავშირი, უნდა იყოს ნაჩვენებში, რომ მეორესა და მესამე შემთხვევას ადგილი არა აქვს.

გავიხსენოთ რ. ბეკონის ცდა ცისარტყელას ფერების შესახებ. მას გაუჩნდა აზრი ამ ფერების წარმოშობის მიზეზის შესახებ ცისარტყელაზე დაკვირვების დროს: აქ ორი ფაქტორია — წვიმა და მზის სხივები. მიზეზი უნდა მდგომარეობდეს მზის სხივის გავლაში წვიმის წვეთებში, ე. ი. გარკვეული ფორმის გამჭვირვალე სხეულში. ბეკონი აგროვებს ფაქტებს, რომლებიც ანალოგიურ ეფექტს იძლევიან და რომელნიც მხოლოდ ერთ გარემოებაში არიან მსგავსნი.

ასეთივეა მეორე მაგალითი ინდუქციური დასკვნის: მრავალი ნიჟარის შინაგანი მხარე ცისარტყელას ფერებსავე ბრწყინავს. რა იწვევს ამ ფერებს? მეცნიერმა, რომელსაც გაუჩნდა აზრი, რომ ეს ფერები გამოწვეულია ნიჟარის შინაგანი ზედაპირის აგებულებით, ჩამოსახა სხვადასხვა ნივთიერებიდან (სანთელი, ფისი, თაბაშირი) ასეთივე ზედაპირი; აღმოჩნდა, რომ ყველა ასეთივე ფერებით ბრწყინავს. ყველა ამ შემთხვევაში ერთადერთი მსგავსი იყო ზედაპირის აგებულება; ამიტომ ეს ყოფილა საძიებელი მიზეზი.

მალარიით ავად ხდებიან განსხვავებულ ქვეყნებში, განსხვავებული ასაკის, რასის ადამიანები; ეძებენ ერთადერთ მსგავს გარემოებას ამ განსხვავებულ პირობებში და აღმოაჩენენ, რომ მალარიის მიზეზი არის გარკვეული სახის კოლოს კბენა.

ამრიგად, ჩვენი აზრი, მიხედვით შესაძლებელია გავამრავლოთ ერთადერთი მსგავსების მეთოდით. ცლაში მონაცემიდან შევარჩიოთ ისეთი შემთხვევები, რომლებშიც a მოვლენა ყოველთვის არის, ხოლო წინამაჟალ გარემოებებში არის ერთადერთი მსგავსი ფაქტორი A. ვთქვათ, შევარჩიეთ გარემოებანი: ABC, ABD, ACD და ყველა ამ გარემოების შედეგად გაჩნდა a .

ABC— a

ABD— a

ACD— a

ამიტომ A— a

ერთადერთი მსგავსების მეთოდის წესი ასეთია: თუ საკვლევი მოვლენის ორ ან მეტ შემთხვევას აქვს მხოლოდ ერთი საერთო გარემოება, რომლითაც ეს შემთხვევები მსგავსნი არიან, მაშინ ეს გარემოება არის საკვლევი მოვლენის მიზეზი (ან შედეგი).

a) დასკვნა ერთადერთი მსგავსების მეთოდით არ გვაძლევს სარწმუნო-

ნო ცოდნას. დანასკვი, რომელიც ჩვენ გავაკეთეთ ამ მეთოდის აღწერი-
სას, დეტალური განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ არ არის ზუსტი;
ჩვენ დავასკვნით: A არის a-ს მიზეზი, მაგრამ შესაძლებელია, რომ A კი
არ არის a-ს მიზეზი, არამედ A-ს კავშირი B-სთან, C-სთან, ან D-სთან.
თუ ეს ასეა, მაშინ დანასკვის ფორმულირება უნდა შესწორდეს: A არის
ან მთლიანი, ან ნაწილობრივი მიზეზი a-სი.

შემდეგ: არც ეს დანასკვი არის მთლად კორექტული; ცოდნის გა-
ნეითარების გარკვეულ დონეზე ჩვენ შეიძლება A ფაქტორს მარტივ
მოვლენად ვთვლიდეთ; მაგრამ ცოდნის შემდგომმა განვითარებამ შეიძ-
ლება აღმოაჩინოს A-ს რთული შედგენილობა; ვთქვათ, A შედგება
x, y, z ელემენტებიდან, და a-ს იწვევს არა A მოვლენა მთლიანად, არა-
მედ მისი ერთი ელემენტი, მხარე x. ასე, მაგალითად, დასკვნა, რომ ჰა-
ერი ხელს უწყობს წვას, არ არის საერთოდ აღებული მართებული, რად-
გან წვას ხელს უწყობს არა ჰაერი საერთოდ, არამედ მისი ერთი შემად-
გენელი ელემენტი. ამიტომ დანასკვის ფორმულირება ასეთი უნდა
იყოს: A მიზეზია a-სი, ან ამ მიზეზს შეიცავს. ასეთი დანასკვი კი, რა-
საკვირველია, შეცინებებს მთლად ვერ დააკმაყოფილებს.

B) ერთადერთი მსგავსების მეთოდის ილუსტრაციისათვის ხშირად
მოჰყავთ მარტივი მაგალითები, რომლებიც გვარწმუნებენ ამ მეთოდის
ძალაში. მაგალითად: დილით აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენ ბაღში ყვავილები
დაჰქანა. ყვავილები დაჰქანა აგრეთვე გარკვეული რაიონის ყველა ბაღში.
ნიადაგი ამ ბაღებში განსხვავებულია, ყვავილებიც განსხვავებულია, მე-
ბაღეებიც განსხვავებულნი არიან, ბაღების ადგილმდებარეობაც სხვაა.
ერთადერთი მსგავსი გარემოება იყო დაბალი ტემპერატურა ღამით.
ცხადია, რომ დაბალი ტემპერატურა არის მიზეზი ყვავილების დაჰქ-
ნობის.

ამ მიზეზის აღმოჩენა ადვილია, რადგან ჩვენ წინასწარ ვიცით, რომ
დიდი ყინვა ავნებს მცენარეს, ე. ი. ჩვენ წინასწარ ვიცით მიზეზი.

ავიღოთ ისეთი მაგალითი, რომელშიც მიზეზი გაურკვეველია და მი-
სი აღმოჩენა გვიწინა. დავსვათ საკითხი კიბოს წარმოშობის, ანდა მელო-
ტობის წარმოშობის მიზეზის შესახებ. ჩვენ მაშინვე რთულ მდგომარე-
ობაში აღმოვჩნდებით; ჩვენ დავინახავთ, რომ ერთადერთი მსგავსე-
ბის მეთოდი აქ უკვე სხვა ფუნქციებს ასრულებს. ამ მეთოდის მიხედვით
ჩვენ უნდა ავიღოთ მაგალითი „ორი ან მეტი“ მელოტი ადამიანის და აღ-
მოვაჩინოთ მათში მხოლოდ ერთადერთი მსგავსი ფაქტორი. რა აქვთ
მათ საერთო? აღზრდა, სპეციალობა, გონებრივი მუშაობა, გარკვეული
საქმელი, შთამომავლობა, ნერვიული ხასიათი და სხვ.? მთელ რიგ ფაქ-
ტორებს ჩვენ არც მივიღებთ მხედველობაში, მაგალითად, თვალების
ფერს, მათ სილამაზეს და სხვ., რადგან წინასწარ ვგულისხმობთ, რომ ამ
ფაქტორებს არც აქვთ კავშირი საკვლევ მოვლენასთან. როგორ უნ-

და მოვიქცეთ ჩვენ ამ შემთხვევაში? ჩვენ გავითვალისწინებთ შესაძლებელ მიზეზებს, ე. ი. ჩვენ გვაქვს გარკვეული აზრი ამ შესაძლებელი მიზეზების შესახებ — A, B, C, D და სხვ. და შევარჩევთ გარკვეულ გარემოებებს; მათი შესწავლის, ანალიზის საფუძველზე თანდათანობით დავადგენთ, რომ A არ შეიძლება იყოს მოვლენის მიზეზი, რადგან A არ არის ამა და ამ გარემოებაში, მაგრამ საკვლევი მოვლენა მაინც არის; B არ არის მიზეზი ამავე გარემოების გამო, C არ არის და ასე შემდეგ. ე. ი. ერთადერთი მსგავსების მეთოდის ძირითადი მნიშვნელობა ნეგატიურია: ამ მეთოდის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია უდავოდ დავადგინოთ, რა არ შეიძლება იყოს მიზეზი საკვლევი მოვლენის: ისეთი გარემოება, რომელიც არ არის საერთო და მსგავსი მოვლენის ყველა შემთხვევაში, არ შეიძლება იყოს ამ მოვლენის მიზეზი.

იმ ფორმულირებით, რომელიც მისცეს ერთადერთ მსგავსების მეთოდს, ეს მეთოდი ნავარაუდევია მიზეზების გამორიცხვის საშუალებას წარმოადგენს. გამორიცხვას ჩვენ ვაწარმოებთ გაყოფითი დასკვნის საშუალებით. გამოვრიცხავთ ნავარაუდევ მიზეზებიდან ერთს, მეორეს, მესამეს... როდემდე? მანამ არ მივალთ იმ ნავარაუდევ მიზეზამდე, რომლის გამორიცხვა დღევანდელი ცოდნის საფუძველზე არ შეგვიძლია. არის ეს უკანასკნელი მოვლენის მიზეზი? თუ ჩვენ ნავარაუდევ მიზეზებში ნამდვილი მიზეზიც გავითვალისწინებთ, მაშინ, ნათელია, რომ ეს შესაძლებელია ნამდვილი მიზეზიც იყოს. მაგრამ ამის გარანტია ჩვენ არა გვაქვს. ამიტომ მსგავსების მეთოდის საშუალებით ნამდვილი მიზეზის დადგენა არ მოხერხდება; მისი მნიშვნელობა გამოუსადეგარი ფაქტორების გამორიცხვაში მდგომარეობს.

c) თვითონ მილიც ძალიან დიდად არ აფასებს ერთადერთი მსგავსების მეთოდს მიზეზთა სიმრავლის პრინციპის გამო. საქმე ის არის, რომ ერთი და იგივე მოვლენა შესაძლებელია რამდენიმე განსხვავებულმა მიზეზმა გამოიწვიოს. გემი შეიძლება დაიღუპოს ან ხანძრის, ან ნალმთან დაჯახების, ან აისბერგთან დაჯახების გამო და სხვ. ადამიანი შეიძლება მოკვდეს ან ტიფისაგან, ან ტუბერკულოზისა და სხვა დაავადებისაგან, ან საწამლავისაგან და სხვ. და სხვ. მილი აღიარებს, რომ მიზეზთა სიმრავლის პრინციპი არასაიმედოდ ხდის ერთადერთი მსგავსების მეთოდით მიღებულ შედეგს.

რასაკვირველია, ამ შემთხვევებში მოვლენა, საბოლოოდ, ერთი გარკვეული მიზეზით არის განსაზღვრული და არა მრავალით. ზუსტი გამოკვლევის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ დადგინდეს რა მიზეზმა გამოიწვია — ჩვენ მაგალითში — ადამიანის სიკვდილი. ამ შემთხვევაშიც საჭიროა შესაძლებელი მიზეზების გავითვალისწინება და გამოუსადეგარი მიზეზების თანდათან გამორიცხვა. თუკი ჩვენ წინასწარ ნაგულისხმევ მიზეზებში ნამდვილი მიზეზიც გავითვალისწინებთ, შესაძ-

ლებელია ნავარაუდები მიზეზების გამორიცხვით ნამდვილი მიზეზებიც დავადგინოთ. მაგრამ მთელი პრობლემა იმაში მდგომარეობს, არის თუ არა ნამდვილი მიზეზი იმ მიზეზთა შორის, რომლებიც წინასწარ არის გათვალისწინებულნი.

d) დასკვნა ერთადერთი მსგავსების მეთოდით სავსებით ეთანხმება ინდუქციური დასკვნის ზემოთ მოცემულ დახასიათებას. 1) დანასკვენი გამოთქმულია აზრი არა მხოლოდ იმ საგნებზე, რომლებზედაც საუბარია წანამძღვრებში; დანასკვენი უფრო ზოგადია, ვიდრე წანამძღვრები; 2) დანასკვენი, ამ მეთოდით მიღებული, ყოველთვის სააღბათოა; პოპულარული ინდუქციისაგან განსხვავებით, ინდუქციის ეს დასკვნა ნავარაუდები მიზეზების გამორიცხვის მეთოდს წარმოადგენს, წარე საძიებელი მიზეზების მცირდება, რაც შემეცნების პროცესს წინ სწევს; ეს მნიშვნელოვანი ნიშანი პოპულარულ ინდუქციას არ ახასიათებს; 3) ეს დასკვნა ცდილობს დაადგინოს დანასკვენი ის კავშირი, რომელიც თვითველ წანამძღვარში არის ნაგულისხმევი. დანასკვენი A-სა და a-ს შორის მიზეზობრივი კავშირის შესახებ მოცემულია ყველა წანამძღვარში, მაგრამ დაბნელებულია, დაჩრდილულია დამატებითი ელემენტებით.

ეს განსხვავება დედუქციურსა და ინდუქციურ დასკვნას შორის გასაგებია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე ზოგადისა და ერთეულის ერთიანობის შესახებ. ყოველ ცალკეულში არის ზოგადი, როგორც ამ ცალკეულის არსება. ამ ზოგადის გამოყოფას ისახავს მიზნად მეცნიერული ინდუქცია, რომლის წანამძღვრები ერთეულებს, კერძობითებს წარმოადგენენ, რომლებშიც ზოგადია მოცემული. ეს ზოგადი, არსება არ არის მოცემული უშუალოდ ცალკეულში (წანამძღვრებში). მეცნიერული ინდუქციის მიზანია მდგომარეობს იმაში, რომ გარკვეულად შეარჩეულ გარემოებათა ანალიზის საფუძველზე, უკუვავდოთ, გამოვრიცხოთ შემთხვევითი და გამოვყოთ ზოგადი, არსებითი.

პირიქით, ზოგადში არ იგულისხმება ერთეულის მთელი თავისებურება: ადამიანში არ იგულისხმება სოკრატეს მთელი თავისებურება; ცალკეული, ერთეული ზოგადზე მდიდარია. და თუ სოკრატეში ადამიანის საერთო ნიშნების დადგენა შეიძლება, ადამიანში სოკრატეს ნიშნები არ დადგინდება. სოკრატე უნდა მოვაცციოთ ადამიანთა კლასში (მცირე წანამძღვარი), რათა მასზე ადამიანის ნიშნები გავავრცელოთ. ამიტომ S-ისა და P-ს კავშირი, რაც დედუქციური დასკვნის შედეგს წარმოადგენს, წანამძღვრებში არ არის მოცემული.

e) ზოგიერთ ლოგიკოსს დაჰყავს დასკვნა ერთადერთი მსგავსების მეთოდით—და მეტიც, დასკვნები ინდუქციის ყველა მეთოდით—გაყოფით კატეგორიულ დასკვნაზე, კერძოდ, tollendo ponens-ის მოდუსზე. ამ მეთოდით დასკვნის სქემა დაიყვანება მათი აზრით შემდეგზე:

მაშასადამე, ა-ს მიზეზი არის A

ერთი რამ არის აქ უდავო: ინდუქციური დასკვნა ერთადერთი მსგავსების მეთოდით — ისევე როგორც დასკვნა ინდუქციის სხვა მეთოდებით — უსათუოდ გამოიყენებს დედუქციურ დასკვნას tollendo ponens-ის სახით. ეს იმას კი არ ამტკიცებს, რომ ინდუქციური დასკვნა დედუქციურზე დაიყვანება, არამედ მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ შემეცნების პროცესში დედუქცია და ინდუქცია ერთმანეთთან დაკავშირებულია. ინდუქციური დასკვნის წანამძღვრების ინტერპრეტაციას, როგორც გაყოფით მსჯელობის, მეორეობითი მომენტია, ამ წანამძღვრებიდან გამოყვანილია, და მიუთითებს იმ გარემოებას, რომ დედუქცია და ინდუქცია ერთმანეთთან დაკავშირებულია, და არა იმას, რომ დასკვნის ეს ორი სახე იგივეობრივია. არც დასკვნის ხასიათი არის ამ შემთხვევაში დედუქციური დასკვნის იგივეობრივი.

Tollendo ponens-ი გვაძლევს დანასკვს: A არის a (S არის P); ინდუქციური დასკვნა კი გვაძლევს დანასკვს: A შეიძლება იყოს ა-ს მიზეზი.

1) ერთადერთი მსგავსების მეთოდის ფორმულირება ასეთი უნდა იყოს: თუ გარემოებათა რიცხვში, რომელნიც ყოველთვის დაკავშირებულნი არიან ა-სთან, ფაქტორი A ყოველთვის არის, და სხვა ფაქტორები B, C, D არიან სხვადასხვა კომბინაციაში სხვა ფაქტორებთან და არც ერთ გარემოებაში ესენი არ არიან დაკავშირებულნი ა-სთან, მაშინ A არის ალბათ ა-სთან მიზეზობრივად დაკავშირებული.

2). ერთადერთი განსხვავების მეთოდი. ინდუქციური ლოგიკის მომხრეები — კერძოდ მილი — თვლიან ერთადერთი მსგავსების მეთოდს ნაკლოვან მეთოდად მიზეზთა სიმრავლის გამო. გარდა ამისა, ეს მეთოდი შერჩეული ფაქტების დაკვირვებას ეყრდნობა და არა ექსპერიმენტს. ფიქრობდნენ, რომ ამ მეთოდის ნაკლი შეიძლება გამოვასწოროთ მეორე მეთოდით — ერთადერთი განსხვავების მეთოდით.

ვთქვათ, ჩვენ გავვიჩინდა აზრი გარკვეული მოვლენების შესწავლისას, რომ A მიზეზია ა-სი. როგორ დავასაბუთოთ ამ მიხედვის კეშმარტება? ჩვენ დავაყენებთ ექსპერიმენტს, რომლის საშუალებით შევქმნით ორ გარემოებას: ერთ გარემოებაში მონაწილეობს A ფაქტორი, მეორეში A ფაქტორი არ მონაწილეობს. ვთქვათ, პირველ გარემოებას თან სდევს ა, ხოლო მეორე გარემოებას არა. ჩვენ დავასკვნით, რომ A არის ა-ს მიზეზი, რადგან, როდესაც არის A ფაქტორი, ა-ც არის, როდესაც A ფაქტორი არ არის, არც ა არის. ასე, მაგალითად, თუ წყალში გავატარებთ ელექტროდენი, ის არ იშლება წყალბადზე და ჟანგბადზე. ხოლო თუ წყალს

დაეუმატეთ მარილის სიმკვავე და გავატარეთ ელექტროდენი, წყალი იწყებს დაშლას ჟანგბადზე და წყალბადზე. ჩვენ დავასკვნით, რომ მარილის სიმკვავე ყოფილა მიზეზი წყლის დაშლისა წყალბადზე და ჟანგბადზე.

თუ ჰურჭელში მოვათავსებთ ცოცხალ არსებებს და ამოვტუმბავთ ჰურჭლიდან ჰაერს, ისინი იღუპებიან. აქედან დავასკვნით: ჰაერი ცხოველების სიცოცხლის მიზეზია. ამავე გზით ასაბუთებენ, რომ ნატრიუმი გვაძლევს სპექტრში ორმაგ ყვითელ ხაზს; როდესაც ნატრიუმი შეგვაქვს ალში ყოველთვის ჩნდება სპექტრში ორმაგი ყვითელი ხაზი, და ეს ორმაგი ყვითელი ხაზი არ ჩნდება, როდესაც ალში ნატრიუმი არ შეგვაქვს.

ერთადერთი განსხვავების მეთოდის სქემა ასეთია:

ABC—a

BC— —

მაშასადამე, A—a

ამ მეთოდის ფორმულირება ასეთია: თუ გარემოებაში, რომელშიც საკვლევი მოვლენა გვხვდება, და გარემოებაში, რომელშიც ეს მოვლენა არ გვხვდება, ყველა ფაქტორი ერთნაირია, გარდა ერთი ფაქტორისა, მაშინ ის ფაქტორი, რომლითაც განსხვავდება ეს ორი გარემოება, არის საკვლევი მოვლენის მიზეზი ან მიზეზის ნაწილი (ან მოქმედება).

a) ერთადერთი განსხვავების მეთოდი ითვლება ინდუქციის ყველაზე მძლავრ მეთოდად. ჯერ ერთი, როგორც იყო აღნიშნული, ეს მეთოდი ექსპერიმენტს ეყრდნობა, რომლის საშუალებით ექსპერიმენტატორი თვითონ ქმნის გარემოებებს. მეორე: მიზეზთა სიმრავლე აქ აღარ უნდა იყოს ხელის შემშლელი. მართლაც სქემიდან

ABC—a

BC— —

ჩანს, რომ B და C არ შეიძლება a-ს მიზეზი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში a მეორე გარემოებაშიც გაჩნდებოდა.

ბ) ფორმულირებაში აღნიშნულია, რომ განსხვავებული ფაქტორი ან მიზეზია, ან მიზეზის ნაწილია. მართლაც, ზემოთ მოყვანილ მაგალითებში დადგენილი მიზეზი პირველ ორ მაგალითში მიზეზის ნაწილია და არა მთლიანი მიზეზი. აქაც, როგორც პირველი მეთოდის განხილვისას, უნდა აღინიშნოს, რომ A შეიძლება იყოს a-ს მიზეზი, მაგრამ შეიძლება a-ს მიზეზს შეიცავდეს. მართლაც, როდესაც ვარკვევთ რთული გარემოებიდან რომელი ფაქტორი არის a-ს მიზეზი, ჩვენ ზომ არ ვკმა-

ყოფილდებით იმით, რომ დავადგენთ, ABC არის a -ს მიზეზი. ასევე: იქნება A თვითონ არის რთული გარემოება, რომელიც შედგება x , y , z ფაქტორებიდან და A როგორც ასეთი კი არ იწვევს a -ს, არამედ რომელიმე მისი კომპონენტი, ვთქვათ x .

იმის აღნიშვნა, რომ A არის მიზეზის ნაწილი, ან შეიცავს მიზეზს, ცხადია, ხშირად სრულიადაც არ არის საკმარისი. ABC გარემოებაც შეიცავს a -ს მიზეზს, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ეს არ გვაცინტერესებს. მართალია, B და C-ს გამორიცხვა საჭიროა მიზეზის დადგენისათვის, მაგრამ მათი გამორიცხვა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი მიზეზის დასადგენად.

c) ზოგიერთი ერთადერთი განსხვავების მეთოდის გამოყენებაში მდგომარეობს მოთხოვნაში, რომ ორი გარემოება ერთნაირი იყოს ყველა ფერში ერთი ფაქტორის გარდა. ყველაფერში — ერთის გარდა ერთნაირობა არსებითად ძნელი დასადგენია, იქნებ შეუძლებელიც. მაგრამ ნამდვილად აქ ეს არც უნდა იგულისხმებოდეს. ზოგიერთი განსხვავებული ფაქტორები არ არის მიღებული მხედველობაში — სხვა არა იყოს რა, ექსპერიმენტის დრო, ადგილი —, რადგან წინასწარ ნაგულისხმევია მათი უმნიშვნელობა საჭმისათვის, ამიტომ წინასწარი აზრის — რომლითაც ვხელმძღვანელობთ ექსპერიმენტის დროს — შესაბამისად უნდა იყოს დასმული პრობლემა და ფაქტორები გაანალიზებული.

b) ერთადერთი განსხვავების მეთოდი ამარტივებს საჭმის ვითარებას: ამ სქემაში არ ჩანს მთელი სიძნელები, რომელნიც თან ახლავს ამ მეთოდის განხორციელებას. ჩვენ ვამბობთ: ABC-ს თან სდევს a , BC-ს არ სდევს თან a ; მაშ, A მიზეზია a -სი. მაგრამ ABC გარემოება გარკვეული მოვლენაა და მისი ფაქტორები A, B, C, მექანიკურ კავშირს კი არ წარმოადგენენ, რომლებიც იზოლირებულად არსებობენ და ერთმანეთზე გავლენას არ ახდენენ. მოვლენა ხომ არ არის ყუთი, რომელშიც ნაწილები, მხარეები, თვისებები იზოლირებულად იმყოფებიან, და რაიმეს ამოღებით ან დამატებით პრინციპულად არაფერი იცვლება. ABC-ს A ჩამოვაცილეთ; იბადება კითხვა, ის, რაც დარჩა, არის ისევ BC? იქნება A-ს ჩამოვაცილებით BC კი არ დარჩა, არამედ DE გაჩნდა? და იქნება A კი არ არის a -ს უშუალო მიზეზი, არამედ ან E, ანდა D-ს და E-ს კავშირი.

e) თუ ყველაფერი ზემოთ ნათქვამი გათვალისწინებულია, თუ გამოვარკვიეთ A-ს შესაძლებელი კომპონენტები და მოვახერხებთ დანარჩენების გამორიცხვა, თუ გარემოებათა ზრული ერთიანობა — ერთი ფაქტორის გარდა — დავადგინეთ და დავასაბუთოთ ზოგიერთი განსხვავებული ფაქტორის უმნიშვნელობა კვლევისათვის, მაშინ, რასაკვირველია, შესაძლებელია მიზეზის დადგენა. თუ ეს ყველაფერი გაკეთებულია, — რაც ხშირად დიდ სიძნელეს წარმოადგენს და ხშირად ბევრი რამ მხედველობის გარეშე რჩება, მით უმეტეს, რომ „ცლა ყოველთვის დაუშთავრებელია“, — მაშინ და მხოლოდ მაშინ ძალაში იქნება დებულება: თუ

რთულ გარემოებაში არსებობს a და ერთი ფაქტორის (A) გამორიცხვას თან სდევს a -ს არსებობა და, პირიქით, თუ რთულ გარემოებაში a არ არსებობს, და ერთი ფაქტორის (A) შეტანით ამ გარემოებაში a ჩნდება, მაშინ A და a მიზეზობრივად დაკავშირებულია ერთმანეთთან.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ბევრი რამ გვიშლის ხელს ხშირად ყველა დასახელებული პირობის შესრულებას, და ხშირად ამ პირობების განხორციელება შეუძლებელიც არის, ამიტომ დასკვნები იმ მეთოდითაც მიღებული სააღბათო რჩება.

მისი უდავო მნიშვნელობა ნეგატიურ ფორმულირებაში გამოიჭატება ისევე, როგორც ერთადერთი მსგავსების მეთოდის მნიშვნელობა; ამ მეთოდით ჩვენ შეგვიძლია უდავოდ დავადგინოთ, რა არ შეიძლება იყოს საკვლევი მოვლენის მიზეზი. გარკვეული ფაქტორების გამორიცხვით ჩვენ შეგვიძლია მივიღეთ ნამდვილი მიზეზის აღმოჩენამდეც, თუკი ნაპარაუდევ მიზეზებში ნამდვილი მიზეზებიც არის გათვალისწინებული.

f) ერთადერთი განსხვავების მეთოდის tollendo ponens-ზე დაყვანის შესახებ უნდა ითქვას იგივე, რაც ამის შესახებ იყო ნათქვამი პირველ მეთოდზე.

3. თანმხლები ცვლილებების მეთოდი. ხშირად ნაპარაუდევი მსჯელობის „ A მიზეზია a -სი“ გამართლებისათვის შეუძლებელი ხდება ერთადერთი მსგავსებისა და ერთადერთი განსხვავების მეთოდის გამოყენება. თუ, მაგალითად, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვყოთ ერთადერთი მსგავსი გარემოებიდან ანდა შევქმნათ ისეთი გარემოებანი, რომლებშიც გარკვეული ფაქტორი ერთ შემთხვევაში არსებობს, ხოლო მეორე შემთხვევაში არ არსებობს, ამ შემთხვევაში მივმართავთ თანმხლები ცვლილების მეთოდს.

ამ მეთოდის არსება მდგომარეობს შემდეგში: გარკვეულ გარემოებაში ვცვლით ერთ ფაქტორს რაოდენობრივად, ხოლო სხვა ფაქტორებს უცვლელად ვტოვებთ და ვაკვირდებით მოქმედებას; თუ ამ ერთი ფაქტორის (A) ცვლილებასთან ერთად იცვლება მოქმედებაც (a), ჩვენ დავასკვნით, რომ A არის a -ს მიზეზი. თანმხლები ცვლილების მეთოდით დასკვნის სქემა ასეთი იქნება:

$A_1BC—a_1$

$A_2BC—a_2$

$A_3BC—a_3$

მაშასადამე, $A—a$

როგორც აღვნიშნეთ, A_1, A_2, A_3 რაოდენობით, ინტენსივობით განსხვავდებიან; ეს განსხვავება თვისებრივი რომ ყოფილიყო, მაშინ ერთ

ფაქტორზე ველარ ვილაპარაკებდით. ამ დასკვნის პრინციპი ასეთ ფორმულირებაშია მილის მიერ მოცემული: მოვლენა, რომელიც გარკვეულად იცვლება ყოველთვის, როდესაც მეორე მოვლენაც გარკვეულად იცვლება, დაკავშირებულია ამ უკანასკნელთან მიზეზებისა და მოქმედების კავშირით.

თუ დავაკვირდებით სქემას, ჩვენი აზრთა მსვლელობა ცხადი იქნება: a ვერ გამოიცვლება უმიზეზოდ; ან A , ან B , ან C უნდა იყოს a -ს ცვალების მიზეზი; B და C გამოირიცხება, რადგან არც B და არც C არ განიცდიან ცვლილებას იმ დროს, როდესაც a იცვლება; a -ს მიზეზი უნდა იყოს A , რადგან ამ გარემოებაში (ABC) იცვლება მხოლოდ A .

თუ გავადიდეთ სიმის სიგრძე და ყველა-დანარჩენი ფაქტორი უცვლელი დავტოვეთ და შევამჩნიეთ, რომ ტონის სიმაღლეს შეიცვალა, დავასკვნით, რომ სიმის სიგრძის ცვლება და ტონის სიმაღლის ცვლება დაკავშირებული არიან ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირით: გაზზე წნევის გადიდებასთან ერთად ვამჩნევთ გაზის მოცულობის შემცირებას; აქედან დავასკვნით, რომ წნევის ცვლილება მიზეზია გაზის მოცულობის ცვლილების. მზეზე ლაქების პერიოდული გადიდება მიზეზობრივად დაკავშირებულია გარკვეულ მაგნიტურ მოვლენებთან დედამიწაზე.

a) ამ მეთოდის მიმართაც მართებული იქნება ის, რაც პირველ ორ მეთოდზე იყო ნათქვამი, სახელდობრ:

1) A შეიძლება იყოს a -ს არა მთლიანი მიზეზი, არამედ ნაწილობრივი, და 2) A შეიძლება a -ს მიზეზს შეიცავდეს.

b) თანმხლები ცვლილების მეთოდს თავისთავად არა აქვს დამსაბუთებელი ძალა, რადგან ამ მეთოდის გამოყენებისათვის უნდა მივმართოთ ერთადერთი განსხვავების მეთოდს: როდესაც წინამდებელი გარემოებიდან ერთ-ერთი ფაქტორი ცვლილებას განიცდის, ჩვენ უნდა ვეცადოთ ყველა დანარჩენი ფაქტორი მოცემული გარემოებიდან უცვლელად დავტოვოთ იმისათვის, რომ გვქონდეს უფლება დავასკვნათ მიზეზ-შედეგობრივი კავშირზე. ე. ი. უნდა ერთადერთი განსხვავების მეთოდი გამოვიყენოთ. აქედან ისიც ნათელი ხდება, რომ ამ მეთოდს ისეთივე ნაკლი უნდა ახასიათებდეს, როგორც ერთადერთი განსხვავების მეთოდს.

c) მარტივი მოვლენების შემთხვევებში, როდესაც ყველა პირობა შესრულებულია, ნაგარაუდევ მიზეზთა შორის ნამდვილი მიზეზიც იგულისხმება, ფაქტორების გამოირიცხვის გზით შესაძლებელია დადგინდეს საკვლევი მოვლენის (a) მიზეზი (A), მაგრამ რთული მოვლენის ანალიზის დროს ძნელია და ხანდახან შეუძლებელია ყველა პირობის შესრულება; ძნელია იმის გამორკვევა, რომელია წინამდებელი და რომელია შემდგომი, ე. ი. რომელია მიზეზი და რომელია შედეგი (მოქმედე-

ბა); მით უმეტეს იზრდება სირთულე, თუ დაისვა საკითხი, ხომ არ არის ეს ორივე მოვლენა რომელიმე მესამის შედეგი.

d) ინდუქციის სამივე მეთოდი მარტივი მეთოდია. სამივე თავისი მნიშვნელობით განსხვავდება პოპულარული ინდუქციისაგან. რა ნაკლებიც უნდა ჰქონდეს ამ მეთოდებს, ერთი რამ განასხვავებს მათ პოპულარული ინდუქციისაგან: ამ მეთოდით ვაწარმოებთ გარკვეული ფაქტორების გამორიცხვას, რომელნიც არ შეიძლება საკვლევი მოვლენის მიზეზად მივიჩნიოთ. ამ ფაქტორების გამორიცხვას ვაწარმოებთ პრინციპის მიხედვით: თუ გარემოებათა რიცხვში, რომლებსაც თან სდევს საკვლევი მოვლენა (ვთქვათ a) ერთი ფაქტორი (ვთქვათ A) იცვლება და დანარჩენი ფაქტორები უცვლელი რჩება, მაშინ A არ არის a-სთან მიზეზობრივად დაკავშირებული. ფაქტორების გამორიცხვა, რასაკვირველია, არ ნიშნავს საკვლევი მოვლენის ნამდვილი მიზეზის დადგენას. რადგან, როგორც ეს უკვე იყო გარკვეული, შესაძლებელია გამოგვჩინოს ზოგიერთი ფაქტორი, ნუვარაუდევ მიზეზებში ვერ გავითვალისწინოთ ნამდვილი მიზეზი, ცდა ხომ ყოველთვის დაუმთავრებელია. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ საკვლევი მოვლენის შესაძლებელი მიზეზების გამორიცხვა შეგვიძლია ამ მეთოდებით, შემოფარგლავს საძიებელ მიზეზთა წრეს და ამით საგრძნობლად წინ სწევს შემეცნებას. ხშირად ამ გზით ნამდვილი მიზეზობრივი კავშირის დადგენაც ხერხდება: ამას მეცნიერების განვითარების ისტორია ამოწმებს. ექსპერიმენტალური მეცნიერების განვითარება ამის საუცხოო ილუსტრაციას წარმოადგენს. მართალია, ხშირად მეცნიერებათა მიერ დადგენილ დებულებებს შეეცვლა, შესწორება, გაღრმავება სჭირდება, მაგრამ ეს შემეცნების შეუძლებლობის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ მისი შეფარდებითი ხასიათის მაჩვენებელია.

თვითეული ამ მეთოდის ნაკლის ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ გადალახვა შესაძლებელია მათი შეერთებულად ანდა თანდათანობით ერთი მეორის შემდეგ გამოყენებით, ე. წ. რთული მეთოდებით.

4. **რთული მეთოდები.** ინდუქციური დასკვნის რთული მეთოდი არის დასახელებული მარტივი მეთოდების დასაბუთების რომელიმე სახესთან დაკავშირება; არა აქვს არსებითი მნიშვნელობა იმ გარემოებას, დაკავშირებულია ესა თუ ის მეთოდი იმავე მეთოდთან თუ მისგან განსხვავებულთან. ასე, მაგალითად, გარკვეული დებულების გამართლებისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ რამდენჯერმე თანმხლები ცკლილების მეთოდი. ვთქვათ, ჩვენ გამოვიყენეთ რა ეს მეთოდი, დავადგინეთ კავშირი საქანის რხევის დროსა და მის სიგრძეს შორის. დავტოვოთ ყველა ფაქტორი შეუცვლელად, შეეცვალოთ მხოლოდ საქანის სიგრძე და აღვნიშნოთ მისი რხევის დრო; გავადილოთ საქანის სიგრძე ორჯერ, კიდევ აღვნიშნოთ რხევის დრო; გავადილოთ საქანის პირვანდელი

სიგრძე სამჯერ და ასე შემდეგ. თუ შევადარებთ ახლა რიცხვებს, რომლებიც საქანის სიგრძეს აღნიშნავენ, ერთი მხრივ, იმ რიცხვებს, რომლებიც აღნიშნავენ საქანის რხევის დროს, მეორე მხრივ, დავასკვნით: საქანის რხევის დროის კვადრატები საქანის სიგრძის პროპორციულია.

ერთადერთი მსგავსებისა და ერთადერთი განსხვავების მეთოდების შეერთებაც შესაძლებელია; ამ მეთოდს ეწოდება მსგავსებისა და განსხვავების შეერთებული მეთოდი. ამ მეთოდით გარემოებათა ერთი რიგის ანალიზის საფუძველზე გამოყოფილია ერთადერთი მსგავსი, და დადგენილია, რომ A არის a -ს მიზეზი; გარემოებათა მეორე რიგის საფუძველზე დადგენილია, რომ, სადაც A არ არის, არც a არის; თუ, მაგალითად გარკვეული საქმლის მიღების შედეგად ადამიანი ავად ხდება, და ყოველთვის, როდესაც ამ საქმელს არ მიიღებს, ეს ადამიანი არ ხდება ავად, შეესაძლებელია დავასკვნათ, რომ ეს საქმელი იწვევს ამ დაავადებას.

რთულ მეთოდებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნაშთების მეთოდს.

თუ ერთი რთული მოვლენა იწვევს მეორე რთულ მოვლენას და წინასწარი გამოკვლევებით დადგენილია, რომ მოქმედების გარკვეული ნაწილი გამოწვეულია პირველი მოვლენის გარკვეული ნაწილით, ჩვენ დავასკვნით, რომ „მოქმედების ნაშთი“ გამოწვეულია პირველი მოვლენის დანარჩენი ნაწილით. მეთოდის სქემა ასეთია

ABCD—abcd

BCD—bcd

A—a

ამ მეთოდის გამოყენების საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს პლანეტა ნეპტუნის აღმოჩენა. დადგენილი იყო, რომ პლანეტა ურანის მოძრაობა არ შეესაბამება მისი მოძრაობის ზუსტად გამოთვლილ ორბიტს. ურანის აღშფოთების ახსნა შეიძლებოდა მასზე სხვა პლანეტების მოქმედებით. მაგრამ იმ დროს ცნობილი პლანეტების გავლენა არ იყო საკმარისი აღშფოთების სიდიდის ასახსნელად, ე. ი. აღშფოთების სიდიდე მეტი იყო, ვიდრე ამის გამოწვევა შეეძლო ამ პლანეტებს. აღშფოთების ნაშთს მიზეზი უნდა ჰქონოდა. ეს მიზეზი უცნობი პლანეტა უნდა ყოფილიყო, რომელიც ამის საფუძველზე იყო აღმოჩენილი.

რთული ნივთიერების სპექტრში აღმოაჩინეს ხაზი გარდა იმ ხაზებისა, რომლებიც ცნობილი ელემენტებით არის გამოწვეული; დასკვნა: ამ რთულ ნივთიერებაში არის ახალი, ჯერ ჩვენთვის უცნობი ელემენტი. ამ გზით იყო აღმოჩენილი რიგი ელემენტების.

ნაშთების მეთოდი რთული მეთოდია; მაგრამ საინტერესოა იმის

გარკვევა, შეიძლება თუ არა მისი განხილვა, როგორც ინდუქციური მეთოდის. პლანეტა ნეპტუნის აღმოჩენა ეყრდნობა შემდეგ წანამძღვრებს: 1) მიზიდულობის კანონს, 2) ურანის აღშფოთების სიდიდეს, 3) ურანის ორბიტის შიგნით არსებული პლანეტების გავლენის სიდიდეს; დასკვნის პროცესი მდგომარეობს ერთი სიდიდიდან მეორე სიდიდის გამოკლებაში. ცხადია, რომ ასეთი ტიპის დასკვნა დედუქციურია და არა ინდუქციური. ამგვარ დასკვნებს ჩვენ ვაკეთებთ ძალიან ხშირად ყოველივე ინდუქციის დახმარების გარეშე. ასე, მაგალითად, ჩვენ დაეასკვნით, რომ $x = a$, თუ $x + y = a + b$ და $y = b$.

ზოგიერთი ლოგიკოსი ფიქრობს, რომ ეს მეთოდი დედუქციისა და ინდუქციის საზღვარზეა, რადგან მას დედუქციური დასკვნის ფორმა აქვს, მაგრამ ამავე დროს ცდისეულ ელემენტს შეიცავს. მეორენი ამ მეთოდს ინდუქციურ მეთოდად თვლიან: მართალია, ფიქრობენ ისინი, ამ დასკვნას დედუქციური ხასიათი აქვს, მაგრამ, რადგან ის მიზეზობრივი კავშირის დასადგენად გამოიყენება, ის ინდუქციური დასკვნების კლასში უნდა იყოს მოთავსებული.

ის გარემოება, რომ ნაშთების მეთოდი ცდისეულ ელემენტს შეიცავს, არ არის საბუთი იმისათვის, რომ ეს მეთოდი ინდუქციურად გამოვაცხადოთ. თუ არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ ყველა ცოდნა, საბოლოოდ, ცდისეული ხასიათისაა, შეიძლება მიეუთითოთ იმ გარემოებას, რომ დედუქციური დასკვნის მრავალ შემთხვევაში წანამძღვრები გამოთქვამენ «ცდისეულ ელემენტს». კატეგორიული სილოგიზმის მცირე წანამძღვარი ხშირად უშუალოდ ცდისეული ხასიათის არის.

5. ინდუქციური დასკვნების სავრთო ხასიათი

1. ზოგადი შენიშვნები. ჩვენ შეგვიძლია ახლა ზოგადად დავახასიათოთ და შევაფასოთ ინდუქციური დასკვნები.

ა) სრული ინდუქცია თავისი არსებით ნამდვილად დედუქციურ დასკვნას წარმოადგენს. მისი შემეცნებითი ღირებულება ძალიან მცირეა, რადგან ზოგადი მსჯელობა, რომელიც წანამძღვრის როლს თამაშობს ამ დასკვნაში რეგისტრირებული ზოგადი მსჯელობაა.

ბ) ინდუქცია მარტივი ჩამოთვლის საშუალებით არ არჩევს შემთხვევებს, არ ითვალისწინებს შესაძლებელ მიზეზებს და ამიტომ არ აწარმოებს ნავარაუდევ მიზეზების გამორიცხვის პროცედურას. ნათელია, ამიტომ, რომ ამ გზით მიღებული დასკვნა საფუძველს მოკლებულია. თუ მას შეუძლია ჭეშმარიტი დასკვნის მოცემა, მას აგრეთვე აბსოლუტურად მცდარი დასკვნის მოცემა შეუძლია. გარდა ამისა: იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ გზით მიღებული დებულება ჭეშმარიტია, ის მაინც შეცნირების საგანძურში ვერ შევა, რადგან მას საკმაო გამართლება

აკლია. ამისდა მიუხედავად მას აქვს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა შე-
მეცნების პროცესში: მის საფუძველზე გვიჩნდება მიხვედრა, აზრი,
რომლის გამართლებისათვის ვიწყებთ გარემოებათა შერჩევას, მათ
ანალიზს და სხვ., ე. ი. მივმართავთ მეცნიერული ინდუქციის მეთოდებს.

ც) მეცნიერული ინდუქცია განსხვავდება ინდუქციისაგან მარტივი
ჩამოთვლის საშუალებით პირველ რიგში უკვე იმით, რომ მეცნიერული
ინდუქციის მეთოდების გამოყენება ვერ დაიწყება, თუ წინასწარ არ
გვაქვს გარკვეული აზრი, მიხვედრა საკვლევ მოვლენათა მიზეზობრი-
ვი კავშირის შესახებ, აზრი, რომლის გამართლებისათვის მივმართავთ
ამ მეთოდებს. ეს გარემოება განსაზღვრავს ინდუქციური მეთოდების
გამოყენების მთელ პროცედურას. იწყება გარემოებათა შერჩევა, ნა-
ვარაუდები მიზეზების თანდათანობითი გამოორიციხვა; ამ გზით არე შესაძ-
ლებელი მიზეზებისა თანდათანობით ვიწროვდება; და თუ ნავარაუ-
დევ მიზეზებში ნაგულისხმევი იყო ნამდვილი მიზეზიც, შესაძლებელია
ნამდვილი მიზეზის დადგენაც.

დ) მეცნიერული ინდუქციის დასკვნები ყოველთვის დაკავშირებუ-
ლი არიან დედუქციასთან. შეცდომაა ინდუქციური დასკვნის დედუქ-
ციაზე დაყვანა, მაგრამ ინდუქციური დასკვნა დედუქციის გარეშე ვერ
განხორციელდება.

ე) იმ შემთხვევაშიც, რომ ინდუქციას ჰქონდეს ძალა დაასაბუთოს
ზოგადი მსჯელობა მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირის შესახებ,
ან დებულება იმის შესახებ, რომ გარკვეული ნიშანი ახასიათებს საგან-
თა მთელ კლასს, შემეცნების პროცესისათვის ის მაინც არ იქნება საკ-
მარისი. იმის დასაბუთება, რომ გარკვეული ნიშანი ახასიათებს საგან-
თა მთელ კლასს, ანდა იმის დადგენა, რომ A არის a-ს მიზეზი, ხშირად
ვერ აგვიხსნის ამ დადგენილ ფაქტს. მხოლოდ ინდუქცია არ არის საკ-
მარისი ამ შემთხვევაში: ეს უკვე ჰიპოთეზისა და თეორიის საქმეა.

2. ბუნების ერთგვარობის პრინციპი. ერთადერთი განსხვავების მე-
თოდით დასკვნის დროს

$$\begin{array}{r} AB—a \\ B— — \\ \hline A—a \end{array}$$

ჩვენ აღვნიშნავთ, რომ B არ შეიძლება იყოს a-ს მიზეზი, რადგან წი-
ნააღმდეგ შემთხვევაში a-ს ადგილი ექნებოდა მეორე შემთხვევაშიც.
ასეთი მსჯელობა ეყრდნობა გარკვეულ პრინციპს, სახელდობრ,
იმას, რომ შეუძლებელია B-მ ერთ შემთხვევაში გამოიწვიოს a და
მეორე შემთხვევაში — თუ დანარჩენი პირობები არ შეცვლილა —
არ გამოიწვიოს a. ამ წინამძღვრის გარეშე ჩვენ დასკვნას ვერ გავა-

კეთებდით. ინდუქციური დასკვნების დროს — და არა მხოლოდ ინდუქციური დასკვნების დროს, არამედ საერთოდ შემეცნების პროცესში — ჩვენ ვეყრდნობით გარკვეულ წანამძღვარს: ერთი და იგივე მიზეზები — ყველა დანარჩენ უცვლელ პირობებში — იწვევენ ერთსა და იმავე შედეგებს. ისე რომ, თუ ერთ შემთხვევაში B იწვევს a-ს, იმავე პირობებში იგივე B-მ უნდა a გამოიწვიოს.

პრინციპი, რომლის მიხედვით ერთნაირი მიზეზები იწვევენ ერთნაირ შედეგებს (მოქმედებას), ცნობილია როგორც ბუნების ერთგვარობის პრინციპი, ან საყოველთაო მიზეზობრიობის პრინციპი, ანდა კიდევ ბუნების კანონზომიერების პრინციპი.

ამ პრინციპს გულისხმობს ინდუქციური მეთოდის ყველა სახის დასკვნა. მაგრამ ამ პრინციპის გამოცხადება ინდუქციური დასკვნების საფუძვლად ლოგიკურ წრეში ჩაგვაყენებს. ერთი მხრივ, ინდუქციური მეთოდების საშუალებით ჩვენ პირველად დავადგენთ მოვლენათა შორის მიზეზობრივ კავშირს, ხოლო მეორე მხრივ, თვითონ ეს ინდუქციური მეთოდები ეყრდნობიან მოვლენათა კანონზომიერ მიზეზობრივ კავშირის რწმენას. საიდან გაგვიჩნდა ჩვენ ცოდნა მოვლენათა მიზეზობრივი კავშირის შესახებ? რის საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ ბუნების ერთგვარობის პრინციპი? ინდუქციური დასკვნების საფუძველზე? მაგრამ თვითონ ინდუქციური დასკვნები ხომ მთელ თავის ძალას ამ პრინციპს აყრდნობენ. ინდუქციური ლოგიკა, როგორც ჩანს, წრეში ტრიალებს.

მიღმა, რომელმაც ბუნების ერთგვარობის პრინციპი ინდუქციურა დასკვნების უკანასკნელ საფუძვლად გამოაცხადა, ვერ გადაწყვიტა ეს პრობლემა ისევე, როგორც ვერ გადაწყვიტა ის ბურჟუაზიულმა ფილოსოფიამ.

ბურჟუაზიული ლოგიკოსები, ეყრდნობიან რა მცდარ, რეაქციულ ფილოსოფიას, კერძოდ შემეცნების იდეალისტურ თეორიას, აგნოსტიციზმს, უარყოფენ ბუნების კანონზომიერებას და ამასთანავე ინდუქციური დასკვნების მნიშვნელობასაც. ზოგიერთი ბურჟუაზიული ლოგიკოსი აღიარებს რა ინდუქციური დასკვნების უკანასკნელ საფუძვლად ბუნების ერთგვარობის პრინციპს, თვლის მას აპრიორულ პრინციპად. ბუნების კანონზომიერება არის მათი აზრით გონების კანონზომიერება. „ბუნება შეესაბამება ჩვენი აზროვნების მოთხოვნებს“ — წერს ერთ-ერთი მათგანი.

ზოგიერთი ლოგიკოსი ცდილობს დაიყვანოს ინდუქციური დასკვნები მთლიანად დედუქციურზე, ინდუქციური დასკვნა წარმოადგენს დედუქციურ დასკვნას, რომლის დიდი წანამძღვარი ბუნების ერთგვარობის პრინციპს გამოხატავს.

თუ ჩვენ დავდგებით წმინდა ფორმალისტურ თვალსაზრისზე, რო-

გელსაც არ აინტერესებს შემეცნების ნამდვილი, რეალური პროცესი, მაშინ, რასაკვირველია, შეიძლება ბუნების ერთგვარობის პრინციპი დიდ წანამძღვრად გამოვაცხადოთ, ხოლო მცირე წანამძღვრად — ინდუქციური დასკვნის წანამძღვრები და გამოვიყვანოთ დანასკვი. მაგრამ საკითხი ხომ სინამდვილის შემეცნებას ეხება, ამიტომ აღრე თუ გვიან დიდი წანამძღვრის კეშმარტების შესახებ საკითხი უნდა გადაწყდეს. ინდუქციური დასკვნის დედუქციურზე დაყვანა აღნიშნული გზით არა მხოლოდ ამახინჯებს ინდუქციის არსებას, არამედ არც დასმულ პრობლემას წყვეტს: რის საფუძველზე ვალიარებთ ჩვენ ბუნების ერთგვარობის პრინციპს კეშმარტად. რასაკვირველია, შეიძლება ეს პრინციპი დასკვნის დიდ წანამძღვრად წარმოვიდგინოთ, მაგრამ ამით ის კეშმარტი ხომ ვერ გახდება.

შესაძლებელია კიდევ სხვა გზით ვეცადოთ ინდუქციური დასკვნის „დაყვანა“ დედუქციურზე, ამისათვის საკმარისია მეთოდის პრინციპი — ერთადერთი მსგავსების და სხვ. — დიდ წანამძღვრად წარმოვიდგინოთ, ხოლო ინდუქციური დასკვნის ნამდვილი წანამძღვრები შევეაერთოდ ერთ მსგავლობად და მცირე წანამძღვრის ადგილზე დავსვათ. მაგალითად:

გარემოება, რომელიც საკვლევი მოვლენის რამდენიმე შემთხვევისათვის საერთოა, არის ამ მოვლენის მიზეზი.

როგორც დაკვირვებიდან $ABC—a$, $ABD—a$, $ACD—a$ ჩანს A არის ერთადერთი საერთო ამ შემთხვევაში

გარემოება A არის a -ს მიზეზი.

ჯერ ერთი, დიდი წანამძღვარი წარმოადგენს დასკვნის წესს და ინდუქციურ დასკვნაში ჩვენ გამოგვყავს დანასკვი ამ დამატებითი წანამძღვრის გარეშე; მეორე: საკითხი, რომელიც ჩვენ გვიინტერესებს მაინც გადაუწყვეტელი რჩება, რადგან დიდი წანამძღვრის კეშმარტება დამოკიდებულია ბუნების ერთგვარობის პრინციპის კეშმარტებაზე.

ჩვენ აღნიშნეთ, რომ ეს პრობლემა მიღმა ვერ გადაწყვიტა. გავარჩიოთ მილის თვალსაზრისი და მისი შეცდომის აღნიშვნასთან ერთად ვცადოთ ამ საკითხის გადაწყვეტა.

მილის თვალსაზრისი ასეთია: ბუნების ერთგვარობის პრინციპი, რომელიც ინდუქციას საფუძვლად უდევს, ეყრდნობა ინდუქციას მარტივი ჩამოთვლის საშუალებით. მაგრამ როგორ შეიძლება მეცნიერული ინდუქციის ზუსტი მეთოდი დაეყარნოთ პოპულარული ინდუქციის არამეცნიერულ, სუსტ მეთოდს, ეს ხომ დაუშვებელი შეცდომა იქნება? მილი ფიქრობს, რომ აქ არავითარ შეცდომას არა აქვს ადგილი: ეს რომ შეცდომა იყოს, მაშინ ტელესკოპსაც ვერ გამოვიყენებდით, რადგან მი-

სი გამოყენება ეყრდნობა უფრო სუსტ აპარატს, ჩვენი მხედველობის ორგანოს. ინდუქცია მარტივი ჩამოთვლის საშუალებით კანონიერი მეთოდია, მაგრამ ის სუსტია, არასაიმედოა; მეცნიერული ინდუქციის მასზე დაყრდნობა ნიშნავს სუსტი, არასაიმედო მეთოდის შეცვლას ზუსტი და საიმედო მეთოდით.

ცნობილი რუსი ლოგიკოსი რუტკოვსკი, განიხილავს რა მილის და მისი მიმდევრების მიერ ამ საკითხის გადაწყვეტას, სამართლიანად აღნიშნავს: „ამრიგად, გამოდის, რომ ინდუქციის დასკვნები დამოკიდებული არიან ინდუქციაზე მარტივი ჩამოთვლის საშუალებით. მაგრამ, რადგან ეს უკანასკნელი აღიარებულია არამეცნიერულ მეთოდად, არასაიმედო ხერხად, ამიტომ განსხვავება და დაპირისპირება მეცნიერული და პოპულარული ინდუქციებისა ყოველივე საფუძველს მოკლებულია“¹.

მილი სუბიექტური იდეალისტია, ნომინალისტი და აგნოსტიკოსია. ის წმინდა ლოგიკურ ოპერაციებს ვერ გასცილებია და, როგორც ყოველივე ბურჟუაზიული მოაზროვნე არ იცნობს — და არ შეუძლია ცნობა — პრაქტიკის როლს შემეცნების პროცესში.

ზემოთ დასმული პრობლემა არ და ვერ გადაწყდება ლოგიკის რესურსებით. ეს პრობლემა წყდება ფილოსოფიისა და, კერძოდ, შემეცნების თეორიის საშუალებით. ვერც მარქსამდელი და ვერც თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია ვერ წყვეტს ამ პრობლემას. მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, კერძოდ ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორია თავისი მოძღვრებით ჭეშმარიტების შესახებ, მოძღვრებით პრაქტიკაზე როგორც ჭეშმარიტების საფუძველზე და კრიტერიუმზე წყვეტს ამ პრობლემას.

მეცნიერული ინდუქციის არც ერთი დასკვნა არ იქნება გამართლებული ბუნების ერთგვარობის პრინციპის დაშვების გარეშე. ბუნების ერთგვარობის პრინციპი, ანუ საყოველთაო მიზეზობრიობის პრინციპი, ბუნების კანონზომიერების პრინციპი არის არა აპრიორული პრინციპი, არამედ პრინციპი, რომელიც აისახა ადამიანთა ცნობიერებაში პირველ რიგში ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის საფუძველზე.

„პირველი, რაც ჩვენ მოძრავი მატერიის განხილვის დროს თვალში გვეცემა, ესაა ცალკეულ სხეულთა ცალკეული მოძრაობების ურთიერთკავშირი, მათი ურთიერთ განპირობებულობა. მაგრამ ჩვენ აღმოვაჩინებთ არა მარტო იმას, რომ გარკვეულ მოძრაობას მეორე მოძრაობა მოსდევს, არამედ ჩვენ იმასაც აღმოვაჩინებთ, აგრეთვე, რომ შეგვიძლია გარკვეული მოძრაობა გამოვიწვიოთ, შევქმნათ ისეთი პირობები;

¹ Рутковский. Критика методов индуктивного доказательства. Ж. М. Н. П., 1899 г. XI. зб. 236-7.

რომლების დროსაც იგი ბუნებაში ხდება; ის კი არა, ჩვენ შეგვიძლია ისეთი მოძრაობებიც გამოვიწვიოთ, რომლებიც ბუნებაში სრულებით არ გვხვდება (ინდუსტრია), — ყოველ შემთხვევაში არ გვხვდება ამ სახით — და შეგვიძლია ამ მოძრაობებს წინასწარ განსაზღვრული მიმართულება და ფარგლები მივცეთ. ამის წყალობით, ადამიანის მოქმედების წყალობით, დაფუძნდება სწორედ წარმოდგენა მიზეზობრიობის შესახებ, წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ერთი მოძრაობა მიზეზია მეორე მოძრაობისა. მართალია, ბუნების გარკვეული მოვლენების მარტო კანონზომიერი ურთიერთმოდევნობას შეუძლია მიზეზობრიობის წარმოდგენა შექმნას: სითბო და სინათლე, რომლებიც მზესთან ერთად ჩნდებიან; მაგრამ აქ ჯერ კიდევ მაინც არ არის ბტყილება, და ამდენად იუმის სკეპტიციზმი მართალი იქნებოდა, თუკი იტყოდა, რომ რეგულარულად განმეორებულ post hoc-ს (რაიმეს შემდეგ) არ შეუძლია დასაბუთოს propter hoc (რაიმეს მიზეზით). მაგრამ ადამიანის მოქმედება ამოწმებს მიზეზობრიობას¹. და შემდეგ: „როგორც ბუნების მეცნიერება, ასევე ფილოსოფია აქამდე სრულიად უგულებელყოფდნენ ადამიანის მოქმედების ზეგავლენას მის აზროვნებაზე. მათ იციან, ერთი მხრივ, მხოლოდ ბუნება და, მეორე მხრივ, მხოლოდ აზრი. მაგრამ სწორედ ადამიანის მიერ ბუნების შეცვლა და არა მარტოდ ბუნება როგორც ასეთი წარმოადგენს ადამიანის აზროვნების უარსებითესსა და უახლოეს საფუძველს, და ადამიანის აზროვნებაც იმდენად იზრდებოდა, რამდენადაც ადამიანი ბუნების შეცვლას სწავლობდა“¹.

წარმოდგენა საყოველთაო მიზეზობრივი კავშირის შესახებ, მთელი სინამდვილის კანონზომიერების შესახებ, წარმოიშობა, რასაკვირველია, პოპულარული ინდუქციის საფუძველზე, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანთა პრაქტიკულ ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. შრომის პროცესში ადამიანთა ბუნებაზე მოქმედების პროცესში, რომელსაც ისინი აწარმოებენ ბუნების მოვლენების გარდაქმნისა და მატერიალურ დოვლათის დამზადების მიზნით, რათა თავისი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილონ, ადამიანები იწყებენ საგანთა და მოვლენათა თვისებების შემეცნებას, იწყებენ მათ შორის კავშირების შემეცნებას. შრომის პროცესი მიზანშეწონილი და მიზანდასახული პროცესია. მოვლენათა შორის კავშირების ცოდნის გარეშე, კერძოდ, მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირების ცოდნის გარეშე, შრომის პროცესი არ იქნებოდა ეფექტური, ნაყოფიერი. ბუნების მრავალგვარი მოვლენების გარდაქმნის პროცესში ადამიანს უჩნდება წარმოდგენა მიზეზობრივი კავშირის შესახებ სინამდვილის ყველა სფეროში.

¹ ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 236-7.

ჩვენ რომ პოპულარულ ინდუქციაზე გავჩერებულებიყავით, რომლის მეოხებით რამდენიმე შემთხვევითი დაკვირვებიდან ზოგადი დებულება გამოგვეყავს, ბუნების ერთგვარობის პრინციპი, ბუნების მოვლენების საერთო კანონზომიერება არ იქნებოდა გამართლებული. მაგრამ ადამიანთა პრაქტიკული მოქმედება, ასეული და ათასეული წლების განმავლობაში მილიარდჯერ და მილიარდჯერ კავშირების განმეორება, რომლებიც ადამიანთა ცნობიერებაში აისახებოდა, სრულიად საკმაო საფუძველია ამ პრინციპის გამართლებისათვის.

პრაქტიკის პრინციპი, შემოტანილი შემეცნების თეორიაში მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მიერ, საბოლოოდ წყვეტს ბუნების ერთგვარობის პრინციპის პრობლემას და საბოლოოდ უკუაგდებს ამ პრინციპის უარყოფის უნაყოფო და სქოლასტიკურ ცდებს ისევე, როგორც ათავისუფლებს ამ პრინციპის დასაბუთებას ლოგიკური შეცდომისაგან.

1. დასკვნა ანალოგიის საფუძველზე. როგორც იყო გარკვეული, ინდუქციური მეთოდები სრულიად გაუგებარი და შეუძლებელი იქნებოდა, ჩვენ რომ წინასწარ არ გვექონოდა აზრი A-სა და a-ს შორის მიზნობრივი კავშირის შესახებ, ან იმის შესახებ, რომ a ახასიათებს A-ს. სინამდვილის მრავალ მოვლენათაგან გარკვეულ გარემოებათა შერჩევა, გარკვეული პირობების შექმნა ექსპერიმენტის დროს და სხვ. გულისხმობს გარკვეულ მსჯელობას, რომლის გამართლების საკითხი არის დასმული. ძალიან ხშირად ეს აზრი ჩნდება პოპულარული ინდუქციის საფუძველზე; მაგრამ ეს აზრი ჩნდება აგრეთვე ანალოგიის საფუძველზე.

ანალოგია საერთოდ მსგავსებას წარმოადგენს. იტყვიან: ერთი საგანი მეორის ანალოგიურია, ე. ი. ერთი საგანი გარკვეულ მიმართებაში მეორის მსგავსია. ამ აზრით ანალოგია არ წარმოადგენს დასკვნის სპეციალურ ფორმას. ამ მხრივ ანალოგია წარმოადგენს ელემენტს ყოველ ინდუქციაში. რა სახისაც უნდა იყოს ინდუქცია, ის ყოველთვის ეყრდნობა არა მხოლოდ გარემოებათა ჩამოთვლას (ან შერჩევას), არამედ ისეთ გარემოებებს, რომლებსაც აქვთ საერთო, ე. ი. მსგავსი ნიშნები, ე. ი. ეყრდნობა ანალოგიას.

ვიწრო აზრით ანალოგია არის გარკვეული სახის დასკვნა. ანალოგია არის დასკვნა, რომელშიც ორი საკნის რამდენიმე ნიშნის მსგავსების საფუძველზე გამოიყვანება დანასკვი ამ საგნების სხვა ნიშნების მსგავსების შესახებ.

ამგვარი დასკვნის ცნობილ მაგალითს წარმოადგენს დასკვნა იმის შესახებ, რომ მარსზე არსებობს ორგანული ბუნება. დედამიწაზე არსებობს ორგანული ბუნება; მარსი ემსგავსება დედამიწას იმიტომ, რომ ის პლანეტაა, მასზე არსებობს ატმოსფერო, მას ახასიათებს დღე-ღამის, ზამთარ-ზაფხულის ცვალებადობა და სხვ. ამიტომ მარსი მსგავსი უნდა იყოს დედამიწის ორგანული ბუნების არსებობაშიც.

გავარკვიოთ ჭერ ანალოგიის ცნება დაწვრილებით. ვთქვათ, გვაქვს ორი საგანი A და B, რომლებიც მსგავსნი არიან გარკვეულ მიმართე-

ბაში a_1, a_2, a_3 და სხვ., ხოლო განსხვავებული არიან სხვა მიმართებაში $b_1, b_2, b_3 \dots$ და სხვ. ამ შემთხვევაში a_1, a_2, a_3 და სხვ. პოზიტიურ ანალოგიას წარმოადგენს, ხოლო b_1, b_2, b_3 და სხვ.—ნეგატიურ ანალოგიას. საქმე ის არის, რომ საგნები შეიძლება მსგავსნი იყვნენ არა მხოლოდ იმით, რომ მათ საერთო ნიშნები აქვთ, არამედ იმითაც, რომ მათ ასეთი და ასეთი გარკვეული ნიშნები არა აქვთ. საგნებზე ამბობენ, რომ ისინი ამ ნიშნების მიმართ ანალოგიურნი არიან, ხოლო თვით ნიშნებზე კი ამბობენ, რომ ისინი ანალოგიას წარმოადგენენ. ჩვენ ხშირად არ ვიცნობთ ყველა ამ ნიშანს, ვიცნობთ მხოლოდ ზოგიერთს. ყველა მსგავსი ნიშნის ერთობლიობას უწოდებენ მთლიან ანალოგიას, ხოლო შეცნობილს — ცნობილ ანალოგიას. ცნობილი ანალოგია ნაწილია მთლიანი ანალოგიის.

დასკვნა ანალოგიის საფუძველზე მიმდინარეობს ასე: რადგან A და B საგნებს ესა და ეს (მაგ. a_1, a_2, a_3) ნიშნები მსგავსი აქვთ, ამიტომ მათ სხვა ნიშნებიც (ნიშანიც) — მაგალითად $a_4, a_5 \dots$ — მსგავსი ექნებათ; ან: რადგან A და B საგნებს ესა და ეს ნიშნები არა აქვთ (მაგალითად, b_1, b_2, b_3), ამიტომ მათ არც დანარჩენი ნიშნები (ნიშანი) — მაგალითად, $b_4, b_5 \dots$ — არ ექნებათ.

განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი დასკვნის მაგალითი; წანამძღვრებში მოცემულია ორი საგნის — დედამიწა, მარსი — მსგავსი ნიშნები; ამის გარდა ცნობილია, რომ ერთ-ერთ საგანს ახასიათებს გარკვეული ნიშანი — ორგანული ბუნების არსებობა —; რადგან ეს ორი საგანი რიგი ნიშნებით მსგავსია, დავასკვნათ, რომ პირველი საგნის ეს ნიშანიც უნდა მეორე საგანსაც ახასიათებდეს.

ლოგიკოსების ერთი ნაწილი თვლის ანალოგიას ინდუქციურ დასკვნად; ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ დასკვნა ანალოგიის საფუძველზე სააღბათოდ დასკვნაა; გარდა ამისა ეს დასკვნა ემორჩილება ინდუქციის პრინციპს: ერთი და იგივე მიზეზები — ამ შემთხვევაში, ერთი და იგივე ნიშნები — ერთსა და იმავე შედეგებს უნდა იწვევდნენ.

მაგრამ ანალოგიის საფუძველზე დასკვნის ზუსტი განხილვა დაგვარწმუნებს საწინააღმდეგოში: ეს დასკვნა თავისებური ფორმის დედუქციური დასკვნა უნდა იყოს. ის გარემოება, რომ დედუქციური დასკვნა ამ შემთხვევაში სააღბათოდ დანასკვს გვაძლევს, წანამძღვრების თავისებურებაზეა დამოკიდებული. საქმე ის არის, რომ საშუალო ტერმინი კატეგორიულ სილოგიზმში

$$\begin{array}{c} M—P \\ S—M \\ \hline S—P \end{array}$$

იგივეობრივი უნდა იყოს. ანალოგიის საფუძველზე დასკვნაში კი ნამდვილი საშუალო ტერმინი არსებითად არა გვაქვს: აქ ორი მსგავსი ტერმინია:

M-ს (a, b, c) ახასიათებს ნიშანი P
S ემსგავსება M-ს a, b, c ნიშნებით

S-ს ალბათ აქვს ნიშანი P

M-ით აღნიშნულია დედამიწა თავისი ნიშნებით (პლანეტა, ატმოსფერო, დღე-ღამის, ზამთარ-ზაფხულის ცვლა და სხვ.); S-ით აღნიშნულია მარსი. მაგრამ ნიშნები a, b, c პირველსა და მეორე წანამძღვრებში არ არიან იგივეობრივი, არამედ მხოლოდ მსგავსნი არიან, ცოდნა მარსზე ატმოსფეროს არსებობის შესახებ საერთოდ ბევრს არაფერს მოგვცემს მასზე ორგანული ბუნების არსებობაზე დასკვნისათვის, თუ არ ვიცით ამ ატმოსფეროს შედგენილობა. იგივე ითქმის ყველა დანარჩენი ნიშნის შესახებ. ამიტომ ანალოგიის საფუძველზე დასკვნის სქემა ნამდვილად ასეთი სახის უნდა იყოს:

M-ს (a, b, c) აქვს ნიშანი P
S-ს აქვს M-ის მსგავსი ნიშნები a₁, b₁, c₁

S-ს აქვს ალბათ ნიშანი P

ნათელია, რომ ამ შემთხვევაში დასკვნა არ იქნება სარწმუნო. დანაკვეთი ახალი ცოდნა არის მოცემული; ეს ახალი ცოდნა ეხება არა ახალ საგნებს შედარებით იმ საგნებთან, რომლებზედაც საუბარია წანამძღვრებში, არამედ ახალ კავშირს, სახელდობრ, კავშირს S-სა და P-ს შორის, რომელიც წანამძღვრებში მოცემული არ არის.

ცნობილი ანალოგიიდან მთლიან ანალოგიაზე დასკვნა მაშინ იქნება მართებული, თუ მოცემული ნიშნები იგივეობრივია, თუ ისინი გამოხატავენ საგანთა არსებას, მათ კანონზომიერებას. ამ შემთხვევაში ეს დასკვნა უკვე ნამდვილი სახის დედუქტიურ დასკვნას წარმოადგენს. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ეს დასკვნა გვაძლევს მხოლოდ სააღბათო დანასაკვს.

ალბათობის ხარისხი დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე: 1) მსგავსი ნიშნების რაოდენობაზე, სულ ერთია, იქნება ეს პოზიტიური თუ ნეგატიური ანალოგია; 2) მსგავსება თუ სჭარბობს განსხვავებას; 3) მსგავსი ნიშნების მნიშვნელობაზე; 4) ნიშნების კონკრეტული ხასიათის ცოდნაზე.

ანალოგიის საფუძველზე დასკვნის დროს უნდა გაეწიოს ანგარიში კონკრეტულ პირობებს, განსხვავებული სფეროების, საგნების კანონზომიერებასა და სხვ. ასე, მაგალითად, ადამიანისა და ცხოველის მსგავ-

სების (ბიოლოგიური) საფუძველზე არ შეიძლება დავასკვნათ მათ მსგავსებაზე სხვა ნიშნებში. მრავალ ბურჯუაზიულ სოციოლოგს, ასრულებს რა თავისი კლასის სოციალურ დაკვეთას, გადააქვს ცხოველთა სამეფოს კანონზომიერება ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; მენშევიკები, რომლებიც ანალოგიას აღნიშნავდნენ ბურჯუაზიულ რევოლუციებსა და 1905 წ. რევოლუციას შორის, ამტკიცებდნენ, რომ ამ რევოლუციის ხელმძღვანელი ლიბერალური ბურჯუაზია უნდა იყოს. ლენინმა დაასაბუთა, რომ ეს ანალოგია უსაფუძვლოა: გაითვალისწინა რა კონკრეტული პირობები და აღნიშნა რა ამ რევოლუციის ბურჯუაზიულ-დემოკრატიული ხასიათი, ლენინმა დაამტკიცა, რომ რევოლუციის ხელმძღვანელი უნდა იყოს პროლეტარიატი.

2. ჰიპოთეზი. ინდუქციური მეთოდების განხილვისას აღნიშნული იყო, რომ მათი საშუალებით თუ შეიძლება მოვლენათა შორის კავშირის ფაქტის დადგენა, ხშირად შეუძლებელი ხდება ინდუქციით ამ კავშირის ახსნა. ასე, მაგალითად, ინდუქციის მეთოდით დადგინდა, რომ ცისარტყელას ფერები ჩნდება მზის სხივის გავლისას გარკვეული ფორმის გამჭვირვალე სხეულში, მაგრამ ამ ფაქტის ახსნა, ე. ი. რატომ ხდება ეს, ინდუქციის არ შეუძლია.

რასაკვირველია, საკითხი „რატომ“, „რის გამო“ გულისხმობს პასუხს: ამა და ამ მიზეზის გამო. ყურადღება უნდა მიექცეს აქ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. მეცნიერული ინდუქციის მეთოდების გამოყენება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც აზრი ამ მიზეზის შესახებ უკვე არის შექმნილი: თუ არა გვაქვს აზრი გარკვეულ მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირის შესახებ, შეუძლებელი იქნებოდა ინდუქციური მეთოდებისათვის მიგვემართა, ექსპერიმენტა დაგვეყენებია. ინდუქციური მეთოდების გამოყენების მიზანია მეტი თუ ნაკლები ალბათობით დაასაბუთოს ესა თუ ის აზრი მიზეზის შესახებ, რომელიც მკვლევარს გაუჩნდა. რ. ბეკონს რომ არ ჰქონოდა წინასწარი აზრი ცისარტყელას ფერების წარმოშობის შესახებ, სახელდობრ, აზრი იმის შესახებ, რომ ეს ფერები ჩნდება ალბათ მზის სხივის წვიმის წვეთებში გავლის გამო, ის არ მოახდენდა დაკვირვებას ანალოგიურ შემთხვევებზე, როგორც მზის სხივის გავლა ნამის წვეთში, წყლის მტვერში წყალვარდნილთან და სხვ. ინდუქციამ გაამართლა, დაასაბუთა ეს წინასწარი აზრი. გამართლდა თუ არა ეს აზრი, დაიბადა მეორე საკითხი: რატომ ხდება ეს, რატომ ჩნდება ეს ფერები მზის სხივის გავლისას წვიმის წვეთში? ამ კითხვაზე პასუხი ასეთი უნდა ყოფილიყო: ალბათ იმიტომ, რომ მზის სხივი რთული შედგენილობისაა; შემდეგ: ამ ფერების შერევა თეთრ ფერს იძლევა და სხვ. ასეთი ახსნა ხელახალ გამართლებას მოითხოვს და ეს გარემოება ისევ განსაზღვრავს ინდუქციის მეთოდების გამოყენებას. ე. ი. ახსნის მომენტი ვარაუდის სახით

წინ უსწრებს მეცნიერული ინდუქციის მეთოდების გამოყენებას. ამ წინასწარ ვარაუდს, რომლითაც სვენ ვედილობთ ავხსნათ მოვლენება. ჰიპოთეზი ეწოდება.

მენდელეევიმა გენიალური აღმოჩენა გააკეთა. დიდი „მეცნიერული დეაწლი შეასრულა“ (ენგელსი) როდესაც ივარაუდა, რომ ქიმიური ელემენტების თვისებები მათ ატომურ წონაზეა დამოკიდებული. ამ ჰიპოთეზის მიხედვით მან დააღაგა ელემენტები ერთ მთლიან სისტემაში; მრავალრიცხოვანი ფაქტებით დადასტურებული მენდელეევის პერიოდული სისტემა ქიმიური მოვლენების ახსნას საფუძვლად დაედო.

მარქსის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზი კაპიტალისტური საზოგადოების არსების შესახებ, და უკვე „კაპიტალის“ გამოცემით ბოწყინვალედ გამართლებული, საფუძვლად დაედო საზოგადოებრივი მოვლენების ახსნას.

ჰიპოთეზი საერთოდ ნიშნავს გარკვეულ აზრს მოვლენის მიზეზის შესახებ. მეცნიერებაში ჰიპოთეზი წარმოადგენს მეცნიერული კვლევის რთულ მეთოდს; ის გვაძლევს მოვლენის მიზეზის სააღბათო ცოდნას და ამით ამ მოვლენის ახსნის სააღბათო პრინციპს.

როდესაც მოვლენის მიზეზი მოცემულია სიცხადით თვით გარემოთი, ჰიპოთეზის აგება ზედმეტია. მაგრამ ამისთანა შემთხვევები არა თუ იშვიათია, არამედ იქნებ არც არსებობენ. უმრავლეს შემთხვევაში მოვლენათა მიზეზები არ არის უშუალოდ მოცემული და ხშირად პრინციპულადაც არ შეიძლება იყოს მოცემული. ასე, მაგალითად, მთების წარმოშობის მიზეზი, მზის სისტემის, დედამიწაზე ორგანული ბუნების ადამიანის წარმოშობის და სხვ. და სხვ. მიზეზი პრინციპულად არ შეიძლება უშუალოდ იყოს მოცემული.

ამგვარ მოვლენების ასახსნელად აგებენ ჰიპოთეზებს, ე. ი. წამოყენებენ დებულებათა სისტემას მოცემულ მოვლენათა მიზეზის შესახებ, რომელსაც შეუძლია ახსნას ეს მოვლენა.

მეცნიერული ჰიპოთეზის აგებისათვის საჭიროა პირველ რიგში იმ მოვლენების ყოველმხრივი შესწავლა, რომლებსათვისაც შენდება ჰიპოთეზი. კაპიტალისტური საზოგადოების მოვლენების ასახსნელად მარქსს დასჭირდა ამ საზოგადოების და საერთოდ კაცობრიობის ისტორიის უამრავი ფაქტისა და მოვლენის შესწავლა; მზის სისტემის წარმოშობის ჰიპოთეზის ასაგებად საჭიროა იმ ფაქტებისა და მოვლენების ზუსტი შესწავლა, რომლებიც მზის სისტემას ახასიათებენ; იმისათვის, რომ ავაგოთ ჰიპოთეზი ადამიანის რაიმე დაავადების მიზეზის შესახებ (ე. ი. დავსვათ დიაგნოზი, როგორც ექიმები იტყვიან), უნდა ყოველმხრივად და ზუსტად შევისწავლოთ ავადმყოფობის სიმპტომები და სხვ.

მხოლოდ იმის შემდეგ, რაც გარკვეული მასალა შესწავლილია, შე-

ორივე [1), 2)] შემთხვევაში დასკვნა არ არის წესიერი; დანასკვნა შესაძლებელია ჰემმარიტი აღმოჩნდეს, მაგრამ შესაძლებელია მცდარიც იყოს. რასაკვირველია, თუ ჰიპოთეზს შევფასებთ მხოლოდ დასკვნის ფორმალური მხარის თვალსაზრისით, მივიღებთ შედეგად, რომ მას არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს შემეცნების პროცესში. მაგრამ ცნობილია, რომ მეცნიერების განვითარება ჰიპოთეზების საშუალებით ხდება. „ბუნების მეცნიერების განვითარების ფორმა, რამდენადაც იგი აზროვნებს, არის ჰიპოთეზი. დაკვირება აღმოაჩენს რომელიმე ახალ ფაქტს, რომელიც შეუძლებელს ხდის იმავე ჯგუფის ფაქტების ახსნის უწინდელ ხერხს. ამ მომენტიდან საჭირო ხდება ახსნის ახალი ხერხები, რომლებიც თავიდან ჯერ მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ფაქტებსა და დაკვირვებებს ეყრდნობა. შემდგომი დაკვირვების მასალა სწმენდს, ხეწავს ამ ჰიპოთეზებს, ერთს მოაცილებს, მეორეს შეასწორებს, სანამ, დაბოლოს, კანონი წმინდა სახით დადგინდება. ჩვენ რომ ვუტყალოთ, სანამ მასალა კანონისათვის წმინდა სახით მზად იქნება, ეს იმას ნიშნავს, მოაზროვნე კვლევა მანამდე შევაჩეროთ, მაშინ კი მარტო ამის გამოც ვერასოდეს კანონს ვერ მივიღებდით“¹.

იმისდა მიუხედავად, რომ დასკვნის ფორმები, რომლებსაც ჰიპოთეზის აგებისას გამოვიყენებთ, არ არიან წესიერი, ჰიპოთეზი მაინც მეცნიერების განვითარების ფორმას წარმოადგენს. აიხსნება ეს გარემოება იმით, რომ დასკვნის აღნიშნული ფორმებით არ ამოიწურება ჰიპოთეზის არსება.

მასალის ზუსტი შესწავლა, მოვლენათა დამახასიათებელ თვისებათა ანალიზი, გარემოებათა, პირობების და სხვ. გათვალისწინება გვაძლევს შესაძლებლობას მეტი ან ნაკლები ალბათობით დაეასკვნათ შედეგის არსებობიდან საფუძვლის არსებობაზე, ან პრელიკატების მსგავსებიდან სუბიექტების მსგავსებაზე. წანამძღვრები

რკინა ატარებს ელექტრობას
ოქრო ატარებს ელექტრობას

რასაკვირველია, არ გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ რკინა არის ოქრო. მაგრამ, თუ ჩვენ შევისწავლეთ ტალღობრივი მოძრაობა და ვიცით, რომ მას ახასიათებს არეკვლა, გარდატეხა, ინტერფერენცია და სხვ., და თუ ჩვენ ვიცით, რომ ამა და ამ მოვლენას (მაგ. სინათლეს) ახასიათებს იგივე ნიშნები, ჩვენ შეგვიძლია მეტი ან ნაკლები ალბათობით დავასკვნათ, რომ ეს მოვლენაც ტალღობრივ მოძრაობას წარმოადგენს.

¹ ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 248.

ველკანების, გეიზერების, ცხელი წყაროების და სხვ. შესწავლამ მიიყვანა მკვლევარები დასკვნამდე, რომ დედამიწის სიღრმეში მაღალი ტემპერატურაა; აქ დასკვნას ვაკეთებთ პრედიკატების მსგავსებიდან სუბიექტების მსგავსებაზე.

მაგრამ მეცნიერული კვლევა ამ საფეხურზე ჯერ არ არის დამთავრებული. მართალია, ჰიპოთეზი შენდება მასალის ზუსტი და ღრმა შესწავლის საფუძველზე; მაგრამ: 1) ცოდნის განვითარების გარკვეულ ეტაპზე მკვლევარისათვის არ არის ხშირად ცნობილი მოცემული კლასის ყველა ფაქტი. „დაკვირვება აღმოაჩენს რომელიმე ახალ ფაქტს, რომელიც შეუძლებელს ხდის იმავე ჯგუფის ფაქტების ახსნის უწინდელ ხერხს“. არ არის იმის გარანტია, რომ ცნობილი ფაქტების ყველა მხარე გათვალისწინებულია; 2) ერთი და იგივე მოვლენა შესაძლებელია გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით.

მეცნიერული კვლევის შემდეგი ნაბიჯი მდგომარეობს ჰიპოთეზის შემოწმებაში. ჯერ ერთი, უნდა გამოიყვანოთ ნავარაუდები მიზეზიდან ყველა შესაძლებელი შედეგი, ე. ი. უნდა დაისვას საკითხი, რა შედეგები გვექნებოდა, ნავარაუდები მიზეზი ნამდვილად რომ არსებულებოდა. ამ შემთხვევაში აზრის სვლა დედუქციური დასკვნის ფორმაში ჩამოყალიბდება, სახელდობრ, პირობით-კატეგორიული დასკვნის ფორმაში. თუ ჰიპოთეზი ჭეშმარიტია, ე. ი. თუ ნავარაუდები მიზეზი ნამდვილად არსებობს, მაშინ ასეთი და ასეთი შედეგებიც უნდა არსებობდეს. ამ შედეგების არარსებობა ანდა მით უმეტეს, ამ შედეგების საწინააღმდეგო ფაქტების არსებობა საფუძველია ჰიპოთეზის უარყოფისათვის.

მარქსიზმში უარყოფილია ამ გზით მცდარი ჰიპოთეზი იმის შესახებ, რომ საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელი მიზეზი არის მოსახლეობის სიმჭიდროვე.

საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელი ძალა რომ მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე ყოფილიყო, მაშინ მას უნდა გამოეწვია საზოგადოებრივი წყობის მაღალი ტიპი. მაგრამ ასეთი შედეგი სინამდვილეში არ მართლდება: ბელგიაში მოსახლეობის სიმჭიდროვე 26-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საბჭოთა კავშირში, ხოლო ბელგია ჩამორჩა საბჭოთა კავშირს მთელი ისტორიული ეპოქით.

ერთ-ერთი საფუძველი, რომლის გამო კანტის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზი მზის სისტემის წარმოშობის შესახებ უკუგდებულა. იყო ფაქტი ნეპტუნის თანამგზავრის შებრუნებული მოძრაობა, რაც ეწინააღმდეგებოდა კანტის ჰიპოთეზიდან გამომდინარე შედეგებს.

უფრო რთულია საკითხის გადაწყვეტა იმ შემთხვევაში, როდესაც ფაქტები აღასტურებენ ჰიპოთეზიდან გამომდინარე შედეგებს. ამ შემთხვევაშიც აზრის სვლა ჩამოყალიბდება პირობით-კატეგორიული დასკვნის ფორმაში:

დანასკვი „A არის“ არ იქნება მართებული. ამიტომ მეცნიერული კვლევის მიზანია გამოარქვიოს B-ს ყველა შესაძლებელი მიზეზი და მათგან გამომდინარე შედეგების შემოწმებით ექსპერიმენტულად და საერთოდ პრაქტიკაში გამორიცხოს თანდათანობით ის ნაწარადევი მიზეზები, რომელთა გამართლება არ მოხერხდა.

როგორც ჩანს, ჰიპოთეზი, როგორც მეცნიერული კვლევის რთული მეთოდი, არც მხოლოდ ინდუქციურია და არც მხოლოდ დედუქციურია. როგორც ვნახეთ, ჰიპოთეზის ჩამოყალიბების დროს მონაწილეობას იღებს როგორც დედუქცია, ისე ინდუქცია. მხოლოდ დედუქცია, ისევე როგორც მხოლოდ ინდუქცია, ცალმხრივია. არც ერთს ცალკეულად აღებულს არ შეუძლია უზრუნველყოს ცოდნის განვითარება. ჰიპოთეზი, როგორც მეცნიერული ცოდნის განვითარების ფორმა დედუქციისა და ინდუქციის კავშირს წარმოადგენს.

ჰიპოთეზი, გამართლებული ექსპერიმენტალურად, გამართლებული პრაქტიკით, მეცნიერულ თეორიას წარმოადგენს.

1. აზროვნების კანონების არსება. წინა თავებით, სადაც განხილულია ლოგიკის ძირითადი საკითხები, აზროვნების ლოგიკური კანონები არ გაგვირკვევია. მაგრამ ცნების, მსჯელობისა და დასკვნის შესახებ მოძღვრების განხილვისას ჩვენ მათ უსათუოდ ვგულისხმობდით და ბევრ შემთხვევაში მათ ვეყრდნობოდით. ასე მაგალითად, ა, e, i და o მსჯელობათა დამოკიდებულების ანალიზის პროცესში ჩვენ დაუადგინეთ, რომ ზოგადდადებითი და ზოგადუარყოფითი მსჯელობა არ შეიძლება ერთდროულად ჭეშმარიტი იყოს, ხოლო ზოგადდადებითი და კერძობითუარყოფითი მსჯელობა არ შეიძლება ერთდროულად მცდარი იყოს. დავადგინეთ ეს დებულებანი ჩვენ შემდეგი წესით: შევარჩიეთ რამდენიმე მსჯელობა და შევადარეთ ისინი ერთმანეთს მათი ჭეშმარიტებისა და მცდარობის თვალსაზრისით; ამის საფუძველზე მივედით ზემოთ აღნიშნულ დასკვნამდე. მართალია, ჩვენ არ გვიხმარია იქ გამოთქმა „აზროვნების კანონი“, მაგრამ არსებითად აზროვნების ორი კანონი დავადგინეთ: 1) ორი კონტრარული მსჯელობა არ შეიძლება ერთდროულად ჭეშმარიტი იყოს და 2) ორი კონტრადიქტორული მსჯელობიდან ერთ-ერთი აუცილებლად ჭეშმარიტი უნდა იყოს.

ახლა ჩვენ საკმარისი მასალა გვაქვს ლოგიკური აზროვნებისა და ლოგიკური ფორმების შესახებ და ამ მასალის ცოდნის საფუძველზე ადვილი გასაგებია მოძღვრება აზროვნების ლოგიკური კანონების შესახებ.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, ეყრდნობა რა მეცნიერებათა მონაცემებს, კაცობრიობის ხანგრძლივ პრაქტიკულ მოღვაწეობას, დაადგენს დებულებას იმის შესახებ, რომ შემეცნებისაგან დამოუკიდებლად არსებობს ობიექტური, მატერიალური სამყარო, რომელიც იცვლება და განვითარებას განიცდის გარკვეული კანონების მიხედვით; შემდეგ: რომ ეს კანონზომიერად ცვალებადი და განვითარების პროცესში მყოფი სამყარო ადამიანთა პრაქტიკის პროცესში აისახება ადამიანთა ცნობიერებაში; რომ არ არსებობენ შეუცნობადი

საგნები სამყაროში. არამედ არსებობენ ჯერ კიდევ შეუცნობელი საგნები, რომლებიც იქნებიან შემეცნებელი მეცნიერებისა და პრაქტიკის ძალებით.

სამყარო კანონზომიერი მთლიანია და მეცნიერული შემეცნება მართულია ამ სამყაროს კანონების აღმოჩენისაკენ, კერძოდ ბუნებისა და საზოგადოების კანონების აღმოჩენისაკენ იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს ბუნებისა და საზოგადოების გარდაქმნა.

ბუნებისა და საზოგადოების კანონები მატერიალურნი არიან. რამდენადაც ეს კანონები ჩვენი ცნობიერების შემოქმედებას კი არ წარმოადგენენ, არამედ არსებობენ ობიექტურ სინამდვილეში და მის ზოგადსა და არსებით ნიშნებს გამოხატავენ.

კანონს ობიექტური ხასიათი აქვს; ადამიანებს არ შეუძლიათ ამ კანონების მოსპობა, გარდაქმნა, შეცვლა; ადამიანებს შეუძლიათ შეეცნონ ეს კანონები და გამოიყენონ თავის პრაქტიკულსა და თეორიულ მოღვაწეობაში. კანონი არსებობს და მოქმედებს, მანამ არსებობს ის საგანი, საგანთა ის კლასი, რომლის კანონს წარმოადგენს იგი. ფეოდალური საზოგადოების განვითარების კანონი არსებობს და მოქმედებს. მანამ არსებობს ფეოდალური საზოგადოება და ამ საზოგადოების კაპიტალისტური საზოგადოების შეცვლით შეიცვლება ეს კანონიც, ის დაუთმობს ადგილს ახალ კანონს, კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების კანონს. მაგრამ თუ არსებობს ისეთი საგანი ან საგანთა ისეთი კლასი, რომლის არსებობა მარადიულია, რომელიც არ მოისპობა, ნათელია ისიც, რომ მისი კანონიც არ შეიცვლება, ისიც მარადიული იქნება; ასეთია, მაგალითად, მიზიდულობის კანონი. რადგან საგანთა ის კლასი, რომლის კანონს მიზიდულობის კანონი წარმოადგენს, მარადიულია.

მატერიალიზმის საწინააღმდეგოდ იდეალიზმი უარყოფს ბუნებისა და საზოგადოების კანონების ობიექტურ ხასიათს. ბუნების კანონები იდეალიზმის თვალსაზრისით ადამიანის ცნობიერების, მისი აზროვნების კანონებია. კანტი — XVIII-XIX საუკუნის გერმანული იდეალიზმის მამამთავარი — ამტკიცებდა, რომ ცნობიერება კი არ ასახავს ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებას, არამედ ადამიანის გონება უკარნახებს ბუნებას კანონებს. ეს კანონები აპრიორული ხასიათის არიან, ისინი ცდას წინ უსწრებენ და ცდას შესაძლებლად ხდიან. ეს კანონები ჩვენი გონების კანონები — აგებენ სინამდვილეს მისი ფორმის მიხედვით; ე. ი. სინამდვილის კანონზომიერებას ქმნიან. კანტის მიმდევრები კი XIX ს. მიწურულში და XX ს. დასაწყისში ამტკიცებდნენ, რომ მთელი სინამდვილე როგორც ფორმით, ისე შინაარსით წმინდა აზრის მიერ არის აშენებული. კანონი, — ეთანხმება კანტიანელებს ცნობილი სუბიექტური იდეალისტი პირსონი, — ადა-

ზიანის გონების შემოქმედებაა. მახისტი ბოგდანოვი, რომლის რეაქციული თვალსაზრისი ბოლომდე ამხილა ლენინმა „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ წერდა, რომ საყოველთაო მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს საყოველთაო კანონს, რომელსაც ადამიანის გონება უკარნახებს ბუნებას.

თუ ბუნებას არა აქვს თავისი საკუთარი კანონზომიერება, თუ ე. წ. „ბუნების კანონებს“ არა აქვთ არავითარი კავშირი ნამდვილ, ობიექტურ სინამდვილესთან, მით უმეტეს აზროვნების ლოგიკურ კანონებს არ ექნებათ კავშირი, დამოკიდებულება ობიექტურ სინამდვილესთან: ისინიც ცდისაგან დამოუკიდებელნი არიან. ამ მხრივ არავითარი განსხვავება არ არსებობს ბუნებისა და აზროვნების კანონებს შორის.

იდეალიზმის თანამედროვე წარმომადგენლები არ კმაყოფილდებიან ამგვარი სუბიექტივიზმით და აგნოსტიციზმით: ისინი უფრო შორს მიდიან. კანონებს არა თუ არა აქვთ ობიექტური სასიათი, ისინი არც ადამიანის აზროვნებისათვის არიან აუცილებელნი. კანონები ადამიანის აზროვნების თავისუფალ შემოქმედებას წარმოადგენენ: ადამიანები ქმნიან კანონებს ისევე, როგორც თამაშის წესებს; ამ წესების დადგენა, შეცვლა, მოსპობა ადამიანზე არის დამოკიდებული. ისინი შეთანხმების საფუძველზე არიან დადგენილი. მეცნიერთა შეთანხმებაზე არის დამოკიდებული რა კანონები იქნება დადგენილი და ამის საფუძველზე აიგება სინამდვილის სურათი, მეტიც. თვით სინამდვილე, რადგან სინამდვილე სხვა არაფერია, გარდა იმისა, რასაც ადამიანის აზროვნება ქმნის.

დასკვნა თანამედროვე რეაქციული, ბურჟუაზიული ფილოსოფიის ასეთია: სინამდვილე ან მთლად აზროვნების მიერ არის შექმნილი და ამ შემთხვევაში არ არსებობს არაფერი გარდა აზროვნებისა, არ არსებობს ობიექტური რეალობა, არ არსებობს მისი შემეცნება, არ არსებობს კაცობრიობის ისტორია, მისი მეცნიერების და ტექნიკის განვითარება, არ არსებობს ადამიანთა შემოქმედება ბუნებაზე, სინამდვილეზე მისი გარდაქმნის მიზნით, ანდა სინამდვილე არსებობს, მაგრამ ის ყოველივე კანონზომიერების გარეშეა, ის მოვლენათა (შეგარძნებათა) უწყესრიგო ქაოსს წარმოადგენს, და ადამიანის აზროვნება ქმნის კანონებს, შეაქვს ამ ქაოსში კანონზომიერება, აწყესრიგებს მას, და ამით ქმნის თავის თავისთვის სურათს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ნამდვილ სინამდვილესთან.

ამ რეაქციულს, სუბიექტურ-იდეალისტურსა და აგნოსტიკურ თვალსაზრისს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია უპირისპირებს პრინციპულად განსხვავებულ მსოფლმხედველობას: ობიექტური სინამდვილის, ბუნებისა და საზოგადოების კანონები ობიექტურად არსებობენ. შემეცნების პროცესში ეს კანონები აისახებიან ადამიანთა ცნობიერ-

ბაში; ამ კანონებზე დაყრდნობით ადამიანებს შეუძლიათ დაეუფლონ ბუნებას, გარდაქმნან ბუნება და საზოგადოება ადამიანთა საკეთილდღეოდ.

აზროვნებაც სინამდვილის ნაწილს წარმოადგენს: მართალია, ის თავისებური სახის სინამდვილეა, ისიც არსებობს, მაგრამ მისი არსებობის ფორმა განსხვავდება ბუნებისა და საზოგადოების არსებობისაგან. მისი თავისებურება და არსება იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია არსებობა, როგორც ობიექტური სინამდვილის ასახვა. ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეს ასახვა თავისებურია: აზროვნება არის ობიექტური სინამდვილის განზოგადებული და გაშუალებული ასახვა. ამ თავისებურებით განსხვავდება აზროვნება, მაგალითად, აღქმებისა და წარმოდგენებისაგან.

აზროვნების ეს თავისებურება მიუთითებს მისი კანონზომიერების თავისებურებას. ამიტომ ბუნებისა და საზოგადოების კანონების გაიგვება აზროვნების ლოგიკურ კანონებთან შეუძლებელია¹.

ლოგიკა იკვლევს იმას, თუ როგორ ვაზროვნებთ ჩვენ შემეცნების პროცესში; ის იკვლევს აზრის ფორმებს, აზრთა კავშირის პროცესს, აზრთა აღნაგობას ობიექტური სინამდვილის შემეცნების პროცესში; ის იკვლევს აზრთა არა ყოველივე კავშირს, არა მათ ყოველგვარ მიმდინარეობას, არამედ ისეთ ფორმებსა და აზრთა ისეთ კავშირებს, რომელთა საშუალებით განხორციელდება შემეცნების პროცესი. რომლებიც ისეთ დასკვნებთან მიგვიყვანენ, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამებოდნენ. თუ ჩვენი წანამძღვრები ჭეშმარიტია და თუ მათ მიმართ სწორად არის გამოყენებული აზროვნების კანონები, მაშინ დასკვნები უნდა შეესაბამებოდნენ სინამდვილეს. ჩვენ გამოვიყენებთ ჭეშმარიტი წანამძღვრების მიმართ აზროვნების კანონებს და არა ბუნებისა და საზოგადოების კანონებს.

იბადება საკითხი, თუ რას წარმოადგენენ აზროვნების კანონები.

¹ დებულება იმის შესახებ, რომ აზროვნების ლოგიკური კანონების გაიგვება ბუნებისა და საზოგადოების კანონებთან შეუძლებელია, გულისხმობს შემდეგს: ბუნების კანონი, მაგალითად, მიზიდულობის კანონი არ არის აზროვნების კანონი; სოციალიზმის ან კაპიტალიზმის ძირითადი კანონი არ არის აზროვნების კანონი; აზროვნება შეიცნობს, ასახავს ამ კანონებს როგორც ბუნების კანონს, როგორც ამა თუ იმ საზოგადოების კანონს, მათ დაეყრდნობა მოვლენათა ახსნის დროს, მომავალი მოვლენების გათვალისწინების დროს და სხვ. მაგრამ აზროვნების ლოგიკური ფორმები და მათი კანონები არ ემთხვევა დასახელებულ კანონებს.

რაც შეეხება დიალექტიკის ძირითად კანონებს, რომლებიც მთელი სინამდვილის — ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების — განვითარების ძირითად კანონებს გამოსახავენ, ისინი ისეთ კანონებს წარმოადგენენ, რომლებსაც ექვემდებარება არა მხოლოდ ბუნებისა და საზოგადოების განვითარება, არამედ შემეცნების განვითარებაც.

ხომ არ არიან ისინი, მართლაც აპრიორული კანონები, რომლებიც ობიექტური სინამდვილით, პრაქტიკით არ არიან განსაზღვრულნი? რასაკვირველია, არა; ისინი ისევე არიან ობიექტური სინამდვილით, ადამიანთა პრაქტიკით განსაზღვრული, როგორც ყველაფერი დანაზღვრული ადამიანის აზროვნებაში.

„ფილოსოფიურ რვეულებში“ ლენინი რამდენჯერმე ეხება ამ საკითხს და მას საბოლოოდ წყვეტს. ადამიანის პრაქტიკა, წერს ლენინი, მილიარდჯერ განმეორებული, აისახება ადამიანის ცნობიერებაში ლოგიკის ფიგურებით; ამ უკანასკნელთ აქსიომატური ხასიათი აქვთ სწორედ ამ მილიარდჯერ განმეორების გამო.

სხვა ადგილას ლენინი ამავე აზრს უსვამს ხაზს: ადამიანის პრაქტიკულ მოღვაწეობას მილიარდჯერ უნდა მიეყვანა ადამიანის ცნობიერება ამ ფიგურების განმეორებამდე, რათა მათ აქსიომების ხასიათი მიეღო¹.

პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში ადამიანები შეიცნობენ სინამდვილეს და შემეცნების პროცესში აზროვნებენ. აზრთა კავშირის პროცესი, აზრთა აგებულება შესაძლებელია სწორი იყოს, შესაძლებელია მცდარი იყოს. პირველ შემთხვევაში შემეცნება განხორციელდება, მეორეში არა. პირველ შემთხვევაში ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების პროცესი ნაყოფიერი იქნება, მეორე შემთხვევაში ადამიანი ვერ აღწევს თავის მიზანს. კაცობრიობის პრაქტიკული მოღვაწეობის ხანგრძლივი ისტორიის პროცესში ჩამოყალიბდნენ ადამიანის ცნობიერებაში გარკვეული ფორმები, ფიგურები, აქსიომები, კანონები ობიექტური სინამდვილის მოვლენებით, მათი კავშირებით განსაზღვრული.

შემეცნების საგანი არის არა მხოლოდ ობიექტური სინამდვილე-არამედ აგრეთვე ადამიანის აზროვნება. „აზროვნების ერთადერთი შინაარსი, წერდა ენგელსი, არის სამყარო და აზროვნების კანონები“². შემეცნების საგანი არის არა მხოლოდ ფიზიკური, ქიმიური და სხვ. პროცესები, არამედ შემეცნების საგანს წარმოადგენს ისიც, თუ როგორ აისახება ეს პროცესები ადამიანის ცნობიერებაში და ამიტომ ისიც, რასაც აზროვნების ლოგიკური კანონები წარმოადგენენ. არსებობს ორგვარი ცდა, აღნიშნავდა ენგელსი, ცდა გარეგანი, მატერიალური და შინაგანი — აზროვნების ფორმები და კანონები³; გარეგანი სამყარო არის ან ბუნება, ან საზოგადოება⁴.

შინაგანი ცდა გვაძლევს ცოდნას აზროვნების ფორმებზე და კა-

¹ В. И. Ленин, Философские тетради, 1947, გვ. 164.

² Энгельс, Анти-Дюринг, 1938, გვ. 285.

³ იგივე, გვ. 286.

⁴ იგივე, გვ. 287.

ნონებზე. მაგრამ შინაგანი ცდა დამოკიდებულია გარეგანზე, რადგან ყველაფერი ის, რაც აზროვნებაშია, საბოლოოდ, ნასესხებია გარეგანი ცდიდან: ყველა იდეა, წერდა ენგელსი, ნასესხებია სინამდვილის ასახვის გამოცდილებიდან, სულ ერთია — კემპარიტი თუ დამახინჯებული¹.

სწორედ ამიტომ აზროვნების კანონები, თუმცა ისინი აზროვნების გამოცდილებიდან არის გამოყვანილი, სინამდვილის შემეცნებად მიიყვანენ ადამიანს, უზრუნველყოფენ მის პრაქტიკულ მოღვაწეობის ნაყოფიერებას. ეს იმით აიხსნება, რომ აზროვნების მთელი სიმდიდრე აიხსნება ობიექტური სინამდვილის სიმდიდრით; აზროვნების ფორმები და კანონები განსაზღვრულნი არიან ობიექტური სინამდვილით და მას ეთანხმებიან. ასეთი თანხმობა რომ არ ყოფილიყო აზროვნების ლოგიკურ კანონებსა და ობიექტურ სინამდვილეს შორის, ისინი შემეცნებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის ხელის შემწყობი კი არა, ხელის შემშლელები იქნებოდნენ.

ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ქვემოთ აზროვნების კანონებს.

2. იგივეობის კანონი. წინა თავებში გარკვეული იყო ის გარემოება, რომ საგანთა და მოვლენათა შემეცნების პროცესში ჩვენ შევიცნობთ საგანთა და მოვლენათა თვისებებს, მათ ერთმანეთთან კავშირებსა და მიმართებებს, აღმოვაჩენთ მათში ზოგადსა და იგივეობრივს; აზროვნება ახდენს ამ ზოგადისა და იგივეობრივის ფიქსაციას ცნების საშუალებით. ასეთია, მაგალითად, ცნებები ადამიანის, კაპიტალიზმის, ატომის, დემოკრატიის, საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურისა და სხვ. ცოდნის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ამ ცნებებში გარკვეული შინაარსი იგულისხმება. აზროვნების პროცესში ისინი უნდა მოიაზრებოდნენ როგორც ცნებები გარკვეული, დადგენილი შინაარსით. აზროვნება ვერ მიაღწევს თავის მიზანს — სინამდვილის შემეცნებას, — ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობა უნაყოფო იქნება, აზროვნება თუ გამოიყენებს გაურკვეველ ცნებებს, თუ მათ მსჯელობის პროცესში მოიაზრებს ხან ერთი და ხან მეორე შინაარსით.

სოციალიზმის შესახებ მსჯელობის დროს არ შეიძლება ვიგულისხმოთ ამ ცნებაში ხან ნიშანი „ყველას შრომის მიხედვით“. და ხან „ყველას მოთხოვნილების მიხედვით“.

შემეცნების პროცესში, კვლევით მუშაობაში, კამათში ცნებებს, რომლებსაც ჩვენ მოვიზრებთ, უნდა ჰქონდეთ გარკვეული, ზუსტი, მსჯელობის პროცესში იგივეობრივი შინაარსი. მარქსიზმის კლასიკოსები ყოველთვის აქცევდნენ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ

¹ Энгельс, Анти-Дюринг, 1938, гл. 286.

ცნებებს, რომლებსაც ჩვენ გამოვიყენებთ აუცილებლად ზუსტი აზრი უნდა ჰქონდეთ. აკრიტიკებდა რა კაუტსკის, ლენინი აღნიშნავდა, რომ დისკუსიის ჩატარებისას უნდა ზუსტად გავარკვიოთ ცნებები.

ცნების შინაარსის იგივეობა, გარკვეულობა, მისი ერთი აზრით ხმარება მსჯელობის პროცესში — აი რაში მდგომარეობს იგივეობის კანონის აზრი.

იგივეობის კანონი აზროვნების ყველა ფორმაში გამოვლინდება. ასე, მაგალითად, ზოგადდადებითი მსჯელობის ქეშმარიტების საფუძველზე ჩვენ დავადგენთ კერძობით დადებითი მსჯელობის ქეშმარიტებას იმის საშუალებით, რომ კლასის ნიშანი გადაგვაქვს ამ კლასის ნაწილზე მათი იგივეობის მიხედვით გარკვეულ მიმართებაში დასკვნაში

$$\begin{array}{r} M - P \\ S - M \\ \hline S - P \end{array}$$

ჩვენ მოვიხაზრებთ საშუალო ტერმინს როგორც იგივეობრივს; წინამძღვრებში ეს ტერმინი განსხვავებული შინაარსით რომ იხმარებოდეს, დანასკვის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა.

იგივეობის კანონის აზრი სრულიადაც არ მდგომარეობს იმაში, რომ საგნები და მოვლენები იგივეობრივი და მხოლოდ იგივეობრივია: სინამდვილის საგნები და მოვლენები განიცდიან ცვალებადობასა და განვითარებას, არაან ერთმანეთთან მრავალნაირ მიმართებაში და ამიტომ იგივეობრივიც და განსხვავებულიც არიან. ყოველი საგანი გარკვეულობით ხასიათდება; ის გარემოება, რომ მატერია არსებობს გარკვეული საგნებისა და მოვლენების სახით, იმის მაჩვენებელია, რომ ისინი — რამდენადაც ისინი გარკვეულობით ხასიათდებიან — თავის თავთან იგივეობრივნი და ამავე დროს სხვისაგან განსხვავებულნი არიან. ყოველი გარკვეულობა შეიცავს თავისში იგივეობის მომენტთან განსხვავების მომენტს.

სინამდვილის შემეცნებისას ჩვენი აზრი გამოყოფს საგნებში იგივეობრივს, შეიმუშავებს ცნებებს, რომლებიც საგანთა ზოგადისა და იგივეობრივის ფიქსაციას ახდენენ. აზრი მიაკუთვნებს საგნებს ერთ კლასს არა იმიტომ, რომ ეს საგნები აბსოლუტურად იგივეობრივი არიან, არამედ იმიტომ რომ ამ საგნებს იგივეობრივი ნიშნებიც ახასიათებს.

ამ ნიშნების გამოყოფა კი არ ამახინჯებს სინამდვილეს, არამედ უფრო ღრმად ასახავს მას. ერთი ქვეყნის კაპიტალიზმი მრავალი ნიშნით განსხვავდება მეორე ქვეყნის კაპიტალიზმისაგან; XVIII—XIX

საუკ. კაპიტალიზმი განსხვავდება XX საუკ. კაპიტალიზმისაგან: კაპიტალიზმი განიცდიდა განვითარებას საუკუნეთა განმავლობაში, კაპიტალიზმი, ერთ დროს პროგრესული, გადაიქცა ლობად კაპიტალიზმად და სხვ. ამისდა მიუხედავად, კაპიტალიზმს ახასიათებს ზოგადი და იგივეობრივი ნიშნები. აზრი, გამოყოფს რა ამ ზოგადსა და იგივეობრივს, განიხილავს მას როგორც ერთს; და კაპიტალიზმის ჰეშმარიტი ცნება მსჯელობაში უნდა რჩებოდეს სწორედ ამ ცნებად და არ უნდა შეიცვალოს სხვა შინაარსით.

იგივეობის კანონი არ უარყოფს იმას, რომ ცნებები განიცდიან ცვალებადობასა და განვითარებას ცოდნის განვითარებასთან ერთად. ცოდნის განვითარების პროცესში ცნებები იცვლებიან, განიცდიან განვითარებას, მათი შინაარსი იცვლება, ერთი ცნება შეიცვლება მეორით: ცოდნა შეფარდებითია. მაგრამ ცოდნის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ცნება, რომელიც ასახავს საგანთა ზოგადსა და იგივეობრივს, უნდა მოიაზრებოდეს გარკვეული, ზუსტად ფიქსირებული შინაარსით.

აზრი იმის შესახებ, რომ იგივეობის კანონი დიალექტიკის პრინციპებს ეწინააღმდეგება, ჰეგელიდან მომდინარეობს. ჰეგელის აზრით იგივეობის კანონს, რომელიც გამოიხატება ფორმულაში $A = A$, შემდეგი აზრი აქვს: ყველაფერი თავის თავთან იგივეობრივია; აზროვნება განვითარების კანონს ემორჩილება, იგივეობის კანონი კი განვითარების წინააღმდეგია. არც ერთი აზროვნება ასე არ აზროვნებს, არც ერთი ადამიანი არ მსჯელობს ამ კანონის მიხედვით, არც ერთი საგანი არ ემორჩილება ამ კანონს. ამ კანონის მიხედვით მსჯელობები ასე უნდა ჩამოყალიბდეს: A არის A, ხე არის ხე, სული არის სული. იგივეობის კანონი ცარიელი ტავტოლოგიაა და არა კანონი. იმ სკოლამ, რომელიც აღიარებს ამისთანა კანონებს, დიდი ხანია დაკარგა მეცნიერების ნდობა.

ჰეგელის შეცდომა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ის აზროვნების განვითარებას აღიარებს, რომ ერთი ცნება განვითარების პროცესში მეორეში გადადის, არამედ იმაში, რომ მან ვერ გაიგო იგივეობის კანონის ნამდვილი აზრი. ჰეგელი ილაშქრებს ძველი მეტაფიზიკური თვალსაზრისის წინააღმდეგ, რომლის მიხედვით საგანი მხოლოდ იგივეობრივია, სამყაროში არ არის ცვალებადობა, განვითარება.

მაგრამ საქმე ის არის, რომ იგივეობის ლოგიკური კანონი არ უარყოფს არც ცვალებადობას და არც განვითარებას. არის თუ არა სამყაროში განვითარება — ამას იგივეობის კანონს არავინ ეკითხება და არც თვითონ ეს კანონი გამოთქვამს რაიმე აზრს ამის შესახებ. მთელი აზრი, რომელიც ამ კანონში იგულისხმება, იმაში მდგომარეობს, რომ სწორი აზროვნების პროცესში ცნებებს აქვს გარკვეული,

ზუსტი, ერთმნიშვნელოვანი აზრი. და რამდენიც უნდა გააკრიტიკოს ჰეგელმა ეს კანონი, თვითონ ყოველთვის — თუ ის სწორად აზროვნებს — ამ კანონს ემორჩილება. და თუ ჰეგელი დასცინის იმ სკოლას, რომელიც ამგვარ კანონებს აღიარებს, ისიც გასაგები უნდა იყოს, რომ მხედველობაში სწორედ ეს სკოლა აქვს, და ამ სკოლის ცნებას ჰეგელისათვისაც გარკვეული შინაარსი აქვს, რომელსაც ის მოიაზრებს, როგორც გარკვეულ სკოლას და არა რაიმე სხვას.

ჰეგელი ისევე ცდებოდა, როგორც ცდებოდა მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა, რომლის წინააღმდეგ ის იბრძოდა. მეტაფიზიკურმა მსოფლმხედველობამ გადააქცია იგივეობის ლოგიკური კანონი სინამდვილის აბსოლუტურ კანონად, გადააქცია რა ლოგიკური იგივეობა ონტოლოგიურ იგივეობად. „ი გ ი ვ ე ო ბ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი ძველი მეტაფიზიკური აზრით ძველი მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპია: $a = a$. ყოველი ნივთი თავის თავს უდრის. ყველაფერი ზუღმივი იყო, მზის სისტემა, ვარსკვლავები, ორგანიზმები. ბუნების კვლევა ამ პრინციპი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თანდათან უკუაგდო; მაგრამ თეორიის სფეროში ის მაინც კიდევ განაგრძობს არსებობას, და ძველის მომხრენი მას მაინც უპირისპირებენ ახალს: „ნივთი არ შეიძლება ერთდროულად იყოს თვითონაც და იყოს სხვაც“¹.

ნივთი ერთდროულად არის თვითონაც და სხვაც, ყოველ მოვლენაში არის დადებითიც და უარყოფითიც, განვითარების პროცესში ყოველ მოვლენაში არის მზარდი და მომაკვდავიც და სხვ. ასეთია ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი დიალექტიკურ მატერიალისტური მეთოდოლოგიის. ამ პრინციპით უნდა ვხელმძღვანელობდეთ, თუ გვინდა გავიგოთ სინამდვილე და მისი განვითარება. ლოგიკა არ არის მეცნიერებათა მეთოდოლოგია: ის არ არკვევს ამ საკითხს. ის წამოაყენებს მარტივ დებულებას: ცნების შინაარსი მსჯელობის პროცესში არ უნდა შეცვალოთ; თუ ჩვენ მოვლენის ცნებაში ვიგულისხმეთ გარკვეული შინაარსი, სახელდობრ, რომ მასში დადებითი და უარყოფითი მომენტია, ეს აზრი და ეს შინაარსი უნდა გექონდეს მხედველობაში როგორც ცნების შინაარსი მსჯელობის პროცესში.

3. წინააღმდეგობის კანონი. როდესაც ჩვენ ვადარებდით a , e , i და o მსჯელობებს მათი ჰეშმარიტებისა და მცდარობის თვალსაზრისით, ჩვენ დავინახეთ, რომ მსჯელობები a და e , a და o არ შეიძლება ერთდროულად ჰეშმარიტი იყოს, ე. ი. a -ს ჰეშმარიტება განსაზღვრავს e -სა და o -ს მცდარობას. თუ ჰეშმარიტია მსჯელობა, რომ ყველა ლითონი ელექტრობას ატარებს, მაშინ მცდარია მსჯელობები: 1) არც ერთი ლითონი არ ატარებს ელექტრობას, და 2) ზოგიერთი

¹ ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 220.

ლითონი არ ატარებს ელექტრობას. ჩვენ აღვნიშნეთ აქვე, რომ ორი უკანასკნელი მსჯელობა მცდარია, რადგან ეწინააღმდეგება ჭეშმარიტ მსჯელობას. აგრეთვე, დასკვნა

ყველა ლითონი ატარებს ელექტრობას
რკინა ლითონია

რკინა არ ატარებს ელექტრობას

მცდარია, რადგან დანასკვი ეწინააღმდეგება წანამძღვრებს, უფრო სწორედ, ეწინააღმდეგება სწორ დასკვნას. აზრთა კავშირი არ შეიძლება იყოს სწორი, აზრთა მსვლელობა არ შეიძლება იყოს თანმიმდევარი, თუ ის წინააღმდეგობას შეიცავს. წინააღმდეგობისაგან თავისუფალი აზროვნება აუცილებელი პირობაა სინამდვილის შემეცნებისა. რასაკვირველია, ის არ არის შემეცნების საკმარისი პირობა. ეს პრინციპი, რომლის მიხედვით აზროვნების პროცესში არ უნდა იყოს წინააღმდეგობა, არის სწორედ წინააღმდეგობის კანონი. რაში მდგომარეობს ამ კანონის არსება?

შემეცნების პროცესში, თუ სწორად ვაზროვნებთ, ჩვენ არ შეგვიძლია ჭეშმარიტად მივიჩნიოთ ორი საწინააღმდეგო (კონტრალური და კონტრადიქტორული) მსჯელობა, ჩვენ არ შეგვიძლია მივაწეროთ ერთ საგანს ორი საწინააღმდეგო ნიშანი. გაუგებრობის თავიდან ასაცილებად წინააღმდეგობის კანონის ამ ფორმულირებას ავსებენ დროის მომენტის შეტანით; საქმე ის არის, რომ საგანს შეიძლება ერთ დროს ჰქონდეს ერთი ნიშანი, ხოლო სხვა დროს გაუჩნდეს საწინააღმდეგო ნიშანი: მაგალითად, შეიძლება ორი საწინააღმდეგო მსჯელობა იყოს სხვადასხვა დროს ჭეშმარიტი: 1) ივანე არ არის ფრიადოსანი სტუდენტი და 2) ივანე არის ფრიადოსანი სტუდენტი, ანდა 1) ერთ ქვეყანაში არ შეიძლება სოციალიზმის აშენება და 2) ერთ ქვეყანაში შეიძლება სოციალიზმის აშენება. ეს მსჯელობები საწინააღმდეგოა, მაგრამ ორივე ჭეშმარიტია სხვადასხვა დროს. ამიტომ ამ კანონს ასე გამოთქვამენ: არ შეიძლება ორი საწინააღმდეგო მსჯელობა იყოს ჭეშმარიტი ერთსა და იმავე დროს, არ შეიძლება ერთ საგანს მივაწეროთ ორი საწინააღმდეგო ნიშანი ერთსა და იმავე დროს. რასაკვირველია, გაუგებრობის თავიდან ასაცილებად არ არის ზედმეტი დროის მომენტის აღნიშვნა. მაგრამ არსებითად ამ მომენტის შეტანა ზედმეტია, რადგან ორი საწინააღმდეგო ჭეშმარიტი მსჯელობა ეხება ამ შემთხვევაში ორ განსხვავებულ საგანს, რადგან კანონში ნაგულისხმევია ერთი და იგივე საგანი; ამით იგულისხმება უკვე ერთი დრო და არა განსხვავებული.

სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, მიმართებას თუ გავითვალისწინებთ: საგანს შეიძლება ჰქონდეს საწინააღმდეგო ნიშნები განს-

ხვავებული საგნების მიმართ: ივანე შეიძლება იყოს პავლეზე მაღალი და პეტრეზე დაბალი; კაპიტალისტური წარმოების წესი უფრო პროგრესულია ფეოდალურთან შედარებით, მაგრამ მას უკვე საწინააღმდეგო ნიშანი ახასიათებს წარმოების სოციალისტურ წესთან შედარებით. ამატომ წინააღმდეგობის კანონის ფორმულირებაში უნდა იყოს აღნიშნული „ერთსა და იმავე მიმართებაში“. არისტოტელეს მიერ მოცემულ ფორმულირებაში ეს კანონი დაახლოებით ასე არის გამოთქმული: „შეუძლებელია მივაწეროთ საწინააღმდეგო ნიშნები ერთსა და იმავე საგანს ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე მიმართებით.“

ფიქრობდნენ, თითქოს წინააღმდეგობის კანონი დიალექტიკას ეწინააღმდეგება. „საკუთრივ აზრით დიალექტიკა, — ამბობს ლენინი, — არის შესწავლა წინააღმდეგობისა საგანთა თვით დედაარსში“ (ლენინი, „ფილოსოფიური რევულები“, გვ. 263).

რის შესახებ არის აქ საუბარი? იმის შესახებ, რომ ბუნების მოყვლენებს ახასიათებს წინააღმდეგობა, რომ განვითარება განსაზღვრულია დაპირისპირებულთა ბრძოლით. მაგრამ, ცხადია, არა იმის შესახებ, რომ ჩვენ უნდა დაეუშვათ წინააღმდეგობა აზრებში შემეცნების პროცესში. ჩვენ უნდა მოვიაზროთ წინააღმდეგობანი, რომლებიც საგნებსა და მოვლენებშია ისე, როგორც ისინი არსებობენ, მაგრამ არა ისე, რომ მოვიაზროთ მსჯელობა, რომელიც საგანში არსებულ წინააღმდეგობას ასახავს და მასთან ერთად მოვიაზროთ საწინააღმდეგო მსჯელობა და ორივე ეს მსჯელობა ჭეშმარიტად ვალიაროთ.

წინააღმდეგობის კანონი არ უარყოფს იმას, რომ სინამდვილეში არსებობს წინააღმდეგობა, რომ უნდა შევისწავლოთ წინააღმდეგობანი „საგანთა თვით დედაარსში“ — ლოგიკას ამის შესახებ არც ჰკითხავენ და არც თვითონ ისახავს მიზნად ამ საკითხის გადაწყვეტას.

კონკრეტულად: თუ ჩვენ ვალიარებთ, რომ „ბუნების მოვლენებს ახასიათებს წინააღმდეგობა“ ჩვენ — თუ სწორად ვაზროვნებთ — არ შეგვიძლია ვალიაროთ, რომ „ბუნების მოვლენებს არ ახასიათებს წინააღმდეგობა“. თუ პირველი დებულება ჭეშმარიტია, მაშინ მეორე მცდარია.

თუ ჩვენ ჭეშმარიტად ვალიარებთ დებულებას, რომ მოძრაობა შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს, არ შეიძლება ასევე ჭეშმარიტად ჩავთვალოთ დებულება, რომ მოძრაობა არ შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას.

ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ სწორი ლოგიკური აზროვნების პროცესში ლოგიკური წინააღმდეგობის დაშვება არ შეიძლება არც ეკონომიურსა და არც პოლიტიკურ ანალიზში¹.

¹ В. Ленин, т. III. «Логической противоречивости — при условии, конечно, правильного логического мышления — не должно быть ни в экономическом, ни в политическом анализе».

ანარქისტები ამტკიცებდნენ, რომ დიალექტიკა უარყოფს წინააღმდეგობას კანონს, რომ დიალექტიკური მეთოდით ადვილად მტკიცდება როგორც ჭეშმარიტება, ისე მცდარობა. პირველი შეხედვით ასეთი ბრალდება თითქოს არ არის მოკლებული საფუძველს, რადგან დიალექტიკა ამტკიცებს, რომ ერთი და იგივე საგანი შეიძლება კარგიც იყოს და ცუდიც, დადებითიც და უარყოფითიც. მაგრამ დავაკვირდეთ საქმის არსებას: „ჩვენ დღეს დემოკრატიულ რესპუბლიკას მოვითხოვთ. შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა სავსებით კარგია, ან სავსებით ცუდია? არა, არ შეიძლება! რატომ? იმიტომ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა კარგია მხოლოდ ერთი მხრით, როცა ის ფეოდალურ წესებს ანგრევს, სამაგიეროდ, ის ცუდია მეორე მხრით, როცა ბურჟუაზიულ წესებს ამაგრებს. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: რამდენადაც დემოკრატიული რესპუბლიკა ფეოდალურ წესებს ანგრევს, იმდენად ის კარგია — და ჩვენ ვიბრძვით მისთვის, ხოლო რამდენადაც ის ბურჟუაზიულ წესებს ამაგრებს, იმდენად არ არის კარგი, — და ჩვენ ვებრძვით მას“.

საკითხი დასმულია და გადაწყვეტილია დიალექტიკურად, მთელი გარკვეულობით. ეწინააღმდეგება განა ეს მსჯელობა წინააღმდეგობის კანონს? რასაკვირველია, არა! მთელი მსჯელობა მიმდინარეობს ამ კანონის თ ა ნ ა ხ მ ა დ. კანონის „დარღვევა“ იქნებოდა მაშინ, როცა ვიტყოდით: დემოკრატიული რესპუბლიკა კარგიც არის და ცუდიც ერთსა და იმავე მიმართებაში, — ე. ი. კარგიც არის და ცუდიც არის, როცა ის ანგრევს ფეოდალურ წესებს.

წინააღმდეგობის კანონი აუცილებელი პირობაა სინამდვილის ნამდვილი შემეცნების, მაგრამ ის არ არის საკმარისი პირობა. ის აღნიშნავს ორი საწინააღმდეგო მსჯელობიდან ერთის მცდარობას, თუ მეორე ჭეშმარიტია. მაგრამ ის ვერ წყვეტს საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი მსჯელობა არის ჭეშმარიტი, მეტიც, იმასაც ვერ წყვეტს არის თუ არა ორი კონტრალური მსჯელობიდან ერთი მაინც ჭეშმარიტი. ეს კანონი ვერ დაგვეხმარება იმის გარკვევაში, რომელია ორი მსჯელობიდან ჭეშმარიტი: 1) A არის B და 2) A არ არის B. წინააღმდეგობის კანონი დაადგენს მხოლოდ შემდეგს: თუ ჭეშმარიტია მსჯელობა „A არის B“, მაშინ, მცდარია მსჯელობა „A არ არის B“, და, პირიქით, თუ ჭეშმარიტია მსჯელობა „A არ არის B“, მაშინ მცდარია მსჯელობა „A არის B“. ორივე მსჯელობის მცდარობა არ არის გამორიცხული. ორი მსჯელობიდან: 1) „ყველა ლითონი სითხეა“ და 2) „არც ერთი ლითონი არ არის სითხე“ წინააღმდეგობის კანონის საფუძველზე ვერ დავადგენთ ამ მსჯელობათა ჭეშმარიტება-მცდარობას. ამ კანონის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ: თუ ერთ-ერთ მსჯელობას მივიჩნევთ ჭეშმარიტად, მეორე მცდარი იქნება; მაგრამ არის თუ არა ერთ-ერთი მათგანი ჭეშ-

მარიტი, ამის გადაწყვეტა წინააღმდეგობის კანონის მიხედვით შეუძლებელია.

4. გამორიცხული მესამის კანონი. წინააღმდეგობის კანონი წყვეტს საკითხს ჰეშმარიტი მსჯელობის საწინააღმდეგოს მცდარობის შესახებ. გამორიცხული მესამის კანონი კი წყვეტს მცდარი მსჯელობის საწინააღმდეგოს ჰეშმარიტების შესახებ. ამ კანონის ფორმულირება ასეთია: ორი კონტრადიქტორული მსჯელობიდან ერთ-ერთი აუცილებლად ჰეშმარიტია, მეორე მცდარია, ანდა: ორი კონტრადიქტორული მსჯელობიდან ერთ-ერთი აუცილებლად ჰეშმარიტია, მესამე შესაძლებლობა გამორიცხულია.

ორი მსჯელობიდან „ყველა ლითონი მყარი სხეულია“ და „ზოგიერთი სხეული არ არის მყარი სხეული“ ერთ-ერთი უნდა იყოს ჰეშმარიტი; შეუძლებელია ორივე იყოს მცდარი და რომელიმე მესამე მსჯელობა აღმოჩნდეს ჰეშმარიტი.

წინააღმდეგობის კანონის მიხედვით შეიძლება ორი საწინააღმდეგო (კონტრალური) მსჯელობა აღმოჩნდეს მცდარი; მაგალითად, ჰეშმომთ მოყვანილი ორივე მსჯელობა მცდარია: „ყველა ამერიკელი აგრესიულია“ და „არც ერთი ამერიკელი არ არის აგრესიული“; „ყველა ლითონი სითხეა“ და „არც ერთი ლითონი არ არის სითხე“. ეს მსჯელობები მცდარია და ჰეშმარიტი სწორედ მესამეა. ამიტომ ერთი მსჯელობის მცდარობა არ არის მეორე მსჯელობის ჰეშმარიტების პირობა.

გამორიცხული მესამის კანონის მიხედვით შეუძლებელია ორივე კონტრადიქტორული მსჯელობა იყოს მცდარი: 1) „ყველა ამერიკელი აგრესიულია“, „ზოგიერთი ამერიკელი არ არის აგრესიული“, 2) „ყველა ლითონი თხიერია“ და „ზოგიერთი ლითონი არ არის თხიერი“. ამ მსჯელობებიდან ან ერთია ჰეშმარიტი, ან მეორე, მესამე გამორიცხულია. ამიტომ ერთის მცდარობა განსაზღვრავს მეორის ჰეშმარიტებას.

წინააღმდეგობის კანონი მოქმედებს როგორც კონტრალურსა, ისე კონტრადიქტორულ მსჯელობების მიმართ, რადგან ეს კანონი გამორიცხავს წინააღმდეგობას, და დაადგენს, რომ აღნიშნული მსჯელობები ერთდროულად არ არიან ჰეშმარიტი.

გამორიცხული მესამის კანონიც გამორიცხავს ორი კონტრადიქტორული მსჯელობის ჰეშმარიტების შესაძლებლობას, მაგრამ აღნიშნავს, რომ ასეთი მსჯელობები არ არიან ერთდროულად მცდარი. ეს კანონი მოქმედებს არა მხოლოდ a და o და e და i მსჯელობების მიმართ, არამედ ერთეული მსჯელობების მიმართაც. ამ შემთხვევაში ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმის შესახებ, რომ მოცემულ საგანს ახასიათებს ან არ ახასიათებს ესა თუ ის ნიშანი, ესა თუ ის მიმართება. მაგალითად, მსჯელობებიდან 1) „ივანე რუსია“ და „ივანე არ არის რუ-

სი“, 2) „ეს ქალაღდი თეთრია“ და „ეს ქალაღდი არ არის თეთრი“, და სხვ. ერთი აუცილებლად ჭეშმარიტია, მეორე მცდარია, მესამე გამო-რიცხულია. რასაკვირველია, თუ ჩვენ გამოვთქვამთ ასეთ მსჯელო-ბას: 1) „ივანე რუსია“ და 2) „ივანე ქართველია“ ან 2) „ეს ქალაღდი თეთრია“ და „ეს ქალაღდი შავია“ — ცხადია აქ არ არის გააორიციხუ-ლი ორივე მსჯელობის მცდარობის შესაძლებლობა და რომელიმე მე-სამის ჭეშმარიტება, მაგალითად, 1) „ივანე უკრაინელია“ და 2) „ეს ქალაღდი წითელია“.

ფიქრობდნენ, რომ გამორიციხული მესამის კანონი დიალექტიკას ეწინააღმდეგება; ფიქრობდნენ, რომ ენგელსის მიერ მეტაფიზიკური მეთოდის დახასიათება ამ კანონის უარყოფას წარმოადგენს. ენგელ-სი წერდა: „მეტაფიზიკოსისათვის საგნები და მათი აზროვნებითი ასახვანი — ცნებანი, წარმოადგენენ კვლევა-ძიების განცალკევებულ, ერთი მეორის მიყოლებით და ერთი მეორის დამოუკიდებლად განსა-ხილველ, მყარ, გაქვავებულ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ საგ-ნებს. იგი აზროვნებს აშკარა უშუალო წინააღმდეგობების შემწყო-ბით, იგი ამბობს: ჰო-ჰო, არა-არა, ამას გარდა ყოველივე ბოროტებააო. მისთვის საგანი ან არსებობს, ან არ არსებობს; აგრეთვე შეუძლებე-ლია საგანი ერთსა და იმავე დროს თავის თავიც იყოს და სხვაც. ჰო-ზიტიური და ნეგატიური აბსოლუტურად უარყოფენ ერთმანეთს; მიზე-ზი და შედეგიც მკაცრად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს“¹.

რის შესახებ მსჯელობს აქ ენგელსი? ენგელსი აღნიშნავს, რომ მე-ტაფიზიკოსი უარყოფს საგანთა შორის კავშირს, უარყოფს მათ განვითარებას; მეტაფიზიკოსს არ ესმის, რომ სინამდვილეში, საგნის განვითარე-ბის პროცესში საგანი არის და არც არის, რომ დადებითი და უარყო-ფითი ერთმანეთთან დაკავშირებულია, რომ ისინი ერთმანეთს არ გა-მორიციხავენ აბსოლუტურად და სხვ.

ეწინააღმდეგება ენგელსის ეს აზრი დასახელებული კანონის ში-ნაარსს? რასაკვირველია, არა! გამორიციხული მესამის კანონი არ უარ-ყოფს სინამდვილის განვითარების წინააღმდეგობრივ ხასიათს; ის ამ საკითხს არ ეხება. ამ კანონის შინაარსი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთია: თუ ჭეშმარიტია, რომ სინამდვილის განვითარება წინააღმდე-გობრივია, მაშინ მცდარია ამ დებულების უარყოფა, და, პირიქით; თუ მცდარია, რომ სინამდვილეში არ არის წინააღმდეგობა, მაშინ ჭეშმარი-ტია. რომ სინამდვილეში არის წინააღმდეგობა; მესამე შესაძლებლო-ბა გამორიციხულია. თუ ჩვენი დებულება: „საგანი არსებობს და ამავე დროს არ არსებობს“ ჭეშმარიტია, მცდარი იქნება ამ დებულების უარ-ყოფა; და თუ დებულება: „შეუძლებელია საგანი არსებობდეს და არ

¹ ენგელსი, ანტი-დიურიზმი, 1933, გვ. 5.

არსებობდეს“ მცდარია, მაშინ ჰეშმარიტია დებულება „საგანი არსებობს და ამავე დროს არ არსებობს“ და აქაც მესამე გამორიცხულია.

მარქსიზმის კლასიკოსები ყოველთვის გამოიყენებდნენ მსჯელობაში, გამოკვლევებში ამ კანონს:

1) ლენინი ლიკვიდატორების კრიტიკისას აღნიშნავდა: „ორში ერთი: უმნიშვნელოა უთანხმოება თუ არაა უმნიშვნელო? თქვით პირდაპირ. შუათანა რამ აქ არ არსებობს“¹.

გამორიცხული მესამის კანონიც, ისევე როგორც წინააღმდეგობის კანონი, სინამდვილის შემეცნების აუცილებელი პირობაა. მაგრამ არც ეს კანონი — როგორც აზროვნების ყველა დანარჩენი ლოგიკური კანონი — არ არის საკმარისი სინამდვილის შემეცნებისათვის. საქმე ის არის, რომ ამ კანონის მიხედვით ჩვენ ვერ გადავწყვეტთ საკითხს, ჰეშმარიტია თუ არა ესა თუ ის ცალკეულად აღებული მსჯელობა. მას შეუძლია დაადგინოს მოცემული მსჯელობის ჰეშმარიტება, თუ მისი კონტრადიქტორული მცდარია; მას შეუძლია დაადგინოს, რომ ორი კონტრადიქტორული მსჯელობა არ შეიძლება იყოს ერთდროულად მცდარი. მაგრამ მცდარია თუ არა მსჯელობა, რომლის საფუძველზე ჩვენ ჰეშმარიტად ვთვლით მის კონტრადიქტორულს, ეს კანონი ამ საკითხს ვერ წყვეტს.

მსჯელობები: „ყველა ლითონი მყარი სხეულია“ და „ზოგიერთი ლითონი არ არის მყარი სხეული“ არ შეიძლება იყოს ორივე მცდარი. ერთი მათგანი მცდარია, მეორე ჰეშმარიტია. მაგრამ, რომელია მცდარი და რომელია ჰეშმარიტი — ეს საკითხი არ წყდება გამორიცხული მესამის კანონის საფუძველზე.

5. საკმაო საფუძვლის კანონი. აღნიშნული სამი კანონის ფორმულირება უკვე არისტოტელეს აქვს. რაც შეეხება ე. წ. საკმაო საფუძვლის კანონს, უნდა ვიფიქროთ, რომ არისტოტელემ იცოდა ის, რაც ამ კანონის შინაარსს წარმოადგენს, მაგრამ არ სცნო საჭიროდ მისი კანონად გამოცხადება. არისტოტელემ კარგად იცის, რომ ყოველ ჰეშმარიტ მსჯელობას — უმაღლესი პრინციპების გარდა — უნდა ჰქონდეს საფუძველი სხვა მსჯელობაში. მთელი მისი „ანალიტიკა“ ამ აზრით არის გამსჭვალული. ამიტომ საკმაო საფუძვლის კანონი არ წარმოადგენს არისტოტელესათვის ისეთ კანონს, როგორც განხილული სამი კანონი.

როგორც აზროვნების განსაკუთრებული, მეოთხე კანონი, საკმაო საფუძვლის კანონი ლაიბნიცის მიერ იყო წამოყენებული. ამ კანონის არსება იმაში მდგომარეობს, რომ წინამძღვრები საკმაო საფუძველებს

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. XX, გვ. 103.

უნდა წარმოადგენდნენ დანასკვისათვის, უფრო ვიწროდ კი, ყოველი ჭეშმარიტი დასკვნითი მსჯელობა უნდა იყოს დასაფუძვლებული ისეთი მსჯელობებით, რომელთა ჭეშმარიტება უკვე დადგენილია.

ყოველი მსჯელობა, რომელიც შესულია მეცნიერებათა საგანძურში ან საფუძველს წარმოადგენს, ან შედეგს, საფუძვლიდან გამოდინარეს. საფუძვლის როლს თამაშობენ მეცნიერებაში მსჯელობები, რომლებიც ფაქტებს ასახავენ, აქსიომები; ამ მსჯელობებზე დაყრდნობით ხდება სხვა მსჯელობების დასაბუთება. რასაკვირველია, თვით დასაბუთებული მსჯელობებიც სხვა მსჯელობების საფუძვლად გამოდიან: ზოგადი დებულებები, კანონები, თეორემები თავის მხრით საკმაო საფუძველს წარმოადგენენ ცოდნის წინსვლისათვის.

ყოველ სწორ დასკვნაში წანამძღვრები საკმაო საფუძველს წარმოადგენენ დანასკვისათვის. მაგალითისათვის ავიღოთ ასეთი დასკვნა:

ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია
რკინა ლითონია

რკინა არ არის ელექტრობის გამტარი

რის გამო ვთვლით მცდარად ამ დასკვნას? იმის გამო, ფიქრობს ზოგიერთი, რომ აქ დარღვეულია წინააღმდეგობის კანონი; რომ, მართლაც, აქ დაშვებულია წინააღმდეგობა, ეს ექვს გარეშეა. მაგრამ რაში მდგომარეობს ეს წინააღმდეგობა? წინააღმდეგობა, იფიქრებს ზოგიერთი, არის დანასკვისა და წანამძღვრებს შორის. მაგრამ ცხადია, რომ დანასკვი არ ეწინააღმდეგება არც ერთ წანამძღვარს ცალკე აღებულს. მსჯელობები: „ლითონი ელექტრობის გამტარია“ და „რკინა არ არის ელექტრობის გამტარი“ ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, მანამ ჩვენ არ ვიცით, რომ რკინა ლითონია — ეს კი დიდ წანამძღვარში არ არის მოცემული. მსჯელობები: „რკინა ლითონია“ და „რკინა არ ატარებს ელექტრობას“ ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, მანამ ჩვენ არ ვიცით, რომ ლითონი ელექტრობის გამტარია, — ეს კი მცირე წანამძღვარში არ არის მოცემული. ამრიგად, დანასკვი ჩვენ მაგალითში არ ეწინააღმდეგება არც დიდ წანამძღვარს და არც მცირე წანამძღვარს. თუ ასეა, იბადება საკითხი: რას ეწინააღმდეგება დანასკვი. იქნებ ორივე წანამძღვარს ერთად? მაგრამ, თუ დანასკვი არ ეწინააღმდეგება არც ერთსა და არც მეორეს, როგორ შეიძლება ის ეწინააღმდეგებოდეს ორივეს ერთად? დანასკვი არ ეწინააღმდეგება არც ერთსა და არც მეორეს და არც ორივე წანამძღვარს ერთად, ის ეწინააღმდეგება სწორ დანასკვს.

ამრიგად, დანასკვის სისწორე განსაზღვრულია არა წინააღმდეგობის კანონით, არამედ საკმაო საფუძვლის კანონით: წანამძღვრები

საკმაო საფუძველს წარმოადგენენ დანასკვისათვის. ჩვენ მაგალითში დანასკვი არ არის მართებული, რადგან წანამძღვრები არ წარმოადგენენ საკმაო საფუძველს ამ დანასკვისათვის.

შ ე ნ ი შ ე ნ ა. ნამდვილად ე. წ. საკმაო საფუძველის კანონს არავითარი კონკრეტული შინაარსი არა აქვს: ეს კანონი არაფერს კონკრეტულს არ შეიცავს, ის ვერ ახსნის იმას, თუ რატომ არის დანასკვი მართებული ან მცდარი. ის გამოხატავს მოთხოვნას, რომ დანასკვეს უნდა ჰქონდეს საკმაო საფუძველი, მაგრამ არ შეიცავს არავითარ ნიშანს, რომლის მიხედვით შესაძლებელი ხდება იმის გაგება, თუ როდის არის საფუძველი საკმაო, როგორი უნდა იყოს საფუძველი, რომ იყოს საკმაო.

როდესაც ჩვენ პირველი სამი კანონის მოთხოვნას ვარღვევთ, ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ ამ შეცდომაზე: ესა და ეს ცნება მსჯელობის პროცესში ორაზროვნად არის ნახმარი, ესა და ეს დებულება ეწინააღმდეგება ამა და ამ დებულებას, ა და ბ მსჯელობები მცდარად მივიჩნით და მესამე მსჯელობა ჰეშმარიტად გამოვაცხადებთ. ხოლო, როდესაც ჩვენ საკმაო საფუძველის კანონის მოთხოვნას ვარღვევთ, ჩვენ ამ შეცდომას ვერ მივუთითებთ. რას ვამბობთ ჩვენ ამ შემთხვევაში? დანასკვი არ გამომდინარეობს წანამძღვრებიდან! მაშინვე დაისმება საკითხი: რატომ? პასუხი: „წანამძღვრები არ წარმოადგენენ საკმაო საფუძველს“, ცარიელი ფრაზა იქნება, თუ არ აღვნიშნით რაიმე წესის დარღვევა. ე. წ. საკმაო საფუძველის კანონი წარმოადგენს საერთო სახელს ლოგიკური აზროვნების ყველა წესებისა და აქსიომებისათვის და ამიტომ თვითონ არავითარ წესს, არავითარ კანონს არ წარმოადგენს.

პირველი სამი კანონი ისეთ პრინციპებს წარმოადგენენ, რომელთა დაცვის გარეშე სწორი აზროვნება არ განხორციელდება, მაგრამ მათი დაცვა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სწორი აზროვნება განხორციელდეს. დასკვნის სისწორე განსაზღვრულია აქსიომებით, დასკვნის ფორმულებით. რომლებიც — როგორც ეს გარკვეული იყო — ადამიანთა ხანგრძლივი პრაქტიკით არის გამართლებული.

ლოგიკის განვითარების დღევანდელმა მდგომარეობამ გვიჩვენა, რომ საკმაო საფუძველის კანონი ნამდვილად არ წარმოადგენს კანონს, ხოლო პირველი სამი კანონის გვერდით არსებობს პრინციპების მთელი რიგი, რომელთა დაცვა იგულისხმება ლოგიკური აზროვნების პროცესში.

6. აზროვნების კანონების ხასიათი. ლოგიკური, ე. ი. სწორი, თანმიმდევარი აზროვნება ფაქტია, რომელიც ახასიათებს ადამიანის აზროვნებას. ნამდვილი ცოდნის მიღწევა, — მით უმეტეს გაშუალებული ცოდნის, — შეუძლებელია ლოგიკური აზროვნების გარეშე. აზროვნების ლოგიკური ფორმები განსაზღვრულნი არიან ობიექტური სინამდვი-

ლით, კერძოდ საგანთა და მოვლენათა მიმართებისა და კავშირების ფორმებით. ამიტომ ამ ფორმებს აქვს არა აპრიორული, სუბიექტური, არამედ ობიექტური ხასიათი; ობიექტური იმ აზრით, რა აზრითაც კემ-მარიტება არის ობიექტური; ობიექტური იმ აზრით, რომ ისინი არ არიან დამოკიდებული ჩვენს ფსიქიკაზე. ე. ი. ჩვენს სურვილებზე, ემოციებზე. ნებელობაზე, ასე, მაგალითად, დანასკვი გამომდინარეობს წანამძღვრებიდან არა ჩვენი სურვილების, განწყობილების, ჩვენი ნებისყოფის მიხედვით, არამედ მათგან დამოუკიდებლად; ამ აზრით სწორედ დასკვნას აქვს ობიექტური ხასიათი.

ლოგიკური ფორმები ექვემდებარებიან ლოგიკურ კანონებს, წესებს, აქსიომებს. აზროვნების კანონებს ობიექტური ხასიათი აქვთ იმის მიუხედავად, რომ ისინი აზროვნებისა და არა ბუნების ან საზოგადოების კანონებია.

აზროვნების კანონების ხასიათის საკითხი დიდი ხნის განმავლობაში სადავო საკითხს წარმოადგენდა ლოგიკაში. საქმე ის არის, რომ კანონის ცნება ორი აზრით იხმარება ლიტერატურაში. ჯერ ერთი კანონის ცნება იხმარება ბუნების კანონის აღსანიშნავად; მეორეს მხრივ, კანონის ცნება იხმარება როგორც კანონი, რომელიც ადამიანთა მიერ არის დადგენილი; ამ უკანასკნელს ეკუთვნის სახელმწიფოს მიერ დაწესებული დადგენილებანი, დაწესებულების შინაგანაწესის დებულებანი და სხვ.

სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონის დარღვევა, მისი შეცვლა შეიძლება. შეიძლება, მაგალითად, სოციალისტური საკუთრების დაცვის კანონის დარღვევა; ამ კანონის დამრღვევს სახელმწიფო ორგანოები პასუხისმგებაში მისცემენ. გამოთქმა „შეიძლება კანონის დარღვევა“ ნიშნავს აქ იმას, რომ არსებობს ამის შესაძლებლობა. ეს კანონები დადგენილებებია, მოთხოვნებია, რომლებშიც გამოთქმულია აზრი, რომ ესა და ეს ასე და ასე უნდა იყოს შესრულებული. ამ კანონების განხორციელება გვევალება ჩვენ, ადამიანებს, ამავე ხასიათისა არიან მორალური ქცევის ნორმები. ყველა ამ კანონს, წესს ხშირად ნორმებს უწოდებენ, ან კიდევ ნორმატიულ კანონებს. ყოველი ნორმა გაპირობებულია გარკვეული მიზნით, რომლის გარეშე ნორმას ეკარგება ყოველი აზრი.

სულ სხვა ხასიათისაა ბუნების კანონი. ბუნების კანონი არ არის ბრძანება, მოთხოვნა, ქცევის ნორმა. ბუნების კანონი მოქმედებს ადამიანთაგან დამოუკიდებლად, მათი ნებისყოფის გარეშე; ადამიანს არა აქვს შესაძლებლობა ეს კანონი შეცვალოს, გარდაქმნას, მოსპოს, დაარღვიოს. ბუნების კანონებს ნორმებისაგან განსხვავებით ხშირად ბუნებრივ კანონებს უწოდებენ.

იბადება საკითხი: რა ხასიათის არიან აზროვნების ლოგიკური კანონები? არიან აზროვნების ლოგიკური კანონები ბუნებრივი კანონები, რომელთა დარღვევა ადამიანს არ შეუძლია, რომელთა მოქმედება ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებელია, თუ მათ ნორმების ხასიათი აქვთ, რომლებიც ჩვენ უნდა დავიცვათ, თუ გვსურს ნამდვილ ცოდნას მივალწიოთ?

ლოგიკურ ლიტერატურაში ამ საკითხზე ყოველნაირი პასუხი იყო გაცემული: ზოგი ფიქრობდა, რომ ეს კანონები ბუნებრივი კანონებია, ზოგი, რომ ნორმებია, ზოგი კი ამ კანონების ნაწილს ბუნებრივ კანონებად თვლიდა, ხოლო ნაწილს ნორმებად.

რას ნიშნავს ნორმატიული კანონი? ის გამოხატავს იმას, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენ, რომ გარკვეულ მიზანს მივალწიოთ. მაგრამ იბადება საკითხი: რას ეყრდნობა ჩვენი რწმენა, რომ ჩვენ მივალწევთ ამ მიზანს, თუ ასე ვიმოქმედებთ? ცხადია, იგი ეყრდნობა გარკვეულ დებულებებს, რომლებიც სინამდვილეს ასახავენ, იგი ეყრდნობა სინამდვილის კანონზომიერების შექცობას. ამიტომ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ მიზანს მივალწიოთ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა არის, დამოკიდებულია საგანთა და მოვლენათა ცოდნაზე, კანონზომიერების ცოდნაზე.

დიალექტიკის ძირითადი კანონები სინამდვილის არსებას, კანონზომიერებას ასახავენ. ისინი არ არიან ადამიანთა მიერ დადგენილი ნორმები. მეცნიერულ, პრაქტიკულსა და პოლიტიკურ მოღვაწეობაში ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ ამ პრინციპებით, თუ გვინდა მივალწიოთ მიზანს. „ჩვენ უნდა“ — ეს ნიშნავს, რომ ჩვენ „გადავთარგმნეთ“ სინამდვილის კანონზომიერება ნორმატიულ ენაზე, მივეცით მას ნორმატიული ფორმულირება.

ცხადია, თუ ჩვენ არ გავატარებთ განსაზღვრული მეთოდოლოგიური პრინციპი, ამით სინამდვილის კანონს, წინააღმდეგობათა ბრძოლისა და ერთიანობის კანონს კი არ დავარღვევთ, ეს კანონი იმოქმედებს როგორც მოქმედება, იმისდა მიუხედავად გავატარებთ ჩვენ სწორსა თუ შემცდარ პოლიტიკას; მაგრამ პირველ შემთხვევაში ჩვენ მივალწევთ დასახულ მიზანს, ხოლო მეორე შემთხვევაში ჩვენი პოლიტიკა მარცხით დამთავრდება.

მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებაზე დაყრდნობით ადვილად წყდება საკითხი აზროვნების ლოგიკური კანონების შესახებ. აზროვნების ლოგიკური კანონები ბუნებრივი კანონებია. ამ კანონებზე დაყრდნობით ჩვენ ჩამოვყალიბებთ მოთხოვნებს, ე. ი. ისინი ნორმატიულ ენაზე გადავყავს: ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად ჩვენ უნდა მოვიქცეთ ასე, და არა სხვაგვარად: ორი საწინააღმდეგო მსჯელობა არ არის

ერთდროულად და ერთსა და იმავე მიმართებაში კეშმარიტი. ჩვენ შეიძლება ჩავიდინოთ შეცდომა და ორივე მსჯელობა კეშმარიტად ვაღიაროთ. ნიშნავს ეს იმას, რომ ჩვენ დავარღვიეთ წინააღმდეგობის კანონი? ცხადია, არა! წინააღმდეგობის კანონის შინაარსში ის კი არ იგულისხმება, რომ ორ საწინააღმდეგო მსჯელობას არ აღიარებენ კეშმარიტად, არამედ ის, რომ ორი ამისთანა მსჯელობა არ არის კეშმარიტა: ის გარემოება, რომ ჩვენ ვაღიარეთ ეს მსჯელობები კეშმარიტად, არ აქცევს მათ კეშმარიტად. აქედან გამომდინარეობს ამ კანონის ნორმატიული ფორმულირება: თუ ორი საწინააღმდეგო მსჯელობა არ შეიძლება იყოს კეშმარიტი, მაშინ შემეცნების პროცესში არ უნდა ვაღიაროთ ასეთი მსჯელობები კეშმარიტად. ორი მსჯელობა „A არის B“ და „A არ არის B“ არ შეიძლება იყოს კეშმარიტი ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე მიმართებაში, სულ ერთია აღიარებს მათ ეინმე კეშმარიტად თუ არა.

გამორიცხული მესამის კანონით ორი მსჯელობა „ეს ქალაღი თეთრია“ და „ეს ქალაღი არ არის თეთრი“ არ შეიძლება იყოს ერთდროულად მცდარი, და, რამდენიც უნდა ვაღიაროთ ჩვენ ორივე მცდარად, კანონს მაინც ვერ დავარღვევთ, რადგან ჩვენი ასეთი აღიარება არ გაააქცევს მათ მცდარ მსჯელობად.

მაინც რჩება რალაც გაურკვეველი: მაინც რჩება აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენ რალაც დავარღვიეთ, როდესაც ვაღიარეთ ორი საწინააღმდეგო მსჯელობა კეშმარიტად და ორი კონტრადიქტორული მსჯელობა მცდარად. რასაკვირველია, ჩვენ რალაც დავარღვიეთ, მაგრამ დავარღვიეთ არა აზროვნების ლოგიკური კანონი, არამედ ის მოთხოვნა, რომელიც კანონიდან გამომდინარეობს: შემეცნების პროცესში, სწორ, თანმიმდევარ აზროვნებაში არ შეიძლება ორი კონტრადიქტორული მსჯელობის მცდარად აღიარება. რატომ არ შეიძლება, რატომ არ უნდა ვაღიაროთ ისინი ორივე მცდარად? იმიტომ, რომ ისინი არ არიან ორივე ერთდროულად მცდარი.

ასევე: თუ რეაქციული ბურჟუაზიის იდეოლოგები და პოლიტიკოსები ემყარებიან პოლიტიკაში ძველს, დრომოკმულს, მომაკვდავს, და არა ახალს, მზარდს, ამით ისინი სინამდვილის განვითარების კანონს კი ვერ არღვევენ, კი ვერ აუქმებენ, — „ძველის კვლომა და ახლის ზრდა წარმოადგენს განვითარების კანონს“ — არამედ ამახინჯებენ სინამდვილეს, ხელს უშლიან საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას და ამიტომ მათი პოლიტიკა მარცხით უნდა დამთავრდეს.

ბუნებისა და საზოგადოების კანონები ბუნებრივი და არა ნორმატიული კანონებია. ადამიანები ხელმძღვანელობენ ამ კანონებით პრაქტიკულ, პოლიტიკურსა და მეცნიერულ მოღვაწეობაში; ადამიანები უნ-

და ხელმძღვანელობდნენ ამ კანონებით თავისი მიზნების განხორციელებისათვის, სინამდვილის ნაყოფიერი გარდაქმნისათვის.

აზროვნების ლოგიკური კანონები ბუნებრივი კანონებია და არა ნორმატიული. ჩვენ ვხელმძღვანელობთ ამ კანონებით სინამდვილის 'შემეცნების პროცესში, სწორსა და თანმიმდევარ აზროვნებაში. ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ ამ კანონებით ჭეშმარიტების მისაღწევად¹.

¹ როგორც რამდენჯერმე აღნიშნული იყო, ლოგიკის კანონები არ წარმოადგენენ შემეცნების საკმარის პირობას, ჭეშმარიტების მიღწევის საკმარის პირობას.

1. მეცნიერული ცოდნის ცნება

მეცნიერული ცოდნა ჭეშმარიტი მსჯელობების მხოლოდ ჯამს რიდი წარმოადგენს. ჭეშმარიტ მსჯელობათა ერთობლიობა, რომელთაგან ერთი მსჯელობა ეხება საზოგადოებრივ ცხოვრებას, მეორე პლანეტების მოძრაობას მზის გარშემო და სხვ. არ არის ჯერ მეცნიერება იმისდა მიუხედავად, რომ თვითული მათგანი გარკვეულ ცოდნას გამოხატავს. მეცნიერება არის ცოდნის გარკვეული სისტემა. ცოდნა უნდა აკმაყოფილებდეს პირობათა მთელ რიგს, მან უნდა გამოიყენოს საშუალებათა მთელი რიგი, მიმართოს გარკვეულ ხერხებს, ან როგორც იტყვიან, მეთოდებს, რათა გადაიქცეს მეცნიერებად, ცოდნის სისტემად.

სისტემა, საერთოდ, არის გარკვეულ მიმართებაში ერთგვარი საგნებისა და მოვლენების შეერთება ერთ მთლიანობად გარკვეული პრინციპის საფუძველზე. ასე, მაგალითად, ჭიმიური ელემენტები, მენდელეევის მიერ აღმოჩენილი პერიოდული კანონის შედეგად, დალაგდნენ გარკვეულ სისტემაში; ასევე ვმსჯელობთ ჩვენ, მაგალითად, მზის სისტემაზე, ცხოველთა, მცენარეთა სამეფოს სისტემაზე და სხვ.

ცოდნაც შეიძლება დალაგდეს სისტემაში. აქ იგულისხმება კაცობრიობის მიერ შექმნილი ცოდნის დალაგება ერთიან მთლიან ფორმაში. ეს ერთიანი მთლიანის გარკვეული ფორმა, რასაკვირველია, არ არის დამოკიდებული ჩვენზე, ჩვენს სურვილებზე, განწყობილებაზე. ნებისყოფაზე. ის პირველ რიგში დამოკიდებულია შესაცნობ საგანზე და მის შემეცნებაზე. არ შეიძლება ერთ მთლიანობად შევაერთოთ, ე. ი. ერთ მეცნიერებაში მოვითავსოთ ცოდნა ცხოველთა სამეფოსა და ციური სხეულების შესახებ, საზოგადოების განვითარების ისტორიისა და ჭიმიური პროცესების შესახებ.

მეცნიერებანი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შესასწავლი საგნის თავისებურებით; ასე, მაგალითად, ფიზიკა განსხვავდება ბიოლოგიისაგან, ხოლო ორთავე ეს მეცნიერება — ისტორიისაგან იმით, რომ პირველი ფიზიკურ პროცესებს სწავლობს, მეორე — სიცოცხლის პრო-

ცესებს, და მესამე — ადამიანთა საზოგადოების განვითარებას. „მეცნიერებათა კლასიფიკაცია, რომელთაგან თვითეული იკვლევს მოძრაობის ცალკეულ ფორმას ან მოძრაობის ერთმანეთთან დაკავშირებულ და ერთმანეთში გარდამავალ მთელ რიგ ფორმებს, ამასთანავე, წარმოადგენს მოძრაობის თვით ამ ფორმების კლასიფიკაციას, განლაგებას, თანახმად მათთვის შინაგანად დამახასიათებელი თანმიმდევრობისა, და აი სწორედ ამაში მდგომარეობს მისი მნიშვნელობა“¹.

მეცნიერული ცოდნის სისტემა, საბოლოოდ, ობიექტური სინამდვილით არის განსაზღვრული; სინამდვილე თვითონ სისტემას წარმოადგენს, რამდენადაც სინამდვილის საგნები და მოვლენები ურთიერთთანდაკავშირებულნი არიან, ხოლო ეს კავშირები კანონზომიერ კავშირებს წარმოადგენენ. ამის გარეშე არა თუ მეცნიერული ცოდნა, არამედ, საერთოდ, ცოდნა იქნებოდა შეუძლებელი.

მატერიის მოძრაობის ფორმა მრავალგვარია და თვითეული ამ ფორმათაგანი თავის სპეციფიკურ კანონზომიერებას ექვემდებარება. ეს კანონზომიერება განსაზღვრავს სინამდვილის გარკვეული სფეროს საგნებისა და მოვლენების მთლიანობას, მათ სისტემობას, რაც მეცნიერული ცოდნის სისტემის სახით აისახება.

ცოდნის სისტემად აგების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს გარკვეულ თვალსაზრისს, საერთო მსოფლმხედველობას. თვალსაზრისი ატომზე, როგორც განუყოფელ ერთეულზე, ქიმიის ერთ სისტემას გვაძლევს, ხოლო ელექტრონული თეორია — ქიმიის მეორე სისტემას. მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვით სამყაროს ერთიანობა მის მატერიალობაშია, საფუძვლად ედება ცოდნის ერთ სისტემას, ხოლო იდეალისტური მსოფლმხედველობა განსაზღვრავს ცოდნის პირველისაგან განსხვავებულ სისტემას; მარქსისტულ-ლენინური თეორია განსაზღვრავს ისტორიულ მეცნიერებათა გარკვეულ სისტემას, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ბურჟუაზიული ცრუმეცნიერებისაგან.

აპრიორისტული, იდეალისტური თვალსაზრისი განსაზღვრავს ლოგიკის ერთ სისტემას, ხოლო დიალექტიკურ-მატერიალისტური თვალსაზრისი გვაძლევს ლოგიკური ფორმების პრინციპულად განსხვავებულ ინტერპრეტაციას.

ის გარემოება, რომ მეცნიერებაში არსებობენ დებულებები მისაღები ყოველივე მსოფლმხედველობისათვის, მაგალითად, ფიზიკაში, ქიმიაში და სხვ. დადგენილი კანონები, ლოგიკაში დადგენილი წესები — მაგალითად, კატეგორიული სილოგიზმის წესები — არ უარყოფს ზემოთ წამოყენებულ დებულებას იმის შესახებ, რომ მსოფლ-

¹ ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 257.

მხედველობა განსაზღვრავს მეცნიერული ცოდნის სისტემას. რომ არაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ თვით ამ კანონების გაგება ხშირად პრინციპულად განსხვავებულია — ბურჟუაზიული მეცნიერება უარყოფს ამ კანონების ობიექტურ ხასიათს, მათ ხშირად „თამაშის წესებად“ აცხადებს — და ამ განსხვავების საფუძველი სწორედ განსხვავებული მსოფლმხედველობით არის გაპირობებული. საკმარისია მივეუთითოთ რამდენიმე მომენტზე, რომლებიც ჩვენ დებულებას ადასტურებენ.

აღნიშნული იყო, რომ მეცნიერება არ წარმოადგენს ფაქტების გროვას, ანდა აზრებს ამ ფაქტების შესახებ; ის არის ცოდნის სისტემა, რომელიც შენდება გარკვეული მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე: მეცნიერული ცოდნა — ცნობიერად თუ არა ცნობიერად — ყოველთვის შენდება ფილოსოფიური მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე; ამ პრინციპებით გამსჭვალულია ყოველი მეცნიერება.

„ბუნების მკვლევართ შეუძლიათ თავი ისე წარმოიდგინონ, როგორც მათ სურთ, მაგრამ მათზე მაინც ბატონობს ფილოსოფია. საკითხი მხოლოდ იმას ეხება, თუ რომელი სურთ, სურთ მათ, რომ მათზე რომელიმე ცუდი მოდური ფილოსოფია ბატონობდეს, თუ სურთ, რომ ისინი ხელმძღვანელობდნენ თეორიული აზროვნების ისეთი ფორმით, რომელიც ემყარება აზროვნების ისტორიისა და მისი მიღწევების ცოდნას“¹ და კიდევ:

„ბუნების მკვლევარებს ჰგონიათ, რომ ფილოსოფიისაგან თავისუფლდებიან, რაკილა მას უგულებელყოფენ ან აგინებენ. მაგრამ ვინაიდან ისინი აზროვნების გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამენ წინ, ხოლო აზროვნებისათვის ლოგიკური კატეგორიები არის საჭირო და ამ კატეგორიებს კი წინდაუხედავად, უკრიტიკოდ იღებენ ან იმ ეგრეთ წოდებულ განათლებულ ადამიანთა ჩვეულებრივ გაცრეცელებული საერთო ცნობიერებიდან, რომლებიც დიდი ხნის გარდასული ფილოსოფიური სისტემების ნარჩენებს დაუმორჩილებია, ან უნივერსიტეტში იძულებითი წესით მოსმენილი ფილოსოფიის მცირეოდენი კურსიდან (რომელიც არა მხოლოდ ფრაგმენტულია, არამედ სხვადასხვანაირი და უმთავრესად ყველაზე უფრო ცუდი სკოლების ადამიანთა შეხედულებების დომხალსაც წარმოადგენს), ანდა იძენენ ყოველი სახის ფილოსოფიური თხზულებების უკრიტიკო და უსისტემო კითხვით, — ამიტომ ისინი საბოლოო ანგარიშით ფილოსოფიის არანაკლებ მონობაში იმყოფებიან, მაგრამ, სამწუხაროდ, და უმეტესად, ყველაზე ცუდი ფილოსოფიის მონობაში,

¹ ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 214.

და სწორედ ისინი, ვინც ყველაზე უფრო მეტად აგინებენ ფილოსოფიას, სწორედ ყველაზე ცუდი ფილოსოფიური მოძღვრებების ყველაზე ცუდი ვულგარიზებული ნარჩენების მონებს წარმოადგენენ¹.

ჩვენი თვალსაზრისით, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის თვალსაზრისით, არ არსებობს მეცნიერება ფილოსოფიის გარეშე, ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გარეშე. რასაკვირველია, ფილოსოფია არ წყვეტს მეცნიერებათა სპეციალურ ამოცანებს; იგი მეცნიერებათა მეთოდოლოგიაა, იგი უჩვენებს გზას მეცნიერებას, იგი მეცნიერების განვითარებასაც წარმართავს.

ამრიგად, ცხადია, რომ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერული ცოდნისათვის, მეცნიერების სისტემის აგებისათვის.

დაბოლოს, მეცნიერული ცოდნის სისტემის აგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დასაბუთებას: ნამდვილი მეცნიერული ცოდნა არის ყოველთვის დასაბუთებული ცოდნა.

ცნებათა განსაზღვრება, ცნებათა გაყოფა, ცნებათა შორის დამოკიდებულებათა შესწავლა, მსჯელობათა ფორმები და მათი შემეცნებითი ღირებულების დადგენა, დასკვნათა მრავალგვარი ფორმების ანალიზი, დასაბუთების ხერხებისა და მეთოდების გარკვევა — ყველაფერი ეს ემსახურება მეცნიერული ცოდნის აგების მიზანს; ამის გარეშე ცოდნა ვერ მიიღებდა სისტემის ფორმას, ერთიანი მთლიანის ფორმას, ვერ გადაიქცეოდა მეცნიერებად.

ლოგიკა არ არის ჭეშმარიტების თეორია იმ აზრით, რომ ის არ სწავლობს საკითხებს იმის შესახებ, თუ რა არის ჭეშმარიტება, როგორია ჭეშმარიტება, — აბსოლუტურია, შეფარდებითია, კონკრეტულია —, არ არკვევს საკითხს, თუ რა არის ჭეშმარიტების საზომი, როგორია დამოკიდებულება გრძნობადისა და აზრის შემეცნების პროცესში და სხვ. ყველა ეს საკითხი მას გადაწყვეტილად აქვს ნაგულისხმევი; ამ საკითხებს წყვეტს ფილოსოფია, კერძოდ, შემეცნების თეორია. ლოგიკა ეყრდნობა ამ საკითხების ასეთსა თუ ისეთ გადაწყვეტას და ამის საფუძველზე აგებს თავის მოძღვრებას ლოგიკურ ფორმებზე, ამიტომ, როგორც არის შემეცნების თეორია, ასეთივეა ლოგიკის სისტემა.

ვ. ლენინის გენიალურ შრომაში — „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ ზემოთ აღნიშნული საკითხები საბოლოოდ გადაწყვეტილია. ამ შრომაში განხილულია ეს საკითხები და არა საკითხები სწორი, თანმიმდევარი აზროვნების წესების, დასკვნათა და დასაბუთება-

¹ ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 214.

თა ფორმების შესახებ. ამ აზრით სწორედ ლოგია არ არის კეშმარიტების თეორია.

მაგრამ ლოგიკას აქვს გარკვეული დამოკიდებულება კეშმარიტების პრობლემასთან: ლოგია სწავლობს სწორი, თანმიმდევარი, დამსაბუთებელი აზრის ფორმებსა და კანონებს; ეს უკანასკნელები კი წარმოადგენენ ნამდვილი ცოდნის, კეშმარიტების მიღწევის აუცილებელ პირობას.

2. დასაბუთების ცნება

აღნიშნული იყო, რომ ცოდნა შედგება უშუალო და შუალობითი ცოდნისაგან. უშუალო ცოდნა, ცოდნა მიღებული გრძნობის ორგანოების საშუალებით ამოსავალი წერტილია ყოველივე მეცნიერული ცოდნისა; მეცნიერული ცოდნა ეყრდნობა რა ამ ცოდნას, წდება საგანთა არსებას, აღმოაჩენს საგანთა და მოვლენათა შორის კანონზომიერ კავშირებს, მათი ცვალებადობისა და განვითარების კანონებს. ამ მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით ადამიანებს შეუძლიათ გარდაქმნან სინამდვილე.

საგანთა და მოვლენათა არსების, მათ შორის კავშირებისა და მიმართებების, კანონების ცოდნა შუალობითი ცოდნაა; ყოველი შუალობითი მეცნიერული ცოდნა დასაბუთებული ცოდნაა. დასაბუთებულობა მეცნიერული ცოდნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია.

რას წარმოადგენს დასაბუთება? ჩვენ ვამბობთ, რომ გარკვეული დებულება დასაბუთებულია, თუ ის გამომდინარეობს ისეთი მსჯელობიდან, რომელთა კეშმარიტება დადგენილია; ამ მსჯელობების კეშმარიტება შეიძლება უშუალო იყოს, ე. ი. აღქმებს, ცოცხალ განჭვრეტას ეყრდნობოდეს, და შეიძლება თვითონ დასაბუთების შედეგს წარმოადგენდეს.

ამიტომ ცხადი უნდა იყოს:

1) ყოველი დასაბუთება არის მსჯელობის კეშმარიტების გამართლება. მოცემული გვაქვს, ვთქვათ მსჯელობები: „სამკუთხედის კუთხეების ჯამი 2d-ს ტოლია“, „შესაძლებელია სოციალიზმის აშენება ერთ ქვეყანაში“, „ყველა ლითონი ატარებს ელექტრობას“, „ამხ. ივანე დაჯილდოების ღირსია“ და სხვ. არიან ეს მსჯელობები კეშმარიტნი თუ არა, უშუალოდ ეს არ ჩანს. ამიტომ საჭიროა მათი კეშმარიტების დასაბუთება, ე. ი. ამ მსჯელობებს გამართლება სჭირდებათ. მათი გამართლებისათვის საჭიროა ჩვენი ცოდნის მარაგიდან გამოვყოთ ისეთი მსჯელობები, რომელთაგან მოცემული მსჯელობები აუცილებლობით გამომდინარეობენ. ასე, მაგალითად, პირველი მსჯელობის გამართლებისათვის უნდა გამოვყოთ მსჯელობები: „ჯვარედინად მდებარე კუთხეები ტოლია“, „შესაბამისი კუთხეები ტოლია“

და სხვ. მეორე მსჯელობის გამართლებისათვის ჩვენ უნდა დავეყრდნოთ ჩვენთვის უკვე ცნობილ ჰეშმარიტ მსჯელობებს კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების შესახებ, ერთი მთლიანი კაპიტალისტური ფრონტის სუსტი რგოლის შესახებ და სხვ.

2) ყოველი დასაბუთება დასკვნის ფორმას იღებს; დასაბუთება ხოჭმსჯელობის გამართლებას წარმოადგენს, ხოლო მოცემული მსჯელობის გამართლება — თუკი ეს მსჯელობა არ გამოხატავს ცოცხალი განჭვრეტის ფაქტს — შეიძლება სხვა მსჯელობებით, რომლებიც დადგენილი არიან როგორც ჰეშმარიტნი და რომელთაგან აუცილებლობით გამომდინარეობს მოცემული მსჯელობა.

როგორც წესი, დასაბუთება დასკვნათა კავშირს წარმოადგენს; ამიტომ მეცნიერულ კვლევაში, მეცნიერული ცოდნის სისტემაში ყოველი დასკვნა დასაბუთების მომენტის, ნაწილის როლში გამოდის.

3) მართალია, ყოველი დასაბუთება დასკვნის ფორმას იღებს, მაგრამ არა ყოველივე დასკვნა არის დასაბუთება. ლოგიკა სწავლობს რა დასკვნის ფორმებს, დაადგენს წესებს, რომელთა მიხედვით ახალი მსჯელობა გამომდინარეობს მოცემული მსჯელობებიდან. მაგრამ ეს წესები არ უზრუნველყოფენ წანამძღვრების ჰეშმარიტებას და ამიტომ არ უზრუნველყოფენ დანასკვის ჰეშმარიტებასაც. სინამდვილის შემეცნება ვერ დაკმაყოფილება აზრთა სისწორით, მათი თანმიმდევრობით. თანმიმდევრად აგებული ზღაპარი ზღაპრად რჩება და, რასაკვირველია, სინამდვილის შემეცნებას არ წარმოადგენს. აზრთა სისწორე, მათი ლოგიკური თანმიმდევრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში უზრუნველყოფს სინამდვილის შემეცნებას, თუ ამოსავალი წანამძღვრები ჰეშმარიტია. დასაბუთება — მსჯელობის გამართლება — დასკვნის ისეთ ფორმას იღებს, რომელშიც წანამძღვრები ჰეშმარიტნი არიან.

4) დასაბუთების ცნების არსებიდან ჩანს, რომ დასაბუთება გულისხმობს გარკვეულ მსჯელობას, რომლის გამართლება არის საჭირო. შეუძლებელია დასაბუთების წარმოება, თუ წინასწარ არ ვიცით ის მსჯელობა, რომლის დასაბუთება გვინდა. ამიტომ დასაბუთებელი დებულება უნდა იყოს წინასწარ მოცემული, როგორც დებულება, რომლის ჰეშმარიტებაში ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომელიც ჩვენ ყოველ შემთხვევაში სააღბათოდ მიგვაჩნია. ამიტომ აზრთა მსვლელობა დასაბუთების პროცესში თავისებურია: დასაბუთებელი დებულება, ე. ი. დებულება, რომელიც უნდა გავამართლოთ სხვა მსჯელობებით, უნდა იყოს დასაწყისში მოცემული როგორც ამოცანა და დასკვნით მსჯელობაში როგორც გამართლებული.

ყოველი დასაბუთება სამი ნაწილისაგან შედგება: ა) დასაბუთებელი დებულება ანუ თეზისი; თეზისი ის დებულებაა, რომელიც მოცე-

მულია და, რომლის გამართლება არის საჭირო; b) საფუძვლები, ე. ი. ის მსჯელობები, რომელთა ჭეშმარიტება დადგენილია და რომელთაგან გამომდინარეობს თეზისი; c) დემონსტრაცია, ე. ი. მსჯელობა, აზრთა მსვლელობა, რომელიც დაადგენს საფუძვლებსა და შედეგს შორის ლოგიკურ კავშირს.

8. დასაბუთების სახეები

დასაბუთების სახეებს ხშირად ყოფენ დედუქციურზე და ინდუქციურზე. არასაკვირველია, ასეთი დაყოფა არ შეიცავს შეცდომას; ესა თუ ის მსჯელობა იმის მიხედვით, თუ რა შინაარსის მქონეა იგი, შეიძლება (და საჭიროც არის) დავასაბუთოთ ან დედუქციური, ან ინდუქციური გზით. მაგრამ დასაბუთების ამ სახეების თავისებურება დაიყვანება შესაბამის დასკვნის ფორმების თავისებურებაზე.

დასაბუთების სახეებზე დაყოფა განისაზღვრება არა დასკვნების ფორმით, რომლებიც დასაბუთებაში გამოიყენება, არამედ თვითონ დასაბუთების მსვლელობის თავისებურებით. ამ მხრივ, დასაბუთების სახეები შეიძლება განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ჯერ ერთი იმით, თუ რა მიზანს ისახავს დასაბუთება და მეორეც იმით, თუ რა ხერხს გამოვიყენებთ დასაბუთებისას.

დასაბუთება შეიძლება ისახავდეს მიზნად მსჯელობის ჭეშმარიტების გამართლებას და შეიძლება ისახავდეს მიზნად მცდარი მსჯელობის უარყოფას. არსებითად, არასაკვირველია, ორივე შემთხვევაში ჩვენ მიზნად ვისახავთ ჭეშმარიტი მსჯელობის გამართლებას: პირველ შემთხვევაში ჩვენ მიზნად ვისახავთ ჭეშმარიტი მსჯელობის „A არის B“ გამართლებას; მეორე შემთხვევაში ჩვენ უკუვავადებთ მცდარ მსჯელობას „A არის B“, ე. ი. გამართლებთ ჭეშმარიტ მსჯელობას „მცდარია, რომ A არის B“.

რაც შეეხება ხერხს, რომელიც გამოყენებულია დასაბუთებაში, ამის მიხედვით დასაბუთება შეიძლება იყოს ან პირდაპირი, ან არაპირდაპირი

1) პირდაპირი დასაბუთების არსება მდგომარეობს შემდეგში: მოცემულია თეზისი (მსჯელობა) S—P, რომლის ჭეშმარიტება უნდა გავამართლოთ; ჩვენ დავადგენთ საფუძვლებს, ჭეშმარიტ მსჯელობებს, რომელთა კავშირიდან გამომდინარეობს თეზისი. მარტივ შემთხვევაში საფუძვლები უკვე არსებული ცოდნიდან არის აღებული; უფრო რთულ შემთხვევაში თვით საფუძვლების დადგენა ხდება საჭირო: წინასწარი მასალის დამუშავება, გარკვეული შედეგების მიღება და შემდეგ მხოლოდ მათზე დაყრდნობით წარმოებს თეზისის გამართლება.

მარტივ შემთხვევაში მოცემული თეზისის S—P გამართლებისათვის გამოვიყენებთ უკვე დადგენილ დებულებებს S—M და M—P და ჩვეულებრივი სილოგიზმის გზით მივიღებთ:

$$\begin{array}{c} S-M \\ M-P \\ \hline S-P \end{array}$$

ანდა შევარჩევთ გარემოებებს SAB—P, SBC—P, SAC—P და ვამართლებთ თეზისს:

$$\begin{array}{c} SAB-P \\ SBC-P \\ SAC-P \\ \hline S-P \end{array}$$

უკანასკნელ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მივიღოთ ის შენიშვნები, რომლებიც განხილული იყო ინდუქციური დასკვნების შესახებ მოძღვრებაში.

აღნიშნული იყო, რომ მეცნიერულ კვლევაში, მეცნიერებაში დასაბუთება დასკვნათა კავშირს, ჯაჭვს წარმოადგენს, რომელშიც ერთი დასკვნის დანასაკვი მეორის საფუძვლად გამოდის და ა. შ. ანდა რამდენიმე დასკვნის — დასაბუთების შედეგი მოცემული თეზისის საფუძვლად გამოდის.

თუ მოცემულია თეზისი „საზოგადოებრივი ცხოვრება შეცნობადია“ და თუ ჩვენი ცოდნის მარაგში მოიპოვება უკვე დადგენილი ჭეშმარიტი დებულებანი: 1) სამყარო შეცნობადია და 2) საზოგადოებრივი ცხოვრება სამყაროს ნაწილია, ჩვენი თეზისის გამართლება ამ ჭეშმარიტი დებულებებით როგორც საფუძვლით პირდაპირი გზით წარმოებს: თეზისი გამომდინარეობს საფუძვლებიდან.

დასაბუთების რთულ მაგალითს, რომელიც დასკვნათა ჯაჭვში ჩამოყალიბდება, წარმოადგენს ლენინის მიერ დებულების დასაბუთება: „იმპერიალიზმი სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ“. ამ დებულების დასაბუთებისათვის ლენინი ჯერ მის საფუძვლებს დაასაბუთებს.

დებულება პირველი. ფინანსური კაპიტალის ბატონობა კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყნებში; ფასიანი ქაღალდების ემისია, როგორც ფინანსური კაპიტალის უმნიშვნელოვანესი ოპერაცია; კაპიტალის გატანა ნედლეულის წყაროებთან, როგორც იმპერიალიზმის ერთ-ერთი საფუძველი; ფინანსური ოლიგარქიის ყოვლისშემძლეობა, როგორც ფინანსური კაპიტალის ბატონობის შედეგი, — ყოველივე ეს

აშკარაა, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმის ტლანქ პარაზიტულ ხასიათს, ასევე უფრო საგრძნობელს ხდის ჩაგვრას კაპიტალისტური ტრესტებისა და სინდიკატების მხრით, აძლიერებს მუშათა კლასის აღშფოთებას კაპიტალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ და მიჰყავს მასები პროლეტარულ რევოლუციასთან, როგორც ერთადერთ ხსნასთან (იხ. ლენინის „იმპერიალიზმი“).

აქედან — პირველი დასკვნა: რევოლუციური კრიზისის გამწვავება კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, აფეთქების ელემენტების ზრდასაშინაო, პროლეტარულ ფრონტზე „მეტროპოლიებში“.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა მ ე ო რ ე. კაპიტალის გაძლიერებული გატანა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში; „გავლენის სფეროებისა“ და კოლონიური სამფლობელოების გაფართოება, თვით მთელი დედამიწის გარემოცვამდე; კაპიტალიზმის გადაქცევა ერთი მუჟა „მოწინავე“ ქვეყნების მიერ დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ფინანსური დამონებისა და კოლონიური ჩაგვრის მსოფლიო სისტემად, — ყოველივე ამან, ერთი მხრივ, ცალკე ნაციონალური მეურნეობები და ნაციონალური ტერიტორიები გადააქცია იმ მთლიანი ჯაჭვის რგოლებად, რომელსაც მსოფლიო მეურნეობა ეწოდება, მეორე მხრივ — დედამიწის მოსახლეობა გათიშა ორ ბანაკად: ერთი მუჟა „მოწინავე“ კაპიტალისტურ ქვეყნებად, რომელნიც უზარმაზარი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ექსპლოატაციასა და ჩაგვრას ეწევიან, და კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების უდიდეს უმრავლესობად, რომელნიც იძულებულნი არიან იბრძოლონ იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის (იხ. „იმპერიალიზმი“).

აქედან — მეორე დასკვნა: რევოლუციური კრიზისის გამწვავება კოლონიურ ქვეყნებში, აღშფოთების ელემენტების ზრდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ საგარეო, კოლონიურ ფრონტზე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა მ ე ს ა მ ე. „გავლენის სფეროებისა“ და კოლონიების მონოპოლიური მფლობელობა; კაპიტალისტური ქვეყნების არა-თანაბარი განვითარება, რაც იწვევს გააფთრებულ ბრძოლას დედამიწის ხელახალი განაწილებისათვის იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც უკვე დაიპყრეს ტერიტორიები, და იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც სურთ მიიღონ თავიანთი „წილი“; იმპერიალისტური ომები, როგორც დარღვეული „წონასწორობის“ აღდგენის ერთადერთი საშუალება, — ყოველივე ეს იწვევს მესამე ფრონტის, შიდაკაპიტალისტური ფრონტის გაძლიერებას, რომელიც ასუსტებს იმპერიალიზმს და აადვილებს პირველ ორი ფრონტის — რევოლუციურ-პროლეტარული და კოლონიურ განმათავისუფლებელი ფრონტების გაერთიანებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ (იხ. „იმპერიალიზმი“).

აქედან — მესამე დასკვნა: ომების გარდუვალობა იმპერიალიზ-

მის დროს და აუცილებლობა ევროპის პროლეტარული რევოლუციის კოალიციისა აღმოსავლეთის კოლონიურ რევოლუციასთან რევოლუციის ერთიანი მსოფლიო ფრონტის სახით იმპერიალიზმის მსოფლიო ფრონტის წინააღმდეგ.

ყველა ამ დასკვნას ლენინი აერთიანებს ერთ საერთო დასკვნაში, რომ „იმპერიალიზმი სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ“. (იხ. ტ. XIX, გვ. 71).

ძირითადი თეზისის დასაბუთებისათვის — „იმპერიალიზმი არის სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ“ — ვ. ლენინი წინასწარ ასაბუთებს სამ თეზისს, ეყრდნობა რა მრავალ საფუძველს, რომელთაგან გამომდინარეობენ ეს თეზისები. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ამ საფუძველთაგანი უკვე წინასწარ დასაბუთებულია. და ბოლოს, ეყრდნობა რა ამ სამ დებულებას, როგორც საფუძველებს, ვ. ლენინი ამართლებს თავის ძირითად თეზისს. „ყველა ამ დასკვნას ლენინი აერთიანებს ერთ საერთო დასკვნაში, რომ „იმპერიალიზმი სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ“.

2) არაპირდაპირი (აპაგოგიური) დასაბუთების არსება მდგომარეობს შემდეგში: თეზისის გამართლება ხდება ამ თეზისის კონტრადიქტორული მსჯელობის მცდარობის დასაბუთების საშუალებით. ვთქვათ, მოცემული გვაქვს თეზისი „S არის P“. ამ თეზისის გამართლებით არა იმით, რომ გამოვანახეთ საფუძველებს, რომელთაგან თეზისი აუცილებლობით გამომდინარეობს, არამედ იმით, რომ ვასაბუთებთ მსჯელობის „S არ არის P“ მცდარობას.

არაპირდაპირი დასაბუთების მაგალითებს ხშირად ვხვდებით მეცნიერებაში, კერძოდ, ელემენტარული გეომეტრიის კურსში; არაპირდაპირი დასაბუთების ხერხს უწოდებენ „აბსურდამდე მიყვანის“ ხერხს (reductio ad absurdum). ეს სახელწოდება ნათლად გამოავლენს ამ ხერხის შინაარსს. თეზისის „S არის P“ დასაბუთებისათვის ჩვენ დავუშვებთ, რომ ეს დებულება მცდარია, და მივიჩნევთ ჰეშმარიტად საწინააღმდეგო დებულებას, სახელდობრ, რომ „S არ არის P“. ამ უკანასკნელიდან გამოგვყავს შედეგები, რომლებიც დადგენილ ჰეშმარიტებას ეწინააღმდეგება. აქედან დავასკვნით: ჩვენი დაშვება, რომ „S არის P მცდარია“ მცდარი ყოფილა, მაშასადამე „S არის P“ ჰეშმარიტია.

ამგვარი ხერხით დავასაბუთებთ ჩვენ ზემოთ კატეგორიული სილოგიზმის პირველი ფიგურის მეორე წესი: „მცირე წანამძღვარი უნდა იყოს დადებითი“. ჩვენ დავუშვით, რომ მცირე წანამძღვარი უარყოფითია; მაშინ დანასკვიც უნდა იყოს უარყოფითი და P განაწილებული; ხოლო თუ P განაწილებულია, მაშინ დიდი წანამძღვარიც უარყოფითი იქნება; ე. ი. თუ მცირე წანამძღვარი უარყოფითია, დიდიც

უარყოფითი იქნება, ხოლო ორი უარყოფითი წანამძღვრიდან დანას-
კვი არ გამოიყვანება. მაშასადამე, დანასკვის შესაძლებლობისათვის
მცირე წანამძღვარი დადებითი უნდა იყოს.

არაპირდაპირი დასაბუთება ხშირად გაყოფით კატეგორიული დას-
კვნის ფორმას იღებს: დიდი წანამძღვარი ამ შემთხვევაში გაყოფითა
მსჯელობის სახით იქნება მოცემული: „S არის ან P_1 , ან P_2 “; მცირე
წანამძღვარი კი „აბსურდამდე მიყვანის“ ხერხით უარყოფს ერთ-
ერთ შესაძლებლობას. ასე, მაგალითად, დასაბუთება დებულების, რო-
მელიც მათემატიკაში გვხვდება, რომ $x=1$ მიმდინარეობს ხშირად ამ
გზით; აღებულია სამი შესაძლებლობა $x=1$, $x>1$ და $x<1$. დასაბუთე-
ბულია მცდარობა იმის, რომ $x>1$ და $x<1$; ამით დასაბუთდება, რომ
 $x=1$.

ამავე გზით შეიძლება დავასაბუთოთ, რომ საზოგადოების განვითარე-
ბის გადამწყვეტი, განმსაზღვრელი ძალა არის მატერიალური დოვ-
ლათის წარმოების წესი და არა გეოგრაფიული გარემო და მოსახლეო-
ბის სიმჭიდროვე.

დადგენილია, რომ „საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირო-
ბების“ ცნებაში იგულისხმება ა) გეოგრაფიული გარემო, ბ) მოსახლე-
ობის სიმჭიდროვე და ც) მატერიალური დოვლათის წარმოების წესი.
დასაბუთებულია მცდარობა ორი დებულების: 1) „გეოგრაფიული გარე-
მო არის გადამწყვეტი ძალა საზოგადოების განვითარებისა“ და 2) „მო-
სახლეობის სიმჭიდროვე არის გადამწყვეტი ძალა საზოგადოების გან-
ვითარებისა“, რადგან მათი ჭეშმარიტ დებულებებად აღიარება ეწინააღ-
მდეგება დადგენილ ფაქტებს. მაშასადამე, საზოგადოების განვითარე-
ბის გადამწყვეტი ძალა ყოფილა მატერიალური დოვლათის წარმოების
წესი.

3) როგორც იყო აღნიშნული, ხშირად დასაბუთების მიზანი მდგო-
მარეობს მცდარი დებულების უკუგდებაში. ადვილი შესამჩნევია, რომ
მცდარი დებულების უკუგდება ყოველთვის შედის არაპირდაპირ და-
საბუთებაში როგორც მისი შემადგენელი ნაწილი.

მცდარი დებულების უკუგდების ხერხი შეიძლება იყოს მიმართუ-
ლი 1) საფუძვლების წინააღმდეგ, 2) დემონსტრაციის წინააღმდეგ,
3) თეზისის წინააღმდეგ.

პირველ შემთხვევაში დებულების უკუგდება მდგომარეობს სა-
ფუძვლების მცდარობის დასაბუთებაში.

აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას. დებულების
უკუგდების ასეთ ხერხს აქვს ნამდვილი ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში,
თუ კავშირი საფუძველსა და თეზისს შორის ერთმნიშვნელოვანია.

მაგრამ, თუ საფუძველსა და თეზისს შორის კავშირი არ არის ერთ-

მნიშვნელოვანი, მაშინ საფუძვლის უარყოფა არ არის საკმარისი თეზისის მცდარობის დასაბუთებისათვის.

საქმე ის არის, რომ საფუძველი თეზისის საფუძველია, ე. ი. საფუძველსა და თეზისს შორის კავშირი საფუძვლისა და შედეგისაა. საფუძვლის მცდარობა არ განსაზღვრავს ჯერ შედეგის მცდარობას. ამიტომ საფუძვლის უკუგდება არ უარყოფს თეზისის ჭეშმარიტებას; საფუძვლის უკუგდება გვიჩვენებს მხოლოდ იმას, რომ წარმოებული დასაბუთება მიზანს ვერ აღწევს, რომ მას არა აქვს ძალა, და არა იმას, რომ თეზისი მცდარია.

დებულების უკუგდების მეორე ხერხი მდგომარეობს დემონსტრაციის მცდარობის დასაბუთებაში, ე. ი. იმის დასაბუთებაში, რომ თეზისი არ გამომდინარეობს საფუძვლებიდან. აქ ჩვენ საფუძვლებს კი არ უკუვაგდებთ როგორც მცდარს, არამედ ლოგიკური კავშირის მცდარობას დავადგენთ, ამ შემთხვევაშიც დასაბუთდება არა თეზისის მცდარობა, არამედ ის, რომ თეზისი არ არის გამართლებული, დასაბუთებული.

მსჯელობის უკუგდების მესამე ხერხი მდგომარეობს თეზისის მცდარობის დასაბუთებაში. ამ შემთხვევაში ჩვენ წამოვყენებთ ახალ თეზისს, რომელიც დასაბუთებელი თეზისის საწინააღმდეგოა და რომელიც გარკვეული საფუძვლებით დასაბუთდება. თუ ეს ახალი თეზისი დასაბუთებულია, ცხადია, რომ საწინააღმდეგო თეზისი მცდარი ყოფილა.

დისკუსიის პროცესში, მეცნიერულ გამოკვლევებში უკუგდების ეს ხერხები ხშირად ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. შემეცნების პროცესში, ჭეშმარიტების მიღწევისათვის საჭიროა არა მხოლოდ საფუძვლებისა, ან ლოგიკური კავშირის მცდარობის დასაბუთება, არამედ წამოყენებული მცდარი თეზისის უარყოფა და მისი საწინააღმდეგო ჭეშმარიტი თეზისის დასაბუთება.

4. შეცდომები დასაბუთებაში

რადგან დასაბუთებაში სამი ნაწილია — თეზისი, საფუძველი, დემონსტრაცია — ამიტომ შესაძლებელი შეცდომები დასაბუთებაში სამი სახის არის: 1) შეცდომები თეზისში, 2) შეცდომები საფუძველში და 3) შეცდომები დემონსტრაციაში.

1) შეცდომები თეზისში. შეცდომები თეზისში მაშინ გვაქვს, როდესაც ჩვენ ვასაბუთებთ სხვა თეზისს და არა მოცემულს, ამ შემთხვევაში საფუძველიც, დემონსტრაციაც და საფუძვლებიდან გამომდინა-

რე დებულებაც შესაძლებელია სწორი და ქვეშაირი იყოს, მაგრამ დასაბუთება არ იქნება მართებული, რადგან ის მიზანს ვერ აღწევს: ჩვენ ვასაბუთებთ არა იმ თეზისს, რომლის დასაბუთება დასახული გვეკონდა მიზნად. ამგვარ შეცდომას *ignoratio elenchi* ეწოდება — თეზისის იგნორაცია, ე. ი. იმის არ ცოდნა, რისი დასაბუთებაა საჭირო.

შეცდომა *ignoratio elenchi* ხშირად გვხვდება დებულების უკუგდებაში; ასე, მაგალითად, საფუძვლის უკუგდება ხშირად მიჩნიათ თეზისის ქვეშაირიტების უკუგდებად.

ამ შეცდომის თავისებურ სახეს წარმოადგენს ე. წ. *argumentum ad hominem* (არგუმენტაცია ადამიანის მიმართ) და *argumentum ad populum* (არგუმენტაცია ხალხის მიმართ). თეზისის შეცვლის არსება აქ მდგომარეობს შემდეგში: დასაბუთებელი თეზისი შეცვლილია სხვა თეზისით, რომელიც მოქმედებს რა ადამიანის (ხალხის) გრძნობებზე, ინსტინქტებზე, ხშირად აიძულებს მას აღიაროს თეზისის ქვეშაირიტება.

2) შეცდომები საფუძველში. ამ შეცდომის მრავალი სახიდან განვიხილავთ ზოგიერთს, რომლებიც ხშირად გვხვდება როგორც დისკუსიებში, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

a) დასაბუთებაში მცდარი საფუძვლის გამოყენება. დასაბუთება არ არის მართებული, თუ საფუძველი მცდარია. მაგალითად, ცდა ენის კლასობრივი ხასიათის დასაბუთებისა მცდარია იმთავითვე, თუ საფუძველად გამოყენებულია დებულება ენის ზენაშენური ხასიათის შესახებ.

ამგვარ შეცდომას „ძირითადი შეცდომა“ (*error fundamentalis*) ეწოდება. ამ შეცდომის თავისებურ სახეს წარმოადგენს შეცდომა, რომელსაც უწოდებენ „პირობით ნათქვამიდან დასკვნა ნათქვამზე უპირობოა“. ამ შეცდომის მაგალითი იქნება, თუ ვიმსჯელებთ ასე: არ შეიძლება სოციალიზმის აშენება ერთ ქვეყანაში, რადგან წინა იმპერიალისტურ პერიოდში არ შეიძლებოდა სოციალიზმის აშენება ერთ ქვეყანაში. დებულება „სოციალიზმის აშენების შეუძლებლობა ერთ ქვეყანაში“ ქვეშაირიტია ერთ პირობებში, მცდარია მეორე პირობებში (სახელდობრ, იმპერიალიზმის პერიოდში).

b) დასაბუთება მცდარია არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საფუძველი მცდარია, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა საფუძველი არის დაუსაბუთებელი.

c) წრე დასაბუთებაში (*circulus in demonstrando*). ამ შეცდომის არსება მდგომარეობს შემდეგში: დებულება A დასაბუთდება B დე-

ბულებით, ხოლო დებულება B-ს დასაბუთება ეყრდნობა დებულება A-ს როგორც საფუძველს.

d) თავისებურ შეცდომას წარმოადგენს ე. წ. „petitio principii“ (საფუძვლის მოთხოვნა). ამ შემთხვევაში საფუძვლად გამოყენებულია ისეთი დებულება, რომელშიც თეზისი უკვე იგულისხმება.

3) შეცდომები დემონსტრაციაში. რადგან ყოველი დასაბუთება დასკვნის (დასკვნათა ჯაჭვის) ფორმას იღებს, ამიტომ შეცდომები დემონსტრაციაში დასკვნის წესების დარღვევაში მდგომარეობს.

სახელთა საძიებელი¹

- ბენარისი რ. 30, 33, 123
 ალექსანდრე შაკელონელი 96, 330
 არისტოტელე 17, 60, 61, 67, 80, 84, 87, 125, 129, 138, 140, 157, 158, 160, 174, 175, 181, 183, 200, 243; 254, 263, 268, 272, 293, 294, 295, 299; 301, 302, 310, 313, 318, 330, 336, 404, 408
 არნოლდი ი. 74
 ასმუსი ვ. 102, 103, 184, 195, 304
- ბაზაროვი ვ. 30
 ბახმანი კ. 183
 ბეკონი რ. 358, 364, 366, 367, 388
 ბეკონი ფ. 32, 364
 ბერკლი ჯ. 30, 31, 36, 41, 46, 123, 124
 ბოგდანოვი ა. 24, 30, 66, 396
 ბოილი რ. 356
- ბალენი კ. 265, 301
 გალილეო გალილეი 364
 გეილინქსი ა. 183
 გოკლენიუსი რ. 293, 294, 295
- ღარეინი ჩ. 22
 დეკარტი რ. 36, 37, 38, 40, 125
- მედემოსი 265
 ევკლიდე 196
 ენგელსი ფ. 16, 18, 20, 22, 44, 55, 61, 71, 72, 75, 78, 84, 118, 130, 152, 153, 315, 320, 323, 357, 366, 383, 389, 391, 398, 399, 402, 407, 416, 417, 418
 ერდმანი ბ. 168, 182
- მედენსკი ა. 70
 ეენი ჯ. 193
- ვინდელბანდი ე. 107
 ვინოგრადოვი ს. 317
- ზიგვარტი ხ. 181, 182, 183, 202, 334
- თეკერეი უ. 218
 სეოფრასტე 265
- იბერეგვი ფ. 195
 იუმეო დ. 30, 31, 32, 36, 41, 42, 43, 46, 383
- იანტი ი. 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 61, 63, 65, 66, 125, 126, 140, 141, 145, 147, 158, 160, 183, 392, 395
 კარინსკი მ. 53, 143, 319, 353—355, 366
 კასირერი ე. 105, 159
 კაუტსკი კ. 400
 კოლმოგოროვი ა. 64
 კონდილიაკი ე. ბ. 30
 კოპერნიკი ნ. 44
 კოპენი ბ. 64, 211, 345, 351
 კოპენი პ. 105, 159
 კრუგი ე. 183
 კუზმინი ა. 317
- ლაიბნიცი გ. ვ. 36, 37, 38, 310, 408
 ლევერიე უ. ჟ. 44
 ლენინი ვ. ი. 23, 24, 25, 33, 47, 50, 52, 63, 66, 70, 71, 72, 75, 76, 77, 78, 84, 85, 86, 89, 90, 99, 102, 106, 109, 130, 150; 152, 153, 156, 159, 183, 324, 340, 357, 362, 388, 396, 398, 400, 404, 408, 418, 423, 424
 ლეონარდო და ვინჩი 364
 ლოკი ჯ. 30, 31, 32, 35, 46
 ლოსკი ნ. 184

¹ საძიებელი შეადგინა თ. კოდუამ.

- მაღბრანში ა. 39
მარქსი კ. 15, 16, 17, 18, 20, 22, 29, 37,
44, 45, 47, 51, 58, 72, 78, 84, 213,
364, 389
მახი ე. 30, 33, 46, 123
მილი ჯ. ს. 169, 186, 295, 296, 297, 298,
365, 366, 369, 371, 375, 380, 381,
382
მენდელეევი დ. 53, 389, 415
ნაგელი ე. 64, 211, 345, 351
ნატორპი პ. 105
ნიუტონი ი. 41
პარმენიდე 126
პენო ჯ. 110
პერიკლე 330
პირსონი კ. 395
პლატონი 126, 127
პუშკინი ა. ს. 94
შდანოვი ა. 72
რაინჰოლდი კ. 39
რასელი ბ. 186, 212
რაშევსკი 63
რიკერტი პ. 107
რუსთაველი 146, 194
რუტკოვსკი 366, 382
სერიუსი ს. 158
სოკრატე 109, 110, 111, 125, 126, 345
სპინოზა ბ. 36, 37, 38
სტალინი ი. 19, 50, 89
სტეზინგი ს. 141, 211, 212, 350, 351
სტროგოვიჩი მ. 132, 157, 308, 316
სტრუვე გ. 132
ტაენეცი პ. 170, 304
ტარსკი ა. 141
ტოლსტოი ლ. 98, 100, 195
ფიშერი რ. 34
ფოიერბახი ლ. 20
ფრანკლინი ჰ. ლ. 17
ფრეგე გ. 110
შტარკენბურგი პ. 22
ჩელპანოვი გ. 56
ჰეონსი ს. 165—167, 178, 354, 355
ჰალე ი. 44
ჰამილტონი უ. 176, 178
ჰეგელი 76, 85, 101, 102, 105, 401, 402
ჰილბერტი უ. 63
ჰობსი თ. 30

შინაარსი

რედაქტორისაგან		3
თ ა ვ ი I. შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითადი პრინციპები		14
1. ფილოსოფიის ძირითადი საკითხი		14
2. შემეცნებისა და პრაქტიკის ურთიერთდამოკიდებულება		16
3. ქეშმარიტების პრობლემა		21
4. შემეცნების გზის ძირითადი ეტაპები		25
ემპირიზმის კრიტიკა		30
რაციონალიზმის კრიტიკა		36
კანტის თეორიის კრიტიკა		40
თანამედროვე სუბიექტური იდეალიზმის კრიტიკა		45
თ ა ვ ი II. ლოგიკის საგანი		49
1. ლოგიკის წინასწარი განსაზღვრება		49
2. ცნობიერების ცნება და ასახვის ცნება		51
3. სწორი აზროვნების ცნება		52
4. ე. წ. ფორმალური ქეშმარიტების შესახებ		56
5. სისწორისა და ქეშმარიტების გაიგივების ფორმალიზმი		59
6. აზრთა კავშირის სისწორე საგანთა კავშირის ასახვა		64
7. ქეშმარიტი დანასკვის მიღება მცდარი წანამძღვრებიდან		66
8. ლოგიკა და ფსიქოლოგია		68
9. ლოგიკისა და დიალექტიკის დამოკიდებულება		71
თ ა ვ ი III. მოძღვრება ცნებაზე		80
1. ცნება და მსჯელობა		80
2. ნიშანი. არსებითი და არაარსებითი ნიშნები		86
3. ცნება და წარმოდგენა		90
4. ცნების შინაარსი და მოცულობა		91
5. ცნებათა სახეები		92
6. ძირითადი დამოკიდებულებანი ცნებათა შორის		95
ერთმნიშვნელოვანი ცნებები		96
დაქვემდებარების დამოკიდებულება		97
შინაარსისა და მოცულობის შებრუნებული დამოკიდებულების საკითხი		101
გადამკვეთი ცნებები		111
არათანხმოვანი ცნებები		112
თანაქვემდებარე და დისპარატული ცნებები		114
7. ცნების თეორიები		114
კონცეფტუალიზმი		115

ნომინალიზმი	121
იდეალ-რეალისტური თეორია	124
8. ცნების განსაზღვრება	127
განსაზღვრების არსება	127
განსაზღვრება უახლოესი გვარისა და სახეობითი განსხვავების საშუალებით	129
უახლოესი გვარისა და სახეობითი განსხვავების საშუალებით განსაზღვრების განსაზღვრულობა	130
გენეზისური განსაზღვრება	130
განსაზღვრების წესები	131
9. ცნებათა გაყოფა	133
გაყოფის არსება	133
გაყოფის წესები	136
თ ა ვ ი IV. მსჯელობის თეორია	138
1. ტრადიციული მოძღვრება მსჯელობაზე	138
2. მსჯელობის ტრადიციული განსაზღვრების ნაკლი	139
3. მსჯელობა და წინადადება	143
4. მსჯელობათა ტრადიციული კლასიფიკაცია	145
5. ტერმინების განაწილება მსჯელობაში	148
6. მსჯელობის არსება	149
7. მსჯელობათა სახეები	160
მსჯელობათა ტრადიციული კლასიფიკაციის ნაკლი	160
მსჯელობათა გაყოფა რთულზე და მარტივზე	161
მარტივი კატეგორიული მსჯელობა	162
A. მარტივი კატეგორიული მსჯელობის სახეები შინაარსის მიხედვით	162
მსჯელობები საგანთა არსებობის შესახებ	163
მსჯელობები, რომლებიც გამოხატავენ საგნისა და მისი თვისების კავშირს	164
მსჯელობები საგანთა ერთი კლასის საგანთა მეორე კლასში შეტანის შესახებ	172
მსჯელობები, რომლებიც ასახავენ საგანთა შორის მიმართებებს	180
B. მარტივი კატეგორიული მსჯელობის სახეები თვისებრიობის მიხედვით	181
C. მარტივი კატეგორიული მსჯელობის სახეები რაოდენობის მიხედვით	185
8. მსჯელობათა დაყოფა კავშირის ხასიათის მიხედვით (მსჯელობის ე. წ. მოდალობა)	195
9. რთული მსჯელობები	199
რთული მსჯელობების თავისებურება	199
პირობითი მსჯელობა	200
კონიუნქციური და კოპულატიური მსჯელობები	205
გაყოფითი მსჯელობა	205
გამყოფი მსჯელობა	206
მსჯელობათა კლასიფიკაცია თანამედროვე ბურჟუაზიულ ლოგიკაში	206
თ ა ვ ი V. დასკვნის თეორია	213
1. დასკვნის განსაზღვრება	213
2. დასკვნათა სახეები	220
თ ა ვ ი VI. დამოკიდებულებანი მსჯელობათა შორის	224

1. საკითხის დასმისათვის	224
2. კლასიკური ლოგიკის მოძღვრება მსჯელობათა დამოკიდებულების შესახებ. ლოგიკური კვადრატო	225
3. მსჯელობათა ქეშმარიტებისა და მცდარობის პირობები "ლოგიკურ კვადრატში"	226
4. a, e, i და o მსჯელობათა დამოკიდებულების შესახებ მოძღვრების განზოგადება	230
5. ე. წ. უშუალო დასკვნები	233
უკუტყევა	233
გადატყევა	236
პრედიატიისადმი დაპირისპირება	237
ინვერსია	238
დასკვნა მიმართების უკუტყევით	239
დასკვნა ტერმინების შემოფარგვლის საფუძველზე	239
რთული მსჯელობების ეკვივალენტობა	240
მსჯელობის უარყოფა	241
თ ა ვ ი VII. ტრადიციული ლოგიკის მოძღვრება დედუქციურ დასკვნებზე	243
1. ზოგადი შენიშვნები	243
2. მარტივი კატეგორიული სილოგიზმი	244
3. კატეგორიული სილოგიზმის ფიგურები	247
4. " " " " მოდუსები	249
5. " " " " წესები	250
6. პირველი ფიგურა	255
7. მეორე ფიგურა	253
8. მესამე ფიგურა	261
9. მეოთხე ფიგურა	265
10. კატეგორიული სილოგიზმის აქსიომა	267
11. ფიგურების ერთმანეთზე დაყვანა. ანტილოგიზმი	268
12. პირობითი სილოგიზმი	277
13. გაყოფითი სილოგიზმი	284
14. პირობით-გაყოფითი სილოგიზმი	288
15. ენთიმემა	290
16. რთული სილოგიზმი	291
17. სილოგიზმის ღირებულების შესახებ	295
თ ა ვ ი VIII. დედუქციურ დასკვნათა თეორია	299
1. დედუქციური დასკვნების შესახებ ტრადიციული მოძღვრების ნაკლო მოძღვრება კატეგორიულ სილოგიზმზე	299
სილოგისტური და არასილოგისტური დასკვნები	307
2. დედუქციური დასკვნების ძირითადი ნიშნები	310
ზოგადი შენიშვნები	310
დედუქციური დასკვნის ცნება ტრადიციულ ლოგიკაში	313
დედუქციური დასკვნების არსებითი ნიშნები	317
3. დედუქციური დასკვნის სახეები	329
4. დედუქციური დასკვნის სახეები და დასკვნის ფორმულები	336
5. მიმართებათა ფორმალური თვისებები, როგორც დედუქციური დასკვნების საფუძველი	345
6. კარინსკის დასკვნათა კლასიფიკაცია	353

თ ა ე ი IX. მოძღვრება ინლუქციაზე	356
1. ინლუქციური დასკვნების ზოგადი დახასიათება	356
2. სრული ინლუქცია	358
3. არასრული ინლუქცია	361
4. მეცნიერული ინლუქციის მეთოდები	366
ერთადერთი მსგავსების მეთოდი	366
ერთადერთი განსხვავების მეთოდი	371
თანმხლები ცვლილებების მეთოდი	374
რთული მეთოდები	376
5. ინლუქციური დასკვნების საერთო ხასიათი	378
ზოგადი შენიშვნები	378
ბუნების ერთგვარობის პრინციპი	379
თ ა ე ი X. ანალოგია. ჰიპოთეზი	385
1. დასკვნა ანალოგიის საფუძველზე	385
2. ჰიპოთეზი	388
თ ა ე ი XI. აზროვნების კანონები	394
1. აზროვნების კანონების არსება	394
2. იგივეობის კანონი	399
3. წინააღმდეგობის კანონი	402
4. გამორიცხული მესამის კანონი	406
5. საკმაო საფუძვლის კანონი	408
6. აზროვნების კანონების ხასიათი	410
თ ა ე ი XII. მოძღვრება დასაბუთებაზე	415
1. მეცნიერული ცოდნის ცნება	415
2. დასაბუთების ცნება	419
3. დასაბუთების სახეები	421
4. შეცდომები დასაბუთებაში	426
სახელთა საძიებელი	429

გამომცემლობის რედაქტორი ლ. გამცემლიძე
ტექნორედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ე. თოფჩიაშვილი

გადაეცა წარმოებას 2/IX-77
ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/III-78
ქალაქის ფორმატი 60×90^{1/16}
ნაბეჭდი თაბახი 28,37
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24,36
შეკვეთა 1671 ტირაჟი 2500
ფასი 2 მან. 80 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.